UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2022 / 3 / (45)

თბილისი
2022



***

გული შენი რწმენით ცოცხლობს,
დარდიანი ვეღარ მღერი,
გთხოვ, უფალო, მომაცოცხლო,
ვცდილობ შევიყვარო მტერი!

გულნაზ ხარაიშვილი

დაბა წყნეთის წმინდა გიორგის სახელობის მე-8 საუკუნის მონასტერი.
მოციქული ანდრია პირველწოდებული
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



დაბა წყნეთის წმინდა გიორგის სახელობის მე-8 საუკუნის მონასტერი.
მოციქული სიმონ კანანელი
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



დაბა წყნეთის წმინდა გიორგის სახელობის მე-8 საუკუნის მონასტერი.
მოციქული მატათა
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



მამა გაბრიელი

შენი მადლით გული მოვირჩინე,
შემოფრინდა ჩემში გაზაფხული,
გამამდიდრე, ლექსში დამარჩინე,
ნიჭი გქონდა ჩემთვის შენახული.

გულნაზ ხარაიშვილი



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
უნდა იცოცხლო უწმინდესო

ჩვენი წმინდანი აცოცხლე ღმერთო,
მიეც წლები, რომ ჩვენთვის ილოცოს,
სულს უკვდავების სანთლები ენთოს,
საქართველო რომ გამომიცოცხლოს!

გულნაზ ხარაიშვილი



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

****

შენს საფლავთან ყვავის ია-ია,
კვლავაც ცოცხლობ, რას მიქვია გლოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,
სიყვარულით ყვავილების თოვას.

გულნაზ ხარაიშვილი

შევქმენ ჟურნალი

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა.
მარტოდ არა ვარ, ღმერთია ჩემთან,
მწრთვნის ისე როგორც ფოლადის ტყვია,
მე მის გარეშე სიტყვა არ მითქვას,
ვწერ და წყნარ ნიავს უფალთან მიაქს.
შევქმენ ჟურნალი არც თუ ურიგო,
წმინდა გიორგის, ნინოს ხატებით,
ვცდილობ სიკეთის ნერგი დაგირგოთ,
თუმც დარდიანი თქვენთვის დავტკბები.
ლეღვის რძესავით მდის სისხლი ხშირად,
და იობივით ვითმენ განსაცდელს,
მასაც დავლოცავ ვინაც მე მწირავს,
ბოროტებისთვის წლებს არ გავაცდენ.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია

ბერდიაკონი ნეოფიტე - გარეჯი
(ნათლისმცემლის მამათა მონასტერი)
14.08.2022

მე უფალმა შემიკედლა გარეჯას,
მე აქ ჩემს წილ საქართველოს ვდარაჯობ!
მამა ნეოფიტე

ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს

ათინათი

მეც შენსავით ლაღ სტრიქონებს ვქარგავ,
რა შეგარქვა ენძელა თუ ია?
რასაც ფიქრში ვპოულობ თუ ვკარგავ
შენს ენაზე **ათინათი** ჰქვია!

ვინ მოთხარა, ისევ მოვრწყავ, დავრგავ
და მოვუვლი როგორც შემიძლია,
პატარაა მხოლოდ მორწყვას ითხოვს,
მერე რა რომ მინდვრის ყვავილია?!

გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერი და ულამაზესი ცა

ვეხუტები ვარგა თუ არ ვარგა,
სხვისთვის ყალბი – ჩემთვის ნამდვილია,
ნეტავ იმას ვინც ასე შეგარქვა,
ათინათი ზედგამოჭრილია!

ათინათი ხომ იმისთვის გქვია,
რომ ხანდახან გამინათო გზანი,
რომ მაისში სიხარულით დამხვდნენ
მერხეული, ჭალვანი და ხვანი.

ვინც ფიქრობს, რომ სხვის სტრიქონებს ვძარცვავ,
მას მკითხველის არაფერი სცხია,
დამეჭიდოს, დავღლი და დავქანცავ
ცივი წყალი სვას თუ შეუძლია.

ხელს ჩაგჭიდებ, რომ არ დავიკარგო,
კიდევ კარგი არ ვარ თვითმარქვია,
მახსოვხარ და თან იგივეს არ გთხოვ
მეც შენსავით, **ათინათი** მქვია!

პატარა ხარ, არცერთ ყვავილს ჰგავხარ
და სიმართლე გწყურია და გშია,
ჯორკოს სკამზე თუ დადგები სჩანხარ
ყველა ია - ხარაიშვილია!

იას ვუვლი, ვუთოხნი და ვმარგლავ
და ჩიტების ატყდა რია-რია,
მეზობლებთან საზღვარსაც არ ვფარგლავ,
რატომ არ გწყინთ, ვეღარ გამიგია.

დევკაცებო, მომეშველეთ, სად ხართ?
ვინ მაჩუმებს ღაღადებენ ქვანი,
დღეს ძირულას მძევლად გაჰყოლიან
მერხეული, ჭალვანი და ხვანი.

კაკალ გულში პაწაწინა მყავხართ,
თავი ვისთვის, როდის დაგიხრიათ?!
ვაი იმას, ვისაც არ უყვარხართ,
ათინათი, ენძელა და ია!

მამა ნეოფიტე, დილის 6 საათზე, საუზმეს გვიმზადებს.

გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი (მე-6, მე-7 საუკუნის ტაძარი)...

ამირან ამირანაშვილი



სამყაროს შემოქმედს!

უმორჩილესად პატიებას გთხოვ, დიდო მაესტრო,
შენს ნაწარმოებს ვერ ვუწოდებ შემოქმედებას.
უზომოდ მინდა შენს სიმფონიას დიდ ხანს დავესწრო,
„მარადისობას“ უწოდებდი დიად ქმედებას.
ამბიონიდან სადიროჟორო გიდგას კათედრა,
კლავიატურას ანგელოზები გიშლიან ფრთებით.
„მარადიული უკვდავების“ ჟღერს სიმფონია,
მთელი სამყარო ამ მელოდიით ვივსებით ვტკბებით.
უვერტიურა ჰარმონილულად ერწყმის „შესაქმეს“,
შემდეგ გაისმის წყლები როგორ ტოვებენ ხმელეთს.
მაჟორ ტონებში მზე დაადგრა დღის მანათობლად,
მინორ აკორდზე მთვარე კრძალულად ანათებს ბნელეთს.
ტალღის ტყლაშუნში წყალი იკავებს მეშვიდედ ნაწილს,
გამშრალ ნიადაგს მიაკუთვნებენ მხოლოდ მესამედს.
ფლორით, ფაუნით შემოიჭრება ცოცხალი ხმები,
ფორტისიმოთი ელოდებიან მბრძანებელს, მეფეს!
სრული სიჩუმე, მაესტრომ პულტზე გადასდო კვერთხი,
მიწა მოზილა, მეფე უნდა შეგვითხზას ხელით.
ისევ აკორდი და აგუგუნდა მთელი სამყარო,
ყველა არსებამ განიხარა ადამის ცქერით...
დაცხრა ორკესტრი, შემოიპარა წყნარი მინორი.
მუქმა ღრუბლებმა გადუარეს ადამის სხივებს.
მიხვდა მაესტრო და ვიოლინოს აღმოხდა კვნესა,
რომანტიული ფლეიტები სულს მთლად ამძიმებს.
ბულბულთა გუნდი თავს მოეხვია მოწყენილ ადამს,
აქ მელოდია აჭიკჭიკდა, დაისადგურა ორკესტრში სევდამ.
მაესტრო ითხოვს სრულ პიანოს, ოპერაციას.
სევდის მოტივი მიმოფანტა მხიარულ ევამ.
დადგა მუსიკის აპოთეოზი, ზემხიარული.
ექვს-ექვს ფრთიანი ანგელოზები უკრავენ ტაშებს.
ცაში ფრინველთა, მიწაზე კი ცხოველთ ზეიმი,
მხოლოდ ბოროტნი ელოდებოდნენ ცოდვას და ჩამშვებს.
ნება მიეცათ დასარტყმელებს, ტრუბებს ტრამბონებს.
კაკაფონიამ გადაუარა ორკესტრს მთლიანად.
და დაისაჯა სიყვარულისთვის ადამ და ევა.
ჭექა-ქუხილმა ხუთ ფორტეზე დაიგრიალა.
მიწამ მიიღო როგორც მშობელმა ცოდვილი შვილი,
შრომა და ოფლი თანხვედრი გახდა ადამისათვის.
აქ ჰარმონია თანაუგრძნობს მხოლოდ სიყვარულს,
მას შემდეგ ევა მწარედ ტკივილებს ითმენს შვილისთვის.
დაბადების დღეს ჩვენთან – თოფის სროლით ხვდებიან.
ევროპაში კი, ერთხმად მღერიან ტაშით „happy Birthday“-ს.
ჩვენს ქორწილებში ჟღერს მრავალჟამიერ დღისით ღამემდე,
ევროპაში კი მენდელსონის ქორწილის მარში.
მარადისობის სიმფონია გრძელდება მშვიდი,
მაყურებელი იბადება, ნელა იზრდება.
როცა დაკარგავს სმენის უნარს, ტოვებს და მიდის.
დარბაზი ისევ ახალ-ახალი ხალხით ივსება.
ყოფიერების მელოდიაა მთელი სიცოცხლე,
ადამის ძენი ვართ მსმენელი თავისუფალი.
აწ და მარადის იგუგუნებს „სიმფონიები“,
იდირიჟორებს კვერთხით ხელში ღმერთი უფალი!

ჩემი ძმები

მომენატრა ჩემი ძმები, უშანგი და ანზორი.
არარსებობს ხელსაწყო, ჩვენი ძმობის გამზომი.
სირთულეს რა გამოლევს, ბრძოლა გვიწევს მრავალი.
ყველა ბრძოლებს მოვიგებთ, სიმხნევეა მთავარი.
სამი გმირი მოვდივართ, წინ მოგვიძღვის სამება.
ვნანობთ ძმობის ხიდები ადრე უნდა გაგვება.
ძმობის წიგნი დაიდო, მას არა აქვს ბადალი,
გონაშვილმა შეკონა სამი კაცის ნადავლი.
წიგნს საფუძვლად დაედო მეგობრობა ქართული,
დღესაც რომ არ ვისვენებთ, შრომაში ვართ ჩართული.
უშო უვლის ქარხანას, ანზორი ვაზს ახარებს,
ამირანი ლოცვებით საყვარელ ძმებს ახარებს.
რთველის შემდეგ მოგვიწევს წიგნის პრეზენტაცია,
მეგობრები გვეწვევა ქალია, თუ კაცია.
ტაძარი და დარბაზი კასპში გასახსნელია,
უგვირგვინო ცოლ-ქმრობა უშანგისთვის ძნელია.
ჯვარი უნდა დავწეროთ ამაღლების ტაძარში,
ქეიფი არ აგვცდება სიცხეში თუ ავდარში.
ასე უნდა გავწიოთ მეგობრობის ჭაპანი,
რეალობად ვაქციოთ ამ ცხოვრების ზღაპარი.
ძმებო აქაც და იქაც, ერთად შევთხოვოთ უფალს.
ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ჯილაგს, მოგვასწროს თავისუფალს.

ბათუმი 16.08.2019

დროებითი რომანტიკა

ჩემს აივანზე დილის ნიავი მესალმუნება,
მორცხვი ალერსით ცდილობს როგორმე მასიამოვნოს.
ზღვიდან აკრიფა იოდიანი სუფთა ჟანგბადი,
შემომაგრილა და ეს ჰაერი ძალიან მომწონს.
როგორ სიმშვიდის მომგვრელია აქ ყოველივე,
ძალიან მინდა ეს მყუდროება არ დავარღვიო.
ეხლა ჩვენი ზღვა კამკამაა წყნარი და მშვიდი,
ნეტავ ქვეყანაც დავამშვიდოთ, არ ავამღვიროთ.
მაგრამ ვინ გაცდის, დროებითია ეს რომანტიკა.
მალე მეჩეთში აგუგუნდება არაბთა ლოცვა,
„ღამენათევი მასაჟისტები“ გახსნიან ბორდელს.
თურქებს სავაჭრო ცენტრებში ხომ არა აქვთ მოცლა.
დაემსგავსება ჩემი ბათუმი სტამბულის ბაზარს,
პირახვეული არაბები გუნდ-გუნდად დადის.
მკაცრად იცავენ თავიანთ წესებს, თავიანთ ადათს.
ზღვაზე არიან მაგრამ ზღვაში არავინ ჩადის.
ქობულეთი ხომ „მიაგირავეს“ ჩვენ მოძმე სომხებს,
მათი ბიზნესი განთქმულია მთელ მსოფლიოში.
ქობულეთლებმა მიაშურეს მეზობელ სოფლებს,
„ყაიმაღები“ გადაცვალეს პარკ ლობიოში.
ისევ მიბერავს დამორცხვებული, შერყვნილი სიო,
უკვე თურქული ყავის სურნელით გაჯერებული.
ყველა ფუსფუსებს, ჩვენ კი შევყურებთ ამ ორომტრიალს,
მხოლოდ ქართველი, ქართველები ვართ გაშტერებული.

დილა ზაფხულში

ვარვარა მზე შემოსკუპდა
ნაძვის წვერზე,
ჩარჩოობა გაუწია ფანჯარამ.
საოცრება იყო დილის პეიზაჟი,
სიურპრიზი მომიმზადა აჭარამ.

სიხარულის განცდა მქონდა მცირედი,
შავი ნისლი შემოიჭრა სურათში.
წაიშალა ჩახჩახა მზე ოქროსფერი,
მეც ჩავეშვი წარსულ ფიქრთა ბურანში.

სად ხართ ძმებო, რად დატოვეთ აჭარა,
თქვენ ბათუმი ჩემზე მეტად გიყვარდათ.
მოგვეშველეთ, დაგვიფაროს უფალმა,
მტერი ლამის სახლში შემოგვივარდა.

16.08.2019 წ.

ეთერ ჭელიძე

მივდივარ...

მოვიკეთილე, მთას ვტოვებ,
მზის წყაროს ნაამბორალი,
სიშორე რადგან შემინდეს,
გულამდე გავდე ბორანი!
მაღლით მიცქერდნენ ამაყად
ცის კალთას მსხდომი ციხენი,
ვით უკვდავების სადარი
ათასწლოვანი მზის ჭვრეტით.
თოვლი და ქრიზანთემები
ერთ მწკრივში იდგნენ ამაყად,
ირგვლივ შქერის და ანწლების,
ასკილის ჰყვავის ბარაქა...
ნისლის ბუდეში ცეკვავენ:
გნოლი, შაშვი და ტოროლა.
დრო სულის ფერდობს ჯეგავდა,
მაინც ვერ გამაბოროტა!
და კიდევ ერთხელ, უფალო,
გმადლობ, რომ არ წამახდინე,
გზად ეკალ-ბარდი მოვძოვე,
მართალთა გზად დამარჩინე...
რომ დამეხმარე ჩამუხლულს,
ბოლომდე არ წამაქციე,
ახლა ზარს ვრეკავ შხარიდან,
ბანს ვეუბნები არწივებს!

*

ღამის ფარდის შრიალს ჰგავდა
ფიქრის თრთოლვა ვარდის ნამზე,
ღრუბლის მკერდზე აჭრილ ლავას
კარი ნებით ჩავურზე...

შენთან ვარ სიჩუმევ!!!

კარი დაგრჩენია ღიად, სიჩუმევ,
გეგონა მთვარე გედგა მცველად?
ჩამოჰკარი სიმებს ვით ძველი მეჩონგურე,
გაბედე დარდის ძლევა...
ღამის ცარგვალი თუკი მოირკალა,
დარდის აივანზე მზეა,
გატეხე დუმილის ცხრაკლიტული
შეწყვიტე ბრალეულის კვლევა...
ბედის მორჩილებას ერკინები,
ხევებში ქარიშხლის ბორგვას...
კარი დაგრჩენია ღიად სიჩუმევ,
შენთან ვარ ღამის თევად...

*

კართან მიგდებული ბარათი...
ორჭოფობ, გავხსნა თუ არა?!
ახლად გაღვიძებული ქალაქი ნისლი,
ბოლთა-ბოლთა კვამლად...
მიიწევს, ირწევა ცისკენ, თითქოს, აკოწიწებს კარავს.
ვაწვალებ, ვაწვალებ თითებს, გულის უბეში ვმალავ...
– ან დღეს ან არასოდეს! სული ჩავალბე წყალში...
ო, ალბათ არასოდეს, ერთად, ერთ გაშლილ ნავში!..
მიზეზს ვერ მკითხავ, რადგან შენში ეძებო უნდა.
გზაგასაყართან ვდგავარ – წვიმდა...რარიგად წვიმდა...
მედიდგულება სადღაც მიყრუებული წყენა,
შენ გაჰყოლიხარ ღრუბელს, მე ნაბოლთარზე ვწევვარ!
– ან დღეს, ან არასოდეს! ექოს მოარბევს ხმები...
შენ – დაკარგული სივრცე; მე – შენი გრძნობის ქვევრი!
თუ განმეორდი, ვიცი, ხელს ვერ მიწვდება ხელი,
ნამდვილს რად უნდა ფიცი, სიტყვა ფუჭია... გელი...
მოგისაკლისო? არა! ვერ გავაგრძელებ ლოდინს,
ერთხელ წასული წავა, წავა და აღარ მოდის...

ვინ გაბედავს?

ვინ გაბედავს, კითხვა მკადროს რა გინდაო მთებში,
ან რატომ სვამ ენგურის წყალს ერთი ციდა პეშვით.
რად ნატრულობ მრისხანებას შხარისა და შხელდის,
ლექსის მუზა მთიან ბილიკს ასე რატომ ელტვის...
რად მიჰყვები რძისფერ ტალღებს, კალმახების კივილს,
რად ამსგავსებ წყაროს ცრემლებს სვანი ქალის ტირილს!
რატომ ეტრფი მთის ბეჭებზე გაჭენებულ რაშებს,
ცეცხლოვანი აღმაფრენით ვის ნაკვალევს დასდევ,
მე ამ მთების შვილი ვარ და ამ ქარაფის მართვე,
სხვა სამოთხე არის სადმე? არის კიდევ სადმე?...

რად ვერ ამბობ?!

თალხის ფერი დაჰკრავს ნამზევს,
ჩოხა მასრებ დაცლილია,
ჩემ ძველ საქართველოს გავდე
ეგ, არც ისე ადვილია.
ისევ ვმონებთ მგესლავ ქარებს,
ღირსების გზა წაშლილია,
ვითმენ, თუმცა მოთმინების
ყველა კასრი დაცლილია...
რით ვერ დავთმეთ, რა ვერ დავთმეთ,
მუხა უხმლოდ დაჭრილია,~
ვერ თავკაცობს ქუდზე ჯვარი
ისიც პატივაყრილია.
დაშრა ღელე, მცოცავ ხევებს
სისხლისფერი ბოლი ასდით
და წინაპრის მონამწყემსებს
უსირცხვილოდ ტყვიას ვახლით.
შიშის ფერი დუმილი გვჭირს
და ქედმაღლობს სიტყვა ლაჩრის,
ნამათრახალ მონას ვგევარ
ყელში ბოღმის ბურთებ გაჩრილს!
რად ვერ ამბობ, რასაც ამბობს
თუ ტკივილი ნამდვილია,
თავგანწირვა სიმართლის გზით
ეგ არც ისე ადვილია?!!

ნუ წახვალ სახლიდან!

უხილავ ტკივილით, ჩაკეტილ ურდულებს
ვხსნი და,- კარს ვაღებ ისევ, მერამდენედ...
აწმყო და წარსული ერთ ხმაზე დუდუნებს,
ეს ლექად ქცეული სენი ვერ განვდევნე!
მიხმობენ გნიასით სამყაროს ფერები,
ახლა შინ დარჩენის მცირედი შანსია,
სად გაედინება ეგ გოგო-ბიჭები?
სამშობლოს დუმილის მანტია აცვია!
თვალს ცრემლი გაუშრა, უცხო გზას მიმავალს,
უცხო მზის პერანგი ვერ ათბობს ვერაფრით.
სამშობლოს უთხარით, უთხარით მიყვარხარ
და შენდობისათვის ეახლე კელაპტრით!
გჯეროდეს, ჩაგიკრავს ისე, ვით მკერდიდან,
მკერდიდან ასხლეტილ ბაგე-თბილ პატარას,
იცოდე, მამულის ფესვები კვდებიან
თუ უცხო მიწაზე დაცალე მათარა!
თუ უცხო ტოტებზე დაამყენ კვირტები
თუ ბგერა ქართული ცალსახად იწამე,
დარდით და ტკივილით დაღლილი ბრუნდები
კვლავ უცხოს ხელებით გაჯეგილ მიწაზე!
გახსოვდეს, მუდმივად რეკავენ ზარები,
ნუ წახვალ, შრომა და დათმენა ისწავლე,
ხომ ხედავთ ტაძრებსაც გაუჩნდათ ბზარები
და უცხო ბოგინობს ნასისხლარ მიწაზე...
ახსენით ჩაკეტილ სამოთხეს ურდული,
თვით შენი სისხლი და სულეთი იწამე!
დამკვიდრდი სიცოცხლის, სიკვდილის ფასადაც,
დამკვიდრდი, ოღონდაც შენ ქართულ მიწაზე!

ღირსებას იცავდნენ... ხალდელთა გმირობა

ლეგენდა შეიქმნა ლეგენდის ნაკრძალში,
ცის კიდეს შეფენილ ედემის მხარეა...
და რადგან საკუთარ ღირსებას იცავდნენ,
გაბიდნულ მასრებში იფეთქეს ყვავებმა...
ჭალადიდს მიჰყვება სვავების ლაშქარი,
ბუნება მყინვართა გვირგვინზე ზავდება,
,,ფინთიხი“ რა არის, ან თუნდაც ქვემეხი,
არც გული, არც მუხლი არ დადრკა ხალდელთა!
შეუვალ ჭიუხებს, არწივთა ბილიკზე,
ზარბაზნის რიგი დგას... მზაკვრული ომია...
მომი და ჯოხანი, ამაიზ, ჩარგაზი,-
შენდობას ითხოვენ გენერალს ჰგონია!
გატეხილ კოკაში, წყლის წვეთი ლივლივებს,
იმ წვეთში დიაცის მძვინვარე ცრემლია,
ამ უთანასწორო ომში და ბრძოლაში
დიაციც სჯულის და ადათის მცველია!
ამაყად ახურავთ გოლიათ მურყვამებს,
ჯვრიანი ქუდები-შევერცხლილ მთებისა.
რარიგად შეშვენის ბერიკაცს სითეთრე,
აქ სინდის-ნამუსი, მახვშია ხევისა!
აქ, მიწის სიყვარულს სიცოცხლის ფასი აქვს!
ვაჟკაცი, მწვერვალთა ეჩვევა სიმაღლეს,
ჭიუხთან მორკინალ მთაკაცის მრწამსია,
ფუძის და საძირკვლის ციხეც და სიმაგრეც!
არ დათმობს ღმერთისგან ნაბოძებ საურვალს
რაგინდა სიცოცხლის დასჭირდეთ დათმობა,
ტყვიების ცეცხლი სწვავს მურყვამის ქონგურებს
არც აღარ ეგების მტრისაგან დანდობა!
გრგვინავენ ქვემეხის მზაკვრული მასრები,
ჯვრიან ქუდს ზარბაზნის ლულიდან ესვრიან,
მურყვამებს მიუდგეს დაჭრილი მხარბეჭი,
სისხლიან ჭიუხში ,,ლილეოს „მღერიან!
არც გული, არც გონი, არ დადრკა ქართველთა,
საკუთარ მიწაზე ღირსებას იცავდნენ!
ლეგენდა უკვდავი, გმირობა ხალდელთა,
არწივთა ბუდეში, ერთ გოჯა მიწაზე...

❤❤❤❤

მალვინა ჭელიძე

ბებერი მუხა!

ფერი ეცვალა თიქოს ყველაფერს,
ბებერმა ნაძვმაც თავი დახარა,
ისე გახუნდა ნაძვის ტოტები,
მზის მცხუნვარებამ ძალზე დაღალა.
იქნებდა სიომ ჩამოუქროლოს,
ააშრიალოს მწვანე წალკოტი,
დარდი დასდინდა ნაკადულებად,
იქნებ უდარდოდ ყოფნას ნატრობდი.
პატარა ეზოს ისე ამშვენებს,
გადაუფრენენ გუნდად მერცხლები,
ჩიტი...ჩიორაც ბუდეს იშენებს
დასტრიალებენ ახლოს მტედები.
როგორ ეცვლება ფერი ყველაფერს,
რაც გუშინ იყო, ის დღეს არარის,
თიქოს დროებამ წელში გატეხა,
ბებერი მუხა,დაუღალავი.
ფიქრებმა ისე შორს მომატარა,
არადა თბილი დღეა მზიანი,
თიქოსდა ვიყო ისევ პატარა
აკვანს მირწევდეს ნაზად ნიავი.
მუხის ფესვებთან მომინდა ძილი,
ან მასთან ერთად ღამე ვათიო,
უთხრა, შორს არის გზის დასასრული,
იქნებ დარდისგან გადავარჩინო.
ვერ შემაშინებს ღამის წყვდიადი,
ასე ვიქნები მასთან დილამდი,
მე მისთვის ვინვარ,
თითქოს არავინ,
ერთი მოკვდავი ადამიანი!...

ის დღე... სხვა დღეს არ ჰგავდა!

ზღვის ტალღებზე შემდგარი,
ჰანგებს ზეცად ქარგავდა,
სიო გრძნობებს არხევდა
ის დღე სხვა დღეს არ ჰგავდა,
ზეცა ღრუბლის სამოსში
შემოსილ დარდს ძარცავდა
და ტალღების ქაოსში
ქალი ფიქრებს დაჰყავდა,
და მუსიკის ჰანგებში
დარდი ცრემლად დასდინდა,
წითელ კაბით შემოსილი
სინანულით ატირდა,
და ფიქრების სამოსში
სულში სევდა ატანდა,
გული სევდით დამძიმდა,
ის დღე სხვა დღეს არ ჰგავდა.

თითქოს სადღაც ზღვის სიო
სიყვარულით აყვავდა,
ისე მშვიდად არწევდა
ხელის გულით დაჰყავდა,
ვიოლინოს სიმებზე
ტრფობის ჰანგებს აბამდა,
ზეცას მისწვდა ხმის ექო
ცამ ღრუბელი გაფანტა,
ქალმა, სულის სამოსით
ზღვას ნაბიჯი აუწყო,
გრძნობებით და განცდებით
ზღვის ტალღები დაიპყრო.

წვიმა, თქეშად მოსული
ზღვის ფსკერამდე ატანდა,
სიყვარული ქალღმერთის
თითქოს ასე დამთავრდა,
ზღვის ტალღების ხმაურში
ცამ ღრუბელი გაფანტა,
ხმა ისმოდა ქაოსში
მაგრამ ქალი არ ჩანდა,
თიქოს ფრთები მოისხა,
იქნებ აღარც დასცალდა,
სილამაზე ქალღმერთის
თიქოს ზეცად ამაღლდა,
ზღვა კი ქალის ტრფიალით,
ცეცხლის ალში გაება,
მაგრამ ბედის განგებას
სევდიანი დანებდა!...

მოგონებები....

შორით მიღიმის,
 გულში მზის სხივის ფერად ანათებს,
ფიქრად დანათოვ დღეებს მივტირი,
რაც მე მეკუთნის მას ნუ წამართმევს.
დღეს რომ სიცოცხლის სხივი ეფინოს,
გულს რომ ეფინოს გრძნობა ნათელი,
დროში ჩაკარგულს,მშვიდად გეძინოს
და ღამე იყოს ბევრის დამთმენი.....
იმ მონატრებულ დღეებს დავეძებ,
დაღლილ ფიქრებში ღამეს გავათევ,
ღვთისშობელს უხმოდ შევთხოვ წყალობას,
ვიცი შეისმენს არ მიღალატებს.
ვარდის ფურცლების ფიფქებად თოვა,
გზად დავაწყობდი სავსე კალათებს,
ციდან ცვიოდეს ვარდების კონა ,
არ ვინატრებდი მე სხვას,არაფერს.
გულზე დაყრილი ვარდი ეკლებად,
და მონატრბა დარდად გათოვდა,
ფეხგვეშ გეფინა ვერხვის ფოთლები
გსუსხავდა ქარი
და მზეც გათბობდა.
რაც ჩემი არის შემარგე ღმერთო,
რაც არ მეკუთნის ,არ გთხოვს არავინ,
წყვდიად ღამეში,
სანთელებად იწვის
ვედრება მშვიდი, სიტყვა მართალი.
ღამის აჩრდილებს, ფიქრებად მისდევს,
სულით ძლიერი,დაუღალავი,
მე სათხოვარი არამაქვს მეტი,
გთხოვთ ამიშენოთ
ნდობის კარავი!.

არ ვიცი ალბათ ტანგოს ცეკვავდა!

ხეივანს ისე ჩამოუფრინა,
მისი დაჭერა ძალზე მეწადა,
იბნევდა ყელზე ოქროსფერ მძივებს,
ვიფიქრე, ალბათ ტანგოს ცეკვავდა.
მზის სხივებს ისე აეთამაშა,
თითქოს ზეცამდე აჭრა ეწადა,
ქარი არხევდა ლამაზად ტოტებს,
ლამაზ ხალიჩას მშვიდად კემსავდა.
იფურცლებოდა ოქროსფრად მდელო,
ქარი უნდობლად დარდებს ლეწავდა,
მიუყვებოდა ქუჩას ფოთოლი
ალბათ სიტურფის ფერებს ძერწავდა.
ფოთოლცვენაში მოყოლილ განცდებს,
ფერადი ფუნჯით ნაზად ხატავდა,
დაუღალავი იტანდა რამდენს
 გზის დასასრული ისევ არ ჩანდა.
მე შევცქეროდი შორიდან ტრფობით,
მისი დაწევა ძლიერ მეწადა,
ის კი მზის სხივებს აეთამაშა,
და მთელი გრძნობით ტანგოს ცეკვავდა.!

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ზეცა ავდარობს...

ბოროტი ხელით დანისლული ზეცა ავდარობს,
ბრმა თვალი ვეღარ განასხვავებს სიტყვას – განგებას,
დღეს ოქროს ძელი მოზვირთებულ ზღვაში ქანაობს
და ასაღებენ ნათლის წყაროს სულ სხვა გაგებად.

ბევრი სიკეთე დაუნდობლად წყალმა ჩარეცხა,
დღეს, ოქროს სიტყვა – დაწმენდილი, აღარ საღდება,
და, რა ფასი აქვს ცის თაღიდან ღრუბლის განდევნას,
საბედისწეროდ, შავს თუ თეთრი ჰქვია სახელად...

მსოფლიო გონი შედედებულ კრისტალ-ზმანებად
დახლებზე ყრია დახვავებულ ხორაგ-ზვავებად,
იგავ-მითები დახუნძლული სიზმარ-ზღაპრებად,
როგორც საკვები – ცის მანანა ისე საღდება...

თუ ფანტაზია – შორსმჭვრეტელი, ვარსკვლავებს ზვერავს,
მძიმე ჯაჭვები კეთილშობილ სიცოცხლეს ბორკავს;
რა ფასი ადევს უმოწყალოდ გაძარცვულ ზეცას,
უსიყვარულოდ ნაწყალობევ უმეცარ გრძნობას...

უხვად მომრავლდნენ

უხვად მომრავლდნენ აქ, ჩვენს გვერდით, შეითანები,
მათთვის უცხოა შეგონება – სინდის-ნამუსი,
დაურიდებლად შეგვილახეს წმინდა გრძნობები,
გააცამტვერეს, დაუნდობლად, ჩვენი წარსული.

საუბედუროდ, ცუდბედობა ოდითგან მოგვდგამს,
ქვეგამხედვართა ორგულობაც ჩვენი ხვედრია,
ახლა დრო არის, აილესოს წმინდა მახვილი,
აქ სულგრძელობა და დანდობა მეტისმეტია.

თვით წმინდანებიც ხომ ებრძვიან ეშმას – დემონებს,
არც სულის ტაძარს არ უთმობენ ბილწს და გარეწარს,
ჩემი ტანჯვისთვის თუ მზადა ვარ ცოდვა შევუნდო,
ვერ ვაპატიებ ქვეყნის ღალატს, სულით დაცემას.

წამოვშლი ფეხზე შემოგზავნილ ამ ტარტაროზებს,
ყველას მოვკითხავ ჩემი ქვეყნის გაძარცვულ მიწას,
ვერ შევუნახავ პირსისხლიან ნამოყვრალს სინდისს,
ძმის მოღალატეს დაუნდობლად დავახლი ტყვიას...

უძველესი აია

იმერთ მოდგმა და კოლხეთი –
უძველესი აია
დალოცვილი ქვეყანაა
და სამოთხის კარია.

წლების ჩრდილი თავზე ადგას,
ქარაგმად ჟღერს რიონი,
აქ ღმერთების მოდგმა ცხოვრობს
ტიტან ჰიპერიონის.

სიბრძნე გულში ჩაკირულა
კირკეონის ველების,
აქ იწყება და ღვივდება
ერის წმინდა ფესვები.

ამ მხარეში მზის გულები
გადმოქარგა აისმა,
სხივნაფერებ ვაზის რტოებს
ცის მტევნები ასხია.

ალალ სითბოს მზე რომ ანთებს,
წრფელი გული ხალისობს,
გვირილების ველი ლაღობს,
ვარდი ისევ მაისობს.

აქ უფალი მადლით მოსავს
თვით უბადლო მერიონს,
აქ რიონი ძარღვად უცემს
ბებერ უქემერიონს.

ამ ქუჩებში, როგორც წინათ,
ლამაზები დადიან,
ყველა ქალი რჩეულია, –
ყველა ნატვრის თვალია.

აქ სონეტებს ქარი თხზავს და,
მთები მღერის არიას,
კაცის გული ზნეკეთილი
სიყვარულით მთვრალია.

მასპინძელი პურადია,
გულმართალი კაცია,
აქ სტუმარი წვეულია,
ღვთის ნანატრი მგზავრია.

გაზაფხულზე ფაზის ტალღებს,
როცა წყალი აწყდება,
ველის მუხას, გრძნეულ ჭადრებს
ოქროს კვირტი ასკდებათ.

ხვამლის მთიდან მონაბერი,
ქარი მღერის ნანაოს,
ეფინება ლამაზ მინდვრებს,
სალხინოს და სანაოს.

ბევრჯერ სისხლით შეიღება
და აიმღვრა რიონი,
მაინც კეთილ სიმებად ჟღერს
ლექსი გალაკტიონის.

დროის რითმი არ იცვლება,
წლები ისევ ქარაგმობს,
კავკასიონს, მთათა ხომლებს
ამირანი დარაჯობს.

სიცოცხლის ბოლოს

ცა რექვიემით მოირთავს ლაჟვარდს,
გუნდი იმღერებს მწუხარე ქოროს,
ვერხვის ჩრდილები, ბზის ხეივნები
გამაცილებენ სიცოცხლის ბოლოს.

არ დაბნელდება არც მზე, არც მთვარე,
წესი წესია, ბოლოსდაბოლოს,
მხოლოდ ცაცხვები თავის ჩრდილებში
გაიხსენებენ ონავარ გოგოს...

ყოჩივარდებით მოვა აპრილი
და შუბლს მოირთავს ნაზი იებით,
ბუნების წვეულთ ექნებათ ლხინი,
მე კი ამ ლხინში აღარ ვიქნები.

ვერ შევესწრები აპრილის წვიმებს,
კუდმაკრატელა ჭიკჭიკა მერცხლებს,
ვეღარ ჩავიბნევ ჩანჩქერებს თმებში,
ვერ ვილაჟვარდებ ცისარტყელებში.

მაგრამ, ერთხელაც, შორეულ ვარსკვლავს,
გაუღიმებენ სულის სხივები
და იმ სხივებით ნაზავ ფერებით
აფეთქდებიან ატმის კვირტები.

მზე გაზაფხულის ჩაგხედავთ გულში,
სიო მოაკმევს ყვავილთა სურნელს,
ვაზის კვირტები აკურთხებს იმედს
და დაგიამებთ ნაზამთრალ სულებს.

ჯუბა ღეგელი

ყველა დუელი

აღარაფერი მეუცხოვება,
ათას ჭირსა და სიკვდილგამოვლილს,
ჩემს დარდიან და დაღლილ ცხოვრებას,
ბოლო ყანწივით ვეღარ გამოვცლი!..

ვერც გაზაფხულის მინდვრებს მოვცელავ,
ვეღარც ზაფხულის ზვრებს და სათიბებს,
ვეღარც შენ გნახავ, იმ ქალს, რომელსაც,
გეტრფოდი, თითქმის გაგითავისე!..

გველეშაპივით მთებზე გაწვება,
ჩემი მამულის სევდა-ღრუბელი,
აღარ იქნება სულის წამება,
ვეღარც ერთმანეთს დავუბრუნდებით!..

შენც დაძველდები მამის სახლ-კარო,
ჩამოეღლებათ ფრთები არწივებს,
ვერ ჩამოირეცხს ცოდვებს სამყარო,
როგორც არ უნდა ძლიერ გაწვიმდეს!..

მე კი იმ წვიმის აღარც წვეთი ვარ,
თუმცა კლდესავით გავხდი ამტანი,
სულ სიყვარულზე გწერდი, წერილს თან,
ათას კოცნას და სითბოს ვატანდი!..

იმ წერილებზე პასუხს სულ ველი,
თუმც გრძნობაც ჩაქრა, გულიც გაცივდა,
ვერსად ვერ ვპოვე ნავთსაყუდელი,
აღარც მიწის ვარ, აღარც ამ ცისა...

შენთან წავაგე ყველა დუელი,
წუთისოფელო, მკვლელო კაცისა!..

***

ამ ღვინოს სიმღერა ჰყვარებია,
ხანდახან ისეთი სევდიანი,
სიოს რომ გაუმარგლავ ყანებიდან,
ნისლები შეერევა ზეცისანი !..

ამ ღვინოს სამშობლოს ფერები აქვს,
ფერი ვაზისა და ფერი შინდის,
მტრედივით გადაუფრენს ფერეიდანს,
ღრუბელი – ამ მიწის და ზეცის შვილი!..

ამ ღვინით ზედაშეს დაწურავენ,
გულში უფლის სისხლად რომ იაროს,
საუბედუროდ და სამწუხაროდ,
თავზე ავი ქარი ბორიალობს!..

ღვინო მირონია საფლავების,
ცოცხლებმა იცოცხლონ ასოცწლამდე,
ყანწებს შეავსებენ, ამ ყანწებით,
ბედკრულ ჩემს სამშობლოს დალოცავენ!..

მოდის ქვევრებიდან, მარნებიდან,
ქარვა საზედაშე, საბარძიმე,
ზოგჯერ დალოცვილსაც დარდები აქვს,
მაგრამ ისე მშვიდად დაგაძინებს!..

სიზმრად მოგატარებს ამერ-იმერს,
ძველი იბერიის მთას და მდელოს,
ახლა ბურანშია, გაიღვიძებს,
ისევ გაბრწყინდება საქართველო!..

სამშობლოს ტკივილი

სულზე სიბნელის მარწუხებს ვძლიე,
ამაღამ ალბათ დავწვები გვიან,
რასაც განვიცდი და მტკივა ძლიერ,
ამას სამშობლოს ტკივილი ჰქვია!..

უჩივის ვინ თავს, ვინ წნევას, ვინ გულს,
დროს ყველაფერი წყალივით მიაქვს,
ამ ფიქრსაც, სულის კედელზე მიბმულს,
ჩემი სამშობლოს ტკივილი ჰქვია!..

ღამდება, ღვინოს მარტო ვსვამ, ვთვრები,
რა მჭირს?!. – აზრს კარგავს ამგვარი კითხვა,
ნიშანდობლივად არც არაფერი,
სხვა არაფერი – სამშობლო მტკივა!..

აგურისფერი ქალაქი

აგურისფერი ქალაქია ჩემი ქალაქი,
ყველა ქუჩა და მოსაცდელი სევდის ფერია,
სევდიანია დახლიდარი, საძმო ამქართა,
აღარ ცეკვავენ კინტოები, აღარც მღერიან!..

აგურისფერი არის ახლა ჩემი განწყობაც,
თიხა-ალიზში შეზელილი სული მწუხარებს,
ალიგიერის "ღვთაებრივი" მიდევს საწოლთან,
დღევანდელი დღის ქარებს ვატან დარდებს
წუხანდელს!..

"კომედიაა" შემოქმედის მრუმე ცხოვრება,
ჩემს უნებურად მახსენდება დენდი ბოკაჩო,
გათენებამდე ვბაასობდი პეტრე ოცხელთან,
ლამის ორივე ფიროსმანზე დარდმა მოგვახრჩო!..

ასე გზადაგზა ვიხსენებდით ტატოს, ტერენტის,
ვანო მაჩაბელს, ტიციანს და "ტანო, ტატანოს",
ვერ გადაურჩა სიყვარულის ღალატს ვერცერთი,
მეც ჩემი წილი სევდა უნდა გულით ვატარო!..

აგურისფერი არის ახლა ჩემი განწყობა,
დღევანდელი დღის ქარებს ვატან დარდებს
წუხანდელს,
ალიგიერის "ღვთაებრივი" მიდევს საწოლთან
და ჯოჯოხეთის კიბეებზე ვდგავარ მწუხარე!..

ვინ იცის, იქნებ სწორედ ისა ხარ!..

ვინ იცის, იქნებ სწორედ ისა ხარ,
მთელი ცხოვრება ვისაც დავეძებ,
ვისაც ვავედრებ ღმერთს და იახსარს,
ვისაც ვუძღვნიდი დღემდე ამ ლექსებს,
ვის სიყვარულსაც გულში ვიმარხავ,
დღემდე ვერაფრით გამოვაძევე!..

ვინ იცის, იქნებ სწორედ ისა ხარ,
მზეზე რომ თბება იასამანი,
ბევრი ლამაზი ქალი მინახავს,
მაგრამ შენებრი არსად არავინ,
რაღა დავმალო, მე შენ მიყვარხარ,
შენა ხარ ჩემი გზაც და სამანიც!...

ვინ იცის, იქნებ სწორედ ისა ხარ,
ვის გამოც მიყვარს მთელი სამყარო,
შენზე ფიქრები, როგორც ხვიარა,
ყელზე მეხვევა, ლამის დამახრჩოს,
მიყვარხარ, ისე ძლიერ მიყვარხარ,
როგორც არავინ არსად არასდროს!..

საით მიდიან?!.

დღეს მერამდენედ ვთქვი და დავწერე -
"ვწუხ!"
"ვიზიარებ!"
"ღმერთმა აცხონოს",
გაყინულ სხეულს ვუთბობ სარეცელს
და ვეღარ ვხვდები ვინ ვარ, სად ვცხოვრობ?!.
დღეს მერამდენე სიტყვა წარმოვთქვი -
"იყოს ნათელში!",
"ხსოვნა მარადი!",
დაგმანულია კარი სამოთხის,
სისხლი და ცრემლი გულში ღვარად მდის!..
გაშინაურდა ისე სიკვდილი,
თითქოსდა ჩემი სახლიკაცია,
მზედაბნეული ქარებს მივკივი
და ტანზე ნისლის ჩოხა მაცვია!..
ცუდი დღე უდგათ მესაფლავეებს,
მკვდართა, ცოცხალთა გვამი დახვავდა,
ცხედრებს ზეწრებად მზეზე გაჰფენენ
და მზე იქცევა იმათ საფლავად!..
საით მიდიან ნეტავ შვილები,
ანდა მშობლები ვისთან მიდიან?!.
დგანან ხეები ქარში შიშვლები
და ხმელ ტოტებზე ცრემლი ჰკიდიათ!..
დღეს მერამდენედ ვთქვი და დავწერე -
"ვწუხ!"
"ვიზიარებ!"
"უნდა დაგვტოვოს",
რამდენს გაუთბობ მიწის სარეცელს,
სიკვდილო, კიდევ, ჩემო ბატონო?!.

არადა, მინდოდა მენახე!..

არადა, მინდოდა მენახე,
ცრემლიან თვალებზე მეკოცნა,
ეგ ყელი, ეგ ბაგე, ეგ სახე,
ჩემს გულზე შეზრდილი ლენცოფა...
ხან მწამლავს, ხან ტკივილს მიამებს,
არ ვიცი რა უნდა, რას მერჩის,
დავდივარ, თავს გიხრი მიწამდე,
უფლისგან შენ ჩემთვის გაჩენილს...
გზასავალს შორიდან გავყურებ,
სადა ხარ, ასეთი ვინა ხარ?!.
კოცნისას რომ მოგძვრა საყურე,
როგორც განძს უბეში ვინახავ!..
ვინ საით წაუვა ტიალ ბედს,
დამჩემდა სულ შენი ლოდინი,
ტრიალებს ისარი, ტრიალებს,
დრო მიდის, დრო მიდის, დრო მიდის!..



გერონტი მესხი

მიფრთხილდი

აურას ავსებს რითმების ბუღი
და წამწამებზეც ლექსები სხედან.
ლექსის გარეშე სიცოცხლე თუ ღირს,
ტკბილს რომ ღუღუნებს, მოჰკითხეთ ქედანს.
ლექსში ცოცხლდება სახლი ალიზის…
ბაფთა... კისკისი ლაღი და მწველი…
ჭაბუკ პოეტში სამი ქალი ზის,
უფრო მეტი კი თავის რიგს ელის...
თავად არ ფანტავს ატამი რტოებს,
თავისით მხოლოდ რითმები სცვიცვა.
როდესაც მუზა მცირე ხნით მტოვებს,
ულექსოდ მაშინ მზის გულზეც მცივა.
შესაწვდომს წვდება მიმწვდომი თავისს,
მეტის მდომს მყარიც ერყევა ტახტი.
ვიდრე „ცამეტჯერ მოვიკალ თავი“,
შენც, ადექი და, ოცი წლის გახდი...
რაღა დროს ცდაა... შენც შენს რიგს ელი,
როგორც მტევანი– დანას ალესილს.
მიფრთხილდი, თორემ, როგორც დათვს-ბელი,
შემომაკვდები შუა ალერსში.

1991 წ.

მაჩაბლის ცის წვიმები

როგორი თბილი და
როგორი კამკამა...
წვეთები...
წვეთები...
მორცხვობენ ურცხვები...
თითქოსდა დედის თვალს
ხამხამა წამწამმა
მოსწყვიტა რიდით და
ადინა კურცხლები...
ზეცაში ქინკები მოსავალს წურავენ,
საწნახელს გრუხუნით
ათრევენ
განდაგან...
ცხინვალის წვიმაზე
ნუ იტყვის ნურავინ,
თითქოსდა ცივია...
ან, რაღაც, ამდაგვარს...
სამშობლოს წვიმა ხომ
დედის ცრემლს ანაცვლებს,
ცრემლს,
რომლის ბადალიც არ ახსოვს სამყაროს.
ქართველი დედები
არც დარდში ჰგვანან სხვებს:
მათ ცრემლებს ძალი აქვთ,
სატკივარს გაგყარონ.
რაც დღემდე დედებმა
ცრემლები
დაღვარეს,
ციდან თუ გადმოსკდა,
ზღვად იდენს ნიადაგ.
სატანა,
შემცდარი,
ტყუილად ხარხარებს,
ცრემლს,
სიხარულისას,
ვუმზადებთ ნიადაგს.
სიხარულს, მის წილად,
დედაც ცრემლს უნახავს,
თვალებზე გადამსკდარს
კვირტებად ტყემლების.
სახეგაბადრული
კარგა ხნის უნახავს
ჩაგკოცნის სიცილით
და...
თბილი ცრემლებით...
წვიმს...
დედის ცრემლებიც შხაპუნად გვეწვევა,
მოგვნუსხავს,
დაგვილბობს
გულს, ცრემლით დადაგულს...
სხეული ლიახვთან,
წვიმისკენ მეწევა,
რომ დავდნე,
შევერთო
მის ერთ-ერთ ნაკადულს...

2015 წ.

მედროვეს

შენისთანებზე ნურავინ თქვას: თითზე დავითვლი!...
არც ისე ცოტა გვყოლებიხართ, ჩვენ რომ გვგონია.
ეწირებოდნენ, თურმე შენთვის ცოტნე, დავითნი,
შენ კი სქელ ღიპზე იმშრალებდი თითებს ქონიანს.
ხვეჭავდი "მწვანეს", გაჰკიოდი სიტყვებს მგზნებარეს:
"მე აქ ვიდგები,სადაც ვიდექ და ახლაც აქ ვარ!"
მერე ეროვნულ მოძრაობას გამოეპარე
ბუნკერიდან და, ახლა ვითომ, ცხინვალში წახვალ?
შენ არ გაკლდება, რადგან ბედი შენთვის ტრიალებს–
აფხაზეთი და სამაჩაბლო, და, არც... შავშვები.
თუნდაც, ჩხოროწყუც წაუღიათ გადამთიელებს,
შენ არ ხარ შენი, ვიცი, არც ძის, ფრონტზე გამშვები.
შენი აურა აფეთქდება თვითონ შენში და
შენს გახრწნილ სხეულს გამოუტანს მძიმე განაჩენს...
შენი ძე მოგთხრის, საფლავიდან გისვრის ხევში და,
თან გადიყოლებ... ყვავ-ყორანი გეტყვით დანარჩენს...

2008წ

მიდიოდა გზაზე ქალი

რა დარდი და რა იარა,
ცეკვით აჰყვა მთა-ბარი.
თითქოს კი არ ჩაიარა,
თითქოს ისევ აქ არი.
სევრში ნადებ ეტალონის
საფერი და სადარი.
ჟამს თვალსა სჭრის... ნეტავ, დრონი
ვინც ითვალა, სად არის?
მიდის... ჩქარობს... თითქოს სცივა
და კვალში სდევს ავდარი.
მზერა მტყორცნა, გამაცივა,
როგორც ნამით – ღადარი.
მეც შევხედე... ამირიდა,
ენთო წყვილი ლამპარი.
ნარნარებდა ღვთის პირიდან
დაფრქვეული ზღაპარი.
ფუნჯით ჯერ არ დახატულა
სილამაზე ამგვარი,
ბაგე-წამწამ-თვალხატულა
ანგელოსის მაგვარი.
ჩემი სუნთქვა გახდა ხშირი,
ღრმა, უძირო, სხვაგვარი,
მისი ფეთქავს გულისპირი
მკერდსავსე და მაგარი.
ვნებას ისვრის ყოველ მხარეს,
როგორც სხივებს – რადარი.
ტონუსსა სძენს არე-მარეს,
ვით მწირ ჩირგვებს – ქადარი.
ახლა მივხვდი, ყველა ნაკვთი
მომხიბვლელი რად არი.
ქალი, როგორც ასტრონავტი,
ხან აქ, ხან კი ცად არი.
ქალზე დიდი საოცრება
არც შობილა, არც არი.
ქალი არის გაოცება,
ქალი არის, რაც არი.
სიყვარულში – ღმერთი არის,
რწმენაში კი – ტაძარი.
ეს ხომ ერთადერთი არის,
ვინც მე დამცა თავზარი.
ქუდს ყავარზე მაშინ გავდებ,
ქმარი თუ ჰყავს ჯანჯალი,
თუ არა და, ნაძლევს დავდებ,
ცოლს წარვტაცებ ხანჯალით.

1994 წ.

თემურ გოგსაძე

მოგზაური

მარადიული ვარ მოგზაური –
სხვა დროში ყოფნა, მრავალჯერ ვიგრძენ...
დადგენილია ღვთის საზღაური,
სიკვდილი, სულ სხვა დატვირთვას იძენს!..
ღვთისმორჩილება ძლივს დავიმკვიდრე,
სულმა და გონმა – ხიფათი იგრძნეს!...
ცოდვა და ჭმუნვა, არის სიმდიდრე,
სამყაროსეულს ვაგროვებ, სიბრძნეს!!!
სიყვარულია, რაც მაბადია,
ყვავილებივით, ვარიგებ სითბოს...
ყველა ღვთისაგან დანაბადია,
ბოროტისაგან გამოხსნას, ითხოვს!!!
დავალ და დღემდე – ნათქვამს და საქმეს,
თავისუფლების სასწორზე ვწონი!..
უსაზღვროების ხატი მაქვს, აქ, მე –
სვეტიცხოველი თუ პეტრიწონი*!!!
წუთისოფლის ხმა, როცა მიწყდება,
სამსჯავროს კართან, მცირედ ვისვენებთ?!
ბევრი რამ მართლაც დაგვავიწყდება,
თუმცა სიყვარულს, ყველგან ვიხსენებთ!!!
ღვთაებრივ არსში – გადაწყვეტილი,
მიიღო უცებ – მართლაც რთულია!..
თვითონვე არის ათვლის წერტილი,
რაც, ჩვენი აზრით, დასასრულია!!!
და ამიტომაც, რწმენით სულს ვივსებ,
აღარ ვსვამ, კითხვებს – ვინა ვარ? – რა ვარ?
მომიწევს რიგი და მოვალ ისევ –
მარადისობის ფერხულში ვდგავარ!!!

* პეტრიწონი – ქართული მართმადიდებლური ტაძარი ბულგარეთში.

არსობრიობა

ცა გადმომაყრის ვარდის თეთრ ფურცლებს...
მარადისობის ვძერწავ სტრიქონებს!..
თქვენ ამ წამს,
როცა ჩემს ფიქრებს უსმენთ,
სხვა დროში, ვიცი, ვიღაც მიგონებს!..
ვიღაც ისე ვთქვი, რაც მთავარია,
სიყვარულია მისი სახელი!..
დროები ყველგან ერთად არიან,
ხშირად ვარ ამის,
შემგრძნე, მნახველი!..
ეს კოსმიური გადაწვდომაა –
მიაქვს სუნთქვა თუ ჩემი სისხლია...
განა ბოდვა ან გადაცდომაა,
რაც არ ვიცით
და ვერ აგვიხსნია!!!
ყოველ ჩვენგანს ხომ იესო ქრისტე
ჯვარს გაგვიკრავს და ჩამოგვიხსნია(?!)
საუკუნოვან ცოდვის გვირისტებს,
სიყვარულისთვის თუ აგვიხსნიან!..
მცნებათა დაცვას – ცოდვათა კლიტეს,
შეგვაგონებენ, ასგზის გვიხსნიან...
ღმერთს და სატანას
ერთად რად ვიტევთ –
ვცდილობთ და მაინც ვერ აგვიხსნია?!
სამყაროს მკერდზე
ვჩნდებით-ვიცვლებით...
მონანიებულთ – სასჯელს გვიხსნიან..
თუ სიყვარულში გარდავიცვლებით
მარადისობის კარებს გვიხსნიან!!!

1998 წ.

სიყვარულის მარადისობა

და იქმნა არსი! –
მამა-უფლის ღვთაებრივ გონით!..
ჭეშმარიტება სამყაროში ასე იშობა!..
აწცა, ვერასდროს
გადაწონის ეშმა-დემონი,
რამეთუ ავსებს –
სიყვარულის მარადისობა!!!
და სული ჩვენი,
სულიწმინდის ხდება ზიარი,
ოდეს შიშს ბადებს, მხოლოდ, უფლის
უკმარისობა!..
ვისშიც და რაშიც,
ეს კრძალვა და ესე მზე არი,
კარიბჭეს უხსნის –
სიყვარულის მარადისობა!..
უნდა დავბრუნდეთ!
ერთმანეთში ვიპოვოთ სული,
თუ მართლა გვინდა კაცთა მოდგმას, ისევ
ღვთისობა!!!
რადგან ჩვენცა ვართ –
დასაწყისი და დასასრული...
და აღთქმული გვაქვს –
სიყვარულის მარადისობა!!!
აჰა, გიპოვე...
ეს სილურჯე სრულიად მავსებს...
და ჩვენშიც, ახლა,
პირველქმნილი გრძნობა იშობა!..
სრულყოფილებას დრო
ვერასდროს გადააფასებს
და შეგვიერთებს –
სიყვარულის მარადისობა.

გერმანე საზანოელი

****

სამყაროს კაროვ გულის ყვირილი
ბოლო სახლისკენ მიიკლაკნება,
ვერ მოვიფხიზლე მამლის ყივილით
თუმც უძილობა მიმდის ამკლებად.
თან თუ სტრიქონით დალალს დაგვარცხნი
არ გამაგონო, ვერ იპრანჭება,
და ვერც სიმუნჯე გეტყვის დამარცხდი,
ვარსკვლავებს გადრი შველისკანჭება...
დღეს მარტოსულმა,
მაგრამ მე კი რა ?
არც კი ვიცოდი, როგორ მცხელოდი,
ცრემლმაც დამტოვა ან რად მეტირა,
ვიდექ და ოი როგორ გელოდი.
ღრუბელთა სტვენაც ორჯერ ბურანში
ჭრიჭინას ფიქრში აისახება,
ზოგჯერ კიში და ზოგჯერ უარშიც
ვერრა გამიგეს დაისს სახლებმაც.
ბევრი მიწოდებს აქ დარის მგოსანს,
მაგრამ ვმკითხავობ სად და რით მოვრჩე,
გონების სარკვევ ჭაღარით მმოსავ,
ჩემს თავს ვადარებ დღეს შენს სინორჩეს!

***

ქობულეთში სანაპიროზე

გრილი ქარი და ღრუბლები
ზღვასთან ერთად ერთობოდა,
ზეცასაც კი მზის სხივები
მიწისთვის არ ეთმობოდა.
უბრალო დღეს დღეს დიდებულს
ამაყი დღე, მესრის სჯობდა,
გოგოს წიგნი მუხლზე ედო,
მაგრამ მაინც მესიჯობდა.

***

სატრფიალო

- გოგონიავ მუხლის ზემოთ,
კაბაც გცეკცავს მაცდური,
ო, როგორ გსურს ჩემი კოცნა,
თვალებად გაქვს დასტური.
და სურვილთა მწველი კონა
მაღლა ადის, იალაღს,
ურჩმა ქარმა კაბა რაა
ცქერაც აგიფრიალა.
ვწითლდებით და კოჭებამდე
ვერეკებით სანაჭრეს,
ღიმილებს კი სანავარდოდ
ვინ უშვებს რო, დამაჭრდეს.
მთის ქარივით გვსაყვედურობს,
ბუჩქთა ჭორიც, ვიცოდეთ,
შენ კი მბარდნი თოვლივით
თან წარმტაცად მიოცებ!

***

უკვე მეეცხრეს ვიხილავთ ტალღას
და ჟრიამულით გაბედავს მიწაც
მოიხმოს ისევ
ფრთად ზეცის დაღლა,
რომელიც წეღან გორაკზე მიწვა.
გულს დაუამებს თვალთა ღიმილი
კი რამდენიმე, ათეულ ხმათა,
ვინ იცის მათში ერიოს იქნებ
რაღაც სიუხვე, სიახლის ხსნათა!

***

ო, რამდენი კრთის სიკეთით,
რამდენი კი სიავით,
ღმერთმა უწყის
ვისთან რად ჰქრის,
აზროვნების ნიავი.
სწორედ უფალს არ ეშლება
რამდენი აქვს ნავს ლექი,
ზოგი თუ ლაღ მზეზე ბრაზობს,
ზოგს რომ ტანჯავს ნალექი.
მე მოვდივარ, არ მაწუხებს
არც ერთი, არც მეორე,
უფლის დიდი გაკვეთილი
ისე გავიმეორე!
****

****

ისე თავხედობს აგვისტოს ხვატი,
რომ მზის სხივსაც კი ეძებს გრილოში,
სამლოცველოსთან ფოთლების ხატით
შრიალს აგზავნის საინგილოში.
დღეებიც თითქოს ქალიშვილობენ
მკერდმოღეღილი მინდვრისფერ კაბით,
ზღვარგადასული ქნარით ცილობენ,
რომ გაეპრანჭონ სამყაროს ნაბვით.
ჭრიჭინობელას ღიღინის გონზე
ცეკვას აძალებს ნიავი ჰაერს,
უცებ ორივე მოთენთვის ფონზე
ეკონებიან ოხშივრის ნაერთს.
ისე თავხედობს აგვისტოს ხვატი,
რომ მზის სხივსაც კი ეძებს გრილოში,
სამლოცველოსთან ფოთლების ხატით
შრიალს აგზავნის საინგილოში!

***

ისე დავდივარ ჰაერთან ერთად
ქროლვაც ვერ მიწვევს საამხანაგოდ,
ვერ გამოვდექი ვერც ბარად, ვერც მთად,
არც მტრად ვარგივარ და ვერც ვამაგობ.
მივყვები როგორც ბუმბულის სახე,
თან მწუხრი მდაგავს საყოველთაო,
უსამართლობის მეც მხვდება სახრე,
რადგან სიცივე აქ ყოველს თავობს.

***

სამწუხაროა
სადიადე ნიჭს ფოთლად მოფენილს
ქარი ჰგვის ლექსით, ,,.არც მე მისმენენ",
უდაბნოს ხედვით შფოთავს სოფელი
და ვწუხვარ ჩრდილიც ხის ქვეშ ისვენებს.
მიწის წიაღში ცრემლიც გამქრალა,
ღრუბლისა კი არც შეტოკდა ნერვი,
სითბოს საწყისად დგანან ამქარად,
სითბოს რას ვჩივი, ერთობა ნგრევით.
ირგვლივ რა ვიცი წახდა ვარსკვლავიც,
ფესვი გაიდგა შფოთის ბინელმა,
აღარც გლეხი სჩანს, ალბათ არც კავი
და გულის პულსიც თოფით მინელდა.
ცხელა სამშობლოს და ისიც შფოთავს.
მიიცისკარა, ვეღარ ვცნობ დეევგმირს,
ორ მოპაექრეს ორ უგნურს, ორ თავს,
უნამუსობით აევსოთ დერგი.
როგორც არ უნდა გართულდეს საქმე
დღეს პერიოდი დამდგარა ნერგვის,
დიდი იმედით გიცქერით აქ მე
ვით ავდრის მოსვლას ზაფხულის ნერგი.

აზა შანავა

პოეტი

ვკითხულობ ლექსებს და მესმის,
მე, პოეტების გულის ტკივილი.
როგორ აწუხებთ, აფორიაქებთ,
ამქვეყნიურ დარდთან ჭიდილი.

მაგრამ ერთია აქ, მთავარი,
პოეტის ტკივილს ყველა ვერ იგებს.
მის ნათქვამ სიტყვას განსჯიან ისე,
რომ მას გადახდა მხოლოდ ყოველი.

თავს კი – იცნობენ იმ სტრიქონებში,
მაგრამ მალავენ საკუთარ დარდებს.
ყველას ნიღაბი მრავალნაირი,
სულ ფენა – ფენა ადევს სახეზე.

პოეტს არა აქვს მხოლოდ ნიღაბი,
ყველას სატკივარს გულით ატარებს
და როცა მუზა ეწვევა საწყალს,
რითმების ტბაში ახრჩობს სადარდელს.

სიცოცხლე პოეტს ერთი რას ჰყოფნის,
მას სად სცალია, ამქვეყნიური ცხოვრებით დატკბეს.
პოეტს ოჯახში პურით ელიან,
მაგრამ ის ხშირად მშივრად ათენებს.

ბრაზმორეული კალამს მოისვრის...
ეხ, ჩემო თავო, – ამით რა გარგე?!...
ხშირად ქილიკის ღირსიც გამხდარა,
,,პოეტი – ხარო!" დაცინვით უთხრეს.

ნეტავ, ვინ იგებს, რა ბოღმა ახრჩობს,
როცა ღამეებს თეთრად ათენებს.
როცა სულს ტკივა და ვერ ერევა –
დაჭაობებულ ცხოვრების დამბებს.

თავის მისიას ის ვერ ღალატობს,
მას ბოლოს მაინც ერთი გზა რჩება,
ხელში აიღოს საწერკალამი
და მიენდოს არსთა გამრიგეს.

* * *

მოხატულო მთა – ბარო,
ამერით და იმერით.
ჩემო თვალისჩინო და
სანუკვარო სულისა.
მთები კავკასიონის
თავზე გადგას ამაყად
და მდინარე ენგური
ბარად მოექანება.
მთის არტახებს ჩვეული,
დაბლობს მკლავებს ასვენებს
და სიზმრები ღამისა,
მთის მწვერვალებს აგონებს.
მეც შვილი ვარ ამ მიწის,
შეხიზნული სხვა მხარეს.
როგორც თვალებს მოვხუჭავ
და ძილი შემიტყუებს...
მეც სიზმრები უმალვე
შურუბუმს მომატარებს.
რაც არ უნდა ვაკეთო,
სადაც უნდა წავიდე...
სიყვარული თან დამაქვს,
სათანჯო და ურთისა
და სიმღერა გულს ატკბობს,
ვით ნამღერი დედისა.
მთვარე თავს დაფოფინებს
წინაპართა საძვალეს.
რაც დრო მიდის მტკივდები,
ვერაფრით დაგივიწყებ!
უფალს ერთს ვთხოვ, შემინდოს!
სხვაგან ყოფნა რომ მიწევს.
სიკვდილი თუ მეწვევა,
ნუ იქნება სხვის ცის ქვეშ...
მხოლოდ შენთან მამულო,
თუნდაც მიცვალებული...
შენს წიაღში ვიხარებ!

სად დავკარგეთ...

ბავშვობაში დაგვრჩენია ანგელოზის ფრთები,
მზერაც წარსულს შერჩენია გულუბრყვილო, ალალი და თბილი.
ნეტავ, რატომ იცვლებიან ეს გრძნობები, ვფიქრობ და ვერ ვხვდები!
რატომ ვხდებით დიდობაში შეპყრობილი უტიფრობის სენით?
სად გვიქრება გულწრფელობა, ღიმილები მიამიტი, წრფელი;
შურისა და ბოღმის გამო სად ინთება და ღვივდება ცეცხლი?!
სად მთავრდება ის ზღაპრები, სიკეთე რომ იმარჯვებდა მუდამ...
სად იწყება არეული, საცალფეხო, რუხი ფერის გზები?!
მაცოდინა ნეტავ ერთი?
ვინ შეგვასვა დაბანგული შხამით სავსე თასი...
რად ვიქმენით ყველა ერთად ჯოჯოხეთის დასაპყრობი მსხვერპლი!
ალბათ, მიტომ, რომ ბავშვობას შევატოვეთ ანგელოზის ფრთები
და თვალთაგან რომ გაგვექცა, ის ბავშვური მოციმციმე სხივი.
რაც დრო გადის, სულს ვამძიმებთ,
უამრავი – ათასგვარი ცოდვით...
მერე გვინდა, რომ გვწყალობდეს, გვპატიობდეს ღმერთი.
მერე ვეძებთ, რომ სიმშვიდე ვპოვოთ ყველგან: სახლში, გარეთ, გულში...
მერე... მერე გვიმძიმს რომ ვატაროთ
ეს დაღლილი, დაქანცული სული.
მერე...ვფიქრობთ რატომ გავხდით ასეთები:
სად დავკარგეთ, გზები,
ანდა რატომ?! – ვერ ვიპოვეთ დაკარგული, ის მსუბუქი ფრთები.

ჰორიზონტი

მე, ამ წუთას ვუმზერ, გედებივით თეთრ ქათქათა ღრუბლებს,
დაცურავენ ცაზე როგორ.

საოცარი ილუზია მიპყრობს, გამჭვირვალე ფარდებია დაშვებული
ციდან და ნიავი უხილავი, მიალერსებს ყურთან, თითქოს.

ხის კენძეროს ანანავებს, ღრუბლებს ფანტავს ნება – ნება
და მხატვარი უჩინარი, ხატავს... ხატავს უსასრულოდ ცაზე, – ათას სცენას...

იშლებიან ფიგურები წარამარა,
ვერც კი ასწრებ რომ ააწყო აზრიანი რამე თემა...

და ცხოვრებას მოგვაგონებს თითქოს მათი ქაოსი და არეული აღმაფრენა...

უცნაური კადრებია, გინდა ხელი რომ შეავლო...
მაგრამ კადრებს არ აჩერებს... შლის ნიავი ონავარი და თავნება.

ისევ ზეცას შევფოფინებ... სული მზეობს, – უფლის ნებად.
მაინც მიუწვდომელია... ზეცად ღრუბლის მოხელთება.

და ისევე გულდაწყვეტით ძირს ვეშვები...
ვუბრუნდები რეალობას, დედა-მიწას!

* * *

გვირილების ბაღში სძინავს ლამაზ სიზმრებს...
დაფარფატებს იქვე, ჭრელ პეპელთა გუნდი.
მზე, სხივებით ქარგავს ლამაზ ათინათებს
და ბადეში აქსოვს ზღაპრულ არე-მარეს.
სალამურზე უფრო, სტვენს, ბულბული ტკბილად, –
ალიონზე მღერა მოჟღურტულე ფრთოსნის,
არხევს ნაზად გვირილების ყლორტებს.
იქვე ბაღში წყარო, მოწანწკარებს ჩუმად
და მუზებს კი – ზეცად აუმღერდათ ჩანგი.
ნაკადული ანცი მოხტუნავე ქვებზე,
უერთდება თითქოს მონარნარე ნიავს...
მზის სხივები არეკლილი იმ ტალღების ჩქერში,
ცისარტყელად დადგომია საგვირილეთს თავზე!

გთხოვ უფალო

კრთის სანთელი
კანდელში,
რომ იცოდე უფალო,
რამდენი მაქვს სათქმელი.
ღმერთო გულში ვერ ვიტევ და ხატებთან ვლოცულობ,
რომ მომმადლო სიმშვიდე და ვიპოვო საშველი.
გიხმობ, ჩუმად ლოცვებში,
ღამეა თუ დილაა...
შენ მჭირდები უფალო, ხელი მაგრად ჩამჭიდე,
მაპოვნინე საჩემო, დუნიაზე ადგილი.
,,მე, უძღები შვილი ვარ!" – ცდუნებებით დაღლილი,
თვალის მონა,
როგორც ყველა მოკვდავი.
თუმცა წლები გასულან, დამათოვა ჭაღარამ,
მაგრამ მაინც სხეულში, გოგო ხარობს პატარა...
ეს თვალები ვერ უძლებს, ამ სამყაროს ბრჭყვიალას...
ყოველ ფეხის ნაბიჯზე, შეფუთული ცბიერი მეჩვენება კეთილად.
კრთიან ვერხვის ფოთლები,
აცახცახებს სანთელსაც, ჩემი ცოდვით აღვსილი.
ვცდილობ ჯანღი გავაქრო, ნიავივით მთის წვერზე,
მაგრამ ამას რით შევძლებ, შენ თუ არ შემეწევი?!
იუდას ხე ყვავილობს, ფეთქავს წითლად არღვანი,
არც ვერხვები დამცხრალან
უცახცახებთ ფოთლები.
სანთელს ტანზე ადნება ცხელ ცრემლებად,
ჩემი გულისტკივილი...
კრთის სანთელი კანდელში,
ო, უფალო იცოდე, რამდენი მაქვს სათქმელი!

პატარა მინეს!

ცას გავყურებ და თვალები ფოფინა,
ლურჯი როგორც შავი ზღვა და სხივი როგორც მზის,
ერთ გოგონას მაგონებს და გულს მიხარებს ის.
რომ იქ, სადღაც შოორს...
ოსმალეთის მიწა – წყალზე,
პაწაწინა, საქართველოს ნორჩი გული თრთის...
გაიცანით! თვალხატულა გოგო მინე, თვალში
სხივი უკიაფებს და არც იცის,
მის მზერაში,
მომავალი საქართველო კრთიის..
ჯერ ისეთი პატარაა, ვერც კი ხვდება, მის
ძარღვებში,
წინაპართა ტკივილი და სიხარული
მარცვლად რომ ღვივის.
გაიცანით, – ეს მინეა!
– ლურჯთვალება შროშანივით, რომ ამშვენებს
დღეს ოსმალეთს იქ...
ფესვით, ჯიშით, გენი არის ქართულ
მიწა- წყლიის.
ეს გოგოა საოცრება, – უფლის ნებით
მოვლენილი:
მამით – აჭარელი, დედით – კოლხი,
სიყვარულის გვირგვინია და ნაყოფი ღვთის...
გაიზარდე, მინე გოგო!
სიხარული ყოფილიყავ ქართულ მიწა-წყლის.
იხმიანებს ხმა ქართული... გაგრძელდები ჩვენი
გენის საამაყოდ...
და სულები წინაპართა იზეიმებს იმიერში, როცა
მინევ საყვარელო, დაბრუნდები შინ!

❤ ❤ ❤

ანამარია ლილუაშვილი

მოგვიტევე

მოგვიტევე ყველაფერი მოგვიტევე ,
მადლის ფენა გადაგვისვი მალამოდ.
ცოდვა თან გვდევს , მტვერის ფიფქად გვახვევია,
ნუ დაგვაცლი გადაგვექცეს საამოდ.

მოგვიტევეთ ცოდვის შვილად დავიბადეთ,
ვცდილობთ, მაგრამ ვერ ვახერხებთ ცვლილებას,
სიცოცხლეში სიტკბოებას დავეხარბეთ,
ხელს არ ვუშვებთ ვერ ველევით დიდებას.

ლოცვა ხსნაა, ცოდნა მა რა ბედენაა?!
თუ ვერ შეძელ გულიანი წარმოთქმა.
თუ ბაგიდან ამოსროლილ ყოველ სიტყვას
არ მოჰყვება სინანულის წარმოქმნა.

განიკითხავ? სუსტს, რწმენაში განიკითხავ?
სწორედ მაშინ, წინსვლა უკან ჩამოგრჩა.
  უამრავი ცოდვის ალი, ცეცხლად გვიტევს,
ვერ ჩამოთვლი იქნებ კიდე გამოგრჩა;

შენ სიწმიდეს და სიმშვიდეს რომ იჩემებ,
როგორ გიჭირს მოთმინების გამოთვლა?!
გვაპატიე და უფალო მოგვიტევე,
და შესძელი ჩვენი სულის გამოხსნა.

ჩემს მეუღლეს
მამუკა სადოვნიკოვს

ძირს დაცემულს ფრთა შემასხი
ლაჟვარდ ზეცას მაფრინე,
ჩემს საშველად გამოჩნდი და
სიყვარულით მალხინე.
მუდამ მყავდე ჯანმრთელობით,
დღეგრძელობით აღვსილი,
ხალისით და სიხარულით
ბედნიერ წლებ ათვლილი.

საქართველო

საქართველოს ამ ერთ მუჭა
და ღვთისაგან ნაკურთხ მიწას
ათასობით ბრძოლა განვლილს
ზეციური ძალა იცავს.

სამშობლოსთვის თავდადება,
სისხლში გამჯდარ გენად გვიჩანს .
ერთგულება, სიყვარული
გვაცოცხლებს და ფონს გაგვიყვანს.

აქ ჩანჩქერი მთის გულიდან
ამოხეთქილ მძივებს კინძავს,
ან მარტვილის კანიონის
საოცრებებს ვისღა ჰკითხავ.

ქალაქს ვარძიის შესადარს
ამ მიწაზე ვერსად ნახავ.
და კრუბერის მღვიმის გულში
ზღაპარს სინამდვილედ სახავ.

მყინვარწვერის ძუძუ- მკერდი ,
ფაფუკ პერანგს მჭიდროდ იკრავს.
რძეს კი მისგან გამონადენს
მთა და ბარი სარტყლად ირტყამს.

საქართველო დედამიწის
სამოთხეა ჩემს ღმერთს ვფიცავ.
აუხსნელი მიზეზებით
არსებობს და რჯულსაც იცავს.

15/08/2022

ეს ცხოვრება გამოცდაა

ეს ცხოვრება გამოცდაა
გზა-გზა გიწევს ჩაბარება.
იბრძოლებ და ფონს რომ გახვალ,
ისიც წარსულს ჩაბარდება.

გადაიტან ყველა ტკივილს,
გაიყოლებს დარდს და ჩივილის .
დილით მზე ისევ ამოვა,
მოაყოლებს მამლის ყივილს.

წინაღობას ნურად ჩათვლი
დრო არ იცდის გაფრინდება.
რას მოგიტანს წუწუნი და
პრობლემებში ჩაძინება.

ყველაფერი წამში ქრება,
ყველაფერი წამში ჩნდება,
წლები მიდის წამებივით
წინ მიიწევს არ ჩერდება.

გამოვიარე

გამოვიარე აღელვებულ ზღვის შუაგულში,
ტალღები ნაპირს უმოწყალოდ ეხეთქებოდა.
გამოვექეცი ქარიშხალის ძლიერ მარწუხებს,
წვიმა და ქარი ძირძველ ფესვებს ეჭიდებოდა.

შემომეცალა გამოცდილი ბრძოლის ხერხები,
მერე ნაომარს სიმშვიდეც კი მეძნელებოდა.
ავყევი აღმართს უკან ხედვის შიშის გარეშე,
დაღმართის გზები გათელილი მეჩვენებოდა.

თვით ჯოჯოხეთის მიუვალი ცეცხლის ალები,
ღვთიური ძალის ძლიერებას ეტოქებიდა.
გამოვექეცი, ფერდაკარგულ დროის სიშმაგეს,
ნეტარებამდე გზის გაკვლევა მედარდებოდა.

6/08/2022

სრულყოფილება

სრულყოფილება უკვდავებაა ;
სულის სიმშვიდე, სითბოს დენაა.
წყაროს წყალია
წყურვილს აოკებს,
სიყვარულია, სიკეთის ქმნაა.

სრულყოფილება უფლის სახეა
ბედნიერება, ნეტარებაა.
წმინდა სულია ამაღლებული,
კეთილი ნების ძალისხმევაა.

ამ ყოფაში და წუთისოფელში ,
დრო და სივრცეში ძნელი რამაა.
რომ მიაღწიო და ეზიარო,
წინ ურთულესი ეკლებით გზაა.

სწრაფვა მუდმივად მიზნებისაკენ
ბრძოლის მომცველი და არა მზაა.
უკეთესს გაგხდის განუცდელ განცდით,
მარადიულთან ზიარებაა.

სრულყოფილება უკვდავებაა,
უფლის წყალობა, მადლის დენაა .
შორეული და თითქოს უწვდომი,
ხელთ არსებული,
გულის რჩევაა.

სრულყოფილება გააზრებული
სულის უბადლო ამაღლებაა.
დათმენა, ბრძოლა შეუწყვეტელი,
ყველა მაცდურზე
გამარჯვებაა.

11/07/2022

ცეცხლის ალები

მძვინვარებს ცეცხლის მწველი ალები ,
ღრუბლების ნისლებს ქმნიან კვამლები .
უკვალოდ ქრება ტყის ნაკვალები,
სახლის ნამწვავებს დასდის ღვარები.
ბრძოლის წესებს სცვლის ქარის ჟინები ,
მართავენ ცეცხლს ეს ეშმაკუნები.
აშოლტილ ხეთა მწვანე ფოთლები ,
ალს გაურბიან სცვივათ ცრემლები .
კვნესენ , გმინავენ , მშრალი ტოტები ,
სიცოცხლეს სწყვეტენ ასე ნორჩები.
ქარო შეჩერდი! ნუ გვეურჩები
შენ ცეცხლთან თამაშს როდის მორჩები .
ბრძოლის ველზე კი მიწას სდის კვამლი
თითქოს არ რჩება სიცოცხლის კვალი.

20/07/2021

სიყვარული ღვთიურია

სიყვარული ღვთიურია,
წმინდა გულით მატარი;
გამჭვირვალე მინასავით,
სუფთა სარკის მაგვარი;
სილამაზის და გარემოს,
მისებური აღქმაა;
შორეული ვარსკვლავივით,
ელვარე და კაშკაშა;
ზღვის ბობოქარ ტალღასავით,
მბორგავ, დაუდგრომელი;
მზის სხივივით მნათობი და
მწველი დაუნდობელი;
ღვინოსავით კაეშანზე,
გრძნობით დამათრობელი;
გამოცდაა ცხოვრებისგან
გონების მომხმობელი;
ვაზის მტევნის ნატურ წვენის
ბადაგია სიტკბოთი;
ცელქია და მეამატი,
ონავარა ბალღივით;
სიამეა, ნეტარება
აღუწერელ ბაგითა;
სიყვარული ღვთიურია
უხილავი მადლითა;

28/06/2022

თამარ ფირცხელავა

...და ბოლო ქუჩა...

ქუჩაში გამვლელს მოელის სახლი
ქუჩაში დამრჩენს – სახლი აკლია..
ქუჩაა ბევრის თავშესაფარი,
ბევრისთვის ქუჩა დიდი სახლია...
ბილიკი, გზა და გზაჯვარედინი...
და ცოტა მიწა...სულ ერთი მუჭა...
ენაცვლებიან მშვიდად ერთმანეთს,
ქუჩა და სახლი, სახლი და ქუჩა...
ქუჩის და სახლის ჯავრის კარვები,
დრომ გაახუნა, ქარმა დახია...
ბევრისთვის ქუჩა ვერ გახდა სახლი,
ვიღაცისათვის – მაინც სახლია...
...და ბოლო გზა და გზაჯვარედინი...
ქუჩაც და სახლიც...სულ ერთი მუჭა...
...და ბევრი მიწა... ია და ვარდი...
და ბოლო სახლი...და ბოლო ქუჩა!...

...და ბოლო ქუჩა...

ქუჩაში გამვლელს მოელის სახლი,
ქუჩაში დამრჩენს – სახლი აკლია...
ქუჩაა ბევრის თავშესაფარი,
ბევრისთვის ქუჩა დიდი სახლია...
ბილიკი, გზა და გზაჯვარედინი...
და ცოტა მიწა...სულ ერთი მუჭა...
ენაცვლებიან მშვიდად ერთმანეთს,
ქუჩა და სახლი, სახლი და ქუჩა...
ქუჩის და სახლის ჯავრის კარვები,
დრომ გაახუნა, ქარმა დახია...
ბევრისთვის ქუჩა ვერ გახდა სახლი,
ვიღაცისათვის – მაინც სახლია...
...და ბოლო გზა და გზაჯვარედინი...
ქუჩაც და სახლიც...სულ ერთი მუჭა...
...და ბევრი მიწა... ია და ვარდი...
და ბოლო სახლი...და ბოლო ქუჩა!...

მე... მზის შვილი ვარ...

ღამისგან დაღლილს გარიჟრაჟი მოწყენას მომხსნის,
და ყოველ დილით პირმცინარე ალიონს ვხვდები...
ჩემში კვლავ სახლობს მზით გამთბარი ზეცა და მიწა,
ამის პატრონს და ამის მქონეს, რად მინდა ფრთები?!.
მე მზესთან ერთად პირს ვიბან და თან ვათინათობ...
და მზესთან ერთად, ყველაფერს ვგრძნობ, ყველაფერს ვხვდები...
მე... მზის შვილი ვარ, დედამიწა ჩემ ირგვლივ ბრუნავს
და ყოველ დილა ვცოცხლდები და თან, ისევ ვკვდები,
ჩამავალი მზის ანარეკლი საბნად მახურავს,
ხან ვბრწყინავ, ხანაც, მზის ჩრდილივით, უკვალოდ ვქრები...
მზისფერ პანაშვიდს მთვარის შუქზე ღამე მიხდის და
ყველაფრით სავსეს, რაღად მინდა, რომ მქონდეს ფრთები?!.

...მე მეშინია შემთხვევითობის...

დღისით უღმერთოდ ნათქვამმა სიტყვამ,
უკვე რამდენი ღამე გამიკრთო;
მხრებზე შევიდგი თმენის კოკები,
იქნება ტკენა გადამავიწყონ.
დალოცვილ იყო სწორი გზა-შარა,
საცალფეხონი, ვაგლახ, კრულ იყო...
მობურულიყო ძირს დედამიწა
და მაღლა ზეცა მოსარკულიყო.
გზაარეული სიტყვა და ფიქრი,
გზადაწყობილად აღარ დიოდა,
ძლივს დაჭერილი ნანატრი წამი,
მიდიოდა და არ მოდიოდა...
ნაღამურ ზეცას კუპრის დალალებს,
მზით შემღვრეული დილა ვარცხნიდა,
რიჟრაჟის ხაო შენც ჩემნაირად
დაგივლიდა და ტანში გაგცრიდა...
თუ ერთხელ ჯავრით ნათქვამმა სიტყვამ,
ღამე ვერაფრით გამიკრთო რული...
დამბადებელო, რაღაც მენიშნა,
დასაწყისია, თუ - დასასრული?!.
...თუ სეფე სიტყვა, როგორც მიმინო,
ცერზე მიზის და დაგეშილია,
მე მეშინია შემთხვევითობის,
გარდუვალობის არ მეშინია...
დღისით უღმერთოდ ნათქვამმა სიტყვამ,
მინდა ურიცხვი ღამე გამიკრთოს...
მხრებზე შევიდგა თმენის სურები,
რომ შურისგება გადამავიწყოს!..

...თითქოს, მართლა იყო...

...თითქოს, გუშინ იყო,თითქოს, მართლა იყო,
მზემ რომ თვალი მკიდა,
შენთვის რა იყო და სხვისთვის რა არ იყო,
შენდა საძრახისად,
როგორ შემოგკადრა,როგორ დაგეტოლა,
როგორ გაგიბედა,
იმ ცხრათვალა მზემ და ან იმ თვალით როგორ,
როგორ შემომხედა?!.
ნეტავ არ გენახა და არ დაგენახა,
ნეტავ არ ვენახე,
იმ მზეს, ჩემდა ბედად...ვიცი, არ შეარჩენ...
და არც აპატიებ!..
ასე თუ გიყვარდი, მითხარ რატომ, ნეტავ?
ასე თუ გიყვარვარ,
ასე თუ გაშფოთებ, სიტყვას გაგიბედავ,
მაგ მზეს არ შეეხო,
გული არ ატკინო, მხოლოდ შემომხედა,
სიტყვაც არ დაუძრავს,
ერთი შემოხედვით, ცეცხლი წამიკიდა,
რა მოხდა, თუ ჩემი,
დიდი და უთქმელი, სიყვარული სჭირდა?..
მზემ ხომ მისი მზერით,
შენდა საძრახისად, მხოლოდ თვალი მკიდა?
ხოდა, გაჯობა და
ხოდა გაგეტოლა, ხოდა გაგიბედა...
თითქოს ახლა იყო,
თითქოს სიზმრად იყო, მზე რომ გამეკიდა,
კი არ მომეფერა,
კი არ მეალერსა, შენ მტრად წაგეკიდა;
...და ის ცეცხლის ალი,
შენი მტერის ალი, შენს ნაკვალევს შლიდა,
ჩემი იყო და თან,
ჩემი აღარ იყო, აღარც დამაძინა...
და რაღა დროს შენი
მზერა, შენი თვალი, მზის კვალს გაეკიდა,
არც შენ დარჩი, არც -მზე,
არც გუშინ და არც დღეს,ღრუბელს დაებინდა,
შენთვის ბრაზი იყო,
ჩემთვის ნაზი იყო, მზის ის შემოხედვა...
...იმის მერე, იმ მზის,
იმ ცეცხლიან გზიდან, შენ და ის თვალები
აღარ შემომხედავთ...
სხვაგან გავიხედავ, მეც არ შემოგხედავთ,
მართლა გაგიბედავთ...
...მზემ რომ თვალი მკიდა, შენ რომ მზერა
მკიდე,
მეც რომ გიღიმოდით,
აბა რას ფიქრობდით, აბა რას ბედავდით,
ჩემი გადამკიდე?
მზემ დაგასწრო , ამ გულს,
ცეცხლი წაუკიდა, შენ რომ სხვაგან იყავ,
შენ რომ აღარ იყავ,
მე რომ მარტო ვიყავ… ხოდა გაჯობა და
ხოდა დაგეტოლა,
ხოდა გაგიბედა…მზისთვის ალალ იყოს,
შენთვის არამ იყოს,
ჩემი გაღიმება!....

...ზოგჯერ სულ მცირე აგავსებს რწმენით...

...რა ცოტა გყოფნის, აღივსო რწმენით,
რა ცოტა კმარა, წაგერთვას სასო...
ზოგისთვის სიტყვას არა აქვს ფასი,
ზოგისთვის სიტყვა რწმენამდე ფასობს.
სულში ჩადებულ ორ საწყისიდან,
ვინ - პირველს, ვინ კი - მეორეს მონობს,
ბოროტი სჯაბნის, თუმც ბევრჯერ კეთილს,
მაინც კეთილი იმარჯვებს ბოლოს!
ძალა აღმართს ხნავს...მიეც, უფალო,
ეს ძალა კეთილს და არა - ბოროტს,
ხნულში სიკეთესის მარცვლები თესოს,
მოიმკას მადლი მხოლოდ და მხოლოდ.
...ზოგჯერ სულ მცირე აგავსებს რწმენით,
ხანდახან - ცოტა წარგიკვეთს სასოს...
ზოგისთვის სიტყვას ჩალის ფასი აქვს,
ზოგისთვის სიტყვა კაცობად ფასობს!

...არავისია, სამუდამოდ, ეს სამყოფელი...

ველით გაზაფხულს, ზაფხულს ველით, მოველით ზამთარს
და შემოდგომის მოლოდინი უფრო დიდია...
ზაფხულის მერე შემოდგომა, ხომ სიყმაწვილის,
სიჭარმაგესთან გადებული ბეწვის ხიდია!...
შემოდგომაზე გავიხსენებთ გავლილს, გასავლელს,
ავიტუზებით შეცდომილნი სამოთხის კართან,
აქ ეთხოვება სული სხეულს, როგორც სამყოფელს
სიკვდილ–სიცოცხლის ამ შეუმცდარ გზაგასაყართან...
დღეს ღამე შეცვლის, შემოდგომაც ზაფხულს გარიყავს...
თვალს მოხუჭავ და ...ვაგლახ, ღამე დღეზე დიდია...
შემოდგომაში შეაბიჯებს დღე ფერმიხდილი,
იქ, სადაც მკაცრი, გრძელი ზამთრის დასაწყისია!..
...ყველა დრო წავა, ყველაც წავა, ვინ იცის საით...
ვინ კვალს დატოვებს , ვინ ლანდს ამჩნევს მხოლოდ ალიონს...
მე არ მაშფოთებს მეწამული ზეცის შესუდრვა,
რომ წამიღოს და თეთრ თალხებში მალიტანიოს.
...ცა სინანულით გადავსებულ სასმისებს შესვამს...
შეუვსებელი აზარფეში უკვე სხვისია!..
არავისია სამუდამოდ ეს სამყოფელი,
ეს სააქაოც, სამუდამოდ, არავისია!..

ბუნიობაა...

დღე ღამეს უფრთხის, თან ბარდაბარ, ჯიუტად მისდევს...
ბუნიობაა, მეც, ჩემს თავთან, ტოლობა დავსვი,
ბნელს ნათელი ცვლის, ნათელს – ბნელი...და მაინც,ბოლოს,
არ თანაბრდება არასოდეს წონა და ფასი!
ვიღაცამ მითხრა: ყველაფერი თანაბარია...
ვერ დავეთანხმე, ვერც – უარვყავ და დღემდე მიკვირს...
ვიცი ყველა გზა ერთია ან – გაყოფილია,
ცალკ–ცალკე, მაგრამ მაინც, ბოლოს, ერთისკენ მიდის.
რაღაცნაირად, დღე ღამესთან მაინც ზავდება...
ფრედ დამთავრდება უდროობის დროსთან ჭიდილიც...
იმან იდარდოს, ვინც მოიგო და ვინც – წააგო,
ვერც სიხარული შეიგრძნო, ვერც – გულისტკივილი.
...წაგებული და მოგებული პირისპირ დგანან...
მათ შორის ვდგავარ, თან ორივეს ზურგი ვაქციე...
და მეჩვენება, თითქოს სახლობს ჩემში იესო,
რომ მეც მასავით, წყალი ღვინოდ გადავაქციე!
...ბუნიობაა, ეს ცხოვრებაც, ბუნიობაა...
წერტილის ნაცვლად, კვლავ შეცდომით ტოლობა დავსვი...
შეცდომა იყო, ხათრით ვიყავ დიდთან – პატარა,
ტოლთან – ხათრითვე უსამართლოდ დასჯილი ბავშვი.
...ფრედ არ მთავრდება ყველა ომი საკუთარ თავთან...
ვერც მთები დავძარ და ვერც – ღამე დღედ ვერ ვაქციე,
...მაინც მგონია, ხანდახან ვარ, თითქოს იესო,
რომ მეც მასავით, წყალი ღვინოდ გადავაქციე!

... მაფორიაქებს ძველებურად ეს შემოდგომა...

აღარ ეტევა გული თავის მყუდრო ბინაში;
იქნებდა მოხდეს სასწაული , საბედისწერო...
და ოცნებიდან გადმოხვიდე სინამდვილეში!..
შენ, გაზაფხული დამიბრუნე, ნაზამთრის მერე...
ისევ აყვავდნენ ჩემი ფიქრის მორცხვი იები;
სიზმარეულად მოგიტაცებ და შორს წაგიყვან,
იქ, სადაც თეთრად ბრიალებენ აკაციები...
..ფეხქვეშ გაგიფენ შემოდგომის მეწამულ ფერებს...
ფერებს, ნაფერებს შენს წყვდიადში გაგიმზიანებ,
სანამ ღრუბლებში გამიტაცებს ეს ფოთოლცვენა,
გადამარჩინე, გევედრები, ნუ იგვიანებ!...
გადამარჩინე, რომ გაჩუქო დილის რიჟრაჟი,
მოგიყვე, როგორ ვერკინები ღამის აჩრდილებს...
აღარ დაგტოვებ, გეფიცები , ჩემს უშენობას,
ოღონდაც, მოდი, ერთხელ კიდევ ,გადამარჩინე!..

...მე რომ მინატრია...

მე რომ მინატრია, შენ რომ გინატრია,
ნატვრად დაგვრჩენია...
ნატვრას დანატრულებს, მართლაც სანატრელის,
ეჭვი გაგვჩენია,
მე რომ მიფიქრია, შენ რომ გიფიქრია,
სულსაც დამჩნევია,
იმედგაცრუება?.. ჩემიცა და შენიც,
მართლაც, საწყენია,
ბრალი არ მიგვიძღვის, არცერთს, არც -შენ, არც-მე,
მოწმე გამჩენია,
მე თუ ვერ შევძელი, შენ თუ ვერ შეძელი,
ბედის სარჩევია,
ჩემი ოცნებები, შენი ოცნებები,
სახტად დაგვრჩენია,
რადგან მოლოდინი, ჩვენი მოლოდინი,
მიზანს ასცდენია...
... იმედებს ვიტოვებ... სხვამ სხვისი იდარდოს,
ძნელი სათქმელია...
მჯერა, რომ როდესმე,ოდესმე შევხვდებით,
მსგავსი რამდენია?!.
იმედი, ოცნება, ფიქრი და ნუგეში,
უბრად დამრჩენია...
სულს ეიმედები, გულს აუხდენელის
დარდი გასჩენია ...
დროსა და სივრცეში, ერთმანეთს თუ ავცდით,
თვალებს დამჩნევია!...
იმედებს გიბრუნებ...მე უკანმოხედვა,
იცი, არ მჩვევია!..

გუშინ ერთგულად მიცემდა გული

თითქოს გულსგარეთ ცემს ჩემი გული...
მოწურულია გული მტევნებად...
მერე რაღაცით დაღლილი გული,
დაღლილ ძაღლივით ამედევნება;
არ ვიცი, რაზედ გამწყრალა გული,
რატომ კრთის, რატომ აღარ კიაფობს...
და გულისცემით დაღლილი გული
ჩემ მკერდში დადის, დაბორიალობს...
გუშინ ერთგულად მიცემდა გული,
დღეს, დრტვინავს, ჩემგან წასვლით მაშინებს,
თუ ნაწყენი ხარ, მოგეკალ გუშინ,
გულო, ოღონდ დღეს გადამარჩინე!..
თუ შუბლის ძარღვი არ გაგწყვეტია...
ტკივილით არა, ხარხარით მამცნე,
ერთხელ ხომ უნდა მიგიღო სრულად,
მიგიღო, მაგრამ ბოლომდე გაგცე!..
...გული ბოლთას სცემს, გული ხმაურობს...
დაღლილ მაჯაზე პულსს არ დავითვლი...
გულო, ციმციმს და ყველა გულის რეჩხს,
მიუტევებელ ცოდვად ჩაგითვლი.
ბოლომდე ჩემი ერთგული დარჩი!..
და ერთად აღვდგეთ მკვდრეთით იებად,
ერთად–ერთი ხარ, ვისაც ღალატის
გულში გავლაც არ ეპატიება.
გუშინ თვით გულმა მომიკლა გული...
და დღეს, უგულოდ ყოფნა მაშინებს!..
გულს არ გავიტეხ, გულო, ოღონდაც,
არ მომკლა, ისე გადამარჩინე!
ხან ერთგული ხარ, ხან – მოღალატე!...
ხან მოკლული ვარ, ხან – ვარ ცოცხალი...
მე ვერ გიბრძანებ, გულო, გულით გთხოვ,
გულს ნუ მომიკლავ, თვითონ მომკალი!



ენვერ ნიჟარაძე

26 მაისს 1990 წელს

გადავუქროლეთ სამშობლოს მინდვრებს
სამშობლოს ტყეებს, სამშობლოს ჭალებს,
შეღერებული მაისი მწვანედ
ეფერებოდა გახელილ თვალებს.
გადავუქროლეთ მშობლიურ ბორცვებს,
შორით ბრწყინავდნენ კავკასის მთები
და მათრახივით შხიოდა ელვა
დიდგორის ველზე დარჭობილ ხმლების.

* * *

ქვეყანა ელის სიტყვას მწერლისას
დიახ, მართლაც რომ მოგვისწრო სულზე ---
ახალ გრიგალის ქროლვა გვეღირსა.
ქვეყანა, მდგარი გარდაქმნის ზღურბლზე,
ელის პირუთვნელ სიტყვას მწერლისას!
დრო პატიოსან ფიქრებს გვკარნახობს,
დუმილის ყინვა დნება მტანჯველი,
განა ცოტაა სალაპარაკო,
სადარდებელი და განსასჯელი!
ქვეყნის სატკივარს თუ არ მივხედეთ,
ვის უნდა ჩვენი ენამზეობა,
როდესაც რაღაც უჭირს სიკეთეს,
როდესაც რაღაც უჭირს ზნეობას.
როდესაც ზოგჯერ ჩვენი შვილები
ეძალებიან ბანგს და საწამლავს,
და ჩვენი დარდით და შეჭირვებით
გალაღებული ხარობს სატანა;
როცა კაჭკაჭი ჩაგრავს იადონს
გალობით (ამბავს ვამბობ არახალს),
და კაცი, ორ ბატს რომ ვერ მიანდობ,
ყოგჯერ სკამიდან გვიმზერს ამაყად;
როცა მოყვასი მოყვასს აბეზღებს,
ან კიდევ ღვიძლი ძმა ძმას არ ინდობს,
და უცოდველის ნიღბით სახეზე
ზნედაცემული ვინმე რაინდობს.
ზოგი თამაშობს ვაჟას მინდიას,
თუმც უნდა ყველა ყლორტი გათელოს,
გულის სიღრმეში ფეხზე ჰკიდია,
სინდის-ნამუსიც და საქართველოც.
გროშად არ უღირს შთამომავალი
(შეგრცხვება კიდეც ამის გამხელის),
ჩვენი წარსული და მომავალი
და შეურყვნელი ერის სახელი.
კი, ბევრი ვგალობთ, როგორც ბულბული
და უფრო მეტი, როგორც ტოროლა,
ვაგლახ, მამულზე ფიქრით სულდგმულობს
და იწვის მხოლოდ თითო-ოროლა.
მაშინ, როდესაც მძიმე უღელი
გასაწევია და გასატანი,
ხშირად ერთურთის ხანჯვლას ვუნდებით
და გვერდზე გვრჩება სოფლის ჭაპანი.
კაი, ბატონო ძვირად ფასობდეს
ტკბილი ცხოვრება და იდილია,
მაგრამ ისიც ხომ უნდა გვახსოვდეს,
რომ მთაწმინდიდან დაგვმზერს ილია.
დღეს მამულს ბევრი სხვაც ყავს პატრონი,
ღამისმთევარი მშობელ ერისთვის,
მადლობა ღმერთს, რომ არ ვართ მარტონი,
მაგრამ ჩვენს სათქმელს სხვა ხომ ვერ იტყვის.
რა ბედენაა, ბოლოს და ბოლოს,
ვინ პირველია და ვინ მეშვიდე ---
თუ პოეტი ხარ შეაკვდი ბოროტს,
არ ჩაიმუხლო და არ შეშინდე.
დიახ, მართლაც რომ მოგვისწრო სულზე /
ახალ გრიგალის ქროლვა გვეღირსა,
ქვეყანა, მდგარი გარდაქმნის ზღურბლზე,
ელის პირუთვნელ სიტყვას მწერლისას!

დედა ქართლისა მოთქვამს საბრალოდ

ვაბრალებთ მონღოლს,
ვაბრალებთ ხაზარს,
ვაბრალებთ თურქეთს,
ვაბრალებთ ირანს.
ვაბრალებთ ჩეჩენს,
ვაბრალებთ კაზაკს,
ვაბრალებთ რუსეთს
შარაგზის ფირალს.
ვაბრალებთ მრუდე
განგების ისარს,
რომ გაგვიხლიჩა
ცა, უნაპრალო,
დაქცევას ჩვენსას
ვაბრალებთ ვის არ
ოღონდაც ჩვენ თავს
არ დავაბრალოთ,
ნაძრახი ვერცხლით
ივსება ქისა,
დედა ქართლისა
მოთქვამს საბრალოდ.

ჩემი ცხოვრების წმინდა სათავე

ქანცგაწყვეტილი,
როგორც ცხენი დოღით,
მარულით, დავბრუნდებოდი
ბავშვობაში რა სიხარულით
დროის მდინარეს
ავყვებოდი აღმა მხარულით.
კარგა ხანია რაც
შუადღის ქედზე გადაველ.
ჩემი ცხოვრების მომენატრა
წმინდა სათავე.
უღალატობა, უღრუბლობა
და სისადავე.
მზეს მივუშვერდი
გულს გაყინულს
და თვალებს სოველს.
ეზოდან დედას შევძახებდი:
,,დედილო მოველ!"
დამიამებდა მისი სითბო
ჭრილობას, ყოველს.
თოვლის გადნობას მოვუცდიდი,
ცრემლის გაშრობას,
რა სიხარულით ვეწვეოდი
სტუმრად ბავშვობას.

პასიანსი

ბევრჯერ შევყევი კლდეებს მამაცად,
მაგრამ ქუხილი თავზე დამაცხრა.
აღარც კი მახსოვს, ხატი და რჯული,
ბედმა რამდენი სილა გამაწნა.
წვიმით ლპებოდა, თუ მზეს ვნატრობდი
საკარმიდამო არე-ფართობი.
ველოდი, მაგრამ არ ეღირსა და
აღარ აღმოხდა ჩემი მნათობი.
დავჯდები. ისევ გავშლი პასიანსს.
ვისთანაც გინდათ, ჩავალ მაზიანს,
რომ ამ უზნეო წუთისოფელში
ავსაც და კარგსაც ერთი ფასი აქვს.

ვერიკო პარწიკანაშვილი

შენს თვალებში!

შენს თვალებში
ირეკლება სამყარო
და მე, ამ დროს
უნაპიროდ ვხელდები,
გონებიდან-გრძნობა
როგორ ავყარო,
ამ წვიმაში,
მერამდენედ ვსველდები!

შენს თვალებში იღიმება ნიავი,
იფურჩქნება
თვალ-ხატულა აისი,
მაგ ღიმილის გავხდი თანაზიარი,
ღიმილია შენი ბაგის ხალისი!

შენს თვალებში აკაცია ყვავილობს,
ეგ თვალები ულურჯესი ტბებია,
შენს ტუჩებზე ალუბლები მწიფობენ,
ასეთი რამ, არც-კი დამსიზმრებია!

ნახვა – შენი, უსასრულოდ მამშვიდებს,
წვიმებისგან იწრიტება სამყარო,
უპირობოდ, უნაპიროდ მიყვარხარ,
ამ გულიდან როგორ გამოგაპარო?

ტანი-ალვა,
თმები– ლორთქო ბალახი,
სველი კაბა, როგორ
გშვენის მზე-ქალო,
ეგ ველური სილამაზე დამღუპავს,
ნეტავ, კიდევ არსად
გადამეყარო!

****

მე, ჩემი გენის, ჩემი გვარის
ერთი ფესვი ვარ,
ერთი ღიმილი,
ამოფეთქვა, ჩემი ერისა,
ერთი სიმღერა,
ერთი ლექსი,
ერთი ნოტი ვარ,
იმ ,,იავნანის", ,,ურმულის"
და ,,ოროველისა"!

ვარ წუთისოფლის ფოთოლ-ცვენის
ერთი ფოთოლი,
გაზაფხულების, აპრილების
ლურჯი ფერი ვარ,
ვარ მწვერვალებზე
არწივების გადმოსახედი,
ხორბლის მარცვლებით
სავსე ყანის,
ერთი ღერი ვარ!

საწნახელს, ბრბოდ რომ
შესევიან გოგო-ბიჭები
და სიცოცხლეს რომ გვინათებენ
დილის მზესავით,
ის ვარ, მათ გულში
ნაპერწკლები
ვინც გააღვივა და
სამშობლო რომ შეაყვარა
სიცოცხლესავით!

შვილიშვილების სიყვარულით
მე ვარ, რომ ვხარობ,
გული მევსება,
იწურება სავსე მტევნები,
მევენახე ვარ,
მეჩუქურთმე,
აკვნის გამთლელი,
ის ვარ,
სამშობლოს სიყვარულს
რომ შემოვევლები!

ჩემი ძირ-ძველი გვარის, ჯიშის,
მე, შტო ვარ ერთი
და ღირსეული გაგრძელება
ჩემი გენისა,
ვარ კლდეებიდან
არწივების გადმოსახედი,
ერთი ფოთოლი,
წუთისოფლის ფოთოლ-ცვენისა!

*****

კახეთისკენ თუ იჩქარი,
სულ იარე პირდაპირ,
ყველგან მიდი, თუმცა გირჩევ,
არ გამოგრჩეს სიღნაღი!

მთის წვერებზე აზიდული,
ციხე-კოშკად ნაშენი,
დედამიწის სამკაული,
საქართველოს-სამშვენი!

ნახე გრემი, ყვარლის მთები,
იყალთო თუ ნეკრესი,
ვაცი, ყველგან სილამაზე
მოგედება ფეხებში!

წინანდალი, პოეტების
საოცნებო სამოთხე,
დადიხარ და მუზით მთვრალი,
სიყვარულზე აბოდებ!

მაგრამ ძველი გალავნიდან,
მზის ნახვა თუ არ გინდა,
დამიჯერე, კახეთისკენ
წასვლა იქნებ, არც ღირდა!

თუ არ ნახე ნისლი– მთაზე,
როგორ ბოლავს-თავხედი,
ჩათვალე, რომ არ გინახავს,
შენ, ნამდვილი კახეთი!

მაგრამ თუ-კი ამ ტერასებს
არ ეწვევი სადილად,
მაშინ გეტყვი, რომ სიღნაღიც
არ გინახავს ნამდვილად!

,,ნინოს წყაროს" თუ არ დალევ,
ისე, როგორ იქნება,
დამიჯერეთ, საქართველო
სიღნაღიდან იწყება!

,,ბოდბის" გზაზე, არა-ერთი,
რომ ჩანს გადმოსახედი,
შენი თვალით თუ არ ნახე,
არ გინახავს კახეთი!

***

არ მინატრია არც ევროპა და არც აზია,
საქართველოა სილამაზე, თვით-ფანტაზია,
შეხედეთ, როგორ ამაყად დგას კავკასიონი,
მყინვარს შეხედეთ, ზაფხულშიც, რომ თოვლი ,,აცვია!

არ მინატრია სრა-სასახლე, ფიანდაზები,
უცხო მხარეში, სულის შვება არ მიძებნია,
მე მაქვს კახეთი, სამეგრელო და იმერეთი,
მაქვს აფხაზეთი, სამაჩაბლო, ცრემლ-რომ სდენია!

მე, ქართველი ვარ, მწამს ღმერთი და მწამს საქართველო,
არ ვარ ,,ევროპა," – მომიტევეთ! არც ვარ ,,აზია",
მე ვარ ,,კრწანისი", ვარ ,,ყინწვისი", მე ვარ ,,დიდგორი",
შეხედეთ, დატკბით, საქართველო რა ლამაზია!

ვარ ,,ანანური",,ქვათა-ხევი", მე ვარ ,,ტანძია",
ჭრილობებიდან ჟონავს სისხლი,
ვთვლი ,,ა-პათიებს", და-თუ, ვერასდროს
ვერ შევძელი მისი ღალატი, – მე, მაპატიეთ!

******

შენ, განძი ხარ, ამ ცხოვრების ჩემი,
ხილვები და უჩუმარი ბოდვა,
ბნელ ღამეებს მოჰყვებოდი ფეხით
და მოგქონდა მთვარეული – ცოდვა!

ჩურჩულებ და ცაში ვცხოვრობ თითქოს,
ვისმენ სიცილს შენსას, ტყუილს, მართალს,
რა ყოფილა სიყვარული თურმე,
როგორც უნდა, ზუსტად ისე გმართავს!

აფრებივით გაუშლია ფრთები
და გვაფარებს თბილ, მისეულ კალთას,
ფანჯრის მიღმა გაზაფხული დაჰქრის,
სიყვარული – ჩვენი სახლის კართან!

შენ, სამყაროს – სამყარო ხარ ჩემი,
ბევრს ვფიქრობდი, როგორ უნდა მეთქვა,
მე, სახელიც არ ვიცოდი შენი,
თურმე, ჩემი სიყვარული გერქვა!

ახლა, წლებს რომ მოუყრიათ თავი,
ისვენებენ გზა-გზა, ჩვენთან ერთად,
აღარც მახსოვს, რა მითხარი მაშინ,
არც ის მახსოვს, რაც, მე უნდა მეთქვა!

****

მზის-ასულო, ჩემო-სულო
მოფრიალე-ვ ქარიზმად,
ახლა ვხვდები, რომ უშენოდ
ყოფნა მართლაც არ ღირდა!

ნათლის-სვეტო, სხივთა-კონავ,
წვიმის-წვეთით-ნაბანო,
წაიღე და შეიწირე,
ჩემი სულის-სამყაროც!

იქნებ, იმ დროს შემეფეთე,
რომ ვერ ავწონ-დავწონე,
ვერ გაქე და ვერ გადიდე,
თავი ვერ მოგაწონე!

მაგრამ გულში, სიყვარულად,
ისე ამომესანთლე,
რომ დაგარქვი იმ წუთიდან,
ჩემი სულის-მესაყდრე!

დახატულო მზის ფუნჯებით,
დაისს როგორ უხდები,
შენს თავზე რომ შეკრებილან,
ოქროს-ფერი ღრუბლები!

შენ წახვედი და მას-მერე,
გულს, არ ვიცი რა მიჭამს,
მიყვარხარო, კი-მითხარი,
მაგრამ იქნებ არც გითქვამს!

ის-კი, ვიცი, სადღაც-ახლოს,
სუნთქავ-სულის-ქარიზმად,
იქნებ, მოხდეს სასწაული,
უშენობა არ მინდა!

******

მე ვეფერები ყველა ქუჩას, და ყველა ბილიკს,
მეამაყება ბაგრატი და ძველი სიონი,
ვდგავარ ,,ფენიქსად", აღდგენილი, ფერფლიდან ახლა,
მე მაძლიერებს ალავერდი და ბახტრიონი!

არწივის თვალით გადავყურებ ალაზნის ჭალებს,
კავკასიონზე-მყინვარწვერი სანთლად ანთია,
უფლისციხეში გაშლილია, სუფრა-ღმერთების,
კლდეში ნაკვეთი კოშკებიდან, მოსჩანს ვარძია!

ყველა ტაძარი სულს სწამლობსო, ამბობენ როგორც,
ყველა ტაძარი, არის ჩვენი რწმენის-საცდელი
და თუ აქამდე ვიყავ მხოლოდ მლოცველი ერთი,
ახლა ვიქნები,კიდევ ერთი ,,სულის ტაძრელიც"!

შენ, მიწავ-ჩემო, საფიცარო, მიწავ ქართულო,
გადამტვრეულო ხერხემალში, მძიმე ხუნდებით,
მივდივარ, მაგრამ მე ფერფლიდან, კვლავ ,,ფენიქსივით",
შენთვის ყოველთვის, აღვდგები და დაგიბრუნდები!

უბრალოდ, ლოცვა არ მომაკლო, ლოცვა-გულ-წრფელი,
გიფიცებ, შენი ვარ მესანთლე, აკვნის გამთლელი,
მე ჩემი მიწის, სულ პატარა, ერთი კენჭი ვარ,
მეამაყება, რომ ვარ დედა, რომ ვარ ქართველი!

მე-დღემდე, ყველა ამოსუნთქვა, უფლის-მიერო,
შენ მოგიძღვენი, ვიყავ-დედა, შვილის-გამზრდელი,
მაგრამ რა ვქნა-თუ, ახლა ჩემში, ბობოქრობს მუზაც
და უკვე მქვია მე დღეიდან ,,სულის ტაძრელიც"!

***

სულ ვხედავდი შუქ-ნიშანთან მარტოს,
იჯდა, თითქმის არც უჩანდა სახე,
მე ასეთი ნაღვლიანი მზერა,
ცხოვრებაში, სულ პირველად ვნახე!

იჯდა ჩუმად, თან მალავდა ხელებს,
მუხლებზე-კი, მუდამ წიგნი ედო,
იქნებ, მის გზებს ტკივილი და გლოვა,
ნოხებად და ხალიჩებად-ეგო!

ურიგებდა ყველას სათნო ღიმილს,
აყოლებდა წყვილებს კეთილ თვალებს,
იქნებ, სულაც არ უნდოდა ჯდომა,
ქუჩაში და აიძულა რამემ!

სულ ვიღაცას მოელოდა თითქოს,
ედგა ჩრდილი გაუფოთლავ-ხეთა,
ძველ საათზე აითვლიდა წამებს,
მის თვალებში, ჩანდა ჩუმი სევდა!

დღეს დამაკლდა, აღარ იჯდა კართან,
მივდივარ და სულ ამაზე ვფიქრობ,
მე, სახელიც არ ვიცოდი მისი,
მაგრამ თითქოს ჩემიანი იყო!

და მას მერე, დამდევს ჩუმი სევდა,
შუქ-ნიშანმაც, მოიწყინა თითქოს,
იქნებ, სულაც არაფრისა, მხოლოდ,
,,სიყვარულის მათხოვარი" იყო!

***

უშენოდ, დედამიწა გაჩერდება,
უშენოდ, მარტოობა დაივანებს,
გული ხმამაღლა ატირდება,
ჩემში-უშენობა გაიხარებს!

გულსაც შეეჩვევა ეჭვის ჭია,
სულის სიღრმეში ახირდება,
უშენოდ, ჭრილობები პირს შეიხსნის,
უშენოდ ყოფნა გაჭირდება!

ტყეში, გაზაფხული გაიღვიძებს,
ბორკილ-შეხსნილი აყვირდება
და თვალს-ასხლეტილი კურცხლებივით,
ჩემში-უშენობა-ატირდება!

მოგონებების ყუთი

ყუთი, რომელშიც სახლობს
მოგონებები კდემით,
მათი ალერსი მინდა,
ის, ბავშვობაა ჩემი!

თვალებს ვხუჭავ და თითქოს,
დედა მეხება თმებზე,
ო, როგორ ვნატრობ ისევ,
გვირილებს ვკრეფდე გზებზე!

ისევ ვისროდე კენჭებს,
აქაფქაფებულ ზღვაში,
ხის კენწეროზე ვიჯდე,
ფოთლებს დავდევდე ქარში!

თოფის გასროლას რომ ჰგავს,
ბავშვობის წლების წვიმა,
სხვა არაფერი, მხოლოდ
ჩემი ბავშვობა მტკივა!

ისევ, იმ დღეებს ვნატრობ,
ავარსკვლავებულ თვალებს,
პირველი გრძნობის ტკივილს,
სადღაც იქ, გულის მხარეს!

სულს ენატრება როგორ,
ის ოცნებების წუთი,
მინდა გაიხსნას უცებ,
ის, ჯადოსნური ყუთი!

ყუთი, რომელშიც სახლობს,
მოგონებები წმინდა,
იქ, ბავშვობაა ჩემი
და დაბრუნება მინდა!

სვანეთს

აქ, მზე სხვაგვარად ამოდის,
სხვა გრძედია და განედი,
თვალსა და გულში გახედებს,
ხელ-გულ-გაშლილი სვანეთი!

აქ, სხვა სურნელი ტრიალებს,
ხავსსაც კი, სულ სხვა ფერი აქვს,
სიმღერაც კარგად გამოსდით,
გულის-გულიდან მღერიან!

დილის მზის სხივებს აჰყვება,
სვანი, – წესი აქვს ასეთი,
ცხენ-და-ცხენ, ენგურს გასტოპავს,
ექოს დაიჭერს ასხლეტილს!

შხარას ნისლებში ეგულვის,
ძირ-ძველი გენის ფესვია,
უშგულის გულში ინახავს,
კოშკებს-ნაშენებს-კლდეშია!

თითქოს,სხვა დროში ინაცვლებ,
სხვა განედი და გრძედია,
სიკეთით იმკის წლების წინ,
,,რაც მტრობას დაუთესია"!

მთები-ცის-კიდურს ეტრფიან,
თბილ და უმთვარო ღამეში,
აქ, სიყვარულის სუნი დგას,
გრძნობებს გაუდით თარეში!

გულს გადაგიშლის, გიწამლებს,
ცას, სიყვარულის ფერი აქვს,
აქ, სიყვარულზე-სიმღერებს,
გულის-გულიდან მღერიან!

მზეს თუ ასწრებენ ადგომას,
რა ქნან, წესი აქვთ ასეთი,
დაგხვდება, გულში ჩაგიკრავს,
არ გიღალატებს სვანეთი!

სამყურაშვილი მანანა

მაშინ ყოფილხარ...

მგზავრობა უფლის ბაღნარში თურმე არც ისე ძვირია,
მას სიწმინდე აქვს საწვავი,
ეს უცილობლად იცოდე უფლისგანაა ნასწავლი...

მრუში თუ არ ხარ და ქურდი, ჭორის არა გაქვს ქამანდი,
სიმართლის საქანელაზე ასიათასჯერ გაქანდი...

მართალთ ბაქანზე სიცოცხლეს, აქვს ია-ვარდის ბაღნარი,
ბილწს და უგონოს ბაცაცას, თვალში ეყრება ნაცარი...

სიცოცხლეს ფასს ვერ დაადებ თუ გაქვს
სიწმინდით ნაზარდი,
არც გემო იცი ტყემლისა, პაპას რომ ააქვს ნაჭამი...

სიცოცხლე იალაღია... თვალ უწვდენელი ბაღნარი,
თვალი უძღები ყოფილა, სული კი უფრო მშიერი..

თვალი და გული არ ძღება, სული არაა ცბიერი,
აქ სამოთხის ბაღს ნაჩვევი, ზეგანაც მისდევს სურვილი,
ამიტომ სული ყოფილა, თვალზე და გულზე მშიერი...

სულს სიბინძურე არ უყვარს, მისი წმენდაა საჭირო,
ტილო და ცოცხი კი არა, ათი მცნებაა საჭირო...

სიცოცხლე ძვირი არ არის, მას კვებავს მხოლოდ ჰაერი,
გზად მეგობრებიც მიჰყვება გული გონება და სული,
გულსაც ჰაერი ჰკვევავს და სული ყოფილა მშიერი...

საფლავი მიწას დებული ვისთვის რა სანატრელია,
სული ცად უფალს მიჰგვარეს,ხორცია მიწად დებული...

თუ შენი გზები სავალი სწორია, როგორც შვეული,
მაშინ მეწმუნე ყოფილხარ უფლისგან გამორჩეული...

ნეტავ ეს სიზმარი ამხდენოდა...

გზაზე ერთი ქალი მიდიოდა,
ვითა მოწყვეტილი მთის ყვავილი.
მისი გაცნობა და ახლოს მისვლა
არა ყოფილა მთლად ადვილი...

სახე ცვილით ნაბანს უგავდა და,
ვითა ცად დილის მზე გაბადრული.
მისსა შემხედვარეს ვატყობდი რომ
ღამეც არ მოგივა თვალზე რული...

ნეტავ, ვარდი იყო ქალავ ნაზი,
ჩემსა ბაღის კარზე დადმორგული.
გული ახლა დამაქვს ფიქრით მწვავედ
დამწვარ, დაჩეხილ და დადაგული...

გზაზე ერთი ქალი მიდიოდა,
ვითა მოწყვეტილი მთის ყვავილი.
ტანზე კაბა ეცვა აბრეშუმის,
თითქოს ია იყო მობნეული.

ბაბთას ელვარებდა სხივი მზის და,
ქამრად ცისარტყელა შებნეოდა,
მისსა შემხედვარეს მწველი ცრემლი,
მკერდზე მძივებივით მებნეოდა...

ქალი გაბადრული, მთის ყვავილი,
ვითა, ჩვილი მკლავზე გადვიწვინე.
თვალი გავახილე, სიზმარს გაჰყვა,
ოი, რა მწუხარედ დავიგმინე...

მწარედ გავიცინე დარდიანმა,
თითქოს გული მკერდში მადნებოდა,
როცა მივხვდი, თურმე სიზმრად ვნახე,
თვალში ცრემლის გუბე მიდგებოდა.

რატომ? ნეტავ რატომ? სიზმრადაც კი
დარდი გულზე ლოდად მაწვებოდა...
სულ არ ვიფიქრებდი არა დარდზე
ნეტავ, ეს სიზმარი ამხდენოდა...

პირში თაფლი ჩაიყენე...

ზოგს სულში აქვს საგანძური,
მას თვალით ვერ შეამჩნევ,
მარა მისსა ყალბსა მზერას
მიმიკებით შეამჩნევ...

არის ადამიანი რომ მის
ნერვებს ვერ შეარხევ...
გული ისე დაცლილი აქვს,
შენ ვერაფრით შეავსებ...

ბევრი ვნახე იმისთანა,
გონება აქვს დაკარგული,
მარა ენა! მიამიტი,
თითქოსა და დაქარგული..

ოდეს ბრძენი რომა ვნახე,
სიჩუმე აქვს იარაღი,
მისი სიტყვა ლაღი არის,
როგორც მთისა იალაღი...

მან თუ სიტვა ვერ მოარგო
შენი სულის გასაღებს,
სიჩუმესთან გიმასპინძლებს
ერთ სიტყვას არ გაიღებს...

ზოგს კი ენა ისე უსწრებს,
ღრუდან გარეთ გამოდის,
მისი სიტყვის მოსმენისას,
გული მაღლა ამოდის...

კაცი, ბრძენი უნდა იყო,
სიტყვა ფასობს ოქროდა,
პირში თაფლი ჩაიყენე,
ნუ იქმ, ნაგვის ორმოდა...

* * *

ზოგის გონება ლაბირინთია,
ზოგის სუფთაა, ჩანჩქერის ფერი,
მოსაწონია კაცს თუ უნთია,
გონის სანთელი ბრძენთ შესაფერი.

წარსულის დამშვიდობება...

ვწუხვარ - ვერ ახდა შენი წადილი,
ქალო, ბადალო გაზაფხულისა!
ვერ გახდი ,,მერი"-ღირსი ნამდვილი
და ჭეშმარიტი სიყვარულისა!..

აღარც ფიქრები, აღარც დარდები,
აღარც განცდები და აღარც სევდა,
აღარც ტიტები, აღარც გვირილა,
აღარ მსურს-ჩემგან, რაც წლობით გდევდა...

დღეს უნდა შევძლო და საბოლოოდ,
წავშალო ჩემში შენი ხატება,
ჩვენი წარსული ფარსია მხოლოდ
და არასოდეს მომენატრება.

მაშ, იდილიას - ყოფას უცრემლოს,
შენ დაგიტოვებ, ხარ უდარდელი,
გიტოვებ სევდას-ტრფობის სიმბოლოს,
სიყვარულს დარჩეს წმინდა სანთელი!

დიადი გრძნობის დასაფლავება,
იქნება ჩუმი, უხმო, ფარული...
მიწას ცრემლების ნაცვლად ჩაჰყვება
სიცოცხლე, რწმენა და სიყვარული...

სულის სიმშვიდეს როგორ მიიღებ,
როცა წარსული არა მშვიდია,
თუ აღარ გიყვარს და ვერ ივიწყებ-
ეს სიყვარულის პანაშვიდია!..

მათხოვარი....

მათხოვარი ჩემს ახლოს რომ დავინახე,
ნათხოვარი ტანთ ეცვა და ემოსა,
ვესაუბრე, რა კუთხით არ ვესაუბრე,
ბრძენი კაცი, გონებაში შემომრჩა...

წარსული და მომავალი გადავქექე,
არაფერი გონებაში არ დამრჩა,
ყველაფერი შევაფასე დადებითად,
გაკვირვება, საქებარი არ მორჩა!..

მისი ფორმა დაძენძილი,მარა ბრძენი,
გონებაში სიბრალულად შემომრჩა,
საკვები რომ არა ჰქონდა, არ ემოსა,
ზოგთა ფერხულს ის ამითი ჩამორჩა!..

მარა გონი?! დიდებულად განვითარდა,
მერე რა, არ ეცვა და ემოსა,
უსუსური, ტანად მწირი ჩაუცმელი,
მარა გონით?! გოლიათი შემომრჩა!..

იქნება და ციდან იყო მოვლენილი,
ამიტომაც მპასუხობდა, არ შეცბა,
მე რომ მეცვა დამინახა დიდებულად,
გამიკვირდა, ის, ამაზეც არ შეცბა...

წავიდა და უკან არცკი მოიხედა,
მხოლოდ თავი გააქნია უგულოდ,
ერთი დამრჩა,
მხოლოდ ჩემთვის საფიქრალი,
ნეტავ, მე ხომ არ ჩამთვალა უგონოდ?!

მზე და ღრუბელი...

აღმა-დაღმა სრიალებენ
ღრუბელთ თეთრი ქულები,
თეთრ ქარავანს მაგონებენ
მოსრიალე ფრთილები...

მზე გამოვა თვალხატულა, ციალა!
მისმა ტრფობა, სიყვარულმა
ზეცა გააკრიალა...
ეს ცხოვრება დარდიანი,
წაღმა დაატრიალა...

მზე გულში რომ შეუძვრება,
მათი დროც დამთავრდება,
რა შური და ბოროტება?!..
სიყვარულით ღრუბრლთ გული
მზის ხელებში ჩადნება!...

მზემ ცის თაღზე დაალაგა
მწველზე-მწვრლი შანთები,
ღრუბელს გულზე შემოაძრო,
ჩაქარგული ბაბთები!..

ცაზე დაჯდა მზე მცინარი,
მისი ტრფობა სიყვარულით
ღრუბელს გული ჩაუდნა,
ახლოს მისვლა ვერ გაბედა,
მზის სიყვარულს განუდგა...

შორიახლოს ჯინზე დადგა,
იწყო კაბის ფრიალი,
მზემ ისარი გულში სტყორცნა,
მიწას გულზე
ჩამოექცა თქრიალით...
მზე გამოვა თვალხატულა, ციალა!
მისმა ტრფობა, სიყვარულმა
ზეცა გააკრიალა!..
ეს ცხოვრება დარდიანი,
წაღმა დაატრიალა!..

მოხუცის გულის ჩივილი...

შენ ჩემს ბაღში ამოსული ია ხარ!
თვალციმციმა ვითა თეთრი გვირილა,
გული დამწყდა, ნაკვალევი სიბერემდე,
ოჰ, რა მალე, უსწრაფესად განვლილა!..

მიილია, ყრმობა უკვე მიილია,
სიყვარულმა ლაღი ფრთები დაკეცა,
სიბერესთან ჩაიმუხლა დარდიანი,
სიყმაწვილე საბოლოოდ აცეკვა!..

მერე თითქოს სიყვარული გაიპარა,
შორიახლოს დარდიანი ჩამოჯდა,
როცა ნახა ჩემი ქალი, ქალბატონი!
ჩემთან ერთად ჯოხით ხელში ჩამოჯდა!..

მოვიდა და სიყვარულმა ცრემლი ღვარა!..
მოფერებას ძველებურად ლამობდა!..
მაგრამ იქვე უძლურება ხარხარებდა,
გვიანია, გვიანია, ამბობდა!

ერთი კოცნა შემაწიე ქალბატონო!..
გულმა ხელი აუქნია სიბერეს,
დამჭკნარ ვარდის ღაწვებზე რომ ხელი
მოხვდა, მათ სიბერე, ო, რა მწარედ დაწყევლეს!..

მოდი და ერთხელ...

მოდი და ერთხელ, ერთად შევხვდეთ,
დილით ცაზე ალიონს,
ვნახოთ როგორ გადაგდებს მთვარე,
ღამის ყალიონს.

მზის ბაღნარში სუფრას გავში
ცისკარს ვიხმობ თამადად,
მზის ნაბნევი ოქროს სხივი
ჩვენ გავიყოთ თანაბრად.

სხივები რომ აცეკვდება
ვერხვის ყვითელ ფოთლებში,
მზეც იქ ახლოს ჩამოჯდება
დალალს გაშლის ტოტებში.

ავმღერდეთ და ავამღეროთ,
ბულბული დავიწვიოთ,
მზის ბაღნარში ჩვენს სუფრაზე
სიხარული ვიწვიოთ.

ცის თაღებზე ჩამოვხიოთ
ღრუბლის თეთრი ბაბთები,
მსურს ყოველთვის კრიალებდეს
ცაო, შენი კალთები...

მოდი და ერთხელ, ერთად შევხვდეთ,
დილით ცაზე ალიონს,
ვნახოთ როგორ გადააგდებს მთვარე,
ღამის ყალიონს.

იგემე, მუზების ტკბილი შარბათი...

გულის ბუხარში თუხთუხებს ქოთანი...
დარდი მსურს მოვწალო, ფესვი ამოვაძრო.
სიყვარული მინდა უხვად რომ ვახარო,
სხვათა ბაღ-ბოსტანსაც თესლი რომ ვაკმარო.

სარეველას გულში ერთიან ამოვთხრი,
მუზის ქარავნისთვის კარი მაქვს ღია და
გულიდან სიყვარულს ლექსებად ჩამოვცრი,
არეს გადმოვაბნევ ვარდებად, იადა.

თვალებში ჩამხედეთ,ბაღია იების...
დარდი და ვარამი ცრემლებში გავხვიე,
გულს შემორჩენილი დარდების ფურცლი
ამ დილას უკლებლად, ერთიან დავხიე...

შევავსე, სიყვარულის სავსე ფიალა და
ხვთით ნაკურთ ხელიდან ბადაგად დავლიე.
იგემე, მუზების ტკბილი შარბათი,
შეავსე პეშვები თამამად დალიე.

დედა მზე...

მზე თაიგულს ჰგავს სხივით შეკონილს,
ცაზე ჩაქარგულს ოქროს ძაფებით,
მას ტანზე ოქროს კაბა აცვია,
ვერვინ იხილავს ძველი ძაძებით.

ცის სამყოფელი მისით ხალისობს,
მისით ინთება მთვარის ბუხარი,
არავინაა ცად მოწყენილი,
არც დარდიანი, არცა მწუხარი...

მზისა და მთვარის ნაზავებია,
ცაზე რაც წვრილი ვარსკვლავებია...
დედა მზე კარებს როცა დაკეტავს
ვარსკვკავთ გულები ცას შებნევია.

ურცხვთა საქანელაზე...

წყალწაღებულს გჯეროდეს
არვის გავეკიდები,
მივდევ ტალღის ქარაფებს,
ხავსს არ დავეკიდები.

აქეთ-იქეთ მახეთქოს
არ დავეძებ მშველელებს,
ცხელ ამინდშიც არასდროს
არ დავეძებ მარაოს.

ჩემი ბედის ვარსკვლავი
ცაზე მარტო ქანაობს,
აქ კი შეხეთ, ურცხვები
ხედაავთ? ფულში ბანაობს!

რა ვქნა, მე ხვთით ნაბოძებ
ქარაფებში ვბანაობ,
ურცხვთა საქანელაზე
არასოდეს ვქანაობ.

ადამიანს... ცოტა კიდევ აცალეთ...

ცაო, ნისლში ნუ გამახვევ,
დარდით გულს ნუ ჩამიწვავ,
სევდის წვიმას ნურასოდეს
ჩემს მხრებზე ნუ დაწვიმავ.

ვის უნახავს სევდიანი
მიწას სწორად მავალი,
ცაო, ხედავ? ბევრთა
გზები სევდითაა ნავალი...

მიწაზე თუ დაასახლეთ
ლხენა კიდევ აცალეთ,

მოგაწვდით და სიყვარულის
ჭაშნიკები დაცალეთ...

მიწის ტახტზე ადამიანს,
თვალთ გახილა აცალეთ,
ვხედავ ციდან დარდის წვიმა
ცრემლებად დააცალეთ...

მანაც სული მოითქვას და
ცოტა ხანს იბანცალოს,
დარდი ბევრი იხილა და
ლხენის თასიც დაცალოს.

მირზა ვარძუკელაშვილი

* * *

გულზე რამდენი მწოლია,
მე სულ გზად ვეძებ სიმართლეს.
რამდენ თავს ძალა დამადგა,
სულ ჩემებიდან ვიტანჯე.

დავსწერო რაღა დავსწერო,
რა იყო გუშინ წინა დღეს.
ყოველდღე სიკვდილს ვეყრები,
სიკვდილს ჩემ სულს რომ მინათებს.

გადავეყრები ერთ დღესაც,
სიკვდილს სამწყემსოს მივართმევ.
ვაი ჩემებს ვინაც ვერ იცნო,
ამ ჩემი სიტყვის სიმართლე.

ხვდები კი მაინც.

თიხით შექმნილო სულის ჭურჭელო,
მოხველ შენ კაცო ხატად უფლისა.
ეს კავშირია თუ ხვდები მაინც,
ამ ქვეყანაზე ცასთან მიწისა.

ლეში ლპობადი ცოდვის სავანე,
ჩასაშლელია საფლავს შიგნითა.
სული კი არის მარადიული,
ტაძარი არის საღვთო სიბრძნისა.

რომელიც უნდა ბეღელი იყოს,
ჭეშმარიტების სიყვარულისა.
ცოდვაა ვისაც სულის არ ესმის,
ის ვერც გაიგებს რიტმებს გულისა.

მიწით შექმნილო არარაობავ,
მოზიარე ხარ საღვთო სისხლისა.
ხვდები კი მაინც წილად რა გერგო?
თუ გიფიქრია ვისი შვილი ხარ.

ამ წუთისოფლის ბატონი არის..

მთელი ცხოვრება სიმართლეს ვეძებ,
სიცრუე რაად ბატონობს ყველგან.
ო რა ძნელია ეკალს უჩვენო,
ყვავილთ სინაზე სიმრავლე ფერთა.

ამ წუთისოფლის ბატონი არის,
ცრუ ყვავილობა ნარ ეკლის ბნელთან.
მაგრამ მოუწევს ყაჩაღ სიცრუეს,
შეხვედრა მაინც აისის მზესთან.

იქ გაირჩევა მტყუან მართალი,
ვის გულში ნათობს სიმართლის ზეცა.
მაშინ იხილავს ცრუ და მტანჯველი,
სულით ვინ უფრო ახლოა ღმერთთან.

მიწა და კაცი. ადამიანის ბუნება.

არსებობს ხალხი ვერც კი გრძნობენ სიმყარეს ფეხ ქვეშ,
არ აფასებენ რაზე დგანან თელავენ ვის ზურგს.
დადიან ასე მათ მარჩენალს ფეხ ძირ იგებენ,
სარჩოს შოვნიან მარჩენლისთვის ნამი ცისაც შურსთ.

უმადურობის ზეიმია დედამიწაზე,
ხომ გინახიათ გამწევ ხარსაც როგორ შოლტავენ.
ადამიანთა ბოროტებას არ აქვს საზღვარი,
აღმატებისთვის მის მარჩენალს ღვარძლით ჰმოსავენ.

არც კი ადარდებთ ვისზე დგანან ჰნერწყვავენს ვის გულს,
ადრე თუ გვიან ყველა სოფლით გასასვლელია.
სულიერ ზამთარს მოიყვანენ მეტობისათვის,
მათი სამარეც ვერ ხვდებიან გასათხრელია.

ხალხი არსებობს ვერა ჰგრძნობენ ვერ სჭვრეტენ ზეცას,
კაპიკისათვის მარჩენალსაც ყელში ახრჩობენ.
არად აგდებენ მის სიკეთეს უმადურობით,
მომხვეჭელობით სინდის ნამუსს ლაფში ამხობენ.

ეჰ აბა რა ვთქვა რა ძნელია იქცე სხვის თვალად,
გუგებიანად ამოგთხრიან რომც იქცე მაინც.
ღმერთი იციან სამართალიც ესმისთ თითქოსდა,
სულით არიან შვილობილნი წყვდიადი ღამის.

ადამიანთა ასეთ მოდგმას ვერას შეასმენ,
თუ ღვთის განგებამ არ დაუშვა ზეციდან მადლი.
ეს ის ხალხია განგოზილნი საფლავთ რომ ჰგვანან,
არც რომ შედიან სხვათაც რომ არ უშვებენ კარში.

ამა ქვეყნიდან იმ ქვეყნამდე...

წუთისოფლიდან იმ ქვეყნამდე რაა მანძილი,
არც ისე შორი მე თუ მკითხავ ასე მგონია.
სულით ისედაც ღმერთს ეკუთვნი თუ მას განიცდი,
ლეში კი რაა სიცოცხლეშიც ლეში მძორია.

მუდამ გახსოვდეს იმიერი ცოცხალს ამ ქვეყნად,
მანძილი არის დაღამებით გათენებამდე.
როგორაც მიწა ცისას შესცქერს მადლმოსილებას,
ასეა კაცთა სული ღვთისა ხორცის სამარე,

აი მანძილი წუთის სოფლად წამია კაცის,
ხორცი ისედაც სიცოცხლეში ცოდვის გვამია.
გარდაცვალება სულ გახსოვდეს ადამიანო,
რომ იგალობოს სულმა ღმერთთან ავე მარია.

გული რომელიც.

გული რომელიც ლოცვებად თვლის ფსკვნილივით რითმებს,
სადაცა ცოცხლობს საქართველო როგორც მშობელი.
ის უკვდავია ასე ვფიქრობ დედამიწაზე,
იგია საღვთო მარგალიტის სულით მფლობელი.

მას არცრა უნდა თუნდა იყოს ქვეყნად ჩვარ ძონძში,
მხოლოდ სამშობლომ იყვავილოს როგორც ედემმა.
თავსაც შესწირავს მისი მშობლის უკვდავებისთვის,
იხაროს მხოლოდ საქართველომ ჯანით ბებერმა.

მიტომ ჩაჰბერა..

ღმერთს სალაღობოდ არ უქმნია თიხისგან კაცი.
არც ქალი მისცა გასართობად ქვეყნად თავისა.
მიტომ ჩაჰბერა სული მისი უკვდავმყოფელი,
რომ სიყვარულით დამცველ იყვნენ უფლის მრწამსისა.

დღეს სხვანაირად რატომ ფიქრობს კაცი ყოველი,
თითქოსდა თვითონ ბატონია ამა ქვეყნისა.
მონობას სხვების რად ითხოვენ მომხვეჭელობით
განსპეტაკებაც კი არ ძალუძს თავზე ბეწვისა.

კაცის ფერდიდან ქალიც იშვა უფლის განგებით,
მონად კი არა განმკარგველად კაცის ბედისა.
ქალმავე შობა ძე უფლისა კაცთ მოდგმის მხსნელი,
და დედოფლობაც მიიბარა წმინდანთ ზეცისა.

ამიტომაა კაცი ქალი შექმნილი ღვთისგან,
სულის აგროვონ სიყვარულის მარგალიტები.
სიყვარულს ვამბობ ხორცით ტკბობას კი არ ვგულისხმობ,
რომ ზეცის იყვნენ სულის შრომით გადაღლილები.

სიყვარულია ქვეყნად ჩვენი მოსვლის მისია,
დასამკვიდრებლად საძიები სასუფეველი.
გოლგოთა გავლილს ყველა ჩვენგანს იქ ელოდება,
ბედნიერება ენისათვის აღუწერელი...

მთვარეს ხომ ხედავ...

მთვარეს ხომ ხედავ შუქჩრდილები ტანს რომ უმშვენებს?
ეს სამოსია სამორჩილე ცისთვის მთვარისა.
ცა მოძღვარია მთვარე მონა ერთი ცოდვილი,
კურთხევად ერგო სალოცავი მწუხრი ღამისა.

ასე ჰმორჩილებს მერამდენე საუკუნეა,
არ გადასულა ცის კურთხევას ჯერაც არც ერთხელ.
სააღმსარებლოდ ცისკარს ელის მზით ზიარებას,
მერე კი შედის კელიაში ნაშენებს კლდეზე.

მთვარის შუქჩრდილებს ტანზე რომ აქვს ხომ ხედავ ძმაო,
ეს ჭილოფი აქ სამორჩილე მოსხმული მხრებზე.
ხომ ხედავ სიბრძნეს თავმდაბლობას ღამის მნათობის,
ისიც კი ზრუნავს სულისათვის სასუფეველზე.

სასუფევლის კარის გამღები.

ალვის ხესავით თვალში ხვდება თავმაღლეობა,
ნაყოფისა კი ალვა არის არრის მომცემი.
ეს თავმდაბლობა შორით არ ჩანს თითქმის არსიდან,
მაგრამ ძლიერი არის როგორც ალვის ფესვები.

უჩინარია როგორც დღისით ღამის ვარსკვლავი,
წყვდიადისათვის თავმდაბლობა არის მთვარესვით.
ეს ხომ ნიჭია დიდი ნიჭი ღვთის მადლით სავსე,
თავმდაბლობაა სასუფევლის კარის გამღები.

ახლა შაბათია...

ახლა შაბათია ღამე უკუნეთი,
მე კი შენზე ფიქრმა ისევ ამიყოლა.
მთვარეც ჩემთან არის ბერი მეგობარი,
ცაზე ვარსკვლავები ისევ დამითოლა.

მე კი უშენობა მტანჯავს საყვარელო,
შენმა სიყვარულმა გული დაიმონა.
ჩემთან ყოფილიყავ ნეტა ახლა მაინც,
ერთად შევხვედროდით ცისკრის აისობას.

რამდენს მოგიძღვნიდი ამ ხნის ნაკოწიწებს,
რაც კი გულში ლექსი შენთვის შაიკონა.
ცას მოვაყოლებდი მთვარემ ღამის შიშით,
გულით მზის სხივები როგორ შაიყორა.

მწუხრი განილია ფიქრში ამ შაბათის,
ჩემმა უშენობამ გული დამიღონა.
ახლა ცისკარს ველი ლოცვით უნდა შევხვდე,
იქნებ მზის სხივებმა შენსკენ წამიყოლან.

ხათუნა დოლიძე

ხმას ვეღარ ვაწვდენ მოკეთეს!

ხის ფოთოლი ვარ, უმწეო,
ერთი კენჭი ვარ, უბრალო.
გამომარიდე ქარიშხალს –
ნუ მიმატოვებ ...უფალო!

ვით გითხრა, ვით გაგიმხილო,
რა წყლული მადევს იარად...
დარდად მაქვს სხვათა ტკივილი-
ვატარებ თანაზიარად!

ვხედავ, სიცივით ცახცახებს,
ძელსკამზე მიუსაფარი…
ვერ დავაპურე მშიერი,
ვერ დავახურე საბანი.

...უმზერს გამვლელებს მუდარით,
ძაღლი, სევდიან თვალებით...
სხეულს მიათრევს უღონოს,
ლასლასით, წვალებ-წვალებით.

საწოლზე ბორგავს სნეული,
ნატვრად ქცევია სიკვდილი…
ვერა ვარ მისი მშველელი,
ცრემლსა ვღვრი ღონემიხდილი.

ხმას ვეღარ ვაწვდენ მოკეთეს,
სიცრუის ბანგით გალეშილს...
ვეღარც საკუთარ თავს ვშველი –
გზაკვალარეულს ღამეში.

ხის ფოთოლი, ვარ, უმწეო,
ერთი კენჭი ვარ, უბრალო.
გამომარიდე ქარიშხალს –
ნუ მიმატოვებ... უფალო!

ივერო, მრავალტანჯულო!

ივერო, მრავალტანჯულო,
ვერ მოგიშუშეთ იარა...
გარს გახვევია ურჯულო –
ვით კლდეს ბალახი ხვიარა!

ისე გამოგხრა ნაღველმა –
ვით მუხის გული ფუღურომ...
სხვის ცას, სხვის მიწას ქართველმა,
როდემდე უნდა უყუროს?!

მგზავრს ელის სოფლის აღმართი,
მარცვალს – ხრიოკი საყანე...
განქარდა ძველი ადათი,
ჯეჯილიც აღარ ღაღანებს!

ბოლი არ ასდის საკვამურს,
აღარ გუგუნებს ბუხარი...
ვეღარ აკვნესებს სალამურს –
სიტყვა – სიმართლით მქუხარი!

ივერო, მრავალტანჯულო,
ვერ მოგიშუშეთ იარა...
გარს გახვევია ურჯულო,
ვით კლდეს ბალახი ხვიარა!

ჟამთა ფერფლისგან შობილო ესტერ!

გადაირბინე...მინდვრები ესტერ,
გამოექეცი ქარიშხლებს ბედის!
შენს ხვედრთან ბრძოლა გაბედე ერთხელ,
კვლავ მოიღერე ეგ ყელი გედის!

დამალე თვალნი – მფრქვეველი ცეცხლთა,
ტანი – ადამის წამლეკი ნდომით!
დროების ნაძერწ, უსულო კერპთა –
წუთისოფელი ომია, ომი!

თუკი, შუქია შემოსეს ძაძით,
მარიტას ლაფის ესროდნენ გუნდებს!
ჟინმორეულნი, სისხლს სვამდნენ ყანწით
და ცრუ ზნეობის ჭედავდნენ ხუნდებს!

ვერ აპატიეს მილენას ოდეს –
შენც ჩაგითვლიან, სიტურფეს ცოდვად...
თუნდ, ვნებით მთვრალი შენს ფერხთით თრთოდეს,
ნუ დაუჯერებ ალფონსთა ბოდვას!

ჟამთა ფერფლისგან შობილო ესტერ,
გამოექეცი ქარიშხლებს ბედის...
შენს ხვედრთან ბრძოლა გაბედე ერთხელ,
ქარს გაატანე სამოსი სევდის!

მზია გომართელი

სიცოცხლის ხარო!!

გთხოვ მომეც ღმერთო-— რაიმე რითმა,
გონება გაშრა --მთლად დაიწრიტა!
საზრდო აღარ მაქვს, მინავლდა– მიჰქრა
საღმა ფიქრებმაც-— ფეთქვა შეწყვიტა!
ყველაზე კარგი და სანუკვარი...
რითაც დავქროდი ავდარში– დარში,
დარდმა წამართვა--ხელი არ ვკარი,
გადამეღობა როგორც აფთარი!..
რისთვის იშრომე, რისთვის იწვალე?
თუ კაცის ცნობა-— ვეღარ ისწავლე.
და კიდევ, თუკი--ტკივილი იგრძენ,
მაშ სცენაზე ხარ --იმარჯვე ისევ!...
შენ მესაჭე ხარ, შენი ცხოვრების...
ხელს თუ გაუშვებ-— გადიჩეხები..
შუქნიშანია– გამოფხიზლების,
ზედმეტ ნდობას თუ გადაურჩები!...
უფალი გვიხმობს, გვცდის და გვასწავლის!
გზაზე გვხვდებიან ავან– ჩავანი...
ცხოვრების გზაზე ცუდად მავალნი..
ბრმანი არიან და წარმავალნი!...
დარდს ნუ ჩაყვები შეიცან თავი..
მაღლა იხედე დაგნათის ციდან...
დროს ნუ დაკარგავ -— დრო არის წამი..
იმედის სხივი, ანათებს -— იცან!!
ბნელს თუ გაქექავ--ვვარდები– ყვინთავ..
სიცოცხლის ხეს კი-— აჰყავხარ – გიცავს..
სიკეთით მას თუ დავხუნძლავთ მარად,
სიყვარულს თვითონ გვიგზავნის კვალად!!!

24 მაისი 2022 წ.

ნება...სიყვარულისა!!!

ლამაზი ქალი, ჩუმი და წყნარი..
შემთხვევითობით გადანაყარი..
მისი დანახვით თვით დანამდნარი...
უცნაურ გრძნობას მასთან ნაყარი!...

მერე ფრთები და აღმაფრენა..
მერე სიბრნავე და ვარსკვლავთცვენა!...
ამ გრძნობის შესვლით, მის სამყაროში...
მისი არსობის მთლიანად შეცვლა...

მზესთან თამაში ნათება სულის...
მიზეზი ხდება და შესაშური...
დაბრკოლებები, ძნელად სავალი..
"ლეგენდას" ქმნიან თვით სიყვარულის!...

რაა სიცოცხლე..თუ ერთხელ მაინც,
არ დაეწაფე, ამ ულევ წყაროს.....
არ დაგედინა ცრემლი ფაქიზი..
უცნაურ გრძნობის...ღაწვთა საფასო!...

აზვირთულ ტალღის მთის წვერზე ასვლა..
არც ადვილია, თანაც საამო!!...
ვეღარ ეშვები, ქროლვას ზვირთების
დაესესხები.. ნეტარს საამოს!!...

ნუ გაგიტაცებს ზვირთთან თამაში,
თუ შენი თავის არ ხარ იმედად..
ზვირთს კიდევ მოსდევს..
დაუსრულებლად, ბოლო არ უჩანს
ღელვათ დინებას!!...

ნება წაგერთვა!!... სურვილი მეფობს..
ულევ ტალღებზე ხტუნვა-ცურვისა!!..
და უნებურად ნაწილი ხდები..
სამყაროს უშრეტ სიყვარულისა!..

ეს ის გრძნობაა ღვთით ბოძებული..
გულს რომ იზიდავს, სულსაც ახარებს!...
ეს ჭანჭიკია იმ დიდი ღერძის...
სამყაროს ესრეთ რომ ატრიალებს!!!...

"ქალაო" ვარსკვლავთ სადარო!!

მე შენისთანა ქალს ვლოცავ..
რომ მოგყოლია მადლიო..
ასე ლამაზი რამ შეგქმნა ...
თან დაგატანა შარმიო!...
მიდის და მიაქვს ქვეყანა..
უამრავ თვალთა კვესაო!..
იმ "ერთის" სულს რომ ეხარა!..
მის ამბორს დაეკვესაო!...
მისი სამყარო...ხელთ– უქმნელს..
ზღაპარს მიაგავს--მთრთოლვარეს!..
თუ შიგ შეგიშვა: გაგავსებს....
გალაღებს აღგაფრთოვანებს!...
მის სულში..მცირედ– მწირია..
მონათესავის კავშირი!..
თითქოს თოვლს დაუბარდნია..
ლამაზი ზღაპრის ადგილი!...
ის მხოლოდ– ერთისთვის არის..
სხვისთვის არ არის ადვილი!..
ბევრი ჩანჩქერი გადმოსჩქეფს!..
ერთი მოგნუსხავს ვარდნილი!...
ერთს აიყვანს და აანთებს!..
არ მისცემს ნებას ჩაქრობის...
ნეტარებაში გაახვევს,
თავსაც რთავს ნებას დათრობის!...
ქალაო ვარსკვლავთ სადარო
იმზეგრძელე და იცოცხლე!...
ღმერთო ნამდვილი ქალები...
გაგვიმრავლე და გვიცოცხლე!!

2022 წ. 7 თებერვალი

* * *

ღამემ მომხვია ხელები ნაზად...
მთვარემ მაჩუქა სიზმარი თლილი...
რა უნდა ღირდეს ნეტავი ამად...
სიზმრად ქცეული ზღაპარი ტკბილი...
ცა მოიქუფრა, ასწია ფარდა..
რომ შეანელოს ელვა-ქუხილი..
მოგონებები აშალა ქარმაც....
და დაარღვია ჯებირი ზღვრული...
მოზღვავებული ქარტეხილები,
უცებ დაინთქა ვეშაპის პირით...
და როგორც ყველა სიშმაგის მსხვერპლი..
თან გაიყოლა ბნელი ტკივილი!...
ეს იმედია ჩაუქრობელი,
ნამწვზე-შებერვით ნაპერწკლებს ისვრის..
ტანთ გაიხადა, როგორც სამოსი...
აშლილ ვნებების პერანგი ცვილის...
ცა– აიტკიცა, განათდა უცებ...
ვარკვლავნი ჯარად ზეიმზე მიდის...
გაწბილებული ღრუბლის ქულები,
სულ ზევით– ზევით მიილტვის იჯრით ...
ის უნდა ნახო...რომ დაიჯერო...
ელვართ სამოსზე თამაში სხივის..
ეს ელვარება სპეტაკ სამოსთა..
ნეტავ არ იყვეს ამაოდ "ხიბლი"!..
ვაზის სამშობლოვ კვლავაც იხარე...
რომ დაიხუნძლოს ვენახი ტკბილი!!
ღმერთო შეგვინდე და დაიფარე...
ჩვენი სამშობლო– ლამაზი, თბილი!!!

10 ივლისი 2022 წ.

შენ ჩემი გაზაფხული ხარ!!!....

შენ ჩემი გაზაფხული ხარ,
სიცოცხლის განახლება,....
ფოთლების გადაძახილი,
კვირტის გამოსვლა ხეთა!....
ნაზი სურნელი ყვავილის
სიმთვრალეს ემსგავსება!...
ჩიტების ქორწილია
თუ, გადარჩენილთა ლხენა!....
ამ სილამაზეს, სიშლეგეს,
რატომ ვერ ამჩნევს ყველა?!...
ბუნების ზეიმია და
სულ ახლოს, შენთან ხდება!...
თუ გული დაკეტილია –
შეუმჩნეველი რჩება!...
უსიყვარულო კაცი
გამხმარ ხეს ემსგავსება!...
ღმერთო, ახლიდან
დაგვბადე, ასე ძნელია ნეტავ?!..
გულში შემოდი უფალო,
შენით ვხარობდეთ ყველა!
ამ სილამაზის შეგრძნება,
ზეცას აღწევდეს სვეტად!!!....
სვეტი მაღალი ღვთიური
სიყვარულს ჰფენდეს ქვეყნად!!!...

გაზაფხულივით უცნობო ქალო!!!

გაზაფხულივით უცნობო ქალო,
ხან მოღრუბლულო ხან კი "ალმასო"!...
ცვალებადობა შერწყმულა შენში..
გსურს რომ ცხოვრება გაალამაზო!
აი ეს არის ხიბლი ქალური,
არ ნასესხები; "დასთა"-დალური...
გამოუცნობი ვაჟთა ბუნებით!..
ინტერესების კრებთა "ნაჟური"!...
ბრძოლის ველზე ხარ მუდამ ჩაბმული..
ხან მომხიბლავი, ხან "ჯარს" გასული!...
ტალღის მთის წვერზე მაღლა ასული...
ხან დავარდნილი.. მიწას გართხმული!..
კვლავ წამომდგარი, არ დანებებით..
ახალი გზების მაძიებელი!...
შენი ხიბლით და გონიერებით...
ბოროტი ძალის დამტყვევებელი!...
ხარ " კიდობანი" გადამრჩენელი,
ზღვის ძლიერ ტალღას მინებებული..
ხან სანაპიროს მშვიდად გასული..
" თვალ-მარგალიტად" მიმობნეული!...
თოვლიან მთებში ნაზი ყვავილი...
ძნელად რომ მოსწყვეტ ... ხარ კმაყოფილი!...
მარტის თვესავით ამოუცნობი,
ღვთის ძლიერ ხელით გამოძერწილი!...
შენ ხომ დედაც ხარ, სიცოცხლის მშობი,..
ძალა კერიის და კაცთა მოდგმის!...
ამიტომ მოგცა დედა-ბუნებამ,..
"ბეჭედი" შენი უძლეველობის!...
შენი იმედით არის სამყარო,
მზესავით მნათო, ბურჯო – მართალო!..
უხვი სხივები გადააფინე!...
რომ დედამიწამ კვლავ იტრიალოს!!!...

2022 წ. 13 მარტი

გაზაფხულივით უცნობო ქალო!!!

გაზაფხულივით უცნობო ქალო,
ხან მოღრუბლულო ხან კი "ალმასო"!...
ცვალებადობა შერწყმულა შენში..
გსურს რომ ცხოვრება გაალამაზო!
აი ეს არის ხიბლი ქალური,
არ ნასესხები; "დასთა"– დალური...
გამოუცნობი ვაჟთა ბუნებით!..
ინტერესების კრებთა "ნაჟური"!...
ბრძოლის ველზე ხარ მუდამ ჩაბმული..
ხან მომხიბლავი, ხან "ჯარს" გასული!...
ტალღის მთის წვერზე მაღლა ასული...
ხან დავარდნილი.. მიწას გართხმული!..
კვლავ წამომდგარი, არ დანებებით..
ახალი გზების მაძიებელი!...
შენი ხიბლით და გონიერებით...
ბოროტი ძალის დამტყვევებელი!...
ხარ " კიდობანი" გადამრჩენელი,
ზღვის ძლიერ ტალღას მინებებული..
ხან სანაპიროს მშვიდად გასული..
" თვალ– მარგალიტად" მიმობნეული!...
თოვლიან მთებში ნაზი ყვავილი...
ძნელად რომ მოსწყვეტ... ხარ კმაყოფილი!...
მარტის თვესავით ამოუცნობი,
ღვთის ძლიერ ხელით გამოძერწილი!...
შენ ხომ დედაც ხარ, სიცოცხლის მშობი,..
ძალა კერიის და კაცთა მოდგმის!...
ამიტომ მოგცა დედა– ბუნებამ,..
"ბეჭედი" შენი უძლეველობის!...
შენი იმედით არის სამყარო,
მზესავით მნათო, ბურჯო – მართალო!..
უხვი სხივები გადააფინე!...
რომ დედამიწამ კვლავ იტრიალოს!!!...

2022 წ. 13 მარტი

* * *

ჰოი ცხოვრებავ რა დაგიშავე
რატომ მარგუნე სევდა ამდენი?!!...
მაბორიალებს და ტვინს მიბურღავს,
ფიქრი მთრგუნველი, ფიქრი შავ-ბნელი !...
თანაც ვერ ვხვდები ისე მელევა
ზღვა-ენერგია ჩემი თანმდევი!...
და უზომოდ ვარ გამოფიტული...
მარტო ვზივარ და მგონი დავთვერი !!...
თავს შევუძახებ რა დროს ეგაა,
არ დააცადო ბოროტს ამდენი!!...
მოიცილე და ზღვას გაატანე
ეგ შენი ფიქრი დარდი-ნაღველი!...
თორემ წაგიყვანს და გაგიტყუებს დარჩები
ბოლოს ტყე-ღრეს ნათრევი!!...
შენ ხომ უკვე ხარ გამობრძმედილი,..
ქარბორბალასთან ბრძოლას ნაჩვევი!...
სჯობს გაიხსენე: ის დრო, წამები,როცა
სილაღით, ცას ხარ ნაწევი!!...
ეს მოგონება და ეს შეგრძნება: გახდება
კვლავაც.. მთისკენ გზა– მკვლევი!!!...

მარტი 2021 წ.

ნელი გიუნაშვილი

ერთი პატარა სიზმარი

რა არის ნეტა ცხოვრება,
ერთი პატარა სიზმარი,
ხან ტკბილი, ღიმილიანი,
ხან მწარე, ხან ნაღვლიანი.

ცხოვრება გამოუცნობი...
გამოუცნობი რამ არის,
ქარიშხალია უდრეკი,
ამოუშრეტი ზღვა არის.

როდის ჩაგრიყავს ზღვის ფსკერზე,
ტალღებით დაგაბზრიალებს,
სად აგიყენებს ქარიშხალს,
მოგცელავს, გაგატიალებს.

ტირილით მოდის ამქვეყნად,
ცოდვილი ადამიანი,
დასტირის ყოფას, ცხოვრებას...
ანაღვლებს დღე ავდრიანი.

საწუთროს ვეზიარებით,
ბედნიერებას წამებით,
სავსეა წუთისოფელი,
წვიმანარევი ქარებით.

რისთვის მოვსულვართ ამქვეყნად,
რომ ვეზიაროთ სიყვარულს,
უხვად ვაფრქვევდეთ სიკეთეს,
ბედნიერებას, სიხარულს.

რად სჭარბობს სევდა სიხარულს,
რატომ ბობოქრობს მთის ქარი,
ვიწამოთ სარწმუნოება,
ღვთის კარზე დასაფიცარი.

ვილოცოთ, ერთად ვილოცოთ,
გადავარჩინოთ მამული,
გადავარჩინოთ შვილები,
და ჩვენი ენა ქართული.

მე განა მართლა ღვინო მწყურია

ღამის წყვდიადმა ჩამძირა ფიქრში,
გული აჩქროლდა სიყვარულისგან,
ღვინო მომწყურდა, ღვინო დავლიე...
ცრემლი მდიოდა სინანულისგან.
თქვენ არ იფიქროთ, მართლა ლოთი ვარ...
ანდა, სიმთვრალე მალაპარაკებს,
მე სიყვარულმა დამათრო მხოლოდ,
და სიყვარული მალაპარაკებს.
თქვენ, არ იფიქროთ, ალმასი მხიბლავს,
თვალ-მარგალიტი, ფირუზ-ლალები,
მე, საქართველო შემყვარებია,
ჩემი მამული სათაყვანები.
ჩემი დარდი ხარ, ჩემო ქვეყანა!
ჩემი ფიქრი და ჩემი გოდება,
შენა ხარ ჩემი სუცოცხლის წყარო,
ჩემი ტრფიალი, ჩემი ოცნება.
მე, განა მართლა..., ღვინო მწყურია...
ანდა, ლოთი ვარ გადარეული,
მე თავთავი ვარ, პურის მარცვალი,
ქართულ მიწაზე გადაბნეული.

თქვენ გაგიმარჯოთ!

რათ ჩამისაფრდი გზად, აჩრდილად...
დარდო! ლოდივით,
მე გულს მიმძიმებს უსაშველო...
ფიქრი, ლოდინი,
რატომ ხარ გულო! სევდიანი...
და ავდრიანი,
იმათ, რომ ჩემს სულს არ უხარის...
მტერთა ბოგინი.
რად არ მანებებს თავს ტიალი,
ფიქრი მაცდური,
შემასვით ღვინით სავსე თასი...
ალადასტური,
იქნება დავთვრე, დამავიწყდეს,
დარდი ქვეყნისა,
მე სიფხიზლეში მშვიდი ძილი...
აღარ მეღირსა.
დიდი ხანია, გიხმობ იეთიმ!
შენს სიტყვას ველი,
აბა, მითხარი დარდი ქვეყნის...
ვისი ვალია,
დღეს ჩვენი მიწა ცრემლით მორწყულა,
ეს ვის ანაღვლებს,
შენ სულ ამბობდი, რომ ქვეყანა შესაბრალია.
მართლაც, რომ ახლაც ასე არის,
ჩემო აშუღო!
ეს დედამიწა ბრუნავს, მაგრამ...
რა შეიცვალა,
უფრო და უფრო გაჩანაგდა და ძირს დაემხო,
ჩემი ქვეყანა..., ,ქართველებისგან,
მთლად დაიცალა.
მაშ! საიათნოვას რაღა ვუთხრა,
რით გავახარო,
იქნებ სთქვათ რამე, თითო სიტყვით
თქვენც შეგვეწიოთ,
თითოც დავლიოთ, წაუმღეროთ...
ბაიათური,
თქვენ გაგიმარჯოთ!!!
უფალი კი ჩვენ შეგვეწიოს.

ლია კუპატაძე

იაკობის დედა ენით აღვიზარდე

იაკობის დედაენით აღვიზარდე
საწერეთლოს აკვანსაც კი ჩავწექ წამით.
გალაკტიონს ფიქრებიც კი მე მოვპარე,
ილიასთან ერთად მომკლეს
წიწამურთან, მე იმ ღამით!

რუსთაველმა სიყვარული შემასწავლა,
მიჯნურობა, გაუტეხელ სიტყვის ფასი.
ღამესთან კი გრძნობა ფიქრმა ვერ დამალა,
გამოვცალე ავსებული ღვინით თასი!

სადღეგრძელო მე ლექსებად გადავფინე,
დედის რძიდან გამოზრდილმა ღვინოც შევსვი.
ო, რა კარგად პოეტებთან მოვილხინე...
თუმც რამდენი მათ შესახებ სიტყვა ვერ ვთქვი.

ვაჟას ჩარგალს ფშავურადაც შემოვსძახე...
და მოვკაზმე საჯირითოდ თეთრი რაში
სულ გავოცდი რაც კი იქ მე დავინახე,
ბუმბერაზნი შეკრებილან ერთობლ მთაში.

თვალს წალკოტი მათ შეხედვით გადმეშალა,
საწერებიც გაუშლიათ მინდვრად ბარში.
სიხარული აბა როგორ დამემალა,
დამიარა ჟრუანტელმა ისე ტანში.

იაკობს კი დედაენა გადუშლია,
რუსთაველს კი მოყმე უზის ზედ კალთაში.
გალაკტიონს ღამეები დაუთვლია,
აკაკის კი კვლავ აწვენდნენ მის აკვანში.

ვაჟას დიდი ნადიმობა გაუმართავს,
თამადობდა სუფრას დიდი რუსთაველი.
თვალს ასეთი სილამაზე არ უნახავს,
ამაყი ვარ მე რომ მქვია დღეს ქართველი!

იაკობის დედაენით აღვიზარდე,
საწერეთლოს აკვანსაც კი ჩავწექ წამით.
გალაკტიონს ფიქრებიც კი მე მოვპარე,
ილიასთან ერთად მომკლეს!
წიწამურთან, მე იმ ღამით!

წლებს ვაგროვებ

წლებს ვაგროვებ სიბერისთვის, ნეტავ რა დრო ჭირდება?
ჭაღარებიც გამიჩნდება, ვფიქრობ თუ მომიხდება,
როცა სარკეს ჩავიხედავ დამჭკნარ ნაკვთებს შეხედავ,
მოვინატრებ სიჭაბუკეს ეს დღეც ვიცი დადგება.

გავიხსენებ კვლავ ბავშვობას, მგელობანას თამაშით,
სიოსავით რომ დავქროდი დრო გამვყავდა ამაში,
დავდიოდი სიხარულით მოკლე ჩითის კაბაში,
საღამოს კი ვიძინებდი დედის დაღლილ კალთაში.

წლებს ვაგროვებ, გავიზარდე, ისევ მინდა თამაში,
ისევ მინდა ბავშვი ვიყო იმ სიყვარულს ვნახავდი...
ვიცელქებდი, ვიყვირებდი, ვიქნებოდი ამბავში,
მაგრამ უკვე რაღა დროა წლებთან ერთად დავქალდი.

მიდის დრო და თვლას ვაგრძელებ...
ისევ თამაშ თამაშით...
კვლავ წარსულზე მეფიქრება
მაგრამ ნეტავ სადამდის?
წლებსაც ხომ აქვს დასასრული,
ერთ დღეს ვიტყვი ნახვამდის.

სარკეს ძვირფასო

საკუთარ თავსაც ვესაუბრები
როცა დავდგები სარკესთან მარტო,
მას ხომ ვერაფერს ვერ დავუმალავ
მასთან ყველაფერს ვყვები და ვამბობ.

ვნატრობ ბავშვობას იმ დეებს წარსულს,
საიდუმლოსაც უამრავს ვანდობ.
ყველაზე მეტად ვენდობი სარკეს
მასთან ყველაფერს თამამად ვამბობ.

როცა დავსხდებით მე და ფიქრები,
და ჩამოვჯდებით სარკესთან ახლოს,
ვუცქერთ ერთმანეთს დაღლილ თვალებში,
მზერითაც ერთურთს ჩვენ ასე ვათბობთ.

მესაიდუმლე ჩემი თავის ვარ
სარკესთან თუმცა ყველაფერს ვამბობ,
სარკეს ძვირფასო ალბათ დამინდობ
რადგან ჩემს ფიქრებს ყველას შენ განდობ.

მ ო ვ ე ხ ვ ე ვ ი

თითქოს ცოტახნით ფიქრები ვაძინე...
თვალებზე ცრემლების მძივები გავწყვიტე.
ზღვის ნაპირს დავდექი, გზად ვარდიც ვაფინე,
ეკლები? სიყვარულს თუმც ვეღარ ვაცილე!

გული ამიჩქარდა ამბოხით ფეთქავდა,
ტალღებთან მინდოდა გაცურვა მეწადა...
სულის ტკივიკები იქ განმეცადა.
შევშინდი, ავტირდი, სიცოცხლე მედარდა!

უკან მოვბრუნდი სხვა გზა რა მებადა,
ტალღები ნაპირზე გულს მგლეჯდა, ხეთქავდა.
სხეული მითრთოდა ზღვა ისე ღელავდა,
შესვლას კი ვერა, შტორმში ვერ ბედავდა.

და ეს მოთმინება უკვე დამლევია
სევდა მომეჩვია ფიქრი გამჩენია.
ცრემლი თვალებიდან მდუღრად დამდენია,
გულში სიყვარულის დარდი ჩამრჩენია.

ზეცას ავხედე და... მთვარეს გაუშლია,
ღამით საზეიმო თეთრი სარეცელი.
ფოთლებს დაუწყიათ ხიდან ჩამოცვენა,
და მეც ზღვის ნაპირებს ვტოვებ, გავეცლები!

ტალღებს არ მივანდობ ნაფერებ სიყვარულს,
ვნებებს, აშლილ გრძნობას, შორსაც გავექცევი.
არასდროს დავიწყებ მე დროსთან სინანულს...
სიცოცხლეს?როგორც ხავსი ისე მოვეხვევი!

მოდი ძვირფასო

მიფრინავს წლები, დრო და წუთები...
და ჩვენ კი ისევ ვსდუმვართ ვყუჩდებით,
მოდი ძვირფასო ნუ დავდუმდებით...
და შევაერთოდ წრფელი გულები.

მოდი ძვირფასო შევკრათ კამარა,
შევხვდეთ ჩვენ ერთურთს ანთებულ ცაზე...
იქ კოცნა ტუჩებს არ დავუშალოთ,
ცრემლი ვაკმაროთ ორივემ თვალებს.

თრთოლვით შეგიხსნი კაბის საკინძეს,
შემოგეფსკვნები სარტყელად ტანზე,
ვნებიან ტუჩებს დავეკონები,
თუ ჩემსკენ ნაბიჯს გადმოდგამ მალე.

ათიათასჯერ გეტყვი მიყვარხარ,
ძილს უარს ვეტყვი ნასიზმრალ ღამეს,
ცაში აგაფრენ და ვარსკვლავებთან...
იქ დაგიკოცნი მაგ ლამაზ თვალებს!.

ლამაზი ქალი

ლამაზი ქალი გვერდს რომ
ჩაგივლით
ნუ გაგექცევათ თვალი,
იქნებ არ არის თავისუფალი
ან იქნებ მას ჰყავს ქმარი.

ლამაზი ქალი თუკი იღიმის
სიყვარულს აფრქვევს თვალით,
აცადეთ ტკბობა ნუ ჩაერევით
გვერდზე მიდექით მაინც

თუმცა კაცებო არ გემტყუნებათ
ლამაზი თუა ქალი?
მაშ კაცი აბა თქვენ რისთვის გქვიათ?
არ გააყოლოთ თვალიც.

ლამაზი ქალი გვერდს რომ
ჩაგივლით...
ნუ დაფეთდებით მაინც!
ნუ მოტყუვდებით მისი ღიმილით
იქნება მას ჰყავს ქმარი!.

და რა ჰქნას ქალმა თუ ლამაზია?
და უციმციმებს თვალი?
უფალს ღვთაება გაუჩენია
დაურქმევია ქალი!

წითელ ვარდებს

დილით როცა მზე ამოდის,
მთები წვდება მზის მწველ ტალღებს,
სიყვარულით დაეძებენ
ეს თვალები კვლავ შენს თვალებს.

დილით როცა მზე იღიმის
მითბობს სხივი დამჭკნარ მკლავებს,
ეჰ, სიბერევ რა ყოფილხარ...
სიყვარულს თუმც ვუმღერ კვლავ მე.

თითქოს ისევ ბავშვები ვართ
მივუყვებით შარა გზაზე
ახლა სიზმრად მაწვდი ხელში
პაემანზე წითელ ვარდებს.

რა ვქნა გული არ ბერდება,
ვერ ივიწყებს განვლილ წამებს.
სიყვარულზე უმღერს მუდამ
შენს თაფლისფერ ლამაზ თვალებს.

აღარ არიან

გაშავდა ზეცა, გაწვიმდა შავად
კვლავ თვალებს სევდის ცრემლები ცვივა
შავმა ღრუბლებმა ზეცა მოიცვა
ცა ისევ ცოდვის სარტყელად იქცა.

შეჩერდა სუნთქვა შეწყდა სიცოცხლე
სულებმა ზეცას დაიწყო გმინვა,
მარადისობას ცას შეუერთდნენ
სულ სხვა სამყაროს დაიდეს ბინა.

ნაფლეთ სხეულებს ხევში ეძებენ,
რა საშინელი გათენდა დილა.
შავ კვამლში არის გამოხვეული
ჩამოწვა ნისლი მოვიდა ყინვა.

აღარ არიან ცას მიაშურეს ანდრომ,
ლევანიმ, დიმიტრიმ, ზაზამ,
ორმა გიორგიმ ერთად დაგვტოვა,
ქეთევანს შვილო... ხმას არ გვცემს კახა!

დაღალა გული ამდენმა სევდამ,
ტკივილს ტკივილი მოჰყვება რატომ,
სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად
რვავემ თავისი დღეს უფალს ანდო.

ვინ ხარ რას მერჩი

როგორ გაგირთხამს სხვის მიწას,
ადამიანო ფესვები,
ნუთუ სამშობლო არა გაქვს,
სხვის კარს რომ ასე ევლები.

არ გენატრება იქ ყოფნა?
ამწვანებული ხედები,
წარსული ნუთუ არ გახსოვს,
დედის კალთაში ფერებით.

ცილს მწამებ! ვინ ხარ? რას მერჩი!
ჩემი სამშობლო ჩემია,
როგორ არ მახსოვს რას ამბობ...
მიჭირს შორს ყოფნა ძნელია.

მე საქართველოს შვილი ვარ,
ეს გზა კი ალბათ ხვედრია,
გულში იმდენ დარდს ვატარებ,
სხვის კარზეც დამიკვნესია.

დაღამდა მე კვლავ მესიზმრა,
სამშობლო ლამაზ ხედებით,
ისევ ფიქრებმა შემიპყრო,
წარსულზე მოგონებებით.

გამოვიღვიძე დამფრთხალმა,
თითქოს სამშობლოს მართმევდნენ,
ცილიც დამწამენ მკიცხავდნენ,
საყვედურებით ამავსენ.

სადაც არ უნდა წავიდე,
ბედმა მათრიოს შორეთში...
სამშობლოს სიყვარული მკლავს...
და ვიძირები მორევში.

ჩემო გეგუთო

როგორ ვუწოდო პოეტი ჩემს თავს,
თუ ჩემს გეგუთზე ლექსი არა ვთქვი,
თუ ვერ ავღწერე ის გრძნობა კალმით
ან სიყვარული მისი გადავთქვი.

შევჩერდი წამით თვალწინ დამიდგა,
ანცი ბავშვობა გაცოცოცხლდა ჩემში,
რიონის ნაპირს ფიქრით გავყევი,
სიცილ კისკისი კვლავ მესმის ხმებში.

ნოსტალგიამაც ისე შემიპყრო,
რომ, მერცხალივით ავფრინდი ცაში,
სულ სხვა გრძნობაა იქ დააბიჯებ
თამარ დედოფლის ნაკვალს თვლი გზაში.

ველზე გვირილა გადაპენტილა
ქარიც იქ დაჰქრის მდელოზე ფრთებს შლის,
ციხე კოშკი და ეს გალავნები,
დღეს ისტორიას ყვებიან ჩვენთვის.

გეგუთო ჩემო სიყრმის ალაგო,
ახალგაზრდობავ წასულო წლებში,
რა პოეტი ვარ ლექსი არ გიძღვნა
და არ მოგხატო კალამით ხელში.

სიყვარული ხომ შენთან ვისწავლე ,
ფეხი ავიდგი ნაზღვაურ გზებში,
ხომ არ დაბერდი ჩემო გეგუთო...
მე კი ჭაღარებს ვეღარ ვთვლი თმებში.

გაზაფხულს

ყველა ოცნებას ფრთებს გამოვასხამ...
კვლავ შევუდგები ცხოვრების აღმართს,
ყველა ბილიკზე ღიმილებს ვაფრქვევ,
აღარ დავუწყებ ჩემს თავსაც კამათს.

ვეალერსები გაზაფხულს ისევ,
უგაზაფხულოდ დღეები შემშლის...
და ჩემს ცხოვრებას პატარა ზღაპრად
გადავაქცევ და ცოტახნით შევცვლი.

ვივლი ოცნებით მე იმ ქუჩაზე,
სადაც ბავშვობა დავტოვე გრძელი.
სადაც ოცნებებს ფერადს ვხატავდი...
იქ გავლა თუმცა უკვე არს ძნელი.

ავკინძავ ფიქრებს მარგალიტებად,
შევკრავ კონებად მე ისევ ვარდებს.
გადავიქცევი უცხო ზმანებად,
დარდს გავატანდი წვიმიან ქარებს.

ჩემს ყველა ფიქრებს ოცნებად ვაქცევ,
ავღწერ ფურცლებზე ცხოვრებას სავალს.
არაფერს დავწერ უკვე წარსულზე,
რადგან წარსულ წლებს დრო უკან მალავს.

მე იქ მოგელი

თუკი ღამეა ფიქრთა მშველელი,
თუ საიდუმლოს მთვარე ინახავს,
მოდი იქ შევხვდეთ მე იქ მოგელი...
იქ ვარსკვლავებში ვერვინ მოგვნახავს.

თუკი ღამეა ფიქრთა საუნჯე,
მაშინ ფიქრებით გულს ნუ ვიტანჯავთ,
ჩვენ იქ გავყუჩდეთ, ღამის წყვდიადში,
იქ ვუთხრათ ერთურთს როგორ მიყვარხარ.

მოდი განთიადს ახლა იქ შევხვდეთ,
სიყვარულს ავუნთოდ სანთლები წმინდა...
და იმ აფსტრაქტულ სამყაროს გასწვრივ,
შემოვიკრიბოთ ღრუბლები წმინდა.

თუკი ღამეა ფიქრთა მშველელი,
გულს ავაცილოთ დარდი და სევდა
ღამის წყვდიადში იქ ვითარეშოდ...
იქ შევხვდეთ ერთურთს იქ ვიწყოთ ლხენა.

ამ სიყვარულით სამყაროს შევცვლით,
ფრთებს გავშლით მაღლა დავიწყებთ ფრენას,
გაყუჩდებიან ირგვლივ ფოთლები...
და ვარსკვლავებიც შეწყვიტავს ცვენას.

უშემოდგომოდ

რას შევადარო ჩვენი სიცოცხლე,
თუ არა დამჭკნარ ფოთოლთა ცვენას,
ნაშემოდგომებს ტოტებს რომ წყდება...
წამში სამყაროს ტოვებს და ქრება.

სიცოცხლე კვირტთა აფეთქებას ჰგავს,
მზე რომ დახეთქავს ამოყრის ყლორტებს,
გაშლის ტოტებზე სიცოცხლის ნაყოფს...
და შემოდგომით კვლავ ისევ გვტოვებს.

რაღაცით ცოტა ფოთლებსაც ვგავართ,
თუმც განსხვავება მაინც არს ჩვენში,
ისინი გაზაფხულს იბადებიან,
შემოდგომით კი ცვენა აქვთ ხევში.

ჩვენ კი სიცოცხლეს ცხრა თვე მოველით,
ვზრდით შვილებს მუცლად მათ ველით განცდით,
ახალ სიცოცხლეს დავლოლიავებთ
ღამეებს ვათევთ ფიქრებში დარდში.

გარდაცვალება რას შევადარო,
კვლავ ისევ ფოთლებს? რომ ლპება ხევში,
ჰო, ალბათ ვფიქრობ ასეა აქაც
სიკვდილ - სიცოცხლის ერთი გვაქვს წესი.

უშემოდგომოდ სწყდებიან ტოტებს,
ამწვანებული ზოგჯერ ფოთლები,
დღეს ფოთოლცვენის დღედ იქცა ზეცა,
კვდება სიცოცხლე ხმება ყლორტები.

თამარ ჯაფარიძე
(1964 – 2019)

***

პოეტები ქმნიან თავიანთ სამყაროებს, სიყვარულითა და ტკივილით სავსეს, მიმზიდველი ფერებითა და მუსიკით გაჯერებულს...

ასეთი სამყარო თამარ ჯაფარიძემ სამ წელიწადში შექმნა და ეს მშვენიერი წიგნიც დაიბადა. კითხულობ ლექსებს და ხვდები – ავტორს შეუძლია ჩაგკიდოს ხელი და გამოგზაუროს თავის განცდებთან ერთად, შენც მიჰყვები ძალდაუტანებლად, რადგან მოგწონს ეს ყოველივე...

რა თქმა უნდა, ეს იმ ნიჭის წყალობაა, უფალმა რომ თამარისთვის არ დაიშურა და კიდევ ერთი მშვენიერი პოეტი აჩუქა მკითხველს...

(წიგნიდან - „დამაგვიანდა“)

ედუარდ უგულავა

ო, შენთვის

ვწერ სიკვდილის და სიცოცხლის ზღვარზე...
რუტინებზე და ანგარიშებზე,
ვწერ ჩემზე... მასზე... სხვაზე და სხვაზე,
მაგრამ, რატომღაც, ვეღარ ვწერ შენზე.
და ისევ ვტირი ავზე და კარგზე,
ავივსე ცრემლის მრავალწერტილით.
ხან ვტირი ჩუმად, ხან –მაღალ ხმაზე,
მაგრამ შენ გამო ახლა ვერ ვტირი.
ვიცინი... სიცილს ტირილი ერთვის,
ვიცინი აქაც... იქაც... და ყველგან,
ვიცინი მისთვის... სხვისთვის და ჩემთვის...
მაგრამ... ო, შენთვის ვიცინი ვეღარ.
ისე უღმერთოდ მომწონდი გუშინ,
რომ რაღაც, წმინდა, დავახრჩვეთ ერთად...
დღეს მხევალივით ვლოცულობ გულში,
ხვალე კი – უნდა მივიდე ღმერთთან.
ვცოცხლობდი მუდამ ნეკნით და თიხით,
ვცოცხლობ „ღვიად და... დეკად და ღოლოდ“.
ვიცოცხლებ ჩემთვის... მისთვის და სხვისთვის...
მაგრამ... მოვკვდები მე – შენთვის მხოლოდ.

კაფე „თეთრი ქვები“

ჩემთან ხიდი და თეთრი ქვებია...
შენთან მტკვარია და ნარიყალა,–
ჩვენზე ამბობენ: ვერ შეხვდებიან,
რომ ჩვენი გზები კვლავ გაიყარა.
მაგრამ, ხომ გახსოვს, სუნთქვა დიორი,
სიო ნაზი და საღამოს „7“,
გასაგიჟებლად მშვიდი რიონი...
მშვიდი კლავიში... და კაფე მშვიდი, -
მეც კარგად მახსოვს! დღეს კი ამ ქარის,
არ ღირს ატანა, თუკი არ გინდა.
შენ არ ხარ, თორემ კაფეც აქ არის,
პიანინოც და კუთხის მაგიდა...
ჩვენზე ამბობენ: – ვერ შეხვდებიან,
რომ ჩვენი გზები, კვლავ, გაიყარა!
ჩემთან ხიდი და „თეთრი ქვებია“...
შენთან – მეტეხი და ნარიყალა!

მტრედი რაფაზე

ალბათ, ნამდვილად ჯობია ამდენ
დავიდარაბას და თუნდ ამ ფრაზებს,
პურის ნატეხი, ისევ რომ დავდე
მტრედისთვის, დილით, ფანჯრის რაფაზე.
დიდხანს ვარკვიე – რამდენი? ვინ? ვის?
და დღეც გავიდა, რუტინის მსგავსი,
მაგრამ, რაც მტრედზე მოვყევი, იმის
რა გავაკეთე, ნეტავი, ფასი?
...
სხვა რა მაქვს შენთვის – ხმელა პურიღა,
ღმერთმა შეგარგოს, მადლობაც არ თქვა,
ბოლოს და ბოლოს, შინაური ხარ,
ამიხმაურე თუნუქის რაფა.
მგონი, არ გვიჭირს თავის გატანა –
მე შენ გიშველი, შენ – მე განმკურნე,
ხვალაც მოფრინდი, ჩემო პატარავ
და ფანჯარაზე მომიკაკუნე.

ისე ვწერ

ზუსტად ისე ვწერ, როგორც ვმეტყველებ,
როგორც მეთქმის და რაც მეფიქრება,
მხოლოდ, დროდადრო, ვატყვევებ სიტყვებს,
ცოტას ვაწრთობ და მოქნილ რითმებად
ვალაგებ ისე, როგორც გამომდის,
ვალაგებ სიტყვად... საქმედ... წიგნებად...
და დღეს თუ არა – ხვალ საღამომდე,
ერთი უბრალო ლექსიც იქნება
შენთვის... და არ ღირს გადამწარება
გულის... და სახის გადაფითრება!
ახლაც იმას ვწერ, რაც მეწერება,
რაც მედარდება და მეფიქრება.

და ღიმილს ვგავარ...

მოიყოლებენ კბილებში ბწკარედს
ზღუდეები და ძალიან ხშირად
ვყლაპავ იმ ცრემლებს, ოდესღაც მწარედ
ყელში ბურთებად რომ გამეჩხირა.
მე ზღვას ტალღებით, ყოველ ნაპირზე,
დამდნარი ქაფის ბედით ვერევი
და ღიმილს ვგავარ... რომელსაც პირზე
არ იკარებენ ბედნიერები.
ნავი იალქნებს ქარს შემოამტვრევს...
უნიჩბოდ, როგორც მაშინ, ვტოკავ და
უბეთჰოვენოს ვხატავ სონატებს...
და უორღანოდ დაკრულ „ტოკატა“-ს
ქარს გავატან და ვერაფრით ვწამლობ,
თუმცა არ მწყინს და არც მიხარია,
რომ მობეზრებულ სიცოცხლედ ვწვალობ –
ბევრმა რომ დათმო დიდი ხანია.
სიზმრის ნისლიან რძისფერ ქუჩებში
ჩემი თმები და შენი ღაწვია,
...და ჩურჩულს ვდარდობ, იმ სიჩუმეში
შენს გულამდე რომ ვერ მოაღწია.

***

ახლა მე აქედან წავალ და...
როდის დავბრუნდები, არ ვიცი,
ტაეპს დამადევნებს თამადა –
სტერეოტიპულად განვიცდი.
ვნატრობ იმ მზეს, დაღლილს,
მაინც მწველს
და მე, მზეზე უფრო დაღლილი,
მალე გავუღიმებ ძაღლის წელს,
ისიც შემომიყეფს ძაღლივით.
ჯერაც უსაშველო ბინდი ვარ,
მტკივა დაბინდული ირისიც,
ახლა მე აქედან მივდივარ...
როდის დავბრუნდები –
ვინ იცის?!
ნანა მომცელოძე

წასვლას რა უნდა

თითქოს, რა უნდა –
გაიხურავ კარებს და...
წახვალ...
დარჩება მხოლოდ
მოკლე ფრაზა და ნარატივი,
მაგრამ შენ აქ ხარ...
და მანამდე, სანამ შენ
აქ ხარ,
კარის გახურვაც
არ იქნება ასე მარტივი!
წასვლას რა უნდა
იქით, სადაც წამახულ ფორმებს
სიგლუვე ცვლის და
იქით, სადაც სიმშვიდე
მოჩანს,
შენ რომ ვერ გნახავ
ის მანაღვლებს მხოლოდღა, თორემ
წასვლას რა უნდა –
ადგები და...
წახვალ და...
მორჩა!
წასვლას რა უნდა
იქით, სადაც მიმკრთალმა დო-რემ,
ნარინჯისფერი,
გადაფარა ტყვიების
ზათქი,
შენ რომ ვერ გნახავ,
ის მადარდებს ცოტათი, თორემ,
მე ამ ცხოვრების
უგემური ყოფისაც
რა ვთქვი,
დინება რომლის
უცებ გახდა საზარლად მდორე,
სიბლანტე რომლის,
გაქვავდება ან დღეს და
ან ხვალ...
შენ რომ ვერ გნახავ,
ის მანაღვლებს, ძვირფასო, თორემ
წასვლას რა უნდა –
გაიხურავ კარებს და...
წახვალ!

მაია ხარაიშვილი

❤

უღიმღამოდ გაილია ეს თვე
და იწყება თებერვალის ფერი,
ლაგოდეხი – ჩემი მონატრება,
ლაგოდეხი – ჩემი ყველაფერი.

მონატრების ფერი სხივი კრთება,
ჩანჩქერიდან ატყორცნილი თითქოს,
ნაწვიმარი ლაგოდეხის ხევი,
მე მეძახის და თავისთან მიხმობს.

გადირეკა მოგროვილი დარდი,
წაილეკა ალაზანის ხევში,
ხევის ნაპირს მივუყვები უხმოდ
შეციებულ ენძელებით ხელში.

მზის სხივები მოეფინა ნაკრძალს,
გაილია იანვარის სუსხი,
დღეს ვიღაცა მეძახოდა იქით,
დღეს ვიღაცა თეთრ ენძელებს მჩუქნის.

დაუბერავს თებერვალი თბილად,
იფერადებს ნაკრძალისკენ ზეცა,
მონატრებულ ლაგოდეხის სუნი,
ამ სიშორეს სურნელებით მეცა.

დაიწყება თებერვალში აწი
ჩემი თეთრი ენძელების თოვა,
ალაზანზე გადმოვცდები ღვარცოფს,
შენს ნაკრძალში მონატრებით მოვალ.

უღიმღამოდ გაილია ეს თვე,
დაიწყება თებერვალის ფერი,
ლაგოდეხი – ჩემი მონატრება,
ლაგოდეხი – ჩემი ყველაფერი.

❤

ბოლო წამში გაიბზარა ტემბრი,
შენი ხმის და ჩემი სუნთქვის ერთად,
ქვეყანაზე რომ არ იყოს ღმერთი,
უეჭველი გიწამებდი ღმერთად.

შენთან ახლა გაწვიმდა და ზეცას,
გამოექცა გრუხუნების ხმები,
იმ ბავშვობას მივეკედლე ისევ
და ბავშვობის ბილიკებით ვთბები.

სევდანარევ შერეული ხმებით,
გულში წვიმამ დამიცრემლა წამი,
და უშენო მონატრება იცი,
ვერ შევძელი შემეცვალა რამით.

აირია ნაწვიმარი ეზო,
იწკუმპლება ლამპიონის შუქი,
ჩემს სიყვარულს მთვარის შუქად გიფენ,
ჩემს სიყვარულს გულით სავსეს გჩუქნი.

ბოლო წამში გაიბზარა ტემბრი,
შენი ხმის და ჩემი სუნთქვის ერთად,
ქვეყანაზე რომ არ იყოს ღმერთი,
უეჭველი გიწამებდი ღმერთად.

❤

როგორ ჩუმად გაიფრინა წლებმა,
როგორ ჩუმად დაიბერტყა ფრთები,
როგორ ჩუმად მომერია სევდა,
როგორ ჩუმად შემეევერცხლა თმები.

წავედი და გავიხურე კარი,
გამყვა შენი ღიმილი და სევდა,
გულში ჩამრჩა დასტრესილი ელვა,
თოვლზე მესიჯს მზის სხივად რომ სდევდა.

როგორ ჩუმად გაიფრინა წლებმა,
როგორ ჩუმად ამიშალა დარდი,
როგორ ჩუმად გავუმხილე ჩემს თავს,
როგორ ჩუმად, ჩუმად შემიყვარდი.

წავედი და გავიყოლე დარდი,
შენთან დარჩა ჩემი ფიქრის კვალი,
მოვიარე ეს სამყარო ყველგან,
ვერსად ვნახე შენისთანა ქალი.

❤ ❤ ❤

ექიმი ექიმს ესაუბრება,
ის დაუამებს ეჭვებს გაჩენილს,
ექიმი უხმოდ გასცქერის ფიქრში,
სიცოცხლის ფინალს, წუთებს დარჩენილს.

თვითონ ექიმი ყველაზე მეტად
უფრო განიცდის სულ ყველას ტკივილს,
ერთგულად იცავს ჰიპოკრატეს ფიცს,
ნიღბიან ღიმილს აშველებს ტკივილს.

ექიმს ყველასი ტკივა ტკივილი,
რადგან უსიტყვოდ ყველაფერს ხვდება,
ექიმი თვითონ თვით სიცოცხლეში,
ალბათ ათასჯერ უსიტყვოდ კვდება.

ყველაზე მეტად ექიმებს სტკივათ,
ყველაზე მეტად უმძიმთ ექიმებს,
სულ ყველაფერი იციან უხმოდ
და უფრო მეტად უჭირთ ექიმებს.

მეამაყებით, დაგლოცავთ ყველას,
ვინც პატიოსნად იწამეთ ფიცის,
ყველაზე მეტად მიყვარხართ, რადგან
ყველაზე მეტად სიკვდილის იცით.

ექიმი ექიმს ესაუბრება,
ის დაუამებს ეჭვებს გაჩენილს,
ექიმი უხმოდ გასცქერის ფიქრში,
სიცოცხლის ფინალს, წუთებს დარჩენილს.

❤ ❤ ❤

ცხოვრება მიდის შეუჩერებლად
სამყარო მოსჩანს ვით ნამთვრალევი
ამ სამყაროში როცა გავქრები,
გზად დამირჩება ეს ნაკვალევი.

და როცა ცაზე გაკრთება ელვა,
კვლავ დაიწყება წვიმების თქეში,
მე შენი გული მომისაკლისებს,
ისევ ზაფხულში, ივნისის თვეში.

არ დაიჯერო, ვინმეს უყვარდე,
არ დაიჯერო ვინმეს ტრფიალი,
ადამიანის გული შლეგია,
მაინც უგულო, ოხერტიალი.

ძველი ტბისაკენ გავივლი ისევ,
მასოს ბაყაყებს დაითვლის ბიჭი,
გიტარის ხმაზე ჩამოიტირებს,
სულ ახლანდელი, ბავშვური ნიჭი.

ჩემს სამყაროში ისევ გრუხუნებს,
ისევ ირევა ცაზე ღრუბელი,
სულ ყველა რითმას ისევ დავსტრესავ,
თუკი რამ დამრჩა ისევ უთქმელი.

და წავუმღერებ იმ ლამაზ წარსულს,
არყით გაჟღენთილ ,,თეთრი ვერხვებით",
თოვლზე დაწერილ სიტყვიან მესიჯს,
ახლაც ვკოცნი და ახლაც ვეხვევი.

ცხოვრება მიდის შეუჩერებლად,
სამყარო მოსჩანს ვით ნამთვრალევი,
ამ სამყაროში როცა გავქრები,
გზად დამირჩება ეს ნაკვალევი.

❤❤❤

დავით ძნელაძე

ქობულეთი

ვისაც არ მოუსმენია
ქობულეთში გუდასტვირი;
იმას ბევრი დაუკარგავს,
– მიკვირს, როგორ არა სტირის.

ვისაც ჩვენი არ უნახავს
,,ფიჭვნარი" და ზღვის ნაპირი
აფსუს, ნერწყვი არ მოადგეს
და ულუკმოდ დარჩეს პირი.

მე აქ მზის ფლისებში ვცურავ
და კინტრიშის მესმის ჩქერი;
თიკვერიდან წამოსული
მეფერება სიო ნელი.

ხეობაა, ბუნებაა,
მე კი არა ღმერთებს შეშლის,..
ამიტომაც სიყვარული
დამერწმუნეთ აქ სულ ფრთებს შლის.

აქ სულების სავანეა,
აქ ყველაფერს ზღვის სუნი აქვს...
ერთხელ მაინც ინახულეთ
სანამ წახვალთ იმ დუნიას.

იდუმალება

ყველაზე არეული ჩემი კომპასია
და იდუმალება ტანჯვის ტოლფასია.
ჩემთვის თქვენთან ყოფნა მწარე ნაფაზია,
მაინც ვერ გშორდებით, არ მაქვს სხვა შანსია.

– ,,ფესვიდან იზომება“,.. იტყვის სიდონია,
ვეღარ ვაგუგუნებ ყოფის სიმფონიას.
ახლა ვინღა ეძებს სიძეს დიპლომიანს,
ვაჟკაცს ჭკვიანსა და ჭაბუკს ზრდილობიანს.

ალბათ შევუკვეთავ ნიღაბს სანდომიანს,
ვიდრე მომკიდებდნენ გულზე აგონიას.
ასე და ამგვარად დაწყვება კომპასი
და იდუმალება ყვირილის ტოლფასი.

ჯიუტი ვარ

რამდენი ,,გოლი“ არ ჩამითვალეს,
რამდენი ვარდი არ გამიხარეს,
რამდენ სტრიქონებს გამოესარჩლნენ,
რამდენჯერ სიტყვა არ დამაცალეს.

რა უნდათ, მაინც ვერ გამიგია,
ჩემი ქმედებით, ნეტავ, ვის ვავნე,..
მამაჩემივით ჯიუტი ვარ და
მთელი ცხოვრება მე ასე განვლე.

ცოტაც და ქრისტეს ასაკთან მივალ,
მანამდე მსურს, რომ ქუდი მეხუროს;
მე ლმობიერი დღეს ვერ გავხდები,
რადგანაც ვხედავ ამდენ უგულოს.

შევჭედავ აბჯარს ლექსებისათვის,
საშველს არ მივცემ ჩემს ერთგულ ხუროს,
ყველა სტროფი და ყველა სტრიქონი,
ჩემ საქართველოს რომ ემსახუროს.

თაყვანისმცემელს ლექსი მომიყვანს
და მეცენატიც მხარზე ხელს მომხვევს,
დაფნის გვირგვინი არ მეღირსება,
ეშმა კალენდრის ფურცლებს ჩამოხევს...

მსახვრალი ფიქრი ვერ დამაჩოქებს,
ზოგს არ ეგონოს, საქმე წამივა,
მამაჩემივით ჯიუტი ვარ და
უნდა ვიარო სანამ გამივა.

მე საბნის ზომას ვერ დავჯერდები,
გარეთ ვყოფ ფეხებს, ვკარგავ თბილ წინდებს,
სიღარიბეში ჩაკვდება ხორცი
და თავს შესწირავს სულის სიმდიდრეს.

მსხვერპლშეწირვა

(ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის,
ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი
სისხლი,
რადგან ღვთის ხატად შეიქმნა ადამი)
ბ ი ბ ლ ი ა

სიზმარი ვნახე...

წითელი ჭინჭი შემაბეს ყელზე,
მხრები მიმძიმდა... სამსხვერპლოზე ვიდექ ეული.
ჯალათის ხელით ამომართვეს პირიდან სული,
მერე კი ცერბერს გადაუგდეს ჩემი სხეული...

მისტერიები თამაშდება სანთლების შუქზე...
დენთის მხრჩოლავ კვამლს გააყოლა ხალხმა გონება.
მემატიანემ ლამის არის თავი მოიკლას
და ცრემლნარევი ისტორიის ისმის გოდება.

ლულა აფურთხებს სასიკვდილო ტყვიებს ზმანებით,
– ნუთუ ქართველმა ისევ ქართველს უნდა ესროლოს.
დღეს ბაზალეთის
,,ოქროს აკვანს“ თბილისს რა უნდა?!
... გაზეთის გვერდი ვეღარ იტევს ამდენ ნეკროლოგს.

ისევ ეს ცეცხლი, ისევ მოთქმა, ისევ ვაება,
ზარების რეკა გამუდმებით უკვე არ მიკვირს...
იქნებ ქართველებს
,,არიადნეს ძაფმა“ გვიშველოს,
იქნებ ოდესმე დავაღწიოთ თავი ლაბირინთს.

...ასალარელი კაცი მოვა ვიცი ამ ღამით,
ერთ ბარგად შეკრულ ყველას ცოდვას სხვაგან წაიღებს.
ბოლოს თემიდა გამოარკვევს ალბათ ყველაფერს
და ყველასათვის მოწყალებას თავად გაიღებს.

საკო-ვანცეტის
პროცესი სურთ გაიმეორონ,
პოლიტპატიმრებს ყალბ ბრალდებებს უჩრიან ხელში.
ზოგმა ქართველმა ფაუსტივით გაჰყიდა სული
და თავის მოძმეს ვამპირივით ეტაკა ყელში.

დაიწერება თეთრზე შავით სიტყვა სანქცია...
მერე კი ცოდვილთ გადაჰკიდებს ეს დრო საპალნეს.

საპროფაგები მიესევა უმწეო ლეშებს,
ვერ ეღირსება მათი სული ვერსად სავანეს.

როდის გამოვალთ სინათლეში ამ წყვდიადიდან,
მოირეებს როდის გამოვტაცებთ ჩვენ საკუთარ ბედს?
რომ საბოლოოდ ზედმიწევნით შევისისხლხორცოთ
– ოცდამეერთე საუკუნე სულ სხვა გრდემლზე ჭედს.

ჯვართამაღლება ახლა გვინდა საქართველოში,
ღვთისმშობლის წილხვედრს – ვეალერსოთ საკუთარ მიწას...
მამა, ძე ღმერთი, სული წმიდა – ჩვენ გვმფარველობდეს,
სამარადჟამოდ ვემსახუროთ სანუკვარ მიზანს.

ღმერთმა არა ჰქნას ჩვენ სატანას ,,კერძები“ გავხდეთ,..
ყველა ქართველმა დღეს ერთმანეთს უნდა ვეფეროთ.
მანათობელი ისევ ადგეს კავკასიონს – მზე,
იმედის თესლსაც გაღვივება მუდამ ეწეროს.

ღმერთო, კეთილად ამიხდინე ჩემი სიზმარი...

მანგლისის დილა

ჟამი არის სანატრელი,
ცად მუზები
დაფრინავს...
მზის ამოსვლის გორაზე ვარ
რა ხანია არ მძინავს.

იდუმალი სიჩუმეა,
მთები გულში მღერიან...
მთელი ღამის მონატრებულ
ცხრათვალა მზეს ელიან.

არემარე იზმორება,
აი, უკვე თენდება...
ცისკარს ვარსკვლავმა უგანა,
ალიონი ჭენდება.

რა ლამაზი აისია,
რა ნათელი ფერები...
ამიტომაც ზღაპრულ დილას
ლექსით მოვეფერები.

...მე გავხსენი სამყაროსთვის
ახალი დღის კარები...
პოეზიით ფრთებშესხმული
ღმერთებს მივებარები.

* * *

გვერდით ჩამირბენს სხვისი ბავშვობა,
ჩემი ბავშვობის რაღაც მისხალი.
მომაგონდება ძველი ანცობა -
ამიტირდება ხარი მისანი.

მე რაც დავკარგე სხვამ შეიძინა,
სხვამ რაც დაკარგა – მე ვარ მფლობელი.
გუშინ მცხეთაში მაჩვენეს ბავშვი,
მეც დავულოცე იმ ბავშვს მშობელი.

ჩემი ცხოვრება არის ძიება,
ასეთ ყოფაში თითქოს ვბერდები.
ჩოქვით დავეძებ ზესილამაზეს
და ბოლოს მაინც ბავშვთან ვჩერდები.

გვერდით ჩამირბენს სხვისი ბავშვობა,
ჩემი ბავშვობის რაღაც მისხალი.

* * *

გ - ანგების ხელი ჩაერია მის სიცოცხლეში,
ი - მ დროს შეჩერდა გულის ცემა, როცა განათდა.
ა - ღორძინებას, შერიგებას – მსხვერპლი სჭირდება...
ა - ლალიმც იყოს საქართველოსთვის.
ბ - ურუსი შთანთქა აზვირთებულ ტალღათა გროვამ,
ე - რთსულოვნება ქვითინებდა – ძირს დაცემული.
ს - ული ზვარაკად შეწირული ცისკენ ილტვოდა...
ა - ლალიმც იყოს საქართველოსთვის.
,,**ძ** - ალიან მტკივა, მაგრამ კარგია...
ე - ს მსხვერპლი მე ვარ, ღმერთმა ჰქნას ბოლო“.

ბათუმი

მეფერება მოელვარე სანაპირო,
აგვისტოს მზე პალმის რტოზე ქანაობს...
კვლავ ცოცხალი მუსიკაა ,,პიაცაზე“
და ,,ნეპტუნი“ შადრევანში ბანაობს.

დღეს ბათუმში ვხეტიალობ მოგზაური,
ჩემს ვოიაჟს არ სჭირდება სიფრთხილე,..
ამ ქალაქში ხალხის რწმენა ზენიტშია,
აქ იმდენი სალოცავი ვიხილე.

ფერიის მთამ დამანახა სილამაზე,
ის ზემოდან ჩანდა როგორც ზღაპრული...
უფრო მეტად შემიყვარდა ეს ქალაქი,
მისი ზღვა და მისი მიწა ქართული.

თოლიებით გავსებული ნავსადგური,
პატარა და უფრო დიდი გემები...
ერთი ნახვით შეყვარებამ ასე იცის
შემეცვალა დასახული გეგმები.

ველოსიპედს ვარბენინებ ბულვარ-ბულვარ,
სანაპიროს სილამაზით დავტკბები...
,,ნურის“ ტბაზე დავისვენებ სულიერად
და მეგობრებს ,,ჭაჭის“ კოშკთან დავხვდები.

ხაჭაპურებს შევუკვეთავთ აჭარულებს,
მოცეკვავე შადრევნებთან დავსხდებით.
კიდევ ერთხელ ვადღეგრძელებთ ბათუმის მზეს
და მერე კი ყველა ზღვაში ჩავხტებით.

ეთერ ლობჟანიძე

* * *

სხვისი არასდროს არ გვსურდა,
არც რა გვაქვს, სხვისი ვალიო,
მტერო გაგვშორდი, გაფრთხილებთ
სხვაგან იბრუნე თვალიო...
არც რა სიმდირე არა გვაქვს,
არც ქონების გვაქვს ხვავიო,
სამშობლო გვიღირს ედემად
ის უფლის წილხვედრ არიო...
არ გაპატიებთ უფალი,
თუ ძალა მომრევ არიო,
იცოდეთ უფლის მომრევი
ჯერ არსად არვინ არიო....
ღმერთო , გავედრებთ სამშობლოს,
არიდე უგნურთ ხმალიო,
ადრე სხვა იყო მტერსაც კი
გამჭრიახ ჰქონდა თვალიო..
დღეს ავადმყოფი სამყაროს,
წამალი არსად არიო,
მხოლოდ შტერები მრავლობენ
ჭკვიანს არ მისცეს გზანიოო..
გიჟების ხელში ქვეყანა,
მართლა საბრალო არიო,
შენ დაიფარე უფალო.
სამშობლო, ჩვენი ჯვარიო!

* * *

აქ , ყველაფერი საუბრობს,
მიწა, წყალი და ბალახი,
აქაა ჩემი სამყარო
უფლის ხელებით ნახატი...
ტყეში იელი ყვავილობს,
ყვითლად მოჰქარგა ველები,
მთებში წვიმს, მღვრიე ტალღებმა
რიონს უცვალეს ფერები....
ხან და ხან გამოიდარებს,
მზის შუქს მოიხდენს ქედები,
გოგონა წყალზე გამორბის
ხელში უჭირავს ვედრები....
სოფლის შარაზე ნახირის.
ჩლიქს ავარდნილი მტვერები,
ცაზე აჭრილი ნისლები
გაფანტულ-ვერცხლიფერები....
დევების მსგავსი კლდეები,
დაბლა ხევები საზარი,
ცას გადაკრული ფერებით
ცისარტყელების ხანძარი...
აქ, მარტო უნდა ისუნთქო,
მთებისკენ გაჰყვე გზაწვრილებს,
მის სილამაზეს სულ ვეტრფი
და ვერვის გავუნაწილებ...
რა საოცარი მხარეა.
მართლა ედემის სადარი,
ღებია ჩემი სამყარო
რაჭა , სიტურფის ბაღნარი!

* * *

საოცარია- ზოგჯერ ტკივილზე,
წერ და გულს თითქოს, დარდი გეშვება...
დაჩხაპნილ ფურცლებს დახედავ მერე,
გაჰყვები ფიქრებს, რაც არ გეხსნება....
უკმარისობის მაქვს სულ შეგრძნება-
რაღაც გულს მიღრღნის, მტანჯავს, მაწამებს,
შენთვის ავიგე გულში ტაძარი,
ისე ვლოცულობ როგორც მასწავლე!

❣ ❣ ❣

ზღვას მოვეფერე,
რატომღაც-
გამინაწყენდნენ მთებიო,
შეათამაშეს სიბრაზით
ეს გოლიათი მხრებიო...
/
ალბად იფიქრეს
გავცვალე-
ამაყი მთები
ბარზედა,
დავთმე მე მათი
წიაღი
ოცნებით ვმღერი
ზღვაზედა...
/
ქვიდან -ქვაზე ხტის
ღრიალით-
ბრაზს ვერ იკავებს
რიონი,
რავა თუ დაგავიწყდაო
ბებერი კავკასიონი...
/
მთაო, მე შენი
ღირსება-
გულზე სულ სანთლად
მინთია,
მთაში მაქვს
სალოცავები
მე რომ მიცავენ,
მიცდიან,,,
/
ჩემი ფიქრების
გემები-
სიზმარშიც თქვენსკენ
მიჰქრიან,
წარბშეუხრელო ქედებო
გულს თქვენი ჯავრნი
მიღრღნიან..

/
მე ბავშვობიდან
მოვდივარ-
თქვენს მყინვარებთან
შეზრდილი,
სერი-- სერ ვითვილი
გვირილებს
თქვენს თეთრ ფარაჯებს
შევღიმი..
/
სამშობლო ჩემთვის
მთებიდან-
კლდის ჩანჩქერებში
იწყება,
ზღვა და ხმელეთი
ერთია,
ცალ-- ცალკე როგორ
იქნება..
/
მზით მოქარგული
მთა-- ველი-
მყინვართა უტყვი
დიდება,
ზღვა სირინოზთა
სამყარო-
სულ ყველა მამულს
სჭირდება...

❣❣❣

ო, როგორ გიხდება
ზაფხულის ფერები,
ქალავ, შენს თვალებში
მზეები ბუდობენ,
დღეები უნდილად
თელავენ გზაწვრილებს,
თითქოს ამ ზაფხულებს
გპარავენ, ქურდობენ...
მთებისკენ ამაყი
ღიმილით მიდიხარ,
დაჰყურებ ყვავილებს
შენს ფერხთით დაფენილს,
იღიმი, თუმცაღა გული
კი ცივი გაქვს,
ფიქრებით გაჰყურებ, წლებს
წამში გაფრენილს...
არ გინდა დანებდე ზამთრებს
და განიცდი,
ქარიშხლებს შებმია
ეგ გული თავნება,
მინდვრებზე ყაყაჩო
გაშლილა ხალებით,
იმ მძივებს გაგონებს
სადღაც რომ დაგებნა...

შენ სასწაულების ასე
რომ გჯეროდა,
წაშლილ ბილიკებზე
დაეძებ ბავშვობას,
მუხლებს გადაყვლეფილს,
დაკაწრულს ეკლებით
ადგილებს, რომლებიც
გაგონებს ანცობას...
ვარსკვლავებს მოჭედილს
შეჰყურებ ვედრებით,
სთხოვ დამიბრუნეთო
გასული ბავშვობა,
ღრუბლები მიცურავს ისევ
ცის ტატნობზე,
ნელ სიოს გიტოვებს
წარსულის სახსოვრად...
ო, როგორ გიხდება
ზაფხულის ფერები,
მერე რა ზამთარი
თუ ასე ახლოა,
ქალავ ,შენს თვალებში
მზეები ბუდობენ,
და შენი სამყაროც
ღვთის სამოსახლოა!

❣❣❣

ჰაერს ვერ
ვპოულობ,
სუნთქვა
გამიჭირდა,
გული სევდას
აჰყვა,
სადღაც
გამიფრინდა...
მკაცრი სინამდვილის
ტკივილს

შევეჩვიე,
გაფრენილ
ოცნებას ვერ
გადავეჩვიე..
სად არ ვიარე და
რა გზა არ
ვერჩიე,
მაინც ვერ
შევძელი ვერ
გადაგეჩვიე!

❣❣❣

დაეცი, მერე რა მოხდა-
ტკივილი არსად ახსენო,
არ შეგამჩნიოს არავინ
ნაღველი არვის აჩვენო...
ის, არაც არავის ადარდებს
საშენოა თუ საჩემო,
ვინ იცის ხვალე რა იყოს
რა დღე გათენდეს, ხვალ ჩემო?!.

ნინო უძილაური

წითელი ვარდები

შენ რომ მომართვი,
ის წითელი ვარდები ახლაც,
აფრქვევს სურნელს და
ჩემ ოთახში იკავებს ადგილს...
როგორც სიმბოლო სიყვარულის,
ანთია სანთლად,
წარსულზე დარდი ამ ვარდებით
იცოდე, არ ღირს.

კი არ ჭკნებიან,
მზის სხივებით ცოცხლობენ თითქოს,
მათი სურნელი
ძველებურად ათრობს ჩემ ოთახს,
იქნებ ვარდები შენ სიყვარულს ისევე ითხოვს,
როგორც ეს გული...
უშენობით
ჩუმად რომ ოხრავს.

კვდება სატანა

აქაც აღმოხდა სიტყვა სატანას,
 გაჯერებული კაცთა ცოდვებით,
სიკეთის კვდომას და არ ატანას
ჩურჩულებს სულის მწარე გოდებით.

 ო...რა ადვილად აპურებს გრძნეულს
და რა ადვილად აცდუნებს სულელს,
ვერ ეკარება უფლისგან რჩეულს,
ვერც ღვთისგან ლოცვით მადლმოსილ სულებს.

კვდება სატანა, კვდება მიწაზე,
რადგან დამარცხდა ბრძოლის რიჟრაჟზე…
ვერ გაიმარჯვა ვერც ერთ ღვთის კაცზე
და ვერ დაიპყრო სულის სინაზე.

მტკივა სამშობლო

მტკივნეულია სამშობლოს ცრემლი,
წარსულს გაჰყურებს მთები მეფურად,
დაღონებულა აწმყო მიწაზე,
ფრთამოტეხილი როგორც ბეღურა.

ვეღარც დაჩოქილს დავყვები ხევებს,
ვეღარც დარიალს ვუსწორე თვალი,
დარდად დაღვრილი დავყურებ ხელებს
და მთრგუნავს შორი კლდეები სალი.

მტკივა სამშობლო, როგორც იარა,
ღრიალებს თერგი დარიალს იქით,
წარსულმა გულზე გადამიარა,
ნასუფრალს შევრჩი დაცლილი ჭიქით.

სიცარიელე

და სულში დარჩა სიცარიელე...
ისევ დავეცი და განვმეორდი,
მაგრამ ასეთი ტკივილი გულის,
არ განმიცდია და არც ველოდი.

როგორმე უნდა წამოვიმართო,
როგორმე უნდა დავდგე და მერე,
სიცოცხლისათვის უფალს მივმართო...
ეს ფიციც, თითქოს ასე დავწერე...

ძლიერ მიყვარდი, ძლიერ გნატრობდი,
ვიბადებოდი სიცოცხლის იქით,
დაასამარე გრძნობა და გრძნობის,
შესანდობარი დალიე ჭიქით.

ჩემს სულში რჩება სიცარიელე
და იმ ბავშვობის უკმარისობა,
მაგრამ, ვერასდროს ვეღარ იელვებს,
გრძნობით ნაჭედი მარადისობა.

ჩქამი

ჩქამი არ ისმის სიცოცხლის,
სამყარო ამოყირავდა,
ჩიჩქს არ იმეტებს, იცოხნის,
მშიერი ჩუმად გმინავს და...

ჩათრევა სცადა სიზმარმა,
ჩამოაბნელა დილის მზე,
სალამიც არ თქვა იმ მგზავრმა,
თვალი რომ წასცდა ხირიმზე.

დაღმართად იქცა აღმართი,
გადარინდულა ბუნება,
დრო არც ჩემი და არც მათი,
უკან არასდროს ბრუნდება.

გული ქართული

წარსულო, იყავ სამიზნედ,
მიწავ, დღესაც ხარ ტანჯული,
სადაც მივდივარ დილის მზედ,
დამყვება გული ქართული.

ზოგჯერ ვმუნჯდები, ზოგჯერაც,
სიტყვები ზარებს რეკავენ,
არ დავიჩოქებ იქ, სადაც
უფალს გულით არ ხედავენ.

მუხლზე მოწვეთავს დღეს სისხლი,
მზეს რომ გულიდან სდიოდა,
შემოვინახე ის ფიცი,
ცრემლად რაც ჩამომდიოდა.

სამშობლოვ, ყველგან გულში ხარ,
სადაც გადავდგი ნაბიჯი,
შენ მთელს სამყაროს უდრიხარ,
როგორ მიყვარხარ, არ იცი.

ჰეი, შენ...

ჰეი, შენ, ბრიყვო,
გამეცალე,
გადადი გზიდან!
უგუნურებამ დაგიბრმავა ორივე თვალი,
პასუხის ღირსი ვერ გახდები,
ფესვი მაქვს მთიდან,
ნუ მიწვევ...
არ ღირს,
დამეხსენი,
ნუ მაცდენ ძალით!
გზა გააგრძელე,
სხვისი შურის დაიხსენ სენი,
განგებამ ბედად,
მძიმე ჯვარი არგუნა ყველას,
სხვის ომში სიბრძნეს ნუ ქადაგებ,
სული იხსენი,
ბოღმით და შურით გული ცელავს
სიკეთის ბგერას...
და რადგან
„ჯოკას შიგან რაც დგას იგივ გადმოდის“,
თავი მოდრიკე,
რაც გონი გაქვს ზომე იმ ზომით...
გზიდან დამეხსენ,
ვიდრე ჟამი დათმენის მიდის,
არ გირჩევ ჩემთან
გააგრძელო თამაში ომით.

ახლა ხომ ხვდები

რატომ დავკარგე სილაღე თვალთა?
გიკვირს ღაწვებზე ცრემლი რატომ მდის?
დარდმა, ვარამმა გამტანჯა და თან,
აღარც ალერსი მოაქვს ნიავს მთის.

ვეღარ მაპურებს მზერა თავთავთა,
ვეღარც სურნელი მათრობს ვარდების,
დავრჩი ეული საკუთარ თავთან,
ებრძვის მომავალს აწმყო დარდების.

შენგან ნასროლი ისარი დღესაც,
ჭრილობად მეწვის და შარი-შური,
შენგან ნაბოძებს ფიქრებს მახსენებს
და ამ ფიქრებსაც დაეტყოთ შური.

ახლა ხომ ხვდები, რატომ ვარ მარტო,
რატომ დავკარგე სილაღე თვალთა,
რა ვქნა თუ ისევ მხოლოდ შენ გნატრობ,
გთხოვ, მიმაცილე სამარის კართან.

დედოფალი ვარ

დედოფალი ვარ, შენ ჩემი მეფე...
ცისკენ მივყავარ მითიურ ელფებს,
თუ ვერ მიპოვნი, შენი ბრალია,
ჩემში ეს გრძნობა ახლაც მთვრალია.
მიყვარხარ... შენც თუ გიყვარვარ ისევ,
თუ სიყვარულით გულს ისევ მივსებ,
შენთვის მოვხატავ მომავლის გზებს და
ღიმილით ერთად ვიცეკვოთ მზესთან.
დრო რა უეცრად მიფრინავს ჩემო,
თუ სიყვარულში ერთმანეთს ვჩემობთ,
გავულამაზოთ სიცოცხლეს წამი,
ვიდრე სიკვდილი დღეს შეცვლის ღამით.
გაღმერთებ, ჩემი გრძნობის ხატი ხარ,
და ჩემს ფიქრებში მარტო ხატიხარ,
დედოფლის გვირგვინს მოვირგებ როცა,
ზეციდან ისმის თვით უფლის ლოცვა.
სიზმარში ახლა შენს თვალებს ვკოცნი,
გავაფერადებ სამყაროს ლოცვით,
ვგრძნობ, ძველებურად გიყვარვარ ისევ
და მეც ფიალას ამბორით გივსებ.

ამანთე

გვირილების გაღიმება,
სილამაზედ მერგო,
სიკეთედ და სიყვარულად,
კვლავ ამანთე ღმერთო.

სულიწმინდა მომივლინე,
ლოცვად, ერთადერთო,
გული წრფელი ჩემს სხეულში,
სანთელივით ენთოს...

მატურფე და მანარნარე,
ისე, როგორც ერთ დროს,
გვირილების სილამაზე,
ვგონებ, ისევ ვერ მთმობს.

ნუ გულზვიადობ

ისევ იმ გრძნობით ყოფილხარ მთვრალი,
გეტყობა, მაგრამ კვლავ გულზვიადობ,
ყოველი სიტყვა, ცივი და მშრალი,
ჩემში რჩება და შენზე მიამბობს,
რომ სიყვარულით ასე გატანჯულს,
ჩაგიქრა მზე და აღარ კიაფობს,
აზვირთებული ტრფობის სურვილი,
აბობოქრებულ ტალღებს მიაპობს,
ნუ წახვალ, ნუღარ იბრუნებ კისერს...
ბაგეებს ნამავს ცვარი ციური
და თუ კოცნები დაიპყრობს მზის სერს,
მზეს ესტუმრება ქალი ღვთიური.

ახლაც იგივე

ახლაც იგივე -
იბომბება სულის სავანე,
აწვიმს ტყვიები უკრაინას მტარვალის ხელით.
ეს მერამდენე ნადავლია...
ღმერთო მაღალო,
მძლავრობს სატანა,
მეც შენ შვილებს ვერაფრით ვშველი.
ქალი და ბავშვი,
მოხუცი, თუ აკვანში ჩვილი,
რიგში ჩამდგარნი სასიკვდილო გზაზე მიდიან,
ისევ დალიეს უმანკოთა სისხლი დევებმა,
აღარც კაცის და აღარც ღმერთის აღარ იციან
ჯოჯოხეთი დუღს სააქაოს, მტარვალის ხელით,
საიქიოში ჯოჯოხეთი მათაც მოელით.

უცხო მიწაზე

ასე მგონია იქ ვდგავარ სადაც,
ჩემი რწმენის და სულის კარია,
უფალი ზეცით მიხმობს გალობად
გულსაც ამიტომ გაუხარია.

ციდან სიცოცხლის დაეცა სხივი,
უცხო მიწაზე დღეს სხვა დარია,
ქართული სული, ქართული გენი,
მარადიული და უკვდავია.

17.06.2022
კაბადოკია🥰💝

შვილის თვალები

მეტი რა უნდა ვინატრო,
გაცისკროვნებულ თვალებით,
შვილს ვხედავ, პირმშოს შეჰხარის
ბაგეს უმშვენებს ლალები.

ლაღობს სიცოცხლე სიმრავლით,
მზე ცეკვავს ფერად სხივებით,
ღმერთო ნუ მოშლი ნურასდროს,
დედა ტკბებოდეს შვილებით.

ხარობდეს შთამომავლობით,
ალგეთს დაზარდოს ლეკვები,
ქრისტეს მცნებათა წამლობით,
სულს მოაცილოს ეკლები.

მეტი რა უნდა ვინატრო,
მარტო ეს დამრჩა სათქმელი,
დედაშვილობის სახელით,
სულ გვენთოს წმინდა სანთელი.

თამრო სვანი-ნიჟარაძე

ნუ მოტეხავთ

სიყვარულს ნუ მოტეხავთ ფრთებს,
ნუ დაასრულებთ ღამის სიზმრებს,
ცრემლით ნუ მორწყავთ ზვრებს,
სიყვარული გილიდან გიმზერთ.
გიყვარდეთ, გწამდეთ ბედნიერება,
ცხოვრება ისედაც მოკლეა,
თუნდაც ის წუთი, წამიერება,
სიცოცხლეს უდრის.

დროება

ვნატრულობ დაბრუნდეს დროება
ვიცი, რომ არ დაბრუნდება,
გული გულს მიშორდება,
ურემიც გადაბრუნდება.
ფასობდა კაცის სიტყვა და...
იყო სინდისი, კაცება,
მე ახლაც ყველა მიყვარს და ...
მძულს ეს არაკაცობა.
ოჯახს კაცები მართავდა,
ქალი კი გვერდს უმშვენებდა,
სად გაქრა, საით გათავდა,
დროის მდინარეს მინებდა?

გაიღიმე

გაიღიმე ჩემო კარგო გაიღიმე,
მაშინაც კი გაიღიმე როცა გტკივა,
უშენობით შემოგევლე,
როგორ მცივა.
გაიღომე როცა თვალი იცრემლება,
მონატრება აზეიმე იმედით,
ო, ეს მზეც კი ძველებურად მემალება,
მე ხომ მის სხივს სულ კვალდაკვალ მივდევდი!

მე

მე მე ვარ,
შენ შენ ხარ
ის კი ის,
მე სხვა არასოდეს ვიქნები,
მე მიყვარხართ ისეთები როგორიც ხართ,
მოდი გავერთიანდეთ,
მივცეთ სიყვარულის არსებობას ხმა.
დამიჯერეთ,
ჩვენ არ გვიშველის სხვა.

სვანის ქალი

ჩემი სვანეთის მთები,
თეთრი ქათქათა და სუფთა,
მთები კი ვით გრძელი თმები,
არის ფერითაც სულ სხვა.
სვანი კაცი რომ იტყვის,
რომ შემოგფიცებს ძმობას,
არასდროს არის ბრიყვი,
არ გატეხს მოყვრის ნდობას.
სვანის ქალები წმინდად,
ემსახურება ფუძეს,
ერთგული თუკი გინდათ,
ყველა გასაჭირს უძლებს.

გულნაზ ხარაიშვილს

როგორ მინდა მეც თქვენსავით,
სიყვარულს, რომ ვაფრქვევდე,
დედასავით საყვარელო,
შვილს შენს სახელს ვარქმევდე.
მზის სხივივით გულს უთბობდე,
ჩემს ჯიშსა და გენიას,
მტერსაც ზოგჯერ გზას უთმობდე,
ვანსხვავებდე ჩვენიანს.
შენი სითბო მოფერება,
გულს მალამოდ მედება,
ვწერ და კიდევ მეწერება,
გული არა ბერდება.
თქვენ ერთი ხართ ქვეყანაზე,
ყველას სითბოს მფრქვეველი,
არ გაკლია თუმც სინაზე,
არ გყავს უღლის მწეველი.
ჟანგბადი ხარ ჩემი ერის,
კეთილი და მრჩეველი
შვილები გყავს ბევრზე- ბევრი,
თუკი უჭირთ მშველელი!

ჩემი ქუდი

სადაც წავალ იქაური დავიხურო უნდა ქუდი?
არა მე არ გეთანხმებით, ვერ გავხდები სულის ქურდი.
საქართველო დამაქვს გულით, ქუდად მისი ადათ წესი,
გული სავსე სიყვარულით მიყვარს ჩემი რჯულის ფესვი.
მირჩევნია როგორც სვან ქალს, ეს მდიდრული ჩემი ქუდი,
სხვისას არ ვსავ მღვრიე წყალს და...
სხვისას ცუდი სუნი უდის.
ჩემო თბილო საქართველო, უმდიდრესო მსოფლიოში
გეფერები სანატრელო, გამოგარჩევ მილიონში.
დავბრუნდები ჩემი ქუდით, არ ჩამთვალო დაკარგულად,
ცრემლებს ჩუმად მიწას ვბუდნი, აქ თავსა ვგრძნობ დაჩაგრულად.
სიამაყით მაფარია, სვან ქალს, სვანის ქუდი წმინდა,
აქაც მიცავს ლამარია, ჩემგან მეტი რაღა გინდათ?

ჩემო საქართველო

ჯვარზე გაკრულო საქარღველო,
ნაწილ- ნაწილ რომ გყიდიან,
ჯერ უსედაც ცოტა ვართ და...
გტოვებენ და ნიდიან.
საქართველოს სჭირდება,
სუფთა სისხლის ქართველი,
სხვა ბევრ რამეს გვპირდება,
სხვა რად მინდა მართველი.
თუ სისხლი აქვს ქართველის,
სულს არასდროს გაყიდის,
თუა ჭკუით ჯართელი,
მტრის ბანაკში არ მიდის!

არასოდეს მიმიტოვებია

იცის ღმერთმა როგორ მიყვარს,
მე არ მიტოვებია
საქართველო გულს ჩამიკრავს,
ჩემი მთა და თქორებია.
თუ წავედი გამიჭირდა,
ლუკმა უნდა მეშოვნა,
შვილებისთვის ეს მიღირდა,
შორეთს უნდა მეშრომა.

სისხლით ქართველი

სჭირდება მამულს ნამდვილად,
სისხლით ქართველი სუფთა
არ დაიჩოქებს ადვილად,
წინაპრებს ასე უთქვამს!

უთქვენოდ

უთქვენოდ დაჭრილ ყორანს ვგავარ,
დაქუცმაცებულ გვირილას,
უთქვწნოდ არ ვიცი რავარ,
ნეტავ ვის გამოვადექი.
უთქვენოდ განვლილ წლებს მივსტირი,
უსიყვარულოდ გაფრინდა წლები,
ღამენათევი ვერ ვხედავ მზის სხივს,
და ყოველ დილით ცრემლებით ვდგები.
სახე მღიმარე თუ დამინახავთ,
გთხოვთ ნუ ჩამიქრობთ სახეზე ღიმილს,
ჩამოსვლის იმედს ნუ დამიმარხავთ,
ხმები მაშინებს ზეციურ წვიმის.

იტანჯება საქართველო

იესოსავით ჯვარზე გაკრულო,
მამულო ჩემო მიყვარხარ,
დედაღვთისშობლის ნათლულო,
შენ ვისაც უჭირს იქა ხარ!

როცა გიყვარს

როცა გიყვარს, რა კარგია,
როცა გულით ეფერები,
ნისლით სხივით ნაქარგია,
ქარშიც გხვდება სხვა ფერები.
შენ საუბარს უსმენს გულით,
ერთ სიტყვასაც არ დაკარგავს,
შენში არის შემოსული,
მოგისმენს და გულს დაგქარგავს.

ქალი დედა

თქვენ მარტო ჩემი არა და...
თქვენა ხართ ქართვლის დედა,
მე განმარიდეთ ბოროტ ქარს,
თქვენ ამარიდეთ სევდას.
თქვენ სიყვარულით
დახუნძლული ხართ,
და მეც სიხარულს მჩუქნით,
მეც შემოგიღებ გულის კარს,
არ მინდა თამასუქი.
ჩემო დედავ და იმედო,
ჩემი სიცოცხლის ძალავ,
გნახავ , რომ დაგაიმედო,
გნატრობ და ცრემლებს ვმალავ!

დარდთან მძინავს

მემინატრებით ვიღვიძებ,
მე მონატეება მტკივა,
გული სევდისკენ მიბიძგებს,
თვალიდან ცრემლი მცვივა.
ხმას გავიგონებ ქართულს და
სამყაროს ვხედავ მაშინ ...
ვხედავ მთებს უფლის ნათლულს და...
დავცურავ ფიქრის ზღვაში.

ბედნიერი ვარ

ბედნიერი ვარ, რომ მქვია თქვენი,
ბედნიერი ვარ მე ვარ ქართველი,
თქვენთან ვარ ფიქრის იმ აღმაფრენით,
თქვენთა შეხვედრას, ვნატრობ და ველი.

ქუჩაში

ქუჩაში გავედი დარდის გასაქრობად,
მოვტყუვდი არ გაქრა დარდი,
დარდი პირიქით ორმაგობდა,
ქალი დავინახე ჩადრით.
მივედი ვუთხარი რა გაწუხებს,
ცრემლებით მითხრა მტკივა,
გულიდან ვერ ვიგლეჯ იმ მარწუხებს,
დედისთვის ცრწმლები მცვივა.
ნომიკვდა, აქ ვტირი ვის ესმის,
ვინ დაიტირებს დედას,
უცებ გამახსენდა ჩემი წარსული და....
გლში შემომაწვა სევდა!

დედობა

ჩემთვის გუშინ დაიბადე,
თუმცა უკვე დიდი ხარ,
გულში სევდა ამომბარდე,
შვილო გულში მიზიხარ.
შორს წასული ემიგრანტი,
ლოცვით გელერსება,
შენს სიყვარულს არვის ვადრი,
თვალი ცრემლით მევსება.
დედა გლოცავს და უყვარხარ,
დედის გული ზღვა არის ...
შეგავედრებ დე უფალთან,
დედა მაინც სხვა არის!

ანა

თამარის დღეს მოვლენილო,
საყვარელო ჩემო ანა,
გთხოვ არავის აწყენინო,
მზემ სხივებით გითვალთვალა.
როგორ მინდა მოგეფერო,
შენთვის გავხდე ბებო ბავშვი.
ღამის მთვარის შესაფერო,
არ იარო მარტოდ კარში.
არ მომტაცონ შენი თავი,
ვიღაც უცხომ ბებიკონა,
ლამაზი ხარ ჩემო ანა,
ნეტავ შენთვის მეპატრონა.
აბა, რა ვქნა ემიგრანტმა,
როგორ მოგვწვდეს ჩემი ხელი,
გაირა უკვე მარტმა,
ზაფხულია უკვე ცხელი.
გლოცვა ბებო თამარის დღეს,
ლამაზი ხარ თამარივით,
ჩემი ფიქრი შენთანა დევს,
და მჭირდები წამალივით.
შენი ბებო თამარი.

ჩემი სევდა

სამშობლოა ჩემი სევდა,
ჩემი ფიქრის ოცნება,
სამშობლოა ჩემი სევდა,
ფიქრიც დავწან კონებად.
სული კვნესის დარდს ვერ უძლებს,
დარდი ცვივა გუნდებად,
ტყვიებს გულში ნუღარ მესვრით,
უკან დაგიბრუნდებათ.

მონატრება

მონატრებისგან დაღლილი სული,
კვნესის და ეს კვნესა მარტო მე მესმის,
მე სიყვარული მომაძლიერებს,
გული უთქვენოდ ტირის და კვნესის.

ჩემო ტანჯულო, ერო და ბერო,
ნუ შეგაშინებს მტრების სიმრავლე,
პატარავ მაგრამ დიდო და ბევრო,
კვლავ გაუძელი დროს ამ საშინელს.

მძიმე მაეხვაა

რომ გაჰყვირიან მარხვაა და ხორცს ნუ შეჭამთო,
მე მარიგებენ და თვითონ კი სულსაც ჰყიდიან,
კაი ბატონო, თქვენ რომ ბევრჯერ ხორცს მიღეჭავთო,
თქვენ რომ იცოდეთ ჩემი გული ცაზე დიდია.
მე ვერ ვმარხულობ, მაპატიე დიდო უფალო,
ისე კი ვცდილობ, ადამიანს მივესათუთო,
ემიგრანტი ვარ, დროს ყოველთვის რომ ვნასუფრალობ,
შენ გეფერები მიწავ ჩემო უფლის ნაკურთხო!

ადამიანო

სიყვარულის შესვი ფიალა,
სიძულვილს ნუ გაუღებ კარს,
,,საქართველოლოს გაუმარჯოს მთლიანად“
ასეთს ვერ იხილავთ მსგავსს.
გიყვარდეს, უფლის ნებაა,
ბედნიერებით ივსები,
ღრუბლები სევდის წყებაა,
მტკივა და ცას შევცქერი.
ადამიანო, მზის ფერია სამყარო,
ეცადე ,რომ შეიყვარო.
შესვი სიყვარულის ფიალა,
,,საქართველოს გაუმარჯოს მთლიანად!

დამაბრალეს

ლექსის წერა დამაბრალეს,
გული სევდით ამევსო
მონატრება, თქვენზე დარდი
ფიქრში როგორ გამეძლო.
რაც დარდი მაქვს, რას დავატევ,
წიგნად თუ გამოუშვებ,
ხშირ- ხშირად, რომ.მხრებს დამათოვს,
გულში როგორ მოუშვებ.
რას გაუძლებს გული ამდენს,
დარდი დარდს ემატება,
ყინულები თუ დადნება,
ვნახავ ვინც მენატრება.

სიკეთის მთესველს

(მადინა ონიანს)

განა მარტო საქართველოს,
შენ ევროპის შვილი ხარ,
ქარმა არსად გადაგთელოს,
მადო უფლის შვილი ხარ.
შენ სიკეთეს ვინ დაითვლის,
შენნაირი ვინ არი,
გზაზე მგზავრი რომ ჩაივლის,
ხვდები პირმომცინარი.
დაგილოცავ შენ სავალ გზას,
100 წელს წლები ათვალე,
თუ დაგჭირდე მადო, მიხმე,
მზად ვარ, თავს განაცვალებ!

არ მინდა
არ მინდა წარსულ წლებთან კამათი,
ტკივილი იყო ჩემი წარსული,
ჩემთვის წარსული იყო დაღმართი,
დამტრიალებდა ბედი ავსული.
გარდამეცვალა მეუღლე ადრე,
ობლები დამრჩა მარტოს სარჩენი,
გახსენებაც კი ძალღონეს მართმევს,
გადამეღალა შრომით მარჯვენი.
ახლა რა მიშავს, შვილებს შევხარი,
მომავლს უკვე ველი სხივებით,
შვილიშვილები არის მზის კარი,
იმედი ჩემი, გულის მძივები.

სვანეთის სტუმარი

სვანეთს ესტუმრა სიკეთით,
ქალი მზის გულით ცნობილი.
ქალი ღვთაება ისეთი,
ყველას დედა და დობილი.
ქალი კოშკებს ეფერება,
გაოცებით ლამარიას,
მთასაც ხედავს ერთფერებად,
თუმცა წლებით ნაქარია.
თამარ მეფე გაღმა მთებში,
ხედავს გულში ეღიმება.
ყვავილების მონაფერში.
ქალის მისვლა ეღირება.
ღმერთი ლოცავს ამ ქალს ისე,
როვორც იმ მთის საკუთრებას,
თასში ღვინოს თვითონ ივსებს,
გამოხატავს გაკვირვებას.

ხათუნა ჩიტაძე

ჩემი თვალით!

მარტმა გაახილა თვალი!
ეზოში გაზაფხული დარბის!
ამ მზის სხივებით ვარ მთვრალი,
ღრუბლის ნაყინი მაქვს-ბამბის!
ეზოში ბაიები თრთიან ,-
ვაიდა გვესტუმროსო ქარი!
ია-იებივით ფრთიან
სიმღერებს მღერიან ქნარით.
ტყემალს აექოჩრა კვირტი,
მიწას ზურმუხტებში მოსჩანს!
აი! ამას ჰქვია რიტმი!
პირველ გაზაფხულის კოცნა.
სხეულს ჟრუანტელი მოსავს,
სულში დანავარდობს სხივი,
მზის გვირგვინი ზეცას ქოჩრავს,
მიწას დაჰფოფინებს შვილი!
მიწას გული უცემს, დიდი!
ახლა იმედების დროა.
გაზაფხულდა! ისევ ხიდი?
მშვიდი გაზაფხულის დროა?!
მერე-ამ სარკმლების გახსნა...
ქვესკნელს ჩაქცეული დარდი,
მერე-სიყვარულით ხატვა,
კარზე მორთმეული ვარდი.
სურვილს ვერ ვაკავებ ხელში!
სიტყვას აეკინძა სიტყვა!
ახლა მარტო მარტის მესმის,
ახლა მხოლოდ შენთან მინდა!
მარტმა შემომიღო კარი!
მარტმა ამიხილა თვალი!..

1-ლი მარტი. 2016 წ.

ქალი – ხარება

მიწას მზისფერი ფარდაგი,
ნაფეხურები, უწყვეტი,
განა უბრალო, – მართალი,
ორ-ორი, განა თუ კენტი!
დედას სავსე აქვს ხელები,
წამოჩიტული თითებით,
მათ მოდგმას ლოცვით შევხვდები,
მზის ქუჩა, – სავსე შვილებით!
ქალი არ მალავს მოლოდინს,
სხეულს ზედ აკრავს ცის თაღი,
დედა, კვლავ შვილის მომლოდინს,
ჯიში აქვს მრთელი და საღი!
მთელი ქვეყანა იღიმის,
თვალი ვერ წყდება სამზერალს,
დედამიწაზე მზის სხივი,
ასე ულევად მაჩვენა!
შვილთა სიმრავლე ჩემს მამულს,
ქალ-ვაჟი მხნე და ჩეული,
ის დედა ბევრი მდედრისგან,
მით არის გამორჩელი!
ტიკ-ტიკით ქუჩას იკლებენ,
სიცილით ცას ედრებიან,
ეს პაწაწინა ბოკვრები,
უკვალოდ ვერ გაჰქრებიან!
ქალაქს – მზისფერი ფარდაგი,
ზედ დედა თავის შვილებით,
მშობელი წრფელი, მართალი,
მომავლით სავსე იმედი!
უფალო!
– გზაა ოცნება,
სურათი, როგორც ზმანება,
დედას, შვილებით მომავალს,
მე დავარქმევდი ხარებას!

2016წ.

ბავშვობის ოცნება

მინდა პატარა სახლი,
მყუდრო,
მრგვლოვანი კუთხით,
ბევრი ბავშვით და საქმით,
ბედნიერების სუნთქვით!

2016წ

გულისცემა

მიმქრალ ვარსკვლავებს გული არ უცემთ,
შორეთს მზის სხივი ვეღარ ერკვევა (ეტევა)
ზეცას ღრუბლების კარი დაუცეს!
თითებში რითმა ისევ მემტვრევა!

გაზაფხულის პირს ენძელა მიმღერს,
მე კი იების სულ მწვავს სურნელი..
და ვნატრობ, ასე, იმ ერთადერთ ღერს,-
-ლურჯთვალას!
ტრფობა რომ აქვს სულ ნელი...

გადავხსნათ ზეცა!-
დაე იწვიმოს!
მიწა იებად იყოს დართული,
ვარსკვლავმა სიყვარულით იბრწყინოს!
იამ მოჰგვაროს სულს გაზაფხული!

...მიმქრალ ვარსკვლავებს გული კვლავ უცემთ...

24 თებერვალი. 2016წ.

მომენატრა

ია მომენატრა!
სიფრიფანა!
უთქმელი და ჩემთვის ბევრის მთქმელი.
გაზაფხულზე ლურჯად მისი ფარა
გონებას და
გულს და
სულს რომ შველის...

ია მომენატრა1
-სულის ია!
სახელი კი მაინც სხვისა ჰქვია!
ჩემს გარშემო მისი სურნელია,
მის გარშემო ბევრი სულელია!
მაგრამ იცის იამ:
იცის იამ...
-ერთგულება სულ სხვა სურნელია!

....მომენატრა!...
16 თებერვალი. 2016წ

ბევრი

ცოტა ბევრი ხომ არ არის, ღმერთო!
რითმის ფრთებით ზემოთ-ზემოთ ფრენა;
ფუნჯით ფერთა ფარდაგების ფენა..
ნაქარგების წყობა და თან რწმენა!
ცოტა ბევრი ხომ არ არის. ღმერთო!
სარკმლის ნატვრა; - გადავხედო გავლილს,
რაღაც, ადრე მოსჩანს სიცხე გვალვის,
შუა გზაზე ნუ დამტოვებთ ავლილს...
ცოტა ბევრი ხომ არ არის , ღმერთო!
ლექსის ბწკარში ოცნებების თესვა,
ბავშვობაში წაბლის თაფლი მესვა,
მერე წამში შემაყვარეს კემსვა!
ცოტა ბევრი ხომ აე არის, ღმერთო!
თითებს თითქოს შეეპარა ღარი...
ეს ღიმილიც უფრო არის ღიმი...
საყვედურებს მომაგებებს ქარი...
ცოტა ბევრი ხომ არ არის, ღმერთო!
მხრებს სიმძიმე შეამატა სევდამ,
მომეხმარე, იმედები შესვა,
შენც გაიღე, შემომიშვი სეზამ!
ცოტა ბევრი ხომ არ არის, ღმერთო!
საღამოზე ძლივს დავათრევ დილას,
დილით-ღამე და შუადღე მტკივა,
სხვანი, მაინც მიყურებენ მცინარს...

ცოტა ბევრი ხომ არ არის , ღმერთო!
მომიმრავლეს ხვეულები დარდის!
ღამე ჩემთან უძილობა დადის!
ცრემლი მომდის და გულ-მკერდზე დამდის...
ცოტა ბევრი ხომ არ არის, ღმერთო!
შცილებს მაინც ენატრებათ დედა!
მერე ვიბრძვი, ოცნებებსაც ვბედავ!
არც მინდა, ან ვინ დამკიდებს მედალს!?
ცოტა ბევრი ხომ არ არის, ღმერთო!
სიყვარული გაიტაცა უცხომ1
მეთანხმები,-შერჩენია ნურც, ხომ?!
მე კი ისევ შთაგონებას ვუხმობ...
ცოტა ბევრი ხომ არ არის, ღმერთო!
ცოდნის კართან ტკივილები გდია!
არ შემატყოს, არ აცრემლდეს დღე, რომ...
რადგან მათიც მე მშობელიმქვია.
ცოტა ბევრი ხომ არ არის, ღმერთო!
ოჯახს თითქოს მოვაკელი სითბო,
ვუფრთხილდები,არ დამეღვრის სიტკბო,
მერე ჩემი ხუთი შვილიც მითმობს...
ცოტა ბევრი ხომ არ არის, ღმერთო!
ხო! რამდენი საძნელო და ტყვია...
და რამდენი სათქმელია, უტყვი,
ამ ყველაფერს ჩემი დარდი ჰქვია.

4 თებერვალი. 2016წ.

ცაგო აბაშმაძე

* * *

მითხარ გოგოვ ვინა ხარ,
მთვარისა თუ მზისა?
იქნებ სიყვარული ხარ,
ან ნიავი მთისა.
იქნებ,წყაროს წყალი ხარ,
მოჩხრიალე მთიდან,
დაგეწაფო მწყურვალმა,
შეგსვა,როგორ მინდა.
ციდან სხივი ეშვება ,
მზემ ჩაგაწნა თმაში,
გოგოვ,ჩემს გულს გთავაზობ ,
გაგიტაცებ მთაში.
შენი გულის ყვავილებს
წყალს ვასხურებ ვნებით,
ვიცი ვერ გამიძლებ და
მკერდში ჩამადნები.
ღვინოსავით დაგათრობს
ჩემი ვნება,მწველი,
ბარათს ვატან ნიავს და
ნაკადულთან გელი.

* * *

ვერ დავწერ, თუ აღარ მეწერება,
თუ არ განვიცადე აღმაფრენა,
სიტყვა, გულიდან თუ არ იშვება,
თუ არ იჭიკჭიკა მუზის ენამ...
როგორ მოვეფერო ლურჯ მწვერვალებს,
სიტყვა ალესილი ვით შევკადრო,
თუ არ იგიზგიზა კოცონივით,
გრძნობამ სიყვარულის ამავე დროს...
თუ ვერ შევიგრძენი გაზაფხულის
მადლი და სიკეთე უფლისმიერ..
თუ არ გავუხსენი გულის კარი,
ჩემი სიყვარულით ნებისმიერს.
თუ არ შევიცოდე დაცემული,
თვალი დავიბრმავე დასანახი,
გლახაკს ავარიდე მზერა ზიზღით,
მადლი ვერ ვაღვივე ჩანასახის..
ვერ დავწერ, თუ აღარ მეწერება,
თუ არ განვიცადე აღმაფრენა,
თუ არ შევერკინე მღვრიე ტალღებს,
თუ არ შევითვისე მათი ენა.
თუ არ ვიქარიშხლე თავადურად,
ცაში არწივისებრ არ ვიფრინე,
სისხლით თუ არ მოვრწყე ჩემი ყანა,
თუ არ დავამარცხებ უცხო ფრინველს.

ვერ დავწერ, თუ აღარ მეწერება....

* * *

შენ ჩემი უნდა გერქვას გოგონი,
ვნებით მივსებდე მალ-მალ ფიალას.
მერე ორივე გრძნობებით მთვრალი
შეგვსვას ცხოვრებამ ოხერტიალმა.
ჩემს ქოხში მინდა იქცე დედოფლად,
ბუხარში ენთოს კოცონი ვნების,
მკლავზე მეწვინო ვით მზე და მთვარე,
ალმური გვწვავდეს ცეცხლის ენების.
მინდა განთიადს მზის სხივად მოჰყვე,
შუბლს მიცვარავდე ნაზი ამბორით,
და ჩურჩულებდე:მე შენ მიყვარხარ,
მე შენ მიყვარხარ,სწორედ ამგვარი.

* * *

იყო სიტყვა და... იყო ღმერთი... უსასრულობა...
არც დასაწყისი...არც სასრული ჰქონდა სამყაროს...
განა გართობის მიზნით ზელდა თიხის ცომს ღმერთი...
არა, ბატონო!!!
სიცოცხლე სურდა უკვდავებად რომ ეშვა ჩვენში...
განსპეტაკებულ, გაბრწყინებულ სულის ემბაზში
რომ შეგვძლებოდა ფარვანასავით უფლისკენ ლტოლვა...
დიახ, ბატონო!!! ასე სურდა დიად შემომქმედს!!!
რომ სული ჩვენი საცდუნებლით არ წაგვებილწა!!!
თოთო ბავშვივით ყოფილიყო წმინდა, უმანკო!
გავტოლებოდით მის სიწმინდეს, მის სიდიადეს!!
და შეცდა ღმერთი?? იქნებ მართლაც... რამე გამორჩა???
ან კითხვის ნიშანს შეგნებულად გაუსვა ხაზი...
ადამმა როცა შეცდენილი ევა იხილა, განა გაკიცხა??
ისიც შეცდა სამოთხის ვაშლით...
ვაშლით ცდუნება დღემდე მოგვდევს ადამის მოდგმას....
მთელი სამყარო გადაფარა ცოდვის მანიამ,
კითხვა მაქვს ღმერთთან მკრეხელური,
გთხოვთ, მომიტევეთ, იმ ვაშლის ნაცვლად
სული ასე რად წავიბილწეთ!!
რა იქნებოდა სულ ზამთარში ეცხოვრა ადამს,
თოვლის ფიფქები სისპეტაკეს შესძენდა სხეულს,
ვერ აცდუნებდა ევას გველი თოვლის გუნდებით
და იქნებოდა კაცთა მოდგმა ღმერთივით წმინდა!!

რა იქნებოდა, სულ ზამთარში გვეცხოვრა ადამ!!!!

* * *

ქრიან უდაბნოს ხორშაკები, ცხელია სუნთქვა...
მიიზლაზნება ქარავანი... მძიმდება ყოფა..
აქლემის კუზზე გაუშლია ეტრატი პოეტს,
მას არ ადარდებს სიცხიანი ქარების ქროლა.
ქრიან მუზებიც... შეჯიბრია ახლა სხვაგვარი...
ციდან ეშვება სხივებისგან შეკრული კიბე...
გამოწურული ჯიქანივით ტირის ღრუბელი,
პოეტიც ტირის...და ზეცაზე ვარსკვლავებს კიდებს...
ქრიან ქარები უდაბნოში, როგორც სჩვევიათ,
ცხელია სუნთქვა....და ორსული ღამეც თენდება...
იბადებიან... ემატება ქარავანს სუნთქვა..
და ეს მუზებიც ვირუსივით სხეულს ედება.

ცაგო აბაშმაძე

* * *

გაცვეთილ ფიქრებს მეათასედ ვკემსავ
და ვაფენ...
მრუმეა ღამე...ფერშეცვლილნი თვლემენ
რითმები...
რა სიჩუმეა!!! საოცარი შვებაა სულის...
ნიავს მიჰყვება მოცახცახე ჩემი ფიქრები...
ეს მერამდენე,ნამთვრალევი თენდება ღამე!
ფარვანასავით გარს მეხვევა ფიქრები მწველი,
სულის ანჯამებს შემომამსხვრებს ქარი ავშარა,
სხვა ვინ მეწვევა, ქარის მეტი, არავის ველი.
ვინ გამიხსენებს, რომ ოდესღაც, როგორც ბეღურა,
ხელისგულებით ვმათხოვრობდი იმედის მარცვლებს,
გამოჩნდებოდა ზოგჯერ ვინმე, კეთილის მნდომი
და კუმპალ-კუმპალ მაწოდებდა სიკეთის ნამცვრევს.
შრიალი მესმის... ალბათ ქარი ონავრობს ვაშლთან,
ლოყაწითელას დაუკოცნის ალისფერ ღაწვებს!
მე ვიბუზები...მარტოობამ სული დალია...
ლექსებს ვიხუტებ და მკლავებში ბავშვივით ვარწევ.....

* * *

იყო დრო..როცა ვბადაგობდი...
(ტკბილი ბავშვობა)..
თაფლაკვერობდა მთვარის დისკო...მუჭისოდენა...
დედის თითებში ნავარდობდა მზის ოქროს ძაფი...
ზღაპარს მიქსოვდა...
მე ვპრინცესობდი და ჩემს ირგვლივ ზეცა ჰყვაოდა...
დედის გულიდან იღვრებოდა თაფლივით სიტკბო,
არ არსებობდა მაშინ ზამთრის ცივი დღეები,
რადგან მათბობდა მამაჩემის თვალების სითბო.
მერე.. ვიმაჭრე... შუშხუნებდა (ახალგაზრდობა),
ქარიშხალობდა ჩემში სული მუდამ მშფოთვარე,
რასაც ვთესავდი განა ყველა ვარდად ყვაოდა?
თქვენი კვნესამე..
არ შევუშინდი გრიგალებს და განვაგრძე სრბოლა,
ჩემი წესია მუდამ ჯიბრში ვედგე ამინდებს,
მე შემიძლია ქარიშხალი ვაქციო სიოდ,
თუ მოვისურვე, ჩემებურად გავიამინდებ.
გადაიარა წისქვილის ქვამ რახრახ-რახრახით,
ჟამმაც დამწურა მტევანივით, მაქცია ღვინოდ,
შემსვა ცხოვრებამ,მაგრამ თრობა მე მერგო წილად,
უსიამოვნო....

* * *

ვერ დავწერ, თუ აღარ მეწერება,
თუ არ განვიცადე აღმაფრენა,
სიტყვა, გულიდან თუ არ იშვება,
თუ არ იჭიკჭიკა მუზის ენამ...
როგორ მოვეფერო ლურჯ მწვერვალებს,
სიტყვა ალესილი ვით შევკადრო,
თუ არ იგიზგიზა კოცონივით,
გრძნობამ სიყვარულის ამავე დროს...
თუ ვერ შევიგრძენი გაზაფხულის
მადლი და სიკეთე უფლისმიერ..
თუ არ გავუხსენი გულის კარი,
ჩემი სიყვარულით ნებისმიერს.
თუ არ შევიცოდე დაცემული,
თვალი დავიბრმავე დასანახი,
გლახაკს ავარიდე მზერა ზიზღით,
მადლი ვერ ვაღვივე ჩანასახის..
ვერ დავწერ, თუ აღარ მეწერება,
თუ არ განვიცადე აღმაფრენა,
თუ არ შევერკინე მღვრიე ტალღებს,
თუ არ შევითვისე მათი ენა.
თუ არ ვიქარიშხლე თავადურად,
ცაში არწივისებრ არ ვიფრინე,
სისხლით თუ არ მოვრწყე ჩემი ყანა,
თუ არ დავამარცხებ უცხო ფრინველს.

ვერ დავწერ, თუ აღარ მეწერება....

* * *

მეფერებიან...მევლებიან დილის სხივები...
მბჟუტავ სხეულში სანთელივით იწყებენ ციალს...
ყოველი ნერვი იმუხტება მცირე იმედით,
იქნება ღმერთო! გადავურჩეთ დროჟამის ჭრიალს.
იქნებ, როგორმე გაიპოხოს რწმენის სანთელით,
მინავლებული, ჩვენში უღვთოდ რჩენილი დვრიტა,
ვინ იცის, იქნებ აღმოვცენდეთ ახალი სხივით,
გამოღვიძება თუ ინება ახალმა სიტყვამ.
არ გვაქვს უფლება მოდუნების და გულგრილობის,
ხალხის ნებაა, ქვეყნის საჭე მართოს ბრძენკაცმა,
თორემ რა ხდება,გადაიქცა ქვეყანა ხიზნად,
ქართველის გარდა თავი იგრძნო ყველამ ღმერთკაცად.
ქვეყანა, სადაც უფლის სული ყოველ გოჯშია
და ღვთიშობელის მადლიანი კალთა იფარავს,
არ გავასხვისოთ! შევუნახოთ მამული შვილებს!
მწამს! ქართველობა დავუდგებით ქვეყანას ფარად!

* * *

მოდიოდა...მოაპობდა ფართო ქუჩას,
წელწვრილი და თეძომრგვალი,მეოცნებე..
,,გავაზივით " მოხდენილ ტანს მოარხევდა
და არღვევდა ყველა დროის ფართო მცნებებს.
ო,რა ქალი...თქვა ჭადარმა, მოშრიალემ,
სურვილისგან მთვარემ ნერწყვი გადაყლაპა,
ქარი ისე მოეხვია დაბნეული,
გადააძრო გამჭვირვალე, თეთრი ,,შლაპა".
კაბა ეცვა...ღრუბლებისგან აკინძული,
შიშველ კანჭებს ულოკავდა ნიავქარი
და გულმკერდზე ცეცხლმოდებულ ბროწეულებს
სუნთქვა ჰქონდათ რიტმული და ჩქარზე ჩქარი...
მოდიოდა....და მოჰქონდა მთელი ქუჩა...
ნისლებიდან ჩამოქნილი ჰგავდა ქალღმერთს...
და დაემხო მის წინაშე კაცთა მოდგმა,
თაყვანს სცემდნენ ციდან მოსულს და ერთადერთს.
მოდიოდა...სრულქმნილი და საოცარი...
ტრფობის სურვილს აყოლილი ,მომღიმარე...
ო,რა ქალი, ჩურჩულებდა ნიავქარი...
მისი ეშხით ნაისრევი არემარე....

❣ ❣ ❣

დეზი ემანულიძე

წვიმა მთაში

ზეცას მრისხანებით კოპები შეეკრა,
შავი ღრუბლებიდან ცეცხლი ცვიოდა.
აშარი ღრიალით წვიმა მრისხანებდა
და ქარის სისუსხით საშინლად ციოდა

ირგვლივ ყველა დუმდა, არსი – სულიერი
იდგა ბნელეთის შიში შესაზარი,
ციდან სისხლის წვიმა სამყაროს მოსდებოდა,
უკუნეთს ანათებდა ელვა და, ქუხდა ზარი

ბინდი ჩამოწვა სადღაც ჭიუხებში,
ხევებს, ღმუილით გაჰქონდათ ბანი
ქუხილი ცისა ანგრევდა არეს,
ფოთლებს მიწაზე აფენდა ქარი.

მწარე გოდება თავს ატყდა დედამიწას,
ციდან სისხლისფერ ლაქებს ატოვდა.
ცეცხლის ალებად დანთებულ კოცონს
ღვთიურ მრიცხანებით მიწას ათოვდა.

ძრწოლვით გარინდულა არსი ყოველი,
შავი ელვარება ზეციდან კრთოდა.
ბრაზმორეული გრგვინავდა სამყარო,
ზეცის ქუხილით შიშისგან თრთოდა.

ირგვლივ ბურუსის ფარდა ჩამოეშვა.
მთათ გულზედ, დარდის ლოდები ეყარა,
საომრად ისხდნენ შავი ღრუბლები,
ქუხდა და ტკივილით ღმუოდა ქვეყანა.

თავისუფლება – საქართველოა!!

სამშობლოს ტკივილს გული დაუსერავს,
მის ბედნიერებისთვის მინდა რომ ვდუღდე
თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაჭრილს
სიცოცხლის ყიჟინა მინდა რომ ქუხდეს!!

სამშობლო, ჩემი გულის ფეთქვაა,
შვილი ვარ, ჩემი ქართულ მთა-ბარის.
მტკივა აფხაზეთს ფრთა-მოტეხილი
ენგურს ვესწრაფვი შეკვრას კამარის.

სამეგრელოში იარებს ვილბობ,
ფსოუს წყალს შევსვამ გულდაკოდილი,
თავისუფლების სიცოცხლით მებრძოლს,
ღრმად მაქვს ფესვები მე დაკოჟრილი.

გურიის მთებში ქრიან ცხენები,
ბახმაროს სუნთქვით გულანთებულნი,
საწერეთლოში ჩანგურს დავმღერი,
სამურზაყანოს სხივანთებული.

ვდგავარ იმერეთს, მაღლობზე გორას,
შორს, დარდით გავცქერ მარუხის ტეხილს,
ტკივილით ვიწმენდ კოდორის ცრემლებს,
ვეღარ ვერევი ფიქრებს ატეხილს.

საქართველოზე გული მიტირის,
გული ბედიის ტაძარში ფეთქავს,
ხმაღაღადისით, უფალთან ჩოქვით,
მოქვის მონასტერს მსურს ლოცვა მეთქვა.

აქ, სამაჩაბლო მისველებს თვალებს,
ლიახვს ჩამოაქვს ცოდვის ცრემლები,
სისხლმა შეღება წვერიახოს მთა
ყველას დასერილ გულს ვეფერები

გმინავს, ტკივილის ხმა უდრტვინველად,
მტერს რომ უმღერდნენ გმირულ „შავლეგოს“
ანწუხელიძის ამაყ, ქართულ სულს ვფიცავ,
სიკვდილს სიცოცხლე რომ შევაგებოთ !!

თავისუფლება, ჩვენი სუნთქვაა,
ტანჯვა ვერ მოგვკლავს, მტერი ვერ დაგვცემს,
თავისუფლება – საქართველოა!!
ქართველებს ვერვინ რომ ვერ წაგვართმევს!!

მიყვარხართ

მითხრეს, ანცი ხარო, შლეგი, შეშლილი,
გავხარ ქარიშხლს, გრიგალის შრიალით.
ევა ხარ, მაცდური, ტკივილი შექსპირის,
ბწკარავ ფურცლებს და ქარს მიაქვს ფრიალით

ხარ ქანდაკება, კლდეში ნაკვეთი,
სულჩადგმულ ფრესკად ნახატი ქალღმერთის,
ნოტი ხარ, ბგერა, აკორდი სონეტის,
გრძნობა ვნებისა, სიყვარულის ღმერთის.

ხარ, შემოდგომის სევდის ავდარი,
გაზაფხულს გრძნობა შეშლილი, წმინდა,
ხარ ამორძალი, სფინქსის სადარი,
ცრემლები კრძალვით შეგიშრონ გინდა.

შენ, ვნების, მაცდური ხარო ნაყოფი,
სპეტაკიც, ვითა წმინდა საუნჯე,
გული, ასე ყველას ვით უწილადე?!
მზეც გაახუნე, სიცხოვლით გარუჯე.

ეს, ჩემზე ასე აკინძეს სათქმელი,
ვითა მზეს სხივი მომტაცეს მალულად,
მე კი, შევყურებ ცხოვრებას გათელილს
და დამორცხვებით თავსა ვხრი კრძალულად

თუმც ვფიქრობ, რომ ვარ უბრალო,
ქალი რწმენით და იმედის ფიქრებით,
სიყვარულს გიტოვოთ სიცოცხლის საზღაოდ,
ზეცად ასული, როს აღარ ვიქნები.

მე, ვარიანის შვილი მქვია, იაკობის ვარ – „დიდი გორის“

მე, ვარიანში იაკობის საუნჯე მზრდიდა,
მასაზრდოებდა ვარიანის იის სურნელი,
მე, სათნოება სულის სიკეთით მწვრთნიდა,
მე, ვარიანის სიყვარულით ვარ უკურნელი.

სიცოცხლეს, ნაჟურს ღვთის ღრუბლებიდან,
წვიმად მოსული სიხარულის სხივებს მაწვიმდა.
ჩემს ვარიანში სიყვარულით დამთბარი გული
საზრდოდ სიკეთის მადლს მე მაწვდიდა.

მე, საქართველოს ვარ „დიდი გორის“
მე, გული მიდევს ქართველთა გენის.
მე, იაკობის გზის ვარ მეხოტბე,
ვქარგავ სიყვარულს რუსთაველის ლამაზი ენით.

მე, ჩემი ხალხის სურნელით ვსუნთქავ
„დედა ენა“ მაქვს საგოგმანები, ხელთა ფერებად,
პოეტურ რითმად გალაკტიონის მუზებს შევხარი,
ქართველი ერის დავბადებულვარ მე, საფერებლად.

მე, ვარიანის სიყვარულში მიდგას ფესვები,
ლამპრად თან დამაქვს „აი ია“ იაკობისა,
დიდი ილია გზას მინათებს დამოძღვრებისად,
კალამი ბწკარავს ლექსად ცხოვრებას შოთას ენისად.

ო, გალაკტიონ!!

ოდესღაც, მერიმ ღამე დაჩრდილა,
ჯვრისწერა იყო, გლოვა ნაწამები.
და, როცა ტატოს მერანი ქროდა,
კატინკას სველი ჰქონდა წამწამები.

და როს მესაფლავე ქალს მტირალს ხედავდა,
საფლავს აჩრდილად ეფინა მოგონება,
ძაძებში მოსილი კრთოდა სიყვარული
და კვლავ ცდუნება ბინდავდა გონებას.

გურიის მთებში ლურჯა ცხენები,
იისფერ თოვლში აწყვეტით ქროდენ,
დიდ გალაკტიონს ვერ იტევს ზეცა,
თუმცა მიწაზე იყო დრო, გმობდნენ.

დღესაც გაჰკივის სულის ბოჰემა მუზათა რითმად,
სადღაც კვლავ დაქრის თავაწყვეტით ტატოს მერანი
მერი, კვლავაც დგას თავდახრილი საკურთხეველთან,
და ლურჯა ცხენებს ვერ შეაჩერებს ქვეყნად ვერავინ !!

საქართველო – ნიკოფსიიდგან დარუბანდამდე!!

მცხეთას სვეტიცხოვლის რეკენ ზარები,
ჯვარი აზიდულა ცამდე ვედრებად,
გელათს ვუჩოქებთ მეფის საძვალეს
დავითის სული კვლავ გვევედრება.

ხორშაკი, სიხცე, ალმური მწველი.
დიდ ცოტნეს სისხლი ამაყად ყივის
სადღაც წვიმს და ეს მედეას ცრემლებია
ზეცად ასული სული გაჰკივის

ფოთოლცვენაა არაგვის ველზე,
მინდორი. ყაყაჩოებს ხსოვნით მოუქარგავთ.
გული დამწვარია დედა ქეთევანის,
დუშმანს გამწარებულს მკერდი დაუშანთავს.

გელათის კედლები გმინავენ ბრძოლით
და შემართებით კვლავ დგას იყალთო,
ცეცხლის ალმური კვლავ სწვავს შუამთას
დღესაც იმედი გვაქვს მტერს ვძლიეთ: „იყავ-თო“.

ამაყად გვიმზერს ოშკი და ზარზმა,
და აფხაზეთი რიხით ბანს გვაძლევს.
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
საქართველოსი ჩვენ, ვალი გვადევს.

ლილი გულბათაშვილი

* * *

– წუხელ წვიმამ წვრილი წვეთით
მწყობრად მწუხარება მწერა,
მწყრალად მწყრობდა მწყალობელი,
მწყურვალ მწყერს წააგავს წერა,

სწერდი სწერ და საწერ-კალამს,
სულის სერი სევდა სერავს,
სუნთქვა სხვისთვის სადარდელი,
საუფლოდან სიოდ ჰბერავს,

გოლგოთაზე გრძნობა გოდებს,
გული გონებაზე გიდობს,
გარიჟრაჟზე გორის გაღმა,
გრძნობა გიტევს განა გინდობს,

დღეებს დროთა დინებისგან,
დაიცავდეს დარდი დიდი,
დაისვენებს დიდებისგან,
დრო დადგება ... მოვა ბინდი,

ლოცვა ლოდინს ლიდერობს და
ლოდებს ლომთა ლელო ლეწავს ,
ლელიანში ლმობიერად...
სიო არხებს ლექსთა ლერწამს

2022.10.05

* * *

გუშინ ვუსმენდი უნებურად ...როგორ ლანძღავდნენ,
არ ვასახელებ კონკრეტულად ის თუ ვინ იყო,
დღეს კი გავოცდი რომ ის ხალხი ხოტბას ასხავდნენ,
მოგვიანებით გავიგე რომ გარდაცვლილიყო,

და ისე ურცხვად ადიდებდნენ ცრემლიანი ხმით,
რაღაც მომენტში მათი მეც კი ვრწმუნე თითქოს ,
უცნაურია ღმერთო ჩემო ორპირი ხალხი,
ან რას არგიათ სხვისი ლანძღვა დღე და ღამ ვფიქრობ,

იმეორებდნენ გარდაცვლილის ფრაზებს და რითმებს,
უსამძიმრებდნენ ერსა და ბერს დაკარგვას გენის,
მაგრამ სიყალბე ემჩნეოდა მთრთოლვარე სიტყვებს,
ცრემლსაც დაჰკრავდა ბოღმანარევ-სიცრუის ფერი,

და ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად,
მე შემეშინდა სიკვდილისა იმათ მაცქერალს,
წინასწარ გრძნობა სიკვდილისა გულით მომინდა,
და ქოფაკივით სიკვდილის წინ მე შორს გაქცევა,

რომ კვლავ იგივე აღარ ექნათ მსგავსთა მლიქვნელ დასს,
რო არ დასჭირდეთ პანაშვიდზე ძალად დარჩენა,
გადავიკარგო რომ მიცვლილი ვერავინ მნახოს,
მათივ სულების კვლავ ცოდვისგან გადასარჩენად,
2022.05.02

* * *

– ნასახლარებზე შერჩენილა ბუდე მერცხლების,
როგორც თვალებზე დაკიდული წმინდა კურცხლები,
ხშირად მსტუმრობენ სევდიანი მოგონებები,
და ყველაფერი მასში არის ისევ უცვლელი,

ისევ თოვლივით სპეტაკია გრძნობა შენადამი,
ვერცრა დააკლო შენმა ძრწოლვამ...ჟამთა სიავემ,
გული კვლავ დამრჩა ხმალას წვერზე მოსულ თოვლივით,
ვერ შამიბღალე...თუმცა გულზედ გადამიარე,

საცალფეხოზე დავეშვები თვალ-დანისლული,
ანანურამდე ჩამოვყვები არაგვის ტალღას,
სულს დავიმშვიდებ ძველისძველი ტაძრის ამბორით,
სანთლის პარპალი გადამიგდებს გულიდან დაღლას,

დრო ნელა გადის და სათქმელი კვლავ სტიქონს ქარგავს,
დნება აისი ვით სანთელი... ჩუმი გოდებით,
ვეღარ გივიწყებ... ამაოა... ყოველი განცდა,
ზეცის ყოველი ავდრობისას მომაგონდები,
2022.04/29

* * *

– მზე ჩადიოდა მთებს მიღმა
ზეცა ცეცხლისფრად ღვიოდა,
მდუმარედ იდგა საყდარი
თუმცა კი ბევრი სტკიოდა,

მთის ძირ დადგმული ქოხისკე,
ცხვრის ფარა ჩამადიოდა,
უკან მასდევდა მოხუცი,
საწუთისოფლოს ჩიოდა,

ნიავი მოკრძალებითა,
ფერდაზე მი-მოდიოდა,
ხევის გადაღმა ტყიდანა,
უცხო ფრინველი კიოდა,

ბინდმა დაფარა მთა-გორი,
თან-თან გამეფდა ბნელია,
მოხუცს არცაით ასვენებს,
ფიქრები კუპრისფერია,

იგრძნო საათი ჩერდება,
ცხოვრების წამ-მზომველია,
ჩქარ-ჩქარ მავალი ცხოვრება,
დღეს უჩვეულოდ ნელია,

არც ვინ თოლის ჰყავ დამხუჭვი,
არც ვინმე მტირობელია,
– ცხორს უპატრონოდ დარჩენილს,
გაატიალებს მგელია,

იმასა ჩივის ბეჩავი
თავ არ აქვ სატირელია,
ალალ-გულობით ჩალივა,
თავის საკუთნო დღენია,

შვილნი დაზარდა ლომები,
მამულს უზარდა ძენია,
მისსავე თავისუფლებას,
შასწირეს სიცოცხლენია,

თავად მთას შამაეფარა,
ცხორ-ბატკანს მიჰყო ხელია,
ცარიალ სახში ცხოვრება
გაუსაძლისად ძნელია,

ახლაც ცხორ-ბატკანს ჰბრალობდა,
არც-რა ქონდ სადარდელია,
შვილებთან წასვლას ჩქარობდა,
სიცოცხლე იყო გრძელია,

ნაგაზი ჰყავდა მოხუცისა
სულის ნუგეშის ფერია,
არც რასმე ღმერთსა ედავა
ეს მძიმე განაჩენია,

მწარედ შაჰყმუვლა ნაგაზმა,
ცრემლ გადმასცვივდა წრფელია,
ამაიქშინა მოხუცმა
ბოლო ჟანგბადი ცხელია,

ნაშუაღამევს გამაჰკრა
სიკვდილმა ყელში ცელია,
ჩატეხილ გულის ფიცარსა,
ფიქრ არ გაუვლავ ცერია,

ჩაქრა სიცოცხლის სანთელი,
დასრულდა დღენი ბნელია,
ზეციურ ნათელს აუყვა,
სული სიკეთის მქნელია,

ნაგაზი სოფელს ჩავიდა,
იპოვა ახლობელია,
ყეფა ყმუილით აუწყა
თავს დამტყდარ განსაცდელია,

მთის შვილნი ნაგაზს მიუხვდნენ,
გაჰყვნენ ალივეს სერია,
ჩამაასვენეს სოფელში,
სანთლისფრად დანაფერია,

დაკრძალეს ტკბილი მოხუცი,
ცრემლი აყოლეს ცხელია,
უფალი მართალ კაცისა
სულ მუდამ მწყალობელია,

მუდამ მაუვლენს მხსნელ-მშველელს,
რაც რომ ძნელ-ედგას დღენია,
არც მკვდარს გასწირავს არც ცოცხალს,
ვინაც რომ გაუჩენია,

2022.04.25

ვაჟა ხეტეშვილი

დასაწყისს დასასრული აქვს

თუკი მოვედით ამ ქვეყნად
მივეცით ნეტარებასა!
კიდევაც უნდა ვიცოცხლოთ
რატომ გაუჩვდით დედასა!
ესე ყოფილა ქვეყანა
წაღმა უკუღმა ტრიალებს!
ზოგი არსებობს ამქვეყნად
ზოგიც ყოველდღე გრიალერს,
ჩართული არის მრიცხველი
თვითეულ ჩვენთაგანისა!
როდის ჩერდება არ ვიცით,
დღისა არის თუ ღამისა!
რომ გაჩერდება ნაღდია
თვით დროაჩერებს იმასა!
ან დღე იქნება ან ღამე,
როცა ჩვენ გულით გვძინავსა!
ასეთი არის ცხოვრება
თავისი ხარვეზებითა
ვინც კი მოვსულვართ ამ ქვეყნად
არავართ ერთი ბედითა!
ზოგან გლოვა და ტირილი
ზოგან, ცეკვა და თამაში!
ჭირი და ლხინი რას ძმობენ
აი საქმეა მაგაში! .....
მაგათ ძმობისა რა გითხრათ
ტირილის, სიცილისაო,
ვისაც უფალი არ სწყალობს
ცრემლიც იმასა სდისაო!
გაუკუღმართდა ქვეყანა,
გამრუდდა გზები სავალი
ძნელად შეხვდებით კაცურ კაცს,
აი,ეს, არის მთავარი!
არავის მოსწინს ბრძანება
არც მორჩილება გამოდის!
შენი სულია შენს ხელში
ბოლოს ხომ ისიც ამოგვდის!
დასაწყისს დასასრული აქვს
ვინც გინდა იყავ ქვეყნადა!
იყო და არა იყორა
იმქვეყნად ვხვდებით ერთადა!

თუ ადამიანს ბედი არ სწყალობს

თუ ადამიანს ბედი არ სწყალობს
თავის ცხოვრების სავალი გზისა!
თუ არ უმართლებს მას ეს ცხოვრება
იმედი ჰქონდეს მაინც ღმერთისა!
ღმერთი ბიძგს აძლევს ყველას ცხოვრების,
მთავარიარის გამოიყენო!
ალღო აუღო ამ წუთისოფელს
გვერდზედ მლიქვნელი არ დაიყე!
თუკი გაგწირა მაღალმა ღმერთმა
შენ ვეღარავის ვეღარ უშველი!
თვითონ შენახარ სხვისგან საშველი
დაიარები შენ ფეხშიშველი!
სხვისსიკეთეზედ თვალებს აცეცებ
შენი დაკარგე რაც ღმერთმა მოგცა!
მისმერე წახდა არსება შენი,
სხვისი ქონება დათვალე როცა!
იწამე ღმერთი სალოცავები
გამოახილე ორთავთვალები!
სხვის ქონებისთვლას ანებე თავი
ხალხში გამოდი ნუ იმალები!

უფალო შეგვიწყალეო

მე ისგზა მიყვარს პატივს ვცემ
მიყვარს და ვეთაყვანები!
რომლითაც მივალ ტაძრამდის!
ღია დამხვდება კარები!
ქედმოხრით შევალ ტაძარში
პირჯვარის გადასახვითა!
ზოგან თუ ჭაღი ანთია
ზოგანაც ნათობს სანთლითა!
იწვიან წმინდა სანთლები
უხმაუროდ და წყნარადა!
ტაძარში იღვენთებიან
შეწირულები თავადა!
ხატებიც გამოსცქერიან
ტაძარში მოსულთ სტუმართა!
თითქოს და ანუგეშებენ,
სუყველას მდგართა მდუმართა!
შენი კალთისქვეშ მოვედით,
უფალო შეგვიწყალეო!
ისევ შენუნდა გვიშველო,
დღე იქნება თუ ხვალეო!

დიდება უფალს

დიდება უფალს
ჩვენ რომ გვითენებს,
ყოველ დღიურად
დილას ბედნიერს!
დიდება ჰქონდეს
მთელს საქართველოს!
სიკეთე ჰქონდეს
მთლიანად ჩვენს ერს!
ყოველი დილა
და ყოველი დღე
მომტანი იყვეს
სიხარულისა!
მთელ საქართველოს
ღმერთი სწყალობდეს
ბაღში ბულბული
ტკბილად გალობდეს!
ხალხი ღმერთისგან
მოელის ჩველას!
დიდსა პატარას
სწყალობდეს ყველას!
ყოველი დილა
გაგვთენებოდეს
სიკეთისა და
ბედნიერების,
სიკეთის იყვეს
მუდამ მომტანი
საქართველოსთვის
მთელი ქვეყნისთვის!
ღმერთო უშველე
მთელსა ქვეყანას,
ღმერთო უშველე
ჩვენს საქართველოს,
უცხო ტომების
შემოსვლამ ჩვენში,
რომ არასოდეს
არ იარსებოს!
საქართველოში
ქართველებს,
ხმას აღარ აღებინებენ
ქართულ მიწაზედ
უცხო ტომს,
დვარეცებს აგებინებ!
ღმერთო იხსენი
შენ საქართველო!
შვილების ხელით
გადაშენებას!
ღმერთო მომასწარ
ჩვენი ქვეყნისას
შვილების ხელით,
აღმა შენებას!.....

იყავ კეთილი ადამიანი

იყავ კეთილი ადამიანი
სხვისა საქმეში არ ჩაიხედო!
შენ შეუკეთე მხოლოდ შენს ბუხარს
სხვისი ბუხრისკენ არ გაიხედო!
შენ შენი გზებით იარე
სხვას ნუ გადუჭრი სავალსა!
ნურავის აგინებინებ,
შენსა დედას და მამასა!
შენი გზაც იქით მიგიყვანს
სადაც ყველასი მთავრდება!
მთავარი მხოლოდ ის არის,
ვის როგორ დაუმთავრდება!
შენი შეირგე რაცაგაქვს
რაც უფალს უბოძებია,
ვინცკი მოსულა ამ ქვეყნად
ააქვთ სხვადასხვა ბედია
შური ბოროტი სხვის მიმართ
გულში არასდროს ჩაიდო!
ეცადე სამარემდისა,
სიკეთის ხიდი გაიდო!
ბოროტი კაცი მშიშარა
დღეში სამჯერა კვდებაო
არასწორ გზაზედ რომ დადის
მაგას თვითონაც ხვდებაო!
ღმერთი სწყალობდეთ იმათა
ვისაც კაცურ გზით უვლია!
მათ არაფერზედ ეტკინოდ
მკერდში კეთილი გულია!
სიკეთე ვთესოდ ყველგანა
ყოველთვის არის მთავარი,
ღმერთო შენს სახელს დიდება
ხალხი დალოცე ალალი!
ყველას მოსთხოვე პასუხი
გულბოროტს მლიქვნელს ყველასა!
კვდებოდეს მშიეე მწყურვალი,
არვინ უწეცდეს შველასა!

სიკვდილს ლოდინი არუნდა

სიკვდილს ლოდინი არ უნდა
მას არვინ დაავიწყდება!
ყველასთან მივა თავისით
როდის ვისიდრო იქნება!
აქ არდატოვებს არავის
ასრულებს ღმერთის ნებასა!
სუყველა იცის თუროდის
ვინ სად გაუჩნდა დედასა!
სულერთი არის იმისთვის
მოხუცი დიდი პატარა,,
მოსტაცებს დედას თავის შვილს
ცხრათვე რომ მუცლით ატარა!
არ შეიბრალებს არავის
ან სიბრალულის რა იცის,
ვისთანაც მივა იქიდან
გლოვის ტირილის ხმაისმის!
წუთისოფელი ესეა
არავის გაახარებსა!
ბოლოში ყველას ამწარებს
გაუჭრის ბნელ სამარესა!

❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤

ნელი საგინაძე

განთიადი

ცის პირზე ღამე გადაწოლილა
სძინავს სიმდიდრეს და სიღარიბეს,
მთვარეც ღრუბლებში წამოწოლილა
გარინდებულა და ხმას არ იღებს!
დარბაისლური სიჩუმეა ჩამოწოლილი
და დედამიწა მაინცა ფეთქავს,
ვარსკვლავებს ისე მშვიდი ძილით მისძინებოდათ
ვერვინ ვიპოვე, რომ ამ გულის სათქმელი მეთქვა!
და სიჩუმეში ლოცვამ მომიხმო
ვფრთხილობდი, ღამეს არ გაღვიძოდა ჩემი ტირილით,
ღამის პირს გულზე ნელა-ნელა ათენდებოდა
და განთიადსაც მოხდენოდა მამლის ყივილი!!!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ღვთისმშობლის მკერდზე მიბნეული მარგალიტია,
თვით ქრისტე ღმერთის სალოცავი წმინდა მიწაა
და "ესე ერი" სანუკვარი თვალის ჩინია!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ჩუმად ნაწერი ქურუმების წმინდა წიგნია,
და ასე დღემდე შემონახულ, შეფარებული
ჩვენს მტრის ჯინაზე მოაღწია, როგორც ბიბლიამ!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
გალაქტიკაა უდიდესი ხუროთმოძღვრების,
ყველა მთის წვერზე მხრით აზიდული უფლის ჯვარია,
როგორც ნიშანი მართალ რწმენის, ქრისტეს
მოძღვრების!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
სვეტიცხოველზე ყოველ დილით მზე, რომ ბრიალებს,
საკუთარ თვალით შორეთში, რომ ცად დაინახავ
წინაპარი, რომ ტაძრის ლოდებს კვლავ აპრიალებს!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ასიათასი მორწმუნეთა ერთ დღეს წამება,
ალავერდია, ლომისაა, გელათი, გრემი
მყინვარის გულზე აღმერთებული გერგეთს სამება!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
აიეტია, მითრიდატეა გადარეული,
მიხაა ჩვენი ხელაშვილი, გალაქტიონი
ღამის შუქზე, რომ ლექსებს ჰქმნიდა ვით მთვარეული!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ბეთლემის სხივმა, რომ გაგვხადა მადლის მდევარი,
და აღმოსავლეთ მზის ქვეშეთში ჩვენივე თვალით,
რომ დაგვანახა, თუ რა არის ვაზის მტევანი!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ბექა და ბეშთან ოპიზრების, დამიანეს ოქროს ხელები,
შენს მტერს ყველაფერს, რომ მიუტევებ და სუფთა
გულით
თვალნათლივ თუ ვერ, ჩუმად მაინც მოეფერები!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
მოყვასისათვის, რომ იშოვო ღია ფერები,
მეზობელს ღამის ნასტუმრალ სუფრას ქეიფს, რომ უქებ
და თან სუფრაზე ნამღერ სიტყვებს წაემღერები!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?
შატილის ლერწამ ასულების გამონათება,
აცეკვებული თეთრი თითები თუშის გარმონზე,
ერისიონის დილის ცისკარზე ამონათება!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
გულმკერდ გახსნილი დედამიწაა, მთა, ცა, ველები,
შენს გვერდში მყოფებს ქვრივებს, ობლებს, სულით
მაშვრალებს
სუფთა სინდისით ოდნავაც თუ წაეშველები!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
ერის ხვედრია, თითქოს მძიმე და თან ადვილი,
ძლიერი სუსტში გამორჩეული მხედრობისათვის
ქრისტემ თვის გულში, რომ მიგიჩინა შენი ადგილი!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?
ცად აზიდული კავკასიის წმინდა მთებია,
ღმერთო იდიდე, ღმერთო გვადიდე ამ ცის ქვეშეთში
ეს რა სამოთხე და რა მადლი წილად გვრგებია!

იცით რა არის ქართველობა და საქართველო?!
საგალობელად დაღვენთილი ცრემლი დავითის,
ასე განვიცდი,ასე ვხედავ, მე ასე ვფიქრობ,
და სხვანაირად ჯვარს რომც მაცვათ მაინც არ ვიტყვი!

ამაღლება

ამაღლდა, ამაღლდა ზეცად
თან გაჰყვა დარდი და ცრემლი,
შეხედეთ, ვერ იცნეს ქვეყნად
უბრალო, სიმართლის მთქმელი!
ამაღლდა და ნახეთ ზეცას
ანგელოზთ გრგვინვაა ცაში
და შენ კი სოფელო შენთვის
იყავ და იკარი ტაში!
დღეს უკვე, ეს მერამდენედ
ამაღლდი, სამყაროც ბრწყინავს
და ვიცი სულ მალე ქრისტე
გულებს გაგვიღვიძებს მძინარს,
ამაღლდა, ქრისტე ეს ერთი,
უბრალო, მართალი ღმერთი!!!

გადავიზამთრებ

ამაღამ ზღაპარს მიამბობს თოვლი,
დამადნებიან ფიფქები თმებზე,
სული უშენოდ ამითრთოლდება
ამ სიცივეში თეთრ თოვლის ფერზე!
ამ ღამის ყინვა ტანს შემიციებს
მომიალერსებს მკაცრად ლოყებზე,
და წამწამებზე ცრემლს შემიყინავს
როგორც შეყინა ამ ხის ტოტებზე!
დილამდე ვიცი მაინც გავატან
უშენოდ მაინც რამეს ვიღონებ,
და ამ დათოვლილ რტოებთან ერთად
როგორმე ზამთარს გადავითოვებ!

შემოდგომა

მოდის შემოდგომა ასე უკითხავად
ტანზედ შეყვითლებულ კაბით,
ხელში დიდი ფუნჯით, ნაირ-ნაირ ფერით
მოდის ერთი დიდის ამბით!
მოდის მედიდურად და გზად უფენია
ჭრელი ხალიჩების გროვა,
წელიწადის ამ დროს, შემოდგომას მკერდზე
ქარვის შევამჩნიე თოვა!
გულზე გადაიშლის ოქროს მდიდრულ ფერებს
მზესაც შეუყვითლებს სხივებს,
ბროწეულის ხეებს გულზე აუკინძავს
წითელ მარგალიტის მძივებს!
ზვრებს შემოენთება მეფურ სიდიადით
ფოთლებს შეუფერებს ვაზსაც,
ხვავით გადაუვსებს მარნებს მამა-პაპურს
ნაშრომს, წელში მოხრილ კაცსაც!
მთებსაც შემოუფრენს ოქროსფერი ეტლით
ასტეხს ორომტრიალს ფერთა,
მერე დაპირებულს გულს შემოახატებს
ოდნავ გრილ ფერს ცისფერ ზეცას!
დღეს შეამოკლებს და ღამეს გაადიდებს
დაუმეგობრდება წვიმას,
ხეზე ფოთლებს ნელა-ნელა აათრთოლებს
შიშის კანკალით, რომ ცვივა!
ჩემს თმებს ძველებურად კვლავ მოეფერება
შემოდგომის ნაზი სუსხი,
ცის კაბადონს გულზე ვარდისფერად აწევს
ღია დაისიც და მწუხრიც!
წუხელ სავსე მთვარეს გადაუფერადა
ცეცხლისფერად ფუნჯით გული
ჭრიჭინების ხმების სულისწამღებ ჭრიალს
უკვე შეეჩვია ყურიც!
ჩალისფერ ყანებში თავთუხის მარცვლებზე
ბუდეს შემორჩნენ გნოლები,
ნუ გაგიკვირდება, თუკი ამის მერე
გეტყვი მ ე შ ე მ ო დ გ ო მ ე ბ ი!!

ნოემბერო

მზე ნუ გამიბრაზე ჩემო ნოემბერო,
სხივი დაუმალავს ფრთებქვეშ,
ალბათ ეწყინა, რომ ყველა ხის ფოთოლი
ტყვედ გადაიფინე ფეხქვეშ!
დილით შევამჩნიე წითელ ნეკერჩხალზე
ცვარად წამოვიდა წვეთი,
ქარვის ხალიჩაზე, უამრავ ფოთლებს კი
თრთვილი გადაჰკროდათ თეთრი!
მოდი მზის სხივო და მოდი ნოემბერო,
ერთად შემომითბეთ სული,
მოდით ყვითელ ფოთლებს სითბო მოაშველეთ
სანამ არ წასვლიათ გული!!!

თელავი

შემოდგომის ზეცას ბინდი შეჰპარვია
ცის პირი კი შემუქდა და ელავს,
ვერცხლისფერი წვიმა ოქროსფერ ფოთლებთან
ფეხქვეშ ქარვად დაჰფენია თელავს!
ეს ბურჯები მეფის ძველი სასახლისა,
როგორ დიდჭირნახულები სჩანან,
ბევრის მთქმელი ტაძრები და გალავნები
ძველთა ძველ მემატიანეს ჰგვანან!
წლის ყველა დრო შენთან გულს ეხალისება
სიყვარულს კი ნუღარ მკითხავ, ნუღარ,
შენს ძველ ბაღში შემოდგომის ეს ფოთლები
ქარვად მიმოფანტულან და დუმან!!!



ნანა ჩარკვიანი

უძილო ღამე

დილამდე ვკეცე ღამე მატყლივით,
სევდა დავართე ფიქრში.
მუზამ სასთუმალს მოიკალათა
რითმა დავწანი რითმში.

ვქექე და,ვქექე ჩემი ცხოვრება
მოგონებების სკივრში.
არ მასვენებენ შენზე ფიქრები
სიფხიზლესა, თუ ძილში.

ნეტავ სხვა თუა შენი სადარი
ამ დუნიაზე სადმე,
ჩემო სამშობლოვ!.
როგორც თოთო ბავშვს,
დღესაც გითიე ღამე.

ნეტავ,მომასწრო, შენს გაბრწყინებას
გვეშველებოდეს რამე.
ჩამომჯდარიყო ჩემს ფანჯარასთან,
იმედს მაძლევდა მთვარე.

მიიპარება,სადღაც ქურდივით,
ზაფხულის ცხელი ღამე.
და სიჩუმეში მესმის წიკწიკი,
საათი ითვლის წამებს.

ეს კოკასავით გამტყდარი ძილი,
ისევ იფშვნიტავს თვალებს.
დღე შრომა, ღამე დარდი და ფიქრი,
თან სდევს, ემიგრანტ ქალებს.

ჩანახატი ლექსად

მზემ აიკეცა სხივები ფრთხილად,
სიომ უმღერათ ძილისპირული.
კოკა გაუტყდა ცაზე ანგელოზს,
წვიმა მოვიდა,კოკისპირული.

ქარმა აჰყარა ნისლები მთიდან
შავმა ღრუბელმა დაიპყრო ზეცა.
ისმის გრუხუნი,ჭექა ქუხილი
ბებერ კაკლის ხეს,დაარტყა მეხმა.

გამოიდარა...მიწყდა ხმაური
და ცისარტყელაც გამოჩნდა ცაზე,
გაკაპასებულ დედაკაცივით
შვიდი სარტყელი წაუკრავს თავზე.

ჩამავალი მზის,სჩანს ანარეკლი.
ნამგალა მთვარეც შემოჯდა მთაზე,
თითქოს ავდარი სულ არ ყოფილა,
ცა,ისე მშვიდად დაგვყურებს თავზე.

სიზმრად ვნახე

სიზმრად ვნახე საქართველოს მთები,
მიჯაჭვული კლდეზე ამირანი.
როგორ ძლებთქო, გავუბედე ღმერთკაცს
გაოცებით, რომ შევავლე თვალი.

ამომხედა,საოცარი მზერით
მიჯაჭვულმა,შეისწორა მხარი
მითხრა, რაც მე მასულდგმულებს დღემდე,
საქართველოს სიყვარული არის.

შემებრალა,წყალი ვასვი პეშვით,
დასჩენოდა ჭრილობების კვალი.
ჭრილობები შევუხვიე ფრთხილად,
თითქოს ამით მოვიხადე ვალი.

არ იდარდო, ბუბუნებდა მთები,
გაიღვიძეეე! ჩამსძახოდა ქარი.
ამირანიც აიწყვიტავს ჯაჭვებს,
მერე მტრებო...ვაი თქვენი ბრალი.

გავიღვიძე... ემოციებს სიზმრის
მაინც, ვეღარ დავაღწიე თავი.
ნუთუ,კლდეზე მიჭაჭვული ღმერთი
მართლა ჩემი ,საქართველო არის.

სიყვარულის გადარჩენა

მზემ წამოკრიფა სხივების კონა,
გასაგრილებლად ჩაუშვა ზღვაში.
ჰორიზონტს მიღმა,მოსჩანდა ლანდად
გოგო და ბიჭი რომ ისხდნენ ნავში.

ნიავი,ტალღებს გაეთამაშა და
გადაცვალა სიმშვიდე ქარში.
მოულოდნელად,ცამ შეჰკრა კოპი
წამოიშალა ღრუბელი ცაში.

საბედისწერო დამდგარა ღამე,
სანაპიროზე სიკვდილი დაძრწის,
ჭექაქუხილის და ელვის შუქზე,
მოსჩანს,ფიცრებად დაშლილი ნავი.

ისმოდა როგორ ღელავდა ზღვა და,
როგორ გმინავდა,ქალი და ვაჟი.
იკარგებოდა,განწირული ხმა,
თოლიების და ტალღების ხმაში.

ბიჭებთან ერთად სვამდა ყმაწვილი,
სანაპიროსთან მახლობლად ბარში.
უშველეთ ვინმემ იხრჩობიანო,
როცა შევარდა ყვირილით ბავშვი.

გზადაგზა,ყრიდა პერანგს და შორტებს
დაუფიქრებლად შეიჭრა წყალში.
მერე არ ახსოვს, რა როგორ მოხდა,
გადაარჩინა...ისმოდა ტაში.

ახსოვს,სირენის ხმაც და ექიმიც
რომ უსინჯავდა პულსს,მაჯის ცემას.
სიკვდილი ადგა თავზე მეხივით,
ვინ გკითხავდაო,იმ ორის შველას.

ბიჭმა ჩახედა სიკვდილს თვალებში,
თქვა,სიყვარული გადავარჩინე,
მარტო ამისთვის მიღირდა ღმერთო,
ამ ქვეყანაზე რომ გამაჩინე.

სიკვდილს კურცხალი მოადგა თვალზე,
უთხრა,ღირსი ხარ გჩუქნი სიცოცხლეს.
რა ვქნა მეც ჩემი მაქვს სამსახური
მაგრამ დაგითმეთ სამი სიცოცხლე.

ბიჭის პალატის კარი გაიღო,
ხელს უმშვენებდათ თაიგულები,
იდგნენ წყვილები მადლიერებით
და სიყვარულით სავსე გულებით.

აბა, პოეტის სიკვდილი ვინ სთქვა

ვუძღვნი გარდაცვლილ პოეტებს

აბა,პოეტის სიკვდილი ვინ სთქვა,
ვინ სთქვა,პოეტი სხვებივით კვდება.
გარდაცვალების დიდ საიდუმლოს,
იგიც გედივით ,,რითმებით" ხვდება.
სხეული მიწას მიებარება,
მისი სული კი,ლექსებში რჩება.
და აუხდენელ ოცნებებს შორის
აუტანელი,წყვდიადი ქრება.
მაინც მიჰყვება საიქიოში
დაუწერელი ლექსების სევდა.
ზოგჯერ,ცის თაღზე დაიდებს ბინას
და მოკაშკაშე ვარსკვლავად ჩნდება.
ზოგჯერ,სიოა მთით მონაბერი,
ზოგჯერ წვიმების წვეთად გვეცემა.
ზოგჯერ ყვავილად მოეფინება
მდელოებს,ბაღებს ,სკვერებს ედება.
ზოგჯერ ფიფქია ნაზი,უბიწო
ზოგჯერ, გადაშლის დილას ედემად.
ზოგჯერ,ჭიკჭიკით გიამბობს სათქმელს,
გულის სიმებზე,ნაზად გეხება.
ზოგჯერ,ქუხს კიდეც,მოდის გრიგალით,
ზოგჯერ გიჟია,მოდის ავდრებად.
მერე,ინათებს ნაწვიმარ ცაზე და,
ცისარტყელად მოიქარგება.
ვინ სთქვა პოეტის სიკვდილი,ვინ სთქვა
ის მზის სხივებში დაიბადება
და იქედანაც,გაგითბობთ გულებს
ხალხში ლექსებად გაიფანტება.

უფალო მომეც შენდობა

დილიდან მუხლმოდრეკილი
ლოცვა მომინდა ხატებთან.
მისმენდნენ სულგანაბულნი,
ღვთისთვის დანთებულ სანთლებთან.

გულის გადაშლა მომინდა,
უფალთან,ამ ჩვენს გამჩენთან.
მარტო რას გავუმკლავდები
აბა,დაგროვილ დარდებთან.

სულის ჭრილობებს მიხვევდა,
ცრემლებს მიშრობდა თვალზედა.
საკმევლის კვამლის სურნელში
უფლის ხელს ვგრძნობდი მხარზედა.

უფალო მომეც შენდობა,
ამ ცოდვილ ქვეყანაზედა.
ნეტავი მაშინ სად ვიყავ
შენ რომ გაგაკრეს ჯვარზედა.

დღესაც არ შეხორცებულა,
ჭრილობა ნალურსმავზედა.
დღესაც სისხლიდან იცლები,
ჩვენი ცოდვების ბრალზედა.

უფალო,შენი იმედით
დავდივარ ქვეყანაზედა.
გთხოვ მომიტევე,ჩემს გამოც
აგღმართეს გოლგოთაზედა.

დღეს ლოცვა ისე მომინდა,
თაფლის სანთელის ალზედა.
ცრემლმორეულმა ვილოცე
ცოცხალზეცა და მკვდარზეცა.

ერთმანეთს სული გავუთბოთ

წუთისოფელში მოსულებს,
დღე გქონებოდეთ მზიანი.
ერთმანეთს სული გავუთბოთ,
სანამ არ არის გვიანი.
წამია კაცის სიცოცხლე,
წამია ადამიანი.
სიკვდილი არვის დაინდობს,
სულელია, თუ ჭკვიანი.
არც ღარიბ ღატაკს დაგიდევს
არ იცის არც ფულიანი.
იყავი მიმტევებელი,
თბილი და ალერსიანი.
მერე არ შველის ტირილი
თვალები ,ცრემლებიანი.
უფალმა დიდი დღე მოგცეთ,
მხიარული და მზიანი,
სიყვარულისთვის მოსულა
ამ ქვეყნად
ა დ ა მ ი ა ნ ი.

დაიცალა საქართველო

დაიცალა,საქართველო,
როგორც სავსე ღვინის თასი.
ვისაც ცოტა შეუძლია
ყველა გარბის,ქალი კაცი.

ამოხადეს,ქართველს სული
ვეღარ ამოვიდნენ ვალში.
აქეთ,სახლებს უყიდიან
იქეთ რაც კი ჩადეს ბანკში.

სამსახური არსად არის
სად გადახტნენ ,რომელ წყალში.
კარგი ცხოვრება ,თუ გინდათ
მოიკითხეთ მთავრობაში.

მოხუცს პენსია არ ჰყოფნის,
პურსაც ნატრობს ბევრი ბავშვი.
ღიმილები წაიშალა,
ხალხს ბოღმა აქვს ხასიათში.

ამას ისიც დაემატა
არ გვიღებენ ევროპაში.
კომპანიებს უხარიათ
ტევა არ აქვთ თვითმფრინავში.

ყველა გარბის,ქალი, კაცი,
ვინღა რჩება ნეტავ სახლში.

ვისი მთავრობა იქნებით,
მაგ ცარიელ ქვეყანაში?!

თუ სამშობლოს ვერ პატრონობთ
ადექით და,წადით სახლში.
ჩემი ტურფა საქართველო,
ხომ არ მოგიგიათ ნარდში.

თქვენ ,რომ გკითხოთ დუღს ქვეყანა,
აღარ გძინავთ ხალხის დარდში.
ისე,მართლა როგორ გძინავთ,
საქართველოს კვნესის ხმაში.

საქართველო კრუხს მაგონებს,
დაეფანტა შვილნი ქარში.
ქართველი კი,წიწილივით,
გალუმპულა ცრემლის ღვარში.

სხვის მიწაზე,მოჭიდებულს,
ხელში შერჩა მხოლოდ ხავსი,
ატრიალებს ნიაღვარი
მოყოლილა ქარიშხალში.

ღმერთო მხოლოდ შენი მჯერა,
არ გაგვაქრობ და არ წაგვშლი.
ნიკოფსით- დარუბანდამდე,
რომ ძველ საზღვრებს ისევ გაშლი.

უფალო მომეც შენდობა

დილიდან მუხლმოდრეკილი
ლოცვა მომინდა ხატებთან.
მისმენდნენ სულგანაბულნი,
ღვთისთვის დანთებულ
სანთლებთან.

გულის გადაშლა მომინდა,
უფალთან,ამ ჩვენს გამჩენთან.
მარტო რას გავუმკლავდები
აბა,დაგროვილ დარდებთან.

სულის ჭრილობებს მიხვევდა,
ცრემლებს მიშრობდა თვალზედა.
საკმევლის კვამლის სურნელში
უფლის ხელს ვგრძნობდი მხარზედა.

უფალო მომეც შენდობა ,
ამ ცოდვილ ქვეყანაზედა.

ნეტავი მაშინ სად ვიყავ
შენ რომ გაგაკრეს ჯვარზედა.

დღესაც არ შეხორცებულა,
ჭრილობა ნალურსმავზედა.
დღესაც სისხლიდან იცლები,
ჩვენი ცოდვების ბრალზედა.

უფალო,შენი იმედით
დავდივარ ქვეყანაზედა.
გთხოვ მომიტევე,ჩემს გამოც
აგღმართეს გოლგოთაზედა.

დღეს ლოცვა ისე მომინდა,
თაფლის სანთელის ალზედა.
ცრემლმორეულმა ვილოცე
ცოცხალზეცა და მკვდარზეცა.



ვაზის ჩივილი

ინტერნეტში რამდენიმე კვირის წინ ერთი სადღეგრძელო მოვისმინე, არ მახსოვს მთქმელი, მაგრამ რატომღაც დღეს ამეკვიატა ამ სადღეგრძელოს დედა აზრი და ასე გამომივიდა ლექსად. მადლობა იმ ადამიანს შთაგონებისთვის.

გაზიარება ნებადართულია❤

ბელტი ბელტზე მიაწვინეს,
დამთესეს და გამახარეს.
მერე,გვერდი გამიჭრეს და,
სხვა სხეული ჩამისახლეს.
შემიხვიეს, ჭრილობა და,
იხარეო დამსძახიან.
ამას ჩვენში, ქართველები
,,ვაზის მყნობას" ეძახიან.

ფესვები რომ წამოვიდგი,
მომთხარეს და სხვაგან დამრგეს,
დიდ ორმოში მომათავსეს,
ბლომად მიწაც მომაყარეს.
იქედანაც ამოვძვერი
და, მკლავები გადავშალე.

ხედავ, როგორ გაზრდილაო
გაიოცეს,როცა მნახეს.
დამატეხეს მკლავები და
ფუჩეჩიც კი გამონახეს,
მავთულებზე ქრისტესავით
ჯვარედინად გადამაკრეს.
ამას, ,,გასხვლა", ,,აკვრა" ჰქვია,
სიმწრისაგან ცრემლი ვღვარე.

განა ამას დამაჯერეს,განა
ეს ტანჯვა მაკმარეს.
ჩემი პატარა შვილები
ფოთლებში,რომ გადავმალე.
იპოვეს და დამაგლიჯეს,
სულ მკერდიდან ამაცალეს.
ამას ,,გაფურჩქვნას" ეტყვიან
გლოვაც კი არ დამაცალეს.
შხამი მასხეს, ფოთლებზე და
თან, გოგირდიც დამაყარეს.
ტანი ლურჯად შემიღებეს,
გიწამლეთო... დამამადლეს.

მომწიფდნენ ჩემი შვილები,
ქარვისფერად შეფერადდნენ,
ზოგი გიშრისფრად ბრწყინავდა,
დამშვენდნენ და გალამაზდნენ.
მზის სხივებთან მეგობრობდნენ,
დილის ცვარით პირს იბანდნენ.
ზოგჯერ,ნიავს მთით მონაბერს
საუბარსაც გაუბამდნენ.

დაინახეს,აფუსფუსდნენ
ხშირად,სიტკბოს უსინჯავდნენ.
შემოდგომა როცა დადგა,
საწნახელი მოამზადეს,
ზოგი ხელით დამაგლიჯეს,
კალათებში მოათავსეს,
ზოგი დანით და მაკრატლით
ჩეხეს,გოდრები აავსეს.
მანქანებიც დატვირთეს და,
მარნისაკენ გააქანეს.

მერე, ფეხით შედგნენ ნაყოფს
ჭყლიტეს, სისხლი ადინეს.
იქვე, ჭურში მოათავსეს
რადგან უნდა დაღვინდეს.
ჩემს მკლავებზე, ხორცს კინძავენ
და, მწვადებად შეწვავენ,
ჩემს სისხლს სვამენ...
სადღეგრძელოს
ვ ა ზ ი ს ა ს არ შესვავენ.

ეხლა დგება ჩემი რიგი,
მე ხომ გამატიალეს.
ჩემს ჭკუაზე,მღერის,ცეკვავს
ჩემს დაკრულზე ტრიალებს.
და თუ,ნორმას გადასცდება
უმოწყალოდ ღრიალებს.
ჩემებურად გულს ვიოხებ
ვათრობ, ადამიანებს.

ეთერ ისაკაძე

მე ჩემი კალო გავლეწე

მე ჩემი კალო გავლეწე,
დარდი დავმალე ძნაშია,
არც არვის დავესესხები,
ქვეყნად სიკეთის ქმნაშია...
კვლავ შემოდგომა დამდგარა,
ღვინო ლიცლიცებს ჯამშია,
სუყველას გულით დაგლოცავთ,
სითბო გქონოდეთ ჯანშია...
სულ სიყვარული მეფობდეს,
ირგვლივ მთასა და ბარშია,
წინ გასავლელი ბევრი მაქვს,
მიფრინავს ჩემი რაშია!

ჩვენი სანთლები

ჩვენი სანთლები
ტიროდა ტაოს,
ჩვენ წამოვედით
ისინი ენთო,
არ გვეთმობოდა
იქაურობა,
ქუხდა სიცოცხლე
იმქვეყნად ერთდროს!
ჩვენი გმირების
სულის საოხად,
წირავს მამაო
ტაოს ,,ოთხთაში,''
საკურთხეველში
ვიხილეთ წირვა,
თურმე რა ხდება
ღმერთო ოთახში?!
უფლის სისხლს და ხორცს
თანაზიარნი,
მამაოს თვალნი
ცრემლით სავსეა,
არ დარჩენილა
ტაძარში მრევლი,
უფლის დიდების
ყველა მაცნეა!...
იქ, გვერდით, ტაძრად
დიოდა წყარო,
ასკილს ეხარა
ხასხასას,წითელს,
სამი ასკილი
წირვას დაესწრო
აღდგომის კვერცხი
ინატრებს იმ ფერს!
დათლილი ქვები
გროვად დაყრილი,
მეწყერს ემძლავრა
ტაძრად შერომსკდარს,
გადაუვლია
ვინ იცის, ერთ დროს
უწკრიალია
დედა ხორეშანს!
ცრემლით დავკოცნეთ
ტაძრის კედლები,
დავტოვეთ, ღმერთო...
მიყრილ-მოყრილი,
გუმბათში სითბო
შემოდიოდა,
შარავანდედის სხივით
მოსილი!
საკურთხეველთან
ენთო სანთლები,
იწვოდა კვნესით,
ტანჯვით, წამებით,...
აივსოს ტაოს
კლდების მშვენება,
მომლოცველით და
წმინდა მამებით!

,,შატილის ასულო''

ასულს ვეძებდი შატილს და,
ვერსად დავადგი თვალია,
მიყუჩებულა მიდამო,
მფარველობს დედა-მარია!
სად გაიხედავ - ზღაპარი...
ყველგან სითბო და დარია,
გულს მიკლავს გადარაზული,
კოშკის კლიტული კარია!
დღე საოცარი გათენდა,
ირგვლივ ყვავილთა ჯარია,
ღამემ მომხიბლა, სად მთვარე
ამობრდღვიალდა - ფარია!
მოედინება ხევ-ხუვში,
მოჰყეფს მდინარე ჩქარია,
ცხენთა ფლოქვების თქარუნი,
მთის გულის გასახარია..
ჯიქურ დგას ციხე-კოშკები,
საძვალე გულსაკლავია,
სადაც მზე ორჯერ ამოდის,
ორბების საბუდარია!
მწვერვლიდან ზეცას მისწვდები,
ღრუბელთ ჩრდილს დაუვანია,
არ ძალმიძს - ენით გადმოგცეთ,
სამოთხე, გ ე თ ს ა მ ა ნ ი ა !

უწმინდესს

როგორც ароდეს არ
დაილევა
ღრიალი თერგის,
როგორც ароდეს გამოილევა
ნისლები მთების,
როგორც ароდეს არ გაქრება
ალპებში - ყვავილების ზღვა,
ასევე იყოს თქვენი
სიცოცხლე კვლავ!
ახლიდან შეუსხამთ
კლდეებს ფიჭვები,
თქვენ არ გასვენებთ
ჩვენზე ფიქრები -
რას მოვიმოქმედებთ,
როგორ ვიქნებით ხვალ!
ყოველი დღე,
ჩვენ გვიხარია თქვენით,
იმედი ხვალის,
თქვენი ხილვაა ამბიონზე,
ღმერთმა ძალა მოგცეთ,
კვლავ, ყველას დაასწარით,
ლოცვა ალიონზე!
ჩვენ, თქვენთან ერთად
გვინდა ვიხილოთ,
გაბრწყინება საქართველოის,
თქვენი ქადაგება
გვიკვალავს გზას,
უფალს მივეგებებით,
რიდით და კრძალვით,
დავუფენთ, პალმის
რტოებს და ბზას!
დედა ღვთისმშობელი მოგვანიჭებს
გატანის მადლს,
ყოვლისშემძლე უფალი მოგვიხსნის
გულიდან დარდს,
თქვენი წინამძღოლობა,
არ მოეშალოს
სამართლმადიდებლოს,
ჩვენ, წინ დაგიფენთ
უდიდესი კრძალვით -
იას და ვარდს!

მლეთა

შემომეფეთა ალპებში,
ულამაზესი ასული,
იქით ლომისა მოსჩანდა,
გადაგვეშალა წარსული!
ზღვა იყო - უკიდეგანო,
ჰყვაოდა ირგვლივ ყოილი,
ხევის შვილების მომრთველი,
ბარის არ იყო დობილი!
ვეროდეს წარმოვიდგენდი,
გავშრი, გავშეშდი წამიერ,
,,არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს,“
მის დამწერს, მრავალჟამიერ!
სალი კლდეები მეფურად,
დგანან არწივის ბუდედა,
იქით გერგეტი მფარველობს,
ვერვინ გახედავს მრუდედა!
აქეთ, ლომისას სალოცავს,
აუუ, რა მადლი ჰქონია,
ამგვარი ძალის მოცემა,
მე არსად გამიგონია!
...გოგო ვიხილე წერწეტი,
კისერზე ჯაჭვი ეხვია,
ღვარად გადმოსდის ცრემლები,
თავადის ქალის სეხნია!
ზოგისთვის მძიმე საოცრად,
ზოგსაც გიშერი ებნია,
იწონებაო ცოდვები,
აქ, არა სჭრიდა ხერხია!
რკინის ქალამნებს შევეხე,
ნეტავ, რა ხელმა აკეთა,
დრომ ვერაფერი დააკლო,
დარჩა წარსულის სარკეთა!
...გახსენი პირი მიწისა,
იქ წვანან გმირი მამები,
ბორგავენ, ვერ ისვენებენ,
იქაც გვერდით აქვთ აბჯრები!
მათ გულზე ხარობს გვირილა,
ულამაზესი, სპეტაკი,
ვინაც ღალატი გაივლოს,
ეხუროს ქალის ლეჩაქი!
წმინდა მამები დღედაღამ,
დარიანში თუ ავდარში,
ახლოს არიან უფალთან,
ათენ-აღამებს საყდარში!
აი, რამ გადაგვარჩინა,
ვინ მოგვიყვანა აქამდის,
ხევის შვილები მტერს ხმალით,
ფეხით მისდევდა სახლამდის!
... ისმის გალობა მთის წვერზე,
ხან წვიმს, ხან მზე და ნისლია,
ამ საოცრების მხილველი,
გაგვხადოს ღმერთმა ღირსია!

* * *

გულში ცეცხლი გიზგიზებდა,
სხვებს ვათბობდი, მეც მყოფნიდა,
ახლა ნაღვერდალი ბოლავს
და, უცეცხლოდ მეც შემცივდა!

ბოლნური ჯვარი

ვაჰ, წინაპარო
აშენე ოხვრით,
შენ ვერ იყარე
მტარვალზე ჯავრი,
იცოდი მერეც
არ დაგვინდობდნენ,
ინახებოდა
ბოლნური ჯვარი!
შენი ნაკვეთი
ცრემლით და ლოცვით,
ხან ფეხზე დგომით
და ხანაც ჩოქვით,
ამოკვეთილი, ამოკაწრული,
წრიული რგოლი
გულში ისარი,
მოყვასისათვის სადიდებელი,
მტრის განმგმირავი
მხოლოდ ის არის!
და ახლა როცა
თვალდანახული,
ტაძრის კედლებზე
ტყვიით დაცხრილეს,
დაპატრონების
მსურველთ ეგონათ,
წაშალეს კვალი
ქრისტიანული,
დიდება უფალს,
გაიხსნა პირი,
დღეს ხილულია
ბოლნური ჯვარი,
ნიშანი ჩვენი
მარადისობის!

სად არ მატარე ღმერთო

სად არ მატარე ღმერთო,
მიწის ქვევით თუ ცაში,
სალი კლდეები ვლაშქრეთ,
ყვავილებს ვკრეფდი ბარში...
მე მოვილოცე ტაო,
,,ოთხთას"ვისმინე წირვა,
სასომხეთს, საინგილოს,
ჩვენს წინაპართა გმინვა!
კაბადოკიას გახლდით,
რა საოცრება ვნახე,
სუმელას წმინდა მამებს,
ჰქონდათ ღვთიური სახე!
სვიმონის სვეტი ქვაში,
დღესაც ლოცვით დგას იგი,
ხეობას დედა - ვნახეთ,
არსებობს ბევრი მითი!
სვანეთმა სული შესძრა,
ასულს ვეძებდი შატილს,
რა დამავიწყებს მუცოს,
ზუგდიდს, ვლაქერნას სადილს!
წყალტუბოს ქვეშეთს ვიყავ,
მინდა ვათიო ღამე,
ბაგრატის შემდებ ძმაო,
აბა, მითხარი რამე?!
კაცხის სვეტს ბერი იდგა,
ბერთას კალმახებს ვთვლიდი,
მე მოვილოცე გრემი,
ვარძია დიდზე დიდი!
კლდეთა ნაჟური წყალი,
დიდ ქვაკვეთურში ვნახე,
დავით გარეჯის კომპლექსს,
არ შეედრება რამე!
ხევი მაგიჟებს, მიყვარს,
გერგეტს დავადგი ფეხი,
ლომისამ გადამრია,
დამაწერინა ლექსი!
წმინდა მამების ქალა,
ქარელს, ქოზიფას ვნახე,
ბოდბეში ნინო დამხვდა,
მისი უმანკო სახე!...
სად არ მატარე ღმერთო,
ხელს მაშველებდი წამში,
რომ ვყოფილიყავ შენთან,
იმ საზიარო ჯამში!
ყველგან ღვთის მადლი დამხვდა,
ქვას-ქვაზე ცრემლით დებდნენ,
წმინდა გიორგის ფრესკებს,
კაბადიკიას წერდნენ!
როგორც წარსულში, დღესაც
შურს და სიძულვილს სთესენ,
ოდითგან ასე იყო,
გვკლავდნენ, გვართმევდნენ,
გ ვ გ ლ ე ჯ დ ნ ე ნ !
სალოცავები დარჩა,
მოსაზღვრეების ხელში,
გვტკივა, ვლოცულობთ, ვიბრძვით,
მოჯადოებულ წრეში!
შენ დაგვიცავი ღმერთო,
დიდი ღვთისმშობლის კვართით,
კვლავაც დაიცავს ქურმუხს,
წმინდა გიორგი რაშით!

მაია კახიძე

გულის ნაირები

მთვარე მანანავებს, მარწევს,
ცაი მეპარება ფრთხილად,
დღესაც დაათენდა ფანჯრებს,
თბილი ბეღურების დილა.
        მართლა უსასრულო ცაა,
        ჩუმად გარინდულა თითქოს,
        გულში - უშენობაცაა,
        ვითომ ჩემთანა ხარ, ვითომ.
ახლა რა ძალიან წვიმობს,
თვალებს ავაფარებ ზეცას,
ფიქრიც დაიღალა, ფიქრობს,
ისიც ჩაიძირა, მეც და...
        ფეხად ჩამოვიდა ღამე,
        ღრუბელს გამოექცა წვიმად
        გულო, ნუ დამითვლი წამებს,
        მოდი, ჩემთან მოდი სიზმრად.
ღმერთო, მოგიყვები რამდენს,
გული ისევ მიწყებს ფრიალს,
ოღონდ ნუ გამოლევ ღამეს,
სიყვარულისფერს და მზიანს.
        მთვარე მანანავებს, მარწევს,
        ცაი მეპარება ფრთხილად,
        დღესაც დაათენდა ფანჯრებს,
        თბილი ბეღურების დილა.

ჩ ა მ ო თ ო ვ ა

თოვს...
ღამე ნაკვერჩხალად ისე გაილია,
ზამთრის თრიალი თოვლში აირია,
წუხელ იმოდენა სევდა ჩამოთოვა,
ახლა გაგიჟება ლექსად შემიძლია.
ჰოდა,
ბუხარში შებუდებულ სევდას
გაუმარჯოს!
კიდევ იმას,
ერთი ფიფქი სიყვარულიც რომ
გულის ტრფიალი და ტრიალია.
თოვს...

მე პოეზიამ სიყვარულად გადამაქცია

მე
პოეზიამ სიყვარულად გადამაქცია,
მე პოეზია ფიქრებიდან გამომეკიდა,
ჩემი ლექსები, ყოველდღე რომ ტანზე მაცვია,
არც მეკითხება, ჩამომიჯდა, ჩამყვა, ჩავიდა.

იცი,
უშენოდ ერთი წამიც არ მიცხოვრია,
ფიქრებში ახლაც შორი გზიდან რეკენ ზარები,
ყოველღამ ვითვლი და შენამდე ისევ შორია,
ერთხელაც, ვიცი, სტრიქონებში დამემგზავრები.

ვზივარ
და ვფიქრობ: რა იქნება, იქნებ არც იყოს,
შენ თუ მიშველი, მომიშუშებ გულის იარებს,
ეს სიყვარული აღარ მინდა სევდამ წაიღოს,
მე ამ სიყვარულს მხოლოდ შენ თუ გაგიზიარებ.

დღეს
პოეზიამ სიყვარულად გადამაქცია,
დღეს პოეზია ფიქრებიდან გამომეკიდა,
ჩემი ლექსები, ყოველდღე რომ ტანზე მაცვია,
არც მეკითხება, ჩამომიჯდა, ჩამყვა, ჩავიდა...

დღეს რომ არ მეთქვა...

შენთვის
ჩაწერილ ყველა სტრიქონს
ყოველდღე ვითვლი,
არ დამავიწყდეს, ღმერთო - მეთქი,
ნაღამური ჩემი ლექსები,
ყოველ სიტყვაში, რა ძალიან
მითრთოლდება ორივე ფილტვი,
ოღონდ, მითხარი:
ნეტავ, ახლა შენ რად მერგები?..
რამდენი წამი გარინდების,
უშენობის გულ-მკერდზე ბნევა,
გულს მიაქვს გული,
აფეთქებულ ტყემალივით მეტად
მღელვარე...
___ ვჩქარობ
და თითქოს ძველებურად
დავსეირნობ ცისფერ თვალებში,
ფუთფუთებს მაჯა,
დილა არის ისე ელვარე...
დღეს რომ არ მეთქვა:
მიყვარხარ-მეთქი, გავგიჟდებოდი,
იმ ძველ ქუჩაზე მოვკვდებოდი,
დღეს, ანდა ხვალე...
ნაცნობ სტრიქონებს გამოვყევი
სიყვარულის ამოსახსნელად,
– აი, მოვედი,
– დედამიწა გამოვიარე...

სიყვარული მაცვია

იცი,
რა ლამაზია,
დილა შენზე ფიქრებით?
ვიცი,
მოგენატრებით,
მე, მთვარე და ის დილა

(მზისგულ შენი თითები,
მკერდში შემოვარდნილა).

დღეს
ფიქრებში გახვეულს,
სიყვარული მაცვია,
ქარი მეჩურჩულება,
ბუმბულივით ქარცია.

მე
გაჩუქებ ჩემს სიზმრებს,
შემონახულ ბევრ სითბოს,
შემოგისევ დღეს ფიქრებს,
მერე მზერას უძიროს...

ღამე
ღამეს მოსდევდა,
ფიქრი ყელზე მცვიოდა,
მობუზული ჩიტივით,
საბანქვეშაც მციოდა...

ბაგე
ლექსით გავითბე,
ესეც შენი ბრალია,
კოცნა ვისთან წაიღე,
გული გეძებს ძალიან.

ფიქრი
ახლაც აქ არის,
შემოჩვეულ სიზმრებით,
სანამ გვიან არ არის,
სანამ კიდევ ვიქნებით!..

იცი,
რა ლამაზია,
დილა შენზე ფიქრებით?!

წვიმდეს, რა უჭირს...

წვიმდეს, რა უჭირს,
ქალბატონო,
მომანათეთ ეგ თვალები,
შავი, ბრიალი...
წვიმდეს, რა უჭირს,
ქალბატონო,
მომაფერეთ ეგ ტუჩები,
იალკიალი...

წვიმდეს, რა უჭირს,
პარნასია გაზაფხულის
ვნება-ციალი...

წვიმდეს რა უჭირს,
თუკი გახსოვთ,
თქვენ და ღამეს
ჩვენი ტრფიალი...

წვიმდეს, რა უჭირს,
ჩემო ქალბატონო,
თქვენს ნაკვალევს
მაინც არ წავშლი...

სად ხართ ქალბატონო,
რად არ მიკვირს
ამგვარი წვიმა,
ან მონატრება
თარაშ ღამეში?..

წვიმდეს, რა უჭირს,
თუკი გელით წვიმაც
ჩემსავით,
ოღონდაც, მოდით,
ქალბატონო,
ოღონდაც, მოდით და
წვიმდეს, რა უჭირს...

პოეტის ქუჩა

მე
შევულოცავ ზეფირონ ქარებს
და ვიცი, ღამით დაცხრება სუნთქვა,
შეხედეთ ერთი, პოეტის თვალებს,
მონატრებას რომ ქარს ატანს ჩუმად.

მაჯაც
ბორგავს და ზღვასავით ღელავს,
გული ხან ტირის, ხან კიდევ მღერის,
შენი ლურჯთვალა თვალების მჯერა,
შენი კესანე თვალების ფერის.

ჩავიდა,
ჩაწვა ღრუბლებში მთვარე
და მეც ვჩურჩულებ ძალიან ჩუმად,
დღეს ამ სტრიქონებს მოაბნევს ღამე,
პოეტის დილა...პოეტის ქუჩა...

და მიქრის გული ღამით ქუჩებში,
შენს მონატრებას მახსენებს ურჩად.

ს ი ყ ვ ა რ უ ლ მ ა ნ

მარადიულია
ცა და დედამიწა
ღამეთა, დილათა,
მზეთა და წვიმათა,
ქართა და თოვათა,
სიყვარულმან დაფაროს
სიმრავლე ცოდვათა,
სიყვარულმან აღავსოს
სამყარო ლოცვათა,
სიყვარულმან დაათბოს
თვალები ქორალთა...
ღრუბლებს ვუწილადე
სიზმრები მთოვართა,
ერთხელაც უფალო,
შენთანაც მოვალ და...
დღეს სიყვარულმან
და ათეშგა* თითებმა,
ზეციურ ტაძართა
კედლები მოხატა...

*ათეშგა - ცეცხლის ტაძარი

მარი ჟღენტი

მეფე დავითი და გვანცა

(ასოციაციები)

იმ აზიური ვნებების ცეცხლმა,
მეც წამიერად... მუხლებზე დამცა,
მათოვდა შენი ალერსის დელგმა,
მე კი სხვა თვალებს ვეძებდი
გვანცა!

გეფერებოდი, როგორც შროშანას
და მხურვალებამ ბაგისამ გამცა,
გისმენდი, როგორც მაღლით ოსანას,
ფიქრში... დროშის ჯვარს ვკოცნიდი
გვანცა!

შემოგიმწყვდიე მკერდზე, ვით როჭო
და დავეწაფე შემიპყრო რამცა,
სუსტი მკლავებით გინდა შემბოჭო?
კავკასიონს ვით შებოჭავ
გვანცა?!

შენი ბორცვების ბილიკს შევყვები,
ვიპოვნი დამფრთხალ გვრიტთა თუ კრავთ-
ცა,
ხანჯალს შემომრჩა სისხლის შხეფები?
რა ვუყოთ, მე ხომ... კაცი ვარ,
გვანცა!

დავეძებ ყოფის ანსა და ჰოეს
და სწავლით ვწურთნი ბრიყვთა თუ ხამთ-ცა,
იმ წამს, მაგ ტუჩთა სიტკბო რომ ვპოვე,
გელათში ვიყავ... უფრორე,
გვანცა!

და აღარ ვიცი, ახლა ვის სწამხარ,
ჩემთვის ვინა ხარ, ხან მზე თუ... ხან ცა?
შენ რომ უდაბნოს ცხელი მიწა ხარ -
დედისიმედი... ზეცაა
გვანცა!

სატრფოზე ფიქრებს შორით გავტყორცნი,
ბეჭს შევუხიდებ ამ კლდეს და ამ ცას,
ქალზე უმეტეს ვნებით დავკოცნი
ამ მიწას, რადგან... მისი ვარ,
გვანცა!

სხეულს კაცისას არ ძალუძს, მაგრამ
სულს ერთგულების აცოცხლებს განცდა,
ჰოდა, ტყუილად ცრემლებს ნუ კარგავ,
ასე ნუ ტირი, ნუ ტირი,
გვანცა!

ტრფიალს თავადვე ჯებირებს ვუქმნი...
თუმც, დავთმობ მისთვის ძოწთა და
განძთცა, -
რადგან არავის სხვას არ ვეკუთვნი,
მე ჩემს ქვეყანას ვეკუთვნი...
გვანცა!

ნატრობდი, მაგრამ მე ვით შევძლებდი? -
მასში ჩავხატე ხმელიც და ზღვაცა,
შენ რომ ჩემს გულში ბუდეს ეძებდი...
იქ, საქართველო... ღმერთია!
გვანცა!

ქალი
(უმისამართო ბალადა)

წამოიფარა გამხდარ ბეჭზე ბედის სიჩუმე,
მიმქრალი მზერა, ძველ ჭიშკარზე დატოვა თარჯად...
რადგან შეატყო მოცახცახე მუხლებს სისუსტე,
ფერმკრთალ თითებით მოისინჯა ჩამწყდარი მაჯა.

თქვა: დრო არისო, "ავიკრიფო დაღლილი ძვალი"
და წუთისოფლის ვექსილები დროზე დავხურო,
სიყრმის სანახებს მონატრული შევავლო თვალი,
დედის საფლავიც უკანასკნელ მოვინახულო...

მწირი პენსია დაითვალა ფიქრთა რიდებით,
საფულეს "ფსკერი" უშურველად შემოურღვია,
წამოიკიდა ყვავილები მკლავზე იმდენი,
დედას საჩუქრად... სიცოცხლეში არ მიუღია.

სოფლიდან შორი მინდვრის ბოლოს, ჩამოხდა "მარდად",
წამით შემდგარმა, შეიმაგრა ნაბიჯი ფრთხილი,
ქალწულობაში სიკისკასით არბენილ აღმართს,
წელში მოხრილი შეემგზავრა დედაბრის ჩრდილი,

თან გაიხსენა სიყმაწვილე, გულთ რომ აგროვებს
და სიყვარულის "კარდალაში" ხარშავს ალაოს,
ცეცხლის ანთებას - ცოტაოდენს - ყველას ადროვებს,
სანამ მზის სხივი გვირილებში ყირამალაობს!

...დედის სურათის შეაცბუნა ღიმილმა რთულმა,
პირთამდე გული, ამან, იქვე მოაპირქვავა
და მიმქრალ მკერდში უკან ძალით ჩაბრუნებულმა
მწარე სიმშვიდის უსამანო ტვირთი ითავა.

ორმოცმა წუთმა, ორმოცი წლის დანატოვარმა,
ცრემლად იდინა (თუმცა მშრალმა) თოვლად ითოვა,
ვერ დაჩოქილმა (მტკივან მუხლით)... ფიქრმა მსტოვარმა
დედისგან, მხოლოდ სამი ვარდი, გამოითხოვა...

მიმოიხედა: ვინმე მხედავს?! მხედავს თუ არა? -
გული გაექცა სიყმაწვილის მონა-მსახურად,
ბორცვი, ოდესღაც ხელაკვრით რომ "მო-იუარა",
სამ ვარდთან ერთად, სევდიანმა მოინახულა,

მკერდზე ეფერა უცებ სუნთქვაშენამდოვრებმა,
კილომეტრების მიღმა ფიქრი... "სხვა ბორცვს" გადასწვდა
და იმათ შორის ჩატეული მთელი ცხოვრება,
თვალსმიფარებულ ხელისგულებს ვეღარ გადასცდა!

... უძლურმა ლანდმა წამოიღო პირამოკრული
მოგონებები... ცხელ გულში რომ ხარშავს ალაოს,
უკან მოსდევდა სევდა კოჭში კლანჭგამოკრული,
თან „მზეც“... რომელიც სიყვარულთან ყირამალაობს!

მამუკა ოჩიაური

დაგიცდი

მიყვარხარ,
        შენ არა, ეს ვიცი
დარდები ამ გულში დიდია,
იცოდე მე ისევ დაგიცდი,
ისევ იქ, - წყალზე რომ ხიდია.
მიყვარხარ მე ისევ, შენ - არა
ის წუთი ამ დღემდე შემომრჩა
რაც უნდა მექნა და მენანა
რაც უნდა მეფიქრა, მელოცა
შენ მყავდი, ფიქრად და ტკივილად,
ხვალინდელ დღესავით საფიცი
ხიდთან რომ ხე არის ღიმილა,
იმ ხესთან ისევე დაგიცდი.
მიყვარხარ, შენ არა ისევე
ამაზე ვწუხვარ და განვიცდი,
ხიდთან რომ მდინარე ისვენებს
მივალ და უსაზღვროდ დაგიცდი.

ვინ ხარ

ნეტავი ვინ ხარ, მოხვედი სიდან,
მოხვედი მოსვლით გაჩერდა წამი,
იქნებ სხივი ხარ მოსული ციდან,
ანდა ღრუბელთა ობოლი ნამი,
თუ ასე მწირობ მოსდევ ალალად
და ქარაშოტის კალთას ეკვრები,
რატომ ჩამდგარა ურყევ სამანად
ღონემოსული რითმის ეჟვნები,
რატომ დაფლითა ნისლის აფრები
ქარმა ძლიერმა, ქარმა მავანმა
ალბათ შენც რითმებს ისევ ადნები,
აროს გიცდია მათგან დამალვა.

მებრძოლი მედიკოსი

(ექსპრომტად)

გრიალებს ზეცა, ნაღმები ცვივა
ჰაერში წივის ტყვიები ცივი,
ხოხვით საცეცხლე ზონაში მივალ,
სანგრების ორი დავლახე მწკრივი.

გადამწვარია ირგვლივ ველი და
სანგართან ხეზე ქანაობს ფითრი,
ვხედავ სისხლი სდის მებრძოლს ვენიდან,
მასთან მისასვლელ დროს წამად ვითვლი.

ვეხმიანები, მაგრამ ვაი რომ,
მებრძოლი მხვდება, მკლავგაგლეჯილი,
ცაში ღრუბლები ათასნაირობს
და ღელავს, ღელავს, როგორც ჯეჯილი.

მოღუშულია ცა, ველის თავზე
სხივებმა "ფარდა" ჯერ ვერ დახიეს,
ხოხვით მისულმა გაგლეჯილ მკლავზე
მჭიდრო სახვევი გადავახვიე.

გადავახოხე სანგარში მერე,
გადავუხვიე სხვა იარებიც
რად ხარ სიცოცხლევ ასე ტანჯული,
რომ ბეწვის ხიდზე დაიარები.

საკაცე მოაქვთ, ეშველა მებრძოლს
გადავახვიე მისი სხეული,
ჯერ გაუსაძლის ტკივილებს ვერ გრძნობს,
ომის ქარცეცხლში გამოხვეული.

ის გაარიდეს ცეცხლის ხაზს მალე,
მე კი სხვას ვეძებ დაჭრილი თუა
დღეს სამართალი რად ხუჭავს თვალებს,
იქნებ დაბრმავდა, ან იქნებ ყრუა.

და დასწოლია საამო ტვირთად
სიცოცხლის დაცვა მედიკოსს მოძმის,
ასე მისდევენ ომის გზას ერთად
გაუტეხელნი, ქართველთა მოდგმის.

ნაღმები ცვივა, გრიალებს ზეცა
ჰაერში წივის ტყვიები ავი,
დღეს რომ მებრძოლთა სიცოცხლეს იცავს
მედიკოსია უტეხი ფარი.

გაგიშვებდი

გაგიშვებდი, მაგრამ გული უარზეა,
უშენობით ფიქრებიც კი ავდებიან,
შენი ხილვით, დამიჯერე სულში მზეა
შენი წასვლით, მოსაწყენი ავდრებია.

გაგიშვებდი, დაგტოვებდი ცათა ველზე,
როგორც ქარმა მიატოვა ნისლეული,
მე არასდროს მიგიკრავდი მფეთქავ მკერდზე
და გაგვყოფდა ერთურთისგან დასასრული.

მაგრამ ვერა, ვერ შევძელი ყოველივე
აღარ მინდა გულიდან რომ მოგიცილო,
როცა ღამე ცაზე გაშლის ოქროს მძივებს,
მინდა სიზმრად მოგეფერო, მოგისმინო.

და მინავლულ სიზმარეულ მინარეთებს,
როცა ძილის შეასკდება ათინათი,
მინდა მაშინ მიმზერდეს და მინათებდეს
ეგ თვალები ჩაუქრობი, მზეზე მნათი.

შენი ხილვით დამიჯერე მუდამ მზეა,
უშენობით ფიქრებიც კი ავდებიან,
გაგიშვებდი, მაგრამ გული უარზეა
შენი წასვლით მოსაწყენი ავდრებია.

ვნებიანი ღამე

ნარნარით ირხევა საწოლი,
იისფერ ნისლებში ვირწევით,
იმ გრძნობას ვერასდროს ავწონით,
ორივე უცეცხლოდ ვიწვებით.

ცხელია სუნთქვა და ტუჩები,
რატომღაც კერტებიც მკვრივია,
ვნების ცეცხლს, ვერ გადავურჩებით
გულები მკერდიდან კივიან.

დაცურავს სხეულზე თითები,
დრო დადგა, შეგუბდა მორევად,
კვირტივით ენთები, ირთვები
ამ ყოფას არ უჩანს მოლევა.

გახშირდა სუნთქვა და ჩურჩული
გადავცდით ამ განზომილებას,
რიჟრაჟი - უგულო ურჩხული,
რად ცდილობს ჩვენ ორთა მხილებას.

სასთუმალს თმა ტევრად ედება,
ვცახცახებთ ვნებებით ძლეულნი
მკერდს უნდა თითების შეხება,
ერთია დღეს ორი სხეული.

ერთია გულღიად ნაფიქრი,
ვნებების ბილიკიც ერთია,
ბილიკი, კოცნებით ნაფიფქი
იისფერ ნისლეულს შერთვია.

დამშვიდდა მშფოთვარე საწოლი
და აღარც ნისლებში ვირწევით,
ამ გრძნობას ვერასდროს ავწონით,
ორივე ამ ცეცხლით ვიწვებით.

გურამ სახვაძე

❤ ჩემო ძვირფასო ადამიანო ❤

- ეს ლექსი ზოგადად ყველა კარგ ადამიანს ეძღვნება, და გამეხარდება თუ პროტოტიპად თქვენ თავს ამოიცნობთ მეგობრებო.❤ გ.ს.

* * *

რამდენი ლექსი მოგიძღვენ უკვე
რამდენი პწკარი ექსპრომტად თქმული,
რატომ ? – რავიცი, ღირსი ხარ ალბათ
ასე მკარნახობს ტვინი და გული.

ვერ მოგილია საქებრად ენამ,
ვერ მოგიწყინა თვალმა საცქერლად,
შეხედულებით კი არ ვკვირდები
ხასიათებით უფრო ამდენად.

მხიბლავს მაგ შენი ბუნებრივობა,
და მთელი ეშხიც არის მაგაში,
რომ რაც ხარ ის ხარ, და არასოდეს
არც კი გიცდია სხვისი თამაში.

უნიღბოდ ცხოვრობ შენი ცხოვრება
მუდამ ნათელი შუბლით და აზრით,
არასდროს იმჩნევ საკუთარ ტკივილს
გული რაც უნდა გჩხვლეტავდეს მაინც.

დადიხარ, ცხოვრობ ათასებს შორის
პოზიტივს მატებ ნაცნობს თუ უცნობს,
და როცა სევდა მატულობს ხალხში
შენ იმედად ხარ ყველასთვის
იმ დროს.

ო, როგორ მინდა გხედავდე ხშირად
ო, როგორ მინდა შენთან ვიარო,
და მინდა ბევრი გგავდეს სიკეთით
ჩემო ძვირფასო ადამიანო.

მე ვიცი რამდენს შეშველებიხარ
არ გყოფნის მაგრამ სხვებზე
განიცდი,
რით ანუგეშო ამდენ უმწეოს
საკუთარ თავთან ბჭობ და განიცდი.

წინათ თუ ბევრი გვყავდა თქვენებრი
და ის ცხოვრება მოჰგავდა წალკოტს,
ნეტავ სად გაქრა ის ყოველივე
და შევიცვალეთ ამდენად რატომ?

რად გარდაიქმნა ეს ხალხი ასე,
უმრავლესობა რატომ გაცივდა,
შენ თავს ვფიცავარ ძალიან მიკვირს
და დაჯერება ამის არ მინდა.

არ ვიცი არა, – თუმც ბევრი ვიცი
მაგრამ ეს ახლა სადღაც წაგვიყვანს,
წარსულზე თხრობა თუ ვერას შეგვძენს
მაინცდამაინც დიდად არ მიყვარს.

აწმყოზე ვდარდობ,
ვდარდობ ხვალის დღეს,
ვდარდობ გაყოფილ აზრებს
და მიზნებს,
ჩემო ძვირფასო ადამიანო
ნეტავ გვიმრავლდნენ
თქვენებრნი ისევ.
ნეტავ თქვენსავით ტკიოდეს ყველას
ერთმანეთის თუ სამშობლოს ბედი,
მაშინ ომებიც არ იქნებოდა
ყველა რომ იყოს კეთილი ხედვის.

და, მე ლექსებით თუ გეფერები
ნუ ჰკვირობ თითქოს მეტის მეტია,
რადგან თქვენებრი ხალხი დღეისთვის
ჩვენი ქვეყნისთვის ყველაფერია.

მე გამიმარჯოს

მე გამიმარჯოს
როგორც ღირსი ვარ,
როგორც ხალხთან და
ღმერთთან ვვარგივარ,
როგორც ვასრულებ
მშობლების ანდერძს
და ზოგადად რომ
კარგი კაცი ვარ.
მადლობა უფალს
ამ ყველაფრისთვის
მადლობა ყოველ
დღესა და ღამეს,
ჩემს ლამაზ ოჯახს,
სანათესაოს,
თუ ნაცნობ – უცნობ
მეგობრებს რამდენს.
სწორედ უფლის და
თქვენი წყალობით
მოვედი დღემდე
ჯერ კიდევ ლაღი,
იგივე სუფთა გულით და
გრძნობით
როგორიც ვიყავ
პატარა ბალღი.
ბევრი მტკენია, ბევრი
მწყენია,
ჭირი და ლხინიც
ბევრი გადამხდა,
მაგრამ ის დვრიტა
რაც ოჯახს მოგვდგავს
კაცთმოყვარობა
ჩემზეც ამხდარა.
დღეს უკვე გავხდი 66 ის
მადლობა ამ დღის
ყველა
მომლოცველს,
ვენაცვალები ყველა
კარგ ქართველს,
სამშობლოზე და
მის ხალხზე მლოცველს.
უთქვენოდ ყოფნა
ფიქრშიც არ მინდა
თქვენთან ვნატრულობ
ლაღად ცხოვრებას,
მე გამიმარჯოს თქვენთან
ერთობით
ჩვენს წარსულებს კი
ვეტყვი შენდობას.
ნუ გავაციებთ ჩვენ – ჩვენ
კერიებს,
ხვალინდელ დღეზე
ვიფიქროთ ყველამ,
გარბიან მაგრამ
ქართული გენის
გადაშენების მაინც არ მჯერა.

❤ ჩემი სლოგანი სიყვარულია ❤

არავინ არ მძულს
ამ ქვეყანაზე
ზიზღი ვერ მოვა ჩემთან,
სუყველა მიყვარს
ადამიანი
პირობა მიდევს ღმერთთან.

მაგრამ თუ ვინმე
სპეციალურად
გამომიწვევს და ამშლის,
ნუ გაიკვირვებთ
ჩემო ბატონო
ცუდის ქმნაც შევძლო მაშინ.

ჩემი სლოგანი სიყვარულია
უფლისგან ვიშვი ასე,
მიყვარს ყოველი
რაც თვალს ახარებს
და, დღე სიცოცხლით სავსე.❤

ვერ ამოვხსენი

ზოგჯერ დგებიან
მძიმე დღეები
და გულის – გულში
ჩაუშვებს ღუზას,
უცებ წამართმევს
სიხარულს, ღიმილს,
მომაკვდინებს და
წარმტაცებს მუზას.
მაშინ სიცოცხლეც
უფერულდება
(რამაც დაკარგა
ისეც ხალისი),
და მხოლოდ სევდა
შემომეხვევა
შიში მყოფადის, შიში
ხვალის დღის.
მე მეშინია ხალხის
სიცივის
რომ ის აღარ ვართ
რაც ვიყავთ წინათ,
და რომ ქებული
ზნე-ჩვეულებით
ქართველი ხალხი
ისე ვერ ვბრწყინავთ.
სულ რატომ წარსულს
უნდა მივსტიროთ
როცა მოვესწართ
ტექნიკის ხანას,
ვერ ამოვხსენი,
ადამიანში
რა ქმნის სიძულვილს,
შურსა და ღალატს.

სამშობლოს

შენა ხარ ჩემი საფიხვნოც,
სალოცავიც, და დიდგორიც,
გიფასებ, უფლით რაც მერგო
კარგი ქართველის ყმის როლი.

მოხარული ვარ ამისთვის,
და მადლს შევწირავ განგებას,
არც მიფიქრია, არც აწი
ვაპირებ არსით გახედვას.

მიჭირს თუ მილხინს არ ვტირი
ან რა ვაჟკაცის წესია,
რამდენ სიმრუდეს შევეხალ
მაგრამ არ დამიკვნესია.

ერთი გვყავს მტერიც, მოყვარეც,
გულს დამფენიხარ საქებრად,
დედის არ იყოს გიფიცებ
მეარაკები სათქმელად.

შენით მოვსულვარ აქამდე
შენი ჩრდილით და მზის სხივით,
ვბერდები, თუმცა ჯერ ისევ
თავი მგონია ბიჭივით.

არ დავიჩოქებ მტრის მიმართ
შენთვის რომც ჩოქვით ვიარო,
სამშობლოვ უფლის ნაკურთხო
მიწაო ბარაქიანო.

არასდროს შემირცხვენიხარ
აწიც დიდებას გპირდები,
ერთ კაცად მუდამ მიგულვე
სანამ ცოცხალი ვიქნები.

25 – 06 – 2021 წ.

იმერეთის კარიბჭე

ჩემი კუთხის კოლორიტი
რიკოთიდან იქმნება,
მის აქეთ ხომ დასავლეთი
იმერეთით იწყება.
გვირაბიდან გამომავალს
სიო სახეს გიკოცნის,
თმებს გიწეწავს,
სულში გიძვრენს,
დარდებს გიქრობს, გიკორტნის.
სუნთქვაც უფრო გიმშვიდდება
თავს ლაღად გრძნობ ძალიან,
იმერლები ხელს გიწევენ
გამარჯობა ძამია.
რიკოთულა კისრის ტეხით
დაბლა ხევ – ხევ ეშვება,
მასში ფეხი უნდა ჩადგა
თუ გსურს იგრძნო შენ შვება.
უნდა შესვა წყაროს წყალი
წყლის უნახავს რომ გაგხდის,
და დალოცო იმერეთი
აწმყოთი თუ მომავლით.
გზის პირებზე სოფლებს ნახავ
სამოთხეებს რომ ჰგავრან,
მის მცხოვრებლებს გაუმარჯოთ
არ იქნება რომ არ თქვა.
გამოივლი ხევს და ხუნევს,
საქასრიას, ნადაბურს,
ვერტყვიჭალას ვერტყვილათი,
ბორითს, კუთხის თვალს და გულს.
ყველა სახლი კოხტა არის
კარმიდამო ბაღია,
მოუყვები დაბლა გზას და
გულით მოგიხარია.
თვალნანახი გულს გაგიხსნის
საქეიფოდ განგაწყობს,
ბაგეს ლექსი მოგადგება
აზრს ექსპრომტად დააწყობ.
უბისამდე რომ მოაღწევ
ჩვენი უფლის სავანეს,
ვერ აცდები "ანტრეს," "ზღაპარს,"
ან "მალხაზის სამწვადეს."
მათში მარტო საქეიფოდ
კი არ შედის სტუმარი,
იქ კარიდან დაწყებული
დარბაზით თუ ბუხარით.
კედლებით თუ ჯამ ჭურჭელით,
კერძით ნაირ ფერითა,
მთელი იმერეთი მოსჩანს
მისი ადათ წესითა.
ზრდილი მიმტან – მზარეულნი
ღიმილს არ დაგმადლიან,
ათას რამეს მოგართმევენ
რაც კი რამ აბადიათ.
შენც გულს უხსნი,
თან ისუნთქავ
ჰაერს მთიდან მონაბერს,
და დალოცავ ჯიგრიანად
ჩვენ ჯიშსა თუ მონაგრებს.
მერე წახვალ სითაც გინდა
კმაყოფილი ძალიან,
თან ჩაგესმის მოძახილი:
მშვიდობის გზა ძამია.

დრო

დრო, ეს გემია უზარმაზარი
სავსე ათასი რჯულის მგზავრებით,
რითაც სიცოცხლის დასაწყისიდან
დასასრულისკენ მივემგზავრებით.
თითქოს ნელ – ნელა გადის წუთები
ჟამთაღმრიცხველი დროის და სივრცის,
მაგრამ არასდროს ის არ დადგება
დრო ერთი ტემპით მიდის და მიდის.
წამები წუთად, წუთი საათად,
საათი დღედ და კვირად იქცევა,
თვე დაილევა, წელი მთავრდება,
მერე კი ისევ ახლად იწყება.
ამასობაში "გემის" მგზავრები
ზოგნი კვდებიან, ზოგნი რჩებიან,
უზარმაზარი დინების ფონზე
მგზავრები დროში იკარგებიან.
ზოგი სახელით, ზოგიც უმისოდ
სხვადასხვაგვარი დიდების პიკზე,
ვინ თვითდინების ტალღას მიჰყვება,
ვინ კიდევ მიდის საკუთარ რისკზე.
ზოგს კმაყოფილი იერი დაჰკრავს,
უმრავლესნი კი მწყრალია ბედთან,
მაგრამ დრო მაინც მიდის და მიდის
მას არაფერი კითხვა აქვს ჩვენთან.
მისი კანონით წამს მისდევს წამი,
დრო დინჯად მიდის როგორც რომ გემი,
ყველას გვყავს ჩვენი ჭირისუფალი,
ჩვენი გრძნობების ნაღდად გამგები.
ბრუნავს პლანეტა, წამს მისდევ წამი
საათი წუთებს სიზუსტით ითვლის,
დროს ვერაფერი ვერ შეაჩერებს
ის ერთი ტემპით მიდის და მიდის.
ზოგი სახელით, ზოგიც უმისოდ
სხვადასხვაგვარი დიდების პიკზე,
მივყვებით გემს, და არავინ ვფიქრობთ
მოახლოვებულ სიკვდილის პირზე.

ა რ ა

რამდენი არა დაგროვდა უკვე
და ამოგვევსო თმენის ფიალა,
ქვეყნის მმართველთა უნიათობამ
რამდენჯერ სეტყვად გადაგვიარა.

უკვე რამდენჯერ გვატკინეს გული
რამდენ ცრემლსა და ტკივილს
"გვაღირსეს,"
ცხოვრების დონე გაგვინახევრეს
ბედნიერ დღეებს კი დაგვაღირსეს.

სიმართლეს ყველა თვალებს არიდებს
და გვაცხოვრებენ სიცრუის ზღვაში,
თურმე კარგია ქვეყნის გაყიდვა,
თურმე კარგია " ღირსების მარში."

აკანონებენ უღირს კანონებს
სურთ შეგვირყიონ მრწამსი და რწმენა,
ოღონდაც უცხო ქვეყნებს აამონ,
ოღონდ მათ ელჩებს არ შეხვდეთ წყენა.

გარედან მოდის უცხო გრანტები
სოროსის ფული შრიალებს ყველგან,
გადაიბირეს ბევრი ქართველი
თუმცა ერს, ვერვინ იყიდის მჯერა.

ერი არ დათმობს სარწმუნოებას
იესოსავით თუნდაც ეწამოს,
მას ვერც ფულით და ვერც შეპირებით
ვერვინ მოქრთამავს ვინც არ ეცადოს.

ვერ წაგვართმევენ თვითმყოფადობას
რითაც ვიცნობით მსოფლიოს თვალში,
თუ ეს წაგვართვეს, თუ ესეც დავთმეთ
რაღა ქართველნი ვყოფილვართ მაშინ.

არა, ამნაირ " ღირსების მარშებს,"
სიბილწეების ქუჩაში ფენას,
არა ქართული ტრადიციების
უარყოფას და ფეხქვეშ გათელვას.

იმდენი არა დაგროვდა უკვე
გვაიძულებენ რომ ვთქვათ მთავარი,
არა ამნაირ მმართველ მთავრობას
უნდა სხვა ვნახოთ გამოსავალი.

ეროვნულ ძალებს მივცეთ მანდატი
სინდისს და ნამუსს ვინც შეგვინახავს,
ასეთ დონეზე დაკნინებული
ქართველი ერი მე არ მინახავს.

❤

კარგია გული რომ არ ბერდება

კარგია გული რომ არ ბერდება
და არ მიჰყვება ხორციელ ტკივილს,
თუმც რა შეძლებაც არ უნდა გვქონდეს
არ უნდა გავცდეთ ზღვარსა და
სინდისს.

გული ასაკშიც იმნაირი გაქვს
ჭაბუკობისას როგორიც იყავ,
მისთვის არც ახლა არ მოინახა
შეუძლებელი რაიმე სიტყვა.

გულისთვის ყველა დღე მზიანია,
და ყველა ღამე მთვარით ნათელი,
კვლავ იმედებით ცოცხლობს საბრალო
არა და წლები აწევს რამდენი.

ოო, რამდენ განცდებს გაუძლო ამან,
რამდენ გამოცდას, და ძნელბედობას,
მაგ კი არა და ამდენი ხანი
არც კი მეგონა თუ მომყვებოდა.

ომშიდაც მახლდა, გაჭირვებაშიც,
პურის რიგებშიც გვითენებია,
თავზე საყარი არასდროს გვქონდა
თუმც სიტკბოებაც გვახსოვს ბევრია.

მთავარი არის არ დაბოღმილა
დარჩა ხალასად როგორიც გაჩნდა,
და იმ გაჩენის დღიდან მოგვყვება
სიყვარულის და სიკეთის განცდა.

დღესაც მახარებს რაც მახარებდა
კაცის ხასიათს ვეძებ თვალებში,
ბედნიერების პიკური განცდა
ჯერ სანატრელი არ მაქვს ქალებშიც.

კარგია გული რომ არ ბერდება
სულ ფართქალებს და ედელვაისობს,
მაგრამ ასაკი მაინც სხვა არის
იმ შემართებით ვეღარ ხალისობ.

ლეილა ვადაჭკორია

თავისუფლების იდეა

სიმწრის სიჩუმე ჩამოწვა,
არ რეკდა ცისკრის ზარი.
მხოლოდ ტყვიების კაკანი,
მხოლოდ ტყვიების ზვავი.

არც შიში ღვთის სამართალის,
არც ერთმორწმუნის რიდი.
არ შედრკნენ, სასხლეტს გამოჰკრეს,
პირჯვრის საწერი თითი.

თავისუფლების ზვარაკად
თქვა და იყარა ჯავრი,
ტყვიით დახვრიტა გულისპირს
დაკიდებული ჯვარი.

მაინც ზვარაკმა აჯობა
მიზანს შემატა ნათელი,
სახელი დარჩა უკვდავი,
სულს დანთებული სანთელი.

ვერ სძლია სულწაწყმედილმა
თავისუფლების იდეა,
რადგან ის კაცობრიობის
მარადიული ფიქრია.

***

ვინა თქვა
წერას აუტანია
მართალი სიტყვა
ღრუბლებს მიაპობს.
ნახე, იალბუზს
გადაუფრინა
და მზის სხივებთან
ლამობს დიალოგს.

საბას ცრემლის ნაკვალევი

ბერის სამოსი ემოსა,
საუბრობდა კაცი ღმერთთან
და სამშობლოს სიყვარულში,
სანთელივითი დაიღვენთა.

მოსდიოდა უფლის მადლით,
სიბრძნე იგავ-არაკებად.
სულიერების საზრდოდ და
უკუნის გასანათებლად.

ახლა როცა გახსნილია,
ევროპის გზა და კარები.
იმ გზას დღესაც ამჩნევია,
საბას ცრემლის ნაკვალევი.

არ იქნა და საბას სული,
ვერ დამშვიდდა, ვერ დაწყნარდა,
ტანძიიდან ევროპამდე
მოფარფატე წმინდა ლანდად.

ახლაც მის ნაკვალევს მოვდევთ,
ღირსეული საბას ერი.
იქნებ აღარ გაგვაწბილოთ,
იქნებ არ გაგვიშვათ ხელი.

მოგონებებში გიყურებ

ვერ გაგაწბილე და შევხვდით მაინც,
მე ჩემი რიდით, შენ შენი კრძალვით.
არ შრიალებდნენ მაშინ ფოთლები,
წარსულის აღარ ისმოდა ჩქამი.

თუმცა ეს იყო სულ ერთი წამით,
მერე დალაგდა წარსულში აწმყო.
ხელი ჩამკიდე დარჩენილ გზაზე,
ერთგულ მეგზურად მექეცი კარგო.

ვიარეთ ასე, მშვიდად, ლამაზად,
ვიდრე განგებამ დამტოვა ცალად,
ახლა წარსლის სახლობას სახლობ,
მე კი უშენოდ აწმყოში დავალ.

მოგონებებში გიყურებ ცხადად,
ოცნებამ განა დაკეცა ფრთები,
დრო მოვა სული სულს ნახავს ახლოს
ბედნიერები ზეცაში ფრენით.

პირნათელი

რა მშვიდად გარდაიცვალა,
მზემ დაუკრიფა ხელები.
ბუნებამ გულში ჩაიკრა,
ციდან აპკურა ცრემლები.

დატოვა ხე მსხმოიარე,
სავსე დაშაქრულ ნაყოფით.
სიკეთე და სიყვარული,
მთელი მტერ-მოყვრის სამყოფი.

ღმერთო, მასავით პირნათლად
მომახდევინა ვალები,
ნეტავი მასავით მშვიდად
დამახუჭინა თვალები.

***

მიჭირს და ჩემთან გაჩნდები,
ცრემლის ზიარი ხდები.
ბედნიერი ვარ,
ქილიკობ,
შური გიწვრილებს თვალებს,
არ გინდა, მეც დავიღალე,
თვალს მოეფარე,
წადი,
წყურვილი მკლავდეს
თუნდაც,
არ მომაწოდო წყალი.

***

მადლიანს სანთელიც
ყოფნის,
სულში რომ ფესვი
გაუდგამს,
სულწაწყმედილის
საფლავზე,
უქმად ბიუსტი
დაუდგამთ.

***

ბზინავს
ყინულის ლოლოა
ლამაზი,
ცივი სხივით,
ქარს გაუფანტავს
ქარაშოტს
მარგალიტების მძივი.

ძმათა ომი

ჩვენ დღესაც ტვირთად
საუკუნის
ის ცოდვა გვაწევს,
ცოდვის ავტორი
გაიტაცეს
თურმე მითებმა,
ქვეყნად რამდენი
დავიწყების მდინარეს მიაქვს,
ნერონები კი, არასოდეს
არ ავიწყდებათ.

***

პოეტი ქვეყნის ტკივილის
და სიხარულის დამტევი.
იგი მხურვალე ლოცვაა,
მამულზე ღამენათევი.

პოეტი აღმაფრენაა,
სულის წყაროა ანკარა.
ვინ დიდი ზღვაა მღელვარე,
ვინ ნაკადული პატარა.

***

მაინც გავაღებ
ცხრაკლიტულს,
სანამ სოფელი
ამიტანს,
სანმდე ჭირისუფალი,
ოთხი ფიცარით
გამიტანს.

იზა ჭიკაიძე

განთიადი

ცაზე სიხარული ამტეხია...
თავზე განთიადი დამტეხია...
წამომდგომია მზე,
დედაჩემის თვალით რომ მზერს,
მლოცავს და მანიშნებს, – ადექიო,
ციდან წვიმს სიხარულის ნატეხიო...
პეტრეს სინანულს და მეზვერის ღაღადს,
მეძავის ცრემლს მზე თვალებს სწმენდს...
ცაზე სიხარული ამტეხია...
თავზე განთიადი დამტეხია...

შიშს დიდი თვალები აქვს

შიშს დიდი თვალები აქვსო, – ამბობს ხალხი...
თავისუფალი ნების განგაშში შიში მიძალავს გონების თვალებს
და ვერ დავმალე მორალური თავისუფლება და უფლის ნება,
ვერც გადავხლართე ამაღლებული ემოციის დიდი ნაწილი
და გავნაწილდი უარყოფის უსხეულო უარყოფაში...
ახლაც არაფრის წინაშე ვდგავარ და იმ არაფრის შიში მძალავს,
რომ ზუსტად იმ მაჯლაჯუნა არაფერმა ფანჯრიდან გადახტომა
არ მიბრძანოს, ან არ ჩამაცვას ჯამბაზების შესამოსელი...
და მაინც მიკვირს: რად ეშინია ყველას სრული ჭეშმარიტების?!
მე კი, უმწეო, არაფრის შიშს თუ ღირსეულად ვერ მოვერევი,
საკვირველი სულაც არ არის, მაგრამ რადგანაც უიღბლო მქვია,
მოდით, თვალები ამიკარით ხერთვისელის ლურჯა ცხენივით
და გადამჩეხეთ კლდის პირიდან ხევის გულამდე,
თავისუფლების ლტოლვისათვის რომ არ დამრჩეს ტვინში ადგილი,
თორემ, აჰა, და, სადაც არის, კვლავ უარვყოფ თითქმის ყველაფერს
რომ ტკივილებში მოვიძიო სულის სიმშვიდე
და ამ სიმშვიდეს თუ დამირღვევს მხოლოდ სიგიჟე...
არაფრის შიშზე აღარ დავძალავ გონების თვალებს,
არც მორალური თავისუფლების და უფლის ნების
დავკარგავ ძალებს და... ამასობაში, კიდეც გათენდება!..

არარაობად არ გადავიქცეთ

არარაობა ეძებს რაობას,
უსასრულობა ებრძვის ნაპირებს,
ზეცა და მიწა, სივრცის კედლებში
სანეტარო დროს გაინაპირებს,
თორემ ბნელსა და რთულ სამყაროში
ავ-კარგებს ვეღარ ვარჩევ ყვავილებს,
მე ის მაშინებს, კარგახანია,
რომ არაფერი აღარ მაშინებს!..
და ის მადარდებს, ბოლოხანია,
რომ არაფერი აღარ მადარდებს...
არარაობის ტკივილით ვწუხვარ,
მინდვრად ვაგროვებ გამხმარ თავთუხებს,
ლექსებიც რომ არ გახდეს სულერთი,
წლებდამძიმებულს ეგეც მაწუხებს...
შიშველი მეფით... შიშველი გლეხით
დრო გვაიძულებს, დროზე გავიქცეთ,
რომ სინათლის და რაობის ფიქრით
არარაობად არ გადავიქცეთ!..

ბედნიერება შენშია

კეთილ წიაღსა და ტკბილ სიზმრებში
დაბადებულო ადამიანო,
სადაც არ უნდა ყოფილიყავი,
რა გზაც არ უნდა გამოიარო,
ცხოვრების წესი ყველგან ერთია:
ბედნიერება მუდამ ჩვენშია!
ცდა – განცდაშია, ხსნა ახსნაში დევს,
ბრძოლა – მებრძოლში,
შველა – მშველელში,
რთული – მარტივად წარმოდგენაში...
ლურჯი–სიშავის ლამაზ ფერია,
დარდი იმედით დასამღერია...
ცხოვრების წესი მაინც ერთია:
ბედნიერება მხოლოდ შენშია!

გიგი თეთრაძე

სასაფლაოზე

საფლავებს იქით მზე ილეოდა,
იყო სიმშვიდე, სიჩუმე სრული,
სულები ლანდად დაირხეოდა
და მე ვიცანი უმანკო სული.

საფლავი სევდით მიმზერდა როცა,
გულის ძაფები გავაბით წამით,
რამხელა სევდას ინახავს მიწა
მიწა, რომელშიც ყოველი ჩადის.

სადაა წლები, ჩემი ნათიბი,
ნუთუ ბალახმა დაფარა იგი?
დრომ შემაყინა მოგონებები,
მოგონებების დაეშვა რიგი.

მიწავ მითხარი რად იწყენ,
გულზე რად გაწევს იარა,
მე სამეგობროდ მოვსულვარ
შენთან საქიშპოდ კი არა.

ნეტავ შენს ზევით მანახა,
ვინც ცოდვას, მადლით ინანებს,
ამ ქვეყნის ყველა ცოდვილი
შენ ცივ ოთახში ივანებს.

ხან თოვლი მოდის, ხან წვიმა,
შენ მხოლოდ მათთან საუბრობ,
მესაიდუმლედ ქარი გყავს
და შენს საფიქრალს მას უნდობ.

სევდის ალაგია სულთა სავანე
აქ ბევრი ოცნება მარხია,
ბევრი შეწყვეტილი სიცოცხლის
დაუსრულებელი მახეა.

საფლავებს იქით მზე ილეოდა
სულის ძაფები გავაბით წამით,
რამხელა სევდას ინახავს მიწა
მიწა, რომელშიც ყოველი ჩადის.

25.05.22

ჩემი მზე

შებინდებისას როცა მზე მტოვებს,
მარტოდ დარჩენილს ოცნება მათრობს,
ქალაქის ქუჩებს დავაბიჯებ და ჩემს მზეს ვნატრობ,
ალიონს ველი, ვეფერები მოწყენილ რტოებს,
და უსაშველოდ იწელება მოხუცი ღამე,
თვალში სინათლე დაჰკლებია და ყურთა სმენა,
ღამის მეგზური, მესაიდუმლე დამთვრალა მთვარე,
დარდებს იქარვებს, რაც კი ჰქონდა აქამდე წყენა.
ქალაქის ქუჩებს მივაბიჯებ ასე უკუნში
და მზის ამოსვლის საიდუმლოს გულში ვიტოვებ,
მე საკუთარი მზე ამომყავს ყოველ ალიონს,
ყოველ ალიონს ვესალმები მძინარა რტოებს.
შებინდებისას როცა მზე მტოვებს
მელანქოლიის მწუხრი ეშვება,
და გაათენებს ღამეს უმზეოდ,
ქალაქის ქუჩებს ფეხი ეშლებათ.

წვიმაა

წვიმაა, ჩიტებს აციებთ,
პეპლები იმედით კვდებიან,
ბალახი ფოთლებს თავს აფარებს,
ფოთლები შიშისგან კრთებიან,
ღრუბელო მითხარ რა გატირებს,
გამანდე გულის ნადები,
ეგება სიტყვით გიწამლო
მანამ თოვლივით დადნები.
მთვარეს მოპარეს ღამე
დაბრუნების მაქვს იჭვი,
ლექსის წერაა მწარე,
და მოთმინების ნიჭი.
ეგება აისი მწველი,
ძინავს ობოლთა თითებს,
მზის მოლოდინში ქრება
რაც დაუგროვდათ ფიქრებს.
როდის იქნება ისე
დიდებით მოვა ქრისტე,
ობოლთა ყველა ნატვრა
ასრულებულად იქცეს.
წვიმა მოდის და ჩიტებს,
აშინებთ ავდარი, სუსხი,
პეპლები უმზეოდ კვდებიან,
გამოდარებას დააკლდა წუთი.

8.05.2022

მზია ელიაძე

დიდგორობა

12.08.22წ. ვალენსია

შანთეს და ძირკვეს, წვეს და აოხრეს
კუწეს და კაფეს, ცელეს და კვეთეს.
გადაუარეს,გადათელეს და გადაჯეგეს
კევრი ნატანჯ გულს გადაატარეს!..
ხოცეს პირმშონი, ვერა დააკლეს...
მამული მარად მედგრად შეხვდა ურდოთა ბანდებს!..
ვერ ამოშანთეს, ვერ ამოძირკვეს
ვერ წვეს აოხრეს, ვერ კუწეს, კაფეს
ვერ ცელეს, ძირკვეს,
ვერ შეიძლეს და ვერ ამოძირკვეს...
ვერცა ოსმალთა და ვერცა თურქთა
ვერცა არაბთა, ვერცა მონღოლთა...
ვერც თემურ ლენგმა, ვერც
მურვან ყრუმ ვერაგ, უგვანმა.
ქართველი კაცი ვერ შეძლეს ვერა,
ვერ მოაშორეს ღვთისმშობლის კერას!..
დიდება უფალს! ამინ! ამინ! მის დიად ნებას!..
ესე მამული-ღვთისმშობლის ციცქნა
სულ ერთი მუჭა, სულ ერთი ციდა...
მტერი ფლიდობდა და
მუქარას თავზე გვატეხდა...
მაინც შევძელით, ფეხზე დავდექით
დღემდე მოვედით, დღემდე გავძელით...
ვერ მოგვაშორეს, ამოგვძირკვეს,
ვერ ამოგვშანთეს...
...ეჰ,ვაი მტერი ჩვენში ვეძიოთ...
უტას მარჯვენას მარად ვემთხვიოთ...
სვეტიცხოველის ძელ ცხოველის აღმშენებელი
ო, არსუკიძე უტა, ოსტატი
მკლავმადლიანი და დიდოსტატი...
მცხეთა ქალაქის აღმშენებელ-დამმშვენებელი
წმინდა ქალაქის, მეფეთ ქალაქის დამშვენებისთვის
მოვსპეთ,მოვშანთეთ; ერს მარჯვენა ძირში მოვკვეთეთ!..
...ვაი, ბედკრულო ჩემო სამშობლო
მამა-პაპათგან მარად საქებო
წარსული ისევ მეორდება, თუ მეჩვენება?!.
...ქართველს ქართველის ღალატი გვახსოვს
დღემდე ეს ცოდვა ცრემლებად გვათოვს!..

ჰე, შენ, მამულო

(ვალენსია14.08.22წ)

ჰეი,შენ მამულო,მთაველიანო
ყანა-ტყე-ჭალა თაველიანო,
მთათა მწვერვალნო, მხარბეჭიანო,
ყაბალახიან თეთრნაბდიანო.
უფსკრულ-ხევიან-ხრიოკიანო
შლეგ ჩანჩქერიან რძისფერიანო.
კლდე ჭაუხიან-ჭიუხიანო
უღელტეხილნო თოვლ-ზვავიანო...
მდინარე-ტბა-ზღვა ტალღებიანო,
ტევრო, ტყეებო ხშირფოთლიანო
ჩემო მამულო,ტკბილკუთხიანო
ტრადიციებით ბარაქიანო!..
ცეკვა-სიმღერით ამაყიანო
საგალობლებით ღვთივ მადლიანო...
ქართვლისა დედავ, ძუძურძიანო,
მამავ, მშობელო-მაჯასვიანო!
ოქროსქოჩრიან ქალ-ვაჟიანო
იავნანიან და აკვნიანო...
ჰეი,მამულო, თამარიანო,
ფარნავაზიან,დავითიანო
ენავ,ქართულო, შენ ძარღვიანო,
ღვთივკურთხეულო და მადლიანო...
თოთხმეტ ანბანში ანბანიანო
სამბუნოვანო, სამსახოვანო
მამაღმერთივით წმინდა, სვიანო
სულიწმინდიანო, ნეტარ ძიანო!..

დედა

(შვილის მოფერებით
გამოწვეული სიამოვნება)
ვალენსია 12.08.22წ.

მე ძალიან კარგი დედა მყავდა
თვალციმციმა, სათნო პირი-სახით.
მშვენიერი ო, ამორძალს ჰგავდა
არ იმჩნევდა რომ ახრჩობდა დარდი!..
მე ძალიან კარგი დედა მყავდა
ჩალის თმებში ჩაწნულ თეთი ძაფით*.
თვალ-წარბს სწორი, კოხტა ცხვირი რთავდა
კანი-ღვთიურ ფთილა ფიფქს უგავდა!..
მე ძალიან კარგი დედა მყავდა
შრომა-ჯაფით გადაღლილი ჯანით...
თვალს მალული ცრემლი მზეს უწნავდა
ტკივილს კლავდა ხელსაქმეში ღამით...
მე ძალიან კარგი დედა მყავდა
სურვილი მაქვს მსურს დავედარო რამით...
მინდა შვილთაც მომიგონონ კარგად
რომ იგემონ მათაც უფლის მადლი!..

---

*თეთრი ძაფი – აქ: თეთრი თმა

ირინოლა ხურციძე

გახსენება

მთვარე ჩამოჯდა ორშიმოს ყელთან,
ქვევრიდან შხეფებს ისვრის უხადი,
თავს შეგვახსენებს ზამთრისპირული,
აგუგუნდება როცა ბუხარი...
გადმოხტომა სურთ ლამის სუფრაზე,
კეცებში სახედაბრაწულ მჭადებს,
სულ არ გშიოდეს, მოხვალ გურმანზე,
ისეთი სუნი აუდის მწვადებს...
მანდილწაკრული ფუსფუსებს დედა,
თან მომლოდინედ კარებს გასცქერის...
შემოდის მამა დაცვარულ დოქით,
იშლება სუფრა ჯვარდასაწერი...
ეჰ, ნეტავ იმ დროს და იმ მოსწრებას,
როცა ჯალაბი ერთად ვისხედით,
ცოტა გვქონდა და მაინც ვკმარობდით,
არქონებასაც ერთად ვითმენდით...
გაფრინდა ის დრო, აღარც მამაა,
დედამაც წასვლა მასთან არჩია,
ვერ მოგერევა თავად სიკვდილიც,
როდესაც ,,ძალა ერთობაშია "...
მეც მონდომებით ვაგრძელებ ჩემ გზას,
ვცდილობ სიკეთის ვთესო მარცვალი,
რომ დავუბრუნდე სამშობლოს მანამ,
ვიდრე გამხდარა დედინაცვალი...

* * *

თუ ვინმე მკითხავს, რაა მაჯამა,
მივიხურავდი გულის ანჯამას,
ზედმეტი ვზიდე ტვირთი ამჟამად,
ვეღარ გაუძლო ტკივილს მაჯამა...
არ მყავრებია ამო ქადილი,
მიტარებია ჩემი მანდილი,
რაც გაიზარდა სახლთან მანძილი,
აღარაფერი გახდა ადვილი...
ვზივარ ახლა და დროის ჭოგრიტით,
დავინტერესდი სულ სხვა ორბიტით,
სული დაღალა ზედმეტ გარჯამა
ასე დასრულდა ჩემი მაჯამა...

არავინ მსურდა მეხილა...

არავინ მსურდა მეხილა, ჩემს გვერდით მე შენს გარდა,
წინ გადამდგომი მემხილა, თავს დავტეხოდი ავდრად...
ვარსკვლავებს ჩამოგიკრეფდი აკიაფებულ ციდან,
მოცილეს უკან ვიფრენდი, მოვიცილებდი გზიდან..
ოღონდაც შენ გყვარებოდი მისხლისოდენად თუნდაც,
ისე, არავის ესროლა რისხვად, ტალახის გუნდა...
განაცვალებდი სიცოცხლეს, მზეს ჩაგიწნავდი თმებში,
მოგატარებდი ცის კიდეს, ციმციმ აყვანილს ხელში.
ვნების ალმურში გაგხვევდი, ალერსით თრობის დარად,
ავ თვალს არ მოგაკარებდი, დაგიდგებოდი ფარად...
არავინ მსურდა მეხილა, ჩემს გვერდის მე შენს გარდა,
ნეტავი სხვა არ გერჩია, არ გამჩენოდი დარდად...

მე პოეზიამ გადამარჩინა

როცა მარტო ვარ, ირგვლივ მეფობს სიცარიელე,
მუზა არ მტოვებს – მიხმობს ლექსის ფრთიან ფრაზებად
და იწერება, წამიერად რაც გამიელვებს,
შეთანხმებული გონების და გულის აზრებად.
ემიგრანტისთვის მწარეა არის მარტოსულობა,
ვინ იცის რამდენ ღამეს ათევს თეთრად, ფიქრებთან,
სწორედ რომ სულზე მისწრებაა მუზის სტუმრობა–
ემიგრანტული პოეზიაც ასე იქმნება...
ზოგისთვის სიტყვის მასალაა – წერა დაიწყო...
წერის ატანა უფრო რთული არის იცოდეთ,
ვიდრე იტყოდეთ დაუფიქრდით ვითხოვ, ამიტომ,
ასჯერ გაზომეთ ყოველ ჯერზე, ვიდრე იქმოდეთ....
და თუ დღეს ისევ, ცოცხალი ვარ, როგორც მიყურებთ,
გემუდარებით, აღარ მკითხოთ რამ დამარჩინა,
ჰო, წავალ ახლა ლექსს დავწერ და სულს დავიპურებ,
მე თვიმკვლელობას პოეზიამ გადამარჩინა.

* * *

დამღვარე ცრემლებად შენი სიყვარულის,
დამღალე ფერება-ალერსით
ამყარე გულიდან დარდი არნახული
ჩამხედე ფსკერამდე თვალებში...
ამხსენი გულიდან დახშული ურდული,
არ მშველის მარტოდენ ნუგეში,
ერთხელაც მესროლე ვნებათა შურდული
და გაჩნდა სევდის ტბა გუგებში...
დადაღე ეს გული ცეცხლოვან შანთებით,
ადუღე ვით კუპრი, ნაღველი,
ოღონდაც ფარულად ვეტრფოდეთ ერმანეთს,
არ გვყავდეს მქირდავი - მძრახველი...
დამღვარე ცრემლებად შენი სიყვარულის,
დამღალე ფერება-ალერსით
ამყარე გულიდან დარდი არნახული,
ჩამხედე ფსკერამდე თვალებში...

არსად გაგიშვებ

დაღლილ სივრცეში თვალებს ვაცეცებ,
თუ კი გიპოვე, არსად გაგიშვებ,
და რაც დრო გადის, ეს მონატრება,
ჭკუიდან მშლის და სულ მთლად მაგიჟებს...
ერთ დღესაც ავრევ ფერებს ცრემლებში,
დავიწყებ ხატვას, ჯერ ვერ შეცნობილს,
მერე სიზმრისგან ფრთებს ვინათხოვრებ
და შენს სარკმელში შემოვფოფხდები..
ჩურჩულით გეტყვი, რომ უშენობამ,
გულს დამამჩნია ნაიარები
და ერთხელ კიდევ გეტყვი ,,მიყვარხარ", –
ძალა თუ მეყო აღიარების...
დაღლილ სივრცეში თვალებს ვაცეცებ,
თუ კი გიპოვე, არსად გაგიშვებ,
და რაც დრო გადის, ეს მონატრება,
ჭკუიდან მშლის და სულ მთლად მაგიჟებს...

* * *

საკუთარ თავის მიჭირს შეცნობა,
მიკვირს რომ ვხედავ სასოწარკვეთილს,
გინდა, არ გინდა, თავად ცხოვრება
გვიტარებს ზოგჯერ მწარე გაკვეთილს...
რბიან დღეები და როგორც ქარებს
ვერ დაეწევი შარაშუკებში,
საღამო მოვა, ერთს დაამთქნარებ
და მიიძინებ დედის უბეში...
იქ სადაც ერთ დროს მტვერი იყავი,
და ზეციერმა სული შთაგბერა...
და ამიტომაც ნუღარ წუწუნებ,
იმას დაჯერდი, რაც გაქვს ამჯერად...
რას დამამსგავსე ბედო ტიალო,
წუთისოფელო, ეს რა მიყავი..
აღარც კი მახსოვს თუ კი ოდესმე,
მეც უდარდელი გოგო ვიყავი.

* * *

ზოგი უსმენს ბეთჰოვენს, ზოგიც კიდევ ვივალდის,
მე ის ვერ ამიხსნია, მიყვარხარ თუ მიყვარდი...
თეატრსა ჰგავს ცხოვრება, – კადრი მაშინ მთავრდება,
მაყურებლის გრძნობები როცა უფრო მძაფრდება...
სადაისე ცაზე მზე, მეწამულისფერდება
და ბოლო პაემანიც სადაცაა შედგება..
ქარი ისევ ფრთებს იმტვრევს, ხმელი მუხის კორომში,
მოჰგავს მისი ქირქილი ჭორიკნების მოროშილს...
ათენდება მთვარეს თავს, ვეღარ ასწრებს მიმალვას,
მე კ ამ ყიამეთში უცხო გზაზე მივლალავ...
ჯერაც ვერ ავიხდინე, ჩემი ერთი ოცნება,
უკვე დამაგვიანდა, არ ღირს მისთვის მოცდენა...
მეათასედ რომ ცდი და შანსი ნულის ტოლია,
უსარგებლო მოლოდინს, ისევ წასვლა სჯობია..
ზოგი უსმენს ბეთჰოვენს, ზოგიც კიდევ ვივალდის,
მე ის ვერ ამიხსნია, მიყვარხარ თუ მიყვარდი....
მენატრება ის დრო როცა...
დრო იყო და მიწას ვხნავდი, ბელტი ბელტზე მიწვენია,
ნამსველ ხნულში მარცვალს ვფლავდი, ერთიც არ დამისვენია...
საჩითილე ნერგებს ვრწყავდი, დილა-სისხამ-უთენია,
ბევრი ღამე ჩემთან ერთად მთვარეს ღამე უთევია....
შრომის ფასიც კარგად ვიცი – ვაზის ძირში ოფლსა ვღვრიდი,
შევდგომოდი კერას ბურჯად, ჩემ თავს მოვალედა ვთვლიდი...
აღარ შემძლებია ზოგჯერ დაღლილს ხელში კალმის ჭერა,
ვარსკვლავებით გარემოცულს ცა მეხურა თავზე ჭერად,
არასოდეს ვემდუროდი ჩემს მადლიან მუზის წყაროს,
ფურცელიც რომ არ მქონოდა, ფიქრით ვლეწდი ლექსის კალოს...
არავისთვის მითხოვია გასამრჯელოდ მცირე გრანტიც,
ნურვის გიკვირთ, წლების შემდეგ, რატომ გავხდი ემიგრანტი...
ეს ცხოვრება ბეწვის ხიდს ჰგავს, არ იცი სად ჩაგიწყდება,
ერთხელ გული თუ გაცრუვდა, ლხინი ჭირად გადიქცევა...
მენატრება ის დრო როცა, ბელტი ბელტზე მიწვენია,
ნამსველ ხნულში მარცვალს ვფლავდი, ერთიც არ დამისვენია...

ზვიად სეხნიაშვილი

დედაჩემი – 84 წლის – 16.08.2022 !!!

დედი, მომხედე, ფიქრებით დაღლილს,
ისევ შენა ხარ ჩემი ნუგეში,
თითქოს დიდი ვარ, მაგრამ უმწეო,
კვლავ ჩამიკონე შენს თბილ უბეში.

წლები გაგვირბის მარტის თოვლივით,
ეკლის გზა-სავალს ერთად გავდივართ,
თუმცა ჭაღარით წამოგეწიე,
შენი წყალობით ჯერაც ბავშვი ვარ.

შემინდე დარდი, რითაც გალიე,
ჩემზე ფიქრებში წლები სადაგი,
უძღებ შვილივით ხელისგულს მიწვავს,
გადაუხდელი შენი ამაგი.

გმადლობ, ძვირფასო, რომ დამანათლე,
ჩვენი სამშობლოს ტრფობა ნათელი,
ღმერთმა მაღირსოს მამულისათვის,
ჩამოვიღვენთო, როგორც სანთელი.

ბედის სრბოლაში, საომარ ველზე,
თან დამყოლია უსიტყვო განცდა
დედის ცრემლებში ნაბან ლოცვებით,
ნეტავ რამდენი ისარი ამცდა.

თითქოს სიბერეც სადღაც აქვეა,
წლების სიმძიმეს სულზე მაწვიმებს,
არა და არა! დედა ხომ აქ მყავს,
ვერ დავეხსნები ჩემს სიყმაწვილეს

მომყე ბოლომდე, მჭირდები დედი,
შენი ლოცვით და მადლით დავდივარ,
გთხოვ, ნაადრევად ნუ დამაბერებ,
შენთან ერთად ხომ დიდი ბავშვი ვარ...

ეთერ ზარიძე

განშორების დუელი

შენ განშორების დუელში მიწვევ,
სულ მცირე მიზეზს იხმარებ ფარად...
ყურს წაუყრუებ სინდისის ძახილს
და ჩემს დაკარგვას ჩააგდებ არად.

შენ განშორების დუელში მიწვევ
და მეც ვნებდები ბედის განაჩენს,
თუ ვერ გითხარი,რაც გულს ეწადა,
ჩემი ლექსები გეტყვის დანარჩენს.

ბავშვობა

შორიდან მიმზერს ჩემი ბავშვობა,
თითქოს მიყვება წარსულის მითებს,
ქარს გაჰყოლია ლაღი ანცობა
და მარტოობა ღამეებს მითევს.
აღარც მდელოა ისე ხასხასა,
მოწყენილია თეთრი შროშანიც,
ტკბილი ბავშვობაც დრომ დაახავსა
და სიხარულიც ახლა შორს არი.
ფიქრები ვეღარ აინთებიან
იმ სილაღით და იმგვარ ფერებით,
ოცნებაც დარდებს შენივთებია,
ქარს გაჰყოლია ტკბილი ბგერები.
ბავშვობის შორი მოგონებები
გულის სიღრმეში გადამალულან,
დრომ წაიყოლა მწველი ვნებები
და მარტოობა მართავს მარულას.

დრომ დამარწმუნა

დრომ დამარწმუნა რომ მე შენსავით,
არ მყვარებია ქვეყნად არავინ,
სული ვარდისფერ ნისლით ამივსე,
ცად გამიშალე ლურჯი კარავი.

ვერაფერს მაკლებს მეტოქე ქალთა
შური და მტრობა დაუფარავი,
გადამაფარე იმედის კალთა,
ჩამომაცილე დარდი მზარავი.

*

ვზივარ მოწყენით,ზღვის უსაზღვრო სივრცეს გავცქერი,
ტალღების შრიალს ერითმება ჩემი ფიქრები,
ამ წუთისოფლის ტკივილებთან მარტოდ დარჩენილს
რა გამაჩნია, გარდა ლექსის,გარდა რითმების.
ცის სილაჟვარდეს სევდიანი მზერა მიაპობს,
მინდა ზღვის ტალღებს გავუმხილო ჩემი სათქმელი,
ცელქი ნიავი საქართველოს ამბავს მიამბობს,
სულს კვლავ მინათებს მოკაშკაშე რწმენის სანთელი.
ჩემს სამშობლოსაც დაუდგება ნანატრი ჟამი,
მჯერა,ჩვენთვისაც გათენდება დილა ნათელი,
"მუმლი მუხასა"," ლილეოს" და "მრავალჟამიერ"
საქართველოში კვლავ იმღერებს გმირი ქართველი.

ვაჟა-ფშაველა

ვინ შეედრება ჩარგალელ ვაჟას,
ლექსის მეფეს და უკვდავ გენიას?
მისი ღვთიური ნიჭის სიმაღლეს
მარადისობის შუქი ჰფენია.

ფშავის ამაყმა მთებმა წარმოშვეს
მსოფლიო დონის დიდი მგოსანი
და გენიოსი რუსთველის შემდეგ
გახდა მეორე თანრიგოსანი.

მის ყველა ლექსში და პოემაში
ამაყი სული მარად იცნობა,
მან ბუხრის შუქზე წერა ლექსები
და დაიმკვიდრა მარადისობა.

მკაცრი სიბერე

კარს მიკაკუნებს მკაცრი სიბერე,
მომხიბვლელ ღიმილს ვეღარ ვიფერებ,
დაღარულია სახე დარდებით,
მაგრამ მე ახლაც შენ მელანდები.

ძველ სიმღერებში ცოცხლობს წარსული
და ის ალერსი, წრეგადასული,
მახსოვს მაგ თვალთა ლამაზი კრთომა,
შმაგი ვნებები და შემოდგომა.

ლამზირა შეყილაძე

გზა და გზა

მეცივნისლება საწუთროეთი,
ჩამსაფრებია გზად მგლების ხროვა.
ძაღლივით მიღრენს მიეთ-მოეთი,
სიმშვიდისა და სიკეთის მთოვარს.

სიცოცხლის წყურვილს ვერსად ვერ ვიკლავ,
გახვეული ვარ ობობას ქსელში,
უამურ დთეთა ტკივილი მნისლავს,
დაღლილი გული მაკვდება ხელში...

მთელი ცხოვრება იმედი ვკემსე,
ვწარამარაობ საკუთარ ტყავში,
ფიქრი რამდენჯერ გამიჯიუტდა,
იმდენჯერ თავი დავიხვრჩე მტკვრში.

ბევრმა მიმუხთლა, რადგან მათსავით,
რომ ორგულობა ვერ შევიფერე,
ვისაც საშველად ჩავკიდე ხრლში,
სწორედ ის მეტად გადამემტერა.

გზა და გზა მაინც ვთესავ სიკეთეს,
ვერ მიმორჩილებს ფლიდი და ავი,
გულს მხოლოდ იმით გამოვიკეთებ,
თუ თანამოძმეს ვაამებ რამით.

ამაოდ ვწვალდები

ნაწვიმარ ქუჩაში ჩემს ბედ-მწერს დავეძებ,
მინდა, რომ ჩავხედო გაყინულ თვალებში,
დაჭრილ გულს ვამხნევებ ახლა არ დაეცე,
თუმცაღა ყელამდე ვიხრჩობი დარდებში.

გალუმპულ ქუჩაში ნისლივით დავდივარ,
გზასავალს ვერ ვიკლევ, ცრიატულ წყვდიადში,
შეშლილი საწუთროს უიღბლო მგზავრი ვარ,
ამაოდ ვწვალდები ცრუ ორომტრიალში.

გაყინულ ქუჩაში გვამები დადიან,
შემკრთალი თვალებით ვუმზერ და ვცახცახებ,
ჩემს გულში სამყაროს უჩინო დარდია,
უმზეოდ დარჩენილს მცივა და ვკანკალებ.

ზღვის ხმაურს მივყვები, ნაცემი, ნაგვემი,
დამსხვრეულ სხეულზე ტალღები მაცვია,
ცხოვრება ყოფილა სევდა და დარდები,
ცხოვრება ყოფილა მგელივით ტაცია.

გაყინულ ქუჩებში მზის სხივებს დავეძებ,
მინდა რომ სიცრუის ყინული გავალღო,
დალეწილ ქუჩაში ნამსხვრევებს ვაგროვებ,
იქნებ და სიმართლის ტაძარი ავაგო.

თოვდა

თოვდა, თოვდა ისე თოვდა,
მსურდა დიდხანს მეყურა,
თურმე გარეთ დარჩენილა
საცოდავი ბეღურა.

გაყინული, გათოშილი,
ჩავიხუტე უბეში,
ვეფერე და ვეალერსე,
მივეც მცირე ნუგეში.

სახლში როცა მივიყვანე,
გავახვივე ბამბებში,
ნისკარტი ვერ გაუხსენი,
ჩავიძირე დარდებში.

როცა გათბა შეიშმუშნა,
აწივწივდა მშიაო,
დანაყრდა და გაფრენა სურს,
გარეთ უკვე მზეაო.

შორს არ წავალ, არ დაგტოვებ,
მაგრძნიბინა თვალებით,
ახლა აივანზე ცხოვრობს, ..
თავის ნათესავებით.

ღმერთო ჩემო შენ ხარ მხოლოდ,
არ დამიგე სატყუარა,
ჩემი ოფლის ხარჯზე ცხოვრობს,
თაღლითი და მატყუარა.

მუზის ხმაური

მსურს შევიმეცნო სიცოცხლის ფასი,
უმწყურვალესი შევსვა სურვილი...
მუზის ნაჟურით ამივსეთ თასი,
რომ დავიოკო ლექსით წყურვილი.
სიცოცხლის გემო შევიგრძნო ლექსით,
შემიზანზაროს ლექსმა სხეული...
და გულს მდაგავდეს მარადი ცეცხლი,
მარადი ცეცხლი გადარეული.
ამივსეთ თასი ლექსის ნაჟურით,
რომ ლექსით შევსვა ზღვა საზღაური...
მინდა სიცოცხლე ვიგემო ლექსით,
ლექსში ჩავტიო გულის ხმაური.

* * *

სიმართლის ძებნას ვუნდები,
ვერ მივაგენი კვალს,
სიცრუე მასევდიანებს,
უსამართლობა მკლავს.

* * *

სულაც არ მსურს დავემონო,
ცრუ მოციქულს, ეშმაკს, ბეჩავს,
ეს ცხოვრება მოვანდომო,
უსამართლო გზენის კემსვას.

+++++

უზარმაზარი დარდი,
ზღვისებ მღელვარე სისხლი,
მხოლოდ ქალებს თუ ძალუძსთ,
ზიდონ ამხელა ტვირთი.

❤❤

იზოლდა მოშიაშვილი

წარსულთან შეხვედრა

ნაცრისფერ ღრუბლებს დაეფარა მზე,
ცრემლი სდიოდა ცას,
ქარი ზუზუნით ჩაუქროლებდა
თოვლით დაფენილ მთას.

ბურუსში გახვეულნან სახლის კონტურები,
თითქოს მისცემიან დარდს,
არვინ გვიხსენებსო ჩურჩულებენ
არვინ შემოაღებს ჭრიალით კარს.

წარსულის ტკბილ მოგონებებს,
მოგვითხრობს ყოველი ქვა,
ხიდან ჩამოცვენილ ფოთლებს
მთლად დაუფარავს გზა.

იქვე მოჩუხჩუხებს წყარო,
გულს რომ გაუგრილებს კაცს,
და იხსენებენ ყოველნი
ვით უკვდავების წყალს.

იდინე წყალო იდინე,
შვება მიეცი მგზავრს,
მე მონატრება შენთან მომიყვანს
წლები ვერ წაშლის კვალს.

ეს მონატრება ზოგს აამღერებს,
ზოგს ცრემლს დაადენს ზღვად.
როს მზე გადიყრის ნაცრისფერ ღრუბელს
და გაგვინათებს გზას,
მოვალ და მოგეფერები,
ერთ-ურთს გავანდობთ დარდს,
ნუგეშად ცრემლსაც შეგწირავ
რაც დადინდება თვალს.

იდინე წყალო იდინე,
ბევრს აღარა გთხოვ სხვას,
საუკუნეთა მანძილზე
სიცოცხლე აჩუქე ხალხს.

მხოლოდ შენ ერთს.

ერუშალაიმ, წმინდა სანთელო,
დედა ბოძო და დედა მთავარო,
ერთა მფარველო, სტუმართმოყვარე,
შენ საფიცარო, ყველას მშობელო.
შენს ყოველ კუთხეს სათუთად შევცქერთ,
შევცქერთ ნაომარს და სისხლით მორწყულს,
წინ წაგვიმძღვარე შენი ლოცვანი,
ერუშალაიმ, შვილთ, შენთან მოსულთ.
ღმერთის რჩეულო, მიწავ ნაკურთხო,
ზღაპრად ქცეულო მემატიანევ,
კუბოს ფიცარო და ფიქრთა ხროვა,
მარად მებრძოლო, გმირთა სავანე.
ძვლებით ნაგებო ფუძე მაგარო,
ბეთამიკდაშო ცრემლით ნაბანო,
მესაიდუმლევ, დიდო, უკვდავო,
ჩაუქრობელო შენ კელაპტარო.
სინაის მთაო, უკვდავმყოფელო,
ცეცხლით ნაკვეთო მოშეს მცნებანო,
არად ქცეულო და კვლავ აღმდგარო ,
მამა-პაპათა შენ საფიცარო.
ფარო დავიდის ძირს დაუხრელო,
ომის ქარ-ცეცხლში გამობრძმედილო,
ერუშალაიმ, დიდო ქალაქო,
წარბ შეუხრელო, მარად მედგარო.
ერუშალაიმ, შენ ქვაკუთხედო,
მტკაველ მიწისთვის თავდადებულო,
იყავ ძლიერი და ქედუხრელი,
იუდეველთა დედა მშობელო.

ეს ქვეყანა ედემისა ბაღია

ეს ქვეყანა ედემისა ბაღია,
მეც ამ ბაღის პაწაწინა ვარდი ვერ,
ეს ცხოვრება ფუჭი არის ძმობილო,
თუ თვითონაც მასაც არას ვარგივართ.

ბულბულივით ვგალობ ტკბილსა ხმაზედა,
მათ ბუდიდან აფრენილი ბარტყი ვარ,
ვარდ-ყვავილებს ნაზად ვეალერსები,
შორი გზიდან მონაბერი ქარი ვარ.

მეც მივყვები ქვეყნის აღმართ-დაღმართებს,
მეც თქვენსავით ერთი დარდი-მანდი ვარ,
მაშ ვაკვნესოთ ჩვენი ჭიანურები,
დღეებიც ხომ უკითხავად გარბიან.

ჰე, ამივსეთ ღვინით ერთი ხელადა,
ალავერდსაც ისევ თქვენთან გადმოვალ,
არ გეგონოთ ღვინო მალაპარაკებს,
გეფიცებით, თქვენი ეშხით მთვრალი ვარ.

საქართველოვ შენთან კვლავ მოვალ.

უკიდეგანო სივრცედ მეჩვენა,
ძალზედ ნაცნობი ცა,
მინდა რომ ხელით შევეხო,
მწვანედ შემოსილ მთას.

კვლავ მივყვები ნაცნობ ქუჩებს,
ვითარც ზღაპრულ გზას,
ალერსითვე ვუპასუხე,
მოჩურჩულე ქარს.

ნასახლარის ვხედავ სარკმელს,
მესმის ფეხის ხმაც,
იქ დარწეულ აკვანს ვხედავ
ამღერებულ ჰანგს.

ვხედავ მხოლოდ ლამაზ ფერებს,
ცისარტყელას ცად,
უკვდავება მჯერა შექმნის
ჩვენს სამოთხის ბაღს.

აღმა-დაღმა ვიარები,
დრო ვერ წაშლის კვალს,
ბოლოს მაინც აქ მოვყავარ
უსასრულო გზას.

მონატრება თითქოს ცხრება,
ვარდებს კონად ვკრავ,
ურჩი ფიქრი არ მასვენებს,
"გულს რას უზამ, რას?"

წუთისოფლის სურათები.

დროის მანქანა მიჰქრის მიგვაფრენს,
ვკეცავთ ცხოვრების აღმართ-დაღმართებს,
როგორც ვშობილვართ, ისევე წავალთ,
მხოლოდ კვალს ვტოვებთ ჩვენსას წარუშლელს.

წლებს ნუ დავითვლით, უბრალოდ დაგვღლის,
გარდასულ დღეთა გამოდევნება,
გზის მანათებლად წინ წავიმძღვაროთ,
ღმერთით ნაბოძი ავლა-დიდება.

დროის დინებას ვინ შეაჩერებს,
ცხოვრებას ტკბილს, ხანაც მშფოთვარეს,
ვინ აღუდგება მის სიძლიერეს,
წუთისოფელის უცვლელ კანონებს.

წუთისოფელში წუთის საზომი,
ყველა დარისთვის თანაფარდია,
რომ გავიტანოთ ცხოვრების ლელო,
ეს გამარჯვების დასადარია.

თუმც კი მოკლეა ჟამი ცხოვრების,
ბედის ვარსკვლავი თან დაგვდევს მუდამ,
სად სიხარულის ჩამოჰკრავს ჰანგი,
სად კი დღეები იქცევა კუშტად.

რწმენა მომავლის ძალას შეგვმატებს,
საკუთარ თავთან ჩვენ გვმართებს ბრძოლა,
იმედი გვქონდეს ხვალინდელი დღის,
რადგან რაც წავა ის აღარ მოვა.

ქეთევან გელაშვილი

* * *

მზის სხივები, რომ ანათებს მხარეს!
მთვარეს უყვარს თავდახრილი ხედვა
საქართველოს გაბრწყინებულ ცაზე
ვარსკვლავები კაშკაშებენ მხნედა
გულს არ იტეხს კავკასია დიდი
საქართველოს,რომ დასცქერის ციდან
მზის სხივებო გაანათეთ უფრო,
რომ არ აცდეს ხალხი სავალ გზიდან.
გმერთო ერთხელ გადმოხედე ყველას
შენ წილ-მხარეს მარიამო დედი
დააფარე შენი უბე-კალთა
უნაწილე ყველას კარგი ბედი.
ხალხო! ლოცვა აღავლინეთ ცამდე..
სხვა გზას,სხვა ხერხს მე ვერ ვხედავ! ვერა
საქართველო გაბრწყინდება მერე
ყველა მიწა დაბრყნდება ნელა.
მინდა ყველა, რომ დადგებით ერთად
მე არ მინდა აქ პარტია ასი
შეხმა ტკბილდით! შემისძახეთ ერთად
და შექმენით ახალგაზრდა დასი
თქვენი სიტყვაა მრავალჟამიერ
თქვენი ცეკვაა დაისი
აამგერეთ და აახალისეთ
დედაო-ღვთისავ,მხოლოდ აისი!.

* * *

შეგბედავ დედა მარიამ
და გულით გეტყვი ლექსსაო
მინდა რომ ხიტბა შეგასხა
და გადმოგვხედე ერსაო

* * *

ყველაფრის იმედი მომავალია
გაზაფხულს მოევლინა ვარდი,
მაგრამ მთავრდება მაის
გეტყვიან.. ადექი,წადი!
რად გინდა მოევლინო ქვეყანას
თუ არ გააკეთე რამე,
აღზარდე შვილები ნელ ნელა
დრო გადის უცებ და მალე.
გაიზრდება ბარტყი და დაუძახებენ ჩიტს
გოგო გათხოვდება წავა
მოხებნის ლამაზ ბიეჭს
ასე იწყება დრო-ჟამი
ასე ვეწიკებით ბარგს
ჩვენ მივეცემით დავიწყებას
თუ არ დავტოვებთ კარგს!
ღმერთო გვიშველე გადმოგვხედე
ცხოვრება მოგვეცი მშვიდი
გაახარე შვილები და
გზა ქონდეთ ფართო და დიდი.
ყველაფრის იმედი მიმავალია
გაზაფხულს მოევლინა ვარდი,
მაგრამ მთავრდება მაისი
გეტყვიან..ადექი წადი!

* * *

გამოფხიზლდი უმადურო
თქვი მადლობა გულით
სიყალბე და ორგულობა
იცი! ირივეა რთული!
არ გარგია უმადურო
მუნჯათ ყოფნათ წლები
ტუნელიდან,რომ გამოხველ
აგარ შეხვალ! ცდები
რაც ჭამე სვი და იყავი
ჩემიდან იყოს ალალი
ღმერთი არ გაპატიებს
თქვი.. მადლობა! რა არის?
უმადურობა ცუდია ყველა ცდუნევას უსწრებს
გველა ჭამას და ყველა სმას
მადლობა უნდა უცებ.
გამოფხიზლდი უმადურო
წვიმაა თუ დარია
თქბი მადლობა არ მიკვდები
მზე ჩავიდა! მთვარეა!

* * *

ჩვენთვის ვართ,შენზე ვლოცულობთ
და ვევედრებით გმერთსაო
მოგვხედე შენ შემოგევლე
უჭირს ერსა და ბერსაო!
შენი შვილები ვართ ყველა
კარგი,ცუდი და გენია
თხოვნაა:ნუ გაგვანსხვავებ
და დაგვილოცრ კერია
გევედრებით გეხვეწებით
წმინდა დედა - მარია
ააყვავე საქართველო
გვინდაზ მზე და დარია

* * *

...როცა წავალ ამ ქვეყნიდან
დამადგება ნათელი?
ამინთეთ და არ ჩამიქროთ
კელაპტარი სანთელი
რომ ის დიდი წყვდიადები
გასავლელი გზებია
გავიარო ნათელ - ნელა
მე არა მაქვს ფრთებია
ვეცადე,რომ მკუთვნებოდა
იქაური ნათელი
სიფრთხილეს თავი არ სტკივა
არ ჩამიქროთ სანთელი

* * *

უყურებ მე ჩემს სამეულს
ამომავალი მზე ამომდის
ეს ყველაფერი იცოდეთ
სულ დედის ლოცვით გამოდის.
მიყვარხართ ისე მიყვარხართ
რასაც არ ააქვს საზღვარი
წავალ და ყველას დავივლი
და არ მჭირდება საგზალი
ღმერთო ისმინე ეს ლოცვა
კარგად მიმყოფე შვილები
მიევი დიდი ძალ-ღონე
კარგი გონება, ცვლილებით
ახარე მათი ოჯახი
მათი ფუძე და კერია
ადას გთხოვთ ამ ჩემ ბედრებას
მარტო დაჰკარი კვერია
მადლობა ყველაფრისათვის
წმინდა გიორგი ძისაო
გამეს მოჰფინე ნათელი
შვილ-დამილოცე ღვდისაო.

* * *

ადრე ჟარში მიდიოდა ხალხი
ორი წენი ქონდათ გარანტია
ომის დროსაც, რომ წავიდა კაცი
დასასრული იმასაც კი ჰქონდა
ჩბენ კი ხალხო ემიგრანტო ერო,
რომელ ომს და რომელ ტირანს ვებრძნით
არ იქნა სა დედამიწა ჩვენთვის
არ დავრუნდა ისევ თავის ღერძით.
როდის, როდის წავალ ნეტა სახში
ვის კარებში გაგვაქვს ბურთვის ლელო
გელოდება საქართველოს მხარე
მისი მიწა,ალმაცერი დმელო!
ჩვენ სალხ-კარიში მგონი მივალთ სტუმვრათ
და ვიჩქაროთ სანამ მითა სხვანი ვაგვიანებთ!
არ დაგვადგა საშველი
მგონი გვინდა სახელ მწიფო მაშველი
არც ჩვენ გვინდა სხვა ქვეყანას,
რომ ვიყოთ
ორ დგეზე მეტს აქ არ თვლიან სტუმრათ
სახლისაკენ დროზე თუ არ ვიჩქარეთ
ჩვენ სახლებში ჩვენ ჩაგვთლიან მდგურად

* * *

ზღვას ვხედავ და გადაშლილა
ლურჟათ,ფრთხილად,კამკამად
მოგიგინებს ხმაურით და
ხელსაც იქნევს ჩქარ-ჩქარად
თან იძახის ახლოს მოდით
ასე შორით არ კმადა.
სავსე არის ზღვის ნაპირი..
ქვიშით,სილით,ხის ტოტით,
ზამთარია ეტყობათო
ხალხი დადის ძლივს ბოტით
უცებ ზამთარს მიემატა
სიცივე და დიდი წვიმა
ზგვა ადიდდა,აღრიალდა
იწყო საწინელი გმინვა.
აწყდებოდა ნაპირებს და
გაბრაზებით ღრიალებდა
აბა ვინმე მომე კარეთ
და თვალებს აპრიალებდა
ვინ გაბედავს,ვინ შეაღშევს
ზღვას გაუდის კლავ ღმუილი
აბობოქრებულ ზღვაში გატარებ
თურმე არის სუ ტყუილი.
ქაფი ქაფათ იღვრებოდა
შყალმა შყალით დაიბანა
აღარც ნავი,აღარც გემი,
ხალხი ხომ მთლად დაიმალა
სიცივე და ვივი სუსხი
მძინვარებდა ირგვლივ ყველგან
სითბოსა და სიყვარულსა
ელოდები ისევ შენგან

* * *

ზოგს რა ბედი აქვს იცოდეთ
ზღაპარი,ნაზი,ხელთ-ოქმი,ფერიასვით ქებული
ზოქსაც რა რაა საშყალი
უბრალოდ ტალახში ამოვლებული
გაჭირვება და სიმდიდრე
ხიმაა სინონიმები
დიდი გზა არის მათ შორის
მოცული ანონიმებით
კვლავ ღმერთის ხელით შექმნილი
სამყარო ჩვენი ხვედრია
ეჰ ყველას თან აწერია
შუბლზე ბედი და გენია
...და თუ სუყველას თან დასდევს
ბედი,ხვედრი და გენია
რა დავაშავეთ ასეთ
პოლიტიკა გვაქვს ბნელი!
ეცადეთ გამოასწორეთ
ხალხი იცანით გმირირათა
მაგლა კოსმოსწი ასულებს
მუ აშყენინებთ ხშირადა

* * *

არ ვიცი რას შეგადარო
შენ ხარ სადარი მზისაო
ანგელოზი ხარ შენ ჩემი
წყარო ხარ ციბი მთისაო
ჩემთვის ხარ მთვარიე მნათობი
დაბნელებული დღისაო
შუადღეს შემომაღამდა
გზა ვერ გავიგე მთისაო
მე სიყვარული მაცოცხლებს
მახარებს კლავაც ხნისაო
მიყვარხარ ნინა იცოდე
განურჩეველი დღისაო
ღმერთ ქფარავდესთ ანნა-მარია
მაცოცხლებსლი დღისაო
წმინდა მარიამს შევთხოვე,
რომ მყავდე ქალი ღვთისაო.
იცოცხლეთ დიდხნს იცოცხლეთ
ეს ლოცვა,მხოლოდ ჩემია
ასი ცოტა ათასი წელი თქვენია
ამ ლექსს დავწერ და გავატან
წადი! გაფრინდი! მერცხალო
მაკოცნე ჩემი ბავშვები
ყოველი დგე ბარ თქვენთანო.

* * *

გაზაფხული მიყვარს ძლიერ,
მაგრამ არა მიხარია
თოვლის ზემოთ თავს ამოყოფს
მივალ მოვწყვეთ ნამაზ იას
წავალ მერე თან წავიღებ
ლორჟ-თვალება ლამაზ იას
სადაც მიმაქვს ვიცი მარტომ
იქ კარჯ მაქვს მუდამ ღია.
ვიგვიანებ ვერ მივდივარ
გაზაფხოლი მიდის ბევრი
ყოველ დღე და ყოველ ღამე
ოცნებები დადის ფრენით



ლიანა კაკუბავა

.....მორჩილებას ვუცხადებ უფალს.

მთელი დღე წვიმდა გადაუღებლად,
ფიქრმა განწყობა კვლავ შეაეჭვა.
და დარჩენილი ღიად სარქველი
დაუფიქრებლად გულს შეალეწა.

დაშუშებოდა ჭადარს ფოთლები,
ძირს მობნეულებს ცალ-ცალად ვითვლი.
მიმქრალი ზეცა მნებდება ჩუმად
და თვალში ფერებს უმწეოდ ვიცვლი.

აღარ დაეხსნა სულს ფორიაქი,
ვერ დაეწურა დრო-ჟამს დუღილი....
იმ წუთიდანვე "გადამეკიდა,"
როცა გამებნა ჭმუნვით დუმილი.

მე შეცდომებზე ახლაც კი ვტირი,
მუდმივად მათოვს ბუნებით მწუხარს.
თამაშის წესებს გვერდიდან ვუვლი
და მორჩილებას ვუცხადებ უფალს.

.....მეწამულისფრად ავაკვნესო

ჟინაშლილივით გუგუნებს ექო,
ცოტამ უარყო, მოესმა ბევრსო.....
ვისაც დააკლდა ყურძნის ნაჟური
წყლიანი დოქი უსველებს წვერსო.

სული დაეძებს ნანატრ სიმშვიდეს
ცეცხლწაკიდებით ამატებს ფერსო.

თეთრი საყელო მთებს დააკერეს,
ზედ მოხვეული ნისლები წევსო.
და მოთვალთვალე ქარები ღრუბლებს
ბინდისფერებში წეწავს და ხევსო.

გამოელია ბარაქა ბეღელს,
წვენი დააკლდა გამომშრალ ყელსო.

გადაემალა ზაფხულს დარი და
ცივი დღეები მიიწევს წელსო.
მერე კი, სანამ შემოგვიტევდეს
გამოუყელავს გვირილებს ველსო.

ერთი ვარსკლავი ვეღარ აუნთებს,
ჩირაღდანივით სინათლეს ბნელსო.

გადაცრეცილი ფიქრები მთრგუნავს,
ვერ მხსნიან ღვედებს, მიცვლიან ზნესო
და შეწყვეტილი სიმღერა მინდა
მეწამულისფრად, რომ ავაკვნესო.

ჩემი ნამდვილი სახეა

ზოგჯერ მარტივით ვბუზღუნებ,
ზოგჯერ ჩუმ მაისს ვწუნობ,
და მიმწუხრის ჟამს დღე-ღამეს
მე ერთნაირად ვგუობ.
ზოგჯერ ვარდები დავყნოსე,
ზოგჯერ დავკრიფე ტიტები,
ბებო თეთრ კაბას მაზომებს....
მე კი, მჭირდება წინდები.
ზოგჯერ ერთჯერზე წყალსა ვსვამ,
ზოგჯერ ყავაზე გავრბივარ....
ხანდახან მზეს გავუღიმებ,
ხანდახან კიდევ ხარბი ვარ.

ზოგჯერ ვარსკლავებს გავყურებ,
ზოგჯერ ხნულში თესლს ვაღვივებ
და შარშანწინდელ წყენებსაც
განთიადივით ვაღვიძებ.
ზოგჯერ დედაა სიზმარში ,
მამას ტკბილად, რომ აპურებს.
შვილია ვინც ამ ცხოვრებას
ბადაგად გულში გაწურებს.
ზოგჯერ ვაზია გასხლული,
ზოგჯერ მწიფეც კი, მკვახეა.
ხანდახან ბროლის ჭიქებში
ჩემი ნამდვილი სახეა.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

სიყვარულის ანაბანა

სიყვარულის ანაბანა იქ იწყება,
აღუ– აღუს როცა ამბობს პირმშო,
დედა ზღაპრებს გასართობად რომ გიყვება,
ნაზი კოცნით ცრემლებს როცა გიშრობს.
სიყვარული სამშობლოა, დედა არის,
დედას პურის სურნელების სუნი,
ჩემში არის მინსხალ – მინსხალ თანაბარი,
გულში ერთად შერწყმულ– ამოსული.

ფერისცვალება

ფერი იცვალე ცა და სამყარო,
მიწავ მამულო აღარ იტირო,
შენ ჩემი დარდის გუდამაყარო,
მეგობრობაზე უნდა იყვირო.
ამიმზიანე ხვალის საწუთრო,
 მზის სხივებივით, გამიწიკწიკე,
დარდო, იმედით შენც რომ გაკურთხო,
წარსულის დარდი არ იწიკვინებს.
ფერი იცვალე, გულღრძო ბოროტო,
ირწმუნე წახვალ როგორც მოხვედი,
აღარასოდეს არ იბოროტო,
თუ დამიჯერებ აღარ მოკვდები.
შეიფერადე სახე ფერებით,
წითელ კვერცხივით გულიც გაღებე,
სიტყვები ჩემგან მონაფერები,
სამოთხეშიაც კარებს აღებენ.

გონით სავსე ქვევრი

სანამ დროა, გამომწურეთ ისე,
როგორც ყურძენს, წურავთ საწნახელში...
ფიქრის სასმისს, სიყვარულით გივსებთ,
თუმცა ქარი, სიძულვილით ხვნეშის.
არად ვაგდებ, კვლავ ვაგრძელებ ჭიდილს,
სიკეთით და სიყვსრულის გზებით,
თუ მეწვევით, მე გული მაქვს თბილი,
მოსულ სტუმარს, ხელგაშლილი ვხვდები.
რომც არ მითხრათ, რაც გაწუხებთ, გეტყვით,
მიგიხვდებით, დარდის მიზეზს წამში,
შევისწავლე, ცის ხმაური სეტყვის,
ყვავილი რომ გამოჯეჯგვა ხრამში.
სანამ ისევ შემიძლია მოგცეთ,
ჩემი გულის, სასიცოცხლო წუთი,
სულ უჩუმრად, მე ისედაც გლოცეთ,
თუმცა კი ვარ, ბედით განათუთქი.
დამიჯერეთ, ჩემში ცოცხლობს სხვა რამ,
მაქვს პირსავსე გონით სავსე ქვევრი...
პირველ რიგში, მადლის ძაფებს ვართავ,
ღამით უკვე ვალმოხდილი ვწვები.

შემომიშვი

ექიმი ვარ, იმედს ვთესავ გულში,
მესაუბრე, თუ რაც მოგვდევს ტკივილად,
მალამო მაქვს ჩუმად საბარგულში,
მოარჩენო რწმენამ შემომღიმილა.
ბოროტება შემოვღობე ხერგილით,
და გუდაში ჩავილაგე საგზალი,
გავახარე შენთვის მწვანე ჯეჯილი,
მოსავალს კი ყველა კუთხეს დავგზავნი.

ჭკვიანები

როცა ჭკვიანია ქალი, მზეს გავს,
ვარსკვლავებს და მთვარეს,
ყველას მათნაირი რძალი,
გულით რომ გაგიღებს კარებს.

თუ რამ გამაჩნდა

გავიღე ყველა გასაღები თუ რამ გამაჩნდა,
გული გავწურე და საჩემოდ ან რად მინდოდა,
ვიბრძობდი, მაგრამ ჩემთან ომში ყველა დამარცხდა,
მათ რა იცოდნენ მადლი ჩემზე გადმოვიდოდა!

უნდა ვარგოდეს

მგლებთან ვიომე, უღრან ტყეში შენით უფალო,
ვერას მაკლებდნენ, მიღრენდნენ და შიშით გარბოდნენ,
მე გავიმარჯვე ახლა სხვებსაც ვჭირისუფალობ,
რწმენა კარგია, მაგრამ ქალიც უნდა ვარგოდეს!

მეც მიხაროდეს

ზეცავ, ღრუბლები იქნებ ისევ გადაიყარო,
სულ უნდა იყო ლამაზი და ცისფერ თვალება,
ღამით ნაზ კანზე ვარსკვლავებმა გამოგაყაროს,
როგორ მახარებს მნათობების აელვარება.

სიკეთის ქვევრი

დედაშვილური სიყვარული მინდა გაჩუქოთ,
ფიფქივით ნაზი, ია-იას სურნელის ფრქვევით,
სიცოცხლე დარდით რატომ უნდა დავანაქურჩო,
გულის კარს გიღებთ, ამოცალეთ სიკეთის ქვევრი.

ჩადექი ქარო

დაიამიდე წვიმის თქორო, მზე თვალებს ახელს,
წამოიკრიფე ღრუბლის ფთილის შარვალ-ხალათი,
გთხოვ რომ მაამო, სიცოცხლეში თუნდაც ამ ერთხელ,
თვითონ ხედავდი როცა დარდებს მარტო ვკრძალავდი.
ჩადექი ქარო, უდროვო დროს ნუ დაყიალობ,
ნურც დარდის საფენს დამიტოვებ სადმე მძევალად,
ვცდილობ მარტოკა ცის ღრუბლები გავატრიალო,
გადავაქციო ბედისწერა ყურძნის მტევანად.
შეუცოდებლად, გამოვწურო ყველა მარცვალი,
გულის ტკივილი არ დავტივო არც ერთი დროის,
ბედისწერაა ჩემი მწარე მამინაცვალი,
ბედისწერაა ღრუბლები და დარდების თქორი!

სხივი ანათებს

თეთრ სიწმინდეში აყვავებულ ოლიანდრებთან,
ეკლსიაში ღვთს სანთლები რწმენით დავანთე,
მივეფაქიზე ყვავილებს და ლამაზ ვარდებსაც,
საგანგებოთ, რომ ზეციური სხივი ანათებთ.

მაჯობოს

მაჯობოს, აინთოს მზე ათასფერებად,
ვუცქერდე მამულში სიცოცხლის პირიმზეს,
ბუნების წიაღში, გულს აემღერება,
ღრუბლებიც შეჩერდა დარდს აღარ მიმიზნებს.

გულს ვუხსნი დიდებს და ვეკრძალვი პატარას,
ნიავიც ჩერდება ჩანჩქერთან მეჯლისობს,
ურთხმელის ხეები აქ არა ბერდება,
სიმშვიდე მეც იქნებ ცოტახნით მეღირსოს!

+++საქართველოს უთქვენობა ჰქვია+++

საქართველო შენ გიყვარდა მერაბ,
საქართველოს შეეწირე ზვიად,
ახლა ცაში გააჭენებთ მერანს,
საქართველოს უთქვენობა ჰქვია.
აირია ამიდები ცაში,
დედამიწაც ტირის როგორც წინათ,
საით მიდის ბედისწერის რაში,
ჩრდილოეთის მგელი ისევ ღრინავს.
მხოლოდ ღმერთის იმედი მაქვს მერაბ,
ღვთისმშობელი თუ გვიშველის ზვიად,
მტერს ვუყურებ, ბოროტსა და ვერაგს,
ოცნებებიც დიდ ქარიშხალს მიაქვს!

დედამიწაზე

დედამიწაზე ვისწავლე ენა,
ავლაპარაკდი ლამაზ ქართულით,
რა ლამაზია ეს დედაენა,
ღმერთის მადლია მასში ჩართული.
აქ არის შოთა, ვაჟა, ილია,
მირზა, ბეჟანი, მუხრანი, ანა,
ისე კარგია, ისე თბილია,
არსად არ არის ვგრძნობ ამისთა.
მაინტერესებს და ცას შევცქერი,
ვეფხისტყაოსნის გმირი სად არის,
სად ინახება ხელით ნაწერი,
ან სად მარხია, მეფე თამარი?
იქნებ ცაშია მართლაც სავანე,
ცაშია მათი სულის ბაღნარი,
მეც გულის გულში ცეცხლი დავანთე
და ამოვავსე გრძნობის მარანი.
ხშირად ცაში ვარ, ღამის სიზმრებში,
ვუცდი სიახლეს, სიმშვიდით ველი,
იქ იყო სივრცე ლამაზ ირმების,
არვინ იცოდა რა იყო ცრემლი.
დიდ გალავანში სრული წესრიგით,
შოთა ყვებოდა ვეფხვისტყაოსანს,
ქართული ენა ცოცხლობს მერმისშიც,
მარადისობა ქართველ კალმოსანთ!

ბედს მინდობილი

მოდის აზრები თავიათავად ვიღებ გზავნილებს,
და ფურცელ- ფურცელ დავალაგე ფიქრის ნაწილი,
ბედს მინდობილი, არასოდეს მოვიმწვანილებ,
ოღონდ არ იყოს ქარიშხალის წვიმით ნაწვიმი!

ჩამოვისვენე

ვერ დავაღწიე თავი სიცხეს,
საქმეს ვჭირდები,
ჩამოვისვენებ ალბათ ახლა
სექტემბრის თვეში,
შენ გვერდში დგომას ჩემო ღმერთო,
ხომ დამპირდები,
მე რაც მაწუხებს, რაც მადარდებს,
მხოლო შენ გესმის.
ჩემი პატრონი და
იმედი მხოლოდ შენა ხარ,
შენ მაძლიერებ თორემ
მარტოს ან რას შევძლებდი.
გულისმღნელები რა დღეშია ნეტავ განახა,
სულს რომ უჭირდა
მე მშველელად შენ ერთს გეძებდი.
თვალი შევავლე ხატად
ნაქცევ სახის სიმშვიდეს,
როს მოგეახლე, დავიამე
ყველა ტკივილი,
სანამ ჩემს დარდებს,
რაც მაწუხებს გადაგიშლიდე,
შემინარჩუნე ძველებურად
სახის ღიმილი.
სულ ცოტას გეტყვი,
არ გატკინო მკერდი ნალურსმი,
არა უფალო, შენც არ გეტყვი,
ვიცი იტირებ,
მე ის მაწუხებს, არ ადარდებთ
სინდის-ნამუსი,
არ შეგაწუხებ, ჩემს თავს
მარტოც გამოვიტირებ!

მე არსად წავალ

ნუ მითვლით ამ წლებს წიწილებივით,
არც ვიზრდები და აღარც ვბერდები,
ჩემს გულში ბრწყინავთ ვარსკვლავებივით,
ხან ჩემს ნაკვალებს მივაჩერდები.

ნუ გადამითვლით განვლილ ბილიკებს,
ჩემს ბედს ნურავინ დაებედებით,
სევდა ვარ ცის გზებს მარტოდ მივიკლევ,
ამაზე მეტად არც დავბერდები!

მივწი-მოვწიე

ღრუბლის ფენები მივწი-მოვწიე
და აქვე მათთან მოვიკალათე,
დედამიწიდან გამოვაღწიე,
ზეცაში ვგზავნი ცრემლის ბარათებს.
წერილს ვწერ ზვიადს, ქალდანს, კოსტავას,
ედგარპოს, შექსპირს, ჰიუგოს, შოთას,
რომ რაც შევქნენი ეს ჯერ ცოტაა,
არ მინდა მნახონ, მე როგორ ვშფოთავ.
ძალა მომეცით კვლავ ზეციური,
ღვთიურმა საქმემ, რომ კვლავ იბრწყინოს,
სულაც არავარ ემოციური,
ზოგჯერ მეც ალბათ უნდა მეწყინოს.

სინდისი

რომ გტკივა არ მითხრა, ისედაც მივხვდები,
თვალებში ვკითხულობ, თუ რამე გაწუხებს,
ჯიუტობ, ქარიშხლებს ყოველთვის წინ ხვდები,
დამშვიდდი, მოგიქსოვ ყასნაყით ბაჩუჩებს.
სინაზით შეხედე გვირილებს, ვარდებსაც...
ნუ გიკვირს სიყალბის ცის ცისარტყელები,
შევიგრძნობ რას ფიქრობ მაგ გულში ნადებსაც,
არ აყვე მჟავეა შინდი და ტყემლები.
მომენდე, მიგიღებ, საკუთარ შვილივით,
გაკვალულ ჩემს გზებზე შუქია სიწმინდის,
ვაჯობე, მომდევდა ქარი სულ კივილით,
სიმდიდრედ შემომრჩა ქალური სინდისი!

საინგილოში

არ გაქვს უფლება დაიღალო, რადგანაც იცი,
შენ გიმფარველებს ,,ათინათის“ ხატი ნინოსი,
უნდა იბრძოლო, შეასრულო ის დანაფიცი,
გელოდებიან ქართველები საინგილოში.

ოქროს საწმისო

ვცდილობ გიპოვნო, ბედნიერების გულის საწყისო,
ვიბრძვი წვიმებშიც, ვეომები ღრუბლებს თქოროანს,
მაინც გიპოვნი, ერთგულების ოქროს საწმისო,
საქართველოსთვის მჭირდება და ვატყობ შორია.

ჩემი განძია

მიყვარს და როგორ, არც იკითხოთ ალბათ ვერც ავხსნი,
სულიერების საწყისების ჩემს გულის ხმაურს,
ამ ჟურნალების, ამ წიგნების, მე ვარ მათი ხნის,
ჩემი განძია, ზოგიც ალბათ არ მისცემს შაურს.

გვერდით კი მყვანან მეგობრები, მათ უნდა ვენდო,
უფაქიზესი გრძნობებით და ლექსის ფრთოსნები,
გულების ნაცვლად მთელ სხეულში მზე უნდა ენთოთ,
გული მშვიდდება, მათთან ყოფნით, მათი მოსმენით.

წინ ლექსებია, უკან ვდგავართ ჯარისკაცები,
,,ათინათშია“ ჩვენი სულის აზარფეშება,
არას ვინაღვლებთ, თუ ლექსებში დავინაცრებით,
სული ცაში ფრენს, სხეული კი დაბლა ეშვება!



აქ რიტმს ნუ ეძებ

უპატიებელს გაპატიებ, რადგანაც ღრმად მწამს.
ამ პატიებით, სიყვარულით, დიდ გზას მივყვები,
ყოველ ნაბიჯზე, მომავლისთვის რწმენის ჯაჭვსა ვწნავ,
შეაფასებენ არა ჩანან გონით ბრიყვები.
შენც შეგასწავლი ნუ აყვები ბოღმას და სულელს,
ყველა გაკვეთილს ჩაგიტარებ თუნდაც უფასოდ,
ნაშენ კედლებში მაშინ იგრძნობ, ჰაერის სურნელს,
თუ აღსარებას ჩააბარებ მხოლოდ უფალსო.
აქ რიტმს ნუ ეძებ, არც რითმია ძაფით ნაკერი,
აქ სული არის უბიწო და მიუწდომელი,
გულიც გარდიქმნა, დარდებშია გამონაკვერი,
მე სიკეთე ვარ, დამინიშნეს გრძნობის ნობელი.
სულ იოლია, გავაგრძელებ თხრობას ძვირფასო,
შურს გაეყარე, გულის ბოღმა ცხრილში გაცერი,
გამოგზაურებ სიმშვიდეში სულ მთლად უფასოდ,
რა მოხელე ხარ თუ ჯალათს ზრდის შენი ნაწერი?

მამას

:·

შენ დადიოდი მადლით და სიბრძნით,
ყველასთან თესდი სიკეთის მარცვალს,
რასაც ვაკეთებ უჩუმრად გირძღვნი,
თუმცა ხანდახან ცრენლებმა გამცა.
შენ გესმის ჩემი ეს ასე არის,
და არ მჭირდება ამაზე ფიცი,
ჩემი გულია ნაავადარი,
მე სხვანაირი დარდები ვიცი.
ამაყი იყო შენ ჩემით მინდა,
გარდასულ სულებს მიტომ ვაღმერთებ,
ჩემთვის ყოველთვის თოვდა და წვიმდა,
მიწას და ზეცას ცრემლით ვაერთებ!

ნუ გეშინია

არ იკამათო და არ გახდე კაცთა მოძულე,
უნდა ეცადო, მოაქციო მრუდ გზით მავალი,
თუ გაგიჭირდეს კი ბატონო, გვერდით მიგულე,
პოეტებია ცის და მიწის შუამავალი.

არ დაეხარბო არც ქონებას და არც დიდებას,
მხოლოდ სიცოცხლე შეიყვარე ის რაც შენია,
სულის მდინარე თუკი ისევ აგიდიდდება,
შენთან მიგულე და ნურაფრის ნუ გეშინია!

ნადიდგორალმა

სხვისი არ მინდა, თუნდაც სიცოცხლე,
ჩემსაც მოგცემთ თუკი იკადრებთ,
ღმერთო, ქვეყანა გამომიცოცხლე,
საქართველოში ნუღარ იავდრებს.

მოქცემთ ყველაფერს, მხოლოდ სანაცვლოდ,
დაისადგუროს ქვეყნად მორალმა,
ყველას დედა ვარ, არ ვდედინაცვლობ,
კვლავ უნდა გავძლო ნადიდგორალმა!

სიცოცხლის ღვედი

ფრთები მაქვს მაგრამ არსად არ ვფრინავ,
დარდი ცვარნამში უნდა გავავლო,
ბოლოს ცის თოკზე ისეც გავფინავ,
ამჯერად ჩემში უნდა დავმალო.
გამთენიისას ვუღიმი ცისკარს,
არც წვიმის ხმაურს არ ვუშინდები,
ღვედს სიცოცხლისას, ჯერ წელზე ვიკრავ,
ბოლოს კი ღმერთში გადავფრინდები!

მარადმწვანეა

მარადმწვანეა ჩემი დარდი, დარდის უღელი,
შემოურიე ოქროსფერი სხვათა საამოდ,
ფეხზე ჩავიცვი, ძველის-ძველი ფიქრის წუღები,
შემოვიღამე იმედებით სევდის საღამო!

სევდიანია

არის თავისთვის სილამაზის დედოფალია,
სიმორცხვისაგან აუწითლდა ნაზი ლოყები,
გამჩუქებელი საყვარელი ტურფა ქალია,
სევდიანია, მის წარსულზე მე ვერ მოვყვები!

როგორც იობი

წაბლის ხე იდგა როგორ გიორგი
და ტაშს უკრავდა ტოტის ხელებით,
წარსულს ითმენდა როგორც იობი,
უსამართლობით განახელები.

პაატას თავი ვითარც მზე ქართვლის ...
ასხივოსნებდა, სოფლის ბოლოდან,
მამას დაეძებს, სხივების სანთლით,
რადგან გიორგი დროსთან ბრძოლობდა.

ომი მოიგო და ტაშისკარში,
ბიჯგად ბეჭები ზეცას მიადგა...
მიმოდიოდა სული ცისკარში,
ამობრწყინდა და ამოდიადდა!

ხსოვნის რვეული

არ შევბრუნდები იმ სამყაროში,
სადაც ვიყავ და ვიცი რაც არის,
სადაც ჩემს ამაგს ვნახავ დაროშილს,
სადაც ღიაა ყველასთვის კარი.

ცუდს არ ვუსურვებ კარგად მეყოლონ,
ჩემში დავრჩები მარტოდ ეული,
მე მირჩევნია ლექსი მეყოლოს,
მათთვის შევავსე ხსონის რვეული!

ჩემო ბავშობის წლებო

ჩემი სიცელქის წლები,
ლამაზი როგორც ვარდი,
როცა შემცივა ვთბები,
თავსაც ზამბახებს ვადრი.
ზეცაში გადავშლიდი,
ფიქრის, ოცნების კარავს,
თავს ბედნიერად ვთვლიდი,
ახლა ღურუბლები მფარავს.
კვლავ მოგონებას ვუხმობ,
დილის ცვარივით ლამაზს,
თითქოს მიყურებს უცხოდ,
ასაკმა გამაბრაზა.
ჰოდა, სურათი დავდე,
თვრამეტი წლის ვარ მგონი,
ახლაც მას მინდა ვგავდე,
რომ გავხდე მოსაწონი!

უეკლო ვარდი

ანაწილებდი სითბოს გულუხვად,
მზეო სუყველგან განურჩეველად,
ვარდს სიმხურვალით ძირი გაუხმა,
ეკალი გახდა სულის მრჩეველად.
იშვიათია მაგრამ იზრდება,
სადღაც მთის ძირში უეკლო ვარდი,
დგას თავისთვის და სევდით ფითრთება,
ტკივილის ფიფქი ბარდნის და ბარდნის!

მე ის ვარ

მოვდივარ საიდან ვფიცავარ არ მახსოვს,
ან დედის ხელებში საიდან აღმოვჩნდი,
რა უნდათ ამ დარდებს ნეტავი ვინ მაქსოვს,
სიკვეთის ვაგონებს მაინც არ ჩამოვრჩი.

მგზავრი ვარ, არც პურს და წყალსაც კი არ ვითხოვ,
წლებს ვკენკავ მიწაზე, ვით მარცვალს ბეღურა,
წიგნებს და ,,ათინათს“ წავალ და თქვენ გითმობთ,
მე ის ვარ, სიწმინდე მხრებზე რომ მიხურა.

დამილოცნია

დამილოცნია, ვინაც იცის ამაგის ფასი,
დამილოცნია, თუნდაც მტერი ანდა მოკეთე,
თქვენ შვილნო ჩემო, გულრწფელობის, შარბათი გასვით,
და ბოროტების გზის მავალნიც გამოვაკეთე.
დამილოცნია, ვინაც, უფალს ეთაყვანება,
ვინც ოდნავ მაინც სხვის საამოდ სიტყვას წარმოთქვამს,
დამილოცნია, ჯიუტები, ზოგიც თავნება,
დამილოცნია ვინც, რომ შრომით საქფავს გამოფქვავს!

რა აზრი აქვს

რატომ წყდება ეს ფოთლები ასე ნორჩი,
რად უარყო სასიცოცხლო წლები,
ვაზო, სხეულს უხილავი ძალა გმორჩნის,
თოთო ლერწო, მიწას რატომ წვები.
რა აზრი აქვს, თუ ნაყოფი არ მოისხი,
ან ვინ წაგწვდა მოგაშორა დედას,
არც ქარია, არც ნიაღვრის ხმა მოისმის,
უმიზეზოდ კვირტი რატომ კვდება?!

არ იწვიმო

მზის სხივს მოჰყევ დილის ცისკარს,
მოითხოვე მიწის ფართი,
ნიღაბს მოგხსნი გნახავ ვინ ხარ,
მავთულს აბავ გადახლართვით.
არ იწვიმო, დაგვასვენე,
წადი სადღაც ჯანდაბაში,
მეგობრობას არ იხსენებ,
ვეღარ გარჩევ შაბაშში.
ქრისტიანმა ქრისტიანიც
ბავშვი ქალი არ დაინდე,
ხოცავ სხვას და შენიანსაც,
მხეცო, გამოიამიდე!

ოქრო თუ ლექსი

მეკითხებიან როგორც მოსწავლეს,
რა გირჩევნია, ოქრო თუ ლექსი,
ჩამჩიჩინებენ როგორც მოვალეს,
არადა ლექსი ძილშიდაც მესმის.

განძს წამართმევენ ლექსი კი ღრმაა,
ოკეანეში როგორც წყლის ფსკერი
მერცხლის ჭიკჭიკი ეს ლექსის ხმაა,
გაზაფხულებას ლექსივით მღერის.

ლექსთან ვიძინებ,გადავშლი მკლავებს,
ხან საბანივით შემოვიკეცავ,
სიმდიდრისათვის ერთმანეთს კლავენ
მე კი მსურს ლექსის სამოსი მეცვას!

თუ გინდა გერქვას ადამიანი

მიენდე უფალს რწმენით იცხოვრე,
დამშვიდდები და სხვასაც აამებ,
და ვით უმწეომ ერთხელ ითხოვე,
წარმოიდგინე ცრემლით აღამებ.
წარმოიდმოიდგინე შენ ხარ ის ბავშვი,
თოვლში რომ ხელი ეყინებოდა,
მერე ვიღაცის ღუმელთან გაშრი,
თუ გაგაგდებდნენ გეწყინებოდა.
ეს ასე ხდება უფალი გაცდის,
გაზაფხულის დროს ზოჯერ დაბარდნის,
ერთხელ თუ მაინც სწორ გზიდან აცდი,
დარწმუნდი უკვე ქუჩას ჩაბარდი.
არ შეგეშინდეს უფალს მოუხმე,
ის ქუჩა შენი გაკვეთილია,
ხეს თუკი ტოტი ოდნავ მოუხმეს
თქვი რომ დარდისგან გატეხილია.
შეგიცოდებენ, სხვას თუ იცოდებ,
გახდი სხვის დარდის თანაზიარი,
სიკეთის თესვა უნდა იცოდე,
თუ გინდა გერქვას ადამიანი!

ნუ ამატირებთ

ნუ დამსჯით გული თქვენ რომ გაჩუქოთ,
ნუ ამიტირებთ თვალებს გრძნობისთვის,
წლები ბედისწრით ისეც ნაქურჩობს
და ნურც გამკიცხავთ თანაგრძნიბისთვის.
მიყვარხართ ისე როგორც შვილები,
ვფიქრობ თქვნზე და თან უსამანოდ,
რა კარგებია და რა ტკბილები,
ხომ მეთანხმები იასამანო?
არ მძულს მტერი და მიყვარს მოკეთე,
მიყვარს საღამო და მიყვარს დილა,
სიკეთისათვის ხელიც მომკვეთეს,
შემოუყრიათ სახეშიც სილა.
მაინც არ გავტყდი, არ დავძაბუნდი,
რწმენამ და ღმერთმა, მომაძლიერა,
სიკეთის მარცვალს ისევ დავბუდნი,
თუ ჩემთან იგრძნობთ თავს ბედნიერად!

ვგრძნობ

ვგრძნობ, რომ სული გადმოვიდა ჩემში,
მსგავსებაა, რაღაც მისნაირი,
წმინდა სანთელს მაჭერინებს ხელში
და მეცა ვგრძნობ გავხდი სხვანაირი.
ჯერ ისედაც ჩემი გულის მართვე,
იყო თბილი და მზესავით თბილი,
ახლა შენს დარდს თავს ვერაფრით ვართმევ,
სხვისი სულით ან როდემდე ვივლი???

არ მეშინია

განვლილ ცხოვრების ბილიკს ვამოწმებ,
გზებზე ხომ არსად წავიფორხილე,
იმედის ძაფი არსად ამოწყდეს,
მეცა ვფრთხილობ და სხვასაც ვაფრთხილებ.

ყველა ბილიკი ხელით გავჩრიკე,
ეკლის ბარდებიც მივწი-მოვწიე,
მივეფაქიზე თვალით ნარჩიტებს,
მივუალერსე ბედით ნაწვიმებს.

არსად შეცდომა არ დამიშვია,
სიკეთის თესვა სულის ჟინია
სუფრებიც ბევრჯერ გამიშლია და ...
მარტოდ მგზავრობ და... არ მეშინია!

რამდენჯერ უკვე

გარდავიცვალე მაშინ როდესაც,
სიხარული რომ გახდა ხანმოკლე,
მტრები ზვიადის კვალში მოსდევდა,
არ მოისვენეს სანამ არ მოკლეს.

მე რახანია გარდავიცვალე,
აფხაზეთს გაყვა ჩემი სიცოცხლე,
საშობლოვ ჩემო, თავს განაცვალებ,
ოღონდ ქართველი გამომიცოცხლე.

აღარც კი მახსოვს რამდენჯერ უკვე,
სამაჩაბლოში დედა ატირდა,
მივდივარ, მივსდევ ღვარცოფებს უკვლევს,
თოთქო სულები ცაში აფრინდა.

დიდო ტკივილო ჩემიანებო,
ცისკრის ჭიშკართან დავბორიალობ,
ვარდებო დილის ცვარიანებო,
არ გამამხილოთ მე რომ ვღრიალობ.

სიცოცხლეშივე ვნახე სიკვდილი,
არც კი რცხვენოდა თვალს მისწორებდა,
მკდრეთით აღვსვდექი ახლა ამ დილით,
ფესვები უნდა გამოვაცოცხლო.

სიკეთეს ვეძებ ცაშიც, მიწაშიც,
არ ამოვიდა ის რაც დავთესე,
ბოროტს მე ვყავარ ისევ მიზანში
და აქეთ-იქით თვალებს აფეთებს!

სვანის ხასიათი

არც უმტროთ, არც უთავადოდ,
მათში არ მოდის სიტყვის ღალატი,
სვანი ბუმბერაზ მთებსაც თამადობს,
კეთილია და არა ჯალათი.

თუ მაინც ვინმემ ,,იფარსადანა“,
ჰაი, დედასა მას დღე დაადგეს,
მას ვერ გარეცხავს ვერც იორდანა,
დაეწევა და ბოძზე ააგებს.

სვანი სუფთაა სულით და ხორცით,
მიენდეთ როგორც დედა თვის შვილებს,
მტერი რომ შეხვდეს ერთს თუნდაც ოცი,
ჩვილი ბავშვივით ის არ იკივლებს.

სვანის გულია წმინდათაწმინდა,
იწვის და დნება როგორც სანთელი,
თუ გიმეგობრა, იყავით მშვიდად,
თუ უღალატეთ, გქონდეთ ნათელი.

ხევისბერივით, სვანი ბრძენია,
ათაბაბიდან ასე ამბობენ,
თუ გიმეგობრა შენაძენია,
ერთგულებაში ვერვინ აჯობებს.

მეგობრობაში გამოცდილი მყავს
ჰოდა ვენდობი დაუფიქრებლად,
ქალი მზის გულა ფარშევანგას გავს,
მხრებს დაგადნება წმინდა ფიფქებად.

მამაკაცებზე გამიგონია,
სული ჯავშანად ახლავს ბრძოლის დროს
ომი წააგო შენ რომ გგონია,
ის გამარჯვებას მაშინ თამადობს!

შევეკამათე

შემომათენდა, ათასნაირ სიზმრებში დაღლილს,
კაცთა მოძულე შემომხვდა და შევეკამათე,
გზას ვაჩვენებდი სიკეთისას ჩემივე გავლილს,
გულს დავიმშვიდებ, ბოროტი თუ გამოვაკეთე.

ცა შავებშია, საცა არის ცრემლებს გადმოყრის,
ქარი წრიალებს, შემახსენა თავი ტიალმა,
ტოტი-ტოტსა სცემს, ვაზის ყლორტებს,
დატეხს და მოხრის,
ძილშიც დამღალა ჩემი ქვეყნის ორომტრიალმა!

სულის სავანე

მსგავსი ჩანჩქერი მეც მინახავს ძირულის პირას,
სანთელის მთიდან მოვარდნილი ვით მტერთა ურდო,
უნდა ჩავიდე მოვეფერო მომავალ კვირას,
დავავიწყდები, შემომხედავს ძირულა უნდოდ.
ეს სვანეთია, მიმასპინძლა უშგულის მთებმაც,
დევის ფრჩხილივით წამოზრდია ნაძვნარს წიწვები,
სულ ვძაგძაგებდი, მასპინძლობით ეს გული თბება,
დარდო შენ მაინც, არასოდეს დამავიწყდები.
იქ, ცა ვიხილე, დედამიწას ჩახუტებული,
იქ, მზე ვიხილე, ყინვის ფილებს როგორ კოცნიდა,
მე შევადგინე სულ ახალი ფიქრის კრებული,
თანაც მიკვირდა, ყურადღება გულს რომ ყოფნიდა.

აჭარაში

აჭარაში გული განაწილდა
ვითარც მზის ქათიბი,
ხან თბებოდა, ხან აწვიმდა,
იყო ბრძოლა და თათბირიც.
რომ იცოდონ რა მადლი აქვს
ჩემს გაგზავნილ გულის სითბოს,
კუთხე-კუნჭულ სიყვარულს რგავს,
თუ ირწმუნეთ, აღარც ითოვს.
ჩემს საჩუქარს ვინც უარყოფს,
მებრალება მართლა ძლიერ,
ისეთია თხილსაც გაყოფს,
თითონ ბერჯერ ნახავთ მშიერს!

ყელსაბამი

ეს ყელსაბამი როგორც თილისმა,
მივიღე უფლის ნაბოძვარ განძათ,
და როგორც იცის ცხელმა ივლისმა,
წარსულის დარდებს ვხარშავ და ვძარცვავ.
არ ვეძებ განძს და ოქროს განედებს,
როგორც თევზი წყალს, სიწმინდეს ვეძებ,
არ მინდა დარდებს სულ მთლად დავნებდე,
და ვერკინები რკინას და ძეძვებს.
დედამ მასწავლა, ბრძოლა ქარებთან,
სიკეთე მადლად უნდა დამეგო.
თუ მათხოვარი იდგეს კარებთან,
რომ მისთვის უფრო უნდა გამეგო.
მიეცი რამე, თუნდაც მცირედი,
ყურადღებაა მთავარი შვილო,
ტყისკენ რომ გარბის მატოდ ირემი,
იმიტომ გარბის შიშობს და ფრთხულობს.
ეს ყელსაბამი მიიღე ისე,
რაღაც გაჩუქა უფალმა თვითონ,
ძილში და ცხადშიც გულს დარდი გისერს,
მწირ ყურადღებას ამიტომ გითმობს!

იღრინება

არამკითხეს პასუხს ნუ სცემ,
იღრინება როვორც ძაღლი,
ნურც გახდი და ნურც ჩააცმევ,
ნურც გონებას მისთვის დაღლი.
გზა განაგრძე გულის მნათო,
ღმერთის თვალი მერკურია,
დრო ლაყბებით მონათენთობს,
უაზრობით ფხაკურია.
გულღრძოს გულის. მკურნალობა,
სამწუხაროდ აფსურდია,
დაღლით კუკუმალაობა,
ასი ერთ კაცს არც უდრიან.

მამულს უნდა ვაამო

ისე მჯეროდა დიდი მთათა გნოლის გალობა,
თუმცა არ ვიცი ეს ალალი რატომ მოვედი,
აი, ვიფიქრე მეც მეწვია უფლის წყალობა,
გადაიკარა, დარდის წვიმით, აღარ მოვკვდები.

არა და არა, არა მჯერა, ჩემი ამაგი,
ვინმეს ახსოვდეს და გადაღლა მეც მეპატიოს,
ისევე ჩემით მივანიშნე გულო გამაგრდი,
მედროვე ბანაკს არასოდეს არ გაეტირო.

კვლავ შემოვბრუნდი ჩემი ფიქრის ათინათებში,
აქ სულ მზის სხივი დაფათურობს სხვათა საამოდ
და ჩემნაირთა სულთა წმინდა ხელთათმანებში,
იმედს შევფუთნი რადგან მამულს უნდა ვაამო.

ჩამოდიოდი

რამდენ დარდს უძლებს პატარა გული,
ბედისწრის ტკივილს, სიხარულს, წყენას,
ბევრჯერ მწერვალებს ოცნებით უვლის,
უძლებს ქარიშხლის დიდ ფოთოლცვენას.
საიდუმლოსაც ინახავ გულო,
უძლებ განსაცდელს როგორც იობი,
ღალატის ჯაჭვით გამონაგულო,
ცრემლო, შიგ გულში ჩამოდიოდი.

და თუ ღანძილი შემოგერია

როცა გაწურავ წლების სივრცეს და...
აღმართსზე ასვლა გაგიჭირდება,
უკვე ვერ უძლებ ავდარს, სიცხეს და...
ჯიბრით ჭრიჭინა აჭრიჭინდება...
შენ დაღლილი ხარ, რადგან იშრომე,
რაც კი შეგეძლო იმაზე მეტი,
დაღლილმა ლუკმაც აღარც ინდომე,
უარს ამიტომ კრძალვით რომ ეტყვი.
კვლავ ბედისწერა გიღრენს ძაღლივით,
სიკეთისათვის ცდილობს დაგკბინოს,
არ აქვითინდე თოთო ბალღივით,
კვლავ შეეცადე სხვას არ დაცინო.
„ხომ გაიცანი ვინ რა ფერია",
ყველაფერს ხედავს ციდან უფალი,
და თუ ღანძილი შემოგერია,
დარჩი სამშობლოს ჭირისუფალი!

კახელებო

ფუძე-კუთხეს დაგილოცავთ კახელებო,
რომ ჩუხჩუხებს მაჭარივით, თქვენი გული,
მებრძოლებო, გულიანო ქართველებო,
ქართვლის ვაზი გულში რომ გაქვთ გამორგული.
ქინძმარაულს დედის კალთის სუნი უდის,
ალაზანს კი, მიაქვს დარდი შარშანდელი,
კახელებო, მტერებს საზღვრების იქით ბუდნით,
ცას დაფრინავს ღვთის იმედის შავარდენი.
იფრთხიალონ, მერცხლებმა და ბეღურებმა,
მზემან სითბო, არ მოაკლოს ყურძნის მტევანს,
კახელებმა არ იციან ორგულობა,
მათ ცხელ გულში საქართველო დაეტევა!

ოჰ, ღმერთო ჩემო

ოჰ, ღმერთო ჩემო რაღატო შემხვდა,
ხომ აღარ მსურდა შეხვედრა ქართან,
ადრეც დასერილ გულს ხერხით ხერხდა,
ძველი ტკივილი არ ამოქარდა.
ბავშვივით სუსტი პატარა გული,
ჩუმად ატირდა ცრემლის გარეშე,
თუმც კავკასიონს ლოცვებით ვუვლი,
ვატყობ რომ ქარი კვლავ ითარეშებს.
მზე მიიწურა, მგონი ჩავიდა,
ჩემი სიკეთე გულმკერდს სარავდა,
და ეს ტკივილი აღარ გავიდა,
დარდიც ამიტომ არ დასამარდა!

შენთვის ვცოცხლობ

თაკარა მზის აღმართებში,
წავადექი ქარის წისქვილს,
იმ მწამს დარდის ბარათებში,
ბედისწერა იწყებს ქირქილს.
სიცხით იწვის დედამიწა,
დუღს და ქვაბში
კვლავ ყრის დარდებს,
სიხარული დამავიწყდა,
წავადექი ეკლის ბარდებს.
კვლავ დავლოცე რიყის ქვები,
ბალახი და მწვანე მდელო,
ყველა სიტყვას ლოცვით ვყვები,
შენთვის ვცოცხლობ საქართველო!

ეს დღეც მიილია

ეს დღეც მიიმალა დროის სავანეში,
ფიქრი უსასრულოდ წარსულს ეკმაწურა,
ბოლოს ლაბირინთის ლამაზ სავარძელში,
მშვიდად საუბრის დროს დარდი გამოწურა.

ცეკვა წამოიწყეს ტყეთა შროშანებმა,
ნაზი სამაია, ფიქრით შევასრულე,
თუ კი საქართველოს გვინდა აშენება,
ბოღმით კინკლაობა ყველამ დაასრულეთ!

სვანეთის შთაბეჭდილებები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ღმერთან ახლოს

სვანეთში ყოფნამ, დამარწმუნა, რომ ღმერთი ძალიან ახლოა ადამიანებთან. მხოლოდ შინაგანი რწმენით უნდა მიეახლო, ამ ბუმბერაზ მთებს, ცად აზიდულს, სადაც ღმერთის წყალობა უხვადაა. აკადემისა და მწერალთა კავშირს ჯგუფს, რომელსაც პოეტი ეთერ,ნათია, მალვინა და ბატონი ივერ ჭელიძე ხელმძღვანელობდა, უფლის ხელშეწყობით შედგა. ამიტომ იყო გზად უბრალო ნისლისიც კი არსად მოგვფენია სულის ტკივილად. მთის თეთრმა ქათქათა ნისლებმა კალთები აიკეცეს და გზა დაგვითმეს სტუმრებს. მივდიოდით მთისა და ცის სივრცეებში და წინ იშლებოდა წალკოტი. ჩანჩქერები ცეკვავდნენ, ნაძვნარი კი გარინდებული იყო. ჩიტუნები ჟივჟივობდნენ. ენგურის ტალღები ფაფარაყრილი ლომივით წყლის ტალღებს ატრიალებდა. მოდიოდა ზვიადად და მოჰქონდა დიდი თოვლისგან ჩადენილი წარსულის სევდა. იდგენ კოშკები მდუმარედ. ვინ მოთვლის ამ საოცარ სიწმინდეებში რამდენ გულმართალ ქართველს აუნთია სანთელი და ვედრებით უთხოვია უფალისთვის, თავისი გულსატკივარი. ვინ იცის რამდენი დედა დამხობილა ძირს მამულის სავედრებლად. ამაყად მდგარ მთებს გავს, აქ გაზრდილი ადამიანების ბუნება. მათ არ ეშლებათ სტუმრისა და მტრის დახვედრა.

პირველი დღის მასპინძელი ივერი ჭელიძე

მესტიის ისტორიული მუზეუმი

პირველი დღე, რომელიც მესტიის მუზეიმის დათვალიერებით დამთავრდა. არ შეიძლება არ ავღნიშნო ქალბატონი მაყვალა ჯაფარიძის ღვაწლი. ქალბატონი მაყვალა ერთ საათზე მეტ ხანს საუბრობდა და გვიხსნიდა თითეული ხატის, ნივთების, თუ ხელნაწერების მნიშვნელობაზე. ყვითელ ფურცლებში ჩამალული ისტორია მინდოდა გულში ჩამეკრა და მეამყნა საქართველოს სიმდიდრეთი. დიდი მადლობა ბატონ ივერი ჭელიძეს, ამ ლამაზი უანგარო გულუხვი მასპინძლობისათვის. მესტიის მუზეიმის დათვალიარებას და აღქმას წლები დასჭირდება. აქ არის წარსულის სიმდიდრე, რომელიც, კარგმა ისტორიკოსმა უნდა აღწეროს და სამსჯავროზე

გამოიტანოს. ამ ორიოდე დღის წინ მოვისმინე ასეთი ინფორმაცია. ტაშისკრის დიმიტრი ყიფიანის სახელობის მუზეუმსა და მესტიის მუზეიმის ხელმძღვანელობას შორის ხელშეკრულება გაფორმებულა. რაც მისასალმებელია. მეტი ინფორმაციაა, საჭირო ნამდვულად მომავალი თაობისათვის. ეს კი ურთიერთობით ჩამოყალიბდება. მესტიაში ქართული ადათ წესების მატარებელმა, ცნობილმა პიროვნებამ ბატონი ივერი ჭელიძემ გვიმასპინძლა და მესტიის მუზეიმიც მისი ხელმძღვანელობით დავათვარიელეთ.

უშგულის მასპინძლები – როლანდ ჭელიძის ოჯახი

ერთხელ კიდევ ვირწმუნე დიდი სულის ქართველობა რას ნიშნავს ბატონ როლანდის ოჯახისა და ივერი ჭელიძის სახით. ყველა ისტორიულ კადრს იღებდა აკადემიაში ახლად არჩეული ეკა ბრეგვაძე და გვიქმნიდა იმ დღის ისტორიას. მეორე დღეს გადავინაცვლეთ უშგულში. აქ კი ბუნებისა და ადამიანების ორთაჭიდილის კადრები ჩალაგდა თითეული სტუმრის გონში. ბატონი თემურ გოგსაძე, როგორც მისი საუბრიდან გაირკვა, არა ერთხელ ყოფილა უშგულში და დიდ თოვლობის დროს პროდუკტით დაუპურებია ადგილობრივი მთის მოსახლეობა. სწორედ იმ სტიქიით გამოწვეული უბედურების მსხვერპლის გამო, გადმოასახლეს რამოდენიმე ოჯახი გარდაბანში. დასახლებულ სოფელს კი უწოდეს ლემშვენიარა. მივდივართ მთებში. არ მთავრდება გზა. წინ გვხდება ტურისტების არმია. ზოგი ფეხით მოსიარულე, ზოგი ველოსიპედით, ზოგიც კიდევ მანქანებით. ისეთი წინათგრძნობა მქონდა, თითქოს სადღაც ღმერთი უნდა შემხვედროდა. თუმცა ღმერთი თითეულ ადამიანს გულში უნდა ჰყავდეს. ბუნების ხეობაში გაზრდილს, მიკვირდა დიდი და განსხვავებული მთები. გასაკვირვი ისიც იყო, რომ მთებს, მარად მწვანე კაბები ემოსათ. ნუთუ აქ სულ ქორწილია? მთებმა არ იციან გლოვა? უშგულს როცა მიუახლოვდი ვხედავ, ლურჯი კამკამა ზეცა და თეთნულდი კარგი ოჯახის წევრებივით ერთმანეთან არიან ჩახუტებული. დავდუმდი, გავჩუმდი, მინდოდა მარტოდ ყოფნა, მომინდა იმ მთებთან საუბარი. ამის საშუალება მომცეს ჩემმა მასპინძლებმა, ლამაზად გაწიკწიკებულ ოთახში

მომათავსეს და ჩემი ეთერ ჭელიძე მეუბნება, შენ დედი დაისვენე. ჩვენ სალოცავად ლამარიასთან უნდა ავიდეთ. რა თქმაბუნდა დავთანხმდი. სასწაული ყოფილა მათი ლოცვა, რაც მერე ვნახე, ეკა ბრეგვსძის გადაღებულ ვიდეოში. ეს ფილმია ერთი ლამაზი ოჯახის. მეორე დილით ისევ ეკა გავაღვიძე და მისი დამსახურებაა, რომ ლამარიას იმ დიდ წმინდა ადგილს მთლიანად საქარათველო, აკადემიის წევრები, და მასპინძლები რომ დავლოცე. ახლა ცოტა რამ ოჯახზე. ისევ გავიმეორებ ათასჯერ ნათქვამს. ოჯახი სადაც ეს გაერთიანებული ჯგუფი მოვხვდით. მათი ლამაზდ და გულუხვად დახვედრით გახარებული-გაკვირვებული, ერთმანეთს ვესაუბრებოდით, ერთი და იგივე სიტყვებს. აი, ქართული ოჯახი. როლანდი ჭელიძისა და გულო ნიჟარაძის დიდი სიყვარულისა და ქართულ ტრადიციებზე აშენებული . ყველა ხელოვანი, ერთ ქართულ ხმებში ამღერებული მე პირადად არსად არ მინახავს. ერთი დიდი საოცრება კიდევ. ეს საოცრებაა, ვაჩე ჭელიძე. ეს პატარა და დიდი გულის ვაჟკაცი, სვანეთის მომავალი მახვში და საქართველოს წინამძღოლი იქნება. ჩემი პროგნოზები ყოველთვის გამართლებულა და არც ახლა შევცდები. ვაჩე ჭელიძე დიდი ქართველი გაიზრდება, მას მთის ბუნებაც შეუწყობს ხელს.

როლანდ ჭელიძის ოჯახში

ეს, პატარა ვაჟკაცი ანდრო ხაჭვანია. მისმა თბილმა ყურადღებამ თავის ბაბუის ბატონი ვასოს მიმართ გაგვაოცა. ბაბუის გულშემატკივარს, ბაბუა უნდოდა სახლში წაეყვანა და მასთან ერთად დაეძინა. მის კეთილ ბაბუას ათას დარდ გადატანილს, კი სტუმართმოყვარეობის ჟინი მოძალებოდა, ყვებოდა იმ თავგადასავლებს, რაც უშგულის ისტორიას უკავშირდებოდა. მის საუბარს, სმენად გადაქცეული სტუმრები ყურს ვუგდებდით. პატარა ანდროს ბაბუას ბატონ ვასოს, დიდ ტკივილ გამოვლილ ნაჯაფ ვაჟკაცს, ახსოვდა და იგონებდა, ბატონი ივერი ჭელიძის საგმირო საქმეებს. ყვებოდა მისი ხელ-მძღვანელობის დროს, უშგულში, მესტიაში და მთელ საქართვე-ლოში უხვად გაცემულ სიკეთეზე. ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ სრულდებოდა როლანდ ჭელიძის ოჯახის წევრებისაგან ქართულ-სვანური სიმღერები. მღეროდა მთელი ოჯახი, პირველ, მეორე, მესამე ხმაში შეწყიბილნი. არაერ-თხელ ავღნიშნეთ მე და ქალ-ბატობმა მაყვალამ (მწერალთა კავშირის თავჯდომარემ) რომ ასეთი ოჯახი, მართლაც და არ გვენახა. ხელებდაკაპიწებული ნა-თია ჭელიძე, რომელიც ერთი შეხედვით გერმანულ თოჯინას გავს სილამახით. თან სვანურ ჭვიშტარს აცხობდა და თან დედმამიშვილების ხმას უერთებოდა. ის დღე ყველანაირად განსაკუთრებული იყო ანდრო ხაჭვანის ბაბუისთვის. განსაკუთრებული იყო იმითავ, რომ რაც შვილიშვილი გარდაეცლია, მას შემდეგ ლხინის სუფრაზე არსად ყოფილა. იმ დღეს კი სტუმართმოყვარეობის პასუხისმგებლობამ და დიდმა სიყვარულმა დაძლია და როლანდ ჭელიძის ოჯახს შემოურთდა., პატარა ანდრო ხაჭვანს დავპირდი, რომ მის სურათს, ,,ათინათში“ დავბეჭდავდი. დანაპირები შეუსრულე პატარა ვაჟკაცს, ანდრო ხაჭვანს!

❤ *ქალბატონი გულო ნიჟარაძე* ❤

თეთნულდის მთას მგონი სჯობნის,
სისპეტაკით ქალბატონი,
თბილი სიტყვა სტუმარს ჰყოფნის,
რომ საუბრობს დაბალ ტონით.
გაიღიმებს და ბაგიდან,
ეფინება მადლის სხივი,
მთაც უღიმის გულს გაღმიდან
წარსულიდან მონაწვიმი.

მასპინძლები

სვანეთში ვართ, ლამარიას ახლოს,
უშგულში და ვგრძნობ ოჯახურ სითბოს,
მასპინძლები უკვე გულში სახლობს,
უნცროსი რომ უფროს სიტყვას უთმობს.

ჭელიძიანთ შროშანები ყვავის,
გულის გულში იმარცვლება სიტყვა,
კვლავ ვიხილე გუთანი და კავი,
სადღგრძელოც სიყვარულით ითქვა.

დაილოცოს გვარი სანაქებო,
რომ კვლავ ვიგრძნო ქართულ ჯიშის გემო,
სვანეთია წმინდა საქართველო,
აღარც მიკვირს გულში რატომ ვჩემობ.

სვანური კოშკი

სულის მწერვალად გავითავისე,
სვანური კოშკი ცას, რომ წვდებოდა,
სევდის სასმისი რწმენით ავივსე
და იმედებიც აღარ კვდებოდა..

მესტიის მუზეუმი

ისე როგორც დედის გული,
გაფრთხილება, უნდა მასაც
წარსულია ფრთებშესხმული,
აქ, რეკავენ ,,დედო“ ზარსაც.

ლამარია

ლამარია მე რაც გთხოვე,
სულ უკლებლივ შემისრულე,
გულზე ნუღარ დამათოვებს,
დარდი აქვე დამისრულე.
სვანთა ჯილაგს სიხარულის,
გულს უთბობდეს ლამარია,
მათ სცოდნიათ სიყვარული,
გარდაცვლილნიც აქ არიან.
ზეცა ისე ახლოს არის,
გონებასთან როგორც გული,
ფიქრით ვნახე საფიცარნიც,
მადლიც იყო გადმოსული!

პირმომცინარი

დიდი მთის ძირში, ფიქრი გავშალე
და ნება- ნება ავყევ აღმართებს,
რაც დარდი მქონდა თუ ვერ წავშალე,
ხომ გავერიდე მაცდურ წარმართებს.

ხომ შევანათე თვალი მალულად,
მიუვალ დიდ მთის პირქურშ ქარტიას,
სადაც ოცნება გამოპარულა,
და მყინვარწვერი მირჩენს ნატყვიარს.

სულის სიწმინდის იმ მთათა ძირში,
გამომღვალიყო დარდის მყინვარი,
მერე მესიზმრა, ოცნება ძილში,
დილას შემოვრჩი პირმომცინარი!

თუ არ ნახე

თუ არ ნახე არ გცოდნია,
რა ძალა აქვს ლამარიას...
უცხოელნი შემოდიან,
რომ წაგართვან მზად არიან.
თვალით ხედავ ,,ათინათებს“,
სიკაშკაშეს იწყებს ღამე,
მზე მთვარესთან ღამეს ათევს,
ასე ხედავ თუ იწამებ.
მე მგონია სვანეთის მთებს
სხვანაირი ფერებია...
მივალ ალბათ მომავალ წელს,
ტყე და ბარიც ჩემებია.

სვანეთის მთები

ეს ლექსი არ მსურს დარჩეს შაირად,
მთებს თვალებიდან ცრემლი სდიოდა,
ვიღაცა სადღაც უკრავს დაირას,
მთას წარსულით კი გული სტკიოდა.
შემაძაგძაგა, ტირის ჩანჩქერი,
გამომარკვია გულის ხმაურმა,
მყინვარი დამხვდა ბედით ნაქერქი,
და ფერშეცვლი მეუცნარა.

მიძღვნები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

შენი ბრენდი

(მალხაზ ფუტკარაძეს)

როცა სული ისე ღრმაა,
ვერ ჩაწვდება სხვა შენს გარდა,
თვალები კი ლუჯი ზღვაა,
ჩამოუშვას ზეცამ ფარდა.

ვარსკვლავს, მართლაც საამაყოს,
ხმის ბარიტონს ბარს და ველად,
ღმერთმა მზის სხივს დაგანამყნო,
და გაქცია გრძნობის მძევლვად.

ყინვით ნათოშსს შეაფენდი,
შენი სულის ნიავს დილით,
მზეა შვილო შენი ბრენდი,
გული რომ გაქვს ძალზე თბილი!

ჩემი დათას დაიკო

როგორ არ გითხრა ის, რომ...
გულს რაც მიწვამს და მთუთქავს,
დათაზე ასე ვფიქრობ
მოვა დროს დაუთქვამ.

ახლა შენა ხარ ჩემი,
იმედის წყაროს ფესვი,
მგავხარ მაგ გულის ცემით,
ჩემი ბავშობა მესმის.

დიანა ჩემო მთვარევ,
ლამაზო, ვარდის ფერავ,
შენა ხარ სულის არე,
ჩემი ძმიშვილის კერა.

დები ვართ

დები ვართ, ოჯახის ერთგული,
მადლი გვსურს ქვეყანას მოვფინოთ,
თუ ეთო კარგად მეგულვის,
ერთ ლუკმას ყოველთვის ვყოფინობ.
ასეა თვითონაც თხილის გულს,
შუაზე გამიყოფს დაიკო,
მის გულში ნერგივით გადარგილს,
უნდა რომ ლუკმა დაიკლოს.
არადა უნცროსი იგია,
მე კი ვარ წლებს იქით გადაღმით,
რას მერჩის ვერ გამიგია,
შიშობს რომ ლექსები გადამღლის.

იოანე, ნენე და დანიელ ლობჯანიძეები

ჩემი გულის მერცხლებო, ჩემო შვილთა შვილებო,
მოშრიალე ვერხვებო და ძალიან ტკბილებო.
ორ ძამიკოს ნენეო, დაუჯერე ლამაზო,
ხატე, ბევრჯერ წერეო, მხოლოდ არ გააბრაზო!

სიმდიდრე

რაჭუკელა პატარებს,
ენაცვალოთ ბებია,
გულის გულში ვატარებ,
შაქარივით ტკბებიან.
იოანე დინჯია,
ნენე გოგო პრანჭია,
დანიელი დიდია,
თუმცა არის პაწია.
რაჭველების ბოკვრებო,
იოანე, დანიელ,
თაფლის ტკბილო კოკრებო,
წყაროს წყალი დალიეთ.
შენ კი ნენე დედიკოს,
მიეხმარე საქმეში,
მარჯვე იყავ ბებიკო,
გახდი ყველას საქები.
ასე ფუძის ნაყარნო,
გაიზარდეთ ჯამრთელი,
ძმებო ნენეს მაყარნო,
არ მელევა სათქმელი!

მოდი მოგეფერო

ჩემი გარდაცვლილი ძმისშვილიშვილი ესპანეთში

მიდი მოგეფერო შენს ენაზე,
მოდი მოგეფერო პაწაწუნა,
ანბანს დაგიტოვენ დიდ შენაძენს,
ბებომ ესპანური დაგიწუნა.

ვაჩემ მომიტანა ყვავილები

მინდვრის ყვავილდბი დამიკრიფა,
ენგურს ღუღუნებდნენ გუგულები,
გულშია თუ ვინმე მოიკითხავთ,
სიყვარულითა და ერთგულებით.

შხარაზე შეგროვილმა კესანებმა
დარდები გაფანტა და გაასვენა,
ვაჩე რომ კაცურად მესალმება
ჩემი ბავშობა გამახსენა.

ნათლის სვეტი
(მაიკო.ჭელიძეს)

დააკვირდით ნათლის სვეტი დაშვებულა,
დააკვირდით იქნებ ტყუილს ვამბობ...
ქალბატონის გული მადლით ავსებულა,
საქართველოს შვილებს უნდა გარგოთ!

მნათობის როლი

ცის სილურჯიდან ვარდების სურნელს,
გორდში თვით ღმერთიც მოუხიბლია,
აქიდან ცაში ხმას ვაწვდენ სულებს,
და ფურცელ-ფურცელ ვფურცლავ ბიბლიას.
ციურ ანგელოზს, ცვარნამის ეშხით,
მისთვის ვარდს ჩუმად უჩურჩულნია,
გამოიცეკვა, ნაძვი და ვერხვი,
„ნია“ ვარდივით გაფურჩქნულია.
ჩვენ დავმეგობრდით, ვით მზე ცისკართან,
წამებში გავხდი მე მისი ტოლი,
ნიაკო მღერის მთის ცივ წყაროსთან,
გაითამაშა მნათობის როლი!

ვახტანგი სხირტლაძე
(მამიკოს სულს რომ ახარებს)

შენი მამის ფესვსს ახარებ
დაიკოებს აძლევ იმედს,
გზად სიყვარულს დაატარებ,
უკვალავ გზას მარტოდ მისდევ

მამის სული დაგდევს ყველგან,
დედიკო კი ძილშიც გლოცავს,
ბევრს მოელის ვახო შენგან,
გაუმრავლდი ერთი ოცად.

❤❤❤

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა

უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.

2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

ბეჟან ხარაიშვილი

* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

აბრამ პაატა იოსებაშვილი

მოკლე ბიოგრაფია!

თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი – *ჟურნალისტი, მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, უნივერსიტეტის განათლებით, დაიბადა ქალაქ ცხინვალში, ებრაული და ქართული ლიტერატურის დიდი მცოდნის, "დავიდის საგალობლების" და თანახის სხვა წმინდა წიგნების ორიგინალიდან ქართულ ენაზე მთარგმნელის – რაბი იცხაკ მამისთვალოვის ოჯახში.*

თამარი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით, საკმარისი იყო ორჯერ წაეკითხათ 4-5 წლის გოგონასთვის ნებისმიერი უცნობი ლექსი ხუთ სტროფამდე და იგი უშეცდომოდ იმეორებდა.

მეცხრე კლასიდან მოყოლებული თამარი გაზეთ "საბჭოთა ოსეთში" აქვეყნებდა ნახევარგვერდიან მასალებს საავტორო ჰონორარით!

თამარი ყველა საგანს ერთნაირი სიძლიერით ფლობდა, მაგრამ განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდა ფიზიკა-მათემატიკური საგნებისადმი.

1950 წელს მან, მე-10 კლასის მოსწავლემ, გამოიგონა ახალი ხელსაწყო, რომელიც ერთდროულად ზომავდა მეტალის სითბოტევადობას, სითბოგამტარობასა და სითბურ გაფართოებას. ამ ხელსაწყომ პირველი ადგილი აიღო ნორჩ ფიზიკოსთა ჯერ საოლქო, შემდეგ რესპუბლიკურ, ხოლო ბოლოს საკავშირო ოლიმპიადაზე. თამარის გამოგონებული ახალი ხელსაწყო დაშვებული იქნა სერიოზულ წარმოებაში, ხოლო თვითონ დაჯილდოვდა პირველი პრიზით და დიდი ფულადი პრემიით. შემდეგ, ოქროს მედლით, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მოეწყო.

უმაღლესის დამთავრების შემდეგ 55 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ჟურნალისტიკის სფეროში, იყო საერთაშორისო კლასის კვალიფიციური ჟურნალისტი.

2010 წლის 21 სექტემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის (ყოფილი სტალინის სახელობის) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, თამარ მამისთვალოვს მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება.

2010 წლამდე, თავისი არსებობის 100 წლის მანძილზე ამ უნივერსიტეტმა საზღვარგარეთის ქვეყნების მხოლოდ 70-მდე პიროვნებას მიანიჭა ასეთი წოდება, მათ შორის სამია ქალი, ქ-ნ თამარის ჩათვლით, და, ამავე დროს, იგი, ამ წოდების პირველი მფლობელი იყო ქართველ ებრაელთა შორის.

1959-1970 წლებში მუშაობდა ქალაქ სოხუმში, აფხაზეთის ადგილობრივ და რესპუბლიკურ გაზეთებში ამ სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის მიღებული აქვს მთავრობის ჯილდო.

1973 წელს სოხუმში გამოიცა მისი მოთხრობების წიგნი "საიდუმლო" რომლის მთელი ტირაჟი ერთ დღეში გაიყიდა. იმავე წელს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრად. მისი მოთხრობები იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ გაზეთებში, მათ შორის მოსკოვში გამომავალ იდიშუროვან ჟურნალ "სოვეტიშ ჰეიმლანდში".

1961-73 წლებში იყო მისი ძმის, მწერალ აბრამ მამისთვალოვის მიერ მამის კარნახით დაარსებული საქართველოს იატაკქვეშა სიონისტური ორგანიზაციის აფხაზეთის ფილიალის ხელმძღვანელი.

აბრამ მამისთვალოვთან და გერშონ წიწუაშვილთან ერთად, ქ-მა თამარმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოდან დიდი ალიას დაწყების საქმეში.

ისრაელში ამოსვლის შემდეგ თამარი მუშაობდა ჯერ საქართველოდან ამოსულ უმაღლესდამთავრებულთა გაერთიანების (აგუდათ ოლიმ აკადემაიმ) გენერალურ მდივნად, თავმჯდომარე იყო აწ გ. ხაიმ ხუბელაშვილი, პროფესიით არქიტექტორი, თქვენი მონამორჩილი კოლეგა და კარგი მეგობარი, ვიყავი ხაიმის მოადგილე აგუდათ ოლიმ აკადემაიმთა გაერთიანებაში როგორც ხაიფისა და ჩრდილოეთის ოლქის თავმჯდომარე. მსიამოვნებდა ქ-ნ თამართან და ჩემ კოლეგასთან, ბატონ ხაიმთან მეგობრული და საქმიანი თანამშრომლობა.

1978 წლიდან თამარი მუშაობას იწყებს ისრაელის რადიოს "კოლ ისრაელის" ქართულენოვან გადაცემათა განყოფილებაში დიქტორ-რედაქტორად, 1982 წლიდან 1999 წლამდე ოყო ამ განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელი.

1982 წელს ჟურნალ "დროშის" მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში თამარის დოკუმენტურმა მოთხრობამ "ამბავი შალვა ბებერაშვილისა" (რომელიც ისრაელის არმიის ჯარისკაცი იყო და გმირულად დაეცა ტერორისტებთან ბრძოლაში) პირველი პრიზი და დიდი ფულადი პრემია დაიმსახურა.

თამარმა პრემიის მთელი თანხა გადაურიცხა ისრაელის თავდაცვის, არმიის ფონდს – "ლიბიტრომს".

1987 წელს თელ-ავივში გამოიცა თ. მამისთვალოვის მოთხრობების და ნოველების კრებული "მოლოდინი". დიდი მოთხოვნილებების გამო ეს წიგნი სამჯერ გამოიცა.

1991 წელს თამარი სამი თვით იყო მიწვეული საქართველოში ეროვნული მისიით, როგორც მსოფლიო ებრაული სააგენტოს -- სოხნუთის წარმომადგენელი.

1993 წელს თ. მამისთვალოვი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კვლევის ასოციაციის საპატიო წევრად.

ისრაელში თამარმა ი ვ რ ი თ ი დ ა ნ ქ ა რ თ უ ლ ა დ თარგმნა 10 ზე მეტი წიგნი, მათ შორის მსოფლიოში ცნობილი მწერლის ეფრაიმ კიშონის "იუმორისტული მოთხრობები" რომლებიც 1995 წელს გამოიცა.

თავის ძმასთან – მწერალ აბრამ მამისთვალოვთან და აღმოსავლეთ მცოდნე დ-რ გერშონ ბენ-ორენთან (წიწუაშვილთან) ერთად, თამარმა ი ვ რ ი თ ი დ ა ნ ქ ა რ თ უ ლ ა დ თარგმნა მოშეს ხუთწიგნეული ხ ა მ ი შ ა-ხ უ მ შ ე ი თ ო რ ა რომელიც ითვლება პირველ თარგმანად ო რ ი გ ი ნ ა ლ ი დ ა ნ - ქ ა რ თ უ ლ ა დ ამ თარგმანის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებისათვის, სამივე მთარგმნელებს მიენიჭათ ივ. მაჩაბლის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პრემია.

შემოქმედებითი და სამსახურებრივი მოღვაწეობის პარალელურად თამარი ეწევა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი იყო სრულიად ისრაელის მწერალთა კავშირების ფედერაციის თავჯდომარის პირველი მოადგილე, ისრაელის მწერალთა კავშირის წევრი, ისრაელის მთავრობის პრესბიუროს წარმომადგენელი და ჟურნალისტთა მსოფლიო ფედერაციის წევრი. ამ ფედერაციის წევრ ისრაელ კოლეგებთან ერთად, 1994 წლის 28 ოქტომბერს თამარი ესწრებოდა ისრაელისა და იორდანიას შორის საზავო ხელშეკრულების დადების საზეიმო ცერემონიალს.

1998 წლის 1-ლ იანვარს თელ-ავივში, ჟურნალისტთა სახლში, ისრაელის მწერალთა და ჟურნალისტების კავშირების ინიციატივით, გაიმართა მამისთვალოვების ოჯახის სამმხრივი

იუბილე; ნეტარხსენებულებს, თამარის მამას იცხაკ მამასთვალოვს იმ დღეებში 100 წელი შეუსრულდა, მის ძმა აბრამს, 22 საკუთარი წიგნის და 20 მდე წიგნის თარგმანის ავტორს, 75 წელი უსრულდებოდა, ხოლო თამარს იანვრის თვეში 65 წელი შეუსრულდა. უამრავ ადგილობრივ და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად იუბილეს ესწრებოდნენ საქართველოდან ჩამოსული 10 კაციანი დელეგაცია, აკადემიკოს ანდრია აბაქიძის ხელმძღვანელობით.

1998 წლიდან საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის დაფუძნებამდე (2003 წლის 22 იანვარი) თამარ მამისთვალოვი იყო საქართველოდან გამოსულთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალური დირექტორი (თავმჯდომარე შაბთაი ცური).

2002 წელს მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი "ციონი" .

1998 წლიდან ქ-ნი თამარი იყო ქართველ ებრაელ ქალთა მსოფლიო ასოციაციის თავმჯდომარე. ასოციაციას თავისი ფილიალები გააჩნდა, რომელთა მათგანი დღესაც მოქმედებენ, ფილიალის თავჯდომარე საქართვალოში - ევა ბიბილაშვილი.

აშშ-ში ლამარა ელიშაკოვი, რუსეთში იანა ბააზოვი, ავსტრიაში ირმა ფანი, ავსტრალიაში ლენა ცხვირაშვილი.

2003 წლის 14-17 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა ეროვნული კავშირის მიწვევით, 14 ივნისს თბილისის შ.პ.ს. ინტერბიზნესის სამედიცინო ინსტიტუტს საზეიმო ვითარებაში მიენიჭა თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილის სახელი.

15 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა პრეზენტაცია თამარის მიერ თარგმნილი და ბილინგვერი წესით გამოცემული წმინდა წიგნებისა:

"შლომო ამელეხის რჩევა-დარიგებანი"

"კოჰელეთი", "ნეხემია", "დანიელი".

2011 წელს თამარი ქ ა რ თ უ ლ ა დ თ ა რ გ მ ნ ი ს მისი მოღვაწეობის დიდ შედეგს, ისრაელ მწერალთა შორის პირველი ნობელის პრემიის ლაურეატის შაი აგნონის მოთხრობებს, რომელიც ცალკე წიგნის გამოიცა.

თამარ მამისთვალოვი იყო საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ქალთა სექტორის ხელმძღვანელი, კონგრესის გამგეობის წევრი და ჟურნალ "ერთობის" მთავარი რედაქტორი.

2004 წლის ივნისში პრეზიდენტ მიხაელ სააკაშვილის ბრძანებულებით თამარ მამისთვალოვს მიენიჭა საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება.

თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი ა ი რ ჩ ი ე ს ზ ე დ ი ზ ე დ მ ე ხ უ თ ე დ სრულიად ისრაელის მწერალთა კავშირების ფედერაციის თავჯდომარის პირველ მოადგილედ.

ჩვენს ქვეყანაში აღზრდილი და დაკვალიანებული მწერალი ქალი!

ჩვენი თემის სიამაყე!

მეუღლე იოსები 1983 წელს გარდაეცვალა.

დასტოვა ორი ქალიშვილი და 5 შვილიშვილი.

პატივისცემით

პროფ.აბრამ პაატა იოსებაშვილი საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში

საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე

გაბრიელ ბერის ანდერძი:

'მარად მკვდარი არ გეგონოთ, მე საფლავში ცოცხალი ვიქნები. ბოდბეში წმინდა ნინო წევს გაუხრწნელად და მირონი სდის და აი, აქ მე ვიქნები. მე რომ გარდავიცვლები, აქ ნახევარი საქართველო მოვა. ქრისტემ ლაზარე აღადგინა და ის გაუჭირდება, რომ მე აღმადგინოს? თქვენ ვერ დამინახავთ, მაგრამ ითხოვეთ ღვთისგან და ლოცვას არ დაგაკლებთ, რომ ღმერთი ყველას შეგეწიოთ...

თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს, დევნა ყველგან იქნება, ანტიქრისტე ყველგან გამეფდება, მხოლოდ საქართველოში ტახტს ვერ დაიდგამს! საქართველოს მარიამ ღვთისმშობელი დაიფარავს, მისი წილხვედრია. აქ ნაკლები დევნა იქნება, ოღონდ ცალ-ცალკე ნუ იქნებით, ათი ან მეტი იყავით ერთად, ერთმანეთს უნდა შეეშველოთ დევნის დროს, ნუ შეგეშინდებათ, როდესაც გაგიჭირდებათ, მოვალ და მოგეშველებით, ოღონდ თქვენ ვერ დამინახავთ!..

საქართველო უნდა გაბრწყინდეს,მაგრამ დიდი ტანჯვა უნდა გამოიაროს.როცა იტყვიან - "აი,მორჩა!" - მაშინ განათდება და გაბრწყინდება!

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და რაც საქართველოში ხდება, ეს განსაცდელი ჩვენს სასიკეთოდაა. არ მიატოვოთ საქართველო, არ განარისხოთ ღვთისმშობელი. ადამიანი სადაც დაიბადება, იქ გადმოდის მასზე კურთხევა...

უფალს სამყაროში ყველაზე მადლიანი ადგილი სასუფეველი აქვს, ხოლო აქ - დედამიწაზე - მადლის მიხედვით, იერუსალიმის შემდეგ, ყველაზე წმინდა ადგილი სვეტიცხოველია, მას შემდეგ სამთავროს მონასტერი!..

წმინდანთა ჯაჭვი საქართველოში უწყვეტია. ქართულ ეკლესიას სულიწმიდის მადლი არასოდეს მოკლებია და არც მოაკლდება! საქართველო აღდგება ისე, როგორც ლაზარე. სკიპტრა სკიპტრაა და სანამ საქართველოს გვირგვინოსანი მეფე არ ეყოლება, არაფერი გამოვა. საქართველოს მეფე უნდა ჰყავდეს გვირგვინოსანი ბაგრატიონი. ის რა ერია, რომელსაც მეფე არ ჰყავს!..

ივერიის ღვთისმშობლის ხატი რომ დააპირებს ათონის მთის დატოვებას, ზარების რეკვა ატყდება, ეკლესიები ხილული სახით მოიხრებიან გაცილების მიზნით. ყველაფერი იქნება ტელევიზიით. ეს არის ღვთის წყალობა, რათა მსოფლიომ ნახოს და გადასარჩენი სულები აქ ჩამოვიდნენ, საქართველოში. უამრავი მორწმუნე მოიყრის თავს საქართველოში. ქვეყნის დასაბამიდან ასეთი განსაცდელი არ ყოფილა დედამიწაზე. ეს არის ბოლო!..

სიკეთე ჰქმენით, რომ თქვენმა სიკეთემ გადაგარჩინოთ. ნახევარი ჯოჯოხეთი უკვე დედამიწაზეა, ანტიქრისტე კარებთან დგას და კი არ აკაკუნებს, შემოგლეჯას ლამობს...

მორწმუნე ღმერთის იმედად იქნება. ბოლო ჟამს კი უფალი ისეთ სასწაულს გაუკეთებს თავის ხალხს, ერთი ფოთოლი ერთ თვეს ეყოფათ საკვებად. მიწაც ხომ არ დაილია, გარდასახავ ჯვარს მას და პურად გექნებათ...

ყველა ვერ გადარჩება, ვერც მე შევიწყალებ, ვერც უფალი, შენი თავი თვითონ თუ არ შეიწყალე. ვინც სულს გადაირჩენს და სხვასაც შეეწევა სიტყვით და საქმით, ის ქრისტეს მცნების შემსრულებელია!..

ბოლო ჟამს ადამიანებს სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს. სიკეთე სამოთხის კარს გაგიღებს, სიმდაბლე შიგ შეგიყვანს და სიყვარული ღმერთს განახვებს...

ბოლო ჟამს საქართველო გაბრწყინდება. სწორედ ეს გაბრწყინება იქნება რელიგიური აღმავლობა და არა დოლარების ფრიალი, ზოგს რომ ჰგონია!

გიყვარდეთ ერთმანეთი, საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ბოლო ჟამია, უფალი მოგთხოვთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს, ვინც შეინარჩუნებს, ის გადარჩება...

ილოცეთ ყველასთვის, ამას გიტოვებთ ანდერძად. ილოცეთ, ლოცვა მთებს დაძრავს!"

თარგმანები

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

AUS SAMEBAS GLOCKENTURM

Fortsetzung

Luara Sordia holte georgische Klassiker, in einem Wort ausgesagt, aus dem Hochgebirge und sagte ein bemerkenswertes Wort über eine nicht klassische, aber sehr interessante Kreation. Schöpferin. Frau Gulnasi sieht wie ein Abzeichen aus, das in den echten goldenen Ring der georgischen Inteligenz eingesetzt wurde. Wie man sagt, sollte sie vieles überstehen, nur der Mühlstein hat um sich selbst nicht gedreht. Sie hat in dieser verdrehten Welt viele Schwierigkeiten erlebt: wie: der frühere Tod ihres Sohnes, ihrer Brüder und das Versterben des Mannes.Trozdem war sie weder körperlich noch psychisch nicht kaputt geworden, Mit unerschöpflicher/ unbändiger Energie dreht sie das Rad des Schicksals in die entgegengesetzte Richtung. Sie beteiligt sich aktiv am öffentlichen Leben, arbeitet wie eine Biene, wie eine Kerze, glüht und strahlt.

Frau Kharaischwili Gulnasi ist eine perfekte, exellente Dicherin, Prosaikerin und gesellschaftliche Funktionärin, Begründerin und Redakteurin der literarischen und wissenschaftlichen, einer vierteljärlich erscheinenden Zeitschrift “Athinathi”derselber Akademie, Verfasserin und Herausgeberin einer in mehreren Bänden erschienen Anthologie, Mitglied vieler weltlichen Akademien. Sie hat verdientenmaβen Auszeichnungen erhalten, darunter auch den Galaktion-Prämie . Darüber hinaus ist das Wichtigste, daβ sie eine Person ist, die sich durch ihre Tugenden auszeichnet, eine edle, freundliche, gutherzige, rücksichtvolle, aufmerksame und moralische Dame. Besonders liegt ihr die Generation der jungen Schöpfer am Herzem.In jeder Ausgabe druckt sie Gedichte, Geschichten, Miniaturen, Skizzen, Interviews berühmter Pesönlichkeiten. Kurz gesagt, sie prsäentiert dem breiten Publikum von “Athinathi” –Lesern intenssiv und aktiv den unschuldigen Geist und die Gesichter beginnender Schöpfer.. Sie ist auβerdem eine Organisationstalent.Wer kann schon zählen, wie viele kulturelle Veranstaltungen unter der Leitung von Gulnazi duchgeführt wurden. Es sind : Buchpräsentationen , Jubiläums- und Literaturabende, wissensxchaftliche Tagungen und andere.

Vielfälltig ist der Themenkreiz, den Luara Sordia in ihrem Buch diskutiert und analysiert hat. Eine Liste der Titel der Aufsätze. genügte es , um dies zu bestätigen.: “ Erlösung durch Gnade und Glauben”, Meine Seele ist bereits in den Himmel geschnitten”, “ Hört zu , ihr werdet die Seele singen hören, “Einige Probleme der Mimik””Ich werde das Meer berühren, ich muss schwimmen”, Apokalyptische Bestier”, “ Ich male mit einer Träne ein Kreuz auf. meine Wange, “Vermeiden Sie den Schneesturm, ich werde dem Dornenpfad wieder folgen und ihn erkuden. “Mögen die Feinde des Mutterlandes dich wie einen Liebhaber behandeln, “Was soll das Leben heiβen?” Irgendwie verstand ich die

Vergangenheit, das Leben des Jenseist durch Nachdenken", "Babysitter des Dichterseele", "Einige Aspekte kreativer Originalität."

Gleich zu Beginn der Diskussion über Gulnasis Gedichte weist Luara auf die Errettung vor dem apokalyptischen Gericht hin, die Gartenarbeit Christi, das Kommen in die Welt, um den Garten des Herrn auszubauen. In Gulnasis Liedtext ist die Eingangstür klar geschrieben:"Landsitz, Sprache, Glaube". Der Forscher bemerkt zu Recht:" aus den Büchern von Gulnasi lernen sie den georgischen Geist, die georgische Moral, die hohen moralischen Bräuche und Traditionen und die Welt aus dem Herzen kennen, d.h. der Makrokosmos und durch dem Mikrokosmos gesehen werden.

Laut Luara Sordias Beobachtung erscheint als Belohnung für die spirituelle Reinheit. und Freundlichkeit von Gulnasi groβe Barmherzigkeit- in Form einer Brise des Heiligen Geistes. Ich ermutigte diejenigen , die im Herzen verwundet waren., mit warmen Worten . Auch jetzt folge ich der Brise der Gedichte, dem Heiligen Geist, denn meine Seele ist rein und sanft, die voller Vorfreude ist. Deshalb werden das Leben und Werk des Dichters von der Gnade Gottes erleuchtet, der Gnade der Hoffnung, Schneeflocken der Hoffnung fallen.

Gulnasi hat die Mahnung des Apostels Paulus gelernt: Gnade und Glaube sind die Vorraussetzungen für das Heil. Der Forscher untersucht den Ausspruch von Nestor Kubaneischvili:" Der höchste Wert , das letzte Ziel und der Sinn des menschlichen Lebens für einen Christen ist es, sich Gott zu nähern, die Annährung an Gott, was in der Sprache der Religion als Gnade genannt wird. Aus der Sicht des ewigen Wertes, der vollkommennen Gnade , das ist nur Gott und das einzige wirkliche Übel ist die Sünde, die Trennung von Gott.

Das Predigen der Errettung durch Gnade und Glauben ist also ein theologischer Meilenstein in unseren unglücklichen Zeiten und der Übergang seiner Gnade in Gulnasis Gedichte erhebt und offenbart ihre Seele, ihre Gedichte weiter. An die Seele, die durch die Kraft der himmlischen Gnade der Hoffnung in den Himmel flieght: "Meine Seele ist bereits in den Himmel geschnitten", "Ich werde die Leiter dem Wolkenkratzer mit einem Gedicht widmen", Ich werde den blauen Rand des Himmels wie eine Rose auf deiner Seele ausbreiten", "Der Dichter betrachtet den mentalen Himmel mit erhobenem Geist, den Wohnsitz der Götter , die psychische Sonne und die Sterne , den Mond.

Oben haben wir über die Errettung durch Gnade und Glauben gesprochen. Gulnasis Texte konzentrieren sich darauf,die Liebe zu retten. Die himmlische Liebe ruft den Dichter dazu , den Menschen und dem Guten zu dienen.

In den Büchern von Gulnasi richtet Luara Sordia unsere Aufmerksamkeit auf das Thema des Vliees des Graals, das von groβer Bedeutung für das vollständige Verständnis der Gröβe des georgischen Geistes, unserer Geschichte, Kultur, Mytologie und nationalen Erscheinung ist. Hier sprechen wir über die Gesangs-und Gebetssprache des Dichters-die georgische Sprache als rettendes Phänomen unserer Nation. "Die Muttersprache, du bist der Retter der Nation. Ich sege dich mit Schwerten und Worten, wir rezitieren Gedichte, wenn wir auf Georgisch singen, ist es ein Gesang, der als dein Gebet gesprochen wird.

Luara Sordia schreibt: " Das wahre Wort wird aus der Perspektive des Höchsten gemessen, es ist in erster Linie religiös, der Diener der Wahrheit". Der gottbekleidete Dichter entzündet die Kerze der Hoffnung, nennt den Erreignissen fuchtlos adäquate Namen,"Für den Dicher ist das Gedicht manchmal ein reines Gold, manchmal die Sonne und manchmal der Mond. Es wird wie Trauben in die Seele gegossen. Das Gedicht ist der Besitzer des Dichters, Sohn, Meister des Herzens,Schöpfung der Liebe..Einige Fragen

der Mimik,. des Gesichtsausdrucks werden auch in Fragmenten vom Autor von “Madlschemosili” angesprochen, insbesondere Gulnasis Verbindung mit den höchsten Kräften, die durch rätselhafte Gesichter zum Ausdruck kommt.” Die Sonne erleuchtete mein sehensüchtiges Herz, “ Die Sonne kam aus den Wolcken hervor und umgab mich mit einem Kelch der Güte, “Die Sonne wärmt den Bereich der Seele. Im Gesichtausdruck des Dichters wird zusammen mit der Sonne die Kraft des Mondes, des Regenbogens, des göttlichen Lichts vorgestellt. Anschauliche Beispiele werden in diese Richtung mobilisiert:” Nachtgedanken bringen mich zum Mond, Gott ist mit einem Regenbogen bekleidet”, “Die Sonnenstrahlen werden von der Decke des Himmels gepflückt,””Die Hände der Sonnenstrahlen, “ Die Armen der Sonne” usw. Auch die Titel der Bücher sind von Bedeutung,: “ Sonnenschein”, “In den Armen der Sonne’, “in der Seele.”

Frau Gulnasis Poesie wird interessant präsentiert. die Gedichte werden durch die Symbolik des Meeres dargestellt, inspiriert von der klassischen Fiktion der Bibel, Theologie, der Laura Sordia gebührende Aufmerksamkeit schenken wird .Die Welle des blauen Meeres lehrte mich tanzen,, Ich werde das Meer berühren, ich muss schwimmen. Die Schönheit des Āquators des Meeres fiel mir ins Auge, erregte meine Aufmerksamkeit und der Āquator warst du und berührte dein Herz. Der Meeresboden, Slamm, Abschaum ist auch ein Nest von Blutegeln, Sündern, Teufeln und Wasserkoboder

Die Traurigkeit von Gulnazis Texten und die Bitterkeit von Gealle ist vor allem dem untröstlichen Zustand des Mutterlandes geschuldet, dem in Luaras Buch besondere Aufmerksamkeit geschenkt wird.’” Am Kreuz der Grfühle gekreuzigt sein” “Die Seele der Königin der Traurigkeit wird im Kessel der Traurigkeit gekocht.” Der Forscher hat schmerzhafte Passagen aus den Büchern des Dichters extrahiert: “Es ist der Kopf des Schmerzens”, Die Göttinnen der Trauer werden heimgesucht, “Die Stämme des Schmerzens Ziehen, Hält die Schmerzringe. Das Freudefeuer der Trauer ist unverbrannt, Der Rabe der Trauer wird picken, ein Pferd der Trauer, ein Raum der Trauer, der Geist, der Gespenst der Trauer, das Herz ist eine Halle voller Kummer usw. Trauer ist die Mutter der Tränen, die ein beeindrückendes Gesicht hervorbrachte, “ Mit Tränen malte er sich ein Kreuz auf die Wange. “Tränen sind auch ein Mittel der spirituellen Katharsis, so versteht es Gulnazi und sollten wir uns in ihren Gedichten daran erinnern. Wie Luara Sordia zu Recht feststellt, steht der Dichter nicht über Schmerz und Tränen, noch ist er ein Sklave von ihnen. Von den Höher des Schmerzens verfolgt, kämpft sie darum, ihn zu überwinden, denn sie ist eine mächtige Schöpferin im Geiste/

პროზა

რევაზ მიშველაძე

ფამეგა

რომანი

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
ჟურნალ „ათინათის“ №28, 29, 30, 31, 32, 33-ში)

***

მიიპარებოდა მზე მამადავითის თხემზე. მაღალ შენობებს შორის შიგა და შიგ ჩაჰკრავდა თვალს რუსთაველის პროსპექტს და, თითქოს არ უნდა უფრო მეტად გაანათოს აქაურობაო, მაღლა აწევას არ აპირებდა. მზეც კი, ყველასთვის კეთილმოწყალე მზეც, ჩვეულებრივ არ ედღეხალისებოდა ამ გაუბედურებულ ქვეყანას.

აპრილის ბოლო კვირა იდგა.

შორს, მახათას მთაზე, უშეშო ზამთარსგადარჩენილი, თეთრად აფეთქებული ხეები ჩანდნენ. აპრილს თავისი გაეტანა.

ათი სრულდებოდა. აფხაზეთიდან დევნილი კოკი გერსამია პარლამენტის შენობას რომ მოადგა და „საშვთა ბიუროს“ წინ აზრიალებულ ხალხს შეერია.

კოკი აქ ყოველდღე მოდიოდა. სასტუმროსთან დგომა არ უყვარდა. კარებში შესვლისას ტელეეკრანიდან ნაცნობ სახეებს რომ მოჰკრავდა თვალს. ზოგს ამოჩემებული შეკითხვის ქამანდს ესროდა – თუ დაგვადგება საშველი, პატივცემულო, ჩვენ, აფხაზეთიდან გამოყრილ ხალხსო, ზოგს დალის ხეობის ბრძოლებზე ცოცხალ ამბავს დასტყუებდა. შორიახლოს მდგომი, ჰალსტუხიანი, სამსახურის წარმომადგენლის გასაგონად ერთორ გულისმოსაფხან, არც თუ სიყვარულით აღსავსე სიტყვას აღავლენდა ხელისუფლების მისამართით. ერთი სიტყვით, სასტუმროსთან ჭორების ოკეანეში ფართხალს და კბენია მზისათვის კეფის მიშვერას აქ დგომა ერჩია. ეგონა, მთავარ საქმესთან აქ უფრო ახლოს იყო.

რაც შეეხება საიდუმლო სამსახურის აგენტებს, ელეგანტური ჩაცმულობით და სერიოზული სახეებით სხვათაგან ადვილად რომ გამოარჩევდით, ისინი, წინა ხუთწლედების მათი კოლეგებისაგან განსხვავებით, მთავრობის გმობაზე და პოლიტიკურ ანეკდოტებზე არ რეაგირებდნენ. მათი მთავარი საქმე, როგორც

კოკიმ დაასკვნა, მასივებიდან მოვარდნილი, უწყლობაუსინათლობით გამწარებული მოქალაქეების და მუშტტუჩმოკუმული, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გაუვნებელყოფა გახლდათ.

გაზონებს გარდიგარდმო გაჭრილგატყაპნილი ბილიკები აჩნდა.

ქუჩაზე ლურჯად მბოლავი, ხმამხშობმოშლილი („ხმამხშობი – „გლუშიტელი“, მიგნება ჩემია რ. მ.), აღრიალებული მანქანების გასწვრივ ნაბიჯდამძიმებული მეძავები, ლოყებჩავარდნილი ჩინოვნიკები, გაბრაზებული ჟურნალისტები და მოქალაქეთა კავშირის წევრები მიირწეოდნენ. ეს უკანასკნელნი პარლამენტის შენობის წინ ჩავლისას წელში შესაძლებლობისამებრ სწორდებოდნენ, თითქოს რაღაც გაახსენდათო, კარებში მდგომ თავაზიან, ავტომატიან ბიჭებს მიეახლებოდნენ და ჰკითხავდნენ: ხომ სიწყნარეა, ხომ არაფერში ვართ საჭირო? კარისმცველთაგან დამამშვიდებელ პასუხს რომ მიიღებდნენ, უკანსვლით მოშორდებოდნენ პარმაღს და შთაგონებული სახეებით მიიჩქაროდნენ, მათი ფიქრით, ქვეყნისათვის სასიცოცხლო საქმეებზე.

ფოსტატელეგრაფის წინ, კიბეზე მხატვრებს თავიანთი ნამუშევრები გამოეფინათ და მუშტარს ელოდნენ. კოკი ვერ იტყოდა, რომ ფერწერას მყიდველი ბუზივით ეხვია. რაც აქ იდგა, მხოლოდ ორიოდე ნახატის გაყიდვას შეესწრო, მაგრამ აფხაზეთიდან დევნილს დიდი მოწიწება ჰქონდა ლოდინით გათანგული, წვერმოშვებული ბიჭებისადმი. უხაროდა, რომ ამ მატყუარა, ჭრელ ქალაქში სასწაულებრივად კიდევ შემორჩენილიყო რამდენიმე კაცი დილით ადრე რომ დგებოდა, ჩარჩოზე ტილოს გადაჭიმავდა, ფუნჯს მოიმარჯვებდა და ისეთ ნაკლებსარფიან საქმეს შეუდგებოდა, როგორიც მხატვრობაა.

ხმამაღალი სიცილი მოესმა და ისე უცხო ხილი იყო ამ მჭმუნვარე ადგილას სიცილი, რომ კოკიმ უნებურად მიიხედა. ლომისთავიან მოაჯირთან ირიბთვალება, წითელტუჩა ლამაზი ქალი გრძელცხვირა, მოხარხარე, მაგრამ ჰალსტუხიან მამაკაცს მწყრალად ასცქეროდა.

– რა გაცინებს? მე არ გეხუმრები.

– რა გინდა ოპოზიციაში. შენ ხომ არ გაგიჟდი. – სიცილი მოგუდა ყვავისცხვირამ.

– გადავალ ოპოზიციაში და დავისვენებ ცოტას.

– კი აბა, დაგასვენებენ.

– ჯერ ერთი, ჩვენსავით ყოველდღე თათბირი მაინც არ ექნებათ. მეორეც, ამდენი სანერვიულო არ მექნება. დენი გამოირთვება და პური არ გამოცხვება, ჩვენ ვართ დამნაშავე. მომკლა ნერვიულობამ, ჩამოვხმი ქალი (კოკიმ თვალი შეავლო. გადაღლილს და, ოდნავ სევდიანს იქნება ჰო, მაგრამ ჩამომხმარს ნამდვილად არ ჰგავდა). რომ დავუკვირდი, ოპოზიციონერობაზე ადვილი არაფერია. „არ მომწონს“ მორჩა და გათავდა. ოპოზიცია პასუხს არაფერზე აგებს. გადავალ და დავისვენებ ცოტას.

– ნუ სულელობ, ხომ იცი, მერე უკან ვეღარ გადმოხვალ.

– ვიქნები. რა, უმცირესობაში ხალხი არ არის?

– არავინ იცის, ხვალ რა მოხდება. თუ მეტი არ შეგეძლო, რად გინდოდა დეპუტატობა, ვერ დაეტიე სახლში?

– მინდოდა? შენ ამტეხე და ახლა ნიშანს მიგებ? არ გეხვეწებოდი, დამანებე თავი, რა ქალის საქმეა პარლამენტიმეთქი?!

– ნუ ყვირი. ხომ ხედავ იმ კაცს, ლოკატორივითა აქვს ყური მოშვერილი!

კოკიმ, ალბათ ჩემზე უთხრაო, და იქაურობას გაეცალა.

ფოსტის წინ ხალხი შეჩოჩქოლდა; კოკიც, რასაკვირველია, იქეთ წავიდა. შუახანსგადაცილებული, თაგვისფერშლაპიანი, თეთრულვაშა მამაკაცი ფეხსაცმლის საწმენდ დაზგას მართავდა. ზურგჩანთიდან ბოლოს დასაკეცი სკამი და მუყაოს ქაღალდზე გოგებაშვილის ასოებით გამოყვანილი წარწერა ამოიღო: „კუპონს არ ვიღებ“. ცნობისმოყვარენი მდუმარედ შესცქეროდნენ ფეხსაცმლის მწმენდავის ყოველ მოძრაობას.

მალე რადიოჟურნალისტი, მოკლეკაბიანი, ცისფერთვალა, შავბერეტიანი გოგონა გამოჩნდა.

– ბატონო ბაგრატ.

– ბატონო.

– თვალი ხომ არ მატყუებს?

– არა, ბატონო, არა.

– ხომ ბატონი ბაგრატი ბრძანდებით?

– კი, ბატონო, კი.

– რას მივაწეროთ თქვენი, ცნობილი ფილოლოგის, პროფესორ ბაგრატ ქვემოკლიძის ახალ ამპლუაში გამოჩენა?

– შიმშილს, ჩემო კარგო, შიმშილს.

– ფეხსაცმლის წმენდა სარფიანი საქმეა?

– ყოველ შემთხვევაში, ალბათ, კათედრის გამგეობაზე უფრო სარფიანი.

– იცით, ფეხსაცმლის წმენდვა?

– რა ცოდნა უნდა.

– ბატონო ბაგრატ. გაქვთ სათანადო პატენტი?

– რა პატენტი?

– თუ, რა ჰქვია იმას... ერთი სიტყვით საბუთი, რომ მოქალაქეებს მოემსახუროთ.

– არა.

– თუ არ გეწყინებათ, სხვა კუთხით დაგისვამთ შეკითხვას; რაღა ამ ადგილზე, პარლამენტის წინ გადაწყვიტეთ მუშაობა.

– აქ, შედარებით ბევრი ხალხი ირევა.

– მხოლოდ ეგ არის მიზეზი? ხომ არ იგულისხმებოდა თქვენს ამ ნაბიჯში ცოტა ავანტიურის ნამცეცი?

– კერძოდ?

– რომ უსათუოდ მოვიდოდა ჟურნალისტი და ქვეყანა გაიგებდა, რომ ბატონი ბაგრატი პროფესორფილოლოგობიდან ფეხსაცმლის მწმენდავობაზე გადაკვალიფიცირდა.

პროფესორს ხმა აუთრთოლდა და ხელი აუკანკალდა.

– რას გეტყვი, შვილო, იცი?.. ყველაფერში პროტესტის ფორმას ნუ ეძებთ. მე დავიღალე... ჩხუბის გუნებაზე რომ ვიყო, ქვას ავიღებდი და ვრეკავდი იმ ფართო ფანჯრებს. მე აღარაფრის თავი აღარა მაქვს. მე უკვე საბოლოოდ დამაჩოქეს. მშია ბატონო, მშია. ხომ შეიძლება რომ მშიოდეს. რაო, შიმშილის უფლებაც აღარა მაქვს?!

ეს ბოლო სიტყვები ბაგრატმა ისე ხმამაღლა და აგზნებულად წარმოსთქვა, რომ რადიოჟურნალისტი დაფრთხა, მიკროფონი თავზეხელისდაჭერით თავის ბუდეში შეაცურა, მაგნიტოფონი გამორთო და ისე გაეცალა მეფეხსაცმელეს, მადლობაც არ უთქვამს.

სამხრობისკენ მთხოვნელთა რიგი შეთხელდა. ვინც შესაშვები იყო, შეუშვეს, ვისაც შესვლა არ ეკუთვნოდა, რასაკვირველია, უარით გამოისტუმრეს. ნაუარევნი ერთხანს ბოლთას სცემდნენ საპარადო შესასვლელთან, მერე, იმედი რომ საბოლოოდ გადაეწურათ, წავიდწამოვიდნენ და თავიანთ რთულ საქმეებს დაუბრუნდნენ.

– რავაა კოკი საქმე?

სოხუმელ ექიმს ვაჟა ჯანაშიას აფსუებმა სიდედრი დაუხვრიტეს. ჯერ თვითონ არ იცის ეს ამბავი. სხვათა შორის, სიდედრი აფსუა ჰყავდა ვაჟას. მე ხელს არ მახლებენ, სახლკარს მაინც მივხედავო, უფიქრია საწყალს და დარჩენილა. არძინბას რაინდები სოხუმში რომ შემოვიდნენ, ქართველის სიდედრი რატომ ხარო, უკითხავთ. კითხვით კი უკითხავთ, მაგრამ პასუხი არ დაუცლიათ (ან რა უნდა ეპასუხნა) მოხუცი ქალისთვის, ეზოში გამოუყვანიათ და ცარიელ საქათმესთან დაუხვრეტიათ.

– ღმერთის მეტმა არავინ იცის – მიუგო კოკიმ და მხარიღლივ გაიხედა, – იყავი გუშინ?

– კი.

– რაო?

– არაფერი. რას იტყოდნენ. იმაზე ჰქონდათ კამათი, ჩვენ ლტოლვილი დაგვარქვან თუ დევნილი.

– მე მგონია, ვინც ადრე გაიგო ეს ამბავი და ნელა წამოვიდა – ლტოლვილია, ვინც გამორბოდა და მოსდევდნენ – დევნილი.

ვაჟას გაეცინა.

– შენ წარმოიდგინე, ჰქონია მაგასაც მნიშვნელობა, ჩვენი დაბრუნებისათვის.

– მნიშვნელობა კი არა, ეგაა მთავარი, – მიაყარა კოკიმ – ეგ თუ დადგინდა, გვეშველება მაშინვე. არ უნდა ლაპარაკი. კიდევ რა თქვეს?

– რასაც ყოველდღე ამბობენ. ფული შეაგროვეთო.

– საიდან მოიტანეთ ფულიო, არ უთქვამთ? ჯერ რაც შეგროვდა, სად წაიღეს. რაში დახარჯეს.

– გვეტყვიან, ალბათ.

– კი. კაპიკკაპიკ გიანგარიშებენ.

კიბეზე ასკინკილით ამორბოდა ახალდამტკიცებული, სათვალიანი თავგადახოტრილი მინისტრი. მინისტრს კენგურუს ნახტომებით მოსდევდა გალიფეშარვლიანი იმერულქუდა, ულვაშცოცხა ყოჩაღი მოხუცი.

– გესმის შენე? ჩაართვევიე დღესვე დენი, არ მომატყუო იმდღევანდელივით. ჩაართვევიე დენი და გამოაშვებიე გაზი!

– მინაგო ბიძია, – იღიმებოდა და სათვალის შიგნით ოფლიან ქუთუთოებს იმშრალებდა მინისტრი, – ლტოლვილი იმას ჰქვია, რომ უნდა გაუძლოს, უნდა მეითმინოს პატარა.

– მიდი, მიდი, ნამეტანი ბევრი ვითმინეთ ჩვენ. მთელი ზამთარი ბადიში არ ჩამიბანია და ცხელი ჩაი არ დამილევია. დავბეჩავდი კაცი.

– მინაგო ბიძია. ე თავისუფლება და დამოუკიდებლობა რომ გინდათ, მეტს ვერ უნდა გაუძლოთ?! – იხტიბარს არ იტეხდა მინისტრი.

– შედი, კაცო შედი. არაფერი დამოუკიდებლობის მომტანი თქვენ არ ხართ. დენი ჩაართვევიე და გაზი გამოაშვებიე. ნუ ატყუებთ ხალხს, თვარა თავის გატეხვა არ აგცდებათ. ასე მითქვამს მე და ა, აღდგომა და ხვალეო.

– ვალი გვაქვს, ბატონო, ვალი.

– ვისი?

– რუსეთის და აღარ გვაძლევს დენს. ე დამოუკიდებლობა რო გინდათ, ვერ უნდა მოითმინოთ?

– რისი ვალი, იმანო, მე შენ სულელი ხომ არ გგონივარ! ვინ გვიანგარიშა. ვინ დაგვადო ვალი, რავა ყველაფერზე უწერთ ხელს, თქვე უბედურებო. წაღმართიანი მოანგარიშე იქეთ დაადებდა ვალს. რავა ე ჩვენი ღვინოჩაიმარგანეცი არაფერი არ ღირდა? შედი და გამოაშვებიე, რაც გითხარი. ნამეტანს ნუ იზამთ, მამაჩემსა აქვს ცხონება.

– რა ვქნა მე... მე პატარა კაცი ვარ... მე გადავკეტე? ე დამოუკიდებლობა და თავისუფლება რო გინდათ... – ბუზღუნებდა მინისტრი და კართან ჭადრაკის ფიგურებივით გაწყობილ მთხოვნელებში გზას მიიკვლევდა.

ვაჟა ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად წავიდა. დახმარება ბევრი არაფერი იყო, მაგრამ იმედის ნაპერწკალს აღვივებდა ლტოლვილთა გულში. ჰუმანიტარული დახმარება იმას ნიშნავდა, რომ დედამიწაზე ვიღაცას ჯერ კიდევ ახსოვდა თავის ბუდიდან უდანაშაულოდ აყრილნი.

შაოსანმა ქალმა მისი გამოჩენისთანავე გაჩენილი ცოცხალი დერეფანი გამოიარა და საშვთა ბიუროს მიადგა.

კოკი შორიახლო გაჩერდა. აინტერესებდა, რა საქმეზე იყო მოსული მგლოვიარე დიაცი.

კარგა ხანს, ხან ერთ სარკმელს შესჩურჩულებდა შაოსანი და ხან მეორეს. ბოლოს მის უბედურებაში სრულიად უდანაშაულო მცველებს მიადგა და დაიქუხა მოთმინებადაკარგული, ილაჯგაწყვეტილი მდედრის ქუხილით.

– რას ჰქვია მოვითმინო?! შვილი დავკარგე, ქათამი კი არ დამიკარგავს! ექვსი თვე სრულდება ზეგ! არ უნდა მომცენ რამე პასუხი?! სად წაიყვანეს, რატომ წაიყვანეს, რა დაემართა, არ უნდა მითხრან? იმ ომის დროს ცნობას მაინც უგზავნიდნენ, თურმე, დედებს – დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგაო! სიმწრით გაზრდილი შვილი ჩაგაბარეთ და იმის ღირსიც არ ვარ, ამბავი მაინც გამაგებინოთ?!

დევნილს მეტის გაძლება აღარ შეეძლო. ჩქარი ნაბიჯით მოშორდა იმ ადგილს და სასტუმროსკენ წამოვიდა. ყურში ზარივით რეკავდა უბედური დედის ხმა.

– რომელი? – ჰკითხა ლიფტში დამგზავრებულმა უწვერო ბიჭმა.

– ბოლო!

ანგარიშმიუცემლად მიუგო.

კიბის მოაჯირზე გადახოხდა და სახურავზე აღმოჩნდა.

იდგა და ჭიანჭველებივით მორიალე ქალაქს დაჰყურებდა.

შუბლი უხურდა. ორი ნაბიჯიღა რჩებოდა, რომ ყველაფერი

დამთავრებულიყო. ბოლო მოღებოდა იმას, რასაც გამწარებ

ული სიცხადე ერქვა და გაურკვევლობის ბურუსს შერთვოდა. ორი ნაბიჯიც გადადგა. გულმა ბრაგაბრუგი ასტეხა. თითქოსდა სხეულის ყველა ნაწილმა ახლა შეახსენა თავი.

ყველაფერი დაიძაგრა და ფეთქვაშუილი დაიწყო. თვალი დახუჭა. „არა... ასე არ ხდება... ჯერ კიდევ არ ვიცი ბოლო ჩემი

უთავბოლო ორომტრიალის... დღეიდან ხომ მაინც მეცოდინება, რომ სიკვდილი ძალიან ადვილი ყოფილა. სიკვდილი ხომ უკვე უბეში მყავს – დამარცხებული და მოთვინიერებული. აქ ამოსვლას ყოველთვის მოვასწრებ...“

***

ესიზმრა კოკის.

შორს, სადღაც, მტრის ხელში ჩარჩენილ აფხა-

ზეთში მისი დამწვარი ოდის ბუხარზე მამალი ყიოდა. დიდი, ოქროსფერი, მეწამულდეზებიანი მამალი იყო. მორიგეობით, ოთხივკუთხისკენ შეტრიალებით, ყელის გაგლეჯამდე ყიოდა მამალი. თითქოსდა მთელ დედამიწას ამ შებილწულ კერასთან და გამჭვარტლულ ბუხართან უხმობდა.

ბატონო სტუდენტებო

2008 წელს, აქაოდა, მე ვარ და ჩემი ნაბადი, მსოფლიოში ჩემი შემჩერებელი ძალა არ არსებობსო, რუსი მესამეჯერ დაგვესხა თავს.

როკის გვირაბიდან 200 ტანკი შემოიყვანა, დაბომბა მშვიდობიანი მოსახლეობა და ლამის თბილისამდე მოვიდა.

ეს ომი თქვენ კარგად გემახსოვრებათ.

რუსის ტანკები რომ დაინახეს, აქ შეიძლება კაცი მოკვდესო და ჩვენმა „მამაცმა გენერლებმა“ მტერს ზურგი უჩვენეს.

ორ დღეში დამთავრდა ომი.

რის დაუმორჩილებლობა, რომელი პარტიზანული მოძრაობა.

თითები მიცივდება, როცა ამას მოგახსენებთ.

დღეს ორ მოთხრობას წაგიკითხავთ.

პირველი მოთხრობით მწარე სიმართლეს დაგიხატავთ, მეორეთი წინაპართა გმირულ სულს გიჩვენებთ, იქნებ ცოტა მაინც შეგაღვიძოთ.

***

ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარესთან ოცდახუთიოდე წლის, კეფათხემზე თმაშეთხელებული, შავწვეროსანი, გრძელხელება ბიჭი შევიდა. შარვლად ჯინსი, წელზევით წვრილად ნაქსოვი, თაგვისფერი სვიტერი და შოკოლადისფერი ტყავის ჟილეტი ეცვა.

– კარანაძე ვარ მე.

– გისმენ, რამ შეგაწუხა?

ფენჯგირესფერულვაშიან თავმჯდომარეს ქაღალდებიდან თავი არ აუწევია.

– გუშინ რომ დადგენილება მიიღეთ პენსიების დანიშვნაზე, იმ საქმეზე გეახელით.

– რა გვარი ხარ?

– კარანაძე.

თავმჯდომარემ ფაილიდან სამი ფურცელი ამოაცოცა და კითხვას შეუდგა.

ერთხელ რომ ჩაამთავრა, მეორეჯერ ჩამოყვა. მერე სათვალე მოიხსნა, სათვალის ცალი ბოლო ტუჩზე მიიდო და კარანაძეს ახედა.

– რომ არ ხარ სიაში?

– ვიცი, არა ვარ.

– იმ ორმოცდაათიდან ხარ?

– კი.

– მერე?

– მე განცხადება არ დამიწერია.

– რატომ? ახლა რაღა დროსია, სად გეძინა, შე კაი კაცო. მეც არა ვთქვი, იქ ორმოცდაათი იყავით, აქ ორმოცდაცხრა კაცის გვარია.

– თუ დრო გაქვთ, ერთი თხუთმეტი წუთი მაინც, მოგიყვებით ყველაფერს, რა, როგორ იყო და მიხვდები, რატომ არ დავწერე განცხადება.

თავმჯდომარემ გამჭოლი მზერა ჰკიდა სტუმარს. ის მიჩვეული იყო მხოლოდ ერთი ტიპის მთხოვნელთა ღაღადს; მე, ამა და ამ დამსახურების კაცს, პენსია რატომ არ დამინიშნეთო, ამიტომაც მოეჩვენა ორიგინალურად კარანაძის ვიზიტი. სტუმარს სავარძელზე მიუთითა და სმენად იქცა.

– ეს ამბავი, მოგეხსენებათ, 2008 წლის ომამდე ორი თვით ადრე მოხდა, 4 ივნისს. სამი დღის ჩაყვანილები ვიყავით პოლიციის სკოლის კურსანტები სამაჩაბლოში. სკოლის შენობაში ვიყავით დაბანაკებულები. ფიზკულტურის დიდ დარბაზში ლეჟანკები (შეზლონგს რომ ეძახიან) გვედგა და ორმოცდაათივეს ერთად გვეძინა. რას ვაკეთებდით და გზას ვაკონტროლებდით. ათათად ვიყავით დაყოფილები და ცხინვალში შემავალ გზებს ვაკონტროლებდით, როგორც სამანქანო გზებს, ისე სოფლებიდან შემავალ ბილიკებს. ჩვენი ამოცანა იყო – აქედან იარაღი ცხინვალში არავის შეეტანა და შესაბამისად, ცხინვალიდანაც იარაღი არავის გამოეტანა. სხვა რამე ჩვენ არ გვაინტერესებდა, განურჩევლად ყველას ვჩხრეკდით – შემსვლელსაც და გამომსვლელსაც. ღამით ჩვენს ადგილს ჯარისკაცები იკავებდნენ – სამშვიდობო შენაერთებს რომ ეძახდნენ თავის თავს (ძირითადად რუსები იყვნენ) და ჩვენ არხეინად გვეძინა, როგორც გითხარით, სკოლის ფიზკულტურის დარბაზში. ახალაშენებული დიდი შენობა იყო.

დილის ხუთი საათი იქნებოდა, მეტი არა, ჩექმების ბრახუნმა და რუსის ღრიალმა გამოგვაღვიძა:

– ანუკა, ვსტანტე ვსე! იობ ვაშუ მატ! პადიომ, პადიომ, ვამ გავარიატ!

ჯერ წამოვჯექით, თავი „უჩენიაზე“ გვეგო-

ნა, მერე, ათიოდე რუსის ჯარისკაცი და ჩვენკენ მოშვერილი ავტომატები რომ გავარჩიეთ, ნიფხავპერანგისამარა წამოვვარდით და სმენაზე გავიჭიმეთ.

წამიც და სამი სამოქალაქოფორმიანი, რევოლვერმომარჯვებული შუახნის კაცი შემოვარდა.

– ბიჭებო – ქართულად გვითხრა – თქვენ ალყაშემორტყმულები ხართ. ოდნავი ხელის გაქანება და ტყვიას მიიღებთ შუბლში. ახლა სწრაფად ჩაიცვით. სხვა ყველაფერი აქ დატოვეთ. უკან კისერზე ორივე ხელი შემოიდევით და სათითაოდ გამოდით გარეთ. იცოდეთ, ოდნავ ნაბიჯსაც რომ აუჩქაროთ, რუსები მაშინვე გესვრიან.

კისერზე ხელები შემოიწყვეთო რომ გვითხრეს, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ დაპატიმრებულები ვიყავით. კისერზე ხელშემოწყობილი ტყვეები, მანამდე მხოლოდ კინოში გვენახა.

რაც შეეხება იარაღს, ორმოცდაათ კურსანტს მხოლოდ ხუთი ავტომატი გვქონდა (ათეულს თითო ავტომატი) და პატრულირებას რომ დავამთავრებდით, ხუთივეს სამასწავლებლოში მაგიდაზე გავაწყობდით ხოლმე. სამასწავლებლო, ისე როგორც ფიზკულტურის დარბაზი, რა თქმა უნდა, არ იკეტებოდა. ხუთივე ჩვენი ავტომატი რუს სერჟანტს ჰქონდა გადაკიდებული, წინ რომ მიგვიძღოდა.

ასე დამწკრივებულები ჩამოგვიყვანეს ცხინვალში. ყოფილი ობკომის შენობის წინ მოედანზე ოსები მიტინგობდნენ.

ჩვენ დანახვაზე მიტინგი ორად გაიყო. კეთროვანებივით გაგვშორდნენ ოსები.

ერთმა ოსმა შეგვაფურთხა კიდეც.

„რა გინდათ, რა! არ გვაყენებთ?! თქვენი დედა! – დაიყვირა ხელჯოხიანმა ჭაღარა კაცმა. ჯოხი შემართა და ჩვენკენ გამოიქცა, მაგრამ შეაჩერეს.

გამოდიოდნენ მომიტინგენი და გულში ხელს იბრაგუნებდნენ. ჩვენკენ იშვერდნენ ხელებს და აშკარა იყო, რომ გვაგინებდნენ. მე ოსურისა არაფერი გამეგება, მაგრამ საალერსო სიტყვებს რომ არ გვეუბნებოდნენ სახემიმიკაზე ეტყობოდათ.

ბოლოს ერთი ორმეტრიანი ახმახი გამოგვეცხადა და ქადაგება დაიწყო. მე, გითხრა სიმართლე, ბოლოსწინა რიგში ვიდექი და კარგად არ მესმოდა. ისე კი სუფთა, უაქცენტო ქართულით ლაპარაკობდა. ვარჩევდი სიტყვებს კანტიკუნტად: „ოკუპანტი!“ „მოღალატე“, „ფაშისტები“, „მკვლელები!“ მეგონა ვიღაც სხვებზე ამბობდა, თორემ ჩვენ თუ „ოკუპანტს“ დაგვიძახებდა ვინმე ჩვენს მიწაზე, როგორ წარმოვიდგენდი.

ის კი აშკარად დავინახე და გავიგონე: ახმახმა ავტომატიანი ხელი აღმართა და დაიყვირა: – დაიჩოქეთ!

ჯერ წინა რიგში მდგარი ჩვენი ბიჭები დაეშვნენ მუხლებზე. მერე ნელნელა, თითქოსდა გაუბედავად, სხვებიც მიყვნენ.

სირცხვილის ცივმა ოფლმა დამასხა. იმ წამსვე მივიღე გადაწყვეტილება. რომ მომკლან, მაინც არ დავიჩოქებმეთქი.

გითხარით, რომ ბოლოსწინა რიგში ვიდექი. ხუთხუთი კურსანტი ვიდექით თითო რიგში. მე მარჯვნიდან მესამე გახლდით. ყველამ დაიჩოქა. მე ვდგავარ.

– შენ არ გეკადრება დაჩოქება?! მე შენი დედა! – შემოვარდა ვიღაც რიგში, სახეზე არ დამინახავს. ქიჩოში ჩამავლო ხელი და გამომათრია.

– გაიყვანეთ და დახვრიტეთ!

უბრძანა იქვე მდგარ ორ სამკლაურიან ოსის ბიჭს. ბიჭებს ავტომატები არ ეჭირათ, თუმცა ჩემთვის სულერთი იყო. მე ჩემი გავაკეთე და აღარაფრის მეშინოდა.

სულ პანღურისცემით წამომიყვანეს.

პოლიციის შენობასთან ერთი სამკლაურიანი დაგვშორდა. მეორემ მორიგესთან მიმიყვანა.

– შეაგდე კამერაში. უფროსმა გამომატანა. ამან არ დაიჩოქა.

მორიგემ კამერის კარი გააღო, შემომხედა და ჩურჩულით მითხრა:

– კაცი ყოფილხარ.

– მერე? – ამოხედა სტუმარს დამხვდურმა . თავმჯდომარის თვალში ცრემლი კიაფობდა.

ორ საათში ყველანი შემორეკეს ცხინვალის პოლიციის კამერებში.

ჩემთან შვიდი კურსანტი მოხვდა. მხოლოდ ერთმა მითხრა: დაგინახე, რომ არ დაიჩოქე და მწკრივიდან გაგათრიესო. ახლა დახვრეტილი მეგონეო.

ბატონო თავმჯდომარევ, სირცხვილი და თავის მოჭრა სირცხვილად და თავისმოჭრად მთელი სიცოცხლე ეყოფათ იმ ბიჭებს, მაგრამ მე ის მიკვირდა, რომ ზოგი მათგანი გაოცებით

მეკითხებოდა, შენ რატომ არ დაიჩოქეო. ჩვენაო, დაღუპული ოსების ხსოვნის ნიშნად დავიჩოქეთო. ზოგს, იქნებ, ცოდოს ვერ დავიდებ, არც გაუგონია, რატომ დააჩოქეს. ზოგმა კი თავისი შელახული სინდისის გადასარჩენად მოიფიქრა ეს ტყუილი. გეფიცებით მამის სულს, დაღუპულთა ხსოვნა იქ არავის უხსენებია. თვრამეტცხრამეტი წლის ქართველი კურსანტები ცხვრებივით იდგნენ გარეწართა წინაშე და მუხლებზე რომ დაეშვნენ, თვალთ დამიბნელდა.

ა, ესაა სიმართლე. კარგა ხანი გავიდა ამის შემდეგ. დრო ალბათ ყველაფერს კურნავს. ის ბიჭებიც შეიძლება სადმე ჩირთიფირთობენ ამ ძნელ დროში. შეიძლება თავისთავად ურიგო ბიჭები არ არიან, მაგრამ ქართველი კაცის ისტორიას რომ შავ ლაქად შერჩება მათი დაჩოქება? ნეტავ, თუ ფიქრობენ ამაზე.

მე ჩემი გითხარით. ვერ ვაკადრე ჩემს თავს განცხადება დამეწერა: ომის ვეტერანი ვარ და პენსია დამინიშნეთმეთქი. სხვათა შორის, ჩვენთვის, რაც ხაინდრავამ თბილისში დაგვაბრუნა, არავის დაუძახნია იმ ომში ორი თვის შემდეგ რომ დაიწყო.

როგორც ჩანს, მიიჩნიეს, რომ ჩვენი ბიჭებისთვის ომი მაშინ დამთავრდა, როცა ისინი ცხინვალის მოედანზე დააჩოქეს.

***

კითხვით ვკითხულობ, როგორ არ ვკითხულობ, ბატონო, შენს ნაწერებს, თუ სადმე წავაწყდი, რასაკვირველია, მაგრამ გითხრა სიმართლე, გულს არ ხვდება.

ასე მგონია, თქვენ მწერლები, ავი ფიქრებიდან ჩემს გამოყვანას, ჩემს გართობას ცდილობთ და მეტი არაფერი.

კარგია ხუმრობაც, ირონიაც, თავშესაქცევი ისტორიებიც, მაგრამ ახლა არაა ამის წერის და მით უმეტეს კითხვის დრო.

შენს ნოველებს სხვა მკითხველი სჭირდება: ნერვებდაწყნარებული, გალაღებული... რა ვიცი, რანაირი.

გული დამწყდა, წეღან რომ ბრძანე, სადაა მკითხველიო, სულ ტყუილად ვჯახირობ და ვათენებ ღამეებს, აღარაფერს თქვენ აღარ კითხულობთო.

არ გიფიქრია იმაზე, რომ იქნებ მთლად ჩვენი ბრალიც არ იყოს ეგ ამბავი.

მე, დამარცხებული, გალახული, დაჩოქილი ხალხის შვილი, გადავშლი შენს წიგნს და იმის მაგივრად, რომ რაღაც გულის მოსაფხანი მითხრა, იმედისკენ შემაბრუნო, რას მეღადავები, შე კაი კაცო.

შენს ხასიათზე ვარ თუ არა, არ უნდა მკითხო?

ვერ მოვიშორე, ბატონო, ვერა, დამარცხებულის სინდრომი.

ეს ოცი წელია წელში მტეხს ჩვენი სამარცხვინო გამოქცევა აფხაზეთსამაჩაბლოდან და მიწაში მიმათრევს.

რანაირადმეთქი, კაცო, ჩემს თავს ვეუბნები, ცხინვალში აგერ ა, გუშინწინ ორმოცდაათი პინგვინის დაჩოქების შემყურე ხალხი, რომელსაც ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, მღვდელი თევდორე, სამასი არაგველი და გია აბესაძე ჰყავს, ასე როგორ დადედლდაგლახავდებოდამეთქი. შენ რომ მწერალი ხარ, რაღაცა ისეთი იმნაირი მითხარი. შეუძახე შენს ერს, შეანჯღრიე, გამოაღვიძე, შიში განდევნე მისი არსებიდან... ეგება მთლად განწირული არა ვარ, შენც იფიქრე და მეც მაფიქრებინე.

მე ისტორიკოსი გახლავარ, ორ ამბავს მოგიყვები ჩვენი ისტორიიდან.

ერთი შედარებით ახალია, მეორე – უფრო ძველი.

ნახე, დააკვირდი, იქნებ რამეში გამოგადგეს. ერთიორ მწერალს მოვუყევი, მაგრამ არაფერი დაწერეს.

ეტყობა, ვერ მოირგეს ენაკალამზე.

მაშ, ასე:

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი გაგონილი გექნება. გერმანელთა ყველაზე მკაცრრეჟიმიანი, გამართული, სისასტიკით გამორჩეული ბანაკი იყო.

სიკვდილის ამ უზარმაზარ ქარხანაში, როგორც იუწყებიან, ოთხ მილიონნახევარმა ტყვემ გაირა შრომაგასწორების გოლგოთის გზა. მათგან ოთხმოცმა პროცენტმა იქვე დაასრულა სიცოცხლე. ვინც გადარჩა, სამუდამოდ დახეიბრებულტრავმირებული დახანხალებდა ერთხანს.

ახლა, რასაკვირველია, არც ერთი მათგანი აღარ იქნება ცოცხალი.

1943 წლის ივლისში ოსვენციმიდან თერთმეტმა ქართველმა სამხედრო ტყვემ მოახერხა გაქცევა.

ბანაკიდან გაიქცნენ, მაგრამ, რად გინდა, ზონიდან გასვლა ვერ შეძლეს.

ორ დღეს იმალებოდნენ ტყეჭაობში და ორი დღის მერე თერთმეტივე დაიჭირეს.

საგანგებოდ გაწვრთნილ გერმანულ ავჩარკებს სად გაექცეოდი.

ცემატყეპით მილალეს უკან, ბანაკში, იმ საღამოსვე გაასამართლეს და თერთმეტივეს დახვრეტა მიუსაჯეს.

ყველაფერი დამთავრდა.

გადარჩენის იოტისოდენა შანსიც აღარ არსებობს.

თერთმეტივე ერთ საკანში შეყარეს ფაშისტებმა და, თქვენ როგორ ფიქრობთ, სხედან ქართველი ტყვეები და ზლუქუნებენ? არამც და არამც.

საკნიდან მხიარული ლაპარაკი, გადაძახგადმოძახება და, რამაც ფაშისტი გუშაგები სულ გააგიჟა, – უტკბილესი ქართული სიმღერა ისმის.

ისტერიულად, ტირილგარევით, მრისხანებით და ღრიალით კი არა, მშვიდად, ხმაშეწყობილად, ლამის აუღელვებლად მღერიან, ისინი, ვინც გამთენიისას, ასე 67 საათზე, უნდა მიყარონ კედელთან და დახვრიტონ.

შუაღამისას ბანაკის მთავარი ექიმი ოტო შვარცი პატრულის თანხლებით განწირულთა საკანს მიადგა და სიკვდილმისჯილი ლევან წერეთელი გამოიძახა.

შეიყვანა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იქვე, სამორიგეოში და რუსულად ეუბნება:

მეო, თბილისის უნივერსიტეტში ომამდე ლექციებს ვკითხულობდი და ბერიას მოედანზე ვცხოვრობდიო. მამაშენი კიმოთეკიმა წერეთელი მაშინ ასისტენტად მუშაობდა და გერმანულს ვასწავლიდიო. ბევრი პატივისცემა მახსოვს მამაშენისგან. შენ არ გიცნობდი, მაგრამ საბუთები რომ გადავათვალიერე, მამის სახელიც რომ არ გამეგო, გაჭრილი ვაშლივით ჰგავხარ კიმასო. მოსვენება დავკარგე. რა პირით მოვაწერო ხვალ შენი დახვრეტის ოქმს ხელიო. ბანაკის უფროსმა ვერ გადამიწყვიტა შენი საკითხი და „ბრიგადენფიურერთან“ გავვარდი. როგორც იქნა, მივაღწიე შენთვის დახვრეტის მუხლის მოხსნის და მაიდანეკში გადაყვანის ბრძანებასო.

ამას ყველაფერს თავჩაქინდრული ისმენს ლევან წერეთელი.

სიხარულის ნიშანწყალი არ ეტყობა.

დიდი მადლობა, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ ვერ ვიჩუქებ სიცოცხლეს თქვენგან, ჩემი გადარჩენა უსინდისობა იქნება იმ ათი ჩემი თანამოძმის წინაშე, ხვალ რომ დასახვრეტად წარსდგებიანო.

გაგიჟდა, თურმე, გერმანელი: რა დროს სინდისრევერანსებია, ნუთუ თავი არ გეცოდებაო.

დიდი ხვეწნის შედეგად, ერთ რამეზე დაითანხმა: შებრუნდი კამერაში და აუხსენი ყოველივე, დარწმუნებული ვარ, ისინი შენს გადარჩენაზე უარს არ იტყვიანო.

როცა დაბრუნდა და უამბო ბიჭებს, რაც მის თავს ხდებოდა, კამერაში დიდი ბჭობა არ გამართულა.

ყველა ქართველი ერთხმად ურჩევდა გასვლას.

ჩვენ მაინც აღარაფერი გვიშველის და, შენ თუ საქართველოში ჩასვლა მოგიწია, ჩვენს ამბავს მაინც ჩაიტანო.

უსმენს ღიმილით ლევანი თანამებრძოლებს.

არ ველოდი ამას თქვენგანო.

ასე თუ გამწირავდით, ვერ ვიფიქრებდიო.

ნუთუ წამით მაინც დაიჯერეთ, რომ მიგატოვებთ და დარჩენილ, გაძაღლებულ წუთისოფელს ისე გავივლი, რომ ჩემი ცოცხლად დარჩენის ეჭვს თავსატეხად დავუტოვებ ქვეყანასო.

ღამის ოთხ საათზე გამოუძახა თურმე ოტო შვარცს. დიდი მადლობა მოახსენა გარჯსთვის და უარი უთხრა.

დილით თერთმეტივე დახვრიტეს.

ეს ამბავი ოტო შვარცის დაკითხვის ოქმში წერია. ჟურნალმა „ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა 1962 წლის ნოემბრის ნომერში.

მეორე ამბავი ასეთია:

მარტვილის ახლოს, სოფელ თამაკონში, ტეხურგაღმა, ფაღავების მშვენიერი სასახლე იდგა.

ფაღავები, მოგეხსენებათ, ბრწყინვალე თავადები იყვნენ და ლეძაძამედან სალხინომდე მათი საგვარეულო მამული იყო გადაჭიმული.

სამასი წლის ამბავია.

თავადმა მელიტონ ფაღავამ გვიან შეირთო ცოლი და კარგა ხანს შვილი არ ეძლეოდა.

იმედი რომ თითქმის გადაეწურათ, სწორედ მაშინ, მელიტონისა და შორენას ქორწინების მეცხრე წელს, ფაღავების ოჯახში ბიჭი დაიბა-

და.

გადარჩა ფაღავების სათავადო დინასტია. მემკვიდრე მოუვლინა განგებამ ამ ძირძველ, სახელოვან საგვარეულოს.

ბიჭს ზურაბი დაარქვეს.

ორი წლისა, ჩვეულების თანახმად, გასაზრდელად იქვე, თამაკონში, ღარიბ გლეხს – კიწი გაბუნიას მიაბარეს.

კიწის ორი შვილი ჰყავდა: ხუთი წლის გახუ და ზურაბისკბილა – ბოჩო.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულის სამეგრელო მოგეხსენება.

გაჭირვებამ ავაზაკები მოამრავლა. საქართველოში მანამდე გაუგონარი – ტყვეთა ყიდვაგაყიდვა გაჩაღდა.

თურქეთიდან შემოპარული თულები იტაცებდნენ, ვისაც მოიხელთებდნენ (უფრო ქალებსა და ბავშვებს) და სტამბულის ბაზარზე ყიდდნენ.

ტყვეთა სყიდვაში ქართველებმაც დაიდეს წილი და, რომ არა სოლომონ მეფის მრისხანე ბრძანება, ადამიანებით მოვაჭრეთა კოცონზე დაწვის შესახებ, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს შეგვარცხვენდა ეს კანიბალური საქციელი.

კიწი გაბუნიას მეუღლე – ღალღა შვილებს საერთოდ მტრედის მზრუნველობით ზრდიდა, მაგრამ, ღმერთო, შეგცოდე, მომეტებულ ყურადღებას ზურაბისადმი იჩენდა, რადგანაც შავთვალება ზურაბი ფაღავების საგვარეულოს იმედი გახლდათ.

ერთ უბედურ დღეს ხუთმა თურქმა ავაზაკმა ღამით ტეხური გამოტოპა და კიწი გაბუნიას სახლს გარშემოეწყო.

ოჯახის უფროსი შინ არ იყო.

ლებარდეში ყავრის საჭრელად იყო წასული.

აბრაგებმა ღალღა ლოგინიდან წამოაგდეს.

ქალს ყელზე ხანჯალი დააბჯინეს და ყურში ჩაუსისინეს:

ხმა არ გაიღო, შენს შვილებს არას ვერჩით, ფაღავას ვაჟის გასატაცებლად ვართ მოსული. მოგვეცი სწრაფად და ჩვენს გზას ვეწევით, თორემ შენ ყელს გამოგჭრით და სამივე ბავშვს თურქეთისკენ წავასხამთო.

შეიძლება არ დაიჯერო, რასაც ახლა გეტყვი.

ღალღას ბევრი არ უფიქრია, თავისი ბოჩო ზურაბის ატლასის ახალუხსა და ჩოხამესტებში გამოაწყო, მხრებზე პატარა თეთრი ნაბადი მოახვია, ძილბურანში მყოფი ბიჭი გულში ჩაიკრა, ცრემლის ღვრით ჩაკოცნა და თურქებს გაატანა.

ასე გადაარჩინა გლეხის ქალმა ფაღავების საგვარეულო უმემკვიდროდ გადაგებას.

ეს ამბავი ალე ხარგელიასგან ჩავიწერე თამაკონში 1965 წელს.

ა, ესაა სულ, ბატონო რეზო, რაც უნდა მეთქვა.

იქნებ ასეთი ამბების გახსენება უფრო გამოადგეს ჩვენს დაბეჩავებულ თანამედროვეს, იქნებ ამ ისტორიებში უფრო ჩანს ერის სული.

თუ ჭკუაში დაგიჯდეს, უამბე მკითხველს. მოყოლა და გალამაზება შენი ხელობაა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნინო რეხვიაშვილი

დედიკოს ლოცვა გადამარჩენს...
(ჩანახატი)

9 ივლისის დილის 10 საათია. ტაქსი გავაჩერე, მძღოლი პატარა, ჩემს შვილზე უმცროსი ბიჭი აღმოჩნდა. მისამართი ვუთხარი აქა და აქ მიმიყვანე-მეთქი, – დეიდა, ეს ქუჩა არ ვიცი სად არის, ავღანეთიდან ახლახანს ჩამოვედი, ერთი კვირაა, მამას მანქანა ვთხოვე და დროებით მუშაობა დავიწყე.

გავოცდი, – შვილო, შენ ასეთი პატარა ბიჭი ავღანეთში ვინ გაგიშვა, ამ ნაბიჯის გადადგმა რამ გაიძულა-მეთქი, – ვუთხარი და ცრემლი ყელში მომებჯინა.

– მამა ინვალიდია, დედამ ინსულტი გადაიტანა. 1 წელია რაც ცოლი მოვიყვანე, 2 თვის დაქორწინებული ვიყავით, რომ ოჯახის რჩენა ვერ შევძელი და მეუღლე ჩემი გადაწყვეტილება გავანდე, – სხვა გზა არა გვაქვს, ავღანეთში მივდივარ, ცოტა ხანს გავიჭირვოთ, ყოველთვიურად 800 ლარს გამოგიგზავნით, სამ წელიწადში უკან დავბრუნდები და მერე აქ ავაწყოთ ჩვენი ცხოვრება-მეთქი, ეს მაიკოსთვის მძიმე მოსასმენი აღმოჩნდა. ხოლო ჩემმა მშობლებმა ისე შეიცხადეს, თითქოს უკვე მკვდარი ვიყავი, მაგრამ რა გვექნა, კომუნალურ გადასახადებსაც ვეღარ ვიხდიდი, დღეში 5 ლარს ვშოულობდი, რაც პურის ფული იყო მხოლოდ. წავედი და ამ ჯერზე გამიმართლა, ერთი თვის ბიჭი მყავს, ოჯახს ყოველთვეში ფულს ვუგზავნი, ახლა შვებულებით ჩამოვედი, ერთ თვეში უკან ვბურნდები, კონტრაქტის პირობების თანახმად.

– შვილო, იქნებ როგორღაც ამ სიტუაციიდან თავი დაგეხსნა, ეს პირტიტველა ბიჭი სახლიდან ბრძოლის ველზე საცოდაობაა. აქაური 5 ლარი გერჩივნოს, შვილო, იქაურ 800 ლარს და იქნებ დაკარგულ სიცოცხლესაც! კოკა ხომ წყალს ყოველთვის არ მოიტანს, ცხოვრება წინ გაქვს, ჯერ პატარა ხარ, ამასობაში საქართველოში ცხოვრების პირობები გაუმჯობესდება და მინიმალურ საარსებოს აუცილებლაფ იშოვი. იცოდე, შენს ლამაზ ოჯახს შენი სიცოცხლე ყველაზე მეტად უღირს!

– ვიცი დეიდა, ეს ყველაფერი კარგად ვიცი, მაგრამ ოჯახი როგორ ვარჩინო, ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს ვხედავ. დედაჩემი ფერხთქვეშ დამიწვა. ჯერ მომკალი და მერე სადაც გინდა წადიო. მე გულში ჩავიხუტე, მოვეფერე, დავამშვიდე, ვაჟკაცი ვარ, ოჯახის გაჭირვება თავმოყვარეობას მილახავს, მამას არ შეუძლია და ვალდებული ვარ არაფერი მოგაკლოთ, შენ წამლები გინდა, მეუღლეს, უამრავი რამ სჭირდება, ბავშვს გაზრდა უნდა. რა ვქნა, ცოტა ხანს ასე იყოს, ღმერთი არ გამწირავს, მერე ყველანი ერთად ტკბილად ვიცხოვრებთ ღვთისმშობელი და შენი ლოცვა-კურთხევა აუცილებლად დამიფარავს-მეთქი. დედამ გამჭოლი მზერით შემომხედა, თვალი თვალში გამისწორა და კბილებიდან ძლივს გამოსცრა – შხამად შემერგოს შვილო, თუ შენი სიცოცხლის ფასად ნაშოვნი ფული ჩემს წამალსა და საჭმელში დავხარჯო, რადგან არ იშლი, ეგრე იყოს, ღმერთმა იქნებ არ გაგვწიროს და ცოდვით ნაშოვნი ფული შენს ცოლ-შვილს მშვიდობაში მოახმაროსო – მითხრა და თავიდან ბოლომდე დამკოცნა.

– მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, ორი წელი კიდევ წინ მაქვს, მაგრამ იმედია, ღმერთი არ გამწირავს, დანარჩენი ვნახოთ რა მოხდება... თქვა და ხმა გაებზარა, ცრემლიანი თვალებით შემომხედა, – წასვლისას ჩემს ნიკოლოზს გულში ჩავიკრავ, ოჯახს მოვეფერები, სურათებს გადავიღებ, რამდენიმეს თან წავიღებ, წამიკითხავს ნიკო ბურის ამბავი, როგორ გადაარჩინა სიკვდილს დედის სურათმა, მეც ჩემი დედიკოს ლოცვა და სურათი გადამარჩენს.

ემოციებისგან დაღლილი მთელი დღე ამ ბავშვზე ვფიქრობდი, 19 წლის გოგა ჯოხაძე, წარმოშობით რაჭველი, სასახელო ბიჭი, ოჯახისგან შორს, სიცოცხლის ფასად იცავს ქვეყანას და საკუთარ ოჯახს.

მზისა

კიდევ ერთი ჩვეულებრივი დილა გათენდა. მზისამ სხვათა მსგავსად, თვალი ვერ გაახილა, მხოლოდ მარცვალ-მარცვალ დედის ძახილით აგებინებს ქალბატონ ცისიას გაღვიძებას. - მოვდივარ, ჩემო თვალის სინათლე! პასუხობს დედა და ორ წუთში თავის უსინათლო შვილის სასთუმალთან ჩნდება.

-დედა, დაწერე რასაც გეტყვი და მზისა თხრობას იწყებს. დედა გამალებით იწერს შვილის ნაამბობს...ესეც კიდევ ერთი ნოველა!.. დანარჩენს დედა მიხედავს. მზისა ვერც ხედავს და არც წერა შეუძლია. სამაგიეროდ, აზროვნებს! რომელი მწერალი უფრო გიყვარსო, ჰკითხეს: რემარკი, ნოდარ

დუმბაძე, შოთა რუსთაველი და აი, ის...სახელი და გვარი ტირით რომ იწერებაო, ვაჟა-ფშაველა იგულისხმა.

მზისამ ასე ნელ-ნელა ასი მოთხრობა დააგროვა და გამოსცა კრებული, რომელსაც ,,სინათლის სხივი''დაარქვა, დაარქვა ის, რაც თავად ენატრება!

მისი დილა დედის დახმარებით იწყება. ცისია შვილს აწესრიგებს, თმებს ლამაზად ვარცხნის, კოხტად გამოპრანჭავს, სუნამოს აპკურებს და სპეციალურად მათთვის გამოყოფილ ავტობუსს ელოდება, რომელმაც მზისა დღის პანსიონატში უნდა წაიყვანოს. გოგონა იქ თავს კარგად გრძნობს, ერთმანეთის თანადგომითა და თანაგრძნობით ცხოვრებისგან დაღდასმული ადამიანები ერთურთს გულებს უთბობენ.

ასე გადის წლები...მზისა ნელ-ნელა გაიზარდა, დამშვენდა. ამასობაში მეორე კრებულიც გამოსცა და ჟურნალისტების ინტერესის სფეროშიც მოექცა.

-მზისა, რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რას ვერ დათმობდი ამ ქვეყნად?

ეკითხება ჟურნალისტი. გოგონა დაფიქრდა...სახეზე შეპარული ღიმილი ჩამქრალი თვალიდან ჩამოვარდნილმა კურცხალმა დაუნამა...ამოიოხრა და უპასუხა: – დედას! დედას ვერასდროს დავთმობ, ჩვენ დღემდე იმ ჭიპლარით ვართ გადაბმული, რაც მუცლადყოფნამდე იყო. მე უფალმა თვალის ჩინის ნაცვლად დედას ჩინი მარგუნა. დედას გარეშე ვერასდროს ვიცოცხლებ. დედა ჩემი კედელია, ჩემი ხერხემალია, ჩემი სამყაროა!

ენაწყლიან ჟურნალისტს სახეზე ღიმილი შეაცივდა და თვალები ცრემლით აევსო.

-მზისა, შენ მზესავით გოგო ხარ, კეთილშობილებითა და სათნოებით ირგვლივ ყველას და ყველაფერს ათბობ და ალამაზებ ...დედის გაღმერთება შენს სიმაღლეზე მეტყველებს!.. კიდევ რის თქმა შეგიძლია, რას დაამატებდი?

მზისა: – ადამიანები ზოგადად ბავშვობას მისტირიან. მე, მათგან განსხვავებით, იმ წლების გახსენება არ მსურს...

– რატომ, მზისა?

– არა იმიტომ, რომ ცუდი ბავშვობა მქონდა. ჩემი ოჯახი ყოველთვის სულს მიბერავს, ხელის გულზე მატარებს, მაგრამ იმ დროს საზოგადოებისგან იმდენად გაუცხოვებული ვიყავი... სადმე გამოჩენის სურვილი არ მქონდა... საცოდავი, რა ეშველება, ვაი, ამის დედის ბრალი და ბევრი ამგვარი ფრაზები მესმოდა, რის გამოც მეტად ვითრგუნებოდი...სიბრალული სხვაა, დახმარება კი სხვა! დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა, ჩვენ მიგვიღო საზოგადოებამ და თავს მეტ-ნაკლებად სრულფასოვან წევრად ვთვლით.

-მზისა, რა არის შენი ნატვრა?

-რაც შეიძლება მეტი წიგნი გამოვცე და მკითხველმა ჩემი შემოქმედება გაიცნოს.

გარდა ამისა, ვიცი რომ არარეალურია, მაგრამ თუ ნატვრაა, ნატვრა იყოს (იღიმის), მინდა თვალი ამეხილოს, დავინახო დედა, შევიგრძნო ფერები, ვიხილო სამყარო...

ინტერვიუ დასრულდა...ქალბატონი ჟურნალისტი დამძიმებული მიუყვება გზას...

ფიქრობს მზისაც...მალე მისი მორიგი ნაფიქრი თეთრ ფურცლებს დაეპკურება. მზისა ოჯახის მზის სხივი და ამომავალი ვარსკვლავია...

ქართველი მზეწვია
(ჩანახატი)

უცხო მიწაზე ქართულად, ამაყად მხრებგაშლილი დააბიჯებს მოწიფული ქართველი მზეჭაბუკი და თითქოს სივრცე არ ყოფნის, რომ ფრთა გაშალოს, მიწა არ ყოფნის, რომ ტერფი მყარად დაადგას, ჟანგბადი არ ყოფნის, რომ ფილტვი ფართოდ გაშალოს, დადის და უცხო მზის სხივ ნაფერებ გულ-მკერდს ძალუმად უშვერს ამ ვეება მცხუნვარე ბურთს, იქნებ ისე გამათბოს, როგორც იქ, ჩვენებურმა მზემ იცისო, მაგრამ ამაოდ!.. რა არის სამშობლო?.. ეკითხება საკუთარ თავს, ნოდარ დუმბაძის არ იყოს, პასუხს ეძებს, მაგრამ თავში იმდენნაირი აზრი მოსდის, რომ პრიორიტეტის მინიჭება უჭირს.

ერთ სისხამ დილით, მშობლიური ქვეყნის მონატრებითა და ქართველური სიამაყით აღვსილი საჭეს მიუჯდა. იმ ქვეყნის, რომელმაც ნიჭიერი ახალგაზრდის ცოდნისა და გამოცდილების რეალიზაცია ვერ შეძლო და უცხოობაში, მოჩვენებითი სიამისთვის გაიმეტა. და აი, პირველი მგზავრიც. ლამაზი, მოხდენილი უცხოელი გოგონა უკანა სავარძელზე დაჯდა და მომღიმარი სახით შესცქერის მძღოლს, რომლის სილამაზეც მზეჭაბუკს წააგავს, მაღალი ქართული შუბლით, ფაფარ-

აშლილი, ბაში-აჩუკის მსგავსი ვაჟკაცია. მოსწონს გოგონას. უეცრად, რაღაცის თქმას რომ აპირებდა, ნერწყვი გადასცდა და სპაზმური ხველა დაეწყო. – თქვენ წყალი უნდა დალიოთ, აქვე, ბენზინგასამართ სადგურზე გავაჩერებ, უთხრა ქართველმა ჯენტლმენმა და გაჩერებული მანქანიდან მკვირცხლად გადახტა, ხველისგან შეწუხებულმა გოგონამ მარცვალ-მარცვალ სიტყვებით მიაძახა: – არა, მე ვიყიდიო! ვაჟმა ამასობაში წყალი მოუტანა, ბოთლი გახსნა და გოგონას ჩვენებური, ქართული კრძალვით მიაწოდა. გოგონამ წყალი მოსვა, სული რომ მოითქვა, მადლობა მოუხადა და წყლის თანხა შესთავაზა. – არა, რას ბრძანებთ, უთხრა ქართველმა მზეწვიამ, მე ქართველი ვარ, ჩვენში ქალს განსაკუთრებულ პატივს სცემენ. გოგონამ თვალები დახარა, ხშირი და გრძელი წამწამები ცრემლით დაენამა და გაჩუმდა. ვაჟმა ქართული ხალხური სიმღერა ჩართო, - ეს ჩვენებური ჰანგებია, აქაც თავი მოიწონა და ამასობაში მარშრუტიც დასრულდა. გოგონამ მძღოლს მადლობა მოუხადა და წავიდა.

საღამო ხანია. სამუშაო დღის შემდეგ დაღლილი ქართველი შინ მეგობრებთან ერთად ისვენებს. მობილურ ტელეფონზე შეტყობინების ხმა გაისმა, – თქვენს ანგარიშზე 50 ზლოტი ჩაირიცხა, ქართველო! კითხულობს მზეწვია ჭაბუკი ტექსტის შინაარსს და ყველაფერს მიხვდა, ეს პოლონელი გოგონას მადლიერებით აღსავსე ჟესტი იყო! თავადაც ცრემლი მოერია. მეგობრებს იმ დღის ამბავი მოუყვა და დასძინა, აი, თურმე რატომ ატირდა გოგონა, თავი დაემართლა, ქმედება ეუცხოვა. არა და, ჩვენთვის ხომ ამაში უცხო და საკვირველი არაფერია?!

რამდენიმე დღის შემდეგ, ფიქრებში გართული მზეწვია ჭაბუკი ფეხით მიუყვება ვარშავის ქუჩებს. ქვეითად მოსიარულეთა ბილიკზე გადასვლისას გაჩერებული მანქანიდან ქართული სიმღერის ხმა მოესმა. გაოგნდა, ვიდრე გონს მოვიდა, შუქნიშანზე მწვანეც აინთო და ჭაბუკი დაძრულ მანქანას აედევნა, – ქართველოო, ქართველოოო! ქართველმა უმალვე მანქანა დაამუხრუჭა და მამლუქებად ქცეული საჯიშე ბიჭები ერთმანეთს ჩაეხუტნენ.

ასე დადის უცხო მიწაზე ქართველი მზეწვია ჭაბუკი და ყველგან თავის სამშობლოს ეძებს...

მიმწვარი კვახი

დღეს დილით კვახი მოვხარშე, ისე მოხდა, რომ საქმეს შევყევი და ცოტა მიმეწვა, სახლში სპეციფიკური სუნი დადგა, სუნი, რომელმაც არა კარის გაღებისა და სახლის განიავებისკენ, არამედ წარსულზე ფიქრისკენ მიბიძგა. როგორც დოსტოევსკი წერს: ,,...რაც წლები მემატება, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ბავშვობის მოგონებები საუკეთესოა, რაც კი სიცოცხლეს შეუძლია მოგვცეს." მიყვარს დოსტოევსკი, მაგრამ ამ ფრაზების შემდეგ ერთიორად უფრო შემიყვარდა. ნახევარსაუკუნოვანი სიცოცხლის გადმოსახედიდან ჩემი ბავშვობა ოქროს ხანად მეჩვენება, ჩემი დიდებული მშობლები, დიდებულის დიდებული ბებიები და ბაბუა, რომელიც მუდამ ჩემს წარმატებებზე ფიქრობდა...ჰოდა, მიმწვარი კვახის სუნმა ჩემი ლამაზი ჭიორა გამახსენა, კოხტა სახლ-კარი და ,,ეზო-რიადაგი"...

ზამთრის არდადეგებზე მამა და დედა ოთხივე შვილებს მანქანაში ჩაგვსხამდნენ და სოფლისკენ მივიჩქაროდით, გზად ,,იაუაო უაო, იაუაოს" მივიმღეროდით, ჩემს შუათანა დას, სოფოს მანქანის უკანა საქარე მინასთან წოლა უყვარდა, მშობლები ჩვენი ბედნიერებით ხარობდნენ. ჭიშკართან ბებია და ბაბუა გვეგებებოდნენ. იღვიძებდა კედელ-ყურე...დილა სხვადასხვა სასიამოვნო სურნელით თენდებოდა. ნინა ბებო გარიჟრაჟს ლოცვით ეგებებოდა, ღმერთო, ჩემ მონაგარს გაუმარჯვეო, მერე შეშის ღუმელში წვრილად დაჩეხილ ფიჭვის შეშებს ჯვარედინად დააწყობდა, კვარს ხელში ვერტიკალურად იჭერდა და ქვემოდან ცეცხლს უკიდებდა, შემდეგ აალებულ კვარის ნაჭერს ღუმელში, შეშებს შორის მოაქცევდა და ცეცხლის ენები უკვე რიკტაფელას თამაშში, ტკაცა-ტკუცის ხმებს გამოსცემდა. ნელ-ნელა ღღვებოდა ზამთრის ჭირხლმოკიდებული ფანჯრის მინები, სახლში ჯანსაღი, სიცოცხლის სურნელი ტრიალებდა, ამასობაში ბებო ცომს აკეთებდა, ყველის გულს ამზადებდა, შვილიშვილებისთვის დილაობით აუცილებლად ხაჭაპურები უნდა მოერთმია, თან ალადების გამოსაცხობად ემზადებოდა, ერთი ალუმინის ლიტრიანი ხელიანა დო ან შრატი, 2 კვერცხი, შაქარი, ფქვილი და ბებიას ოქროს ხელები... ,ფეჩუკას" მეორე მხარეს ღორების საუზმე იხარშებოდა, წვრილი კარტოფილი, რომელსაც ბებია საღორეს ეძახდა და წვრილად დაჩეხილი კვახი თუჯის, როგორც ბებია ამბობდა, ჩოინაში იხარშებოდა, კარტოფილი და კვახი რომ ჩაიხარშებოდა, ბებია ქატოს ურევდა, დიდი ხის საზელით პროდუქტს ერთგვაროვან მასად აქცევდა, მდუღარე წყალს ამატებდა და ბოსელში, ღორებთან ხელ-დამშვენებული მიდიოდა. აი, სწორედ ეს სუნი გამახსენა ჩემმა წყალდამშრალმა, მიმწვარმა კვახმა...

მანანა სამყურაშვილი

მთელი დღე დარდის ბუხარი გიზგიზებს და გულის ყურებსა ხეთქავს ხშირი ფეთქვა, გაიბზარა გულის მთავარი სარქველი...ამ სიტყვებმა მომაგონა და უფლის ძალამ ბაგეზე დამიდო სათქმელი...მით უფრო დამაიმედა მზის ტაძარში ჩამოჯდომამ და დასვენებამ. ეს ზეციური მადლი და შემოთავაზება ცოტა როდია, ამისთვის სააქაო წმინდა ცხოვრება და სულის სიწმინდეა საჭირო...ამ სიტყვებით უფლის ძალამ მოუწოდა მიწიერთ აქ იცხოვრეთ ისე... ზეცად სულის ნათელი გედგეთო. დიდებულო ადამიანო, უფლის ტოლფასი შემოთავაზება მისივე მოწოდებაა...აი თურმე რას ნიშნავს ,,ცისკარელი". თქვენი სიტყვების არსს ღრმა ჩაწვდომა და გაანალიზება სჭირდება.

ლიანა კაკუბავა

დღიური
(ნოველა)

ნია მე-5-ე კლასში სწავლობდა. იმ დღეს 4 ხუთიანი მიიღო _(მაშინ ხუთბალიანი სისტემით იყო შეფასება) ქართულში, მათემატიკაში, ბოტანიკასა და ფიზკულტურაში. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. არც კი ახსოვდა, როგორ აღმოჩნდა ასე ჩქარა სახლის ჭიშკართან. აქ კი შეყოვნდა, ჩანთიდან დღიური ამოიღო, გაშალა ჩაწიწკინებული ხუთიანების გვერდი და ცალი ხელით მკერდთან მიიხუტა. მეორეთი ჩანთა დაიკავა და მთელი ხმით დედას გასძახა. დედაააა, დედაააა.....

სად ხარ დედიკოოო? ოთახები ,რომ მოიარა უკანა კარით სახლის აივანზე გავიდა და დედასაც იქ შეეფეთა.

- რა იყო, შვილო? რა გაყვირებს?

- დე, შეხე, დღეს 4 ხუთიანი მივიღე, ეუბნება ნია და გაშლილ დღიურს აჩეჩებს ხელში. სხვა დროსაც ბევრჯერ მიუღია ნიას ხუთები, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც ერთ დღეს 4 ხუთიანი დაუწერეს. ამიტომ იყო სიხარულს ზედმეტად გამოხატავდა.

დედამ ნიას გაშლილი დღიური დაკეცა და იქვე მაგიდაზე დადო ისე, რომ არც კი ჩაუხედავს შიგ.

რა დე, არ ნახავ? არ გაგეხარდა? რატომ გააკეთე ასე? კითხვებს აყრის ნია და ტირილის დაწყებას ცოტა უკლია.

-მიდი, გამოიცვალე, მალე სადილს გამოვიტან, უთხრა დედამ და შუბლზე აკოცა.

ნიას დედა, ქალბატონი ქეთო ძალიან დინჯი და მშვიდი ქალი გახლდათ. მის მერე, რაც მეუღლე ავარიაში მოჰყვა ძალიან გულჩათხრობილი დადიოდა, მაგრამ ცდილობდა სხვებისთვის ეს ნაკლებად შესამჩნევი გამხდარიყო. ნიას 3 წლიდან მარტო ზრდიდა და მისი მთავარი საზრუნავი და ფიქრი ყველაზე მეტად ნიას სწავლა-განათლებას უკავშირდებოდა. ერთი დღეც არ ახსოვდა ისეთი, მას გაკვეთილების მომზადებაში ხელი არ შეეშველებინა, არ შეემოწმებინა როგორ დაწერა, როგორ ისწავლა და მერე კი პირველი რასაც ნიას სკოლიდან მობრუნებულს ეკითხებოდა იყო: - აბა, დედიკოს ჭკვიანმა გოგომ თუ მოგვიტანა ხუთიანიო

და თუ შიგ ერთზე მეტ ხუთიანს დაინახავდა ნიას მერე კარგა ხანი დედას გაბრწყინებული სახე ედგა თვალწინ.

ახლა კი, ვერ გაეგო პატარა გოგონას დედის საქციელი.

სადილს მალე მორჩნენ. ნია ელოდებოდა აი ახლა ჩაიხედავსო დედა დღიურში, აი ახლაო, მაგრამ იმის სანაცვლოდ დედამ ლოგინის გასწორება სთხოვა, რომელსაც აქამდე ყოველთვის თვითონ ულაგებდა. მერე დაღლილი თუ არა ხარ დედი, ცოცხი აიღე და ოთახი გამოხვეტეო. ახლა ცოტა დაისვენე მერე კიტრის ნერგები მაქვს მოსარწყავი და დამეხმარეო.

- დე, მერე გაკვეთილები?

- ხვალ ხომ შაბათია შვილო, ზეგ კიდევ კვირა, მოასწრებ ნუ გეშინია.

- მაგრამ მათემატიკაში დამატებით, რომ უნდა გვემეცადინა დედი?

- წიგნიც ხომ მაქვს წასაკითხი? (ანა ფრანკის დღიური ჰქონდა ნიას მხედველობაში, რომელსაც დედის თხოვნითა და ასევე მოთხოვნით კითხულობდა.)

- რა თქმა უნდა, ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება შვილო, ის კი არა დაემატება კიდეც ცოტ-ცოტად რაღაცეები, მაგრამ...

- რა მაგრამ? ვერ მოითმინა ნიამ.

- ის, რომ არ ვიცი მოგეწონება თუ არა უთხრა დედამ.

- ბევრია? შევძლებ?

კითხვებს აყრიდა ნია და ცნობიმოყვარეობა კლავდა რა უნდა ყოფილიყო ისეთი...

გავიდა წლები. სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელმა თავის კურსდამთავრებულებს სიტყვით გამოსვლისას ისეთნაირად მიმართა, რომ ბევრს დიდხანს დაამახსოვრდა და უმრავლესობამ კი ის დარიგება ცხოვრების გაკვეთილად გამოიყენა.

,,მოგესალმებით ჩემო ძვირფასებო!

თქვენ დაამტკიცეთ თქვენივე ბეჯითობით, რომ საუკეთესოები ხართ,მაგრამ მერწმუნეთ ეს დიპლომები, რომლებსაც მშობლებს ჩაუტანთ, არ იქნება ფასეული თუ თქვენ მას მეოჯახე ქალისა და მეოჯახე კაცის სტატუს არ დაამატებთ. დიახ, მისი სწავლა მე მე-5 კლასში დავიწყე, როდესაც დედამ დღიური, რომელშიც 4 ხუთიანი ეწერა მითხრა:

"ეს კარგია, შვილო, მაგრამ ამ ხუთიანებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება სხვა ღირებულებებისა და ფასეულებების გარეშე, თუ ისინიც არ ისწავლეო". ზოგი ადრე სწავლობს, ზოგი გვიან. მთავარია გვერდი არ აუაროთ, მაშინ ექნება ფასი და ხარისხი ნებისმიერ პროფესიას.

გმადლობთ.

ნელი საგინაძე

სამგზის მშვიდობა

ნოველა

დილის მზე ახალი ამოწვერილი იყო თვალი, რომ ცისკენ გავაპარე.სხივები ჩემი ეზოს ხის ღობეს, ისე ლამაზად უჭვრეტდნენ და ებღოტებოდნენ, რომ მზერა ვერ მოვაცილე. შიგნით უნდოდათ ეტყობა ეზოში გადმოსვლა. ოდნავ მზემაც წამოიწია, თითქოს სხივებს ხელი შეაშველაო და ისინიც უეცრად ჩემი სახლის ბანზე გაჩნდნენ.

თბილები იყვნენ, ძალიან თბილები. მომიალერსეს და ბწკრიალა სხივებმა გული გადამითბეს გათენებულზე. გზისკენ გავაპარე თვალი და გზად მომავალი ფიდონაანთ აბრია პაპა შევნიშნე.

ხელები წელს უკან შემოელაგებინა. ზურგს უკან ჯოხი მოუჩანდა. ეტყობოდა საყრდენად მიჰქონდა თან დაღლილს გულიანად, რომ ზედ დაყრდნობილად ჩამოესვენა. ხმარებისგან ჯოხს ფერი შეცვლოდა და მზის შუქზე უფრო მეტად პრიალებდა.

ფეხზე ლამაზი ქალამნები ამოეცვა. ბამბის შარვლის ტოტები წინდებში საგულდაგულოდ ჩაეყოლებინა და ზევიდან ქალამნის თასმები მწყობრად

შემოეხვია და ერთი მაგრად და ლაზათიანად გამოენასკვა.

გრძელი, შავი, დიდი, თითქმის ყურებამდე დაგრეხილ-დაწკეპილი ულვაშები ჰქონდა. რომ არ გდომნოდა,თვალი მაინც გაგეპარებოდა მისკენ.

მოხდენილად მოდიოდა ეს ხანშიშესული მოხუცი გზაზე.

აბრია პაპამ შორიდანვე ჩვენს ეზოს მოავლო თვალი და დილაადრიან ეზოში მოფუსფუსე ვასილა პაპას ხმამაღლა გამოსძახა.

– დილა მშვიდობა ვასო!

ვასილა პაპამ ეზოს ხის კარი გააღო, ერთი-ორი ნაბიჯი ჯოხით ხელში წინ გზისკენ გადადგა და პასუხი არც მან დაუგვიანა.

– გაგახაროს უფალმა ჩემო აბრამო!

ცოტა ხანს წალაპარაკდნენ, ჯანმრთელობის ამბები გამოჰკითხეს ერთმანეთს და შემდეგ ის თავის გზას გაუდგა და პაპამ კი ჭიშკარის კარი შემოიხურა და ფუსფუსი გააგრძელა.

დილით ადრე ადგომა და საქმიანობა უყვარდა პაპას.

რადგან კვირა დღე იყო, სკოლა არ გვქონდა. მე ჩემს მეზობელ- ნათესავ გოგონებთან მარიკასთან და ზაირასთან ვთამაშობდი.

დილა ნელი- ნელ გაიპარა და უკვე მოშუადღევებული იყო, რომ აბრია პაპა ზევიდან უკვე ჯოხით ხელში, ნელი ნაბიჯით მოდიოდა თავის სახლისკენ.

ჩვენს ეზოს, რომ მოუახლოვდა დაღლილი და შემთბარი ხმით დაუძახა.

– ვასილ აქა ხარო?!

პაპამ გახედვაც კი ვერ მოასწრო გულიანად, რომ აბრია პაპამ "შუადღე მშვიდობისა" - უსურვა.

ეზოს კართან ცოტა ხანს შედგნენ, პატარა წაილაპარაკეს და ორივე თავის საქმიან გზას შეუყვა.

ჩვენს ეზოს ჭიშკართანვე ახლოს ცივი , გემრიელი წყაროს წყალი მოდიოდა. ეს წყალი და კინაღამ მთელი სოფელი. ტურიაანთ წყალს ეძახდნენ. მთელი ახლომახლო უბანი ამ წყაროთი სულდგმულობდა.

პაპამ წყაროს წყლის გადმოსასვლელს პატარა მოგრძო ნავი გაუკეთა, რომ მზეზე დაცხომილ პირუტყვს შიგ დაელია წყალი. იქვე ახლოს კი გრძელი, ხის ჩამოსაჯდომი სკამიც გააწყო, რომ წყლის ასავსებად მოსულ, რიგში მდგომ ხალხს მუხლი და ფეხი ჩამოესვენებინა. აქ ყვებოდნენ ახალ ამბებს, აქ კითხულობდნენ კარგა ხნის უნახავები ერთმანეთს და ამ წყაროს ნავში ჭყუპალაობდნენ ზაფხულის სიცხეში დაქანცული უბნის ონავარი ბიჭები.

იმ დღის შუა წელი, კარგად გადასული იყო და უკვე შებინდებას აპირებდა, რომ აბრია პაპა თავისი თიხის ლამაზი კოკით გამოჩნდა.

წყაროს ახალი წყალი უნდა წაეღო ეტყობა, ღამე ყელის გასასველებლად.

უბნის ბავშვებიც იქვე შორიახლო ვთამაშობდით.

ვასილა პაპა გრძელ სკამზე ჩამომჯდარიყო და მხრებზე სათბილობელი მოეგდო. აბრია მიუახლოვდა თუ არა ვასილას , ისევ ხმამაღალი ტონით უთხრა – "საღამო მშვიდობისა "ვასილო!

ჩემს ყურს არ გამოპარვია პაპას ლაზათიანი პასუხის დაბრუნება

– მშვიდობა არ მოუშალოს აბრამ შენს ოჯახს უფალმაო!

ჩამოუჯდა ეს ლამაზ ულვაშა პაპას გვერძე და კარგა შებინდებამდე იმუსაიფეს.

ასე გრძელდებოდა დღეები, თვეები, წლები.

ასეთ თბილ ურთიერთობაში მიიპარებოდა დრო!

ასეთი თბილი ,სამგზის მშვიდობის მისალმებაში და კარგობის სურვილებში არ სწინდებოდათ მაშინდელებს ერთმანეთი.

გავიდა დრო. ჩვენც დავიზარდეთ.

წლებმა თავისი არ დაიშალა.

დაბერდნენ, უზომოდ დაბერდნენ ისევ სიცოცხლე მონატრებული მოხუცები. თავის დროზე, გაასახლა და თავის სამკვიდრებელში დაუმკვიდრა სამუდამო სამყოფისი სიცოცხლის გასაგრძელებლად უფალმა ორივეს!

ხშირად, ძალიან ხშირად მეხსიერებაში წამოტივტივდება ის გულიანი დრო. ლამაზი თბილი მეზობლურ- ნათესავური, ლაზათიანი მამა-პაპური ურთიერთობებით.

ეხ, როგორ გული მწყდება მაშინდელ ურთიერთობებზე და ადამიანთა ერთმანეთისადმი დამოკიდებულებებზე.

ახლა პირისპირ, რომ ვინმე გხვდება შეიძლება ცალყბა გამარჯობა მიახალო და მას თავისთვის სადღაც და შენ შენთვის გეჩქარება.

– სად დაგვეკარგა ადამიანებო, "სამგზის მშვიდობა"

ვინ მოინდომა ნეტავ მისი მივიწყება და მისი ქართველის სულიდან სამუდამოდ წაშლა.

– რა საინტერესოა, რას ნიშნავდა ჩვენი წინაპრების ცხოვრებაში ,დღეში სამგზის მისალმება და მშვიდობის სურვილი.

ალბათ ეს ჩვენი მართლმადიდებლური წესით წმინდა სამებისგან დალოცვას გავდა.

– დილით მამა ღმერთის, შუადღეს ძე ღმერთის და საღამოს სულიწმინდის ძალით ილოცებოდა ქართველობა!

– ეს ვინ ვყოფილვართ ქართველები!

– ეს რამხელა ღვთიური წესები და ადათები გვქონია!

– ეს რა გულში და სულში სითბოჩაღვრილი წინაპრები გვყოლია!

ახლა . ახლა სადღა ნახავთ ასეთებს, სადღა ნახავთ კაცთა სიყვარულით სავსე გულიან ცხოვრებას და სამგზის გულიან მშვიდობიან მისალმებას!

– ვზივარ და ვფიქრობ, დავიჯერო ასეთი ტრადიცია აღარ დაბრუნდება?!

– დავიჯერო სამგზის მშვიდობით, ქართველები აღარ დავლოცავთ ერთმანეთს?!

იმედია, იმედია ჩემო მკითხველო, იმედი!!!

ბოლოს მინდა ასე ვთქვა, – თუ დილაა და მაშინ კითხულობ ამ ნოველას ჩემო მეგობარო, – დილა მშვიდობისა, თუ საღამო ხანია – "საღამო მშვიდობისა" და თუ დღეა უკვე ჩამომდგარი შენს კართან, – "მშვიდობა და მზის ნათელი არ მოგიშალოს უფალმა"!!!

ირმა კეკელიძე

ჯახირა

ზაფხულია. საშინლად ცხელა. თბილისის ქუჩებში ადამიანები კანტი-კუნტად დადიოდნენ. ქალაქის მობინადრეთა უმრავლესობას დატოვებული ჰქონდა ზაფხულის თბილისური ცხელი ოხშივარი და ქვეყნის სხვადასხვა კუთხისთვის, ზღვისა თუ მთისთვის შეეფარებინათ თავი...

მთაწმინდაზე, პატარა თბილისურ ეზოში, ძველი ერთსართულიანი სახლის, რკინის ყავისფრად შეღებილი კარი გაიღო და ახალგაზრდა, ორმოც წლამდე მიღწეული, გემოვნებით, თეთრ, სიფრიფანა კაბაში გამოწყობილი, მაღალი, ლამაზი სახის სიმპათიური, ქერათმიანი ქალბატონი გამობრძანდა, რომელსაც ხელში ესპანური მარაო ეჭირა და მთელი ძალით სახეს ინიავებდა. ქალი უსიამოვნო სახით თავისთვის ლაპარაკობდა:

– რა საშინელებაა, ყარს აქაურობა! რა საშინელი სუნი დგას, პირდაპირ სუნთქვა აღარ შეიძლება, თანაც ამ პაპანაქება სიცხეში, – ქალს ლაპარაკი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ყავისფერი კარების გვერდით, თეთრად შეღებილი, ძველი ხის კარები გაიღო და მაღალი, თმაგაბურძგნული, წვერებგაუპარსავი, ძველ, დახეულ ჯინსის შარვალში და ჭუჭყიან, გულზე ლაქებიან, თეთრ ზაფხულის პერანგში გამოწყობილი, ორმოცდაათ წელს მიღწეული მამაკაცი გამობლაყუნდა. კარები მიაჯახუნა, რიხიანად ჩაახველა და იქვე შუაგულ ეზოში მოურიდებლად გადააფურთხა. ამის შემხედვარე ქალმა ცხვირ-პირზე თეთრი ცხვირსახოცი აიფარა და ხმამაღლა, თითქმის ყვირილით დაიწყო ლაპარაკი:

– რა ხდება, რა საშინელებაა, სად გაიზარდე, სად დაიბადე, ვინ ხარ ასეთი ბინძური, საიდან მოხვედი, სად გიპოვნა ელენემ ან როგორ მოგაქირავა ბინა, როგორ შეგიშვა სახლში?! სახელიც როგორი შესაფერისი გაქვს, ამართლებ ნამდვილად!

ქალის ყვირილზე, ყავისფერი რკინის კარებიდან ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდა, მისი მეუღლე გახლდათ, რომელმაც ქალბატონს დაწყნარება დაუწყო:

– დაწყნარდი, გულსუნდა, ნერვებს ნუღარ აიშლი, ხომ ხედავ, რომ არაფერი არ ესმის... ადამიანია თუ ცხოველი, ვერ გაიგებ!

– როგორ დავწყნარდე, კინაღამ თავზე დამაფურთხა, ისედაც ყარს აქაურობა და ნახეთ, ნაგავი სად დაუდია, პირდაპირ ჭიშკართან, თანაც ნახევარი ძირს დაუყრია. ეზოში ფეხის შემოდგმა მეზიზღება, – ყვირილით აგრძელებდა ლაპარაკს გულსუნდა.

– რა ჩვენდა ჭირად გააქირავა ელენემ ეს ბინა. რამდენჯერ ვთხოვე, მომყიდე, დამითმე შენი ბინა-მეთქი და არ დამთანხმდა. გოდერძისგან და ცისანასგან იმიტომ ვიყიდე ეს ოხერი ბინა, რომ ამ ერთ ოთახსაც ადვილად შევისყიდიდი და მთელი ეზო მხოლოდ ჩვენი იქნებოდა. ამ ძველ სახლს დავანგრევდით და ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს შევიქმნიდით, – ლაპარაკი ნერვიულად განაგრძო ქმარმა.

თმაგაბურძგნული, მეზობლის ჭუჭყიანი მდგმური კი იდგა გარინდული და უტიფარი ღიმილით მიშტერებოდა გაცოფებულ და გაავებულ ცოლ-ქმარს.

– ან ეს სახელი ვინ დაარქვა. პირველად მესმის ადამიანს ჯახირა ერქვას, – აგრძელებდა გულსუნდა.

ამის გაგონებაზე ჭუჭყიანმა მეზობელმა თავი ვერ შეიკავა და შეეპასუხა:

– ვიცი, რომ არ მოგწონვართ და ვერ მიტანთ, მაგრამ ჩემმა სახელმა რა დაგიშავათ, რას უწუნებთ?

– ნეტავ კი მოსაწონი რა გაქვთ, ან შენ და ან შენს სახელს?! ჯახირა, ჯახირა!... ნამდვილად სიცოცხლე გაგვიჯახირე, შენც მოისპე და შენი სახელიც!... ფუი, შენს კაცობას, არც კი გრცხვენია, ზეზეულად ყარხარ!... არც თავმოყვარეობა გაქვს და არც სინდისი გაწუხებს, რომ გარშემო მყოფნი არ შეაწუხო, – ქაქანებდა გულსუნდა.

– თავი დაანებე, ნერვებს ნუღარ იშლი, ჩემო კარგო! ხომ ხედავ, რომ შუბლის კანი აქვს

გასქელებული. პატრულიც მოვიყვანეთ, სანიტარული სამსახურიც, მაგრამ მასზე არაფერი არ ჭრის! ცხოველია ნამდვილი! შეხედე, რა უტიფრად იღიმება, თითქოს მას არ ეხებოდეს, რაზედაც ვლაპარაკობთ, – ამშვიდებდა ცოლს ქმარი და ხელით ანიშნებდა, რომ ეზო დაეტოვებინათ და უსიამოვნო გარემოს გასცლოდნენ.

– წავიდეთ, ნუგზარ, წავიდეთ, დილის ულუფა მიღებული გაქვს, – უპასუხა გულსუნდამ და სწრაფი ნაბიჯებით დატოვეს ზაფხულის პაპანაქება სიცხეში მყრალი ოხშივარით გაჯერებული პატარა თბილისური ეზო... ჯახირა კი იდგა და ეშმაკური, მომღიმარი სახით უყურებდა ეზოს ძველი ჭიშკრიდან ქუჩაში გასულ თეთრ, ლამაზ ზაფხულის სამოსში გამოწყობილ, მოქაქანე ცოლ-ქმარს, რომლებიც ქუჩაში მდგარ თეთრ „მერსედესში“ ჩასხდნენ და ავტომანქანით თავდაღმართს დაუყვნენ... „როგორც ჩანს თეთრი ფერი უყვართ“ – გაიფიქრა პირზე ღიმილშემშრალმა ჯახირამ და ნელი ნაბიჯებით თვითონაც დატოვა მთაწმინდაზე თბილისური პატარა ეზო...

***

ოცდასამი წლის წინათ, ოთხმოცდაათიან წლებში დატოვა სამშობლო. მძიმე ცხოვრება ჰქონდა ემიგრაციაშიც. წვალება, წამება, ჯახირი, შიმშილი, სიცივე, გაუსაძლისი შრომა... და მაინც უფლის წყალობა თან სდევდა. დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, თვე თვეს, წელი წელს და ასე თუ ისე ცხოვრება უცხო ქვეყანაშიც მოიწყო... ახალდაქორწინებული იყო, როდესაც დატოვა მისი მშობლიური სახლი მთაწმინდაზე და თბილისიდან შორს, შოტლანდიაში გააგრძელა ცხოვრება. ისე გაიზარდა მშობლები არ ახსოვდა, მამის ბიძაშვილმა ელენემ გაზარდა, მამიდად ეკუთვნოდა, მაგრამ ბავშვობიდან დედა ელოს ეძახდა. ელენესაც მის გარდა არავინ ჰყავდა, არც ქმარი, არც შვილი. თითქოსდა ერთმანეთი საგანგებოდ იპოვესო... უნივერსიტეტიც დაამთავრა, კარგი განათლებაც მიიღო, ეკონომისტობა თვითონვე მოინდომა, მაგრამ რა?! ოთხმოცდაათიანი წლები, ქვეყანაში არეულ-დარეულობა... ოჯახი ახლად შექმნილი ჰქონდა, მისი კურსელი, მეზობელ ქუჩაზე მცხოვრები ლოლიტა შეირთო ცოლად. ელენეც კმაყოფილი იყო მისი არჩევანით... მაგრამ რა?! ყველაფერი ხელსა და თვალს შუა აირია... აღარც სამსახური, აღარც არანაირი იმედი... ელენემ არც აცია და არც აცხელა, ერთ საღამოს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი საგულდაგულოდ გვერდით მოისვა და მისი აზრი მოახსენა:

– შვილებო, რატი, ლოლიტა!... გადაწყვეტილება მივიღე. გვერდით მეზობლებს, ცისანას და მის ქმარს, გოდერძის ჩვენი ბინის ორი ოთახის შეერთება უნდათ. დღეს დილით მესაუბრნენ... ორი ოთახის ყიდვა უნდათ.

– რას ამბობ, დედა ელო, სამოთახიანი ბინიდან ორი რომ მივყიდოთ, ჩვენ რაღა უნდა დაგვრჩეს? – განერვიულდა რატი.

– ჩვენ არა, შვილო, მე დამრჩება ერთი ოთახი თავისი პატარა ჰოლით, სამზარეულოთი და აბაზანით... მეყოფა, შვილო, მეტი რად მინდა?

– ჩვენ სახლიდან გვიშვებთ, ელო დედა? ჩვენ სად უნდა ვიცხოვროთ? – გაოცება ვერ დამალა ლოლიტამ.

– რას ამბობთ, შვილო, პირიქით, ყველაფერს თქვენი მომავლისთვის ვაკეთებ. ვერ ხედავთ, ქვეყანაში რა ხდება?!... როგორმე უცხოეთში უნდა წახვიდეთ, მუშაობა დაიწყოთ, ცხოვრება მოიწყოთ და მეც მომხედოთ და არ დამივიწყოთ, – ხმის კანკალით უპასუხა ელენემ.

– რა უცხოეთში, სად უნდა წავიდეთ, ვისთან უნდა წავიდეთ, ელო დედა, ეს რა გადაწყვეტილება მიგიღია, ჩვენ არაფერს გვეკითხები? ან შენ აქ როგორ უნდა დაგტოვოთ? – არ ჩერდებოდა რატი.

– მომისმინე, შვილო, მე შენი დედა ვარ, შენი ელო დედა! მე თქვენს გარდა არავინ მყავს... არ შემიძლია თქვენს წამებას და ჯახირს ვუყურო. თქვენ რომ რამე დაგემართოთ, ვერ გადავიტან. თუ გინდათ, რომ კარგად ვიყო და დიდხანს ვიცოცხლო, მე უნდა დამიჯეროთ. ამ ორი ოთახის გაყიდვით იქ იმუშავებთ, დანაზოგიც გექნებათ და მერე ისევ უკან დაბრუნდებით. ბინასაც იყიდით და ცხოვრებასაც მოიწყობთ... ერთადერთი იმედი მყავხარ, მამაჩემის და ბაბუაჩემის ოჯახიდან შენღა დაგვრჩი გვარის გამგრძელებელი, ნიკოლაძეების ჩვენი შტო შენ უნდა გააგრძელო. უნდა გამრავლდე და შვილებიც ისე უნდა გაზარდო, რომ ბაბუაჩემის, მამაჩემის და ჩემი ბიძაშვილის, მამაშენის სულებმა შვება იგრძნონ.

– ეს რა გეგმები დაგიწყვიათ, ელო დედა, – გაოცებულმა წამოიძახა ლოლიტამ.

– კი მაგრამ, სად უნდა წავიდეთ, ვისთან უნდა ვიცხოვროთ ან რა უნდა ვაკეთოთ? – ჩაეკითხა რატი.

– ყველაფერი მოგვარებული მაქვს. ჩემი მეგობრის, თამარის ვაჟი ორი წელია შოტლანდიაშია ოჯახთან ერთად. თანახმაა თავიდან მასთან იცხოვროთ. თავდაპირველად მოგეხმარებათ, შემდეგ კი თავადაც გაიკვლევთ გზას. ორივე საკმაოდ გონიერი ხართ. ინგლისურიც გეხერხებათ, – თავისას აგრძელებდა ელენე.

– რა ისეთი ინგლისური ვიცით, ისე საყველპურად თუ რაღაცას მოვახერხებთ, – ნირწამხდარმა უპასუხა რატიმ.

– ჰოდა, მით უმეტეს, ინგლისურსაც დახვეწთ, უკეთესად ისწავლით!... შოტლანდიაში ძალიან კარგი ბუნებაა, იქაურ სოფლებში ძალიან ლამაზი ცხენები ჰყავთ. შენ ხომ ცხენები ძალიან გიყვარს? – ღიმილით დაუყვავა ელომ რატის.

– მიყვარს, მაგრამ სანამ მე იქ ცხენებთან ურთიერთობა მექნება, მანამდე ბევრი წყალი ჩაივლის, – მოკლედ უპასუხა რატიმ.

– ნუ წუწუნებ, ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია არ შეშინდეთ. ახალგაზრდები ხართ, თქვენ თუ მოინდომებთ, მთას გადადგამთ! ჩემზე არ იდარდოთ. პირველ სართულზე ვცხოვრობ. აქ, თბილისურ ეზოში, რამე რომ გამიჭირდება, მეზობლები უყურადღებოდ არ დამტოვებენ, – თავისას აგრძელებდა ელენე.

– იქნებ მართალიც არის, ხომ ხედავ ქვეყანაში რა ხდება? რა გველის, არ ვიცით. არც სამსახური, არც იმედი, რა უნდა ვქნათ, როგორ უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება? – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ლოლიტამ.

– შვილებო, მე თქვენთვის ვამბობ!... გარეთ რომ გადიხართ, სულ შიში მაქვს და გული მელევა, სანამ შინ დაბრუნდებით, სულ იმას ვფიქრობ, რაიმე ხიფათს არ გადაეყაროთ!... თუ გინდათ, რომ უდროოდ არ გამისკდეს გული, რასაც გეუბნებით, დამიჯერეთ! – თითქმის მუდარით წარმოსთქვა ელენემ, ფეხზე წამოდგა და სამზარეულოსკენ ჩქარი ნაბიჯებით და თავის ქნევით გავიდა...

***

უცხოეთში, ემიგრაციაში, სამშობლოს მონატრებაში თითქმის 14 წელი გავიდა... შოტლანდია, საოცრად ლამაზი მინდვრები, მთები, მწვანე ხასხასა ბალახით დაფარული ველები, საოცრად ფერადი და სხვადასხვა ჯიშის მინდვრის ყვავილებით მოხატულ-მოქარგული. მინდვრად გაშვებული ორი თეთრი, სამი წაბლისფერი და ერთი ულამაზესი შავი ფერის ცხენები ერთმანეთს დასდევდნენ ხან წინ და უკან და ხანაც უმისამართოდ, უთავბოლოდ დაჯირითობდნენ ლამაზი ბალახის ხალიჩაზე... მინდორზე შვილობილის გვერდით ბედნიერი სახით მდგარი, სტუმრად ჩამოსული ელენე აღტაცებას ვერ მალავდა:

– რა ლამაზია, რატი, აქაურობა. ვერ წარმომედგინა თუ საქართველოს გარდა ასეთი სილამაზის ნახვა სადმე შემეძლო... ასეთი სილამაზე სვანეთში მინახავს!... ჩემს ახალგაზრდობაში ხშირად მივდიოდი მეგობრებთან ერთად სვანეთში!...

– მართალი ხარ, ელო დედა, ხშირად მიფიქრია ამაზე, მართლაც ძალიან ჰგავს აქაური ბუნება სვანეთის ბუნებას, უბრალოდ აქ სვანური კოშკები არა გვაქვს, თორემ დანარჩენი: ბუნება, ყვავილები თავისი სურნელით და, რაც მთავარია, ამ ულამაზესი ცხენებით ძალიან ჰგავს ჩვენს ლამაზ ქვეყანას, განსაკუთრებით კი სვანეთს, – დაუდასტურა რატიმ.

– შვილო, შემოდგომაზე მაინც ჩამოდით, უკვე ორი წელია, რაც არ ჩამოსულხართ, რაც იქაურობა არ გინახავთ... კარგია კომპიუტერი, სკაიპი და ა. შ. ყველაფერი, მაგრამ მაინც უნდა ჩამოხვიდეთ ხოლმე, – გაღიმებული ეუბნებოდა ელენე რატის.

– აუცილებლად ჩამოვალთ, ხოლო როდესაც უკვე საშუალება გაგვიჩნდება, რომ ჩვენს ქვეყანაში საცხოვრებელი სახლი შევიძინოთ და პირობებიც მოვიწყოთ, საბოლოოდ დავბრუნდებით და ყველანი ერთად ვიცხოვრებთ... აბა, იმ ერთ ოთახში როგორ დავეტევით მე, ლოლიტა და ორი ბიჭი, შენთან ერთად, დედა ელო? ცოტაც მოითმინე და ყველანი ერთად ვიცხოვრებთ, – რატის საუბარი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მუქი წაბლისფერი ცხენი მიუახლოვდა და წინ დაუდგა. რატიმ თავზე ხელი გადაუსვა და საუბარი განაგრძო:

– ისე მივეჩვიე, რომ ვერ წარმომიდგენია ცხენების გარეშე ცხოვრება.

ელენე გაღიმებული სახით უყურებდა ცხენს და აღტაცებას ვერ მალავდა.

– რა ლამაზია, ბეწვიც როგორ უბრწყინავს, რა საოცარი ქმნილებაა.

რატი ღიმილით ეფერებოდა ცხენს და თან საუბრობდა:

– ვისაც ცხენი ჰყოლია, ყველამ იცის, რომ ის სამყაროში ღმერთის მიერ შექმნილი ყველაზე ლამაზი, ძლიერი, ჭკვიანი და სრულყოფილი არსებაა. დიდი, ფართოდ გადაშლილი გულ-მკერდით, ულამაზესი ბეწვით... მოსიყვარულე, მომთმენი და კეთილი გულის მქონეა... დაუზარელი, დაუღლელი, ენერგიული, ცეცხლოვანი, ძლიერი, შეკრული და მკვრივი სხეულით.

ელენე თავის ქნევით ეთანხმებოდა რატის:

– მართალი ხარ, ძალიან ლამაზები არიან!

– საოცარი ქმნილებაა, საოცრად კეთილი და ძლიერი, – ამაღლებული და ბედნიერი სახით იმეორებდა რატი ერთსა და იმავეს და ისე აგრძელებდა საუბარს...

საღამოს, როდესაც შოტლანდიის პატარა, პროვინციულ ქალაქში, ქართველი ემიგრანტების ოჯახი, საქართველოდან სტუმრად ჩამოსულ ოჯახის წევრთან ერთად პატარა, გემოვნებით მოწყობილ ვილაში სავახშმოდ გაშლილ სუფრას შემოსხდომოდნენ ელენემ საუბარი დაიწყო:

– რატი, ლოლიტა, შვილებო, კარგია, რომ თბილისშიც გინდათ სამომავლოდ სახლის ყიდვა, მაგრამ მე ჩემს პატარა ოთახს ვერანაირად ვერ შეველევი. იმდენად მიყვარს ჩემი პატარა თბილისური ეზო, რომ ვერანაირად სხვაგან ვერ ვიცხოვრებ!

– მაგაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, ელო დედა, თბილისში დაბრუნებამდე და სახლის ყიდვამდე ბევრი გვაკლია... ეს პატარა ვილაც, აქაურმა მთავრობამ მოგვცა საცხოვრებლად, როგორც ემიგრანტებს, – განაგრძო საუბარი ლოლიტამ.

რატის გაეღიმა და ელენეს ხელზე მოეფერა:

– ელო დედა, შენ ნურაფერზე ნუ იდარდებ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ მოისურვებ!... ხვალ კი ედინბურგში უნდა წაგიყვანო, წინ დიდი სიამოვნება და საინტერესო სანახაობა გელის...

ჩაფიქრებული ელენე ჩაის სვამდა და უხმოდ, გაღიმებული შესცქეროდა შვილობილს, თავის ბედნიერ ოჯახთან ერთად...

***

შუადღე იდგა. საოცრად ცხელოდა. თბილისთან ახლოს, სოფელ კრწანისში პაპანაქება სიცხე იყო. ჭუჭყიანმა ჯახირამ ლამაზი მწვანე ჭიშკარი გააღო და ეზოში ჩუმად შეაბიჯა. ლამაზი თეთრი სახლიდან ლოლიტამ გამოიხედა და ხმამაღლა გასძახა:

– მოხვედი, რატი?

– მოვედი, მოვედი, აბაზანა დაკავებული ხომ არ არის? – უპასუხა რატიმ.

– არა, არ არის, შედი, სასწრაფოდ დაიბანე! – მიაძახა ლოლიტამ...

საღამოს, სოფელ კრწანისში, ლამაზი თეთრი სახლის წინ, დიდი ნუშის ხის ჩრდილში, დაბალ მაგიდაზე სუფრა გაეშალათ და ოჯახის წევრები: ლოლიტა, რატი თავის ორ ვაჟთან და დედა ელოსთან ერთად ვახშამს შეექცეოდნენ.

– დღეს რომ არ მოვსულიყავი და არ დამებანა, ჭკუიდან შევიშლებოდი, მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, – ალაპარაკდა რატი.

– შვილო, ეს რა მოიგონე, თითქმის ერთი წელია ასეთ ტანჯვა-წამებაში ხარ!... გული მიკვდება, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი, როდემდე უნდა იწვალო და იჯახირო? – შეწუხებულმა წარმოსთქვა ელენემ.

– მანამ ვიჯახირებ, დედა ელო, სანამ შენს ბინას არ გამოვისყიდი და იმ აბეზარა, უსინდისო ცოლ-ქმარს თავის გზას არ გავუყენებ!... დიახაც, მანამ მერქმევა ჯახირა, სანამ ჩემსას არ ვიზამ და იმ გაჯახირებულ ნუგზარს და გულსუნდას თავის უზნეო ოცნებებს არ დავუნგრევ და ნაწილ-ნაწილ არ დავუმსხვრევ, – არ ჩერდებოდა რატი.

– ძალიან ძნელია, რატი, ძალიან ვნერვიულობ! შენც ხომ ცოდვა ხარ ასეთ პირობებში და ასეთ სუნსა და ჭუჭყში?!... სანამდე უნდა გაგრძელდეს ეს ყველაფერი? – თავისთვის, უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ლოლიტამ...

– არა მგონია დიდხანს გასტანოს, ვატყობ, რომ მეტის ატანა აღარ შეუძლიათ! რამოდენიმე დღეში ჩემს ბავშვობის მეგობარს მივუგზავნი, როგორც ბინის მყიდველს, ისე, რომ ვერც მიხვდებიან, სინამდვილეში, რომ მე ვიქნები დაინტერესებული მათი საცხოვრებლის შესყიდვით.

– ასე ადვილად დათანხმდებიან? – ჩაეკითხა ლოლიტა.

– დათანხმდებიან!... ჭკუაზე აღარ არიან! ეზიზღებათ იქაურობა!... არადა, რა გეგმები ჰქონდათ? მთელი ეზო მუქთად ჩაიგდეს ხელში. ოცნებობდნენ კარგი „ბაითის“ აშენებაზე... რა დღეში ჩააგდეს

დედა ელო. როგორ შეავიწროვეს. საწყალ ქალს სიცოცხლე გაუმწარეს. თავის სახლში ცხოვრების უფლებას აღარ აძლევდნენ, – არ ჩერდებოდა რატი.

– მაგას ნუღარ გამახსენებთ. ეზოში ფეხის გადადგმის უფლებას აღარ მაძლევდნენ. ჩვენი ფანჯრების წინ არ გაიაროო... რამოდენიმეჯერ ღამით ჩემი შეშინებაც სცადეს, კარებზე ბრახუნს ამიტეხავდნენ და შემდეგ იმალებოდნენ. სახლი რომ გამიტეხეს და გამიქურდეს, პოლიცია ჩამაცივდა, გინდა თუ არა გვითხარი, ეჭვი ვისზე გაქვსო, მაგრამ ვერ ვუთხარი, მომერიდა ტყუილად ცოდვა არ ავიკიდო-მეთქი, არადა ნუგზარის გარდა მაგის გამკეთებელი არავინ იყო!... ვის რაში აინტერესებდა ჩემი ძველმანები? ესეც ჩემს შესაშინებლად გააკეთეს, – აღელვებული ჰყვებოდა ელენე.

– ალბათ, ეჭვიც არ მეპარება, – დაეთანხმა რატი.

– ჩვენს გვერდით ეზოში რომ ნატო ცხოვრობდა, იმან მითხრა, რომ ნუგზარი ვიცანი, ჩემს პარალელურ კლასში სწავლობდაო, რამოდენიმე წლის წინ ყაჩაღობისთვის იხდიდა სასჯელსო, – საუბარი განაგრძო ელენემ.

– მეზობლები ვერ ხვდებიან, რომ შენ ხარ? ვერ გცნობენ? – სიცილით შეეკითხა ლოლიტა რატის.

– ოცდასამი წლის წინ ვინც ცხოვრობდა უბანში, თითქმის აღარავინ აღარ ცხოვრობს და რომც ცხოვრობდეს, ასეთი იმიჯით მე თვითონ ვერ ვცნობ ჩემს თავს და ისინი რას მიცნობენ?! კარგით, დაწყნარდით!... მთავარია, იძულებული გავხადოთ, რომ ბინის გაყიდვა გადაწყვიტონ და დედა ელოს თავის ოთახები უკან დაუბრუნდეს... თვითონ ბინის წართმევას უპირებდნენ საწყალ ქალს, მის ერთ ოთახში ცხოვრების უფლებასაც არ აძლევდნენ... ისეთი გამწარებულები არიან, რომ დედა ელოს ოთახებს კი არა, მთელს ბინასაც სიამოვნებით გაყიდიან... ამ საღამოს აქ დავრჩები, ცოტას დავისვენებ, ხვალ დილიდან კი ისევ ჯახირას როლის შესრულებას გავაგრძელებ, – საუბრობდა ჯახირა და თან ვახშამს მადიანად მიირთმევდა...

***

ზაფხული გავიდა. ლამაზი შემოდგომა დადგა. თბილისთან ახლოს, სოფელ კრწანისში მინდვრები მწვანედ ბიბინებდა. იალღუჯას მოშიშვლებული, მთელს ჰორიზონტზე გადაჭიმული მთა მედიდურად გადმოჰყურებდა სოფელს. უცნაური თვისება აქვთ კრწანისის ველებს, შემოდგომაც და ზამთარიც მწვანედ ბიბინებს, სულ მწვანეა იქაურობა...

დიდ მინდორზე ორ თეთრ, რამოდენიმე ნაცრისფერ და წაბლისფერ ცხენებზე შემომჯდარი სოფლის ბიჭები თავის რაშებს ამაყად დააჭენებდნენ. იქვე მდგარი რატი სიამოვნებით უყურებდა მათ და მის გვერდით მდგომ დედობილს ესაუბრებოდა:

– ხომ მოგწონს, დედა ელო, აქაურობა? მე ძალიან მომწონს! ამ ცხენებიდან ორი ჩემია, იაფად ვიყიდე... მეტის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ფული არ მეყო...

– რა ფული გეყოფოდა, შვილო, ამდენი წლების დანაზოგი სულ იმ ოხერ გულსუნდას და ნუგზარს მიეცი, ჩემი ბინის გამოსყიდვისთვის, – უპასუხა ელენემ.

– ჰოდა, გამოვისყიდე კიდეც, მთელი მათი საცხოვრებელი დამითმეს, მათი ბოროტი ოცნებებიც ფუჭად გაიფანტა ჰაერში... მე კი აქ სიამოვნებით ვიცხოვრებ!... – ბედნიერი სახით საუბრობდა რატი.

– აქაურობაც და ჩემი სახლიც მთაწმინდაზე შენი და შენი შვილებისაა, შვილო, ხომ ხედავ, უკვე მოვხუცდი, თან ხომ არ წავიყოლებ იმქვეყნად, თქვენს მეტი ვინ გამაჩნია?! ჩვენი გვარი, შენმა შვილებმა უნდა გააგრძელონ, – ღიმილით მიმართა ელენემ რატის.

– შენ ჩვენთან ერთად დიდხანს უნდა იყო, დედა ელო, მთაწმინდაზეც და ამ სოფელშიც, კრწანისშიც, – უთხრა რატიმ დედობილს და მინდორზე მოჯირითე ცხენებს გააყოლა თვალი... შემდეგ თავისთვის განაგრძო ლაპარაკი:

– ვისაც ცხენი ჰყოლია, დამეთანხმება, რომ ის ღმერთის მიერ შექმნილი ლამაზი, ძლიერი და ჭკვიანი არსებაა!... დიდი, გადაშლილი გულ-მკერდით, მბზინავი ბეწვით და შეკრული, მკვრივი სხეულით... მოსიყვარულე, დაუღლელი, დაუზარელი, მომთმენი, ერთგული და ცეცხლოვანი ქმნილება...

კრწანისის ველზე შემოდგომის თბილი მზიანი ამინდი იდგა. ცხენებზე შემომჯდარი სოფლის ახალგაზრდები თავის ლამაზ და ძლიერ ქმნილებებს დიდ გადაჭიმულ მწვანე ველზე წინ და უკან უმისამართოდ დააჭენებდნენ...

ხათუნა დოლიძე

მატრონა მასწავლებელი

– დოროთე, დოროთეე! – გაისმა ქვის ბოკონებზე დადგმული, ფიცრული ოდის კარებთან მატრონა მასწავლებლის ხმა.

– სახლში შემობრძანდით, მასწავლებელო! – გამოეგება დამრიგებელს, ათიოდე წლის ბიჭუნა, რომელსაც დიდრონი ცისფერი თვალები ცრემლებით ავსებოდა.

– რა გატირებს, დოროთე, ავად ხომ არ ხარ? სკოლაში რომ არ მოხვედი შემეშინდა! – დაუყვავა ბიჭს მატრონამ და მოზრდილი ხელჩანთიდან ცხელ-ცხელი ფუნთუშები ამოალაგა.

– მე კარგად ვარ მასწავლებელო, მამაჩემის გამო ვნერვიულობ... გუშინ დილით ტყეში წავიდა და სახლში ჯერაც არ დაბრუნებულა! – თავი ვეღარ შეიკავა ბიჭუნამ და ხმამაღლა ატირდა. დოროთეს ტირილზე, ახლა მის უმცროს დას, მელისასაც ამოუჯდა გული და ძმას ბანი აუბა...

...დიდი ხანი არ იყო გასული, რაც დათიამ ახალგაზრდა მეუღლე – მარეხი, მიწას მიაბარა. მცირეწლოვანი შვილები: დოროთე და მელისა, მისი საპატრონო და მისახედი დარჩა.

დედით ობოლი და-ძმის ამბავს, მატრონა ძალიან განიცდიდა და ცდილობდა ხელმოკლე ოჯახს როგორმე გვერდში დადგომოდა. დათია მეტად მზრუნველი და მოსიყვარულე მამა იყო, შვილების გამოსაკვებად თავს არ ზოგავდა, სამუშაოდ უთენია გადიოდა და დაღლილ-დაქანცული, შინ გვიან ღამით ბრუნდებოდა.

მატრონას დათიას უცნაური გაუჩინარების ამბავი, ძალზე ცუდად ენიშნა– ცხადი იყო: მეზობელს რაღაც გასაჭირი ადგა და შვილებს უმიზეზოდ მარტოდმარტო არ მიატოვებდა...

... დათიას გაუჩინარების გამო, მთელი სოფელი ფეხზე დადგა. რამდენიმე მამაკაცისგან შემდგარ მაძებართა ჯგუფს, ტყე-ღრეში ხეტიალში გამობრძმედილი მონადირე – სავლე წარუძღვა. მეზობლები დაკარგულს დიდხანს ეძებდნენ, თუმცა, მის კვალს ვერსად მიაგნეს.

დაღლილ-დაქანცულებმა, როგორც კი გარშემო ჩამოწოლილი ბინდი შენიშნეს, გადაწყვიტეს უკან გაბრუნებულყვნენ და ძებნა დილაადრიანად გაეგრძელებინათ.

დაბურული ტყის სიღრმიდან გამოსულებს, უეცრად, მამაკაცის გაბმული კვნესა-გოდება შემოესმათ.

წინა დღით ამოჭრილ ძლიერ ქარიშხალს, უზარმაზარი ხე ფესვებიანად მოეგლიჯა და დათიასთან ერთად გაუვალ ეკალ-ბარდებში ჩაეხერგა.

– აქა ვართ დათია, ნუ გეშინია, მალე მოგეშველებით! – ამხნევებდა ხის მორის ქვეშ მოყოლილ მეზობელს სავლე.

დათიასთან მისასვლელი გზის გაკაფვას, კარგა ხანი დასჭირდა. ხანრგძლივი მცდელობისა და წვალების შემდეგ, კაცებმა როგორც იქნა, დათიას ბარდებიდან ამოყვანა შეძლეს...

– საკაცეზე დასვენებულ, ჭრილობებიდან სისხლმდინარე მამას, შეშინებული პატარები გარშემო ტირილით შემოეხვივნენ.

– ქალბატონო, თქვენ ალბათ მისი მეუღლე ხართ. სიკვდილს მართლაც სასწაულებრივად გადაურჩა. ხეიბარი არ დარჩება, თუმცა, ძლიერი დაზიანების გამო, მის გამოჯანმრთელებას დიდი დრო დასჭირდება! – ხმადაბლა გადაუჩურჩულა მატრონას ექიმმა.

– დათიას მეუღლე ახლახანს გარდაეცვალა. მე დოროთეს დამრიგებელი ვარ, აქვე, მეზობლად ვცხოვრობ... ობლების სანახავად მოვდივარ ხოლმე! – მორცხვად ჩაილაპარაკა მატრონამ და უხერხულობისგან ღაწვები ვარდისფრად შეეფაკლა.

იმ დღის შემდეგ, მატრონა დათიასა და ობლების დასახმარებლად, ყოველდღე მიდიოდა.

რამდენიმე თვეში დათია სრულიად გამოჯანმრთელდა და ახლა უკვე, დამოუკიდებლად შეეძლო ოჯახის მოვლა-პატრონობა. მატრონას ყოველდღიურ სტუმრობას იგი იმდენად შეეჩვია, რომ როგორც კი ქალს მოსვლა შეუგვიანდებოდა, უცნაური შფოთვა იპყრობდა ხოლმე.

ამ ხნის მანძილზე, მის გულში მეტად ფაქიზი გრძნობა ჩასახულიყო, რომელიც მოსვენებას აღარ აძლევდა.

ერთ დღესაც, როცა ჩვეულებისამებრ, სკოლიდან მოსული მატრონა ესტუმრა, დათიამ შვილები გარეთ დაიგულა თუ არა, ქალთან საკუთარი გრძნობების გამხელა სცადა:

– მარტრონა, დიდი ხანია თქმას ვაპირებდი, თუმცა, აქამდე ვერაფრით შემოგბედე! – დაიწყო მამაკაცმა მღელვარე ხმით.

ამ სიტყვებზე მატრონას გულის სიღრმეში ეჭვები აღუძრა, წარბები მრისხანედ შეყარა და დათიას და ისეთი მზერით გახედა, თითქოსდა, აფრთხილებდა: ზედმეტი არაფერი წამოგცდეს, ჩემთან არაფერი შეგეშალოსო!

მისმა გამომეტყველებამ აღელვებული მამაკაცი, კიდევ უფრო დააბნია...

– მატრონა, მინდა ცოლობა გთხოვო. დღე და ღამე შენზე ვფიქრობ, ბავშვებსაც ძალიან უყვარხარ. თუკი თანახმა იქნები, უბედნიერესი ოჯახი გვექნება! – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოილუღლუღა დათიამ და უხერხულობის დასაფარავად იატაკს დააშტერდა.

მატრონა ჯერ გაოცებული შედგა, შემდეგ კი, უეცრად, სახეში სილა გააწნა და სახლი უკანმოუხედავად დატოვა...

იმ დღის შემდეგ, დათიას ოჯახში ფეხი აღარ დაუდგამს. ობლების ამბავს შორიდან, მეზობლების დახმარებით იგებდა.

პატარები ძალიან განიცდიდნენ, რომ მატრონა მასწავლებელი არ აკითხავდათ, ყოველდღე მოუთმენლად ელოდნენ, სახლის კარი როდის გაიღებოდა და სათნო თვალებით მომზირალი მასწავლებელი ოთახში როდის შემოაბიჯებდა.

მალე ცხელი ზაფხულიც მიილია და სკოლის შენობა ისევ ბავშვების ჟრიამულმა აახმაურა.

მატრონამ საკლასო ოთახში მერხებთან მსხდარ მოწაფეებს თვალი გადაავლო და დოროთე რომ ვერ შენიშნა, ძალიან შეწუხდა. ბიჭუნა სკოლაში არც მეორე დღეს გამოჩენილა.

შეწუხებულმა ამბის გასაგებად დათიას ოჯახში ბავშვები გააგზავნა.

– მატრონა მასწავლებელო, დოროთე უკვე კვირაზე მეტია რაც შეუძლოდ ყოფილა! – აცნობეს მასწავლებელს უკან დაბრუნებლმა მოსწავლეებმა.

მატრონა საშინლად აღელდა, ადგილს ვეღარ პოულობდა. გაკვეთილები დასრულდა თუ არა, იგი მაშინვე დოროთეს სანახავად გაეშურა...

ფიცრული ოდის ღია აივანი გაიარა და კარებზე რამდენჯერმე დააკაკუნა. მის დანახვაზე დათიას სახეზე ალმურმა გადაკრა. დაბნეულმა მამაკაცმა სტუმარი სახლში გაუბედავად შეიპატიჟა.

– როგორ მომენატრეთ მატრონა მასწავლებელო. მე და მელისა უშენობას ძალიან განვიცდიდით! – წამოიძახა ავადმყოფობისაგან ფერმიხდილმა დოროთემ და ტირილი დაიწყო.

– მეც ძალიან მომენატრეთ, ჩემო კუდრაჭებო! – სათითაოდ გადაეხვია პატარებს თვალცრემლიანი მასწავლებელი.

– მატრონა, პატიება უნდა გთხოვო. მომიტევე ჩემი მაშინდელი საქციელი. შენსავით არავის შეუძლია ჩემი საბრალო ობლებისთვის უდედობის ტკივილის შემსუბუქება! ძალიან გთხოვ, ბავშვებს ჩემს გამო ზურგს ნუ შეაქცევ! – შეევედრა დოროთეს სასთუმალთან ჩამომჯდარ მატრონას დათია.

– იცი, აქ მოსვლამდე ბევრი ვიფიქრე... მინდა რომ თქვენთან ერთად ვიცხოვრო. მე შენს პატარებს ვჭირდები! – მორცხვად წარმოთქვა ქალმა.

– არა მარტო პატარებს, მეც მჭირდები მატრონა! – უპასუხა დათიამ და სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა.

სერგი ლომაძე

აგვისტო აჭარაში – 2022-08-14

ბევრია დასაწერი;

როგორმე მაინც უნდა ჩავატიო, ყოველივე ეს, ერთ სტატიაში. არადა, რამდენიმე, თანაც – ერთიმეორეზე უფრო მრავალფეროვან დღეზეა საუბარი...

არაერთხელ მითქვამს, რომ პოეზია არის სამყარო, მთელი სამყარო, პოეზია არის მეტიც...

და სწორედ რომ ძალიან გაპოეტურდა ისედაც ულამაზესი აჭარა აგვისტოს პირველ დეკადაში, ოთხი-ხუთი დღის მანძილზე, როცა ამ ღონისძიებათა სერია მიდიოდა, რომელზედაც ახლა უნდა დავწერო. საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს, თავისებურ ფესტივალად იქცა, ხელოვნების ფესტივალად, რომელსაც ორგანიზება გაუწია ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის აჭარის ფილიალმა და ჟურნალმა „ხატიმამულმა“. ფილიალსაც, ჟურნალსაც ნანა (ნანი) მომცელიძე ხელმძღვანელობს. მას გვერდით დაუდგა მთელი აკადემია, მხატვართა კავშირი და კიდევ სხვა პიროვნებები (აქვე მსურს გამოვარჩიო ნანის მეუღლე – ნიაზ ცივაძე, რომელიც, რა თქმა უნდა, უფროსია მათი ოჯახისა, და ძალიან უწყობს ხელს ცოლის წინსვლა-წარმატებებს).

ოთხმოცდაცხრამეტში შემოქმედებითი ჯგუფი „ზღვარი“ დაარსდა, რომელშიაც მე, კახა და ზუხბა გამოვირჩევით.

ორიათასათში დაარსდა აკადემია, რომელსაც დღემდე მეთაურობს გულნაზ ხარაიშვილი.

ათ წელზე მეტ ხნის შუალედმაც კი ვერ დააშორა „ზღვარისა“ და აკადემიის გზები, და ჩვენ, ორივე მხარემ, ერთად, ბევრი რამ ვაკეთეთ.

ნანი ათიანი წლების ბოლოს ან ოციანი წლების დასაწყისში გამოჩნდა აკადემიაში და მაშინვე ლიდერთა შორის აღვაზევეთ. ყველამ ერთად შევუწყვეთ ხელი მის წინსვლას. შემდეგ კი, როცა თბილისიდან აჭარაში (ბათუმში) გადავიდა საცხოვრებლად, იქ აკადემიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული ფილიალი, ასევე – ბრწყინვალე ჟურნალი დააარსა.

და აი, სწორედ მან მიგვიწვია, ყველანი, აჭარაში, საპატიო სტუმრებად, რათა მონაწილეობა მიგვეღო ორ ძირითად ღონისძიებაში, სხვა შეკრებებშიც (შეხვედრებშიც), და დაგვეთვალიერებინა აჭარის საოცრებანი.

თბილისიდან, კახა ბაციკაძის მუქმწვანე ოპელით, ბათუმისაკენ ავიღეთ გეზი მე, კახამ, ირმა ფირცხალავამ (კახას მეუღლემ). ვიცოდი, რომ ღონისძიებებს ასევე დაესწრებოდნენ ქალბატონი გულნაზი, მამა ამირან ამირანაშვილი (ხელოვანი, რომელიც სასულიერო სამყაროში მოღვაწეობს ძი-

რითადად), პოეტები – თემურ გოგსაძე, ეთერ ჭელიძე, ლამზირა შეყილაძე, შორენა მამალაძე, გერმანე საზანოელი და სხვები.

ჩვენ, სამეულმა, საქართველოს დიდებული სივრცეები გავიარეთ ჯერ კიდევ აჭარაში ჩასვლამდე. ვიარეთ დიდხანს, მზის ჩასვლის საოცარ სურათს შევესწარით, ხოლო აჭარაში ღამით ჩავედით. ფერადად ენთო დიდი, ზღვისპირა ქალაქი (საქართველოს მეორე-მესამე ქალაქი), თავისი ცათამბჯენებით. ზღვა იწვა, როგორც საოცრება. ზღვას უყვარს ბათუმი, თუმცა მომეჩვენა, რომ წყლის ეს უსაზღვრო სტიქია ცოტათი გაბრაზებული უყურებდა ცათამბჯენებს. ზღვაზე, აქა-იქ, ანთებულიყო გემები, რომელნიც სხვადასხვა მანძილით გაეყვანათ, მეზღვაურებს, წყალში.

აჭარაში ორი უდიდესი სტიქია, – მთები და ზღვა ხვდება ერთმანეთს. საოცრებაა აჭარული სივრცეები: მთები, როგორც ნაწილნი ზეცისა, ზღვა, როგორც ნაწილი ოკეანის; სოფლები, ვარსკვლავებად მიმობნეულნი მთების კალთებსა, ტყეებსა და ველებზე, და ბათუმი – აჭარის (მთელი საქართველოს) სიამაყე...

ის ღამე ნანის სტუმართმოყვარე ოჯახში გავატარეთ, ხოლო მეორე დღეს, უკვე ნიაზის ვერცხლისფერი ყველგანმავალი ჯიპით, მაღალმთიანი აჭარისაკენ ავიღეთ გეზი, – მე, კახამ, ირმამ, ნანიმ, ნიაზიმ, რომელსაც მანქანა მიჰყავს და, რთულ გზებზე, რომელნიც მიწით, ქვებით დამეწყრილია ალაგ-ალაგ, და საკმაოდ ხშირად გადის უფსკრულების თავზე, დიდოსტატურად მართავს რულს (საჭეს), დიდებულად მიდის ჩვენი ჯიპი, მივარღვევთ სივრცეებს. ავდივართ სულ მაღლა და მაღლა. ვიცით, რომ სხვა მანქანებიც მოდიან ღინისძიებაზე, რომელიც ლამის მთებშია დანიშნული.

– ნეტა ახლა რას საქმიანობს ქალბატონი გულნაზი? – ვიკითხე, – ძალიან დაღლიდა ასეთი რთული მოგზაურობა?!

– მაგას რა დაღლის! – მეუბნება კახა.

– ლექსს წერს, ალბათ, მანქანაში, – მეუბნება ნანი.

ორივენი მართალნი უნდა იყონ. მართლაც რა დაღლის გულნაზ ხარაიშვილს, თანაც, – მართლაც სად აღარ მოსვლია მუზა და მიუმართავს კალამ-ფურცელისთვის!

ხოლო ჩვენი მოგზაურობა გრძელდება.

ტყიანი მთა-კლდეები, ხევები, ჩანჩქერები, ალპურმა ზონამ შეცვალა. მდინარე და ტყენი ქვევით დარჩა. გამოჩნდა მაღალი მთები. ესენი თავისუფლად გადააჭარბებენ, სიმაღლით, ორიათას მეტრს. ესენი კი არა, აი, გოდერძის უღელტეხილიც, სადაც ახლა ამოვაღწიეთ, მგონი ორიათასზე მეტია.

გავაჩერეთ მანქანა. თაკარა მზეა. ადამიანები დაფუსფუსებენ ირგვლივ. ჩრდილს შევაფარეთ თავი. ამ დღეს აჭარის ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია და მთავრობის წევრებიც, ხალხიც, იქითკენ მიემართება. ჩგარკვეული ღონისძიებებია დაგეგმილი, მათ შორის – დოღიც: უნდა გამოარჩიონ საუკეთესო მხედარი და საუკეთესო ცხენი.

სამი-ოთხი თვის განმავლობაში ნანიმ უკვე მესამედ მოახერხა ჯგუფ „ზღვარის“ ლიდერების აჭარაში ჩაყვანა. ეს რეკორდია. აი, აგერ მესამედ მოვხვდით, აქ, მე და კახა, შემოქმედებითი კუთ-

ხით, მაგრამ ასეთ სიმაღლეზე, აჭარაში, ერთხელაც კი არ ვყოფილვართ (თუმცა, საერთოდ, საქართველოს ბევრ მთაზე ვართ ნამყოფი, მათ შორის – დიდ აბულზედაც, რომლის სიმაღლე სამიათასსამას-ათი (3310 მეტრია ზღვის დონიდან). ახლოს მივედით ბეშუმთან – აჭარის ყველაზე ცნობილ კურორტთან, რომელიც, თურმე, ჰგავს გურიის ლეგენდარულ კურორტს – ბახმაროს (გურიაში ძალიან უყვართ გომის-მთაც).

პირველი ღონისძიება ბეშუმთან მდებარე ერთ-ერთ ტყე-პარკთან გავმართეთ, ღია ცის ქვეშ. აქ ნანის ნახატები იყო გამოფენილი. მათ ფონზე წარიმართა ღონისძიება, რომლის წამყვანი გახლდათ ხათუნა დოლიძე. გამოფენის მოწყობა-ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანა აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ – გურამ ფუტკარაძემ. მას გვერდს უმშვენებდა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე – გურამ ცერცვაძე. დიახ, ორივე დიდოსტატი-ხელოვანი დაესწრო გამოფენას. ამით, მათ, პატივი დასდეს მთელს აკადემიას, ბევრნი გამოვედით სიტყვით, ითქვა ლექსებიც... კახამ და ნანიმ ერთობლივად იმღერეს... საერთოდ. მთელი ამ დღეების განმავლობაში, უამრავჯერ იმღერეს, მათ, კახას ოქროსფერი გიტარის თანხლებით. ეს პიროვნებები, როგორც ცალ-ცალკე, ისე – ერთად, ერთ დიდ ზეიმს წარმოადგენენ. მიხარია, როცა მათ ვუყურებ. საერთოდ, მიხარია, როცა ვუყურებ კარგ ადამიანებს, ფენომენალურ ადამიანებს. კახას შესახებ ბევრჯერ დამიწერია და ბევრმა იცის, რომ იგი, ფენომენი, შეუდარებელ ხელოვნად მიმაჩნია. უზარმაზარი, დაუმორჩილებელი პოეტური სულის მქონე მრავალმხრივი ადამიანია. ახლა კი...

ახლა ნანიზე ვიტყვი.

მრავლმხრივია ნანიც. აკადემიამ სრულიად მისცა მას, თავის წარმოჩენის საშუალება. ნანის მხატვრობა არის მოვლენა. იგი სხვადასხვა სტილში მუშაობს, – თექაზე ფერადი მხატვრობა, ფერად მძივებით ქარგვა-მხატვრობა-ხატწერა და ასე შემდეგ. უამრავი თემა დაამუშავა. საოცარი სამყარო შექმნა, საიდანაც პირდაპირ იღვრება ფერთა ოკეანე. ცოცხლდება ნახატები და საოცარ სამყაროში გადაჰყავს მხილველნი. ახლა ამას დაუმატეთ ნანის დაუოკებელი ლტოლვა მუსიკისადმი და მისი მრავალფეროვანი პოეზია (რომელმაც პოეზიის დედოფლის – ანა კალანდაძის პრემია დაიმსახურა. მოგეხსენებათ ის ფაქტი, რომ ანას ყველაზე ხშირად უწოდებენ პოეზიის დედოფალს)...

ღონისძიების შემდეგ იქვე, ბაღში (ტყე-პარკში), პურობა გაიმართა, ცივი, უგემრიელესი წყაროს პირას, მერე კი ბეშუმისაკენ ავიღეთ გეზი. როცა ვიხსენებდი გამოფენასთან მოფუსფუსე ორივე გურამსა და ნანის, მახსენდებოდა სამყარო ფიროსმანისა.

ბეშუმი მართლაც საოცრება ყოფილა, თავისი ჰაეროვანი სივრცეებითა და ცაში ატყორცნილი ალპური მთებით. აქ სხვადასხვა სახლში გადავნაწილდით ეს ამდენი სტუმარი. ღონისძიებაში მონაწილე ბევრი ადამიანის სახელი არ ვიცი, და ამას, ალბათ, დამატების სახით მიაბამენ ჩემს სტატიას, რომ მათი სახელებიც იყოს აქ. სადაც ჩვენ აღმოვჩნდით, იმ სახლის პატრონს მგონი ნათელა ერქვა. აჭარაში დამსახურებული ქალბატონი უნდა იყოს. ერთმა ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც ტყე-პარ-

კის სუფრის გაწყობაში ლომის წილი დაიდო, თქვა, – ნათელას შვილი ვარო, დღეს ჩვენთან გაათევთ ღამესო, და ასე შემთხვევით გავიგე დიასახლისის სახელი (თუ სწორად დამამახსოვრდა), არადა, ვიმეორებ, – იგი ნანის მეგობარი და ფრიად პატივსაცემი ადამიანი ჩანს.

ღამე აცივდა. თვით ზაფხულშიაც კი იცის სიცივეები მაღალმთიანმა ადგილებმა. დაინთო კოცონი. იქვე პატარა მაგიდა იყო, რომელთანაც ვისხედით მე, გერმანე და სამი ასევე საინტერესო ადამიანი, ლუდს და მისაყოლებლებს შევექცეოდით კარგახანს. მომხიბლა ამ პიროვნებების უბრალოებამ, იუმორმა, მომხიბლა მეგობრულმა გარემომ. ბევრ დასამახსოვრებელ რამეზედაც ვისაუბრეთ, მაგალითად: ერთ-ერთმა მათგანმა ამიღწერა, თუ როგორ ავიდა იალბუზზე, სხვა ალპინისტებთან ერთად.

როცა ისინი წავიდნენ, კოცონთან გადავინაცვლე, სადაც მარტოდ დავრჩით მე და კახა, და ვუმზერდით სივრცეებს, ვარსკვლავებით გადავსებულ ზეცას, მთებს, გიგანტური სიდიდის კეთილი დრაკონებივით რომ აზიდულიყვნენ ერთდროულად ბნელ და ნათელ სივრცეში. უცნაური, დიდი ჩრდილებიც, ასევე – რაღაც ნათებებიც გაკრთებოდნენ ხოლმე მთათა სივრცეებზე.

მე ვფიქრობდი, ვფიქრობდი...

დიდი რამაა ფიქრები, ხოლო

ფიქრების ერთ-ერთი საუკეთესო

ნაწილია მოგონებანი – ტკბილი მოგონებანი...

ო, რა ტკბილად მოვიგონებ (გავიხსენებ), ოდესმე, აჭარის აგვისტოს ამ დღეებს, საერთოდაც, – ბოლო სამივე ჩასვლას აჭრაში!..

კოცონი ჩაქრა, აცივდა, ოთახებს მივაშურეთ.

გათენდა ნისლიანი დღე. ნისლს თითქმის სრულიად წაეშალა ირგვლივეთი, მაგრამ როცა მწვანე ტბისაკენ გავეშურეთ, ისევ იძალა მზემ. ყველაფერი გადანათდა.

როგორც მითხრეს, აჭარაში ბევრი ტბაა, თუმცა არცერთია, ალბათო, ისეთი პოპულარული, როგორიც – მწვანე ტბაო. ეს წყალ-სივრცე მთებში მდებარეობს და მართლაც მწვანე ფერი აქვს. მანქანაში, ხუთეული, საზეიმო განწყობაზე ვიყავით, რამეთუ დიდი იყო მოლოდინი. გვიხაროდა. გვებედნიერებოდა სამყარო.

მწვანე ტბამ არ გაგვიმტყუნა მოლოდინი. პირიქით, – ელვარებდა, ბრწყინავდა -ანათებდა წყალში მზეჩავარდნილი ზურმუხტული სივრცე. მიდი ახლა და გაიგე, თუ რატომაა ასეთი მწვანე, ხასხასა, მანათობელი. აბუდელაურის ტბებზე ამბობენ, – სამი ფერისანი არიანო: მწვანე, ლურჯი და თეთრიო. მთებში, ზეცაშია ეს ტბები. მთელი მითოლოგია-ფილოსოფია აიგო მათზე.

ხოდა, როგორც ჩანს, ერთ-ერთი, ანუ – მწვანე ტბა იმ სამეულს გამოეპარა, აგერა, აქ დასახლებულა, – აჭარის მთებში!

აუ, რა ლამაზია, მწვანეში (ფერადებში და მწვანეში) ჩაფლული ეს მწვანე საოცრება!

გავვოცდით ყველანი – ათეულობით ადამიანი. პირადად მე რაც შემეხება, მე მთლიანად შემოვიარე ტბა, – იგი არა დიდი მოცულობისა.

იქაც, ტბის თავზე, ზემოთ, იყო პურობა. თემო თამადობდა. როგორც ჩანს, აკადემიაში, ძირითადად, ხან მამა ამირანი თამადობს, ხან – თემო. ორიათასოცი წლიდან მოყოლებული, მე და კახა, რიგ მიზეზთა გამო, ძველებური სიხშირით აღარ დავდივართ აკადემიაში და იქაური ამბები ძველებურად კარგად აღარ ვიცით. ახლა ვაკვირდებოდით ყევლაფერს.

აკადემიის ლიდერთა ამბავი ასეთია: თავიდან მეუფე თადეოზი, ქალბატონი გულნაზი, მე და კახა ვქმნიდით, იქ, ამინდს. მერე მეუფე გარდაიცვალა და სამნი დავრჩით. როცა მამა ამირანი შემოგვემატა, გულნაზ ხარაიშვილი, ამირან ამირანაშვილი, სერგი და კახა – ასეთი ოთხეული აღმოვჩნდით წამყვან პოზიციებზე. საერთოდ, ჩემი და კახას გავლენა, მთელს აკადემიაზე, უმკვეთრესი იყო. ჩვენ ვაძლიერებდით ქალბატონი გულნაზის პოზიციას, სხვების – მთელი აკადემიის პოზიციასაც. ახლაც უდიდესი პატივისცემა გვაქვს ამ ორგანიზაციისადმი, თუმცა სხვაგან და სხვაგან უფრო ვაქტიურობთ. მიუხედავად ამისა, ვინარჩუნებთ ამ დიდებულ ხალხთან ურთიერთობას, ხოლო ნანა მომცელიძე, გარკვეულწილად, ხიდის როლსაც ასრულებს „ზღვარსა“ და აკადემიას შორის. ნანა ხომ ჩვენი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია.

დღეს, ვერ გეტყვით ზუსტად, ვის რა პოზიცია აქვს აკადემიაში. მგონი რამდენიმე ადამიანი ცდილობს თავის წარმოჩენას. რაც შეეხება ქალბატონ გულნაზს, მთელი ამ დღეების განმავლობაში იგი ნაკლებად აქტიურობდა, თუმცა მისი წონა-გავლენა „კულისებიდანაც“ საგრძნობი იყო.

თავიანთი პიროვნებანი მკვეთრად წარმოაჩინეს მამაკაცებმაც და ქალბატონებმაც. თემომ, როგორც

პოეტმა და ორატორმა, დიდებულად ითამადა. რაც შეეხება მამა ამირანს, იგი ბოლო დღემდე თითქმის ჩრდილში რჩებოდა, თუმცა ასეთი პოზიციაც უხდებოდა. რაც შეეხება ბოლო დღეს, ფინალს, მაშინ ყველაზე მეტს სწორედ მამა ამირანი აქტიურობდა. იგი მოექცა კიდეც ყურადღების ცენტრში...

იმ დღეს, საღამოს (ღამით) ბათუმში დავბრუნდით, და რადგანაც ნანის უახლოესი ადამიანები ჩამოუვიდა, სტუმრად, თბილისიდან, მე, კახამ და ირმამ ვთხოვეთ მას, რომ ეგებ ჩვენც სასტუმროში გაგვეთია ღამე, ღონისძიების სხვა მონაწილეთა მსგავსად (არ გვსურდა, რომ შეგვეწუხებინა მასპინძლები).

მართალი გითხრათ, სასტუმროშიც მომეწონა ღამისთევა. კომფორტული სასტუმრო იყო. ტკბილად მეძინა. ძალები სრულად აღვიდგინე.

შემდეგ დღეს დელფინარიუმში წავედით. ადრე ვიყავი მანდ და ვნახე შოუ ამ უჭკვიანესი პატარა ვეშაპებისა – დელფინებისა. ახლა დაკეტილი აღმოჩნდა დელფინარიუმი. სამაგიეროდ გასაოცარი თევზებით დასახლებული სხვადასხვა სიდიდის აკვარიუმები გვაჩვენეს. თევზების (ასევე – წყლის სხვა სულიერი არსებების) ფერადმა სივრცემ სრულიად დაგვიპყრო. პირადად მე თითქოს რაღაც კოსმიური, პოეტური მუსიკა ჩამესმოდა, ამ ყოველივეს მნახველს, და ვფიქრობდი, რომ, პოეზია არის სამყაროები, უფრო მეტიც... აუ, რა პოეტური იყო ირგვლივეთი!..

აკვარიუმების სანახავად არ წამოგვყოლია აკადემიის პრეზიდენტი. ეს იმდენად არ გამკვირვებია, მაგრამ სამების ტაძრის მთაზეც რომ არ წამოვიდა ქალბატონი გულნაზი, ამან დამაფიქრა. ალბათ საბოლოო – გენერალური ღონისძიებისთვის ემზადებოდა...

სამების ტაძრის მთა!

საოცრად პოეტურია!

ეგ არის ბათუმის მთაწმინდა. მისგან, გონიოს მთისაგან და კიდევ რამოდენიმე ადგილიდან (მაგალითად – პეტრას ციხესიმაგრე) საოცარზე საოცარი ხედები იშლება.

მაგრამ მანამდე სხალთის ტაძარი ვნახეთ, წინა დღით, სადაც ადგილობრივ, ახალგაზრდა სასულიერო პირს, დაკეტილი მონასტერი გააღებინა მამა ამირანმა, და იქ ლოცვანი აღავლინა. ამავე ტაძრის ეზოში ძალიან თბილად მომექცა ორი აკადემიელი ქალბატონი: მათ შემომთავაზეს უგემრიელესი ფახლავის თაფლივით ტკბილი ნაჭრები, თან მესაუბრებოდნენ **ჩემივე პოეზიის შესახებ. ტკბილი იყო** როგორც ფახლავა, ასევე – ჩვენი საუბარი... იმავე დღეს, უკვე გვიან საღამოს, მახუნცეთის საოცარი ჩანჩქერი ვნახეთ. აღუწერელია გადმოცემა მისი სიმაღლე-სილამაზისა. პირდაპირ ციდან გადმოდის წყალი, და თეთრად აერთებს ზეცა–დედამიწას. ისე აღვივსე აჭარის მთების ძალითა და იმ ჩანჩქერის სილამაზით, რომ როცა, დღის ბოლოს, რატომღაც ვიღაცამ მკითხა, – ვისი ან რისი გეშინიაო, მე ვუთხარი, – არავისი და არაფრის მეშინია-მეთქი. უძლეველობა, მარადგამარჯვებულობა ჩასახლებულიყო ჩემში. საერთოდ, საქართველოს ზოგი ადგილი ისეთია, მათ რომ იხილავ, გაიფიქრებ, – აი, აქ შეიძლება გასხივოსნდეს, განღმერთდეს ადამიანიო...

აი, მივდივართ სამების ტაძრის გზაზე. „მარშუტკაში“ ვიმყოფებით ბევრი ადამიანი. ვსაუბრობთ, არის ხუმრობა-ლაღობანი. მიყვარს ქართული იუმორი. მერე ის იყო, – კახამ და ნანიმ ლექსებითა და სიმღერებით რომ აავსეს მთელი ეს გზა. ანთებულები ავედით ტაძრის ახლოს. იქ გაჩერდა მანქანა. გზა ფეხით გავაგრძელეთ. გრილი ტყე მალე შეწყდა. გამოჩნდა ზეცას მიხატული ტაძარი, რომელთანაც კიბეებით უნდა ახვიდე. ზოგიერთნი, რომელთაც ბევრჯერ ენახათ ღვთის ეს სახლი, ქვევით დარჩნენ, ხოლო მე, კახა, ირმა, ეთო, ლამზო, შორენა და ეკო (ეკა ბრეგვაძე) ავუყევით საფეხურებს. ავედით სულ ზევით, მწვერვალზე, და ვიხილეთ წმინდა შენობა, მზისფერ ქვისაგან აგებული (ამ მხრივ, მან, სამების დიდი, თბილისური ტაძარი მომაგონა). ეს ეკლესია-ტაძარი კი დიდი არაა, ბათუმის ეს მარგალიტი, თუმცა ულამაზესია გარედანაც და შიგნითაც. რაც შეეხება ხედს მთიდან, – ჩანს ბათუმიც, ზღვაც, სხვა სივრცეებიც... თითქოს უკვდავებას, მარადისობას გასცქერ... საოცრებაა!.. ბათუმში ვიღაცამ მითხრა, რომ იქ, მთის თავზე, დიდი ხნის წინ, ბერები ცხოვრობდნენო, მაგრამ უკვე კარგა ხანია, რაც იქ დედათა მონასტერი არისო...

მთელი ამ დღეების განმავლობაში, რომელთაც აღვწერ, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადამიანისაგან, მოვისმინე ლექსები, მოვისმინე სიმღერები, ყური დავუგდე მათ საუბრებს, სიტყვით გამოსვლებს... ბევრი, ბევრი საინტერესო რამ გავიგე... მაგრამ მთავარი ღონისძიება ჯერ კიდევ წინ იყო.

მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ამ დღეებშივე გავიცანი ნიაზ ცივაძის უახლოესი სანათესავო, მათ შორის – მისი შვილიშვილი და რძალი, რომელნიც ასევე იღებდნენ მონაწილეობას ჩვენს ამ მოგზაურობებში...

მთავარი ღონისძიება დაახლოებით ოთხ საათზე დაიწყო, იმ შენობის ერთ-ერთ დარბაზში, რომელშიაც არის „ხატიმამულის“ რედაქციაც, აკადემიის ფილიალიც, აჭარის ერთ-ერთი ტელევიზიაც (რომელსაც ჯემალ მეგრელიძე ხელმძღვანელობს) და სხვა დაწესებულებებიც. მოკლედ, ეს შენობა ნანის და მისი მეგობრების ერთ-ერთი მთავარი შტაბ-ბინა, ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია ბათუმში. დარბაზში ერთმანეთის პირისპირ წარსდგა ქართლისა და აჭარის რჩეული საზოგადოებანი. იყვნენ, აქ, სხვა კუთხეების წარმომადგენლებიც. მოკლედ, ეს გახლდათ მთელი საქართველოს (აღმოსავლეთ-დასავლეთი) თავისებური მინი-სურათი.

საღამოს წამყვანი ისევ მშვენიერი ხელოვანი ხათო დოლიძე გახლდათ, ხოლო ნანი შეძლებისდაგვარად აკონტროლებდა, არეგულირებდა ყველაფერს. იგივე ფუნქცია ჰქონდა გულნაზ ხარაიშვილსაც. ქართველნი ხომ ემოციური ხალხი ვართ და, როგორც სუფრაზე თამადას, ასევე შემოქმედებით ღონისძიებაზე ორგანიზატორებს, წამყვანს, თვალყურის დევნება მართებთ ყველაფერზე, რომ მოვლენათა სადავენი არ გაექცეთ ხელიდან.

ადამიანები ამბობდნენ ლექსებს და გამოდიოდნენ სიტყვით. საინტერესო შეხვედრა იყო. ერთი ეგ არის, რომ აჭარის წარმომადგენელთაგან ბევრს არ ვიცნობ კარგად. გამიჭირდება მათი აქ დასახელება. თუმცა ვიტყვი კი, რომ ღირსეულად დაგვხვდნენ, ღირსეულად წარმოაჩინეს თავი. ცოდნა-განათლება, გონიერება, ინგელიგენტურობა, ყოველთვის ახასიათებდა აჭარის რჩეულ ნაწილს. ახლაც ასეა. საერთოდ, მთელს აჭარაში იგრძნობა, მათ ყველა ფენაში, რომ არის, ამ ხალხში, ინტერესი ყველაფერ კარგისადმი, ნათელისადმი. (ამ მხრივ პარალელს გავავლებდი, ვთქვათ, აჭარლებს, გურულებსა და მესხებს შორის).

აღმოსავლეთმა მოიწონა დასავლეთი, დასავლეთმა მოიწონა აღმოსავლეთი.

როცა ჩემი ჯერ მოვიდა, სიტყვა ვთქვი, თუმცა ლექსის წაკითხვაც მთხოვეს. წავიკითხე „უმანძილობა“. რამდენიმე შეცდომა დავუშვი, წაკითხვისას, ტექსტის კუთხით, თუმცა ემოციურად გადმოვეცი ლექსი, ემოცია კი მთელს საქართველოში მოსწონთ, მითუმეტეს – დასავლეთში. აპლოდისმენტებით აფეთქდა დარბაზი. ღონისძიების შემდეგ ადამიანებმა მითხრეს, რომ ისევ დავამტკიცე ჩემი მეფობა, უდიადესობა... გამახსენდა, თუ როგორ გამომაცხადეს საუკეთესოდ ოთხმოცდათექვსმეტ (1996), ორიათასსამ (2003) და კიდევ სხვა წლებში. (ჩემზე უფრო ხშირად კი ჩემსავე ჯგუფს – „ზღვარს“ აღიარებდნენ და აღიარებენ). აი, ორიათასოცდაორი წელია და, ისევ მოდის, ჩემთან, წარმატებანი – ხელოვნების კუთხით. პოეზია ყველა და ყველაფერია ჩემთვის, მაგრამ... მაგრამ არაფრით უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ჰყავდა გასაოცარი სიდიდის პოეტები. პოეზიის მეფე შოთა რუსთაველი გახლავთ. აქვე ჩამოვთვლი სხვებს, რომელთაც ასევე მოიხსენიებენ ხოლმე ამ ტიტულის მფლობელებად, – ბარათაშვილი, ვაჟა, გალაკტიონი, ხოლო ათწლეულებში პოპულარობაქმნილი ტერენტი გრანელი (სხვათა შორის, ჩვენი აკადემიის ერთ-ერთ წამყვან წევრს, – ლუარა სორდიას, წიგნი აქვს დაწერილი გრანელის შესახებ. ლუარაც, ისევე, როგორც ზოგი სხვა, გრანელს თვით გალაკტიონის დარ პოეტად მიიჩნევს), ლეგენდარული ილია და აკაკი... სხვებიც...

მოკლედ, სადაც რუსთველია, ვაჟაა, სადაც სხვა გამორჩეულნიც არიან, არა მსურს, რომ ასეთ ღვთაებრივ ჩამონათვალში ვინმეს შევედარო. ჩემი პირველობისა რა გითხრათ. ასეთ შემთხვევაში ბოლოობა მირჩევნია, ან – მირჩევნია საერთოდ სიის გარეთ დავრჩე.

არვის ვეჯიბრები, აბსოლუტურად არავის.
ვწერ, ვქმნი იმიტომ,
რომ ქმნადობის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია.
სულ ეს არის ალბათ.
და მაინც, – უდიდესი მადლობა
ყველას, ვინც ჩემს ხელოვნებას აფასებს
ყველას მეგობრად ვთვლი, ვისაც ჩემი პოეზია უყვარს.

აქვე ვიტყვი, რომ ამ დღეებში აჭარაში კიდევ სამი ლექსის წაკითხვა მომიხდა („უსასრულობა“, „მწვერვალი“, „სამყარო“), თუმცა კონკრეტულად ღონისძიებებზე ერთადერთი ლექსით შემოვიფარგლე...

მშვენიერი გამოსვლები ჰქონდათ თემურს, ეთოს, ლამზირას, შორენას და სხვებს. ადგილობრივებმაც ისახელეს თავი, მაგალითად, – საინტერესო იყო პოეტ ფრიდონ დავითაძის გამოსვლა, თუმცა ამ ამბავს გარკვეული პოლემიკა მოჰყვა, რომელიც მამა ამირანმა წამოიწყო. მამაო ყველაზე აქტიური იყო იმ დღეს. რაც შეეხება გულნაზ ხარაიშვილს, მას არც ამჯერად უაქტიურია. მშვიდად აკვირდებოდა მოვლენებს. გონებაში აწონ-დაწონა, ალბათ, ყოველივე. ცოტათი დაძაბული მაინც მეჩ-

ვენა, მაგრამ სიმშვიდემ, მისმა, სძლია მისივე დაძაბულობას. ქალბატონმა გულნაზიმ ზუსტად იცოდა, რომ, საბოლოო ჯამში, ეს დღეები, აკადემიის უდიდეს გამარჯვებათა შორის ჩაიწერებოდა, და ასეც მოხდა.

ღონისძიების ერთ-ერთი უმთავრესი მშვენებანი ისევ და ისევ კახა და ნანი იყვნენ. მათ არაერთხელ მიმართეს დარბაზს, ბოლოს კი ღონისძიება დაასრულეს „მზისფერი სიმღერით“. უდიდესი აღტაცება გამოიწვია, მსმენელთა შორის, ამ ფინალურმა აკორდმა...

სხვათა შორის, საღამოზე ერთი უნიჭიერესი ქალბატონი გამოვიდა, ჩამოსულიყო იგი გურიიდან, თავისი გიტარით, და შეასრულა სიმღერა „ბათუმი“. საღამოზე გავიცანი მსოფლიოს და ევროპის მრავლგზის ჩემპიონი ჭიდაობაში – ლუკა კურტანიძე. ამ უძლეველმა ფალავანმა აკადემიურ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ასე რომ, ხელოვნებასთან ერთად, აქ, სპორტიც იყო წარმოდგენილი, იყვნენ მეცნიერებიც, პოლიტიკურად განწყობილი ადამიანებიც, რელიგიას რაც შეეხება, როგორც უკვე ვთქვი, ღონისძიებას ესწრებოდა ქრისტიანი, მართლმადიდებელი სასულიერო პირი, დეკანოზი მამა ამირან ამირანაშვილი...

ნანი მომცელიძემ, მთლიანობაში, უკვე ძალიან დაატყო ხელი აჭარის კულტურას, ხოლო აკადემიის ფილიალი იქაური კულტურის ერთ-ერთ ცენტრად აქცია. დიდებული ადამიანები შემოიკრიბა ირგვლივ.

გამახსენდა ოთხმოცდაათიანი წლები თბილისში. კი, მაშინ ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში იყო, მაგრამ მე და ჩემი მეგობრები, სხვებიც, ახალი ხელოვნების შექმნას ვიწყებდით. ასე ჩაეყარა საფუძველი ყოველივეს. ნულიან და ათიან წლებში მთელს საქართველოში, ხელოვნებამ, დიდ სიმაღლეებს მიაღწია. გააქტიურება, ყველაზე მეტად, ლიტერატურას დაეტყო. დღესაც გრძელდება ეს პროცესი.

გამახსენდა ათიანი და ოციანი წლები მეოცე საუკუნისა. ეგ ის დროა, როცა გალა და გრანელი „ცისფერყანწლებს“ დაუპირსიპირდნენ (თუ – „ცისფერყანწელნი“ დაუპირისპირდნენ ამ ორს). ყანწელებში ცამეტი ადამიანი მოიაზრებოდა, თუმცა, ხანდახან, ერთს-ორს სხვასაც შეიმატებდნენ ხოლმე. ისინი ყველა სხვა ჯგუფს (მაგალითად: „აკადემიური სტილის ჯგუფი“, მოკლედ, – აკად-ჯგუფი, „ფუტურისტები“, „არიფიონი“, სხვები) უპირისპირდებოდნენ, უპირისპირდებოდნენ ცალკეულ პოეტებსაც.

ეს არ იყო ნამდვილი მტრობა. ეს, უფრო, შემოქმედებითი პაექრობა იყო, და მეტოქეები, ხშირად, მეგობრობდნენ კიდეც.

ასე ვითარდებოდა კულტურა...

ახლაც, თუმცა ქვეყანა ვერ ძლიერობს, კულტურა მაინც ვითარდება. თბილისის შემოქმედებითი ცეცხლი მთელს საქართველოს გადაედება ხოლმე, ხოდა ამის ერთ-ერთი საუკეთესო დასტურია ბათუმი, ქობულეთი, საერთოდ – მთელი აჭარა, სხვა კუთხეებიც ასევეა, ეს კი იმის საწინდარია, რომ, ადრე თუ გვიან, ქვეყანა, ყოველი სხვა თვალსაზრისითაც გაძლიერდება...

ღონისძიების შემდეგ დიდი პურობა გაიმართა ბათუმთან ახლოს მდებარე ერთ-ერთი რესტორნის ეზოში. სუფრას გურამ ფუტკარაძე თამადობდა. შეკრება საღამოს დაიწყო და დიდხანს გაგრძელდა. მეფური სუფრა იყო გაშლილი, სიტყვებად იღვრებოდნენ სადღეგრძელოთა მთქმელნი, ლექსებმაც და სიმღერებმაც გადაავსო ღამეული ლხინი, მაგრამ...

მაგრამ მე, კახას და ირმას, რიგ საქმეთა გამო, უნდა მიგვეტოვებინა ეს სამოთხე და თბილისში უნდა გამოვმგზავრებულიყავით. გული მეწურებოდა სევდით. კი, საოცრად მიყვარს თბილისი, (თბილისი და ოზურგეთი ჩემი მშობლიური ქალაქებია, ასე რომ, მთელი საქართველო, აღმოსავლეთ-დასავლეთი, ერთად ბინადრობს ჩემს პიროვნებაში), თუმცა არ მეთმობოდა აჭარის ეს გასაოცარი დღეები, არა მსურდა ამ გასაოცარ ზღაპრის დასრულება.

მაინც მოგვიხდა სუფრის დატოვება და ღამით გამოვწიეთ თბილისისაკენ, სამმა, ჩვენი მუქმწვანე ოპელით.

ხუთ აგვისტოს გავედით თბილისიდან.

მოვხვდით რამდენიმედღიან ზღაპარში.

ცხრა აგვისტოს, დილით, დავბრუნდით თბილისში.

მახსოვს, თუ რა გულთბილად გამოგვაცილა, აჭარიდან, ყველამ. ძლივს დავაღწიეთ თავი სუფრას (არადა, დარჩენა გვერჩია!). უკვე მანქანასთან რომ ვიყავით, ნანის ოჯახის მეგობარი – ოთარი დაგვეწია, ერთ ახალგაზრდა კაცთან ერთად მოდიოდა. (იმ კაცის სახელი არ მახსოვს სამწუხაროდ). კარგახანს და გულთბილად ვისაუბრეთ. (ასევე გულთბილად გამოგვაცილეს, ზემო აჭარიდან, ვთქვათ, რომანიმ და მისმა მეგობრებმა, რომელნიც იქ გარკვეულ საქმეებს კურირებენ)...

ფილოსოფიურად და მისტიკურად განგვაწყო, ყველანი, ზემო აჭარის გასაოცარმა გარემომ. მალე პოეტურობამ გადაფარა ყველაფერი.

იგივე განწყობები გვაჩუქა ბათუმმა და მისმა შემოგარენმა...

აი, ახლა ისევ ზაფხულია, ისევ აგვისტოა, მე ვარ თბილისში, თან ვხეტიალობ აქაურ ბაღებში, თან ვფიქრობ.

ოდესმე გავიხსენებ აჭარის დღეებს-მეთქი;

არადა, უკვე ვიხსენებ. უკვე მაქვს ნოსტალგია იმ დღეების და თბილი, ტკბილი სევდით ვივსები. ვიხსენებ ადამიანებს, გარემოს, საოცარ სივრცეებს...

საერთოდ, ბევრს ვწერ.

არის ისეთი რაღაცეებიც, რომ არ უნდა დამეწერა.

ბევრი რამეა ისეთი, რომ არ უნდა ითქვას, არ უნდა დაიწეროს, საერთოდ არ უნდა დაფიქსირდეს. ასეთ რამეებს, ალბათ, წაშლის მომავალი.

მაგრამ ისეთი რაღაცეებიც ხომ არის, აუცილებლად რომ უნდა დამეწერა!

დიახ, არის!

მაგალითად, – აუცილებლად უნდა მომეთხრო აჭარის ამ პოეტური დღეების შესახებ!

ხოდა დავწერე.

დავწერე ისე, როგორც შევძელი.

თუ რამე დავაკელი ჩემს მონათხორბს, იმედი მაქვს, რომ სხვანი შეავსებენ.

მე კი...

მე ჩემებურად მოგიყევი, მკითხველო, აჭარის რამოდენიმედღიანი, ულამაზესი ზღაპარი, დღეები რეალობისა და ირეალობის გაერთიანებისა.

აქ უნდა დამესრულებინა სტატია, მაგრამ ერთი რამ მაინც დასამატებელია აუცილებლად.

მესხეთში (ზემო ქართლში) როცა აღმოვჩნდი, იქაურ მხატვართა პატარა გამოფენა ვნახე. ზოგ სურათს ლექსიც ეწერა ზედ. ეს იყო თავისებური, მშვენიერი შეზავება ქართული პოეზიისა და ქართული მხატვრობის. როცა გამოფენა-ღონისძიება დასრულდა, ხელოვანებმა დაურიგეს დამსწრეებთ ნამუშევრების ნაწილი. ფული არავისთვის გამოურთმევიათ. უბრალოდ, მათ გააჩუქეს თავიანთი ნაშრომ-ნაღვაწი, გაახარეს დამსწრენი, თვითონ კი, ამ სიხარულით, დიდი სულიერი ბედნიერება მოიპოვეს.

ხოდა ამ დღეებში ნანიმაც ასე დააჩუქა თავის საოცარ ნაშრომთა ნაწილი. მისი ნახატების ფერები, ბევრისმთქმელობა, საერთო მშვენიერება გამოგვატანა თითოეულ ჩვენთაგანს.

ვხარობდით ჩვენ, და ამ სიხარულით ხარობდა ჩვენი ნანი.

სხვათა სიხარულით თუ ბედნიერობ, ესე იგი, დიდი ადამიანი ხარ.

დიდია ნანი;

და საერთოდ, – არაერთი დიდი ადამიანი ვნახე აჭარაში ამ დღეებში.

მიხარია, რომ ასეთი ადამიანები ისევ ჰყავს საქართველოს...

აი, აქ კი უკვე ნამდვილად სრულდება სტატია, მაგრამ არა სრულდება ფიქრი.

კი, საერთოდ, მართლაც ასე არის: ფიქრთა სასრული არ არსებობს...

თბილისი. 2022 წლის აგვისტო.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

არ აატიროთ დედები

ძალიან ბევრჯერ მწყენია. უამრავი ტკივილი მიუღია გულს დაუმსახურებლად. საპირისპიროდ თუ ოდესმე ხმის ტონისთვის ამიწევია, რამოდენიმე საათის დაფიქრების შემდეგ ისიც მინანია. ჩემი ხასიათი შევისწავლე და ხმამაღლა ვაცხადებ. მე მხოლოდ სიყვარული შემიძლია. არ განვიკითხავ მეძავს, თუმცა სხეულს ვაჭრობის მომხრე არ ვარ. ძალიან გახშირდა ტელევიზორებში და ფეისბუქებზე შიშველი ქალბატონების წარმოჩინება. ისევ ვიმეორებ კი არ მძულხართ გარიგებთ, ნუ გადაგვარდებით. დაისახეთ მიზნად სიკეთისა და მადლის გაცემა. აკეთეთ ისეთი საქმე, რომ ხვალ მომავალს გამოადგეს. ვაშლის მსხმოიარე ტოტი ჩამოიწიე გაკრიფე. მეორე ტოტი სხვას დაუთმე. არასოდეს დაივიწყოთ, ვაჟა ფშაველას, ,,სტუმარ მასპინძელი", აკაკი წერეთლის ,,გამზრდელი". ქართველ კაცს დედას, როცა შეაგინებდნენ, არ პატიობდენ. დღეს საკუთარ დედებს უმრალესობა თვითონვე აგინებთ. სიმართლის დასამტკიცებლად იძახით. ,,ჩემი დედა". დედახვთისმშობელის ხატს ცრემლები ჩამოდისო, ესეც ფეისბუქიდან შევიტყვე. ჰოდა, ღვთისმშობელი ტირის ასეთ გადაგვარებულ ქართველებზე. არ აატიროთ ცათა წასული დედის სულები. თქვენი მშობელი დედის ღირსებები დაიცავით. ნუ იჭრებით სხვის საქმეში, თქვენ შექმენით. თქვენ გააკეთეთ ის რაც სხვისი არ მოგწონთ. თქვენს თავს უფრო მეტი მოთხოვეთ, ვიდრე სხვისგან მოითხოვთ. ნუ შეიძულებთ სწორი გზის მრჩეველს. იქნებ უფალმა გამოგიზავნათ, რომ სხეული არ დაიმძიმოთ. ნუ იბრაგუნებთ ბოღმიან გულებზე მუშტებს. გული ცოდვაა, ისედაც ბევრი ატკინე შენი არასწორი ნაბიჯებით, ან თუნდაც ფიქრითაც. არასოდეს გენახოთ ცრემლი ახლობლების გარდაცვალებით. ის, რაც მე თვითონ გამოვცადე, იმხელა სასჯელია, ამას ვერავინ გაუძლებს. ვგრძნობ, რომ უფალი ჩემშია, რომ სიკეთის ბილეკებისაკენ გზა მიგითითოთ. თუ ხშირად წაიკითხავთ ამ სიტყვებს და გაითავისებთ არ ინანებთ.

მე კავკასიელი ვარ

ევროპა ჩემი მთებია. მე კავკასიის მთის შვილი ვარ. საჩხერის რაიონის სოფელ ხვანში დაბადებული და გაზრდილი. სოფელს შუაზე ყოფს მდინარე ძირულა. მდინარის გაღმა– გამოღმა მცხოვრებლები, ერთ დროს პატარა დიდი ხისგან გამოჩორკნილ ხიდით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. წვიმის დროს ადიდებული ძირულა ზღვას გავდა, არ ზოგავდა ადიდებული მდინარის ტალღები გარშემო თუ რამე შეხვდებოდა. მიბობოქრობდა და მიქონდა ძალით მოპოვებული ნივთები სადღაც შორს უსასრულობაში. მე ქართველი კაცის ჯისა ვარ, როცა უდანაშაულოდ ფეხს წაკრავენ უსულო ნივთვით, არ მოითმენს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს შეურაცყოფისათვის. ადიდებული მდინარესავით წალეკავს ნოწინააღმდეგეს. თუ ორთა ბრძოლაში დამარცხდება სპეტაკი სულით ცაში წავა ამაყად მამა ღმერთთან. დიახ, სოკოთი ჟოლოთი, ზღმარტლით, ძირულის თევზით გაზრდილი კავკასიელი ვარ. ესაა ჩემი ევროპა. ევროპამ გააშიშვლა და გაახუნა ქათველი ქალის მანდილი. მოდას აყოლილი ვინც არის, მათთვის სინდის-ნამუსი, სულ ერთია. გამოდიან ტელევიზორში და ვეღარ დაუთვლიათ რამდენი ქმარი გამოიცვალეს. ევროპა ჩემი ადათ წესის დაცვაა .ჩემი ტყის ფერდობზე ამოსული მარად მწვანე ბორბალაა. ბევრჯერ ვეცადე გადმომერგო და ეზოში გამეხარებინა. არ გაიხარა და იცით რატომ? იქ, უნდა, იქ ცოცხლობს. ასეა ქართველი კაცის ხასიათი. კავკასიის მთები ურჩევნია ევროპრლობას. ქართველი, კავკასიის მთებზე მიჯაჭვული ამირანია. შორს გამექცა კალამი. არა გავჩერდები. მე ხვანის მთის ძირში კავკასიელი ვარ. ესაა ჩემი ევროპელობა.

სიკეთის წისქვილი

დღეს ჩემი თვალით ვუყრებდი ხეების ომს. სხვადასხვა ჯიშისანნი დაერიენ ერთმანეთს. თითონ რა ენახვლებოდათ, ომში მონაწილეობას არ ღებულობდნენ. სხვისი გაზრდილი შვილები გამოიყვანეს ასპარეზზე და ტოტებმაც სახე პირი დააწიწკნეს ერთმანეთს. ვუყურებდი ბუნების ბობოქრობას, ჩხუბს დაუზოგავს და უფალს ვევედრებიდი, რომ ერთმანეთი დაენდოთ. ვგრძნობდი, რომ უფალი ჩემს თხოვნას შეისმენდა. ზოგიერთმა ხემ მეტის-მეტი სიმწარით თავი მოიკლა. ძირფესვიანად ამოვარდა მიწიდან და ძირს ზღართანი მოადინა. მე რა შემეძლო ლოცვის გარდა. ღმერთს ვევედრებოდი, დამშვიდებულიყო დედა-ბუნება. ერთნანეთის ცემა ტყეპით გული, რომ იჯერეს ბოლოს დაამდნენ თუ დაიღალნენ არ ვიცი, მაგრამ ერთი სიტყვით გაჩერდნენ. ბევრმა ხემ შვილი დაიტირა. საშინელი დასანახი იყო ნაომარი ხეთა ტოტები. სადღაც ცეცხლი გაჩნდა, სადღაც იწვიმა, აირია ცა და დედამიწა. ხალხის ნეგატიური ურთიეთობები ბუნებაზეც მოქმედებს. ბუნებაც უფლისაა, ისე, როგორც ადამიანები. ამ ქვეყანაზე ყველას თავისი მისია აქვს შესასრულებელი. ზოგი ბოროტი უნდა იყოს, ზოგი კეთილი. ბევრიც სინდის-ნამუსში იფერფლება. ბევრიც მეძავია. ამით იმის თქმას ვაპირებ, რომ სინდისის ძაფი არ უნდა გაწყვიტო. თუ საქმე მოითხოვს, ზოგჯერ თვით ბუნების სიძლიერასაც უნდა შეერკინო. დიახ, უენო ხეთა ტოტებსაც ცოდნებიათ გაბრაზება და რა გასაკვირვია, ხალხმა იკამათოს არაფრისათვის. რა გასაკვირვია, სიკეთის შემდეგ ისევ სიტყვის გუნდა მოგახვედრონ. არ მიკვირს, არაფერი, ნამდვილად აღარ მიკვირს. არც ქება მინდა და არც არ დაუნახავობის დიდ წისქვილში მოხვედრა. ასეთ წისქვილში ისეთი პურის მარცვალია დაყრილი, რომლის დაფქვის შემდეგ ღანძილი ჩამოიფქვება და აქედან სუფთა დედას პური არაფრით არ შეიძლება გამოცხვეს. მშვიდად გადავწყვიტე ისევ, ჩემს წისქვილში შემოვტრიალებულიყავი. არდაუნახაობის წისქვილიდან მშვიდად წამოსული, კვლავ სიკეთის ხორბლის მოყვანაზე განვაგრძე ფიქრი. დიახ!უსათუოდ დავთესავ ახალ სიკეთის პურის მარცვალს. დავთესავ და ამოვა ჯეჯილი. ჯეჯილი დაპურდება და თავთავი გახდება. საღი მარცვალი როცა ჩამოიფქვება, გამოვაცხობ დედას პურს სულის ,,ათინათებს“ და დედას პურით აუცილებლად მომავალს დავაპურებ!

მწარე ბალი

მდინარე ძირულის პირზე გაზრდილსა და ხვანის მთებით ნასაზრდოებელ ფილტვებს, ყოველთვის სუფთა ჰარისკენ უჭირავს თვალი.ჰოდა, სადაც შევნიშნავ მწარე ხილს, რომელიც თავისი სილამაზით მიმიტყუებს, თუ პირში ჩადებისთანავე უკან გადმოვისვრი, მაშინ ჩემს ვალდებულებად მიმაჩნია, რომ მწარე ხის ნაყოფზე დამყნა ისეთი ჯიში, რომ.მომავალს პირი არ დაუთუთქოს თავისი სიმლაშით. ცხოვრების ბილიკიბზე სიარულისას შევნიშნე ერთ-ერთ პატარა მთის კუნძულზე

ბალი ყვაოდა. ისეთი ლამაზი იყო, ირგვლივ მყოფ მცენარეებს თავისი თეთრი ქათქათა ყვავილებით სურნელს უნაწილებდა. იქვე პატარა ბებერ ხის მორზე ჩამოვჯექი და მოთმინებით დაველოდე ბალის დაყვავილებასა და დამწიფებას. ფრინველები მოფრინდნენ მწიფე ბალს კენკვა დაუწყეს. კენკავდნენ ნისკარტით და ისევ უკან ყრიდნენ ბლის მარცბლებს. რა ხდება? გავიფიქრე, ჩიტები ამ შავი მაყვალივით მწიფე ბალს რატომ აზიზმაზობით ეპყრიბიან? იძულებული გავხდი ერთი მარცვალი გამესინჯა. ბალი ბალღამივით მწარე გამოდგა. გადავწყვიტე გაზაფხულზე, როცა მყნობის პერიოდი იქნებოდა, მწარე ბალზე თეთრი გოგრა ბალი დამემყნა. ასეც მოვიქევი, ბალს ერთი ტოტი მოვახერხე და თეთრი ბლის ტოტი ზედ შემოვასანთლე. ტოტმა არ გაიხარა. მეორე წელს ბალი სულ მთლად გადავხერხე, და საგანგებოდ მივიყვანე ვისაც ეს მყნობის საქმე კარგად ესმოდა და მეორე ბალზე ტკბილი ბლის ტოტები დავამყნევინე მეტად კარგ სპეციალისტს. მაინც არ გაიხარა. მწარე ბლის ხის ფესვმა ისევ მწარე ბალი ამოიზარდა და დავანებე თავი. გული ხომ ვიჯრე. ფრინველებისთვისაც ვიზრუნე და ვალ მოხდილი ისევ ბებერი ხის ჯირკზე ჩამოჯექი. ფიქრებმა გამიტაცა. მესმოდა ღელის ბუტბუტი, შაშვის გალობა. ერთი

ხანდაზმული ქალბატონი.შემეხმიანა, ხომ არაფერი გიჭირს რას დაფიქრებულხარო მკითხა. მეც აუხსენი რაშიც იყო საქმე. გვერდზე მომიჯდა და საუბარი განაგრძო. შვილოვო მითხრა. ბუნების ხასიათი თავისთავად გავს ადამიანთა ხასიათებსო. ნუთუ არ გაგიგონია რა კარგი მშობლებია და შვილი კი ვის გავს, ასე უხიაგი რომ არისო. ეს ბიოლოგიურ მშობლებს არ გამოუდის თავისნაირი შვილი და შენ ბლის ხისგან რატომ გიკვირსო. ზოგი ადამიანის ბუნებაც ასეთია, რაც არ უნდა ეცადო და სიკეთის ბილიკების გზები ასწავლო, მაინც ბაძაძგნარში გაივლის. ასეთი გამომდგარა ეგ, შენი მწარე ბალიც. არ ინდომა შეჯვარება. მაგას სოფლის ენა მწარე დედაკაცივით აქვს თავისი ნაყოფი დამლაშებული და რომც გაეხარა, პირში ისევ სიმწარეს დატოვებდაო. წამოვდექი და ცხოვრების ბილიკებზე განვაგრძე სიარული, გული დამწყდა, რომ მწარე ბალს ვერაფერი მოვუხერხე, თუმცა ბევრი ვეცადე, წლები მოვანდომე.ამ საშვილიშილო საქმეს, მაგრამ უშედეგოდ. მწარე ბალმა ისევ გაიზარდა ტოტები, ბალიც ყოველ წელს არის დახუნძლული მწარე.ნაყოფით. საკვირველი ის არის, რომ ფრინველების გარდა ხალხიც მოუმრავლდა მწარე ბალს. მწლაკე ბლის მოყვარულნი უამრავია უკვე. ძალიან სამწუხაროა, მაგრან ჩემს შესაძლებლობეს აღემატებოდა და თავი მივანებე!

ტოტ მომსხვრეული მუხა

ტოტებ მომსხვრეული მუხა ვარ, ქარმა ძალიან ბევრი ტოტები ჩამომილეწა, მაგრამ მაინც ფეხზე ვდგავარ. მე, რომ წავიქცე არ შეიძლება.

ყოველ წელიწადს სიყვსრულს ნაყოფს ვისხავ. სიყვარულს ვარიგებ უხვად და უშურველად. ჩემს გვერდით გაზრდილი ბებერი მუხის ტოტები ამიბუზღუნდნენ, ჩვენ რკოს ვისხამთ, შენ კი სიყვარულის ნაყოფი გასხიაო. არ მწყენია მათი შენიშვნა. მშვიდად ვუპასუხე. დილით როცა ვდგები, უფალს ვევედრები, სიკეთე გამაკეთებინე, სიკეთე ხომ სიყვარულის ნაყოფია. შეისმინა უფალმა ჩემი თხოვნა და რკოს მაგივრად სიყვარულის ნაყოფით ამავსო. რას ბუზღუნებენ, ჩემს გვერდზე გაზრდილი მუხის მოდგმა, მათაც ითხოვონ, ოღონდ გულით უნდა შეეხვეწონ, უფალს. თუ გულით შეევედრებიან აუცილებლად შეუსრულდებათ ნატვრა. ჩემო საყვარელო ქალბატონო შენს უკან ვდგავარ, ზურგის ქარს წინ ვხვდები , რომ მხრები არ დაგიზიანოს. შენ საქართველის სჭირდები, შენი სიკეთით და სითბოთი. შენ არავინ არ გძულს. შენი გული თბილია, როგორც აგვისტოს მზე. ამიტომ უწოდე ჩემს ორგანიზაციას ,,სიყვარულის“ ოჯახი. გეთანხმები ჩემო უფლის საჩუქარო, კი ვარ ტოტებ ჩამოჩეხილი ბედისწერის ნაჯახით, მაგრამ სანამ სულ არ გამხმარან წლები სიცოცხლისა, ყოველ წელს სიყვარულის ნაყოფს მოვისხამ და დავურიგებ უშურველად ყველას, ვისაც ესურვულებათ.

უმწეო ქალბატონი

მწერალთა კავშირში ერთი პოეტის საღამო ტარდებოდა. ამ საღამოზე ერთ-ერთი რიგითი პოეტი მეც ვიყავი მიწვეული. თავისუფლების მეტროდან ამოვედი და მეგობარ ქალბატონებთან ერთად ფეხით გავაგრძელე გზა მაჩაბლის ცამეტისაკენ. გზაზე არა სასიამოვნო ფაქტს წავაწყდი. ყოველ ხუთ მეტრში ხელგამოწვდილები იდგნენ. ახალგაზრდა ინვალიდი ვაჟი, ასაკით ჩემზე პატარა ქალბატონი და ვინ მოთვლის რამდენი იდგა და ელოდებოდა ღვთის წყალობას. ვხედავ, ლამაზი ინტელიგენტი მამაკაცი გაჩერდა და ქალბატონს ფული აჩუქა. ქალმა მორცხვად თავი დახარა, სირცხვილის ალი აღარ იცოდა რითი ჩაექრო. მეც მიუახლოვდი ინვალიდ ვაჟს შეძლებისდაგვარად დავეხმარე და ტკივილიანი ფიქრით გული დამიმძიმდა. გამახსენდა ჩემი ბავშობა. ამდენი მათხოვარი ახლა რომ არის არ მახსოვს. მომრავლდნენ ხელგამოწვდილები. მაინც იმედის მზემ გამიცინა. თვალწინ დამიდგა ლამაზი ინტელიგენტი მამაკაცი, მან ხომ შეიცოდა უპოვარი. იმ ლამაზი ვაჟკაცის საქციელმა გამახსენდა ჩემი აწ გარდაცვლილი შვილი (გელა). ჯიბეში ფული რაც ჰქონდა სულ მათხოვარს მისცა და თითონ ფეხით წავიდა სახლდე.
მწერალთა სახლამდე ერთი ლექსიც შემომეწერა.

* * *

ხელგამოწვდილი წინ რომ შეგხვდება
და კრძალვით გეტყვის დამეხმარეო,
სირცხვილის ალი წვავს და ედება,
ზიზღით ნუ ეტყვი გამეცალეო.

იქნებ არ ააქვს წამალის ფული,
ან დახმარება გთხოვა დისათვის,
ვინ იცის როგორ ატკივდა გული,
დამეხმარეო გთხოვა ძმისათვის.

იშვიათია პოეტს რომ ჰქონდეს,
შემირცხვლნიხარ, მცირე არ მისცე,
შიმშილით გული, რომ შეგიღონდეს,
დაუხმარებლად არ გამოიქცე.

უკანასკნელი თეთრიც გაიღე,
უსულგულოს კი არ გარქმევ პოეტს,
მცირე ნაღველი სახლშიც წაიღე
და კიდობანში შეგიშვებს ნოე!

და ბოლოს:
ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ერთმანეთი!

ყველა უყვარს

რაც მწერალთა კავშირთან ურთი-ერთიერთობა მაქვს, მას შემდეგ ვიცნობ ქალბატონ მანანა გორგიშვილს. ალბათ ყველა დამეთანხმებით, იმაში რომ ეს ქალბატონი სიკეთის განსახიერებაა. ასეთი პოზიტიური პიროვნება იშვიათია. მისი უბოროტო მართალი ღიმილი, მზის სიცილს გავს. მზე როცა იცინის სხივები სამყაროს ათბობს. მანანა როცა იღიმება ირგვლივ მყოფები ამ გაყინულ დროში, მისი ღიმილის მზეს ეფიცხებიან. დიდხანს იღიმილე, ჩვენო უსაზღვროდ კეთილო ქალბატონო მანანა!

დღეს გეტყვი

ხვალის სათქმელს დღეს გეტყვი ეთო იმიტომ, რომ ხვალ მასპინძელი ვიქნები და სხვებს დაუთმობ დროს. დღეს შემოვფრინდები ვირტუალურად შენი სულის სამყაროში. მოგეფერები, დაგამშვიდებ და გეტყვი. შენ ძალიან მგრძნობიარე გულს ნუ ავალებ მეტის-მეტს. ნურც გადაღლი ისე უბრალოდ, რადგან იმდენად საჭიერო ხარ საქართველოსთვის, როგორც ჰაერი. შენი ლექსებით აფხიზლებ მიძინებულ და აფორიაქებულ სულთა სამყაროს. ეხმიანები ზეცას. ჟინის ცეცხლს ანთებ. დანთილი კოცონის გვერდზე ალღობ ყინვას, რადგან გეშინია გამყინვარება არ მოხდეს. ხან კი პირიქით იქცევი. აგვისტოში ავარვარებურ სამყაროს ნისლავს შენი ლექსები. ცხელ მზეში თქორს ღრუბლებისას, იმიტომ მიაფენ ლექსების საფენებს, რომ ფრთხილობ გლობალური დათბობა არ მოხდეს. გიყვარს კანონზომიერება სამსახურში, სახლში, სამეგობროში. გტკივა ის რაც უნდა გეტკინოს. გწყინს რაც საწყენია. გიხარია, ნამდვილად გიხარია, სხვისი წარმატება. გიყვარს წესრიგი. ხარ გაწონასწორებული როცა საუბრობ. იცი დროის ფასი. რაც შეეხება შენ სათაყვანებელ კუთხეს სვანეთისას ო, ის სხვა სამყაროა შენთვის. უშბა, ენგური, უშგული და სალოცავი ლამარია. შენი ლექსის რითმებით ამოგზაურებ პოეზიით დაინტერესებულ მკითხველს, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. შენთვის ყველაფერი სულ ერთი არ არის. რაც შეეხება ქალბატონ მარინა უგულავას, ეს ულამაზესი ქალბსტონი, შენს საღამოზე გავიცანი. ხოლო ქალბატონ მარინას სიღრმეს ვერ ჩავწვდებოდი, რომ მამა ამირან ამირანაშვილის საღამოზე სიტყვით არ გამოსულიყო. საუბრობდა ქალბატონი და მე მივჩერებოდი ქალს ღვთის მოსავს, სულითა და ხორცით ლამაზს. აი, რატომ არის ხშირად ჩატარდეს საღამოები. ურთიერთობით და შეხვედრებით ხდება სულთა კავშირი. იქნებ ასეთმა საღამოებმა, დააბრუნოს ის რაც ვგქონდა. მოყვასისა და სამშობლოს სიყვარული, მიმტევებლობა და ერთმანეთის პატივისცემა. იქნებ... 2022 წლის 2 ივლისი. როცა შენი წიგნის პრეზენტაცია ჩატარდა პარლამეტის ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, თუ არ ვცდები 150-ზე მეტი სკამი იდგა და სავსე იყო დარბაზი. შეკრებილი საზოგადოება, სხვადასხვა თანამდებობის პიროვნებები ზეიმობდნენ შენი სიხარულით. პირველ რიგში მადლობა უნდა გადავუხადო გარდაბნის მუნიციპალიტეტის (მთელ ხელმძღვანელობას), პოეტის სულის შეგრძნებისა და წიგნის დაფინანსებისათვის. იყო პოეტი, ერთი დიდი ბედნიერებაა და დაგაფასონ უფრო დიდია კიდევ. პოეტი უფლისგან ღვთის კურთხეულია საერთოდ. გულთან მიიტანო, მიეფერო ეს იმას ნიშნავს, ყოველდღე ეკლესიაში დადიოდე და ღმერთთან იყო ახლოს. დიდი მადლობა მწერალთა კავშირს. იმ რეალურად აღიარებისათვის, რასაც იმსახურებს პოეტი ეთერ ჭელიძე.

მწერალთა კავშირის თავჯდომარემ, რუსთაველის პრემიის მფლობელმა, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა და დიდმა მწერალმა, რუსთაველის პრემიის გვირგვინოსანმა, ბატონმა რეზო მიშველაძემ ეთერ ჭელიძეს მიანიჭეს 2022 წლის საუკეთესო პოეტის წოდება. მწერალთა კავშირში პრემიების გაცემას ხელმძღვანელობს ბატონი რეზო მიშველაძე. ეთერ ჭელიძე, რომ ეროვნული პოეტია, ამაში ეჭვი კარგა ხანია აღარავის ეპარება, მაგრამ მე იმ დღის ერთიანობამ გამახარა. გასახარები იყო ნამდვილად, იმიტომ, რომ აჭარიდან ჩამოვდნენ აკადემიის წევრები, აჭარის ფესტივალში მონაწილენნი, ქალბატონი ნანა მომცელიძე და ჯგუფ ზღვარის წევრები, საკმაოდ აღიარებული პოეტები... ,,ზღვარელები“. დიდი მადლობა, ბატონ ნიაზ ცივაძეს, რომ ამ დიდ წარმატებაში ხელი შეუწყო მეუღლეს. ვუყრებდი ბატონ ნიაზს და მის თვალებში ვხედავდი უსაზღვროდ დიდ პატივისცემას მეუღლისადმი, რაც მართლა იშვიათად მინახავს. დიდი მადლობა აჭარის ტევე 12-ის ტელევიზიას, მის დირექტორს ბატონ ჯემალ მეგრელიძეს, ჯგუფ ზღვარის აჭარის ფესტივსლზე მიწვევისათვის, რომლთა პოეზიამ და მუსიკამ სასიამოვნა განწყობა

შეუქმნა მზიან აჭარას და მთლიანად საქართველოს. რაც შეეხება იმ დღის ღონისძიების წამყვანებს, საქართველოში აღიარებულ ადვოკატს, პოეტსა და მხატვარს ბატონ თემურ გოგსაძეს, პრწყინვალე ლიტერატორსა და პოეტს შორენა მამალაშვილს, მათზე მადლობის თქმა ძალიან ცოტა იქნება ჩემგან. მათ ხელში იყო, იმ დღეს პოეტი ეთერი ჭელიძის წარმოჩინება. გაამართლებდა თუ არ გაამართლებდა იმ აღიარებას, რასაც ჰქვია 2022 წლის საუკეთესო პოეტის სტატუსის წოდება. დიახ! ეთერ ჭელიძემ გაიმარჯვა და ამ გამარჯვების წამყვანი გმირები იყვნენ ბატონი თემური და ქალბატონი შორენა. გამარჯვების დასტური კი, დარბაზში მყოფი ხალხისგან გამოწვეული სიხარულის ოვაციები იყო.

ღონისძიება იმითაც საინტერესო იყო, რომ პოეტს ემიგრანტი პოეტი და გამოეხმაურა იტალიიდან. ხოლო ღონიძიების დროს, ეთოს გვერდს უმშვენებდა ულამაზესი დაიკო ნათია ჭელიძე. პოეტს უშგულიდან ძმიშვილიშვილმა ვაჩემაც გაუთბო გული, შეახსენა არ იდარდო პოეტო მე აქ ვარო. გავიზრდები ისეთი, მტერს კი არ მოკლავ, უკან გავაბრუნებო. ეთერ ჭელიძის საღამოს ესწრებოდა მისი სანათესაოს და მთლიანად საქართველოს სიამაყე მამა შვილი, ივერი და გოჩა ჭელიძეები. ბატონი ივერი და ბატონი გოჩა დიდი დარდის მატარებელი დიდი ადამიანები არიან. ღონისძიების ყველა მონაწილე იყო, გამორჩეული, მათ მოკრძალება და სიფრთხილე უნდა თუნდაც წერის დროსაც, რადგან ეს დღე გაერთიანებულ საქართველოს ჰგავდა.

და ასე ერთად

ასე ხელიხელ ჩაკიდებული გვატარე ღმერთო ერთად, ქვეყნის დასალიერებამდე. არც არავის არაფერს შევეცილებით და ნურც უმიზეზოთ გულის კორტნას ნუ დაგვიწყებენ. სამი სხვადასხვა გვარის ერთნაირი გულის ქალბატონი. მაყვალა გონაშვილი, თამარ გველესიანი და გულნაზ ხარაიშვილი. რაც სხვისთვის მოვინდიმოთ ის მოგვეცი უფალო. სიკეთისა და მადლის სანაცვლოდ კი ჩვენი ოჯახებით გვამყოფე კარგად. ეს ორი ღვთის ქალბატონი მაყვალა და თამარი ბედნიერი დედები არიან, მათ თავზე ღრუბლის ფენამ არასოდეს გადაიაროს. მე კი ისღა დამრჩენია გთხოვო, რომ რწმენით მომაძლიერე ღმერთო, რათა სხვა არ დავამძიმო და ჩემი გამძლეობით სიმშვიდით ვამყოფო ჩემი გარდაცვალებულთა სულები.

სურათი გადაღებულია კასპში უშანგი მოსიაშვილის ოჯახში. მაშინ, როდესაც ქალბატონი ნანი და გოგოტა მოსიაშვილი, უშანგი მოსიაშვილის მეუღლე და შვილი, ცოცხლები იყვნენ. ეს ბედნიერი ოჯახი სევდის სამოსით შეიმოსენენ. და ბოლოს. ბედნიერები იყავით ასი წელი ჩემო თბილო ქალბატონებო:თამარ გველესიანო და მაყვალა გონაშვილო.

სულის ტაძარი

2021 წელს გამოშვი ოთხაზე მეტ გვერდიანი პოეტურ– პროზაული წიგნი ,,სულის ტაძარი“, რომლის რედაქტორები არიან პოეტები:== მანანა სამყურაშვილი და ემიგრანტი(პოეტი) მალვინა ჭელიძე. წიგნის შინაარსიდან გამომოდინარე, იმავე წელს აჭარის ტვ.12-ის ტელევიიზიასთან, ბატონ ჯემალ მეგრელიძესთან ერთად შედგა პროექტი ,,სულის ტაძარი“. არა ერთი პოეტის ბიოგრაფია, და პოეტური ქმნილებები აცისკარდა, აზეიმდა, აჭარის ტვ12-ის ტელევიზიით. რისთვისაც დიდი მადლობა, აჭარიის ტვ-12-ის ტელევიზიის დირექტორს ბატობ ჯემალ

მეგრელიძეს. პროექტმა სულის ფრთებით ილია ჭავჭავაძის სახლმუზეიმში შეაღწია. 2022 წლის 26 ივნისს ,,სულის ტაძარის", მოგზაორობამ გადაინაცვლა ჯუმბერ ლეჟავას სახელიბის საერთაშორისი სამეცნიერო აკადემიის რამოდენიმე წევრთან ერთად, ილია ჭავჭავაძის სახლ მუზეუმში. სადაც ჩატარდა ისეთი საღამო, რომლის შთაბეჭდილბები დიდი ხნის განმავლობაში გაჰყვებათ იმ დღის მონაწილე ხვთის რჩეულთ. გავაკეთებ ,,სულის ტაძრის" პროექტში მონაწილეთა სიას, ქალბატონი მანანა სამყრაშვილის აქტიური ხელშეწყობით.

ნელი საღინაძე, მირზა ძამუკაშვილი, ეკატერინე გურული, ნინო როსტიაშვილი, ლილი გულბათაშვილი, თამთა მუმლაძე, გურამ სახვაძე, ეთო მეფარიშვილი, ჯაბა გაბრიელ შუბითიძე, ნატალია წიქორიძე, თამარ გოგაძე, ქეთი ჯაში, ვერიკო პარწიკანაშვილი, დეზი ემანულიძე, სოფიო საყვარელია, თამარ ფირცხელაური, სალო კილასონია, ლევან ძაკონე, ნიკოლოზ ღვინიანიძე, ეკო გურული, ინგა კომლაძე. აკადემის წევრებიდან ესწრებოდნენ ქალბატონი პოეტესები: ნინო უძილაური, ლამზირა შეყილაძე და თინიკო ხაბურზანია. ღონისძიება მიჰყავდათ ამავე აკადემიის საკმაოდ პოპულარ და ცნობილ პიროვნებებს: – ბატონ თემურ გოგსაძეს და ივანე ქართველს. სიის ჩანონათვალში შეიძლება ვინმე გამომრჩა უნდა მაპატიეთ ეს სიჩქარით დაწერილი მცირე ამონარიდია იმ ლამაზი ღონისძიებისა. ჰო, პატარა იმფორმაციაა, იმ დიდ და ლამაზ საღამოს შესახებ, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახლ მუზეიმში ჩატარდა. დღეს ოცდაშვიდია

უკვე ტაშისკრის ღონისძიებაზე მივდივართ, აკადემიის გარკვეული ჯგუფი, სადაც გველოდობა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი ქალბატონი მაკა დიდებულიძე, რომლის აქტიური მონაწილეობით ჩატარებულმა შარშანდელმა საღამომ დაგვანახვა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და რაც არ უნდა ჯიჯგნონ, გადაშენება არ უწერია.

არ შემიძლია ამ ემოციის ფონზე არ ავღნიშნო, შორენა მამალაშვილის ნიჭი. ნიჭიერმა ლიტერატორმა ღონისძიებაში მონაწილეები გააოცა თავისი გამოსვლით, რომელმაც მოკლედ და ლაკონურად შეაფასა თითეული მონაწილე. იმ დღის შეფასებით, ჩემივე აკადემიის წევრის, შორენა მამალაშვილის ნიჭი ჩემთვისაც აღმოჩენა იყო. თუ რატომ ამაზე სხვა დროს. რაც შეეხება, ბატონ თემურის და ბატონ ივანეზე საუბარი, ეს ამოუწურავი თემაა. ესენი უფლის ხელდასმულნი დიდი ხელოვანნი დიდ საქმეს ემსახურებიან. ამ უაღრესად დიდ პიროვნებებზე სხვა დროს ვისაუბროთ. რაც შეეხება 2022 წლის ოცდაექვსი ,,სულის ტაძარის“ დაგეგმილი ღონისძიება შთამბეჭდავი და დაუვიწყარი იქნება, რადგან მოგზაურობა გაგრძელდება ჯერ ჟურნალ ,,ათინათში“ და შემდეგ ანთოლოგიაში გადაინაცვლებს.

ზამთრისპირა ლოცვები

წიგნის შინაარსს და სათაურს პასუხობს ლექსები, რომელიც პოეტმა ქალბატონმა პოზიით დაინტერესებულ საზოგადოებას მიაწოდა. ,,ზამთრისპირა ლოცვები". პრეზენტაცია შედგა 2022 წლის 24 ივნისს, მწერალთა სახლში. საღამო მიყავდა ბატონ ლევან ჟვანიას, რომელიც გაურბის იმ სტატუსს, რასაც პოეტი ჰქვია. დავიწყებ იმით , რომ თუ შენში არ არის ზეციური უხილავი ძალა, რომელიც უფლის გზავნილია, პოეტის სიღრმეს ვერ ჩაწვდები და ვერც ღონისძიების გმირი ვერ გახდები. ვამხელ ახალგაზრდა ნიჭიერ ლევან ჟვანიას, რომ ის პოეტია. თუ ამ სტატიას წაიკითხავს, ამჟამად ემიგრანტი ჩემი ნიჭიერი რუსთაველი პოეტი და აკადემიის წევრი თამარ ჯაჭვაძე, აუცილებლად შეგვეხმიანება თავისი მზესავით თბილი კომენტარით. სწორედ თამარიმ მომიტანა ბატონი ლევანის ლექსები და დავბეჭდე ჟურნალ ,,ათინათში". მადლობა ჩემო თამარ ამისთვის. 24 ვნისს კვლავ ვიხილე შენგან ნაქები ბატონი ლევან ჟვანიას ნიჭი და თავდაბლობა ერთად. მას მიყავდა არაჩვეულებრივი პოეტის ქალბატონი იზა ჭიკაიძის პოეზის საღამო. მიყავდა ლევანს ღონისძიება და დარბაზი სითბოთი ივსევოდა. უბრალობა, სიმბოლოა კეთილშობილებისა, რაც ახალგაზრდა ბატონ ლევან ჟვანიაში ჭარბად შეინიშნევოდა. დამსწრე საზოგადოების თითქმის ოთხმოცდაათი პროცენტი გამომსვლელთა სიაში იყო დაფიქსირებული, რაც დიდი სირთულე იყო წამყვანისათვის. არადა ქალბატონ იზასა და ლევნის დედაშვილურ ურთიერთობაზე არა ერთხელ მსმენია ქალბატონი იზასაგან. ამაზე დიდი სიმდირე არც არსებობს როცა ახალგაზრდებს უყვარხარ.

სწორედ ამ პრინციპით ტარდებოდა ღონისძიება. ლექსებს კითხულობდნენ არა ცნობილი სახეები, არამედ სკოლის მოსწავლეები. იმ დღეს ბევრი მოსწავლე ეზიარა ქალბატონი იზა ჭიკაიძის პოეზიას, რაც პოეტის დიდ გამარჯვებას ნიშნავს. იწვოდა სანთელი და ტარდებოდა ღვთით კურთხეული დღე უფლის ნაჩუქარი. ვიჯექით ერთად გვერდი -გვერდ ჯუმბერ ლეჟავას საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრები და ამავე აკადემიის წევრი ქალბატონი იზა ჭიკაიძე კი, ანთებული სანთლის ალს ჩუმად ატანდა ფიქრს გაუმხელელს ღამით დაწერილი ლოვებისას. ამაღლების წინამძღვარი მამა ამირანი, ბატონი ერეკლე საღლიანი, ქალბატონი

პოეტესები, ეთერ ჭელიძე, შორენა მამალაშვილი და ლამზირა შეყილაძის თვალებში სიხარულისა და სიმშვიდის მზე ციმციმებდა. რადგან არ იყო დადგმული სპექტაკლი. იყო ბუნებრივობა და ღმერთთან მიახლოვება. დაულოცოთ ქალბატონ იზა ჭიკაიძეს კალამი. მიულოცოთ თავისი ნიჭიდან გამომდინარე მწერალთა კავშირიდან გაცემული პრემიები და ვუსურვოთ ლექსებში ცხოვრება.

ფასი მათ ცოდნიათ წინაპრისა,
მღერის მომავალი მთა და ბარო...
აღარ მეშინია ნიაღვრისა,
მინდა საქართველო ჩავაბარო!

ტაშისკარი

2022 წლის 27 ივნისი. წვიმს და მაინც ხალხი შეკრებილია. მოსულებია სასულირო პირნი და ისმის ღვთის გალობა. ტაშისკრის დიდი წაბლის ქვეშ სააკაძის სული მარადისობის ციდან დატრიალებს. სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული ინტელიგანციის ნაწილი ტრანსპორტიდან არ გადმოდის, რადგან კოკისპირული წვიმაა. ჯუმბერ ლეჟავას საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრევრებს სიყვარულით შეგვეგებენ ადგილობრივი ისევ ჩვენივე აკადემიის წევრები. ქალბატონები: – მაკა დიდებულიძე და კლარა გელაშვილი. ყურადღება არ დაგვკლებია, ადგილობრივი ინტელიგენციის მხრიდან, რადგან ქართლის შუაგულის ხალხს არა ეშლებათ მოწვეული სტუმრების დახვედრა. თუმცა შინაგანად სტუმრად არ ვთვლიდით თავს, რადგან თითეული ქართველის ვალია, პატივი მიაგოს უკვდავი გმირის გიორგი სააკაძის სულს. ცუდი ამიდის გამო ღონისძიება ჩატარდა კულტურის სახლში და შემდეგ კი დავათვალიერეთ დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეიმი. ამ ლამაზი და საინტერესო ღონისძიების უფრო ვრცელ მასალას დამპირდა (პოეტი) კლარა გელაშვილი, რომელიც დაიბეჭდება ,,ათინათში“. ჩემთვის ეს დღე საინტერესო იმითაც იყო, რომ გავიცანი საკმაოდ ბევრი ჩადუნელები. ჩადუნელები, ხარაზიშვილები და ხარაიშვილები ერთი გვარისაა. ასე, რომ მადლობა უფალო ამ ლამაზი დღისათვის. დავბრუნდით თბილისში იმედის სხივებით. გზაში ისეთი პიროვნებებები, როგორიცაა, სიდინჯით გამორჩეულნი, დიდი მხატვარი და გიორგი სააკაძის ისტორიული ნარკვევების შემქმნელი ბატონი ნიკო ხერკელაძე, მოქანდაკე და ხატმწერი ბატონი გელა ლარიაშვილი, რომელსაც ბეჟან ხარაიშვილის უკვდავების ძეგლი აქვს შექმილი და სიმშვიდით გამორჩეული (პოეტი) ლამზირა შეყილაძე, შთაბეჭდილებით და ლამაზი ემოციებით ისე საუბრობდენ, როგორ ჩავედით თბილისში არ გაგვიგია. გვიმრავლე უფალო ასეთი დღეები!

ცხოვრების კიბე

ცხოვრების კიბე ჩემს ზურკან, რომ დიდი მთა არის, ის არის. უნდა ახვიდე ნელა ისე, რომ ფეხი არ უნდა დაგიცდეს. თუ ნელა მიიწევ წინ საცალფეხო ბილიკი კიდეც, რომ ჩამოგეშალოს არაფერია. ისევ უკან დაბრუნდები და ხელმეორედ მოსინჯავ მთაზე ასვლის საშუალებებს. ახლა გეტყვით საშუალებებში რას ვგულისხმობ. ამ კითხვის პასუხი ნებისყოფაა. უნდა შეინარჩუნოთ სულის სიმტკიცე. ისევ ერთი საფეხურით წინ უნდა წაიწიოთ. აბა დედამიწაზე ყველა დაბობღავს. სიმაღლის, მაღლით ასვლის სწრაფვა ცხოვრების ჭიდილია. ჟინია ბედისწერასთან. ბრძოლაა გაუსაძლის ცხოვრებასთან. არ უნდა დაეცე სულიერად. შენთან ღმერთია. სიმაგრეს უფალი მოქცემს. გზას ის გიჩვენებს, რომელი ბილიკით უნდა შემოუარო იმ კლდის მწერვალს, რომლის დაპყრობაც ასე ძალიან გინდა. ისე სანამ ბრმად პირდაპირ სალ კლდეს შეჰყვები, გარშემო შემოათვალიერე, იქნებ არც ღირდეს დროის საცდენად. იქნებ იმ მთის იქით იმხელა ხრამია, შიშით სული განუტევო. ამიტომ ცხოვრების კიბეზე ზევით-ზევით უშეცდიმოდ ასვლა არც ძნელია და არც იოლია. გაანალიზება და გაფიქრება სჭირდება... და კიდევ, რაც არ უნდა განგადიდონ, არ გაიკვირვო. ეს უფალმა გაჩუქა შენი ტანჯვის სანაცვლოდ. ჰოდა, დავფიქრდი და აღარ მიკვირს ხონში გატარებული ორი დღე. ქალბატონ მაყვალა გონაშვილთან ერთად, დადიანის ტყეპარკში, უმშვენიერესი საღამოს ჩატარება მსახიობ გულიადა სანოძისა და ხონის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისაგან. ალბათ ჩემი ტკივილის გასამუხტად უფალმა ლამაზი დღე მაჩუქა. ეს პატარა გოგონა ,,ნია“ კი პოეტ ნაირა უგულავას შვილიშვილია, რომელიც მე და ქალბატონ მაყვალას დაგვიმეგობრდა.

სულის სიმდიდრე

მამიდას სულისა და ხორცის ნაწილია გვანცა ხარაიშვილი. უნიჭირესი პოეტი და უძლიერესი ფილოლოგი. მისი მსოფლმხედველობა ასწრებს საუკუნეებს, და შორიდან მიღიმის. მისი ფუფუნება სულიერი სიმდიდრეა და არა მატერიალური. უყვარს მეუღლე. ქირით ცხოვრობს. ასწავლის, ამზადებს მოსწავლეებს და ბედნიერია, რადგან მისთვის მატერიალური ჭუჭყია ამ ქვეყნიური ოქრო და ვერცხლი. სიმდირე გვანცასთვის სულიერი სამყაროა. არც მაინცადამაინც თვალებში არავის ეჩხირება ნიჭიერების ეკლად. არა და არის. მწერალთა კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი. ხოლო პრემია მისი ბიძის ბეჟან ხარაიშვილის სახელობისა (რისთვისაც ბატონ რეზო მიშველაძეს მადლობა), რადგან როცა ბატონი რეზო იყო თავჯდომარე, მაშინ დაარსდა, ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემია. ახლა თანათავმჯდომარეა ბატონი რეზო და მისი შეთანხმების გარეშე არავის არაფერი ენიჭება. ოცდაათი წლის აწ გარდცვლილი პოეტ ბეჟან ხარაიშვილის პრემია, არის გვანცასთვის პოეტური გვირგვინი. აკი მიწერა წერილი გარდაცვლილ ბიძას. ,,გამარჯობა ბეჟან, მე შენ არ მიცნობ, მე გვანცა მქვია, შენი ძმიშვილი ვარ. მე, როცა დავიბადე, შენ უკვე ცაში იყავი. აქ, რომ ყოფილაყავი ხომ მომიძღვნიდი ლექსს, ჩემი ბიძაშვილ ხათუნასავით. ,,ალვის ტანის და ნუკრის თვალებავ, უნდა დაჩაგრო ქვეყნის ქალებივო“. ახლა ბიძავ, ხათუნა

ბედმა დაჩაგრა, რადგან მისი თვრამეტი წლის დათაც ცის ჭერ ქვეშ შემოფრინდა. მერე ჩემი ,,ბუთუ“ მამიკო ამირანიც დათას გზას დაადგა და მოგროვდით ზეცაში. ბეჟან, მე შენი ძმიშვილი ვარ გვანცა. ჩემთვის გარდაცვალება არ არსებობს, რადგან პოეტი ვარ. გავიმეორებ შენს სიტყვებს და ვიტყვი. ,,პოეტები ბრძოლაში ყველაზე ადრე კვდებიან და პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ“. ჩემი სამუშაო ოთახის სამშვენისია და სიდიდრეც შენი სახელი და გვარი (ბეჟან ხარაიშვილი).“ ეს სიტყვები გვანცას ეკუთვნის :და ბრჭყალებშიც ჩავსვი. ჰოდა, ჩემო კალმით ნახატო გვანცა, გეფერები დილის ცისკარივით ლამაზო, არა როგორც პოეტი და ჟურნალ ,,ათინათის“ მთავარი რედაქტორი, უბრალოდ შენი მამიდა გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)!

მწერლის სახლში

როცა დიდი სიყვარულია, როცა გაფასებენ, როცა გული წყდებათ, ესიგი უყვარხარ და მეტი ყურადღებაა საჭირო. ამ კადრში შეკრებილ საზოგადოებას თავისი ახსნა აქვს. აქ გაერთიანებულია აჭარის ორგანიზაცია და თბილისის ინტელიგენციის უმრავლასობა. 2022 წლის 6 ივნისს მწერალთა კავშირის დაგეგმილი ღონისძიება შედგა. ღონისძიება ეძღვნებოდა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტს აჭარის რეგიონში ქალბატონ ნანა მომცელიძეს. ქალბატონი ნანა არა მარტო ხელმძღვანელია , ის გახლავთ პოეტი, ხელოვანი ქალბატონი. პოეტ– მხატვარ, ფილოლოგ და იურისტ ქალბატონს, თექაზე მუშაობის დიდი გამოცდილებაც აქვს . გარდა ამისა, მისგან შესრულბული უნიკალური ხატები არა ერთ ორგანიზაციას ამშვენებს. თბილისში ძირითადად წერეთლის ცენტრში, სადაც აკადემიაა განთავსებული ქალბატონი ნანას შესრულებული ხატები მნახველის ყურადღებას იპყროვს. მამა ამირან ამირანაშვილის ნაკურთხი კედლები სიმშვიდის აურას უტოვებს მომსვლელთ. გარდა აჭარისა აკადემიის ფილიალი გახსნილია ხონში, რომლის ხელმძღვანელია ქალბატონი გულიადა სანოძე. მინდა მადლირება გამოვხატო, ხონის ადგილობრივ ხელმძღვანელების მიმართ. ქალბატონ გულიადას ხელს უწყობენ, რომ ჩატარდეს ღონისძიებები და ჯუმბერ ლეჟავას სახელი მათ რაიონში უკვდავად იხსენიებოდეს. რაც შეეხება აჭარის რეგიონს, ქების სიტყვები ძალიან ცოტაა მათთვის. ამ პატარა სტატიაში ავღნიშნე ქალბატონი ნანას ნიჭიერება და მისი ურთიერთობა საზოგადოების მიმართ. რაც არ უნდა ნიჭიერი იყო, თუ გვერდში მდგომს არაფრად მიაჩნია შენი საქმიანობა არაფერი არ გაკეთდება ამ შემთხვევაში. აჭარის ხელმძღვანელობის მთელმა ინტელიგენციამ მხარი დაუჭერს ქალბატონ ნანას და განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო

აჭარის ტევე თორმეტის გვერდში დგომა. თვითონ დირექტორიც ბატონ ჯემალ მეგრელიძე გაწევრიანდა აკადემიაში. გაწევრიანდა, მისი მოადგილე, ბატონი ჯემალ არობელიძე და მეტი წილი ტელევიზიის თანამშრომლები. ამ საქმესაც თავისი დასაწყისი აქვს. თბილისის მხატვართა კავშირის თავჯდომარის, ბატონი გურამ ცერცვაძის რეკომენდაციით გახდა ქალბსტონი ნანა ჯერ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი ,რომლის ხელმძღვანელი თვითონ გახლავთ ბატონი გურამ ცერცვაძე და ქალბატონი ნანა აჭარის რეგიონის მხატვართა კავშირის წევრიც გახდა. გახადა , რადგან მხატვართა კავშირი საქართველოში მართლაცდა მყარად დგას ფეხზე. ხოლო ბატონი გურამ ფუტკარაძის დამსახურება, ბევრი რამეა, რასაც ახლა არ დავაკონკრეტებ , რადგან ვატყობ ღირსეულ ლიდერს , უნიჭიერს მხატვარს არ უყვას ქება – ხოტბები. ეს მეტი წილი მხატვრის თვისებაა, თავშეკავებულობა. ბატონმა გურამ ფუტკარაძემ პირველმა შექმნა ბატონი ჯუმბერ ლეჟავას, პორტრეტი და ქალბატონ ნანას გაუგზავნა აკადემიაში ლეგენდარული პიროვნების პატივსაცემად. ხელოვნების სიმდირედ. მეორე ორიგანალური ნახატი შექმნა და თბილიში ცენტრში გადმოგზავნა, რისთვისაც დიდი მადლობა მას ჩემგან და აკადემიის წევრებისაგან. ყველა დალოცე უფალო ვინც ქალბატონ ნანას გვედში უდგის, ვინც ეროვნულია და ვინც ოდნავ მაინც ფიქრობს ხვალინდელ დღეზე. არაფერი არაა ეს ცხოვრება სიყვარულისა და ერთგულების გარეშე. სწორედ სიყვარულით გაერთიანდა ბატონი ნიაზ ცივაძის და ქალბატონი ნანას გულები. ამ დიდ საქმეს, ოჯახური ბედნიერებაც მოჰყვა და სიხარულს ცეცხლის კოცონიც აინთო აჭარაში. ორიათას ოცდაორი წლის ექვს ივნისს კი ყველაფერი შრომის და ბედნიერების შედეგი იზეიმა მწერალთა კავშირის თავჯდიმარემ ქალბსტონ მაყვალა გონაშვილმა და ქალბატონ ნანა მომცელიძეს, გადასცა ანა კალანდაძის პრემია. ამ ლამაზი დღის მონაწილე და თვალით მხილველი გახდა ქალბატონი ნანას დედა, ძმა, შვილი და სხვა ნათესავები. უხაროდა დედას შვილის წარმატება და ხშირად ცრემლსაც ღვრიდა. ეს ღონისძიება იმითაც იყო გამორჩეული, რომ საღამო მიყავდათ ჯგუფ ზღვარის წევრებს. სერგი ლონაძეს და კახა ბაციკაძეს. საღამო გახსნა, ამაღლების ეკლესიის წინამძღვარმა მამა ამირან ამირანაშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემის ,,ქალდეას“ პრეზიდენტი ვაჟა ეგრისელი, რომელმაც საჩუქრად გადაცა ქალბატონ ნანას თავისი 100 და 50 ტომეულის რამოდენიმე ეგზემპლიარი. ქალბატონმა ნანამ საჩუქრები ბევრი მიიღო მეგობრებისგან, მაგრამ თვითონაც ხელდამშვენებული ჩამოვიდა აჭარიდან. თავისი ხელით შესრულებული წმინდა გიორგის ხატები გადაეცა: – მამა ამირან ამირანაშვილს, ბატონ თემური გოგსაძეს, ბატონ გურამ ცერცვაძეს. ხოლო უფლის ხატი საჩუქრად გადასცა მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქლბატონ მაყვალა გონაშვილს და ჯუმბერ ლეჟავას აკადემიას, რომელსაც უფლის მადლით მე პირადად ვხელმძღვანელობ. ბევრი იყო სიტყვებში გამსვლელები, მაგრამ ძალიან ბევრი ძირითადი აკადემიის წევრებმა ქალბატნი ნანას მოსაფერებელი სიტყვები გულში ჩაიკლა, მაგრამ სიტყვის თქმის საშუალება არ მიეცა. იყო პატ პატარა ხარვეზებიც რამაც დიდი დრო წაიღო და უყრადღებიდ დარჩნენ მეტად საყურადღებო პირივნებები. მე პირადად გული დამწყდა, რომ აჭარის მხრიდან, ბატონი ჯემალ არობელიძეს სიტყვის თქმის საშუალება არ მიეცა. დარჩნენ ძალიან დიდი ფიგურები ,რომლებმაც თავისი აზრი ვერ გამიხატეს ვერ მოეფერეს მოსაფერებელ ქალბატონს. წამყვანი სერგი ლომაძე ხშირ-ხშირად იმეორებდა სიტყვებს. ქალბატინმა ნანამ გადმომცა გამომსვლელების დიდი არზა, დროში ვერ ჩავეტევი და მე დამენდურეთო. დრო საკმარისი არ აღმოჩნდა. აკადემიის წევრს უნიჭიერეს შორენა მამალაშვილს, მეცნიერულად დამუშავებულ ტექსტი ხელებში შერჩა. ქალბატონი ლაზირას მიძღვნილი თბილი ლექსის სიმხურალე ისევ ლამზირას გულში დარჩა.

ღმერთო შემაძლებინე

მამა ღმერთო, რომელი ხარ ცათა შინა, გთხოვ შემაძლებინო, ჩემი განცდების გადმოტანა ფურცელზე, რათა სიტყვით მაინც ვაამო ჩვენს მასპინძლებს, ბატონ ჯამლეტ უგულავას ოჯახს. ცხრა ივნისს დამთავრდა ქალბატონი მაყვალასადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. ერთხელ კიდევ

დიდი მადლობა ადგილობრივ ხელმძღვანელობას. კულტურის ცენტრს, მერიის ხელმძღვანელობას. მათმა მსახიობს ყველანაირად ხელი შეუწყვეს, რათა საღამო ისეთი ჩატარებულიყო, როგორსაც იმსახურებდა, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პოეტი ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. იმ დღეს იქ უნდა დავრჩენილიყავით, რათა მეორე დღეს ჩემი და მაყვალა გონაშვილის საღამო ერთად უნდა ჩატარებულიყო სოფელ გორდში. მეორე დღის ღონისძიების წინამძღოლი ისევ ქალბატონი გულიადა იყო და ღამის მასპინძელიც მისი ქართული ოჯახი გახლდათ. ღონისძიების ემოციით დატვირთული იმითაც კმაყოფილი ვიყავი, რომ სიტყვით გამოვიდნენ, მერიის გამგებლის მოადგილე ქალბატონი მანანა გოფოძე და კულტურის ცენტრის დირექტორი ქალბსტონი მინერ ონიანი, რომელიც ჩემი დედაო იონა ონიანის, ძალინ ახლობელი გამოდგა. სიტყვით გამოვიდნენ იმ რაიონის მკვდრნი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის წევრები, ექიმი ქალბატონები, ამავე დროს ცნობილი პოეტები, ქალბატონი ნაირა უგულავა და ქალბატონი შორენა ჩხიკვიშვილი. გზა გორდისაკენ განვაგრძეთ, ღონისძიევის დამთავრწბის შემდეგ.საღამოს ნისლში ჩაძირული სოფელ გორდის მოსაცხლება, ბუნების სიწმინდეში იყო გარინდული. ლამაზი პატარძალივით მოკაზმული იმერული ეზო, ჯამლეტ უგულავას და გულიადა სანოძის თითქოსდა გრძნობდნენ პოეტთა სულის სიახლოვეს. მათთვის ეს შეგრძნება უცხო იმიტომ არ იქნებოდა, რომ იმ ოჯახში ორი ხელოვანი გაიზარდა. იაგო უგულავა (ხატმწერი) და ედვარდ უგულავა (პოეტი) . ხელოვანთა ოაზისში სიმშვიდე ვიგრძენით, დაღლა გადაგვავიწყდა და ღამის სამ საათამდე მე და ქალბატონმა ნაირა მარშანიამ ერთად ყოფნობის პერიოდიც გავიხსენეთ. დილის ცხელი პურის სურნელებამ ძილბურანში მყოფ ქალბატონები შემოგვაფხიზლა. გულნაზ, მომართა, ქალბატონი ნაირამ, მგონი პურს აცხობენ. შემწვარი წიწილების სუნიც მცემს. ჩვენი ადგომის დროც მოვიდა და სიმშვიდის ძილიდან, დილის ცისკარს შეეგებეთ. იმაზე მეტად ლამაზი აღმოჩნდა სოფელი გორდი, ვიდრე წარმომედგინა. აივანზე სკამები გამოვიტანეთ და ჩამოვჯექით. ქალბატონმა ნაირა უგულავამ, ჭიშკრიდან შემოგვძახა, როგორ გეძინათო და ლამაზი შვილიშვილითან (ნიასთან) ერთად გვესტუმრა ტკბილეულით ხელდამშვენებული. დაბლიდან ქალბატონმა გულიადამ შემოგვძახა, თორნის პური მიირთვითო. ამ ქალღმერთს, თორნეში პური დაეცხო. მსახიობ დედა ქალბატონს, სამართლიანად ვუწოდე ქალღმერთი.

დაუჯერებელია ექვს საათზე ჩაატარო ხონის კულტურის ცენტრში საღამო, შეხვდე მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ (მაყვალა გონაშვილს) . საღამო მიგყავდეს შენ და დილის ექვს საათზე თორნიდან შენივე მოზელილ–დაცხობილ შოთებს ყრიდე თორნიდან. ასეთი ცეცხლივით მარჯვე ნიჭიერი ქალბატონისგან უკვე აღარაფერია გასაკვირვებელი. ეს ქალბატონი არის მსახიობი გულიადა სანოძე, მისაბაძი და საამაყო. ამის შემდეგ კი ისევ გულიადა სანოძის ხელმძღვანელობით გადავინაცვლეთ დადიანის ტყე პარკში, სადაც ღონისძიებას, კვლავ დიასახლისი მსახიობი დირიჟორობდა.

ქალბატონი გულიადას საღამოს ჩატარებულ ღონისძიებას, სულ სხვა ელფერი შემატა ქალბატონი ნაირა უგულავას შემოთავაზებულმა წინადადებამ. მანქანა მოყვანილი მყავს, ამბობს ქალბატონი ნაირა უგულავა. ღონისძიება პირველ საათზე იწყება, დადიანისეულ ტყე პარკში. თუ თქვენი სურვილიც იქნება, გორდს დაგამთვარიელებდით. დიდი სიმოვნებითო, თქვა ქალბატომა მაყვალა გონაშვილმა და ყველანი ერთად წამოვიშალეთ. პატარა ანგელოზთან ერთად წავედით სამოგზაუროდ. გორდი, ამბობს ქალბატონი მაყვალა, ერთ-ერთი საქართველოს ულამაზესი სოფელიაო. ყურს ვუგდებდი აღტაცებით ნათქვამ სიტყვებს და მის საუბარით კმაყოფილი, ჩემს სოფელს, საჩხერის რაიონ სოფელ ხვანსა და გორდს ერთმანეთს ვადარებდი. ორივე ლამაზია, ორივეში ადამიანის სიცოცხლის ჟანგბადია, ვფიქრობდი და ვამაყობდი, რომ მეც ამ ბუნების შვილი ვიყავი. რომელი, რომელს ჯობნიდა ამის ფიქრს გდაწყვეტილება პატარა (ნიას)

მერცხალივით, ჭიკჭიკმა გამიფანტა. იმ წუთში, პატარა ნიასთან დავპატარავდი, მან ბევრი ბავშური გასართობით გამართო. ,,წეროები მიფრინავენო“ და ასე შემდეგ.

მსახიობ გულიადა სანოძის ორდღიანი დაგემილი ღონისძიება დადიანის ტყე პარკში გაგრძელდა. პრველ რიგში გულწრფელი მადლობა, უნდა გადაუხადო ადგილობრივ ხელმძღვანელობას. მადლობა იმიტომ, რომ რაც არ უნდა სურვილი გქონდეს, რომელიმე პოეტის სიამის სული შეარხიო ისე, რომ გულში სიხარულის სანთლები დაანთო არ გამოგივა. არ გამიგივა ისეთი , როგორიც ჩვენ ვნახეთ, განვიცადეთ და შევიგრძენით. 2022 წლის საღამო ქალბატონი გულიადასგან დაგემილი, რომელიც ეძღვნებოდა, მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, რუსთაველის პრემიის მფლობელს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, ჩატარდა მაღალი კლასიკირთ. ქალბატონი მაყვალა გონაშვილი ამას ნამდვილად იმსახურენდა. ეს სათნოების ქალბატონი, ოცი წელიწადია მწერალთა კავშირის ხელმძღვანელია , ეს თანამდებება მან, თავისი პოეზიით და უბრალოებით შეინარჩუნა.

მისი ლამაზი სული შეუმჩნეველი არ დარჩენია მსახიობ ქალბატონს გულიადა სანოძეს და ისე მოეფერა პოეტს, როგორც იმსახურებდა. მისი დაამსახურებაა, პოეტის ლექსების მიტანა მოსწავლეებამდე. კითხულობდნენ მაყვალა გონაშვილის ლექსებს და ჩემს თვალში, ერთად შეზრდილი ურთხმელის ტოტებივით, იზრდებოდა პოეტი და მსახიობი. ქალბატონ მაყვალას ჩემთან ერთად ახლდა, საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია ,,გულანის“ პრეზიდენტი ქალბატონი ნაირა მარშანია და ქალბატონი მაყვალას მეუღლე ბატონი მერაბ კეზუა. თუ რაოდენ საამაყო იყო, მეღლესთვის ბატონი მერაბისთვის, ავტორიტეტული პოეტის გვერდით ყოფნა ამას მის თვალებში წაიკითხავდით. ქალღმერთ გულიადას ჩატარებულ ღონიძიებაში გამოგზაურებთ.

ხვალ მცხეთაში უნდა წავიდე. უნდა მივიდე მამა გაბრიელის საფლავზე და ვილოცო, ხონელებისათვის, ვილოცებ სოფელ გორდიში მცხოვრები, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთა-შორისო აკადემიის წევრებისათვის. ვილოცებ მთლიანად საქართველოსათვის. თორმეტ საათზე დაწყებული ღონისძიება სამ საათამდე გაგრძელდა. დადიანების ტყე პარკში სადაც მოქმედი ეკლესიაა აშენებული, ღონისძიების დაწყებავდე, იწვოდა სანთლები. ილოცებოდა ღონისძიებაში მოწვეული ბავშვების მშობლები. ილოცებოდნენ, ხონის გამგების წარმომადგენლები, ქალბა-ტონები და ბატონები. მე კი მათთან ერთად, გულში ვლოცავდი იმ სოფლის რძალს, ჩემი აკადემიის წერს, თამრო გენელიძეს, რომელიც ემიგრანტია და სოფელ გორდის რძალია. ვლოცავდი, მთელ საქართველოს. მსახიობ გულიადა სანოძის გაკეთებულ სცენაზე იყო, ორი პოეტესა ქალბატონის სულის კოლიზიუმი. მაღალ დონეზე წაკითხული ლექსების ხმა დადიანების ადგილში იფანტებოდა. იმ სოფლის მკვიდრის პროფესორ მურმან გელენიძის სურათების

გალერიას, მწვანე წიწვები ეფერებოდა. ქალბატონი ნაირა უგულავას წაკითხულმა ლექსმა, რომელიც მე მომიძღვნა ამაცრემლა და სახეზე აცეკვებული წვეთის ბურთულებს მზის ათინათები მიშრობდა. ქალბატონი შორენა ჩხიკვიშვილის და მერის მოადგილე მანანა გოფოძის სიტყვევმა კვლავ სიცოცხლეზე წამაქეზეს. კვლავ დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დამაფიქრეს.

ღონისძიების მსვლელობა ისევ იმ სტილით გაგრძელდა, ქალბატონი მაყვალას ლექსის წაკითხვის შემდეგ იკითხებოდა ჩემი ლექსები. ეს არ იყო შეკვეთილი ღონისძიება, ეს იყო ქალბატონი გულიადას ნიჭით დადგმული ბუნების წიაღში დადგმული სპექტაკლი. ყველაზე ძალიან გამაოცა, ზარის რეკვის დროს გაისმა ემიგრანტ პოეტ მალვნა ჭელიძის ლექსი, რომელიც მე მომიძღვნა ამ რამოდენიმე თვის წინ. უფალმა მალვინა ამოარჩია ჩემი გულის მალამოდ იმ წუთებშიც კი როცა სულ სხვა სამყაროში ვიმყოფებოდი. დიახ! უფალი ყველაფერს ხედავს. ვიმეორებ ეს, არ იყო ჩემთან შეთანხმებული წასაკითხი ლექსების პროგრამა. ხონელებმა, დამანახეს დიდი ნიჭი და ქართველური სულის, ერთად დგომის სიძლიერე. ამ ღონისძიებას კვალდაკვალ ყველგან ვხედავდი, ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ რაინდს, ექიმ რამაზ კორძაიას რომელიც ჩვენს საპატივსაცემოდ ბევრ ტექნიკურ მხარეს აწესრიგებდა. რაოდენ სასიხარულო აღმოჩნდა ჩემთვის, როცა გავიგე, რომ ეს ყველასგან გამორჩეული რაინდი ქალბატონი ნაირა უგულავას, მეუღლე აღმოჩნდა. პროფესიით დამსახურებულ ექიმზე უფრო დიდი იყო, მის მიერ იდუმალებაში ჩამალული ამოუცნობი ადამიანობის ფენომენი, თავისი განსხვავებული ნიჭით. მის ყოველ წარმოთქმულ სიტყვებში იყო ჩართული ჩემი და ქალბატონი მაყვალას პატრიოტული ლექსის სტროფები. ხოლო ნაზი ჯიქიას ჩემს ლექსებზე ამღერებულ სიმღერებს დიდი ხანია იცნობს, საზოგადოების ის ნაწილი, რომლებიც ჩემი შემოქმედებუთ არის დაინტერესებული. რა დავწერო რითი გამოვხატო მადლიერება უკვე აღარ ვიცი. ერთს ვიტყვი, ჩემი აზრით, ამ საღამოს დირიჟორი, მამა ღმერთი და სული წმინდა იყო.

სურათი გადაღებულია 2022 წლის თორმეტ ივნიისს, შიო მღვიმევის ნონასტერში. ხომ დაგპირდით ღონისძიებაში მონაწილე ხონელებო, რომ ლოცვას არ გამოგილევდით. ხომ ვთქვი, მცხეთაში მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებთან მოვყვებიდი ამ სიხარულის განცდებს. ჰოდა, შევასრულე. ბატონო ჯამლეტ უგულავა, თქვენი მსახიობი მეუღლისგან და ჩემი აკადემიის ვიცე პრეზიდენტისაგან, განცდილ სიხარულს უყურადღებოდ როგორ დავტოვებდი. ლოცვის გარეშე როგორ დავტოვებდი ქალბატონი ნაირა უგულავას, ოჯახის ყურადღებას. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრებო, მე მხოლოდ უფალი მეხმარება და სწორედ უფალს ვთხოვე, რომ სანაცვლოდ სიხარულისა, თქვენ კარგად მყოლებოდით. ვერ დავისვენებდი, სანამ მამა გაბრიელის საფლავზე არ ჩავიდოდი და არ მოვუყვებოდი თქვენზე ხონის ხელმძღვანელობავ დიდი სტუმართმიყვარეობის ამბავს. მადლობა თქვენივე თანამშრომლის, დამსახურებული მსახიობის გულიადა სანოძის გვერდში დგომისათვის. მადლობა, რომ იცით მებრძოლი ქალის ფასი და დააფასეთ მწერალთა კავშირის თავჯდიმარე, ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. დავლოცე საქართველო. დავლოცე ყველა აკადემიის წევრი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიისა. სოფელ გორდში მე ვნახე რამოდენიმე ღმერთათან მოსაუბრე ოჯახები და ოჯახის წევრები. ჯამლეტ უგულავასი და ზურაბ კერძაიას ოჯახი. იქ იყვნენ, უსათნოესი ქალბატონები:== ქალბატონი ნაირა უგულავა, შორენა ჩხიკვიშვილი, მანანა გოფოძე, მინერ ონიანი, ნაზი ჯიქია და სხვები. ისრაელიდან ჩამოტანილი წმინდა სანთლები, ბატონი აბრამ პაატას ნაჩუქარი, ისევ სასაჩუქრედ გამოვიყენე, ისევ საქართველოს სალოცავად აინთო უფლის

გულზე ნადები სანთლები. თქვენთან ერთად დავლოცე ჩემი ოჯახის ყველა წევრი და შვილთაშვილები. სურათზე შიო მღვიმევის მონასტერია, იქიდან მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებთან, მოკრძალებულად მივედი და ვუჩურჩულე, რომ კვლავ ხალხის სიყვარულის მადლი გამყოლოდა. ვიგრძენი სიხარულის განცდა და დავმშვიდდი.

დღეს მწერალთა სახლში

ბატონი რეზო მიშველაძის საღამოზე ბრწყინვალე შემოქმედი ქალბატონები გავიცანი. ქალბატონ ნინო უძილაურმა ულამაზესი შემოქმედი ქალბატონი გამაცნო მაიკო ბათიაშვილის სახით. ამ ლაზ ქალბატონში სიმშვიდისა და სიკეთის სხივი ისე ტრიალებდა თითქოს და გაგრძნობინებდა მე მოვედი, რომელიც შენი (გულის) დედაშვილობის ადგილს დაიკავებსო. დიახ! ასე ვგრძნობდი. რაც შეეხება ქალბატონ ლალის და ქალბატონ იანელს, ესენი მონატრების ფიქრებში დარჩენილები მყავდნენ და მათთან შეხვედრას ვნატრობდი. პანდემიის შემდეგ ძლივს მეღირსა მათი ნახვა, ვნატრობდი გულში ჩამეკრა და მოვფერებოდი. დღეს ამისრულდა ნატვრა და ვნახე თბილი პოეტესა ქალბატონები. მადლობა უფალს ამ ლამაზი დღისთვის. მადლობა საქართველოს მწერალთა და მეცნერათა აკადემია გულანის პრეზიდენტს, ქალბატონ ნაირა მარშანიას, ამ ლამაზი დღისათვის. ამაზე განსაკუთრებულად დავწერ ახლა კი ავანსად, ამ ლამაზი ღონისძიბის ამონარიდი, რომელიც მიეძღვნა ცნობილ მწერალს რუსთაველის პრემიის და მრავალი ტიტულების მფლობელს ბატონ რეზო მიშველაძეს.

სულის შრიალი

სული მოშრიალე ფოთლებს გავსო, ამბობს პოეტი მანანა სამყურაშვილი, მზე კი ფიროს-მანის ხელითაა ნამდვილად მოხატული იმიტომაა ყველა მნათობისაგან განსხვავებულიო. პოეტი ამაყობს საქარათველოს წარსულით და ამბობს: – ,,რას მეტყვით ისეთს რით გამაკვირვებთ, მე დედა მყავს მკერდ დაშანთული“ .აქ ქეათევან წამებულს გულისხმობს, მის წმინდა სახელს კი ადარებს ქრისტეს წამებას. მტერს მიმართავს: ,,მტერო, ქართველი დედის სულისკვეთებით ბევრ-ჯერ დარჩები გაწბილებული“... და კიდევ, ,,ჩემს გაკვირვებას ნურვინ ეცდებით, ღვთისმშობელი მყავს წმინდა ქართველი“. ქართველი ვაჟკაცის სიმბოლოდ აღიქვამს კავკადიონის ქედზე შემდ-გარ ამირანს. ,,კავკასიონი შემოურტყამს ამირანს წელზე კახეთი კი მკლავზე გადაუფენია“, კოჭლი თემურ ლენგის ფეხის ნატერფალებზე, საქართველო ვაზის ცრემლებით მტრის ჯინაზე ისევ თვრება“. პოეტს თავის სიცოცხლე წყლის პეშვივით ხელში უჭირავს და

დაჰყურებს ისე ვით ცათა ელვა.,, წამი, წამებში წუთი-წუთებში თოვლის ფიფქივით ხელში მადნება“ ამიტომ მევე უნდა გაუფრთხილდე. თავი კი უმდიდრეს ქართველ ქალად წარმოუდგენია, რადგან მისი სიმდიდრე ქართული ვაზია, ღვინო კი უკვდავების წამალი. ,,მე ვარ სამი უკვდავების მფლობელი, ვაზო, შენი დალოცვილი ძირისა და მტევნისა სილამაზის მლოცველი, მესამე კი უკვდავქმნილი ღვინისა“. დღევანდელი მდგომარეობით უკმაყოფილო კი ამბობს. ,,რამ დაამუნჯა მოყვასი ჩემი“, წუხს, რომ ზოგი სულის ნაჭუჭში შეყუჟული, მხოლოდ და მხოლოდ თავის სურვულს იოკებს და მე კი ბუნების პოეტად გადავიქცევი და მანამ ვიმღერებ სანამ უკანასკნელი სიმი არ გაწყდება. ასე ეფერება ბუნების დედა – ლილეოს და ხანაც კი მოსწონს ქართან ტრიალიც. შეჰყურებს აზვირთებულ მდინარეებს, ხედავს ქარისგან ხეთა დახეთქილ ტოტებს, ძარღვებისან როგორ სდით სისხლი. მერე კი ისევ ფიქრს მისცემს თავს, რადგან ფოთოლცვენებით გული დაუდარდიანდა. ფიქრიც დამძიმდა და გულში არ დატეული სევდა ალბათ სულ ჩქარე წიგნად დაიბადება.

დარდის ცეცხლში

მთელი სიცოცხლე გაილიო დარდის ცეცხლში, წელიწადის ოთხი დროსავით... და მაინც... საერო საქმეს აკეთებდე ასეთია ბატონი რეზო მიშველაძე. იყო ლექტორი, ასწავლიდე, წერდე ნოველებს, ქმნიდე ტომეულებს, ამნაირ პიროვნებაზე იტყვიან, დარდის ცეცხლში გამოვლილია და ისევ როგორ თავის შვილებივით უყვარს სხვისი შვილებიო. ბატონი რეზო, მართლაც მისაბაძი და სამაგალითოა. იგი ბედისწერისგან დაკანონებული შეცდომის მსხვერპლია. რუსთაველის პრემიის მფლობელი აღიარებული სახალხო მწერალი თუ როგორ უყვართ ელიტარულ საზოგადოებას არა ერთხელ გავხდი ამის მომსწრე. მის მუდამ მომღიმარე სახის მიღმა, საქართველოს ტკივილი და შვილის (აჩიკოს) მონატრება სამუდამო მდგუმარად ცხოვრობს. ახლა როცა, პანდემიის შემდგომ პერიოდში როცა დრომ გაზაფხულივით თცალები გაახილა, მოწმე გავხდი ბატონი რეზოს სიყვარული თუ როგორ გრძელდება. უყვართ მწერლებს და უყვართ ხალხს. საქართველოს მწერელთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია ,,გულანის“ პრეზიდენტმა ქალბატონმა ნაირა მარშანიამ, ბატონ რეზოს შეხვედრა გაუკეთა მწერლის სახლში. იღებდნენ სურათებს ბატონ რეზოსთან არ ეთმოდათ მწერალი. ეფერებოდნენ, აღარ უნდოდათ სახლში წასვლა. ვუყურებდი და მიხაროდა, რადგან დაწერო ერთია და უყვარდე საზოგადოებას ეს ორჯერ მეტადაა გასახარებელი. დიდხანს იცოცხლე ბატონო რეზო. ერთხელ კიდევ დიდი მადლობა, საქართველოს მწერელთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია გულანის პრეზიდენტს ქალბატონ ნაირა მარშანიას ამ საღამოს მოწყობისათვის.

საღამო ეძღვნებოდა ბატონი რეზოს ახალ გამოშვებულ წიგნს, ,,ნოველები აფხაზეთზე“ . საქართველოს სახალხო მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურიატი ბატონი რეზო მიშველაძე, განიცდის აფხაზეთის ტკივილს. ეს ბუნებრივიცაა, აფხაზეთი და სამაჩაბლო თითეული ქართველის ტკივილია. ეს ტკივილი ბატონი რეზოსთვის გაასმაგებული ცრემლია, რადგან მან თავისი ერთადერთი აჩიკო მიშველაძე, სწორედ აფხაზეთის ომს შეწირა. მე პირადად ორ რეზოს ვიცნობ. პირველი როგორც დიდი კლასიკოსი მწერალი, მეორე როგორც უკეთილშობილესი პიროვნება. ეს სიტყვები მზეზე გაფიცხებულ ბალახს, რომ არ დავამგვანო, მოვყვები ერთ რეალურად მომხდარ ამბავს. როდესაც ეს არ გასაგონი ამბავი მოხდა და აჩიკოს ცხედარი სახლში ესვენა. ეს ის დროა იოსელიანის ბრძანებებით რომ წიოკობდა სამეგრელო. ერთ-ერთი პიროვნება დაუკავებიათ და მეორე დღეს უნდა დაეხვრიტათ. ერთადერთი ვისაც შეიძლებოდა, რომ ეშველა

სასიკვდულოდ განწირული ადამიანისთვის, ბატონი რეზო ყოფილა. გამწარებული ადამიანი ყველაფერს გაბედავს სულის გადასარჩენად. მისულა ბატონ რეზოსთან და თავისი გასაჭირი უთქვამს. მას შვილის ცხედარი დაუტოვებია და მეგობარს გაყოლია. ერთი სიტყვით სანამ აჩიკოს სული ზეცას შეურთდა მამამ, (ბატონმა რეზომ) საგზლად მადლი გააყოლა შვილს. დასაწერადაც ძნელია და გასააზრებლად ალბათ წარმოუდგენელი. არა და რეალურად მომხდარი ამბავია.

,,წიგნი ნოველები აფხაზეთზე," დღეს გადმომცა ჩემმა უსაყვარლესმა სულიერმა შვილმა, პოეტმა ნინო უძულარმა, გადავშალე და თვალში მომხვდა ერთი ნოვილის ამონარიდი, ,, შენ, შენი სამშობლოსავით უიღბლოს, გიძღვნი ამ სტრიქონებს, შვილო, აჩიკო..." ნატონი რეზო ხშირად დადის ჰადესში, მოგზაირობს შვილთან. ღამის სიზმარში ერთად მსჯელობენ საქართველოს სვებედზე მამა შვილი. დღე კი მწერალი სიზმარს ფურცელს ანდობს და აგრძელებს ცხოვრებას სხვათა საამოდ. რაც შეეხება ღონისძიებას, ქალბატონი ნაირას ჩატარებულს, იყო თემატიკასთან შერწყმული და შეზავებული, გამოსვლელებით თუ სიმღერების შესრულებით. ბატონ რეზოს გვერდს უმშვენებდა ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. მწერალთა კავშირის თავჯდომარე. გვერდი-გვერდ იჯდა ორი დიდ ავტორიტეტი საქართველოსი. ორი რუსთაველის მფლობელი და ორი უკეთილშობილესი ბატონი და ქალბატონი. ხოლო ღონისძიების ორგანუზატორი ქალბატონი ნაირა მარშანია. მრავალგზის განათლებული და ომგამოვლილი ქალბატონი კვლავ სხვის მოსაფერებელ ლამაზ სიტყვებად იღვრებოდა.

ნინო უძილაური

დღეს ლამაზი და მშვიდი დილა გათენდა. ბუნებაც ისეა გარინდებული— მოკრძალებული, თითქოსდა არ უნდა მყუდროობა დაურღვიოს მეზობელ ზეციურ სამყაროს. დღეს ნინოობაა. ყველა ქრისტიანის საყვარელი და მოსაფაქიზებელი დღე. ჩემი გულის გარშემო ბევრი ნინო დატრიალებს და უფალს ვთხოვ, ყველა კარგად მიმყოფოს უფალმა. დღეს ნინო უძილაური უნდა გაგაცნოთ ვინ არის და რა არის ჩემთვის. სანამ ნინოზე ვისაუბრებდე პატარა ინფორმაცია ჟურნალ ,,ათინათზე". ,,ათინათის" ჟურ-ნალი, რომელიც წმინდა ნინოს ხატის მფარველობაშია მთელი თორმეტი წელიწადი არ ჩავარდნილა. ყველა ნომერი გამოდის. ჟურნალის არსებობა თორმეტ წელიწადს ითვლის.-— ხატმწერი ბატონი (რეზო ადამია). უკვე 44-ე ნომერს ველოდებით. ჟურნალი, რომ იყოს სარეკლამო ჟურნალი არ იქნება გასაკვირვებელი, მაგრამ ჟურნალი სამეცნიერო შემეცნებითია და მეცნიერება ოცდამეერთე საუკუნეში, მაინცდამაინც არაა პოპულარი. შემოსავლიანი ყვითელი პრესაა. ჟურნალ ,,ათინათში" და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში , ქალბატონი ნინო უძილაური გაზაფხულის მერცხალივით შემოფრინდა. მოვიდა და მოიტანა წმინდა ქართველი ქალობის სურნელი. მოიტანა, სიყვარული და ერთგულება. პოეტი ქალბატონი უკვე ჩემთვის სულიერი შვილი გახდა. ისე დამფოფინებს თავზე, ცდილობს არაფერი მეტკინოს, ან არაფერი მეწყინოს. ნინო ისე გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში, როგორც სუსხიანი ზამთრის შემდეგ ცხრა თვალა მზე . მზე, რომელიც დედამიწას ათბობს და სიცოცხლეს უბრუნებს. ასეა ნინო უძილაური ჩემთვის, გაყნულ სხეულმა სითბო იგრძნო. ყინული წვეთ– წვეთობით ლღობას იწყებს. თუმცა ნელა, უმნიშვნელოდ ლღვება, მაგრამ რაც მთავარია, გაყინული გული ნინოს გულის სხივებს დამორჩილებული აქვს და აიძულებს, რომ დალღვეს. ნინო უძილაური დედა, ბებია, მეუღლე, თავისი ოჯახის დიასახლისი, პოეტი, წიგნების ავტორი, ცეესკოს თანამშრომელი. ჰო, ასეთი თავისი საქმით დატვირთული ქალბატონი ჩემთვისაც იცლის და ვერცხლისწყალივით დასრიალობს ჩემს ბედისწრით გაყინულ გულში.

ბედნიერები იყავით

რამდენი რამის მომსწერე ვარ. რამდენი მეოცნებე ადამიანი მინახავს. რამდენიც ბედისწრის სეტყვაში მოხვედრილი, ცხოვრებისგან ნაჟეჟ-ნაგვემი. ერთი კი ვიცი მდიდარს ღარიბი მხოლოდ მაშინ ეცოდება, როცა რაღაცა შემთხვევის გამო ძირს დაეცემა. მაშინაც კი ის გაჭირვებული შრომისგან ხელებდახეთქული თუ შეიცოდებს, მდიდრის მეგობარი არასოდეს მიხედავს მეგობარს და არც გაიზრებს იმაზე, რომ ხომ შეიძლება, ანალოგიურ სიტუაციაში თითონაც მოხვდეს. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშოროსო სამეცნიერო აკადემია, სიმდიდრით არასოდეს დაიკვეხნის. სი-

ყვარულით კი ყველაზე მდიდარია. აქ სიმშვიდეა. ჩემი გულის სითბოთი გაყოლილი ლოცვის სიტყვებმა კი ბედნიერები გამყოფოთ შვილებო!

როცა სიყვარული იცი
როცა უფალი გიყვარს,
ხმელ პურის შენაფიცხით,
სტუმარი სახლში მიგყავს.

ასე უბრალოდ სანთლებით შევხვდი საყვარელ ქალბატონებს აკადემიაში.ჩემმა სულიერმა შვილებმა ქალბატონმა ნინო უძილაურმა და ქალბატონმა მელან თურქმანმა, უფლის ხატები გულში ჩაიხუტეს და კვლამ ღმერთის იმედით მიზნად დაისახეს, სამომავლო, საერო საქმეების კეთება.

ამაღლების ეკლესიის ეზოში

ამაღლების დღეს, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიაში, სულით ამაღლებული, აკადემიის წევრები ქალბატონი ნინო უძილაური, თურქეთიდან მელან თურქმენი და პოეტი ქალბატონი მაია დათიაშვილი მეწვია. ქალბატონმა მაიამ თავისი წიგნი გადმოცა საჩუქრად. წიგნის სათაურმა იმ წუთში მიიქცია ჩემი ყურადღება. ,,სიტყვები...“ და სამი წერტილი. წიგნი გადავშალე და თვალებში შემომანათა (სიტყვებმა) „ გარშემო ღვარძლით აფუთფუთდნენ ბნელი სიტყვები“ . ამ უმშვენიერს ლექსების კრებულს(წიგნს) სხვა დროს მიუბრუნდები. ახლა ცოტა რამ ღვთით გზავნილ სტუმრების შესახებ. ქალბატონი მელანი, ქალბატონი ეთერ მდინარაძის რეკომენდაციით მოხვდა აკადემიაში. ეს ის პერიოდი იყო მსოფლიო, რომ ააწრიალა პანდემიის ქარიშხალმა. ყველა ქვეყანაში ყოველ დღე გარდაცვალებულთა რაოდენება იზრდებიდა. პანდემიის პირველ ეტაპზე ჩვენი ექიმები უმკავლდებოდენ ამ არასასურველ სტუმარ (პანდემიას). მეორე ეტაპი კი გათანაბრდა, გაერთიანა მსოფლიო ამ საშინელმა ვირუსმა. მე როგორ

დამტოვებდა (პანდემია) უმტკივნეულოდ და შვილ– ქმარ,-ძმებ გარდაცვლილ დას წამართვა უმცროსი ძმა ამირანი. ჩვენ დაძმანი ყოველ დღე დარეკვით და მოკითხვებით, ერთმანეთს ვამხნევებდით. ჰოდა, არ დამტოვა პანდემიამ უყრადღებოდ, არ დამტოვა უცრემლოდ (მსოფლიოს რისხვამ) და ჩემზე რვა წლით პატარა ძმა (ამირან ხარაიშვილი)ისე წამართვა წიწილას ქორი, რომ მოიტაცებს. ჰო, სიკვდილისთვის წიწილასავით ადვილად მოსატაცებელი გახდა ბუმბერაზი ამირანი, რომელსაც ჭიათურაში (დევის ბარტყს) უძახოდნენ. დევის ბარტყი პანდემიისთვის წიწილასავით მსუბუქი აღმოჩნდა. ისე მოხდა, რომ ჩვემს ოჯახში ყველა პანდემიით, სიცხიანები ვიყავით სახლში და დამ ძმა ვერ დავიტირე. მამა ამირანის სახით უფალმა ამაღლების ეკლესიის მოძღვარი სულიერ ძმად გამომიგზავნა. მამაომ ხარაიშვილების ლომისის წმინდა გიორგის ხატთან დად მაკურთხა. ჩემთვის თვალთ უნახავი ქალბატონი მელანი კი წლების შემდეგ, აკადემიაში ამაღლების დღეს მომივლინა სულის საამოდ და დასამშვიდებლად უფალმა. როცა მელანმა ჩემი ძმის გარდაცვალება თურქეთში გაიგო. მელანი, სულის გზის გასაკვლევად პარაკლისებს უხდიდა ქართულ მართმადიდებულ ეკლესიაში ჩემს ძმას. აი, ასეთი უფლის საჩუქარი(სტუმრები)მყავდა აკადემიაში. ავანთენთ სანთელები, უფალს მადლობა შევთხოვეთ ამ დღისათვის და ჩავატარეთ პოეზიის საღამო. წავიდა მელანი თურქეთში, პოეზიით ცეცხლით გულ შემომთბარი და გაიყოლა ლოცვა ჩემგან, სულიერი დედისგან საგზლად. მიუხედავად იმისა, რომ ნინო უძილარს სამსახურიდან ურეკავდნენ, მაინც აკადემიიდან ამაღლების ეკლესიაში გადავინაცვლეთ. ნინო ჩემი აწ გარდაცვლილი შვილის (გელას) დაბადების დღეს 27აპრილს არის დაბადებული.ნინო ჩემი გულის ტკივილის მალამოა. ამაღლების ეკლესიაში სანთლები ავანთეთ, ბოლოს კი ეკლესიის მრევლთან და მამაოებთან ერთად სურათები გადავიღე. ამ კადრში ნინო არ არის რადგან, სანთლების დანთების შემდეგ, ჩემი ნინო, ისევ სამსახურში გაიქცა. ვგრძნობდი, რომ ჩემი გულის სანთელი, რომელიც ჩემს გულში ერის სალოცავად მარადილ ცეცხლის კიალად ყოველთვის იწვის ჩაუქროვლად, სიყვარულით აალდა, ააზეიმდა და გულიდან ცამდე ამაღლდა ამაღლების ეკლესიაში. დიდება შენდა უფალო!

ლეილა ვადაჭკორია

ქალბატონი ლეილა ქიმიკოსია, დამსახურებულ პედაგიგს კალამიც კარგად უჭრის და არა ერთხელ დაუწერია ღრმა შინაარსიანი ქების წერილი მასზე გაზეთ განათლების მთავარ რედაქ-ტორს, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ ბორის მიშველაძეს. ქალბატონი ლეილა, საბავშო პოეტია. წიგნების ავტორი. მიუხედავას იმისა, რომ კარგახანია იცნობენ მის კალამს, მაინც მოკრძალებულია. ყოველთვის ჩრდილში უყვარს დგომა. სხვას უნდა დაუთმოს,სხვას უნდა აამოს.. ჟურნალ ,ათინათის“ 44-ე ნომრის პრეზენტაცია როცა გავაკეთე, ქალბატონ შორენა მამალაშვილს ჰქონდა დავალებული, რომ ყველა განყოფილების ანალიზი გაეკეთებინა. არ მოველოდი ისეთი ანალიზი გამიკეთა ქალბატონმა შორენამ. ბოლოს როცა პოეზიაზე გადავედით, ქალბატონი ლეილას წაკითხულმა ლექსმა ყველა გააოცა. ასე რომ, მასაც ჩემი რეკომენდაცია დასჭირდა

მწერალთა კავშირში, რომ ქალბატონი ლეილა მიეღოთ. მოკრძალებულ ქალბატონს ვერც კი წარმოედგინა, რომ მწერალთა კავშირის დიდი ოჯახის წევრი გახდებოდა. დიახ! სურათსაც დააკვირდით, როგორ უხარია. სულ ჩქარე გამოვა ქალბატონის ახალი წიგნი რომელითაც მკითხველი მჯერა, კმაყოფილი დარჩება. ახლა კი მიულოცოთ ეს მართლაც დიდი აღიარება.

ეკა ბრეგვაძე

ეს ჭიათურელი ლამაზი გოგონა თითქმის ხუთი წელიწადია აკადემიაში ტრიალებს. ყველა ღონისძიებაში ღებულობს მონაწილეობას. ეკას დიზაინით იყო გაფარმობული ქალბატონ ეთერ ჭელიძის ის უნიკალური საღამო, რომლის შთაბეჭდილებებში კარგა ხანს დარჩება ქართული საზოგადოება. ეკა ბრეგვაძის ხელი ერია, რუსთავის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ჩემი საიუბილეო საღამოში. გარდა მაგისა ვერცხლის წყალივით მოტრიალე გოგონა აკადემიაში ძალიან ბევრ საქმეს აკეთებს, რომლის ჩამოთვლა შორს წამიყვანს. უაღრესად განათლებულ გოგონას ჩააბარე ნებისმიერი საქმე და მიენდე ბოლომდე გააკეთებს და არასოდეს გიღალატებს. გჯეროდეს უშეცდიმოდ გაგიკეთებს ყველაფერს. რამდენჯერმე დავაპირე აკადემიაში მიღება, მაგრამ მისი ბიძა ბატონი თემური ყოველთვის წინააღმდეგი იყო. არაერთხელ მითქვამს, თემურ შვილო, რითი აღარ დაიმსახურა ეკამ აკადემია? თავისი სიდინჯით მხოლოდ ერთი სიტყვა უთქვამს ბატონ თემურს. არა დედი, ეკასთვის ჯერ ადრეა აკადემიაო. როცა ეთერ ჭელიძის საღამოზე დავინახე, როგორ ჭირუსუფლობდა საღამოს, როგორ განიცდიდა, აპარატურამ , რომ ისე არ გაამართლა, როგორსაც ელოდნენ. ვუყურებდი მის გადაფითრებულ, განევრიულებულ სახეს და გულში ვფიქრობდი, ასეთი ნიჭიერი და ერთგული როგორ არის ეს კეთილი ფერია ყველასათვის? ეკა შვილო, შენ თუ არა სხვა ვინ უნდა იყოს აკადემიაში? წავედი ბატონი თემურის წინააღმდეგ და ეკა ბრეგვაძე ავირჩიე აკადემიაში. თუმცა მოვიდა და მიულოცა თავის დიშვილს ეს სანახსოვრო დღე. ბატონი თემური იურიდიულად და სამართლობრივად უფრთხილდება აკადემიის პრესტიჟს, პირველ რიგში თსვის იგივე დიშვილისგან მეტს ითხოვს.. ეკა ბრეგვაძეს ერთ– ერთ სარედაქციო განყოფილებასაც ჩავაბარებ. არა მგონია ჩემმა ინტუიციამ არ გამიმართლოს. ეკა ყველაფერს შეძლებს. ჩემი ვერცხლის წყალივით მოტრიალე ნიჭიერი გოგონა. ბატონმა თემურიმ არც კი იცის ისეთი შინაარსიანი ნოველები მომიტანა დასაბეჭდად ნამდვილად გაახარებს მკითხველს. ასე რომ ეკა გილოცავ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიაში გაწევრიანებას!

ჩემი ნაპოვარი პოეტი

სისხლის ყივილს შეიგრძნობ, როცა პოეტი ხარ. ფეისბუქზე ერთი ლამაზი ქალბატონის სურათი ვნახე, რეალურს არ გავდა. უფრო მხატვრის ხელით ნახატი მეგონა. გვერდი აუარე, მერე ისევ შემხვდა. ნახატია?

ჩემს თავს ვეკითხებოდი.
არა გავს რეალურს იქნებ ნახატია,
ანდა გვირილაა ასე რომ ფაქიზობს,
ვინ იცის ჩემსავით უყვართ და დანატრიან,
შვილივით მეც მინდა რომ მივეფაქიზო.

გავიდა დრო. ჩემს ლექსებზე ძალიან თბილ კომენტარებს აკეთებდა ვიღაც უცხო ქალბატონი. მერე ცოტახანი გაქრა აღარ გამოჩენილა. თვალით დავეძებდი მის თბილ სიტყვებს. ბოლოს მესენჯერში შემეხმიანა და იქ, უკვე საიდუმლოს ფარდა აეხადა. თურმე ხარაიშვილი ყოფილა და სისხლი სისხლს დაეძებდა. გავესაუბრეთ ერთმანეთს, ლაგოდეხელი ქალბატონი აღმოჩნდა. მაია ხარაიშვილი. ლაგოდეხის პირველ საშუალო სკოლაში მიწვეული ვიყავი წლების წინ. ქართული ენის პედაგოგი ქალბატონი მერი სპანდერაშვილი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის წევრია. პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა, ტატო ხარატიშვილი, რომელიც ახლა სტუდენტია. ტატო სკოლის პერიოდში სრულყოფილი პოეტი და უდიპლომო ჟურნალისტი იყო. მან ინტერვიუები გააკეთა. ჭიათურის ყოფილ გამგებელთან, ბატონ სულხან მახათაძესთან. აკაკი წერეთლის მუზეიმის დირექტორთან ბატონ ცეზარ ლაშხთან. თბილისში მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენთან ბატონ ოთარ კვესიტაძესთან და ასე შემდეგ. ტატოს ხსენებაზე მაიკოს სიხარულით თვალები გაუბრწყინდა. ბევრი საერთო სანაცნობო გამოვნახეთ და საუბრის დროს გაიგებ, თუ რა შეუძლია ან სამომავლოდ რას შეძლებს თავისი კარიერის ასამაღლებლად. მტკივნეულად წარმოთქვა, მთელი ცხოვრება ვწერ, პოეზიით ვცოცხლობ, ახლა ემიგრანტი ვარ. — მაიკო, სიტყვა შეუტრეალე ნაპოვარა ქალბატონს. მიგიღებ აკადემიაში და მწერალთა კავშირშიც რეკომენდაციას გაგიკეთებ. ხარაიშვილებს თუ მატერიალური ფუფუნება არ გვაქვს, ნიჭი ნამდვილად მოგვმადლა უფალმა. დღეს შედგა ეს პატარა სიხარულის ზეიმი აკადემიაში. მაია ხარაიშვილს ქალიშვილს (მარიამს) გადავეცი დედიკოს დიპლომი და მწერალთა კავშირის მოწმობა, რისთვისაც დიდი მადლობა ქალბატონ მაყვალა გონაშვილს ნდობისათვის. თუ როგორი პოეტები ვართ ხარაიშვილები, ამას დრო განსაზღვრავს. ყოველ შემთხვევაში პატრიოტიზმი ნამდვილად ჭარბოს ჩვენს სულში. გავიმეორებ ჩემი აწ გარდაცვლილ ბეჟან ხარაიშვილის სიტყვებს,, მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში და აათამაშა მკერდზე ნატვრისთვალი თ ბ ი ლ ი ს ი ... და მე ვინატრე მე პატრობმა ამხელა განძის, ფული კიარა , ოქრო კიარა, განძი კიარა, დღეგრძელი იყოს საქართველო, უკუნისამდე“!

დღეგრძელი იყოს საქართველო, დამშვიდდეს ცა და დედამიწა, მაშინ იქნება ნებისმიერი საბუთის გაცემა სასიხარულო. ღმერთმა ნუ ქნას პანდემიის შტორმა იმამატოს, გამოიკეტოს ხალხი სახლებში. რა ფასი აქვს მაშინ რამეს. ღმერთო, თუ არ გავფუფუნდებით სიმშვიდე დაგვისადგურე ერში, ესაა უპირველესი და უმთავრესი!

ყოველთვის ვცდილობ

სამეგობროდ ყოველთვის ვცდილობ მოვძებნო ისეთი ადამიანი, რომელსაც ღირსებით სავსე წარსული აქვს და კიდევ, თუ არ იცის ტკივილი რა არის, მე არასოდეს შევეცოდები. გვერდში დავიყენებ აუცილებლად სხვისი სიხარულის გამზიარებელ პიროვნებას.

განათლებულმა, განათლების, და ცოდნის ფასი უნდა იცოდეს. არ უნდა განიკითხოს სხვა. ჩემთან სხვაზე ცუდი არ უნდა ისაუბროს. როცა ამ ღირსებებს დავინახავ, მერე ვიწყებ სულის სიღრმით შეთვალიერებას. უნდა იყოს აუცილებლად თავმდაბალი და მიმტევებელი.ამ ყველანაირ ჩემი ხასიათის მოთხოვნებს აკმაყოფილებს ქალბატონი იზა ჭიკაიძე. იგი გახლავთ ბრწყინვალე დედა და უკეთილშობილესი ბებია. ფილოსოფიურ– ლირიკული პოეტი. მისი პოეზია აკმაყოფილებს დღევანდელი მოთხოვნების მკითველს. ამიტომ იყო, რომ მწერალთა კავშირში ჩატარებულ მისი წიგნის პრეზენტაცია, გათვლილი იყო მოსწავლეებზე. შეეძლო ქალბატონ იზას, დეკლამატორები გამოეყვანა, და თავისი ლექსებით ტაშის გრიალში გაეხვია საღამო. ეს არ გააკეთა თავისი ხასიათიდან გამომდინარე. რა კარგად შეარჩია ქალბატონი იზას ხასიათი, იმ დღის ღონისძიების წამყვანმა, ბატონმა ლევან ჟვანიამ. სანთლის შუქზე, ხალხის სიყვარულით დნებოდა და იფერფლებოდა პოეტის სული. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ქალბატონი იზას პოეზიას დიდიხანია იცნობენ. მის ლექსებზე არა ერთი სიმღერებია აჟღერებული. არც მწერალთა კავშირიდან დაკლებია ყურადღება. ადრე გაცემული ანა კალანდაძის პრემიას სამშვენისად წაუძღვა ღვაწლმოსილის პრემია. დაე, ასი წელი, იღვაწე, უფაქიზესო ქალბატობო. შენ არა მარტო ჯუმბერ ლეჟავას სახელიბის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი ხარ. ჩემი სულიერი შვილი გახდი. შენი თავდაბლობიდან გამომდინარე, გაფასებ, მიწიდან ღმერთამდე ამაღლებულო ქალბატონო!

აჭარა – ჩვენი სიამაყე

როცა შეუძლია



მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულმა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა, აჭარის რეგიონში მხატვართა კავშირისა და მწერალთა კავშირის წევრმა, ქალბატონმა ნანა მომცელიძემ, თავისი შესაძლებლობით გაგვაოცა. 2022 წლის 6 აგვისტოს მოეწყო ქალბატონ ნანა მომცელიძის ნახატების პერსონალური გამოფენა აჭარაში. რამხელა დაფასება და ხათრი უნდა გქონდეს ქალბატონის მიმართ, ღამის ოთხ საათზე წამოვიდეს გარდაბნიდან, პოეტი ეთერ ჭელიძე, რუსთავიდან, გულნაზი ხარაიშვილი, შორენა მამალაშვილი, ლამზირა შეყილაძე, თბილისიდან ჯგუფ ზღვარის წევრები, ცნობილი ადვოკატი, ბატონი თემურ გოგსაძე, მხატვართა კავშირის თავჯდომარე ბატონი გურამ ცერცვაძე, გერმანე საზანოელი, ზურა ქობალია, აკადემიის წევრი – ეკა ბრეგვაძე და გადმოიარო გოდერძის უღელტეხილი, მიუსწრო დღის 12 საათზე, აჭარაში (შუამთაში) ქალბატონი ნანა მომცემლიძის პერსონალურ გამოფენას. საოცარია, ასე როგორ შეაყვარა, აჭარის ინტელიგენციას თავი, მის გვერდით იდგნენ და გამოხატავდნენ შთაბეჭდილებებს, იღებდნენ სურათებს და შემოქმედს ულოცავდნენ დროის ჭიდილთან გამარჯვებას.ყველაფერი გასაოცარია... მარათლაც, ქალბატონმა ნანამ მოახერხა და თავისი მრავალმხრივი ნიჭი დაანახა ქართულ საზოგადოებას,

მან მოახერხა აჭარის ინტელიგენციის პატივისცემა დაემსახურებინა, რისთვისაც პირველ რიგში დიდი მადლობა აჭარის ტელევიზიის, tv. 12-ის დირექტორს, ბატონ ჯემალ მეგრელიძესა და ტელევიზიის ყველა თანამშრომელს. ქალბატონმა ნანამ შეძლო ის, რომ თავისი ნიჭით,

კერძოდ, ბატონ გურამ ფუტკარაძის ყურადღება დაემსახურებინა. ხელოვანმა ქალბატონმა გააერთაინა, ჯგუფი ზღვარი, მწერლთა კავშირი, მხატვართა კავშირი და აკადემია. დატვირთული ღონისძიების ემოციის გადმოცემას, ჯერჯერობით ვერ შევძლებ, რადგან დღეს, 8 აგვი სტოს, კიდევ გველოდება მრავალმხრივ ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონისგან მნიშვნელვანი ღონისძიება და სართოდ, ეს მწირი ინფორმაციაა იმ დიდი ღონისძიებისა, რაც ვნახეთ და რაც მოვისმინეთ. აი, ამიტომ დანარჩენი მერე... ღონისძიება მიჰყავდა პოეტს, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრს, ქალბატონ ხათუნა დოლიძეს. ექვს აგვისტოს გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს ლოცავდა საერო ცხოვრბაში ყოფილი მსახიობი, ოპერის მომღერალი, ახლა კი თბილისში ამაღლების ეკლესიის წინამძღოლი, მამა ამირან ამირანაშილი.

ძალიან მნიშვნელოვანი, პიროვნებები იმ დღის ღონისძიების ფიგურები, არ მიხსენებია, ვფრთხილობ არავინ გამორჩეს. აი, ამიტომ გაგრძელება იქნება...

ბეშუმში ქალბატონ ნათელასთან

საერთოდ სამოც წელს გადაცილებულ პიროვნდბას ქალბატონი იქნება თუ ბატონი არასოდეს შეეკითხოთ რამდენი წლის არის. ამას ჩემი საკუთარი გამოცდილებით ვამბობ. აკადემია რომელსაც მე ვხელმძღვანობ და აკადემია, რომელიც მსოფლიო მოქალაქის, თოთხმეტჯერ გინესის წიგნში შესული, დიდი მოგზაურის სახელს ატარებს, უფლის გზას მისდევს. აქ გაერთიანებული აკადემიის წევრები სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა სპეციალობის არიან. 2022 წლის ნ აგვისტოს, ქალბატონი ნანა მომცემლიძის გამოფენის შემდეგ, რომელიც მოეწყო, შუამთაში თვალებს არ ვუჯერებდი, როგორი ერთგულებით ტრიალებნენ ამავე აკადემიის წევრები. ქალბატონები ნათელა ქამანდაძე, ნუნუ ცეცხლაძე და ანა ნიკოლაიშვილი. მათი ვერცხლის წყალივით ტრიალი გონებაში ისე ჩამრჩა არასოდეს დამავიწყდება . ქალბატონები, ნათელა და ნუნუ გარკვეული წლებია

სკოლაში მუშაობენ. ხოლო ქალბატონი ანა ნიკოლაიშვილი ცნობილი მხატვარია. ექვსი აგვისტოს საღამო მიყავდა, პოეტ ქალბატონ ხათუნა დოლიძეს. ქალბატონი ხათუნა გამოირჩევა, კულტურით და უფროსებისადმი პატივისცემით. ის აკადემიის ღისეული წევრია. ამ შემთხვევაში, ღონისძიების თემის, გაშლის საშუალებას ტელეფონი არ მაძლევს და იძულებული ვხდები, პატარ-პატარა ფრაგმეტები მოგაწოდოთ, აკადემიის საქმიანობით დაინტერესებულო მკითხველო. გპირდებით თემატიკის მიხედვით უყრადღებოდ არავის დავტოვებ და აუცილებლად სამადლობელო სიტყვებით გამოვხატავ აჭარლების საოცარად ლამაზად დახვედრის მასპინძლობის ლამაზ კულტურულ ღონისძიებას. საღამოს მიწვეული სტუმრები გადაგვანაწილეს მოსასვენებლად, სხვადასხვა ოჯახებში. მე პირადად მოვხვდი ქალბატონი ნათელა ქამანდაძის ოჯახში. ჩემი ყურადღება მიიქცია, ნათელას რძლის დახვედრამ. ასე დაგლოცავთ ჩემო ტკბილო აჭარლებო, ყველა ოჯახს იმნაირი რძალი, როგორიც ქალბატონ ნათელას ყოლებია. ესეც ცალკე დიდი თემაა. რძლისა და დედამთილის ურთიერთობები. ამაზეც შემდგომში ვისაუბრებ. ღირსებებით სავსე ქალბატონებს. მე ინკუპატორის ქათმის წიწილასავით მომფეთქა გოდერძის უღელტეხილმა, დავიღალე და დასვენება ვარჩიე. პედაგოგმა ქალბატონებმა კი, ახალგაზრდებთან ერთად გარეთ

კოცონი დაანთეს და ზოგი ლექსს წერდა და ზოგიც იუმორით ტკბებოდა. ამიტომაა, რომ ასაკით არ უნდა განსაზღვრო ადამიანთა შესაძლებლობი. ქალბატონი ნათელასი და ქალბატონი ნუნუს, გამოცდილებებით უნდა გაიზარდოს კვლავ მომავალი თაობა. სურათი გადაღებულია ქალბატონი ნათელას სახლში, საიდანაც დიდი სიყვარული გამოგვყვა. სურათი ძალიან შთამბეჭდავია. მამა ამირან ამირანაშვილის, ჯგუფ ზღვარის ლიდერი სერგი ლომაძე, აკადემიის ხელმძღვანელის სიყვარულისა და ურთიერთ პატივისცემის ცოცხალი ჯაჭვის ამსახველი კადრი. ვრცელი ინფორმაციები მერე...

უკვდავების ფესვები

თორმეტი წლის წინ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ვთხოვე, რომ აკადემიის დაასება მინდა და თქვენი სახელობის, რომ იყოს წინააღმდეგი ხომ არ იქნებითქო. უარი თქვა. არც გამკვირვებია იმდენად თავდაბალი და სუფთა პიროვნება იყო. ბატონო ჯუმბერ შეუტრიალე კითხვა, ხომ მიცნობთ, რისი გაკეთება შემიძლია, სიცოცხ-ლეშივე მინდა თქვენი პიროვნება გავაცნო უფრო მეტ საზოგადოებასთქო. გაიცინა და მითხრა: – მე მსოფლიო მიცნობსო. საუბარი გააგრძელა, ისაუბრა თუ როგორ სიძნელებს ხვდებოდა მოგზაურობის დროს. რამდენჯერ მოწამლეს, რამდენჯერ სიკვდილს გადაურჩა. მე ამას ჩემი საქართველოსთვის ვაკეთბდიო. სურვილი, რომ გამომეთქვა და სხვა სახელმწიფოში დავრჩენილიყავი, მილიონერი გავხდებოდიო. ყველაფერს, რომ თავი დავანებო მარტო სპორტით ნებისმიერ ქვეყანას ვასახელებდიო. ბატონო ჯუმბერ, ისევ სიტყვა შეუტრიალე, ნუ მეტყვი უარს, სიცოხლეშივე დაგანახებ შენი ამაგის დაფასებასთქო. ბოლოს დამთანხმადა, ერთად წავედით იუსტიციაში და დავაარსეთ, მისივე სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემია. ბატონ ჯუმბერს ძალიან უყვარდა მომავალი თაობა, ძალიან უყვარდა ბავშვები. იმავე წელს დავაარსე სამეცნიერო შემეცნენუთი ჟურნალი ,,ათინათი“ და გამოუშვი ჟურნალი. ჩავატარე პრეზენტაცია. რუსთავი ორი იყო მოსული, ეს ჩანაწერები არსებობს. ეს მისი სიტყვებია,, ჩვენი მიზანია, უფრო მეტი საზოგადოება შემოვიკრიბოთ და რაც შეიძლება მეტი ვისაუბროთ სიცოცხ-ლის მნიშვნელობაზე. ადამიანი როდესაც ჩნდება და აზროვნებას შეძლებს. მას ყოველთვის უნდა ჰქონდეს მიზანი. მერე თანდათანოვით თავისი შესძლებლობები გაზარდოს. აკადემიის მიზანია, მეტი დრო დაუთმოს ახალგაზრდებს და ყურადღება მიაქცუოს ემიგრანტებს“ . ბატონმა ჯუმბერმა აკადემიის დაარსებიდან სამი წელი იცოცხლა. მე, როგორც აკადემიის ხელმძღვანელი ფიცი დავდე, მის საფლავზე. არ უნდა მოვდუნებულიყავი და თაობები უნდა შემეკრიბა. ჰოდა, ვცდილობ ბატონო ჯუმბერ და მივდევ ეკლიან ბილიკებს. ვიცი რასაც ვაკეთებ და რისთვის ვაკეთებ. აგერ დღესაც მივიღე ერთი ემიგრანტი ქალბატონი, ჩვენივე აკადემიის წევრის , ნანა ჩარკვიანის რეკომენდაციით. ჯერ არც ქება შემიძლია და არც ძაგება. ქალბატონმა ნანამ გაუკეთა რეკომენდაცია და მივიღე. ერთს კი ვიტყვი მე გული მტკივა, ასეთი ლამაზი სიცოცხლის სავსე ახალგაზრდა ქალბატონი, რომ ემინგრანტია. ასეა ბატონო ჯუმბერ, ეკონომიური მდგომარეობის რა მოგახსენო, მაგრამ ბევრი რამეს დღის შუქი მოადგა, ეგებდა მთლიანად გაბრწყინდეს ერი ჩვენი. რა ვიცი, მაინც იმედი ყველაფერს ნიშნავს, იმედით ცოცხლობს ადამიანი. ჰოდა დალოცე ეს ულამაზესი ქალბატონი ლია კუპატაძე. შენი უკვდავების ფესვები ბევრი საღი ტოტებით იმოსება. კეთილი იყოს მისი მოსვლა ჩვენს თბილ ოჯახში.

ღმერთის გარეშე

თმის ღერი არავის ჩამოუვარდებაო უთქვიათ ღმერთის გარეშეო და არა ერთხელ გამოვცადე ეს პირადად. დღეს ჩემი უფროსი შვილიშვილის (თამარი სხირტლაძის) დაბადების დღეა. წუხელის ლექსი მიუძღვენი. საერთოდ ასე მივეჩვიე ყველაფერს უკვე პირდაპირ ტელეფონში ვწერ ნაფიქრსა და ნააზრებს. დარდები, უხვად მაქვს მოჭარბებული, რომ არ დავიხრჩო კალამს მოუხმობ. ამ შემთხვევაში ტელეფონს (რაც არ შეიძლება) ჩემი აწ გარდაცვლილი ძმა, პოეტი ბეჟან ხარაიშვილი ცოცხალი, რომ იყოს, ალბათ არც დამელაპარაკებოდა. ძირულის ხეობაში გაზრდილს, არ აკმაყოფილებდა ბუმბერაზი მთებში ხეტიალი. სოკოს კრეფა, ტყეში შეშის დამზადება. შეშას ყიდდა და თბილისში წასასვლელ ფულს აგროვებდა თავისი შრომით. არ აკმაყოფილებდა ის, რომ როცა სტუდენტები იყვნენ ის და ლევან ბაბუხარდია, თინიკო, (ერეკლე საღ-ლიანი) ახლა რომ ცუდადად არის ღმერთო, გადაურჩინე საქართვე-ლოს. ბეჟანი გამოიტანდა ანთებულ კიალას ღამით და შეუყვებოდა ხან მარტო, ხან მეგობრებთან ერთად სათევზაოდ ძირულის ნაპირებს.

ღამით თევზი არ ხედავს ძინავს, მძინარე თევზი ადვილად დასაჭერია. ბეჟანი პატარაობიდანვე წერდა და ბუნებასთან სიახლოვე პოეტისთვის თემაა საწერად. როცა სტუდენტი გახდა, იყო ფოლკროლის წევრი და სულ ძიებაში იყო, დადიოდა ექსპედიციებში. ეს რომ მართალია, ამაში დამეთანხმება, ბაბუა ალუდაური, რომელიც ჩემი აკადემიის წევრით(მამუკა ოჩიაურით) გავიცანი. ჰოდა, წუხელის ტელეფონში ჩემს თაკოს ლექსი მიძღვენი ტელეფონში, შენახვის ბრძანება არ მიმიცია ჩამომძინებია და სადღაა დილით ლექსი. გული დამწყდა არა და ზუსტად თორმეტის ნახევარზე დავიწყე. საათს მივჩერებოდი, ჩემი ვარაუდით თორმეტზე უნდა დამემთავრებინა. ორ საათზე ისევ გამეღვიძა, ლექსის მსგავსი ვეღარაფერი ვნახე. სიტყვით მიულოცე და ფიქრმა ისევ ზეცაში წამიყვანა, ჩემს შვილთან თაკოს მამასთან. ვისაუბრეთ, მესაუბრა ჩემი გელა. მოფერებით გული რომ ვიჯერე, ისევ ჩამძინებია. დილით ფიქრში და სიზმრებში ნაკოწიწებმა თვალი, რომ გავახილე, დამხვდა ისევ სიმღერა. ღმერთის გარეშე არაფერი არ ხდება. ამ ახალგაზრდა ქართველ მომღერალს, მალხაზ ფუტკარაძეს, თურმე ყველა იცნობდა ჩემს გარდა. მყავს ერთი, მართლაც ღვთით გზავნილი ქალბატონი მანანა სამყურაშვილი. მანანა სიკეთის ზღავაა. ეს ისეთი კახელი პირდაპირი ქალბატონია, თუ შეგნიშნა, რომ რეალურად საქმეს აკეთებ ფიქრობს დახმარების ხელი გამოგიწოდეს. სულ იმის განცდაშია, აკადემია ღირსეული წევრებით გაამდიდროს. სწორედ მანანას თხოვნით აამღერა ჩემი ლექსი. ,,თუ მიტევება შესძელი“. თემა თვითონ შეურჩევია მომღერალს, რამაც ხელოვანში დიდი ღვთირი რწმენით აღსავსე ახალგაზრდა დამანახა. რაც შემეძლო, ხან სიტყვით ,ხან ლექსის მიძღვნით გამოვხატე შეძლებისდაგვარად ყურადღება. მანანამ არ მოისვენა, ჩემსა და მალხაზის შორის იტრიალა და მესენჯერში გადმომიგზავნა საბუთები. თვალებს არ ვუჯერებდი, ასე ახალგაზრდას რამდენი რამე უსწავლია. უსწავლია და წითელ დიპლომზე, სამ სპეციალობას დაუფლებული მალხაზის საბუთებით პირდაპირ კადეგორიულად მოუთხოვა აკადემიკოსებ. ჩემმა პირდაპირმა მანანამ კარგა გვარიანად შემომანჯღრია . როცა ეკუთვნის რატიმაც არაო. მეც სიმართლეს ვიტყვი და ვაღიარებ, ვინც საბუთებს გადახედა, ყველამ მირჩია გამეცა (დიპლომი) აკადემიკოსის სტატუსით. ესეც უფლის ნებაა, ღმერთს თავდაბალი ხელოვანი უფრო უყვარს, ვიდრე გაამაყებული. მალხაზ ფუტკარაძეს სტატუსი გუშინ დავდე ,აკადემიის ნამდვილი წევრის შეფასებით. ჩემი აზრით მალხაზ ფუტკარაძე თავისი ადამიანობიდან და ნიჭიდან გამომდინარე უფრო მეტია, ვიდრე ქაღალდზე მიწერილი სტატუსი. ეს ახალგზრდა მომღერალი უფლის გზავნილია. რამდენი მილოცვა, რამდენი კეთილსიტყვეობით გაივსო ჩემი გვერდი. უკვე იმედის სხივი ამიკიაფდა თვალებში და ვთქვი ჩვენ ქართველები ვართ, როცა ერისა და ეროვნების საშიშრობას ვხედავთ ვიცით ერთად დგომა. თუმცა ისეთებიც ვართ, რომ პატარა შექებაც და ...მტერი ვხდებით ერთმანეთის. ამჟამად კარგად დაიწყო ურთიერთობები, ვიმეორებ უფლით მოხდა ყველაფერი, მეც მივყვები კვალს უფლისას. დილით ახალი სიმღერა მხვდება. ესაა უკვე მეორედ ჩემი სიხარულის ცრემლები. ეს ლექსი ჩემს დაიკოს (დედის დიშვილს) ანერი კილაძეს მიუძღვენი, როგორ გაეხარდება, ჩემს ემიგრანტს, რომელიც წლებია იტალიაშია. მომღერალმა მასზე მიძღვნილი ლექსი ამოირჩია. ტექსტში მხოლოდ შეცვლილია შეძახილი ,ეჰეი ძმებოვო. ესეც უფლის ნებაა, ხუთი ძმა, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, სულ ახალგაზრდები ცაში მყავს. ეჰეი, მოუხმო მომღერალმა და ამით ცოცხლები და გარდაცვლილები

გაერთიანა. ეს კი ჩემს რწმენაში ასეა გაბატონებული. სიცოცხლე არ მთავრდება გარდაცვალებით. ცაში მარადისობაა, სადაც ყველა ცოდვილი თუ უცოდველი უფალთანაა, თავმოყრილი. ზოგი ვარსკვლავია. ძალიან გამორჩეულები, ცისარტყელები და ასე შემდეგ.

დიდი მადლობა შვილო მალხაზ, დღეს ამ სიმღერით ჩემს იბოლ შვილიშვილის დაბადების დღე მიმილოცე შენ. დღეს ჩემი დაიკო ანერი გამახარებინე. დღეს ზეცის ცათა სულები გულში მომიგროვე და ძალიან, ძალიან გამახარე. დალიცვილი იყავი უკვე ჩემო შვილო მალხაზ!

ნეტავ რამდენი წლის გახდა?

მაკა დიდებულიძე, მაშინ გავიცანი როცა ბატონი ვაჟა შუბითიძე იყო, ხაშურის მუნიციპალიტეტის თავჯდომარე. ბატონმა ვაჟა შუბითიძე არის პიროვნება, რომელმაც იცის პოეზისა და მწერლობის ფასი. მან იცის ახალგაზრდების გვერდში დგომა და იცის ნიჭის ფასი. სწორედ მისი დამსახურება იყო, გეპეის ადმინისტრაციულ შენობაში, რომ მოეწყო სერგი ლომაძისა და კახა ბაციკაძის პიეზიის საღამო. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გავიცანი ქალბატონი მაკა დიდებულიძე. ქალბატონი მაკა იმ პერიოდში მუშაობდა ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკის დირექტორად. ძალიან ბევრჯერ მიგვიწვია აკადემიის წევრები, არაერთხელ ჩაატარა პოეზიის საღამო და გაერთიანა ხაშურისა და თბილისის პოეტების შემოქმედებ-ბა. სწორედ მაკა დიდებულიძის დამსახურებაა, რომ ბათუმ-ში, რომლის დირექტორიც იმ პერიოდში იყო ქალბატონი ინგა გოგიბერიძე, ქალბატონმა ინგამ ,,ათინათის“ ყველა ნომერი აიღო ბიბლიოთეკაში მკითხველებისათვის და ბათუმის ბიბლიოთეკაში, სადაც აკადემიასთან არსებული ანთოლოგიის ყველა ტომიცაა განთავსებული. ქალბატონმა ინგამ, ჩემი თორმეტივე პოეტური წიგნიც მიაწოდა აჭარის მკითხველებს. რისთვისაც მადლობა ამ ორი მეგობარის მეგობრობას. ქალბატონი მაკასი და ინგას მეგობრობასთანაა დაკავშირებული ჩვენი შემოქმედების განთავსება ბათუმის ბიბლიოთეკაში. ინგა გოგიბერიძის ამ ეროვნულ საქმეს აგრძელებს ახალი დირექტორი რისთვისაც დიდი მადლობა მას. ამჟამად მაკა დიდებულიძე ხაშურის საკრებულოშია. იმდენად ეროვნული ქალბატონია, მას არანაირი თანამდებობა არ შეცვლის. ის გახლავთ, ჩოხოსანი. გაერთიანებულია საპატრიაქოსთან არსებულ ჩოხოსნებში, რომლის ხელმძღვანელია, ბატონი ზვიად სეხნიაშვილი. ქალბატონი მაკა დიდებულიძე, ჯუმბერ ლეჟავას სახელიბის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრია. ქალბატონი მაკა დიდებულიძე, მეუღლეა, დედაა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერს ასწრებს ღირსეული ქართველი ქალბატონი. ის ყველას უყვარს და მასაც ყველა უყვარს. დღეს იუბილარია, ვულოცავ დაბადების დღეს. ვულოცავ არა, როგორც ქალბატონ მაკას. ვულოცავ ჩემს მაკუშას. მას ასე ვეფერები ხოლმე და გრძნობს ჩემს დედაშვილურ სითბოს. დაესწარი დედი უამრავს და უთვალავს, ჩემო მაკუნია. გეფერები მილიონჯერ. ახლა, როცა ბათუმში გახსნილი გვაქვს, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ფილიალი, რომლსაც ხელმძღვანელობს, მრავალმხრივ განათლებული ქალბატონი ნანა მომცელიძე. ნანამ, ღირსეული ადგილი და დიდი სიყვარული დაიმკვიდრა აჭარაში, რისთვი-საც დიდი მადლობა, აჭარის ტელევიზიას ტევე 12-ს. მადლობა მხატვართა კავშირს, მადლობა, მწერალთა კავშირს და მადლობა თითოეულ იმ პიროვნებას, ვისთვისაც ბატონი ჯუმბერ ლეჟავას სახელი რამეს ნიშნავს. ის რაც ადრე გაკეთდა და გაკეთდა მაკა დიდებულიძისა და ინგა გოგიბერიძის მეგობრებით, ასე უნდა მეთქვა. ახლა კი ყველას ერთად გთხოვთ, ჩემო აკადემიის დიდებულო ხელოვანნო, წევრებო, მიულოცოთ ქალბატონ მაკას დაბადების დღე.

გულბათაშვილი ლილი

კიდევ ერთი ულამაზესი და დაუვიწყარი დღე ჩემს უნიჭიერეს და ძვირფას მეგობრებთან ერთად უღრმესი მადლობა ამ დიდებული პროექტის სულისჩამდგმელებს უძვირფასეს ქალბატონებს Manana Samyurashvili da Gulnazi Kharaishvili ამ ბედნიერი წუთებისთბის....

ბედნიერებაა ქვეყნად თქვენისთანა მეგობრები ჩემო ტკბილებო და მადლობა უფალს ამ ბედნიერებისთვის

განსაკუთრებული მადლობა ჩემი ლამაზუკა ნატალია ნატალი ს ლამაზ ოჯახს გულთბილი მასპინძლობისთვის ძალიან მიყვარხართ ჩემო ტკბილებო უფალმა დაგლოცოთ და გაბედნიეროთ

ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმი-ში.

წერილები

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„მშვიდობის წიგნის“ პრობლემატიკა და სახეები

გ. ტაბიძის შემოქმედებაში განუმეორებელი მხატვრული სახეებით განცდილია სამშობლოს წარსული და აწმყო, განჭვრეტილია მომავალი.

ნამდვილი გალაკტიონი არ ყოფილა რიტორიკის, მჭევრმეტყველების, სწორხაზოვნების, ერთსახოვნების მომხრე, თავის შედევრებში იგი ყოველთვის „ფიქრგანდობილია“, მის უმთავრეს სათქმელს მშვენების რიდე, მშვენების ჩადრი, ოცნების მანდილი მოსავს და ლოკალური – გლობალურს, ეროვნული – საკაცობრიოს, მცირედი – უდიდესს ერწყმის.

პოეტმა სიმბოლური ფორმით გასცა პასუხი ყველა იმ მტკივნეულ კითხვას, რაც დასაბამიდან აწამებდა ქართველ ერს. განსაკუთრებით კი, აინტერესებდა „ეს საუკუნე“, „საუკუნე მეფისტოფელი“, რევოლუციის მონაპოვართა შეფასება, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია 1921 წლის 25 თებერვალს, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, 1937 წლის რეპრესიები, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია.

შემთხვევით არ ჩნდება მის შემოქმედებაში წითელი გზა, წითელი და უნდობარი ქარი, შავი გულისნადებით სავსე სულიერი ქარი, ჩრდილოეთით მოსული ქაჯი, სიცივის მძევალი, იანვრის თოვლი, შავი სატანა, ცალთვალა მეფისტოფელი, ბნელცოდვილი ლიუციფერი, თებერვლის ქარი, აგვისტოს სიცხე, დამსხვრეული რწმენის გემი, სისხლიანი ანგელოზი.

გალაკტიონი უმთავრესად სიმბოლურად გაიაზრებს თავის სათქმელს და აწამებს შეუცნობლობის სევდა, თავისი „გაუგებარი გენია“ და ეს გრძნობა თავს იჩენს პოემა „მშვიდობის წიგნშიც“: „გაიგეს განა ბედით ჩაგრული ყოფნით რაგვარად მტკიოდა გული? ის სილაჟვარდე, ის ია-ვარდი, თუნდაც ის დარდი და სიყვარული?“ (1,158).

ვფიქრობთ, ამ კონტექსტში არც „ყოფნა“, არც „ია-ვარდი“ და „სიყვარული“ გაიგება ტრადიციული ერთმნიშვნელოვნებით. ისინი საღმრთო სახელებია. პოეტმა ლეგენდა-პოემა უწოდა ნაწარმოებს და ამით გაექცა ცენზურის რისხვას, მაგრამ 1945-1956 წ. გალაკტიონის გენიის გაფურჩქვნის ზენიტში დაწერილი შედევრი მაინც ვერ გაიგო მკითხველმა, რამაც უდიდესი ტკივილით შეძრა საუკუნის იშვიათი შემოქმედი (იხ. ამაზე ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონი“, თბ.,1982წ.).

უფრო მოგვიანებით, 70-იან წლებში, პოემის იდეას ასე ჩასწვდა რ. თვარაძე: „მშვიდობის წიგნი“ გააზრებულია, როგორც ერის წარსულის პანორამა მის მთლიანობაში. წინა პლანზეა ხალხი, რომელმაც თვით უნდა მოუაროს თავის სატკივარს, მიაკვლიოს ჟამთა სიავის გამო დაკარგულ თავის არსებას, მეს, საკუთარ სულს“ (2,221).

დაახლოებით ასე გაიგო პრობლემა პოეტმა მურმან ჯგუბურიამ (მურმან ჯგუბურია, „მშვიდობის წიგნი“) (3,4).

ვფიქრობთ, პოემის ჩანაფიქრის უმთავრეს გასაღებს წარმოადგენს პროფ. რევაზ მიშველაძის მრავლისმეტყველი განაცხადი: „ერთი რამ უდავოა: გალაკტიონის ეპიკურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს „მშვიდობის წიგნი“, რწმენის დიდი სათავე“ (4,61).

სწორედ რწმენაა გალაკტიონის შემოქმედებაში ყველაფრის „სათავე“.

პოემაში, წარსულთან ერთად, არის პოეტის თანამედროვე დროის ლოკალიც. შემთხვევითი არ არის ასეთი განაცხადი: „ო, როგორ გვივლის ეს საუკუნე“ (1,268).

„მშვიდობის წიგნი“ დღესაც იმდენად აქტუალურია და ისე თანამედროვედ ჟღერს, თითქოს სწორედ დღევანდელი პრობლემებისთვის იყოს დაწერილი. ჩვენი აზრით, ნაწარმოებში ის ეროვნული უბედურებებია აღწერილი, რაც მეოცე საუკუნემ მოიტანა. პოემა სიმბოლურია, იგი სავსეა ეროვნულ იდეალებთან, ავტორის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული საოცარი მეტაფორებით.

„მშვიდობის წიგნი“ პოეტების მეფის თანამედროვე ეპოქის ტრაგედიებს ასახავს, რაც გამოიხატა კომუნისტების მიერ ღმერთის უარყოფაში, სინდისის, სიკეთის, სიმართლის გათელვაში, სისხლიან რეპრესიებში, უღმერთო საუკუნის გამანადგურებელ კატაკლიზმებში. მასში ეროვნულის პარალელურად, მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებია განჭვრეტილი.

ნაწარმოები ერის მიერ ღმერთის დაკარგვის, სულის გაუფასურების, სალოცავი ტრიადის – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – უგულებელყოფის, დემოგრაფიული და ტერიტორიული პრობლემების მივიწყების, ზნეობრივი გადაგვარების, სატანის მეუფების ავადსახსენებელი წლების „მონაპოვართა“ შეჯამებაა, რაც ხალხის საუკეთესო შვილების გამოღვიძებით, ღმერთის ხელახალი ძიებისა და პოვნის ბედნიერებით მთავრდება.

„მშვიდობის წიგნი“ ერის სულის გაპარტახების და, ამასთან, საკუთარი ეროვნული საზრისის მიგნების ვრცელი და განუმეორებელი ოდისეაა. ეს არის გალაკტიონის შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური თემა.

პოემაში არის „წინანდელი იმედების“ დაღუპვაც, ქართული მიწის და ცის ნამცეცის მითვისების, ჩვენს „ტურფა სამოსახლოზე“ ვეფხვის გაბატონების სურვილი, სახლების ნგრევა, აურაცხელი მსხვერპლი, ჩვენი ხალხის აკლების მცდელობაც.

ყოველგვარი უბედურება დაიწყო ღმერთის უარყოფით, სალოცავი ტრიადის – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ღალატით. ღმერთს კი სატანა შეენაცვლა, რასაც მოჰყვა „სულის ჩაკვლა“, გრიგოლ რობაქიძეს რომ დავესესხოთ. ეს პროცესი ევროპაში ფრიდრიხ ნიცშეს სახელს უკავშირდება, შემდეგ კომუნისტებმა ბოლომდე მიიყვანეს რუსეთში, რაც კოსმიური მასშტაბის უბედურების მომტანი გახდა. მაგრამ მერე უდიდესი ნოსტალგია გაჩნდა დაკარგულის გამო და, საბოლოოდ, ხალხი ისევ მიუბრუნდა რწმენას, მიაგნო ეროვნულ იდეალებს. აი, ეს იწინასწარმეტყველა გალაკტიონმა გენიალური ინტუიციით.

„მშვიდობის წიგნი“, რომელიც ქაჯებმა გაიტაცეს, ქრისტიანული ღმერთის სიმბოლური სახეა. ჯერ ამ სიმბოლოს საღმრთო სახელად გაგების წინარე ტრადიციებს გადავავლოთ თვალი.

იოანე ღვთისმეტყველების გამოცხადების მიხედვით, უფალი არის „შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი“: „და ვიხილე მარჯუენით მჯდომარესა მის საყდრისა ზედა წიგნი, დაწერილი შიგან და გარეგან, დაბეჭდილი ბეჭდითა შვიდითა“ (5,1) (5,496).

ნეტარი ავგუსტინე ამბობს „აღსარებაში“: „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე“ (6,217).

წიგნის სახეში ღმერთი ამოიცნო დანტემ და მას უწოდა „სანუკველი წიგნი“, „დიადი წიგნი“ (7,383).

ესაია წინასწარმეტყველის მიხედვით, მამაღმერთი არის „დაბეჭდილი წიგნი“, ძე ღმერთი სიტყვა (29,10) (8,94).

პოემის სახელწოდების წყაროა აგრეთვე ახალი აღთქმა. სახარებაში ქრისტე მშვიდობისმაოყვარეებს ღმერთის ძეებს უწოდებს („ნეტარ არიან მშვიდობისმოყვარენი, ვინაიდან ისინი ღმერთის ძეებად იწოდებიან“ – მათეს სახარება), გამომშვიდობებისას კი მშვიდობას უსურვებს („მშვიდობაი თქუენ თანა“ – იოანე, 624, 15).

პავლე მოციქულის თქმით, ქრისტე არის „მშვიდობის ღმერთი“ (II კორინთელთა, თავი 3, II).

ქართულ სასულიერო პოეზიაში ქრისტე არის „ცუარი მშვიდობისა“ (პროფ. ტ. მოსია).

დანტემ სამოთხეს უწოდა „საბრძანისი სიხარულის და მშვიდობისა“.

გალაკტიონის პოეზიაში უმაღლეს ცას ავსებს „მშვიდობის რიტმი“, ანუ უზენაესი: „მიწა, ცა, ერთი და იგივეა! ზეცა სავსეა მშვიდობის რიტმით“ (მშვიდობიანი).

„სინათლის სიწმინდესთან“ მოაზრებული მშვიდობაც საღმრთო გაგებისაა გალაკტიონის პოეზიაში: „სინათლის სიწმინდეს ვარდებად გვიწვდიდე, იდიდე, მშვიდობავ, იდიდე!“

გალაკტიონი დარწმუნებული იყო მშვიდობის გზისა და მშვიდობის წიგნად გაგებული ღმერთის მარადიულობაში: „მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

„მშვიდობის წიგნში“ უსაზღვროდ არის გამრავალფეროვნებული წიგნის მიხედვით შექმნილი საღმრთო სახელები: „წყვდიადის და განთიადის მანათობელი წიგნი, წიგნი – სიცოცხლე, წიგნი – სინდისი, ძვირფასზე ძვირფასი წიგნი, წრფელი, ფაქიზი წიგნი, სიმართლის მცველი წიგნი, წიგნი საამო, წიგნი წმინდა, წიგნი საერთო, ძველი წიგნი, ძველისძველი წიგნი, წიგნი – ძველი განძი, წიგნი ფერების ასხვაფერების, უბედურების, ბედნიერების, წიგნი ძველი და წიგნი ახალი, წიგნი, აღსავსე მზიურ მხნეობით,

წიგნი, ვითარცა ასომთავრული, წიგნთ სიოქროე, მშვენიერი წიგნი, წიგნი გრძნეული, წიგნი – ქარვა, წიგნი ნუგეში, წიგნი ხსნის საწუთროის, ყოველ დროების უშიშროების და მყუდროების წიგნი, მშვიდობის მცველი წიგნი, ნუგეშისმცემელი წიგნი, წიგნი ცის და დედამიწის, სიცოცხლის მთოველი წიგნი“.

საღმრთო სახელად გაგებულ წიგნს ენაცვლება ქრისტიანული ღმერთის შემდეგი კანონიკური სიმბოლოები, გალაკტიონის მიერ ახალი ნიუანსებით გააზრებული: „ვარსკვლავი, მზე გაზაფხულის, მზე იშვიათი, მზე დიადი, მარადის მზე, სხვა მზე, ზესთაზეს მზე, მზის სიხარული, მშვიდობის მზე, მზის სვეტი, წმინდა მზე შინაგანი, მზის სამოსი, სულის მზე, კეთილი მზე, სხივი წრფელი, ხანგრძლივი, ცისკარი, განთიადი, შუქი იმედის, იმედთ კანდელი, სიხარული“.

გზის საღმრთო სახელად გაგების სახარებისეულ ტრადიციებს გალაკტიონი უსაზღვროდ ამრავალფეროვნებს: ნათელი გზა, საცნობი გზა, გზა ძველისძველი, გზა პირდაპირი; გზა სანაქებო, გზა წმინდა, გზა დიადი, გზის კამარა.

ღმერთი – მშვიდობის წიგნი გაიგივებულია სხვა სახეებთანაც, ასეთებია: შრომის უფალი, იდუმალი სახება, ძველი ღვინო, ნუგეში, სულიერი ვენახი, დიდი დღე, დიადი დღე, ნორჩი დღე, გაზაფხული.

ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოა პოემაში: „უდიდესი, სიცოცხლე, ყოფნა, ვარდი, სილაჟვარდე, მწუხრის კამარა, განძი დიდი, საყვარელი, წყარო, წყალი, ფერგამჭვირვალე და უანგარო წყარო, მარად ცოცხალი და მოცინარი წყარო“.

წიგნს ხშირად ენაცვლება ნავისა და გემის სახე.

ტარიელმა იპოვა მშვიდობის წიგნი და მის სიხარულიან ფრაზაში გაიგივებულია საღმრთო სახელები: „წიგნი, ნუგეშისმცემი, სიცოცხლის გემი, ბედისწერა“: „ავიტანდი ჭირს მრავალგვარს, მჯერა, მხოლოდ ამ წიგნის დაკარგვას – ვერა, ის არის ჩემი ნუგეშისმცემი სიცოცხლის გემი და ბედისწერა“ (1,310).

„სიცოცხლით მთვრალი, თავისუფალი, გრძნობით მავალი“, გრიგალთან შერკინებული ხომალდიც ქრისტიანული რწმენის, ეკლესიის სიმბოლოა: „ნამდვილი რვალი იყო ის ნავი, რაგინდ გრიგალი შეხლოდა ავი, ვერ იყო ვერრით, ვერრთაგვარ ფერით მისი ნამქერით გამომრიყავი... სიცოცხლით მთვრალი, გრძნობით მავალი, თავისუფალი, როგორც ზღაპარი“ (1,24).

ბოლოს კვლავ გაიგივდება წიგნი და ხომალდი: „კვლავ გვერდზე გვერდი წიგნის გადადის. ასე რომ მარდი ლურჯი ხომალდი გზას იკვლევს მკერდით“.

ტარიელი ცის კარამდე მიჰყავს გემს: „გემი ატარებს ცათ ლაჟვარდთ შორის. მთათ უსადარესთ – კვარცხლი მთაგორის, – იმ ადგილთ კარად, კიბესთან მარად მიმყვანი არა ერთის და ორის“ (1,314).

წიგნის დაკარგვას მოჰყვა საქვეყნო უბედურება: სიმბოლური წარღვნა, წყალდიდობა, ნისლის გაბატონება, „დიდი ღამის“, „პირქუფრი ღამის“, „განუჭვრეტელი ღამის“ მეუფება, „ღამე უწვეველ-უუბნელესი“, გზას ბნელი ჩაგრავს, გზა კი საღმრთო სახელია.

ფაზისის წყალს კალაპოტი შეეცვალა, ნიაღვარი, წარღვნის მსგავსი სტიქიები წალეკვას უქადის ყოველივეს.

ბოროტების სიმბოლოებია „შავი სატანა ფიქრებით ავით“, ვეფხვი, დევები, ღამურა, ძაღლები, ბაყაყები, სვავები, ორბი, ჭოტები, გველი, ჯოჯო.

სიმბოლურია და მტრის ბოროტ საქმიანობას გვაგრძნობინებს წარღვნა, კორიანტელი, უნდობარი ქარი, ნისლი, შხამი, გრძნეული ზვავი.

ყველაფერი ქურდების, მკვლელების ხელშემწყობია, „არც მთვარე არის, არც ვარსკვლავები“.

შემთხვევით არ ფიგურირებს მახე, ბადე, წყალთ შეთქმულება, ნისლი, თოვლი, მღვრიე წყალი, ცბიერი ალი, წყვდიადის ღალატი, შფოთი, განზრახული ხიფათი, მსხვერპლი, წყლის ამღვრევა, შხამი, მუქარა, „მკვლელთ მიფარებულ ადგილთ თარეში“.

ყოველგვარი უბედურების სათავეა „დაუნდობარი, მგმობარი და ჩქარეული მეგობარი“, „მტერი მეორე“, რომელიც „არ არის მორცხვი, რომ ნგრევა-ხოცვის მას ეშინოდეს“ (1,136).

უზრუნველ სოფელს „არმადლიერი ზეცა“ სჯის წმინდა გზიდან გადახვევის გამო: „ცამან დაგსაჯა, არ იტყვი, რისთვის? ზემფარველობა დამხობილია, რაა ცხოვრება? ლანდი, ჩრდილია... ეს გულმამაცის რისხვაა ღვთისა, რომელსაც კაცი ვერ შეეთვისა“ (1,235).

გამწარებული სოფელი სხვენზე პოულობს თავშესაფარს, ახლოვდება დაუნდობელი ბოროტება: „გასკდა იარა, ნაპირი მიჯნის გადმოიარა, ფშნებში გროვდება, გვიახლოვდება ეს ბოროტება შხამმსხმოიარე“, „ნიაღვარი მოდის შავბედად“.

იმუქრებიან ქაჯთ მიერ გადანაბირები

ზვირთები: „სახლები დიდი მან დაანგრია და იქადიდა: „რაკი აგრეა, მიჰყე, ჰე, მიჰყე, აბა აიღე, რაც თქვენი ციხე და სიმაგრეა... კიდეც მივალო თქვენს ასაკლებად“ (1,2-11).

ხალხი ხდება „სიცივის მძევალი“, თოვლის, ზვავის მსხვერპლი, ჩრდილოეთით მოსული ქაჯის, მოყვრად შემოპარული მტრის ლუკმა.

მოქმედება ფაზისში ხდება, ძველ შუამთაში, ძველ კოლხეოში, მაგრამ ნაგულისხმევია მთელი საქართველო – „იმერ-ამერი“.

მტერი თავის მიზანს წყლის ამღვრევით, შფოთის ჩამოგდებით, მახის დაგებით, შეთქმულებით აღწევს.

ისმის შფოთი, შეთქმული ჭოტების ხმა: „და სულის მხრჩობლად შეიქნა შფოთი, სადღაც მახლობლად აკივლდა ჭოტი და აქაურსა შორს იქაურად სხვა ჭოტი იმ ჭოტს გაეხმაურა. თავისუფლება აძლევს უფლებას მთელს შეთქმულებას ემათაურა. ჭოტი გაჰკივის უფრო და უფრო“...

მერე იწყება სიკვდილის მაცნე ძაღლების ყმუილი: „როგორც თავდასხმა არატყუილი, სადღაც გაისმა ძაღლის ყმუილი. იმ ძაღლს სხვა ძაღლი გაეხმაურა, იქცა ხმა მაღალ აურზაურად. ძაღლთ ქვა და გუნდა! ამ შუაღამეს საოცარს უნდა ნიშნავდეს რამეს, რამეს შხამის თასს, რამეს კუბოს მსგავსს, მტრისთვის კი ძვირფასს და უსიამესს“ (1,205-206).

ღამემ აღაზევა ძაღლები, ბაყაყები, ჯოჯოები, ჭოტები, „მიდამოს თავზე ადგა სატანა“, ისმოდა „დევების აურზაური, სულ შინაური და გარეული აურზაურის ხმა არეული“.

საგულისხმოა ვეფხვის სახე და მისი ზრახვები: „ვეფხვი გოჯგოჯად მსხვერპლს ეპარება... ამბობს: რას მაძლევ, თქვი, მეჩქარება... ბრჭყალით ნატორი ერთი თუ ორი, ზუსტი და სწორი წამოწვა შქერი. ეს სამოსახლო რა ნახა ტურფა, მიზნები ახლო რა დაიჯგუფა, მარდი, ვით ელვა, შებოჭა ღელვა, დრო შეინელა და ჰა, ისკუპა... დიდი აქვს მადა... კვლავ მოემზადა საომარ ფანდად მძლე თვალთა ბრუნვა“ (1,172).

მტერს სურს „რამე ნამცეცი მიწის და ზეცის“, მას მიაქვს ჩვენი ტყე, მძვინვარებს ქაჯთ მიერ გადანაბირები ზვირთები, იღუპებიან ადამიანები, იძირებიან ბავშვებიანი აკვნები.

ხდება „გადაშენება იათ და ვარდთა“, ჯაგის, ყვავილთ მომსპობი ეკლების მომძლავრება.

„აშარიშურდა ნიავი შურთა, სოფელს დაეცა აჩრდილი ბინდის, სადღაც ხის ღრუდან დაჰქრის ღამურა, თითქოს ამღერდა დიდი თარეში ქურდთა და მკვლელთა არემარეში“.

მამული ნისლის სამეფოდ იქცა, ნავი, დროშა ნისლმა დაფარა, იყო ნისლის ზეიმი, „ნისლის დარის დარება“ და ბაყაყების ჟრიამული: „კვლავ ნისლთ მამული ბაგეს აღაღებს, კვლავ ჟრიამული გააქვთ ბაყაყებს. მათ ეს ყაყანი, ჟალტამი, ფშანი, სიმწრის ნიშანი აიარაღებს“ (1,163).

დევების ხმაური, უგონო აურზაური, უცხო ხმების თავხედური სითამამე ახშობდა მშობლიურ ხმებს (1,204).

სატანამ არყოფნის საშიშროება განუმზადა, ჯვარზე გააკრა ხალხი: „აქ შავზე შავი, ფიქრებით ავზე, მიდამოს თავზე ადგა სატანა. არყოფნას აკლდა სულ ცოტა რამე. ხალხს არ სძინავდა არც დღე, არც ღამე, იდგა ჩაგრული, ბედისგან კრული, ჯვარზე გაკრული, როგორც მოწამე“(1,239).

კორიანტელში ჩაქრა სანთელი, დაიღუპა წინანდელი იმედები: „ამ კორიანტელს ვინ ანდობს სანთელს? იმედს წინანდელს გადესვა ცელი“.

თავისუფლება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება და ხალხიც იღვიძებს საღათას ძილიდან, ხვდება, რომ ღმერთი მხოლოდ აქტიურთ გადაარჩენს: „ვის იდუმალი იხსნის სახება? საქმეა მკლავის დაკარწახება, მძლავრად შეტევა, თავგამეტება“ (1,179).

წიგნის ძიებას, ეროვნული სატკივრის მორჩენას წინამძღვრობს „სახლი ფაზისის პირად“, „სახლი-საუნჯე“. სწორედ ამ სახლის მკვიდრი თამარი ტარიელს ავალებს წიგნის პოვნას და ისიც ჰპირდება დავალების პირმტკიცედ შესრულებას.

ერს წინ უძღვიან და წიგნის დარდით იწვიან გუგუნა, ავთანდილი, ეროდე, ეფთვიმე, ხალხი, მამიად, მენავედ, მეთევზედ, ლუარსაბად, ბერად გარდასახული ტარიელი.

ეროვნული საზრისის სიმბოლოა არწივი, რომელიც „დიდ საქმეზე წივის“.

გამოღვიძებულ ხალხს გაცოცხლებული წინაპრების ხმა ჩაესმის, ისმის მამლების, მამლაყინწების ყივილი, ხარი ჭიდილში ცალ რქას კარგავს. გუგუნა ზარებს რეკავს, რათა ხალხს ამცნოს ეროვნული უბედურება და გადაარჩინოს წყალდიდობას.

ეფთვიმე სინჯავს წყალს ვაზის ჯვრით.

ხალხი მიხვდა, რომ „არის ცხოვრება გამათხოვრება, თუ მახსოვრობა იქნა უფრთებო“ (1,227).

ავტორი გუგუნას პირით აფრთხილებს უზრუნველობის გამო დასჯილ ხალხს: „შეიგნე ტალღათ ძალთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქ-

ნება მერე. ღამეო ბნელო, ვაზო და მდელო, აქ სურთ, რომ თელონ სიმშვენიერე. ო, გაზაფხულის ღამეო ბნელო, ხიფათში მყოფო ვაზო და მდელო, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე. გაზაფხულისა ღამეა ბნელი, განუზომელი, განუჭვრეტელი. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად“ (1,181).

პოემის ვარიანტში კი უფრო კონკრეტდება ეროვნული სატკივარი: „განა ბევრს გვთხოვდა სამშობლო ჩვენი, ცოტა უფლებას, ცოტა სიმშვიდეს, რომ მის დათესილს სხვა არა მკიდეს, რომ ჰქონოდა მას, რაიც მისია, წიგნია, ხმალი თუ სახნისია და თავდადებით იცავდა საწყალს თვის დედა ენას, თავის მიწა-წყალს“ (1,199).

ჩვენი ხალხი მოხსენებულია, როგორც „ობოლი“, „თავმდაბალი“ და „საწყალი“, რომლის მომავლის სჯერა პოეტს: „ვერ დაგვძლევს ის სხვა, ობლის კვერი სხვა“ (1,195).

ხალხი ლოცულობდა წმინდა სულით და „მაშინ ცის მადლით წყალმა დაიკლო ძირს მთელი ადლით, მორღვევა ცათა შეინანა და შემოანათა ოდნავ სინათლით“ (1,).

ტარიელი ზღვის გზებით ეძებდა წიგნს, იგი გარდაისახა მეთევზედ, მენავედ, ღორმუცელა ლუარსაბად, ბერად და ბოლოს იპოვა სანუკვარი განძი. ამასობაში ამინდიც გამზიანდა, მზის სვეტი გამოჩნდა, „აენთო წმინდა მზე შინაგანი“, სხვა მზე, ზეცის მზე, ცისკარი და განთიადი დაბრუნდა, „დიადად გათენდა“, იმედის შუქი აინთო, „ცისკრის წამში ახამხამდა“, დაჩაგრულ გზას განდიდება ეღირსა: „აწ გზის კამარა დგას განდიდებით“ (1,351).

ცისკარი საღმრთო სახელია და, ბუნებრივია, „დიად გათენებად“ აღქმა ღმერთისა, „გამარჯვების სინათლის“ დამკვიდრება.

საღმრთო სახელია სიცოცხლე: „სიცოცხლეს უდრის ეს გამარჯვება“.

პოეტმა დაგმო საზღვრების მოშლა, უკარო სახლის სახეში წარმოადგინა მთელი მსოფლიოს პროლეტარების გაერთიანების კომუნისტური იდეა, ეროვნულის ჩაწიხლვა და მოითხოვა წიგნისთვის გალავნიანი სახლის აგება, ცხრაკლიტულში შენახვა: „მშვიდობას მიჰყევ! ხარ ფალავანი! ააგე ციხე გარს გალავანით. წიგნისთვის სრული აწ გვაქვს ფარული გინდ ცხრაკლიტული, გინდა თავანი“ (1,350).

უმთავრესი სატკივარი ისიცაა, რომ „ის ხედავს კარებს გადაუკეტავს“ (1,244).

პოეტი ხედავდა იმ ტერიტორიულ და დემოგრაფიულ პრობლემებს, რაც ეროვნულ გრძნობას მოკლებულმა რევოლუციონერებმა შეგვიქმნეს და უჭიშკრო ეზოს სახის ჩვენებით გამოხატავდა თავის გულისტკივილს: „ბნელა, ეზო ჰგავს ქუჩას, შემოდის ყველა, ვისაც გზად უჩანს“... „ბჭე უსაზღვროა სოფლის მძინარის“, უცხოტომელთა ძალადობაზე მიგვანიშნებს „მრავალ ათას ხმის... თავდასხმა და სითამამე“, „დევების უგონო აურზაური“ (1,163).

საზღვრების უარყოფამ მიწასთან გაასწორა ყველაფერი: „ზღვარი ან ხაზი არავითარი, რაა – ლამაზი, რაა – მდიდარი... ერთფერ ნაფერი აქვს ყველაფერი, ჰქვია ქვას მტვერი, ხიდს – ნახიდარი“. (1,259).

ლექსი „იმ ერთა ლიგას“ ალეგორიულად მიგვანიშნებს მოყვრულად მოსული მტრის ოინებზე. ნაჩვენებია, რას აკეთებდა ჩვენი უფროსი ძმა, როგორ მოხსნეს რკინის კარები გაბრაზებითა და გაჯავრებით, მერე ახლის დაკიდებისთვის დაობდნენ, მაგრამ „ისიც იმ ღობეს გადაახიეს, ისიც მიაგდეს და მიივიწყეს“ (9,197-198).

გალაკტიონი ხმას იმაღლებდა „თოკიანი მხეცის“, მის მიერ დაღვრილი სისხლის მორევების წინააღმდეგ, სძულდა „გადამთიელი გადია“, რომელსაც არ ეძინა ჩვენზე ზრუნვით: „ეს ოცი წელიწადია – სამშობლოვ! გულით მწადია, რომ გარს გეხვიოს, რაც ქვეყნად სინათლე-სიდიადეა. გადამთიელი გადია სწუხს: ბევრი ღამე ათია, არ სძინავს იმ შეჩვენებულს ეს ოცი წელიწადია“.

„ზეცის ნგრევით“, „ხომალდის რღვევით“ იწყება „მიწის გადაფერდება“, ეროვნული ნაპრალები და უფსკრულები გალაკტიონის პოეზიაში.

გაუჩინარებული, სეტყვით დაღუპული ვენახებით და ყვავილებით, ბურუსებს იქით გადაკარგული, შხამით კოკორშივე ჩაკლული ყვავილით გვაგრძნობინებს პოეტი მეოცე საუკუნეში უარყოფილი ღმერთის სახეს („მიმღერე რამე“, „რევოლუციონერის ხსოვნას“, „მწუხარება“).

„კოშკში“ ინგრევა კოშკი სიყვარულით აშენებული, უზარმაზარი შიშის ლანდის ავბედითი განაჩენით „შანდალში ჩაქრა ყველა სანთელი“, დემონების კორიანტელია ირგვლივ და როცა ჩაცხრა ბოროტება, „ისევ აენთო ყველა სანთელი“, ასე სწამდა პოეტს, რომ ბოლომდე ვერ იზეიმებდა ბოროტება.

საბოლოოდ, ხალხის შემართებამ გამოიღო შედეგი, ზამთარი დამარცხდა, მუხამ მოიშორა მუმლი, „...კვლავ საღი შრიალებს ბაღი და ძველი დაღი წიგნების აზის“, „გაზაფხულია ვრცელი და ლაღი“. გაზაფხული, ზაფხული კი საღ-

მრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65,12) (5,588).

ბაღი ხალხის, წიგნი ღმერთის მეტაფორაა. ხაზგასმულია ერის მორწმუნეობა, ჰუმანიზმი.

განთიადი დაბრუნდა, მაგრამ წყალდიდობის შედეგად დარჩა საშინელი კვალი, ორმოები, თხრილები, ჭაობები, შხამის კერა, სადაც „ყვავილები ვერ იყვავილებს“. ნეშო გომბეშოს სათარეშო გახდა, მომრავლდა ჭინჭარი, ეკლები.

ბოლოს, ზამთარი მაინც დამარცხდა, თოვლი დადნა, სასიცოცხლო სიოს ქროლვა კი მარადიულია: „მშვიდად მეგულვის ჩემი სამშობლო, ზამთარო, გულის ასე დამხშობო, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო“ (1,131).

გალაკტიონის აზრით, „ვერ დაგვძლევს ის სხვა, ობლის კვერი ცხვა...“ უნაპიროა მისი ოპტიმიზმი: „დღე მოვა ნარგთა, ყოველთა კარგთა, ყოველთ სინორჩეთ“

პოემაში არის მტრის ასეთი გაფრთხილება: „აქ ყოველ ეშმაკს უჯობს მოეშვას თვის სათარეშოს და სანავარდოს“ (1,250).

ნათელსმენას სწვდება შორის ძახილი: „მისთვის ცხადია შორის ძახილი თვალგასახელი, რომლის სახელი განთიადია“ (1,270).

ავტორის საყვარელი პერსონაჟი გუგუნა ამჩნევს „ჩრდილთ ბრუნვას, ალების ფრენას, ჰხედავს ზრუნვასა და აღმაფრენას, საერთო საქმის ჭედვის, გარდაქმნის, ყოველი საგნის აზრს და ენას“.

დიდებული მომავლის მაცნედ ციმციმებს უფლის თვალი: „აენთო თვალი, წინ ასე მკრთალი და მომავალი ააციმციმა“ (1,288).

მაისის ნათელით ივსება გზა, მარადიული მზე ანათებს სულში.

ღმერთი – „ნუგეშია“ მშობლიური შემოგარენის, ხალხის შემწე:„ სილაღის ეშხით მზიურთა მდელოთ არეს ნუგეშით ჩვენ მივეშველოთ. ავაბიბინოთ იგი სალხინოდ, გზა გამოვფინოთ, ფართედ გვაშალოთ“ (1,293).

ავტორი ფაზისს უსურვებს, „ჰფენოდეს სხივი წრფელი, ხანგრძლივი“.

ქრისტიანული ღმერთისა და ღვთისმშობლის განდიდებით მთავრდება პოემა: „გზაც უკვდავია, როგორც ტრფიალი... ო, სიხარულო, დედავ, აქაა, რაც ჩემი გულის ალერსადაა – ბავშვობა, ყრმობა, სიწმინდე, ძმობა, კვლავაც ერთობა წიგნად და გზადა“.

საღმრთო სახელებია „გზა“, „ტრფიალი“ და „სიხარული“ (1,305).

პოემის მიხედვით, ცა და ღმერთია გზის მაჩვენებელი ბედნიერებაშიც და შეცოდებაშიც: „იგრძენ, ვით ერთ დროს ცას არ შეეძლოს გზა გიჩვენოს, როს გაწუხებს ცოდვა“.

„მშვიდობის წიგნის“ გაცნობა გვარწმუნებს, რომ გალაკტიონი ნათელმხილველი და ნათელმსმენი იყო, უხილავ-ფარულის განჭვრეტის უნარით მომადლებული.

პოეტის სულის თვალი წვდება პირველყოფილი ქაოსიდან სამყაროს შექმნის სურათს, პირველი სახეების შექმნას, ესმის საღმრთო მუსიკა, ცის ხმა.

ტარიელს ევლინება ჩუმმოუბარი თავისი ორეული, რომელიც აფრთხილებს: „სავსე დიდებით არ წახდეს წიგნი. ეტყვის ზმანება: თუ გეტანება მზის ხმოვანება, იგია, იგი“

ასევე გამოეცხადა ტარიელს ანგელოზი წიგნის პოვნის შემდეგ და გმირი უწოდა მას.

ავტორს გაზიარებული აქვს გარდასხეულების თეორია: „აქ მისი სული შავსა და მწვანეს, მიჩერებული ზღვა-ოკეანეს, ახალ დასავალს, ტოლთ მრავალთ-მრავალს ნახავს მომავლის ახალ სავანეს“.

პოემაში უხვად არის ხალხური სიბრძნის ნიმუშები, აფორიზმები. „მშვიდობის წიგნი“ სიახლეა შესრულების მხრივაც. ასონანსურ რითმებს ენაცვლება კონსონანსები, გვხიბლავს ბგერწერის იშვიათი მაგალითები („ასეა ჟამი, მისდევს წამს წამი, ცისკრის წამწამი ახამხამდება“, „წყებათა წყება წამით არ წყდება, ნაპირს აწყდება აწ მღვრიე წყალი“, „ანკარა და მორაკრაკე, წყალი არაკებს ალაპარაკებს ძველად ანაგებს აქ აგარაკებს“, „გულად ვგულებო გულს...“), ნეოლოგიზმები (ფრთადაუმცხრალი, ნავობა, ავარდებს, პირქუფრი, ფრთასრული, სიაფთრე, სიმერცხლე, მოფიანდაზე, ზვირთუწყინარი, ივარსკვლავა, ტოტმცინარე).

დრამატულ ეპიზოდებს ცვლის ტრაგიკული და კომიკური.

პოემა ორიგინალურია, მაგრამ იგი მაინც ქართული ლიტერატურის მგისტრალური ხაზის გაგრძელებას წარმოადგენს და ახლებულად ავითარებს შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის ტრადიციებს.

„მშვიდობის წიგნის“ სიუჟეტი „ვეფხისტყაოსნისას“ ემსგავსება. თუ რუსთაველის პოემაში ნესტანის ძიებაა, გალაკტიონთან – დაკარგული წიგნისა. ერთნაირია პერსონაჟთა სახელები: თამარი, ტარიელი, ავთანდილი. ორივეგან ბოროტების სიმბოლოა ქაჯთა ქვეყანა და სიკეთე-ბოროტების ბრძოლაა აღწერილი, ორივეგან ზღვა ქმნის მოქმედების ფონს, ოპტიმის-

ტურია ორივე პოემის ფინალი. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკით, ფრაზებით, მხატვრული სახეებით (ქაჯი, ვეფხვი, პერსონაჟების სახელები) დავალებულია „მშვიდობის წიგნი“. ორივეგან რომანტიკულ-ფანტასტიკური ელფერის სამყაროა.

ლექსში „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“ გალაკტიონი წინასწარმეტყველებდა „სულ სხვა, „ახალი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას და, როგორც ჩანს, ეს „მშვიდობის წიგნი“ იყო.

„უსულგულო ცხოვრების“ მგმობელ ილია ჭავჭავაძეს ეხმაურებოდა „უსულგულო ცხოვრების მტერი“ გალაკტიონი თათქარიძეობის ასპექტში. ბრძენკაცის შემოქმედება ადრიდანვე მასტიმულირებელი იყო გალაკტიონისთვის და პოეტური სიმწიფის პერიოდშიც გამოიხმო ილიას მიერ შექმნილი უკვდავი ტიპები.

წიგნის ძიების ფათერაკიან გზაზე ტარიელი გარდაისახა მეთევზედ, მენავედ, ბერად, ლუარსაბად, მისი გარეგნობაც ლუარსაბისებურია და „სხვისი კაბით“ გადაცმის მიზანი საკუთარი ზრახვების დაფარვაა. ტარიელმა განგებ გაიკეთა გაუმაძღარი წინაპრის გრიმი, თითქოს ისიც ღომით, საცივით, ბეჭით, მწვადებით გატაცებული ეპიკურელია, მისი სახე და სული კი სავსებით გათიშულია. ისევე, როგორც ავთანდილმა მოირგო ვაჭრის ნიღაბი, ტარიელსაც მოუხდა ლუარსაბის როლის შეფერება და ინტუიციამ არ უმტყუნა: ტარიელმა ჭამა-სმით გატაცებულ ოჯახში გაიგო ქაჯების მიერ მშვიდობის წიგნის გატაცების ამბავი, უმალ დასახა მომავალი მოქმედების გეგმა და კომიკური სიტუაცია კვლავ დრამატულად იქცა.

„მშვიდობის წიგნი“ არის ტრადიციების შემოქმედებითად გააზრების, კლასიკური ნაწარმოებების ჩანაფიქრის ახლებურ კონტექსტში გამოყენების ნიმუში, გახალხურებული პერსონაჟების თავისებური ვარიაციების შექმნა სრულიად განსხვავებული მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ მონუმენტური და კანონიკური სახეებიც ასაზრდოებდა ნათელმხილველი გენიოსის შემეცნებას, როცა ქმნიდა უაღრესად პრობლემურ, ქართველი კაცისთვის მარადაქტუალურ ნაწარმოებს.

ასე ასხამენ პოეტების მეფეს ფრთებს დიდი შოთა და დიდი ილია, ასე იფურჩქნება გალაკტიონის ნიჭი წინამორბედთა ნაკვალევზე.

მუდამჟამს სიძნელეების წინაშე მყოფი ერისთვის რეკავს ქართველი ორფეოსის მიერ შემოკრული ზარი მრავლისმეტყველი გაფრთხილებით: „შეიგნე ტალღათ ძალთ სიძლიერე, შემოიკრიბე გოთს სიძლიერე, უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად...“ (1,181).

აშკარაა, პოემაში გაშუქებულია იმპერიული ზრახვების მქონე დიდი ერის მიმართება „ობოლი“, „საწყალი და თავმდაბალი“ ერისადმი...

პოემის ავტორი ხარობს წიგნის (რწმენის), ბაღის (ხალხის) გადარჩენით და ერს მოძღვრავს, ისწავლოს „უცხოს და ჩვენების“ გარჩევა.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ.11, თბ. 1973
2. რევაზ თვარაძე, გალაკტიონი, თბ. 1973
3. „ლიტერატურული საქართველო, 1976წ. 19 ნოემბერი
4. რევაზ მიშველაძე, თანამედროვე ქართული პოემა, თბ. 1975
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992წ.
6. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1985
7. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
8. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 2,თბ. 1994

შორენა მამალაშვილი
ფილოლოგი

ქართული სულის მეცნიერი

ხელოვნება სილამაზისა და ამაღლებულის მხოლოდ ესთეთიკური ჭვრეტა და ტკბობა როდია, იყო ხელოვანი ნიშნავს შენი ნიჭით იდეურად ემსახურო სამყაროს, კაცობრიობას და, რაღა თქმა უნდა, საკუთარ სამშობლოსა და ერს. ეს მისია ნათლად აქვს გააზრებული პოეტ ეთერ ჭელიძეს და სწორედ ამ დიდი მისიის გაცხადებაა მისი შემოქმედებაც.

პოეტი ქალბატონის ბიოგრაფია მაღალმთიანი სვანეთიდან იწყება, იგი უშგულში დაიბადა და გაიზარდა, პოეტის მამა -- პიმენ ჭელიძე, უაღრესად დაფასებული, ცნობილი მედიატორი, საოცრად კეთილშობილი, სტუმართმოყვარე და საუცხოო მონადირე, სამი ვაჟისა და სამი ქალიშვილის ღირსეულად აღმზრდელი პიროვნება გახლდათ. ბავშვობაში ექიმობაზე მეოცნებე პოეტი, დღეს პროფესიით ეკონომისტ-ფინანსისტია და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული სამსახურის მთავარი სპეციალისტია. მის პიროვნულ თუ შემოქმედებით განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ სვანეთში გატარებულმა ბავშვობის წლებმა ითამაშა და უნდა ითქვას, რომ მას დღემდე მჭიდრო კავშირი აქვს მშობლიურ კუთხესთან.

უშგულში გატარებული ბავშვობა და იქ მიღებული ღრმა შთაბეჭდილებები დიდწილად განსაზღვრავს ეთერ ჭელიძის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით კრედოს. მისი პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, ეთერ ჭელიძე ვაჟა-ფშაველას პოემა -- ,,ბახტრიონის“ პერსონაჟის, სანათას პროტოტიპად გვევლინება, მისი შემართებით, ქვეყნისა და რწმენისათვის თავგანწირვის უნარით და იმ წმინდა მორალური თუ ზნეობრივი ღირებულებებით, რაც ოდითგან გამოარჩევდა და განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტად ხდიდა ქართველ ამ სიტყვების დასაბუთებად წინამდებარე კრებულს მოვიხმობ, სადაც თითოეული სიტყვა გულის მთავარი ძარღვიდან გამოწურული წვეთებია. ეთერ ჭელიძე გახლავთ ის პოეტი, რომელსაც სამშობლოს პულსზე უდევს ხელი და აქტიურად ეხმაურება ქვეყანაში მიმდინარე საჭირბოროტო საკითხებს და აქვე დავძენ, რომ სრულიად შეუძლებელია ეთერ ჭელიძის პიროვნებისა და მისი შემოქმედების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, გამოცალკევება.

ეთერ ჭელიძე არაერთი წიგნის ავტორია. პირველი წიგნი --,,მზის სარეცელზე ნებივრობს შხარა“ — 2001 წელს გამოიცა, წიგნის რედაქტორი გახლავთ პოეტი შერმადინ ქალდანი. შემდეგ იყო ვრცელი მონოგრაფია, სახელწოდებით -- ,,კაცი ლეგენდა“ -- მიძღვნილი იტალიაში ტრაგიკულად დაღუპული, კლდის ვეფხვად წოდებული მთასვლელის, მიხეილ ხერგიანის ხსოვნისადმი. აღნიშნული მონოგრაფია გამოქვეყნდა 2003 წელს, მიხეილ ხერგიანის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით. აღნიშნულ მონოგრაფიის ავტორი გახლავთ ეთერ ჭელიძე, ხოლო იდეის ავტორი და გამომცემელი -- საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი ბ-ნ. ივერი ჭელიძე. 2015 წელს ეთერ ჭელიძემ წარმოგვიდგინა მორიგი პოეზიის კრებული --,,დუმილის მიღმა“-- ქეთევან ლაზარაშვილის რედაქტორობით. 2020 წელს გამოიცა პოეზიის კრებული -- ,,დღეს უნდა გითხრა“, რომლის რედაქტორი გახლავთ ქ-ნ. თინათინ სიყმაშვილი.

ეთერ ჭელიძის შემოქმედებითი ცხოვრების ვრცელი გზა არაერთ ჯილდოსა და სიგელს ითვლის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მიღებული აქვს ,,ილია ჭავჭავაძის სახელობის მედალი,“ ,,თამარ მეფის ენდალმა“, წმინდა ილია მართლის სახელობის პროზა-პოეზიის საერთაშორისო პრემია - ივერიას ჯილდო. არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ასევე, ,,ფაზისისა“ და ,,ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი სამეცნიერო აკადემიების“ წევრი.

წინამდებარე კრებული -- ,,რაც იყო... რაც არის... რაც იქნება... “ პოეტის ბოლო წლების ნაფიქრსა და განცდილს უყრის თავს. მსოფლიო პანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სულიერი თუ ფიზიკური კატაკლიზმები, პოეტურ პრიზმაში სიმბოლიზდება

და თავს იყრის აქ, ამ ახალ ახალ კრებულში.

ეთერ ჭელიძის შემოქმედების მრავალფეროვანი თემატიკის მთავარი ხაზი პატრიოტული ლირიკაა. მისი ხმამაღალი შემოძახილი, გამოწვეული იმ ხილული თუ უხილავი საფრთხეების გაცნობიერებით, რომელიც ჩვენი, როგორც მცირერიცხოვანი ერის წინაშე დგას ღრმა შეშფოთებას იწვევს პოეტში და პოეზიით არისხებს განგაშის ზარებს ერის გამოსაფხიზლებლად, გადასარჩენად. ამიტომაც ვუწოდე მას -- ქართული სულის მეციხოვნე.

პატრიოტული ლირიკის დიდებული ნიმუშია ლექსი -- ,,ვაიჟურნალისტებს". პოეტს შესანიშნავად აქვს გააზრებული გერმანელი ფილოსოფოსის, გოტფრიდ ლაიბნიცის ფორმულა: ,,აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა". შესაბამისად, ჩვენი ერის ისტორიული წარსულის სურათების გაცოცხლებით, მყოფადის გააზრებითა და მომავლის იმედით განმსჭვალულია მისი პატრიოტული ლირიკა, ხოლო თავად, ამ პოეტურ სამყაროში გვევლინება იმ დედაბოძად, რომელმაც საკუთარ მხრებით უნდა იტვირთოს მიტოვებული და ჩამოქცევის პირას მყოფი სამშობლოსა და შებღალული რწმენის ზე აზიდვა.

,, და მე მოვედი... და მე მოვედი...
უფალმა მიხმო შენდა საშველად,
გადამერჩინა რწმენა და მრწამსი, სისხლი და ჯიში...
მოვედი შენდა გადასარჩენად!
და მე მოვედი, დედაღვთისამ მე მიხმო, ალბათ,
რომ დაშანთული სხეულიდან ავლაგმო გვემა...
უშბის და შხარის სიწმინდე და სიმტკიცე დამაქვს
და სამშობლოსთვის გულანთებულ მლოცველად ვდგევარ!"

ყველაზე დიდ ტკივილს, ბუნებრივია, ძმათა შუღლი, მტრობა და გაუტანლობა ჰგვრის პოეტს. ერთგული და საიმედო ადამიანები შემოეცალა სამშობლოს, მოყვარე მტრობს და მტერი მოყვარედ აჩვენებს თავს: ,,მტერში მოყვარეს დავეძებ, რადგან მოყვარე მტერია." ცდილობს მკითხველს დაანახოს და შეასმინოს, თუ როგორ ღუპავს და ანადგურებს ქართველობას ეს მანკიერებანი. გასაოცარი სიზუსტით მიგნებული ალუზიებით ამბობს სათქმელს ლექსში --,,ვინ ვარ?!"

,,თავს ვერ ვაღწევ შადიმანებს,
ძმად ყოფილი მტრულად მგესლავს,
ოქროს დიადემისათვის
ძმა ძმის საკლავ მახვილს ლესავს!
ჰაი, რამდენს და რას არა,
გაუძელი... უძლებ დღესაც...
ერთი მუჭა ერის ხმა ვარ,
ეს ხმაც ვეღარ მომიმწყემსავს..." (ვინ ვარ?!)

ეთერ ჭელიძეს მტკივნეულად აქვს გააზრებული, რომ დღეს დაშვებული ყოველი შეცდომისთვის ჩვენი, როგორც ერის ყოფნა-არყოფნას ვდებთ სასწორზე. თითქოს, არაფერია ახალი და განსხვავებული ამ გაუაზრებელ ქცევაში, ერთ მოჯადოებულ წრეზე ვბრუნავთ და გონებადაბინდულებს ვერ გაგვიაზრებია საუკუნეთა მანძილზე ბრძოლით და რუდუნებით შემონახული ქართული სული ხელიდან გვეცლება:

,, მუხას ესროლეს წალდი,
თოთო მოტეხეს ტოტი,
ყოველთვის ქართულს ვკლავდით,
ასე ყოფილა ოდით..." (გონდაკარგული ხანა)

სამშობლო და უფალი განუყოფელი ცნებებია პოეტისთვის. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და უფლის უნაპირო რწმენა არის ეთერ ჭელიძის პოეზიის უმთავრესი და უმაღლესი ღირებულება. ამიტომ, როდესაც მისი შემოქმედების პატრიოტულ ხაზს განვიხილავთ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პოეტი ჩვენ წინაშე წარმოჩნდება იმ ქართველ მეფეთა მსგავსად, რომელთაც ერთ ხელში ხმალი ეპყრათ, ხოლო მეორეში -- ლოცვანი. თედო რაზიკაშვილის მიერ შეგროვებული ხალხური თქმულება-ლეგენდებიდან ვიგებთ: ,,როცა მეფე

ერეკლე ლოცვაზე დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას რომ გაათავებდა, სხივიდგან ისევ აიღებდა ხმალსაო"... ამ ტრადიციის გამგრძელებელია ეთერ ჭელიძის პოეზიაც, რომელიც ერთდროულად არის ბრძოლაც და ლოცვაც. უფლისადმი გამოვლენილი რწმენისა და ქრისტიანული მორალის ღრმა გააზრება იკითხება ეთერ ჭელიძის შემოქმედებაში:

,, სხვას ვერა, ღმერთო, შენ უშველე დანაღმულ სხეულს,
შენ მოუვლინე დღე ნათელი გამოდარების...
ვით შეწყვეტილი სადღეგრძელო,
შენდობის ყანწით კვლავ მათქმევინე
დაუძლეველ ერისკაცებზე...
და განსაცდელი, რაც ჩემს მოდგმას ახლა სჭირია,
ღმერთო, შემინდე კიდევ ერთხელ და მაპატიე!.. (ხრჩოლავს დედამიწა)

... და ისევ რწმენა, ლოცვის ძალა უსახავს იმედს და ასე სავედრებელ ლოცვად იწერება პოეტური სტრიქონები: ,,დღეს ერის კაცების მჭირდება სიუხვე, უფალო, მოჰფინე შენს სამწყსოს სინათლე...“ ,,შემინდე უფალო, დამეხშო გონება!.. ცა იწვის, მრევლი კი თანდათან მცირდება... დღეს, როგორც არასდროს მჭირდები, უფალო! დღეს, როგორც არასდროს მჭირდება ერთობა!..“ ლოცვის კვალდაკვალ ჩნდება იმედიც: ,,არ დაედება საწუთროს ნავლი, მხოლოდ ერთურთს ნუ დავაზიანებთ, დაირეკება ძლევის ზარები და სიყვარული გაგვამთლიანებს!“

ეთერ ჭელიძის შემოქმედებაში მეტად საინტერესო ლიტერატურულ კავშირებს ვპოულობთ სხვადასხვა ავტორებთან. ამ მხრივ გამორჩეულია ვაჟა-ფშაველას რემინისცენციები ეთერ ჭელიძის შემოქმედებაში. ეს კავშირი, ალბათ, იმ ფაქტით აიხსნება, რომ ეთერ ჭელიძეც მთების შვილია. მთის მკაცრი წესები, ტრადიციები და საუკუნეთა განმავლობაში ფესვგადგმული უძველესი რწმენა-წარმოდგენები, საინტერესო და მრავალფეროვან ასახვას ჰპოვებს ლიტერატურაში. ამასთან, ,,მთის შვილობა“ სამშობლოს კარიბჭის მცველად დაბადებას, მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას და მტერ-მოყვარესთან გონივრულ დამოკიდებულებას ნიშნავს. ეთერ ჭელიძის პოეტური მოწოდების საგანი არაერთხელ გამხდარა სიფხიზლე, საბრძოლო მზადყოფნა: ,,გამოიღვიძე, ქართველო, ხმალი ჟანგდება ქარქაშში“ , ასევე მტრისა და მოკეთის შეცნობა და გარჩევა, მტერთან -- მტრული, მოკეთესთან კი მოყვრული დამოკიდებულება: ,, ფეხი მოირთხა, ვისაც კი საჩვენოს ფეხი დაუცდა...“ ,, უცხო სახლიდან მაძევებს, ნინოს ცრემლი სდის ბოდბესა!..“ ასეთ მწარე იმედგაცრუებად ვლინდება ქართული დაუდევრობით გათამამებული მტრის ქცევა და აქვე მოწოდებაც:

,,გაბედე,
საკუთარ სამშობლოს დაცვა რომ
საკუთარ ღირსების სიმბოლოდ ამღერდე,
რომ გული ერისა, ნაპრალად ქცეული,
ვით ჰიმნი დიდების, ქართულად აძგერდეს!
გაბედე,
ქართული ღირსების დაცვა და,
ხმას მამა-პაპათა ტოლსწორად დაენდე,
სანამდე მუმლისგან მამული დაცალდა,
გაყიდულ მიწა-წყალს სანთლებად აენთე!“ (გაბედე)

იგივე პრობლემებს ეხმაურებოდა ვაჟა-ფშაველა ათას ცხრაასიანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ ტექსტში: ,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. ვაჟამ ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ გაიაზრა, რა პრობლემების წინაშე შეიძლება დადგნენ მცირე ერები. ,,გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის თავისსავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობის. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რომ თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს.“ -- წერდა ვაჟა-ფშაველა.

სიკვდილზე ფიქრი მოკვდავი ადამიანის თვისებაა. სიკვდილის ფენომენის გააზრება, მასთან ფიქრით წვდომა და მიახლოება ახასიათებს: გალაკტიონს, ტ. გრანელს, გ. ჩოხელს, ვაჟა-ფშაველას... როდესაც სიკვდილის თემაზე ვსაუბრობთ გვერდს ვერ ავუვლით ქართულ ფოლკლორს, სადაც სიკვდილის თემა, ასევე, მრავალმხრივაა წარმოდგენილი. სახალხო მთქმელების აზრით, მკვდარნი სიცოცხლეს განაგრძობენ და თავიანთი საქციელის მიხედვით განისჯებიან. მართალი გადაივლის ბეწვის ხიდს და ცოდვილი კუპრის მდინარეში ჩავარდება. ამ იდუმალებით მოცულ გზაზე, რომელსაც სიკვდილის შეცნობა ჰქვია, ერთობ ორიგინალურ ხედვას გვთავაზობს პოეტი ეთერ ჭელიძე. მისთვის, ერთი მხრივ, საძულველია სიკვდილი: ,,ვერ შეგაჩერე სიკვდილო, ვერ დაგიმსხვრიე ფრთები...“ წმინდა ადამიანური რისხვითა და სიძულვილით აღსავსე მიმართავს: ,,სიკვდილო, შეუცნობელო, იქნებ მოუკვდე დედას!“ ხოლო მეორე მხრივ, იმდენად ახლობელია, რომ თანაგრძნობა უჩნდება მის მიმართ. ლექსში -- ,,სიკვდილს გავესაუბრე“ -- მეტად უჩვეულო დიალოგს ვაწყდებით, ავტორი სიკვდილს მიმართავს და პასუხს სთხოვს ტკივილისთვის, რომელსაც სიკვდილი აყენებს ადამიანებს -- ,,ტკივილი რომ დედის გულს ფოლადივით ადნობდა, ნუთუ ამ დროს ქვის გული ვერაფერმა გაგილღო?!“. მოულოდნელად ატირებული სიკვდილი წარმოგვიდგება და აქ იშლება სიკვდილად ყოფნის ტრაგედია, რომელიც მოკვდავთა ყველა ადამიანურ ტკივილსა და ტრაგედიას ფარავს და აჭარბებს:

,,გაჩენის დღეს წყევლიდა, მის ცოდვილ სულს კრულვადა:
--არც მე ვიცი განგების ვიშვი რომელ ფესვიდან,
ნეტავ მომაკვდინებდეს ყოვლისშემძლე მესია...
ჯოჯოხეთის ცეცხლიდან მდუღარე გზას გავდივარ,
ეშმას მოციქული და უჩინარი ლანდი ვარ...
ფეხადგმული ხმელეთზე ყველა ჩემი მტერია,
ნაკვალევი ბნელეთზე ჩემი ფეხის მტვერია!
თავად ვკვდები, რამდენჯერ მზეს ვადინე ცრემლები,
ვაბინავებ სიცოცხლეს -- იმ საფლავში ვეშვები!
ო, ეს გოგო-ბიჭები, უყვავილოდ ჩამქრალი,
მტკივა, განა არ მტკივა შეწყვეტილი გზა-კვალი?!.
--შემეცოდა სიკვდილი, დაღლილი და საბრალო,
მემუდარა: მიშველე, იქნებ სადმე დამმალო,
რომ არასდროს ვაწვნიო კაცთა მოდგმას ტკივილი...
ჩავიკარი, დაღლილი ჩამეკონა ტირილით.“

გვახსენდება გ. ჩოხელის მოთხრობა: ,,სიკვდილთან ღრეობა“, ხატის გორაზე შეკრებილ ჩოხელებთან სტუმრად მყოფი სიკვდილი ადამიანებს აუწყებს, რომ არათუ არ კლავს მათ, არამედ, თავად კვდება მათში: ,, იცი რა, დედი, მე კი არა გკლავთ, თვითონ ვკვდები თქვენში, თვითონ ვიტანჯები სულის გაყრისას. მე ვასრულებ იმას, რაც უნდა მოხდეს, და ყოველთვის ხდება ის, რაც მოსახდენია...“ როგორც ეთერ ჭელიძის ლექსში, ისე გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში ვხედავთ მოკვდავსა და უკვდავს შორის წაშლილ ზღვარს და გაადამიანურებულ სიკვდილს შევიცნობთ. შეიძლება ითქვას, ორივე ავტორმა გადალახა ის ზღუდე, რომელიც ყოფს ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სამყაროებს და სიკვდილის აუხსნელ, შიშისმომგვრელ და იდუმალ ფენომენს შეგვაცნობინებს.

შემოქმედებითი წვისა და კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი საგანი ყოფიერების არსსა და რაობაში გარკვევაა. სამყაროს შეცნობა და აღმოჩენა თვითდაკვირვებითა და საკუთარ თავში ძიებით იწყება. თვით არსებობაც სიკეთისა და ბოროტების ჭიდილია... თითოეული ადამიანი საკუთარ თავში ატარებს ცოდვა-მადლს და მისი, როგორც უფლის სახედ და ხატად შექმნილი ქმნილების ვალია, საკუთარ თავში ებრძოლოს უკეთურების საწყისს. ამისთვის მოუხმობს პოეტი საკუთარ ,,მეს“, ღრმად იხედება მასში და ისევ რელიგიური მორალით აფასებს საკუთარ პიროვნებასა და ცხოვრების გზას:

,, საკუთარ ძარღვში, საკუთარი სისხლი ამძაღდა…
და მძაგს ცხედარი ცოცხალი და ლეშად ქცეული,

თუმცაღა სისხლი, როგორც წყალი დადის წრიულად
გონდაკარგული, უნუგეშოდ გადარეული...
ვცდილობ მორწმუნემ არ ვირწმუნო მავნე ბაცილა,
ვერ შევიყვარე, ვინც ამ დღემდე გამომაცილა,
და მეც შეყრილი ალთა-ბალთა მავან ქორ-ვაჭრებს,
ვდუმვარ და ნერვთან დასმულ წერტილს ნეკა თითს ვაჭერ...
სასაცილოა ამ დროების მომსწრე რომ გავხდი, --
დღეს სამყაროში ძაფის ხიდზე შიშით გავდივართ.
ერთი ცხადია, განკითხვის დღე მოგველის რადგან --
ბოლო სადგურის ბოლო ბაქანს ყველა ჩავდივართ!..“

,,ბოლო ბაქანი“ პოეტ ეთერ ჭელიძისთვის არა შიშის მომგვრელი სიცარიელე, არამედ საკუთარი ცხოვრების შეფასების გზაა: ,, არ მინდა სიცოცხლე უკვალოდ, სიკვდილი --- უცრემლო, უზარო… მიტირონ გულწრფელად, უბრალოდ -- ამგვარად მაცხოვრე, უფალო!“

ხოლო ერთადერთი შიში, რომელიც ხანჯალივით კენწლავს პოეტის სულს, გაცხადებულია ლექსში -- ,,ფიქრის ბაღში“.

,, ანდერძს დავწერ სწორედ იმ დღეს,
სიცოცხლე რომ გამაშვილებს!
განა სიკვდილს ვუშინდები?
მზე დაბნელდეს ვერ გაბედავს,
სევდანამცვრევ ბოლო გზაზე
დამიძახებს ვინმე დედას?!“

ლექსის ბოლო სტრიქონი ერთგვარი დამუნათებაა საკუთარი თავის, რადგან პოეტს მიაჩნია რომ სამშობლოს წინაშე მისი მსხვერპლი არაა სრულყოფილად შეწირული. არადა, სწორედ უფლის ნებითა და განგებით გამორჩეული ადამიანების ხვედრია იყვნენ უშვილო, მაგრამ საკუთარი ერისათვის მოამაგე მშობელნი და მთელი არსებით ემსახურონ სამშობლოს. განსაკუთრებულად დიდია მათი მისია, რამეთუ, ერის ტკივილი და მსახურება უნდა იტვირთონ ისე, როგორც ,,უფლის მხევალნი“ შეუდგებიან ხოლმე ღმერთის მსახურების გზაზე მონაზვნის წმინდა ცხოვრებას.

ყურადღებას იქცევს ეთერ ჭელიძის მეტად ორიგინალური პოეტური მიგნებები, რომლებიც გასაოცარ სიტყვათა შეთანხმებად ყალიბდება და ასე ამდიდრებს მის პოეზიას. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს: ,,სულის ყანები“, ,,ხმაშეცივნული ლოცვა“, ,,სიზმრების რაფა“, ,,დარდის ზვინები“, ,,გრძნობების ქვევრი“, ,,ღრუბლის ნამქერები“, ,,მზის ნაბადი“, ,,ზეცის აივანი“, ,,ლაჟვარდების მკათათვე“, ,,ნისლის ცურები“, ,,სულის სურა“, ,,ღრუბლის დევები“, ,,მზის ჭორფლი“, ,,მზემცინარა დილა“, ,,მზეპარია ღრუბელი“, ,,მზის ტაბლა“, ,,სულის ნასახლარი“, ,,გულის მდელო“, ,,ლაჟვარდების ცა“, ,,მთვლემარე კვირტი“, ,,სიყვარულის დედო“ და სხვა.

ასეთია პოეტ ეთერ ჭელიძის, როგორც შემოქმედის ესთეთიკური კონცეფცია, მისი მხატვრული აღქმის წესი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კრებული -- ,,რაც იყო... რაც არის... რაც იქნება...“ მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ტრადიციებით ნასაზრდოები, ალეგორიებით, სენტენციებით, პოეტური რემინისცენციებითა და ალუზიებით მდიდარი, მაღალი ღირებულების მქონე შემოქმედებითი პროდუქტია. ხოლო ავტორი -- ლამარიას უძველესი სამრეკლოდან მობუბუნე ზარის ხმა, რომელიც მადლიანი და ძარღვიანი სიტყვით, ქართული სულის მეციხოვნედ გვევლინება.

მანანა კვატაია

თომას ელიოტის თეორიული მემკვიდრეობიდან

ამერიკული წარმოშობის ბრიტანელი პოეტი, კრიტიკოსი, ესეისტი, დრამატურგი, თანამედროვე ინგლისური ლიტერატურული ენის რეფორმატორი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1948) თომას სტერნზ ელიოტი (1888-1965) გასული საუკუნის უდიდეს პოეტად და მსოფლიო თეორიული აზროვნების შეუდარებელ მეტრად არის აღიარებული. „ელიოტიც ერთი მცირედთაგანია, ვისი ცხოვრების ისტორიაც უიგივდება მისი ეპოქის ისტორიას და უიმისოდაც ვერაფერს მიუხვდები მეოცე საუკუნის, ტრაგიკომიკურობითა და ველური ჟინით აღვსილი ჟამის, ცნობიერებას“, - წერს როსტომ ჩხეიძე.

თომას სტერნზ ელიოტი დაიბადა 1888 წლის 26 სექტემბერს, სენტ ლუისში (მისურის შტატი). მის მშობლებს 7 შვილი ჰყავდათ, თომასი მათი ნაბოლარა ვაჟი იყო. ის 16 წლამდე სენტ ლუისის სმიტის აკადემიაში სწავლობდა და აქვე, სასკოლო პერიოდიკაში, თავის პირველ ნოველებს აქვეყნებდა. 1905 წელს მილტონის (ბოსტონთან ახლოს) აკადემიაში შევიდა, შემდეგ — ჰარვარდის უნივერსიტეტში, თუმცა ავადმყოფობის გამო მისი დასრულება ვერ შეძლო. 1910 წელს ის პარიზში გადავიდა და საფრანგეთის ლიტერატურულ ცხოვრებას შეუერთდა. კოლეჟ დე ფრანსეზში ბერგსონის ლექციებს ესწრებოდა, წერდა ლექსებს. 1927 წელს ელიოტმა ბრიტანეთის მოქალაქეობა მიიღო და აქვე მოღვაწეობდა. ის გარდაიცვალა ლონდონში, 1965 წლის 4 იანვარს.

თეორიულ აზროვნებაში თომას ელიოტმა ახალი სტილისტიკა დაამკვიდრა. მისი პირველი ლიტერატურათმცოდნეობითი კრებულია „წმინდა ტყე“ (1920). 1930-იან წლებში მან გამოაქვეყნა „რჩეული ესეები“ (1932), „ჯონ დრაიდენი – პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი“ (1932), „პოეზიის დანიშნულება და კრიტიკის დანიშნულება“ (1933). ელიოტის ზოგადი ესთეტიკური პოზიცია შეჯამებულია მის მოგვიანო კრებულებში: „პოეტებსა და პოეზიაზე“ (1957), „როდესაც კრიტიკოსს აკრიტიკებ“ (1965). თომას ელიოტი ცნობილია, როგორც ფორმალური მეთოდის ერთ-ერთი ფუძემდებელი ლიტერატურათმცოდნეობაში. მისმა ესთეტიკურმა შეხედულებებმა არსებითი როლი შეასრულა ინგლისურენოვანი პოეზიისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაში. ამჯერად გვსურს, შევჩერდეთ მის სტატიაზე „ამერიკული ლიტერატურა და ამერიკული ენა“ (1953), რომელიც მოთავსებულია კრებულში „როდესაც კრიტიკოსს აკრიტიკებ“. საყურადღებოა მისი მეორე ნაწილი, რომელიც ამერიკული ლიტერატურის ელიოტისეულ დეფინიციას წარმოადგენს.

თეორეტიკოსის განმარტებით, ტერმინი „ამერიკული ლიტერატურა“ „სხვადასხვაგვარ აზრს იძენდა და დროთა მსვლელობისას ახალი მნიშვნელობებით მდიდრდებოდა“ (ელიოტი 2021: 285). იგი დღევანდელი ადამიანებისათვის სხვა რაიმეს აღნიშნავს, ვიდრე საუკუნის წინათ.Eელიოტის აზრით, აშშ-ს მწერლების ეროვნული თავისებურება სრულად მხოლოდ დროის პერსპექტივაში გაიხსნება. თავისი განვითარების ადრეულ სტადიაზე კი ამერიკულად მიიჩნეოდა ლიტერატურა, რომელსაც ინგლისურ ენაზე ქმნიდნენ ადამიანები, ამერიკაში რომ დაიბადნენ ან ცხოვრობდნენ. მე-19 საუკუნეში შექმნილმა მწერლობამ რამდენიმე დიდი სახელი წამოწია წინ (ლონგფელო, უიტერი, ბრაიენტი, ემერსონი, ტორო, ფროსტი). მათ საკუთარი მიკროსამყარო და ეთიკური კომპლექსი შექმნეს, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა. „სამი მწერალია, რომელთაგან თითოეულს მე ამერიკული ლიტერატურის შექმნის ეტაპს ვუკავშირებ – პოს, უიტმენსა და მარკ ტვენს“ (ელიოტი 2021: 287), – შენიშნავს თეორეტიკოსი და ამ მწერლების საერთო (ამერიკულ) შტრიხებთან ერთად ყოველი მათგანის შემოქმედებით ინდივიდუალურ არსს გამოყოფს, განსაკუთრებით აფასებს ედგარ პოსა და უოლტ უიტმენს. თეორეტიკოსის აზრით, ამ უკანასკნელს თანამედროვე პოეზიაზე დიდი ზეგავლენა აქვს. მაღალ შეფასებას აძლევს ელიოტი მარკ ტვენს, ხაზს უსვამს მის დამსახურებას სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და სტილის დახვეწაში. მისი აზრით, მარკ ტვენი მკვეთრად გამოხატული „ადგილობრივი კოლორიტის მწერალია“. მისი „მისისიპი.. არ გახლავთ უბრალოდ მდინარე, ნაცნობი მის ნაპირებზე მცხოვრებთათვის და მენავეთათვის, არამედ – ყოვლისმომცველი ხატი ადამიანური ცხოვრების მდინარისა, უფრო მეტად ყოვლისმომცვე-

ლი, ვიდრე კონგო ჟოზეფ კონრადთან... ეს არის მდინარე *მისი უმაღლესი მნიშვნელობით*“ (ელიოტი 2021: 290).

შესაბამისად, თეორეტიკოსი ყოველ დიდ მწერალში ორ კონცეპტუალურ თავისებურებას გამოყოფს: ძლიერად გამოხატულ ადგილობრივ კოლორიტსა და ნაწარმოების ზოგად, გაუცნობიერებელ საზრისს. ედგარ პოს შემოქმედებით ინდივიდუალობაზე მსჯელობისას ელიოტი მიუთითებს, რომ პო თავის ტექსტებში მოქმედების ადგილად ხშირად პარიზსა და ვენეციას არჩევს, თუმცა ის ამ ქალაქებში არასოდეს ყოფილა. საერთოდ, მისი აზრით, ედგარ პო ამერიკული ჟღერადობის „გამოუცნობ ფიგურად რჩება“. ელიოტი მიუთითებს, რომ „იგი ყოველთვის მოკლებული იყო მოგზაურობის შესაძლებლობას და, როდესაც ევროპაზე წერდა, ეს იყო ევროპა, რომელსაც უშუალოდ არ იცნობდა“ (ელიოტი 2021: 290).

თომას ელიოტის შენიშვნით, მის მიერ შერჩეული სამი ამერიკელი მწერალი მსოფლიოში ყველაზე აღიარებულნიც არიან. თეორეტიკოსი განმარტავს, თუ რა აინტერესებს უცხოელ მკითხველს ნაწარმოებში. მისი განმარტებით, ეს გახლავთ მისი უჩვეულობა, ეგზოტიკურობა, მკითხველისათვის უცნობი სამყაროს სიღმეების წარმოჩენა. თუმცა, ამავე დროს, ამ ტექსტებს საყოველთაო მნიშვნელობაც აქვთ. „შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო ტიპური ანტიკური ბერძენი, ვიდრე ოდისევსია? უფრო ტიპური გერმანელი, ვიდრე ფაუსტია? უფრო ტიპური ესპანელი, ვიდრე დონ კიხოტია? უფრო დასრულებული ამერიკელი, ვიდრე ჰეკ ფინია? ყოველი ამ ხასიათთაგან ხომ თავისებური არქეტიპია, ადამიანის მითოლოგიაში შესული, მნიშვნელოვანი ყველა ხალხისა და ყველა დროისათვის“ (ელიოტი 2021: 292).

ზემოთ მოტანილი მსჯელობის შემდეგ თეორეტიკოსი გამოთქვამს ვარაუდს, რომ “ნებისმიერი ნაციონალური ლიტერატურა საკუთარ თავს, როგორც ასეთს, იმ სტადიაზე შეიმეცნებს, როდესაც მისმა ყოველმა ახალგაზრდა წარმომადგენელმა უკვე იცის, რომ მას წინ რამდენიმე მწერლური თაობა უსწრებდა, მის ქვეყანაში გაზრდილი და მის ენაზე შემქმნელი, და რომ მის წინამორბედთა შორის არაერთი საყოველთაოდ აღიარებული დიდი მწერალი იყო” (ელიოტი 2021: 292). ტრადიციის ამგვარი გააზრება კი მისაბაძია ახალგაზრდა მწერლისათვის, რომელიც წინა თაობების ავტორთა შემოქმედებაში “სწორედ იმას პოულობს, რისგან თავის არიდებაც სურს”. ელიოტი მმიიჩნევს, რომ უნდა გავექცეთ ვიწრო ნაციონალურ ჩაკეტილობას. თავის მხრივ, მისი აზრით, ამერიკული თავისებურება არ გახლავთ რაღაც, „ერთხელ და სამუდამოდ მოცემული.. ცოცხალი ლიტერატურა ყოველთვის ცვლილების პროცესში იმყოფება“. მწერალთა ლიტერატურული გამოცდილება სხვა ავტორებზეც ახდენს გავლენას... ამიტომ „ლიტერატურა, რომელსაც მომავალი თაობები ამერიკაში შექმნიან, მიუღებლად აქცევს ხელოვნებაში ჭეშმარიტი „ამერიკულის“ ყველა იმ განსაზღვრებას, რომლებიც წარსულის მწერლების, ან ჩვენი დღეების შემოქმედთა მემკვიდრეობაზე დაკვირვებიდან იბადება“ (ელიოტი 2021: 294).

მეტიც, ლიტერატურაში ხდება ხოლმე „თავისებური რევოლუცია, ფორმისა და შინაარსის მოულოდნელი მუტაცია“ და წერის განსაზღვრული წესი ახალი თაობის მწერლების მიერ მოძველებულად ცხადდება, აღმოცენდება ახალი ლიტერატურა და “წერის ახალ წესს არა ნგრევა, არამედ შემოქმედებითი რეკონსტრუქცია მოჰყვება“.

ელიოტს მაგალითად მოჰყავს ის რევოლუცია, რომელიც უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე ხდებოდა როგორც ამერიკულ, ისე ინგლისურ პოეზიაში. მისი განმარტებით, მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულის პოეზიაში რთული ვითარება გახლდათ, ნაკლებად იგრძნობოდა ახალი პოეტური მეტყველების ძიების სურვილი. გამონაკლისი იყო უილიამ ბატლერ იეტსი, რომელიც დიდ თანამედროვე პოეტად 1917 წელს წარდგა. პოეზიაში ახალი ინტონაციების დამამკვიდრებლად ელიოტი ასახელებს ერნსტ დოუსონს, ჯონ დევიდსონს და არტურ საიმონსს. ამავე დროს, იგი ხაზს უსვამს მათ შემოქმედებაზე ფრანგი სიმბოლისტი პოეტების გავლენასაც. სხვა ესეში „ბოდლერი ჩვენს დროში“ ელიოტი აღნიშნავს, რომ შარლ ბოდლერმა სხვადასხვა თაობის პოეტებზე მოახდინა ზეგავლენა და “ის ფაქტი, რომ ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ბოდლერით, მათ შორის ერთგვარ სულიერ კავშირზეც მიუთითებს” (ელიოტი 2007: 98).

განსაკუთრებით გამოყოფს ელიოტი მეოცე საუკუნის პოეზიის განახლების პროცესს და იმდროინდელი პოეტური ძიებების ამოსავალ პუნქტად „იმაჟისტების“ მოღვაწე-

ობას მიიჩნევს. ეს ინგლისურ-ამერიკული ჯგუფი 1910 წელს ლონდონში გაჩნდა და პოეტებს „აერთიანებდათ ყველასათვის საერთო გატაცება უახლესი ფრანგული პოეზიით, და, ასევე, ყველა მათგანისათვის დამახასიათებელი ინტერესი შემოქმედებითი განვითარების შესაძლებლობისადმი იმ პოეზიის შესწავლის გზით, თანამედროვეობისაგან დაშორებულ ეპოქაში, და არა-ინგლისურ ენაზე რომ შეიქმნა“ (ელიოტი 2021: 296). ამერიკაში იმაჟიზმის უფრო ფართოდ გავრცელებას თომას ელიოტი უკავშირებს ემი ლოუელის მოღვაწეობას, საკუთარ თავზე რომ აიღო იმაჟისტური მოძრაობის დირექტორ-განმკარგულებლის მოვალეობანი. თეორეტიკოსის შეფასებით, ამ მოძრაობამ “სტიმული მისცა პოეზიის შემდგომ ძიებებსა და განვითარებას”.

საყურადღებოა ელიოტის დაკვირვებანი მისი დროის ლიტერატურულ პროცესებზე. მისი გაგებით, ამერიკულ პოეზიაში ყველაზე სახიფათო ტენდენცია გახლავთ ორიგინალობა და ფორმალურ მოწესრიგებულობაზე უარის თქმა, ინგლისურ პოეზიაში კი - ტრადიციულობა და ვიქტორიანულ ნიმუშებთან დაბრუნების სურვილი. მისი თაობის შემოქმედთა გახსენებისას ელიოტი გამოყოფს ეზრა პაუნდს, უ.-კ. უილიამსს, უოლეს სტივენსს, მერიენ მორს, უფრო ახალგაზრდა თაობაში ის მოიხსენებს ამერიკულ სახელებს: კამინგსს, ჰარტ კრეინს, რენსს, ტეიტს. ჲყველა ამ პოეტის შემოქმედება, მისი აზრით, სავსეა რადიკალური ექსპერიმენტებით, ნოვატორობით და ტრადიციასთან სიახლოვით.ჳკონცეპტუალურია ელიოტის დასკვნა: “უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე.. ამერიკულმა პოეზიამ პირველად შეიძინა *ერთიანი, თავისთავადი და განსაკუთრებული მოვლენის სახელი* და, სწორედ როგორც მოვლენა, იქნა იგი აღქმული და მიღებული ინგლისსა და ევროპის კონტინენტზე“ (ელიოტი 2021: 297).

1930-იანი წლების პოეზიაში ელიოტისათვის გამორჩეული ადგილი უჭირავს ოდენს, თუმცა თეორეტიკოსს უჭირს, ზუსტად განსაზღვროს, ის ინგლისელი პოეტია, თუ ამერიკელი. შესაბამისად, საყურადღებოა ელიოტის მოსაზრებანი ინგლისური და ამერიკული ლიტერატურების ურთიერთგავლენებზე, ტრადიციასა და ინდივიდუალობაზე, რის შედეგად ის დაასკვნის: „ინგლისურ და ამერიკულ პოეზიას მხოლოდ თავიანთი განსხვავებების შენარჩუნებით შესწევთ უნარი, ერთმანეთს დაეხმარონ და თავიანთი წვლილი შეიტანონ განახლების უსასრულო პროცესში, რომელიც როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს მოიცავს“ (ელიოტი 2021: 298).

როგორც ვხედავთ, თომას ელიოტის მოსაზრებანი საყურადღებო და ანგარიშგასაწევია ისეთი ორიგინალური ფესვებისა და განვითარების გზის მქონე მწერლობის შეფასებისათვის, როგორიც ამერიკული ლიტერატურაა. ცნობილია, რომ ის სათავეს მე-17 საუკუნეში, ინგლისელ მოგზაურთა და კოლონიზატორთა აღწერებში იღებს და დღევანდელი აშშ-ის მწერლების მრავალფეროვან და მრავალწახნაგოვან შემოქმედებაში აგრძელებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. **ელიოტი 2021:** ელიოტი თომას სტერნზ. სტატიიდან „ამერიკული ლიტერატურა და ამერიკული ენა“ (თარგმნა მანანა კვატაიამ). – ჟურნალი „კრიტიკა“, 2021.
2. **ელიოტი 2007:** ელიოტი თომას სტერნზ. ათი ესეი (ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა). თბილისი: 2007.

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

SEMANTISCHE UND FORMELLE EIGENTÜMLICHKEITEN ANTHITHESISCHER SPRICHWÖRTER

Hier sind deutsch-georgische antithesischen Ausdrücke und Sprichwörter gegeben, wodurch sowohl semantische als auch formelle Eigentümlichkeiten, solche stereotypische Umkreisung geäußert werden, die obligatorisch sind die Antithesen in den georgischen und deutschen Sprachen zu realisieren. um diese Erscheinung zu veranschaulichen.

Die Voraussetzung für die Realisierung der Antithesen soll in den beiden Sprachen das im Mikrokontext gegebene Paar angerechnet werden, dessen Glieder mit ihrer Bedeutung die Grundlage für die Gegenüberstellung der Bestandteile der Antithesen näher bestimmen und dadurch seine Formierung bedingen. Durch die Antithesen werden in der modernen Linguistik die Gegenüberstellung der Begriffe und mit der subjektiven Wahrnehmung bedingte kontrastive Relationen zwischen den sprachlichen Einheiten zum Ausdruck gebrach.t

Als Stütze der Forschung dieser Erscheinung soll die kulturelle Volkserrungenschaft des konkreten Sprachträgers und zugleich die durch nationale Kultur bedingte pragmatische Dimension genommen werden. Bei der Forschung der Antithesen wird der Begriff des sprachlichen Subjekts ausgesondert werden . Die Antithesen werden nur in den syntaktischen Konstruktionen abgetrennt werden. Nach ihrer Natur sind sie okkasionel, von der Position des Individums abhängig, stylistich gefärbt und ebenso subjektiv, bei ihr tritt der pragmatische Wertungskomponent in den Vordergrund.

Nach ihren lexikonischen Bedeutung werden durch die Antithesen nicht nur die Semantik der Gegenüberstellung realisiert, sondern auch gegenseitige unterschiedliche Begriffe bezeichnet werden. Der ergibige Boden der Aussonderung dieses Phänomens bilden Sprichwörter, Ausdrücke, wo die Antihesen durch die Redeteile dargestellt werden können:

.Adler fangen keine Fliegen. Ujischosagan jischiani ar nachula, ar ikneba.

Besser arm in Ehre, als reich in Schande. Sdjobs sizozkhlesa nadsrakhsa, sikvdili sakhelovani.

Besser ein eckiges Etwas, als ein rundes Nichts. Sul araphers zota mainz jobia.

Besser biegen, als brechen. Chatrevas chakola sjobiao.

. Besser einen Spatz in der Hand, als die Taube auf dem Dach. Dgevandeli kverzchi mirchevnia khvalindel katams.

Besser ein Arbeiter, der denkt, als tausend Kopfloser. Atas utaos erti taviani sjobs.

Billig stinkt, teuer blinkt . Kargisa kidva dsvirad sjobs, sed gamogeba sartisa.

Besser zweimal fragen, als einmal irregehen. Zlis saphikrebeli da zamis gasaketebeli.

Berg und Tal kommen nicht zusammen, wohl aber die Menschen. Mtha mthas ar shexvdeba, thorem kazi kazs sheekrebao.

Der Elefant macht keine Mücken tot. Songuli mumlitha shepkrobad phrthasa ar gashlis somit.

Der Esel und die Nachtigal haben beid ungleichen Schall. Viri charboda zkhenthana, mez bedauri shenthana.

Den Kopf halt kühl, die Füsse warm, das macht den besten Doktor arm. Thavi siziveshi, phekhebi sithboshi, janmrthelobis sazindaria.

Den Einen sien Uhl ist, den Anderen sien Nachtigall. Sogs mgvdeli moszons, sogsaz mgvdlis zoli.

Der Esel schick', wochin du willst, kein Pferd wird draus, das etwas gilt. Ar gathethrdebis korani, raz unda khekho qvishitha.

Der Geist ist willig, aber das Fleisch ist schwach. Suli dslieria, khorzi ki susti. suli

Die Geldmünze ist klein, gilt aber viel. Pataraa. magram dsvirad phasobs.

Der sichere Besitz einer Sache von geringem Wert ist besser, als Unbestimmte. Sjobs phlobde iseth nivths, romelsaz mzireodeni girebuleba aqvs, vidre umnishvnelo.

Der Eine lacht, der andere macht.Vin khalisobs da vin sakmianobs.

Das Hemd ist mir näher als der Rock. Kuchi dsmase akhloao.

Die Eile ist vom Teufel, die Ruhe von Gott. Sitsknare gmobili sjobs sichkaresa kebulsa.

Die Wurzel der Wissenschaft ist bitter, um so süβer ihre Frucht. Stsavlis dsiri mtsare aris kentseroshi gatkbildebis.

Das einen Tod, des anderen Brot. Mgeli kvdeboda da zkhvari kuntrushis gunebase ikoo.

Der eine säet, der andere schneidet. Erthi thesavs meore ki keravs.

Der eine hat die Mühe, der andere hat die Brühe.Vin gaikhara da vin chamso.

Der eine fängt den Hasen, der andere iβt ihn. Vin kurdgels ichers da vin chams.

Der Mensch denkt, Herr Gott lacht. Kazi bchobda, gmerthi izinoda.

Er heckt keine Taube einen Adler. Busi phaskunjis adgils ver daichers.

Eulen hecken keine Falken. Ujishosgan jishiani ar nakhula, ar iqneba.

Eine Taube heckt keinen Adler. Antsli ar mogvzems kurdsensa

Frauen haben lange Kleider und kurzen Mut. Qals thma grdseli aqvs da chkua mokle..

Fleissige Hand erwirbt, faule Hand verdirbt. Mushas sachmeli, aramushas arapheri.

Geringe Ursache, grosse Wirkung. Didi qvekana moutsvavs enasa mabesgarasa..

Goldner Hammer bricht eisernes Tor. Oqros chakuchi alakaphis karebs amtvrevso

რატიანი ლალი

ანტითეზური ანდაზების სემანტიკური და ფორმალური თავისებურებები

რეზიუმე

ანტითეზები, როგორც ლინგვისტური ფენომენები, გამოხატავენ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართებებს, რომლებიც წარმოიქმნებიან ენის ერთეულებს შორის სუბიექტური აღქმის შედეგად. ანტითეზების თავისებურებას გარკვეულწილად განსაზღვრავს ენის მატარებლის კულტურული საფუძველი. ისინსი ემყარება მოვლენათა და საგნების დაპირისპირებას, რომელსაც სუბიექტი მოიაზრებს, რაც დამატებით მნიშვნელობას იძენს.

.Ratiani Lali

SEMANTIC AND FORMAL FEATURES OF ANTITHETICAL PROVERBS

Resume

Antptheses, as linguistic phenomena, express conflicting relationships that arise from the subjective perception of linguistic units.The peculiarity of the antitheses is determined in a certain way by the cultural basis of the language carrier. The antitheses are based on the confrontation of the appearances and objects, which the subject conceives of, which gains additional meaning in the context.

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე

სამებაში გამოსახული უსასრულობა!

რადგან ღმერთმა სამკუთხედით გამოსახა უსასრულობა და ეს სამკუთხედები ემსახურება სამებას, პითაგორის ტეტრადებიც ზუსტად ამ ცოდნას გვაწვდის. აქ ზუსტად სამი საფეხური, სამი წერტილია კოდირებული და შიგ სიცოცხლისა და სიბრძნის ენერგია დევს.

ანუ უკვდავებისთვის გამოსაყენებელი მასალაა!

თვალი! – ალ-მ-ასი! ლ-ალი! ბრილი-ან-ტ-ი! უნივერსალურობის დიდი მაგალითი და ძალა!

მისი ზედაპირი გამოკვეთილია სამკუთხედებით, ეს მისი თვალთახედვის არე-ალია!

ანუ ეს ნაგებობა, შენობა, ა-შენება, (შენივე ნება ყოფილა) მსგავსია, როგორც წმინდა მი-ნა! შენივე ხელით ხდება, შენშივე აშენებ, შენ თვითონ აცოცხლებ ყოველივე წერტილს, ანუ მის წიაღში შეღწევას ახერხებ.

ეს პროცესი ემსახურება გაპატიოსნებას!

თვალიპატიოსანი!

პა-ტი-ო-სანი!

ქვა ადამიანია! – „ბოლოჟამს ქვები აღაღანდებიან.“

და მისი გაპატიოსნება გამოთლით ხდება ანუ დამუშავებით.

განსაკუთრებული თორმეტი ქვა, რომლის მიღება სხეულის თორმეტ ნაწილში, თორმეტი მარგალიტის დიდებაა, რომელიც იწყებს ნათებას!

ბროლია ღმერთი!

და ეს იოანე არის ამის შემქმნელი! ანუ ი ო ა ნ ე – ე ნ ა ო ი, – ენაა ქართული!

ვარსკვლავი ღვთისა, მისი გამჭვირვალობა, უხილავ სხეულს ხდის ნათელს, გარდაქმნას ახდენს ტ-ან-ში!

აქ სულიწმინდის ფორმაა მთავარი! დიდებული და უხილავი ხაზი სიცოცხლის!

ორგა-ნული! ანუ ო-რგა-ნი-ზ-მი ნულიაო!

ეს სივრცეა! წრეა! და ორგანზომილებიანი! თან გვეუბნება უფალი, ენა, ო-რგე-ო!

და ეს „ო“ უსასრულობაა!

სინათლის სხივზე, ნა-პ-ერ-წ-კ-ალ(ი)-ში იბადება და ბრწყინდება!

ი ო ნ ი იგივე ი ო ა ნ ე – ბუდეა! – ზუსტად ის ბუდე სადაც ეს სასწაულია შექმნილი. სადაც ხდება შევსება, გაბრწყინება იმ გამჭვირვალე სრულყოფილების, რაც ბროლშია, ალმასში, ბრილიანტში, ლ-ალი-ს თვალ-ში შეღწეული სინათლესთან ურთიერთობით!

აზრთა ფორმა შედის სულის განზომილებაში ამ დროს და ბრწყინდება!

ყველაფერს აკეთებს აზრი!

აზრი ღვთიური წარმოშობის სიტყვაა!, რომლის განზომილებაც ღმერთშია!

თუ ადამიანი არის ჩაფლული ამ მდგომარეობაში, გაცისკროვნება ხდება, ასეა მინერალშიც, ეს იშვიათი სიმდიდრე მდუმარებით, მოთმინებით აღწევს მარადისობის ფორმას, მაშინ ახდენს სი-ნა-თ-ლე ქ რ ი ს ტ ე ს! თვითნაბადს, დაბადებას სხივთა კავშირით.

წერტილთა შეკავშირება, ანუ პირამიდა, პირამიდაში აღწევს უსასრულობას, ენერგიათა გაბრწყინებას, ს ა მ ე ბ ი ს ა მ ა ღ ლ ე ბ ა ს!

აქ კანონი მუშაობს, ღმერთის კანონი და სადაც მინერალი გაბრწყინდება, მხოლოდ მისი გარე-გ-ნული ფორმა არ არის, არამედ მის შინაგანში უზარმაზარი ინფორმაცია, სიდიადე და ფერია!

მისი მოქმედება იღებს სათავეს, აღწევს იმ სრულყოფილებას რასაც ღვთის გამოვლინება ჰქვია!

გაცნობიერებული ადამიანი, რომელიც ამ შემოქმედებაში ჩაებმება და საკუთარი ხელით დაიწყებს ამ უსასრულობის შე-ქმნას (შენვე უნდა ქმნაო) ფიზიკურ თუ სულიერ საწყისებზე ახალ სამყაროებს შლის და აგებს. ამ პროცესებს აწარმოებს და მისი დუმილი, გაწონასწორებული მდგომარეობა, უფრო მეტ სიღრმეებში გადასვლას გულისხმობს.

ეს ის პროცესია როგორც ზღვა და მზე!

ყოველი ნატყორცნი სხივი ზღვის ტალღებზე იწყებს გაშლას და გაბრწყინებას, გეჩვენება თითქოს ციდან ერთმა მზემ და მისმა სხივებმა ზღვის ზედაპირზე, ტალღებზე უამრავი მზე დაბადა და სხივთა ერთობლიობა აამღერა.

ზღვამ მზეს გაასმაგებული ძალით დაუბრუნა სიყვარული სხივების სახით!

ქრისტემ ზუსტად ეს სიყვარულის ძალა გამოიყენა როდესაც გადალახა მდინარე!

აი, ამ პროცესს უნდა მოიცავდეს კაცობრიობაც გაცნობიერებულ მდგომარეობაში, რადგან ბევრ ადამიანს ზღვას უწოდებენ, – ზღვა ხალხი!

მარად მზარდია და განვითარებადი ღმერთი, მისი ნება და კანონი სიყვარულში ივსება, ი-დგე ვულ-კანზე და გადმოდიოდეს ლა-ვა, (ლა – ნოტია, ლა – ღვიძლია) (ვა – გაკვირვებაა, შეძახილი ღმერთის) ეს შენ ხარ! და შენივე ხედვის უსასრულობას, ცნობიერის მაღალ შეგრძნებას იძლევა!

„ი“ – ძლევაა!

„ი“-ესო!

ჩვენი სასწაული „ბგ-ერ-ები“

შენ ასხივებ!

ანუ ღვთიური ველის მატარებელი ხარ!

ცნობიერების მაღალი შეგრძნება, ნებისმიერი ენერგია ემოციის საწყისია! ემ(ი)-ოციაო!

თან „ო-ცი“ ენერგიაა,

აუცილებლად ტ-კივილში ხდება გარდასახვა, აქ იხსნება გზა!

აზრია მთავარი!

წონასწორობა კი სამყაროს ახალი გასაღებია, უზარმაზარი ჰ-ორი-ზონ-ტ-ი, რომელიც გადაშლილია სამყაროში. ძალიან დიდი შესაძლებლობა, რომ შენ-შივე მიაღწიო წარმატებას უკვდავებისთვის!

ნება – მსახურებაა!

ანუ ემორჩილები! ასევე გემორჩილება შენც!

ზღვა და მზე!

აზრი აკეთებს ამას, რადგან აზრის ძალა სინათლის სი-ჩქარეზე უფრო სწრაფია!

უდიდესი ბედნიერებაა ცნობიერება, ცხოვრების ბედნიერება!

მზისა და მთვარის ჭიდილი, შერწყმა ახდენს სამკუთხედების შენებას სამყაროში, უხილავი პროცესი, გარემომცველი აზრები კი ავსებენ და ამაღლებენ სულიერ საზრდოს, რომელსაც მზისა და მთვარის ხელოვნება ქვია! სამ-ყარ-ო-ს ხელოვნება!

უმაღლესი ნიმუში, აზრთა დიდება! ეს დედამიწაზე ცხოვრების ხალისს ქმნის, და ეს ხალისი (ხარ მისიო) (თან ხალიო, რაც სხეულზე გვიჩნდება ხოლმე, ანუ გვააქვს!) და ეს ხ-ალ- ი-სი, საოცარი სიტყვა ცხოვრების დრო და ჟამის ნიმუშია!

სიგრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

გონების ზღვარზე

(აზრები)

(გაგრძელება)
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის
მე -11 ნომერსა და ათინათის N 42-43-ში

ადამიანი, როგორც ფენომენი – ფსიქიკა, ცნობიერება, აზროვნება

***

მიწიერ-სხეულებრივი გამოვლინებანი, თავისი მრავალსახეობით, სამყაროს მოვლენათა ურთიერთქმედებისა და ურთიერთასახვის შედეგია; ადამიანის შეგრძნებებში სიმბოლოებად ფოკუსირებული ეს სამყარო წარმოსახვითი უკუგანფენილობის გამოუთქმელ შესაძლებლობებს იძლევა.

***

უმჯობესია, იყო უმაღლესით შთაგონებული და იქედან ჭვრეტდე სამყაროს, ვიდრე ადამიანის ყოფის ნაჭუჭიდან იმზირებოდე.

***

ნიჭიერება „ადამიანურობის“ გარანტიას არ იძლევა...

***

გონება გულის წარმომადგენლობისა და ღვთაებრივ არსთა წარმომადგენლობის, ურთიერთობის, თანამშრომლობის, ასევე, ურთიერთ-გამორიცხვა შეუთავსებლობის და ბრძოლის არენაა.

***

გენიოსის მიერ კონკრეტული დროის განცდა-ზემოქმედებით შექმნილი მუსიკა, რომელშიც მსოფლიო სული მონაწილეობს, ადამიანებს ყველა დროში აღაფრთოვანებს; მისი წაკითხვა-ამოცნობის შთაგონებით, მუსიკის შინაარსში იმ კონკრეტულ დროს განაცდევინებს, როცა ის შეიქმნა. და თუ ეს ასეა, მაშინ მუსიკა კაცობრიობის ისტორიას „თავისი ენით“ გადმოგვცემს და გვიყვება...

***

გონების მიღმა ბევრი რამ არის, მათ შორის ჩვენი გონებაც...

***

საგანთა და მოვლენათა სიტყვიერი მნიშვნელობით გაფორმება – მეტყველებაზე გადასვლა და ამის შედეგად, ცნებებით ოპერირება-აზროვნება – სემანტიკური ველის წარმოშობის, თავის ტვინის შესაბამისი უბნების გაფართოება-განვითარების წინაპირობა იყო, რომელიც, თავის მხრივ, მიზანშეწონილობის – ადამიანური არსის და ფენომენის იმთავითვე დაშვების შედეგია..

***

გამჭრიახი ადამიანი, მარტოობაშიც კი, სხვათა თვალთამზერას გრძნობს...

***

ადამიანის ტვინი ორგანოა, რომელიც გარესამყაროს ადამიანის „არსებას“ აცნობს და აკავშირებს. თავის მხრივ, ეს „არსებაც“ აცნობიერებს და ანვითარებს ტვინს. ამ უკუკავშირებით პროცესს, პირობით-ფუნქციონალური შინაარსების ადამიანამდე დაყვანა-დაშვების ზღვრები გააჩნია...

***

ადამიანის ნააზრევი ცალმხრივია, თუკი იგი სხვა ადამიანების ნააზრევით არ არის მხარდაჭერილი და განმტკიცებული.

***

გული სტიმულატორია – სიცოცხლეს და მოქმედებას ითხოვს. ტვინი მბრძანებელია – წესებსა და კანონებზე აწყობილი. გული გულითადი მასპინძელია, ხოლო ტვინი სტუმრებს მხოლოდ საჭირო დროს, საჭირო ადგილას ხვდება, რის შემდეგ მათ ცივი გონების წესით მკაცრად ახარისხებს და თავ-თავის ადგილზე ალაგებს...

***

აზროვნება, რომელსაც მონობის დაღი აზის ან მოსყიდულია, ყველაზე დამამცირებელია ადამიანისათვის...

***

ჩვენი განსჯა ჩვენი შეხედულებებითაა გამსჭვალული. ჩვენი შეხედულებები კი, არასდროსაა მიუკერძოებელი, ჩვენივე ეგოცენტრულობიდან გამომდინარე. ამიტომაა, განსჯა რომ არასდროსაა უბიწო. არგუმენტები ვერასდროს გახდებიან საღი აზრის თავმდებნი. უმჯობესია, მკაცრი განსჯისაგან ყოველთვის თავი შევიკავოთ.

***

ჩვენი საჭვრეტი, რომელიც დროში, სივრცეში, აზროვნებაში მრავალფეროვნებას აფიქსირებს, განსაზღვრავს კიდევაც ჩვენს განსხვავებულ აზროვნებას და ყოფას.

***

არა მგონია, ფსიქიკაში დაშვებული „აზროვნება“ და მისი გაშიფვრა, მით უფრო, მეტყველების საშუალებით მისი გადმოცემა ადამიანს შეეძლოს...

***

სავარაუდოდ, სიტყვის დამახსოვრება, ასევე, მისი მეხსიერებიდან ამოღება ფრაგმენტებად ხდება. დამახსოვრების ცენტრში სიტყვა აღიქმება, როგორც სხვადასხვა ელექტრო იმპულსების ნაკადი, რომლის დიფერენცირება-დახარისხება-დამახსოვრების უნივერსალ აპარატს ტვინი წარმოადგეს.

***

ადამიანისთვის აზროვნებითი შეზღუდულობა-შებოჭილობა სასურვებელი არ არის, ისევე როგორც ფანტაზიების და წარმოსახვების უსაზღვრო გაშლა-გაფართოება…

***

გულ-გრძნობა – ინტუიცია მსუბუქი ძაფებითაა ნაკერი, მაშინ, როცა გონება მყიფე, მსხვრევადი ჯაჭვებითაა ნაქსოვი; მსუბუქი – მგრძნობიარე ძაფები უფრო ელასტიური, გამძლე და გამართლებულია, როგორც ფიზიკური არსებობის გასახანგრძლივებლად, ასევე, სულიერ გრძნობათა შესაქმნელად, შესანარჩუნებლად და გადასარჩენად...

***

სანამ ცხოვრებას აზრი აქვს და „ვინმე“ გგონია თავი, იბრძვი, იღწვი – ებღაუჭები შენს შეხედულებებს და პოზიციებს. თუ ხელიდან გამოგეცლება მთავარი საზრუნავი, ანდა საზრისი, ყველაფერი ერთბაშად უფერულდება – ნადგურდები როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად...

***

თუ ჩვენ ამ სამყაროს მოვლენებს, საგნებს, ცხოვრებას, წვრილმანებს სიმბოლოებად და მაგალითებად არ მივიღებთ, მათში ჩვენს შესაძლებლობებს არ ჩავრთავთ და არ ავამუშავებთ, ჩვენი ფანტაზიის პროდუქტებს გორა-გორა არ დავახვავებთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ორი სიტყვა: „იყო“ და „არაიყო“...

***

ხალასი ნიჭის დამონება-დაქვემდებარება შეუძლებელია.

***

ადამიანის ცნობიერების „ჩაკეტილი სისტემის“ გახსნას პირველად ფროიდი შეეცადა. მე-20 და 21-ე საუკუნის „მოაზროვნეები“ კი ამ სისტემის არათუ გახსნას, არამედ დაბლოკვის და სათავისოდ

წარმართვის ძიებას, მთელ საკაცობრიო გამოცდილებას და ძალისხმევას ახმარენ...

***

არასოდეს იაზროვნო სხვის მაგივრად და სხვათაგვარად... თუმცა, შეიძლება შეეცადო და მიაღწიო იმას, რომ იაზროვნო შენდაგვარად...

***

უნდა დაუდარაჯდე გონებას, მის „გადმონაყარ ნარჩენებში“ უამრავი საზრდოა...

***

ადამიანმა რაც იცის და რასაც ხედავს, მხოლოდ მისი ნაწილის გადმოცემა და აღწერა შეუძლია. „იცის“- გადმოცემა არ შეუძლია, „ხედავს“ – ვერ აღწერს. თვით ყველაზე ინტელექტუალურ ადამიანს მოვლენის ზუსტი ასახვა და გადმოცემა ვერბალურად უჭირს. ამის მიზეზია ისეთი ფაქტორები – როგორიცაა: 1. მოვლენის სირთულე; 2. კონსერვატული მიდგომები; 3. საზოგადოებრივ შეხედულებათა ტყვეობაში ყოფნა; 4. გამბედაობის არ ქონა – დაამსხვრიო ყოვლადაღიარებული; 5. ინტერპრეტაციის სირთულე, რომელიც ყოველთვის სუბიექტურია.

***

ადამიანი იბადება სოციალური ინსტინქტებით და ზრუნვის ინსტინქტებით (განსაკუთრებით ქალები). ამ ინსტინქტების დახშობა პათოლოგიაა.

***

ნებელობა – ადამიანის მოთხოვნილებათა კასკადიდან გამომდინარე – ბიოლოგიურ განწყობილებათა იმპულსების სოციალურ მოთხოვნილებებთან და შინაარსებთან შერწყმა-შეთავსებით განპირობებული – ნაკარნახევი ქცევაა.

***

თუ სოციუმს ცნობიერების ფორმირება შეუძლია, მას აგრეთვე ჩვენი მოთხოვნილებების ფორმირებაც შეუძლია. აქტუალურ მოთხოვნილებათა გარდა, არსებობს სხვა მოთხოვნილებები. მათი იერარქია და სულიერი მოთხოვნილებები, სწორედ საზოგადოებასთან ურთიერთობისას ფორმირდება.

***

ბუნებას შემონახული აქვს წესები. ადამიანში (ფსიქიკაში) ჩადებულია მექანიზმები, რომლებიც განსაკუთრებულ (სტრესის, სტიქიონების, ომების) შემთხვევებში და სხვადასხვა იძულებების დროს იწყებენ ამოქმედებას.

***

ფსიქიკა ერთგვარი მოძრავი (დროშიც, სივრცეშიც) ლაბორატორიაა, რომელიც თავისი ექსპერიმენტების – განსაკუთრებული შემთხვევების ჩანაწერებს აკეთებს და შთამომავლობას გადასცემს.

***

დღეს, აზროვნება განზრახ დაქუცმაცებულია და ნასაზრდოებია არაარსებითი საგნებით და მოვლენებით; იგი არ ვითარდება ისე, როგორც უნდა ვითარდებოდეს. მბრძანებელი ვნებები ადამიანს „ტვინის წინა საკანში“ უზის და მოსვენებას არ აძლევს... ყოველგვარი ფანტაზია და წარმოსახვა ამ ვნებებითაა პირობადებული. ამის გამო „ჭეშმარიტი“ აზროვნება ჩაკეტილ სისტემაში იმყოფება...

***

ამბიციები ადამიანის შესაძლებლობებს ვერასოდეს ამოწურავს...

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

ევოლუცირებისკენ, ჰარმონიზირებისკენ, ტრანსის მდგომარეობაში მოხვედრისკენ სვლის პროცესი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-10 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22-44-ში

ევოლუცია; მეცნიერება; სარწმუნოება; კულტურა; ცივილიზაცია და ჰარმონია

ამ განყოფილებაში შესაძლებელი გახდება თვალნათლივ დანახვა უპირობო და პირობითი რეფლექსების ბუნებისა მატერიალური სამყაროს თვალთახედვით, რაც ავტომატურად დაანახვებს მათი მოცილების გზას ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაში. ეს კი, არც მეტი არც ნაკლები, კარმის, სულიერი ჭუჭყის, სიბინძურის მოცილებას ნიშნავს.

იმისათვის, რომ ზემოთჩამოთვლილ ცნებებში გარკვევა მოხდეს, მათი არსის შეცნობის გაადვილებისათვის პირველ საფეხურად მათ დაჯგუფებას მოვახდენ. დავყოფ მათ ორ ჯგუფად, კერძოდ: უფრო აბსტრაქტულ, იმპერსონალისტურ და უფრო კონკრეტულ, პერსონალისტურ ნაწილებად.

იმპერსონალისტური ჯგუფის წამომადგენლები გახლავთ:

ა) ევოლუცია, ბ) ჰარმონია და გ) მეცნიერება (შემეცნება)

პერსონალისტური ჯგუფის წარმომადგენლები გახლავთ:

ა) ცივილიზაცია ბ) ტრანსცენდენცია და გ) კულტურა.

ფილოსოფიური თვალთახედვითაც და ფსიქოლოგიური თვალთახედვითაც მათ როგორც საერთო, ისე განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ, მე მხოლოდ საერთო თვალთახედვით ვიხელმძღვანელებ, რამეთუ განსხვავებული თვალთახედვით თითქმის მთელი დანარჩენი მატერიალური სამყარო ხელმძღვანელობს და ამას, საბოლოო ჯამში, რომელიმე მხარეს მიკერძოებით სუბიექტივიზმისკენ მიჰყავს ხოლმე მოძღვრებათა მიმდევრები. იმპერსონალისტური ნაწილის წარმოჩინების უფლებას მე მივანიჭებდი ფილოსოფიას, ხოლო პერსონალისტური ნაწილის მიმართ მასვე დავაკისრებდი მოვალეობას. ამგვარად, მისი მოღვაწეობის პრიორიტეტული მიმართულება იქნება იმპერსონალისტურ ნაწილში მოღვაწეობა უცილობლად და განუხრელად პერსონალისტური ნაწილის რეალობის გათვალისწინებით.

ხოლო ფსიქოლოგიას, პირიქით, პერსონალისტური ნაწილის მიმართ მივანიჭებდი უფლებას, ხოლო ინპერსონალისტური ნაწილის მიმართ მოვალეობას, რითაც მისი მოღვაწეობის პრიორიტეტული მიმართულება იქნება პერსონალისტურ ნაწილში მოღვაწეობა უპირობოდ და განუხრელად იმპერსონალისტური ნაწილის მოთხოვნების გათვალისწინებით.

თუ ყოველივეს სინქრონიზაციას მოვახდენთ, მიიღება:

ევოლუცია — ორიენტაციის საჭირო და სასურველი ფასეული მამართულება;

ცივილიზაცია — ადაპტაციის შედეგად მიღებული ფორმაციული ცნობიერება;

ჰარმონია — ინერციით მოქმედებისას სასურველი გამოვლინების რაობა;

სარწმუნოება, ტრანსცენდენცია — იმპროვიზაციული ინტერპრეტაციისას სასურველი ცნობიერი ფასეულობის საზღვრებში თვითგამოვლინება;

მეცნიერება — ბუნებრივი სვლის პროცესის მიერ დამკვიდრებული განვითარების სიჩქარეზე უფრო სწრაფი სვლის მცდელობა, რომელიც შეიძლება მიდრეკილი იყოს როგორც საკუთარი ინდივიდუალური სულის ანუ სულიერი ცოდნის მატების კუთხით, ისევე საკუთარი ინდივიდუალუ-

რი სხეულის ანუ მატერიალური ცოდნის მატების კუთხით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ აქ არის პირობითი რეფლექსების არსებული რეალური რაობის განყოფილება;

კულტურა — ბუნებრივი სვლის პროცესში ამ სვლის არათანხვედრილი სვლის შედეგად წარმოქმნილი, მიღებული რეალობის გაიდეალიზების მცდელობა, მისი ერთადერთ აბსოლუტურ რეალურ ჭეშმარიტებად გამოცხადებით. იგი შეიძლება მიდრეკილი იყოს როგორც საკუთარი ინდივიდუალური სულის ანუ სულიერი ცოდნის სრულყოფილად გამოცხადებისკენ (ე. ი. ძიებაზე უარის თქმისკენ) ასევე ინდივიდუალური სხეულის ანუ მატერიალური ცოდნის სრულყოფილად გამოცხადებისკენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ აქ არის უპირობო რეფლექსების არსებულობის რეალური რაობის განყოფილება მთელი სიგრძე-სიგანით.

უდაოდ ღირს მეცნიერებისა და კულტურის ცნებების უფრო დაწვრილებით განხილვა, რამეთუ მათში აშკარად გაორების ტენდენცია იგრძნობა. ზოგად აღქმაში კი მათ შემდეგნაირად შევაფასებდი:

<u>მეცნიერება</u> ცალსახად ძიებისკენ მიდრეკილებას ნიშნავს. ეს ის სუბსტანცია გახლავთ, რომელიც მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება და ყოველთვის რაიმე ახალზე კონცენტრირებისკენ არის მიმართული. ის განუწყვეტლივ რაიმეს პოვნას ცდილობს, რაღაცნაირად მუდმივად მომავალში გადავარდნილობის შეგრძნებას ტოვებს და აწმყოს აშკარად არ სწყალობს, ყოველ შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლება ითქვას, იმდენად არ აფასებს მას, როგორსაც აწმყო იმსახურებს.

<u>კულტურა</u> კი ცალსახად არაფრის შეცვლისკენ, შენარჩუნებისკენ, ყველაფრის ისეთად დატოვებისკენ მიდრეკილებას ნიშნავს, როგორიც წარსულში იყო. დიახ, ის რაღაცნაირ ტიპად მუდმივად წარსულში ყოფნის შეგრძნებას ტოვებს და აწმყოს არც ის სწყალობს. მას განუწყვეტლივ იმის შიში აქვს, რომ ნებისმიერი წამი, რომელიც ჯერ არ დამდგარა, რაიმე ახლის შემომტანი არ გახდეს და უკვე დამკვიდრებული შეჩვეული გარემო არ გაართულოს, რაიმე უჩვეულო, ჯერ არ ნაცადი არ შემოიტანოს. დამყარებული წესრიგი, სტაბილური განრიგი არ გაარღვიოს. ჩემს აღქმაში კულტურა მძივს ჰგავს, რომლის ძაფზეც მძივის შემადგენელი უამრავი პატარა ნაწილი, მძივის მარცვლებია ასხმული და თითოეული ეს პატარა ნაწილაკი (მარცვალი) გარკვეული სახის კულტს, ხელშეუხებელ, გაიდეალიზირებულ კერპს შეესაბამება, ხოლო ძაფი, რომელზეც ეს კულტებია ასხმული, ჩაკეტილ წრეს, დამკვიდრებულ ცხოვრების სტილს, გათვლილ, გაანგარიშებულ წესრიგს ასახავს.

მეცნიერება ცალსახად შეიძლება იწოდოს პრაგმატიზმის გამოვლინებად, ხოლო კულტურა კი, თავის მხრივ აშკარად ფანატიზმის გამოვლინებაა.

შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მეცნიერება და პრაგმატიზმი ის განყოფილებაა, სადაც ამბიციები ბუდობენ. ხოლო კულტურა და ფანატიზმი კი ის, სადაც ემოციები მძვინვარებენ. ამბიციების ჩასაქრობად და სარეგულირებლად მოვლენების ბუნებრივი ანუ საჭირო სვლის განმგებლის აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ პირობითი რეფლექსების შეყვანის მექანიზმია ჩადებული ინდივიდუალურ სულებში, რათა ამ რეფლექსებზე აქცენტირებით არასაჭირო კვლევების ჩანაცვლება მოხდეს. რაც შეეხება ემოციებს, მათ გადასალახად და უძრაობიდან გამოსაყვანად მოვლენების ბუნებრივი ანუ საჭირო სვლის განმგებლის აბსოლუტური ჭეშმარიტების გაპიროვნებული წარმომადგენლის მიერ უპირობო რეფლექსების მექანიზმია გამოყენებული, რათა ამ რეფლექსებზე აქცენტირებით გაუნძრევლობის, უძრაობის მცდელობის ჩანაცვლება მოხდეს. აი, ასეთი გახლავთ მატერიალური სამყაროს რეალური სინამდვილე ზეადამიანური გადასახედიდან.

მეცნიერება, როგორც მის პირვანდელ განმარტებაში იკითხება, ორ მიმართულებაზეა ორიენტირებული. ესენია: ა) საკუთარი ინდივიდუალური სულის ანუ სულიერი ცოდნის მატების ტენდენცია, რაც ფაქტიურად საკუთარი „მე“-ს უკეთესად შეცნობის განმარტებაა და ადამიანურ ენაზე შემეცნებად, „მე“-ს შეცნობის მცდელობად, განათლებად მოიაზრება. ბ) საკუთარი ინდივიდუალური სხეულის ან მატერიალური ცოდნის მატების ტენდენცია, რაც ფაქტიურად საკუთარი „ეგო“-ს უკეთესად შეცნობის განმარტებაა და ადამიანურ ენაზე იდეალისტურ მატერიალიზმად, გარემოს შეცნობის მცდელობად, განსწავლად მოიაზრება („ეგო“-ს ზუსტი თარგმნით თუ „უცხო“-დ ავიღებთ მაშინ გარემოს „ეგო“-დ მოაზრებით, ალბათ, საპროტესტო შეგრძნება გაბათილდება).

კულტურა, როგორც მის პირვანდელ განმარტებაში იკითხება, ისიც ორ განშტოებას იძლევა: ა) საკუთარი ინდივიდუალური სულის ანუ სულიერი ცოდნის კონსერვაციის ტენდენცია, რაც ფაქტიურად საკუთარი „მე“-ს სრულყოფილად მიჩნევის განმარტებაა და ადამიანურ ენაზე რელიგიად, ზოგადი ცნობიერების დოგმირების უზენაესობად მოიაზრება და ბ) საკუთარი ინდივიდუალური სხეულის ანუ მატერიალური ცოდნის კონსერვაციის ტენდენცია, რაც, ფაქტიურად, საკუთარი „ეგო“-ს ანუ გარემოს სრულყოფილად

მიჩნევის გამნარტებაა და ადამიანურ ენაზე ხელოვნებად, აზროვნების სპეკულაციად, არსებული მდგომარეობის პოზიტიურობის დემონსტრაციად მოიაზრება.

თუმც, არ შემიძლია არ შევეხო იმ მესამე განყოფილებას ამ ცნებისა, რომელიც რეალურად საჩინოდ ხდის ხოლმე ჩიხს მატერიალური სამყაროს ტენდენციალიზმისა და რომელშიც დღესდღეისობით იმყოფება დედამიწის მსოფლმხედველობა და დღესდღეისობით იგი დემოკრატიის სახელით არის ცნობილი. ეს გახლავთ მეცნიერების თვალთახედვით ყველანაირი ტიპის ძიებაზე უარის თქმა და ცალსახად, პირობითი რეფლექსებით, კარმული მოქმედებებით, სულიერი ჭუჭყის წახალისებით ხელმძღვანელობა, რაც, ფაქტიურად, ყველანაირ ძიებაზე უარის თქმის, ინდივიდუალური სულისთვის ნებისმიერ ფასად სიამოვნების მიღების განმარტებაა და ადამიანურ ენაზე პრიმიტივიზმად, უვიცობად, ინდიფერენტულობად (გულგრილობად, კომფორმიზმად), გარყვნილებად მოიაზრება, ხოლო კულტურის თვალთახედვით ყველანაირი ტიპის არსებული რეალობის ფაქტიურ სინამდვილესთან დაპირისპირება და ცალსახად უპირობო რეფლექსებით, კარმული შედეგებით, მატერიალური ჭუჭყის წახალისებით ხელმძღვენალობა, რაც ფაქტიურად, ობიექტური რეალობის უარყოფის, ინდივიდუალური სხეულის ნებისმიერ ფასად დაკმაყოფილების განმარტებაა და ადამიანურ ენაზე უზნეობად, უღმერთობად, გართობად მოიაზრება.

<u>მოდით, მთელი ეს ნაწერი მოკლე მონახაზით გავამარტივოთ.</u>

თვალნათელი შედარებისთვის მოვიყვან ამ ტიპის მონახაზში სულიერი სამყაროს, ე. წ. წყობის მაკეტსაც.

ვფიქრობ, ამ ჩამოყალიბებულ ცნობიერებაზე შესაძლო ხდება მატერიალურ სამყაროში მისიის აღსრულების გზაზე ვიმსჯელო. ფაქტიურად, ეს იქნება მეცნიერების (თუნდაც როგორც ფილოსოფიური ანუ მამაკაცური საწყისის) თანამშრომლობის სურვილი და მცდელობა კულტურასთან (როგორც ფსიქოლოგიურ ანუ ქალურ საწყისთან). ყოველ შემთხვევაში, ჩემი შეხედულებით და ღრმა რწმენით, ასეთი თანამშრომლობის გარეშე მატერიალურ სამყაროში ადამიანების მხრიდან ე. წ. მისიის ანუ სასურველად საჭიროს ქმნა ფაქტიურად შეუძლებელია. ცალსახად რეფლექსურ დონეზე დასული ადამიანები კი, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, ადამიანების ღირსებას ანუ ადამიანად წოდების უფლებას კარგავენ და ცხოველებად გარდაიქმნებიან ფაქტიურად იმავე ცხოვრებაში, თუმც, გარეგნულად ორ ფეხზე დადიან და განსხვავდებიან ოთხფეხა არსებებისაგან. ეს ყველაზე უარესი შედეგების შესახებ. ახლა კი მოდით, ყველაზე უკეთესი შედეგების შესახებ. როგორ უნდა მოხდეს ეს თანამშრომლობა, რომ სისტემატურად იყოს აწყობილი, როგორც მუდმივობის ძრავა ისე, რომ ამაზე კონცენტრირებამ უმნიშვნელო ენერგია დაწვას ან დროთა განმავლობაში ისე გაჯდეს „ძვალ-რბილში“, რომ საერთოდაც არ დასჭირდეს არავითარი შინაგანი ენერგიის ძალისხმევა თვითონ კონტროლირდებოდეს და კორექტირდებოდეს სტრატეგიული თვალსაზრისით. უდავოდ, ძალიან რთულად, ალბათ შეუძლებლადაც კი ჩანს ამის გაკეთება, მაგრამ, დამერწმუნეთ, რომ ეს მართლა შესაძლებელია.

ამგზიცია-ემოციათა სამეფო			
მამაკაცური საწყისი მეცნიერება	ორიენტაცია შემეცნება განათლება „მე“-ს შეცნობა	ინერცია გარემოს შეცნობა განსწავლა „ეგო“-ს შეცნობა	უძრაობა, კონსერვაცია ძიებაზე უარის თქმა; გარყვნილება, პირობითი რეფლექსები, სულიერი ნეგატიურობა
ქალური საწყისი კულტურა	ადაპტაცია რელიგია. სულიერი პოზიტიურობა	იმპროვიზაცია ხელოვნება მატერიალური პოზიტიურობა	პროვოკაცია უძრაობასთან დაპირისპირება; გართობა მატერიალური ნეგატიურობა უპირობო რეფლექსები
	სათნოების მოდუსი	ვნების მოდუსი	უგუნურების უმეცრების მოდუსი
მატერიალური სამყარო			

გრძნობათა სამეფო			
ფილოსოფია მამაკაცური საწყისი	**ორიენტაცია** ევოლუციერება მამა ღმერთის განყოფილება ტრანსცენდენცია	**ინერცია** ჰარმონიზირება ღვთის ძის განყოფილება ცივილიზაცია	**მეცნიერება** სულიერება
ფსიქოლოგია ქალური საწყისი	**ადაპტაცია** ცივილიზირება დედა ღმერთის განყოფილება ევოლუცია	**იმპროვიზაცია** სარწმუნო(ვნ)ება ტრანსცენდენცია ღვთის ასულის განყოფილება ჰარმონია	**კულტურა** მატერიალურობა
სულიერი სამყარო			

პირველ რიგში ნებისმიერმა ადამიანმა უნდა აღიქვას ის, რომ იგი მამაკაცური და ქალური საწყისების მატარებელია თავის არსობრივ „მე“-ში. უბრალოდ ერთი საწყისი მეორეზე მეტი როდესაცაა, ამით მისი სქესი განისაზღვრება და არ ნიშნავს იმას, რომ მამაკაცს ქალური საწყისი არ გააჩნია და ქალს მამაკაცური საწყისი არა აქვს. თუ ამის აღქმამდე მართლა მივა ნებისმიერი ადამიანი, მაშინ რეალურად საკუთარ „მე“-ში წვდომის სიღრმისეული ხარისხი მკვეთრად გაიზრდება, ის უფრო ლოიალური, ეთიკური ბუნების გახდება და მომხმარებლური კუთხით მიდგომა თანდათან შემცირდება, რაც ავტომატურად უპირობო და

პირობითი რეფლექსების სერიოზულად შემცირების გარანტი გახდება. აი, უკვე ამის შემდეგ საჭიროა ამ ორი საწყისისა და მათი თანკვეთილი ნაწილის ანალიზი და სწორედ ამის საფუძველზე აიწყობა ე. წ. მუდმივობის ძრავის მექანიზმი. ეს ანალიზი იქნება საუკეთესო და სასურველი პოზიტიურის ჩამონათვალზე აწყობილი, რაც საწყისებში ძევს.

მამაკაცური საწყისის მოკლე ანალიზი

იმპერსონალისტური ანუ გარემოსთან მიმართებაში მიდგომა

გრძნობა

1) გარემოში ჩაღრმავების უნარი.
პერსონალისტური ანუ საკუთარ „მე“-სთან მიმართებაში მიდგომა.
2) გარემოს შეგრძნების უნარი.
გაუცხოვების აღმოფხვრის ანუ გარემოს „მე“-დ გადაქცევის უნარი.

ქალური საწყისის მოკლე ანალიზი

იმპერსონალისტური ანუ გარემოსთან მიმართებაში მიდგომა

გონება

3) გარემოს ისეთად მიღების უნარი, როგორიც ის არის.
პერსონალისტური ანუ საკუთარ „მე“-სთან მიმართებაში მიდგომა.
4) გარემოს მოსმენის უნარი. გარემოსთან გაზიარების უნარი.

მამაკაცური და ქალური საწყისების თანკვეთილი ნაწილის ანალიზი

იმპერსონალისტური ანუ გარემოსთან მიმართებაში მიდგომა

ჭკუა

5) გარემოს კონტროლზე უარის თქმის უნარი.
პერსონალისტური ანუ საკუთარ „მე“-სთან მიმართებაში მიდგომა.
6) საკუთარი „მე“-ს კონტროლის, ფლობის, მართვის უნარი.

აი, ასე გამოიყურება სისტემა, რომელიც მუდმივად სრულყოფილებისკენ ატარებს ადამიანს, ვიდრე ის მატერიალურ სამყაროში იარსებებს.



გაგრძელება შემდეგ ნომერში

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38-39-40-41-44-ში

ბრალის სახეები და ფორმები
(სისტემატიზირებული)

კულტივირებული ბრალი

დ) სისხლის აღების ტრადიცია და ბრალი

სისხლის აღება არის, გარკვეული ეთნოსის მიერ, შურისძიების – სამაგიეროს მიზღვევის მიზნით აღძრული კულტივირებული ბრალი. ვერ ვიტყვით, სისხლის აღების ტრადიცია სამართლიანობაზე იყო თუ არა დაფუძნებული, მაგრამ თვლადობა-ანგარიშზე ნამდვილად იყო ფოკუსირებული. აქ მოქმედებდა პრინციპი კაცი – კაცის წილ. მოგვიანებით, კლასობრივ საზოგადოებაში სისხლის აღებას შეენაცვლა კომპოზიციის წესი, რაც „დამნაშავის“ მხრიდან გარკვეულ მატერიალურ ანაზღაურებაში გამოიხატებოდა. ამ ბრალის განხილვისას ჩვენ გვაინტერესებს მოტივები და შინაარსები უფრო, ვიდრე თვლადობა.

სისხლის აღებით, შურისძიების ბრალში უამრავი ქვეგანწყობა შეიძლება მოვიძიოთ. ამ განწყობილებებს აუცილებლად მივყავართ კმაყოფილების განცდასთან რევანშის გზით, რითაც შურისმაძიებელი გარკვეულ სიმშვიდეს პოულობდა. ადამიანმა, ბიოლოგიური არსიდან და მისი ვნებითი ფანტაზიებიდან გამომდინარე, არათუ მტრის, უდანაშაულო ადამიანების გასანადგურებლად მრავალი ამაზრზენი ფორმა-საშუალება გამოიგონა და რა გასაკვირია, მოწინააღმდეგე მტრის მიმართ ბრალის ისეთი ფორმა მოეძებნა, როგორიც სისხლის აღება იყო. მტრის დასასჯელად, კიდევ უფრო საშინელი ბრალის ფორმები ამჟამადაც არსებობს. აფრიკის ზოგიერთი ტომები შურისძიების მიზნით, მტრულად განწყობილი ტომის ადამიანებს ჭამენ. ეს „სისხლის აღების“ ერთგვარი რიტუალია მათთვის. თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ბრალის ამ ფორმაში კვების ინსტინქტი მონაწილეობს. ამ ინსტინქტიდან ნაწარმოები კმაყოფილებითი წარმოსახვები შეჯვარებულია ზოგადი კმაყოფილების, თუნდაც, რევანშით აღძრულ, წარმოსახვებთან... მათთვის ეს ტრადიცია ორმაგად სარგებლიანია – კვებითი მოთხოვნილებებისა და რევანშისტული განწყობლებების დასაკმაყოფილებლად(ეს თემა ასახვის თეორიაშიც მაქვს განხილული).

ე) „შენ, არათუ, ჩემზე უკეთესი – ჩემზე უარესიც ხარ“ – ბრალი

არის ცნობილი კინოფილმი, რომლის სიუჟეტი ასეთია: პრესტიჟული რესტორნის დარბაზი სავსეა ხალხით. ერთ-ერთი მაგიდიდან დგება ყმაწვილი და ყურადღების მისაქცე-

ვად იატაკზე მოისროლის შამპანურის ფუჟერს. ხალხი ხმაურს და საუბარს წყვეტს. ყმაწვილი ამის შემდეგ იწყებს გამოთქმით ლექსის წაკითხვას. დარბაზი მოწონებას გამოხატავს, – ჩანს კმაყოფილი სახეები. ლექსის დასრულებისას ისმის ტაში და ოვაციები... ოვაციების დასრულების შემდეგ, ყმაწვილი დარბაზს მიმართავს: ვინც გამოიცნობს, თუ ვინ არის ლექსის ავტორი, მიიღებს ჯილდოს. ყმაწვილი დგას და ელოდება პასუხს. თუმცა, ლექსი საკმაოდ ცნობილია, დარბაზი დუმს... ბოლოს, დარბაზის ერთი კუთხიდან, სადაც ახალგაზრდები სხედან, წამოდგება გოგონა, რომელიც დაასახელებს ავტორს. ყოჩაღ! – შესძახებს ყმაწვილი, თქვენ გამოიცანით, ვინ არის ლექსის ავტორი და დაიმსახურეთ ჯილდო!.. და დარჩებით ადგილზე უვნებლად... მოულოდნელად, ორატორის მაგიდის წევრები წამოდგებიან ხელში იარაღებით. ორატორი აგრძელებს: თქვენ, რომლებიც ჭამთ, სვამთ, ერთობით, იღებთ ყოველგვარ სიკეთეს და სიამოვნებას ცხოვრებისაგან, არ გადარდებთ გაჭირვებულები, არ გაინტერესებთ ხელოვნება – პოეზია და სხვა, ამისათვის დაისჯებით!.. არ გაინძრეთ, დარჩით ადგილზე, არ გაბედოთ დარბაზის დატოვება. ამოალაგეთ ჯიბეებიდან თუ რამ ფული გაქვთ, მოიხსენით სამკაულები და დაალაგეთ მაგიდაზე!... მოქეიფეები საფულეებიდან იღებენ ფულს, იხსნიან სამკაულებს და ალაგებენ მაგიდაზე. მძარცველები აგროვებენ ფულს და ოქროულს და სწრაფად უჩინარდებიან რესტორნიდან.

დაყაჩაღება სარკაზმით? რომელშიც „თითქოს“ მორალია გარეული. სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ ამ მოვლენას. ყველაზე საინტერესოა, რომ ამ ბრალით დამყაჩაღებელი გამართლებას, სტიმულს და კმაყოფილებას პოულობს...

90-იან წლებში აღწერილია, მთელი რიგი შემთხვევები, როცა კრიმინალები წინასწარ მიდიოდნენ ბიზნესმენებთან და ითხოვდნენ ფულს დახმარების სახით, და თუ არ მიიღებდნენ, ქურდავდნენ, აყაჩაღებდნენ ან იტაცებდნენ გამოსასყიდის მიღების მიზნით (ამ ბრალს თან ახლდა სარკაზმი, სადიზმი – დასჯა და წამება...). ამ ბრალით მოქმედებდა ბევრი ხელისუფალი, როგორც წარსულ, ასევე უახლოეს ისტორიაში... წარსულში ბევრი იმპერია, სახელმწიფოები, ასევე, კრიმინალური დაჯგუფებები, მაფიოზები იყენებდნენ ამ მეთოდს. ეკონომიური კრიზისების, ომების, შიმშილის დროს სახელმწიფო ფულს იღებდა მდიდრებისგან. არათუ ართმევდნენ, არამედ წვავდნენ, ხოცავდნენ, ანადგურებდნენ მათ ოჯახებს. ასევე იქცეოდნენ მაფიოზური დაჯგუფებებიც, რომლებიც ხოცავდნენ მოწინააღმდეგე დაჯგუფების მამრობით შთამომავლობას, რათა თავიდან აეცილებინათ შესაძლო რევანში... (ამ ხერხს მრავალჯერ მიმართეს რომის იმპერიაში კეისრებმა).

მოგონილი ბრალდებებით სააკაშვილის ხელისუფლება აყაჩაღებდა და აშანტაჟებდა ბიზნესმენებს, ართმევდა სახლებს, პრივატიზირებულ ქონებებს. წინააღმდეგობის გაწევისთვის ან არასასურველი ჩვენების მიცემისათვის აწამებდა და ასახიჩრებდა ხალხს, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, – სწორედაც, ცინიზმით. აგროვებდა კომპრომატებს, რის შედეგადაც „ავერბოვკებდა“ უახლოეს გარემოცვის წევრებსაც. „დავერბოვკებულთ“ აწინაურებდა თანამდებობებზე; ამ ნიშნით ირჩევდა თანაპარტიელებს, თანამზრახველებს და აყენებდა თავის სამსახურში... (აღსანიშნავია, რომ ეს ბრალი, „თითქოსდა,“ უწყინარი ფორმით ცირკულირებს საზოგადოების წევრებს შორის: ოჯახში, ბიზნესში, პოლიტიკაში, ორგანიზაციებში და ყოველგვარ ურთიერთობაში...).

შეუბრალებლად, სისასტიკით, ცინიკურად, ნიშნისმოგებით ადამიანების ხოცვა და განადგურება... საოცარია და, მართლაც, ძნელი ასახსნელია. ადამიანის სისასტიკეს, ავაზაკობას, ქურდობას, ყაჩაღობას, ხოცვა-ჟლეტას სჭირდებოდა ეს ბრალი, – ვიღაცის ან რაღაცის, უფრო დიდის და კანონზომიერის წინაშე თავის სამართლებლად?.. საინტერესოა,

ამ ბრალის ქვეშინაარსების გაანალიზება. ცხადია, ამ ბრალში დამნაშავის მიერ, ქვეცნობიერად, ხდება ვიღაცის წინაშე თავის მართლების სქემის აგება (და ეს შეიძლება იყოს ღმერთი?..)... მიიღებს თუ არა „ასეთ სიმართლეს“ ღმერთი, თუ ეს ყველაფერი არის რაღაც, კანონზიმიერებითი „დაშვებულობა“ – უფრო დიდი სამსჯავრო?.. თუმცა, ეს ფენომენი იყო და იარსებებს კაცობრიობის არსებობის ყველა პერიოდში, რადგან ადამიანი დასაბამიდან გაჟღენთილია ამ ბრალით...

ვ) ტერორიზმის ბრალი

აქ მოკლედ შევეხებით კაცობრიობის დღევანდელ სენს – ტერორიზმს და ბრალს, რომელმაც ის წარმოშვა. ადამიანთა მასების გაჟლეტის ჟინი და ბრალი კაცობრიობის ხსოვნაში მრავლადაა შემონახული. ვერ ვიტყვით, რომ ტერორიზმი მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდების, სახელმწიფო ან სხვა ინსტიტუტებზე ზემოქმედების, მასებში შიშის დანერგვის ან რაიმე პროცესების სასურველი მიმართულებით შეცვლის მცდელობაა. ის განსაკუთრებული ფენომენი – ბრალია, მასში მრავალი ელემენტია გამოსაყოფი და შესასწავლი. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ტერორიზმის შესახებ ადამიანებმა ილუზია არ უნდა მოიხვიონ თავზე; როდესაც მსჯელობენ მის წარმომშობ მიზეზებზე და, ზოგადად, მის ფენომენზე, უნდა გავითვალისწინოთ, ვინ განმარტავს მას – სუსტი, უუფლებო თუ ძლიერი. მიმაჩნია, რომ ტერორიზმის ფენომენი არასწორადაა ახსნილი, ხოლო მისი შედეგები სრულიად შეუფასებელია. იმედია, დადგება დრო, კაცობრიობისადმი მიყენებული ზიანისა და მასშტაბების მიხედვით, სწორი შეფასება მიეცემა მას და თავ-თავისი სახელი დაერქმევა ავანტიურისტთა ჯგუფების, სახელმწიფოების, სახელმწოფო ლიდერების, ასევე პიროვნებების მიერ სხვადასხვა დროს ჩადენილ დანაშაულს, რამაც საფრთხე შეუქმნა არა მარტო ადამიანთა ჯგუფებს ან სახელმწიფოებს, არამედ, საფრთხეში ჩააყენა ზოგადად, „სიცოცხლე“ დედამიწაზე.

ადამიანი, დღიდან მისი არსებობისა, ხვეწდა ძალადობის მეთოდებს. ის ყოველთვის მიმართავდა დაშინებას და ტერორს იმ საშუალებებით, რაც მას გააჩნდა. ტერორიზმის ბრალს ვერ მივაწერთ მხოლოდ ჩაგრულების და უუფლებოების ბრალს, ამბოხს და ექსტრემს, როგორც ამას განმარტავენ ოფიციალური წრეები. როგორც ჩანს, იგი, როგორც სამართავ-სამანიპულაციო, მაიდეოლოგიზირებელი, ზეგავლენის მომხდენი მანქანა, სხვადასხვა მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნა, როგორც ავანტიურისტ დაჯგუფებათა, ასევე ძლიერ სახელმწიფოთა მიერ... ტერორიზმი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც იარაღი და ამის შემდეგ დავაყენოთ საკითხი, თუ ვინ იყენებს მას – სახელმწიფო მანქანა, ავანტიურისტი ლიდერები თუ ე. წ. დაჩაგრულები და უუფლებოები. ერთი მხრივ, ტერორიზმი ეს არის სახელმწიფოთა, ასევე სახელმწიფო ლიდერთა მიერ განხორციელებული დანაშაული და ბრალი, რომელიც სახეზეა... მეორეს მხრივ, შეგვიძლია ვთქვათ, დღევანდელი ადამიანის აზროვნების და განწყობილების ღრმა შინაარსებიდან გამომდინარე, ტერორიზმი ძლიერ სახელმწიფოთა და მათ ავანტიურისტ ლიდერთა მიერ განხორციელებული, ადამიანის მეხსიერებაში ახლო წარსულიდან ჩანერგილი და შემონახული შიშისა და ტერორის ნიადაგზე აღმოცენებული, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის, მშვიდობის, სიცოცხლის, რელიგიური აღმსარებლობის და ა. შ. შეზღუდვის წინააღმდეგ მიმართული გლობალური შინაარსის შემცველი უკუბრალია...

არავინ იცის, ბრალითი ფანტაზიის წყალობით ძლიერ სახელმწიფოთა ან, თუნდაც, სუსტების და დაჩაგრულებისა მიზნებში როგორ აისახება და რა სახეს მიიღებს ტერორიზმი მომავალში. სავარაუდოა, რომ მის „შესაძლებლობებს“ მთლიანად ამოწურავს „ბოროტებისადმი მიდრეკილი“ ადამიანი. დასანანია, ძალადობის კიდევ ერთი ბრალი და მისგან ნაშობი ტერორიზმი დამოკლეს მახვილივით რომ ჰკიდია მშვიდობიანი ადამიანების თავზე.

ზ) კამიკაძეთა ბრალი

მართალია, თითოეული კამიკაძის ბრალს აქვს თავისი მიზეზი და მოტივი, მაგრამ მისი დახასიათებისას ყოველთვის თვალწინ წარმოგვიდგება იდეოლოგიური მანქანა, რომელიც აგროვებს განსაკუთრებული ფსიქოტიპის ადამიანებს, რომლებსაც ამუშავებს თავის სასარგებლოდ. აქ თავს იყრის ცხოვრების საზრისგამოცლილი, სტრესებში, შიშში, დამცირებაში გამოვლილი და ა. შ. სხვადასხვა ბრალით შეპყრობილი ადამიანები. ბევრ მათგანს თვალწინ ამოუწყვიტეს შვილები, ოჯახის წევრები, ახლობლები; არც გასაკვირია, გაბოროტებულნი, უმოქმედობასა და უუნარობაში რომ სდებენ ბრალს მსოფლიოს. ისინი, ბევრჯერ, სტიქიურად ერთვებიან და ექცევიან დამახინჯებული იდეოლოგიის მარყუჟებში. იდეოლოგიურ მანქანას აქვს მრავალი მეთოდი თავის რიგებში კამიკაძეთა მოსაზიდად და დასარაზმავად. ის თავისი მანქანის ამუშავებას ვერ შეძლებდა განსაკუთრებულ დასაყრდენს რომ არ პოულობდეს ადამიანების ხასიათში. საუბედუროდ, ის ყოველთვის პოულობს ნოყიერ ნიადაგს თავისი იდეოლოგიის შესაბამისი უნარების გამოსამუშავებლად.

კამიკაძეთა ბრალში მუშაობს როგორც შურისძიების ბრალი, ასევე რელიგიური ფანატიზმი და სხვა მოტივები. თვითმკვლელობის შთაგონება ადამიანის ძირითად საბაზისო ემოციურ-რელიგიურ გრძნობებზე მანიპულირების გზით, ტერორისტული ორგანიზაციების კარგად დამუშავებული და ნაცადი ხერხია.

მაინც რა არის კამიკაძეთა თავგანწირვის და ტერორისტული ორგანიზაციების დღევანდელი მიზანი? სავარაუდოდ, ტერორისტული ორგანიზაციის მამამთავრები უახლოესი წარსულის ტრაგიკული გამოცდილების ფონზე, სამშობლოს, ოჯახის, ახლობლების დაკარგვის განცდებთან რელიგიური გრძნობების შერწყმა-შეკავშირებას და ჰიბრიდიზაციას ახდენენ; ამ „ჰიბრიდული პროდუქტის“ ადამიანებზე ზემოქმედებით კი კამიკაძეთა რაზმებს ჩეკავენ, რითაც მტრის ხატის, მიუღებელი წესრიგის და იდეოლოგიის სტანდარტ-ტროპოსების – ძლიერ სახელმწიფოთა უძლეველობის სახე-მითების დარღვევას ცდილობენ...

ისტორია

კლარა გელაშვილი
მწერალი. მწერალთა კავშირის წევრი;
დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის
ფონდების მცველი.

ჩვენ გვახსოვს წარსული....

ტაშისკრობა 2022

2022 წლის 27 ივნისი. 413 წლის წინ, ამ დღეს, ქართველებმა ყირიმელი თათრებისა და ოსმალებისგან შემდგარ ურიცხვ ლაშქარზე გაიმარჯვეს. ბრძოლა ქვიშხეთში, ნახვეტარას ველზე მოხდა. გამარჯვების აღსანიშნავი ნადიმი კი სოფელ ტაშისკარში, ტაშის გრიალში გაუმართავს ძლევამოსილ სარდალს, გიორგი სააკაძეს. სწორედ ამიტომაა, რომ ეს ბრძოლა, ტაშისკრის ბრძოლის სახელით შევიდა ისტორიაში.

ეს ფაქტი კიდევ ერთი ღირსაღსანიშნავი მოვლენაა, რომელიც ქვიშხეთის ისტორიას ავსებს და ალამაზებს. ამ ბრძოლის შესახებ და კონკრეტულად გიორგი სააკაძეზე, არაერთ საუკუნეში და არაერთი მკვლევარი და ისტორიკოსი იკვლევდა, წერდა და ბჭობდა...მათ შორისაა ჩვენი თანამედროვე, ტაშისკარში გაზრდილი პროფესორი, გურამ ყორანაშვილი; მან სერიოზული ნაშრომი უძღვნა სააკაძის ფენომენს. იგი იყო პირველი, ვინც ეცადა (ყოველ ამ დღეს სპეციალურად ჩამოდიოდა მეგობრებთან ერთად), ტაშისკარში საყოველთაო ზეიმად დამკვიდრებულიყო 27 ივნისი.

და, აი, ხაშურ-სურამის ეპარქიის მეუფის კურთხევით, ეს დღე, როგორც სახალხო დღესასწაული, ყოველწლიურად აღინიშნება ხაშურის რაიონში.

იმ ადგილზე, სადაც, გადმოცემის მიხედვით, გამარჯვებულმა ქართველებმა შეისვენეს და ნადიმი გამართეს, დღესაც დგას უზარმაზარი წაბლის ხე წარწერით. ამ ეზოშივეა ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაც. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში და მომდევნო წლებშიც, აქ, ამ ტერიტორიაზე სიცოცხლე ჩქეფდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ მყოფი ბავშვების თვალებში სიხარულის ნაპერწკალი რომ გაგეჩინა, ორმაგად უნდა გარჯილიყავი, მაინც ყველაფერი კარგად კი არა, არაჩვეულებრივად მიდიოდა. სწორედ მშობლებმონატრებული ბავშვები მეტად აფასებდნენ აღმზრდელ-პედაგოგთა ზრუნვას და მათდამი გამოჩენილ სიყვარულს...თითქოს რაღაც სიმბოლურიც კი იყო ომგადატანილ ქართველთა მუხლმოყრის ადგილზე სულიერად ტრავმირებულ მოზარდთა სკოლა-ინტერნატის არსებობა...იმედის კოცონი...

2003 წელს, შემოდგომით, ტაშისკრის სკოლა-ინტერნატში პედაგოგის მისიით შევედი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორ ჩამოვჯექი იმ დიდი წაბლის ხის ქვეშ, გრძელ სკამზე პირჯვრის წერით: ღმერთო, ეს რა წალკოტში მომახვედრე-მეთქი!

რამდენიმე დღის შემდეგ ბიოლოგიის მასწავლებელმა, ქ-მა ნორა ჩაჩანიძემ უძველეს, დამზრალ წაბლის ხესთან მიმიყვანა და მითხრა: აი, ესაა ის წაბლი, სადაც სააკაძემ ნადიმი გამართა! ვის არ ვთხოვე, რამე დაეწერათ ამ ხეზე, მაგრამ ამაოდ... ახლა შენ გთხოვ და ნუ გამაწბილებო...რამდენიმე ხანს ხესთან დავყავი; თავწაკვეთილი მხედარივით იდგა მცხოვანი ხე. არცერთი ტოტი და ფოთოლი აღარ შერჩენოდა საბრალოს! თვალი ავავლ-ჩავავლე და, ჰოი,

საოცრებავ! ერთ ადგილზე, ძირიდან, ლორთქი ყლორტები ამოეყარა!.. ამ ყლორტებმა მთელი საღამო მაფორიაქა...

მეორე დღეს ქ-ნ ნორას ფურცელი მივაწოდე და გაკვეთილზე შევედი. გაკვეთილების შემდეგ, სამასწავლებლოში, ყურადღება ითხოვა და ლექსი ხმამაღლა წაიკითხა:

დგას წილნაყარი უკვდავებასთან,
მერე როგორ ჰგავს გატანილ ლელოს!..
დამზრალ ფესვიდან ახალი ყლორტი
ზე აღმართულა, ვით საქართველო!

მერე წამიერად გაჩუმდა. თვალი მიმოატარა და ლექსის დაბადების ისტორია და ავტორი „გასცა“. -ათკუპლეტიანი ლექსიც კი ვერ იქნებოდა ასეთი ტევადიო, -გაბრწყინებული სახით მადლობა გადამიხადა და, მერე, ამ ერთი კუპლეტი ლექსის ისტორია დიდხანს, ძალიან დიდხანს „მოგზაურობდა“. იქამდე, ვიდრე ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის პრეზიდენტამდე, ქ-ნ გულნაზამდე არ მიაღწია და პაატა სააკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ წიგნში ბინა არ დაიდო!...

ქ-ნი გულნაზ ხარაიშვილი – პოეტი ქალბატონი; მოსარჩლე სულგაბზარული მოყვასისა. ნიკო ხერკილაძე-პროფესორი; მხატვარი; სააკაძის მკვლევარი... გელა ლარიაშვილი-პროფესორი; ხატმწერი... პოეტი ლამზირა შეყილაძე... ეს ადამიანები უკვე მეორედ სტუმრობდნენ ტაშისკარს.

ისინი ბედნიერი ღიმილით შემოდიან ისტორიულ ეზოში. წვიმა ცრის, მაგრამ განწყობის თეორია მუშაობს... ქვიშხეთამდე სწვდება მუსიკის ჰანგები. მთაწმინდის მთა ექოს აბრუნებს და ახლა ყველა მხრიდან ისმის: „დაუკარით რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს!..“ გული ცეცხლივით ინთება და მზად ხარ, თავდაუზოგავად შეეჭიდო უჩინარ მტერს; ჩაეხუტო მოყვასს; იცეკვო, იმღერო და ხმამაღლა იყვირო:

– სიცოცხლეს გაუმარჯოს! იმ აწმყოს-რომელმაც წარსულს უკვდავების წყალი აპკურა! ჩვენ გაგვიმარჯოს, -დაწერილ და დაუწერელ ფურცლებს, რომლებიც ეზოში შრიალებენ...

უამინდობა განწყობას ვერ ცვლის... ზეიმი ქვიშხეთის კულტურის სახლში გრძელდება. მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევა იმ დღეს მახსენებს, როცა მან, მეუფე იობისგან მძიმე და საპატიო ჯვრის გადაბარების დროს, სურამის კულტურის სახლში სიტყვა წარმოსთქვა. მონუსხულები ვისრუტავდი მისი სულისა და გულის ნაჟურს და მადლობას ვწირავდი უფალს ამ დიდი მადლისთვის.

გამომდინარე იქიდან, რომ „ტაშისკრობის“ ღონისძიებას უამრავი ბავშვი ესწრებოდა, სწორედ მათთვის, შემეცნებითი კუთხით, გიორგი სააკაძის დამსახურებაზე და ტაშისკრის ბრძოლის მნიშვნელობაზე ისაუბრა ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელმა, ისტორიკოსმა თამაზ ლაცაბიძემ.

სიტყვაში გამოსვლა ვთხოვეთ ხაშურის საკრებულოს წევრს, გულისხმიერ ქალბატონს, მაკა დიდებულიძეს, რომელმაც ყველა საქმის წარმატების საწინდრად სიყვარულის „რეცეპტი“ შემოგვთავაზა.

ღონისძიებაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი, სიმღერა, სიტყვა... აბა, ის რა ზეიმია, სადაც ქართული ხალხური სიმღერა არ მოგაჯადოვებს! იგი განსაკუთრებულ მისტიკურობასა და უნიკალურობას სძენს ზეიმს...ნამდვილად დიდ მადლობას იმსახურებენ ხაშურში მოღვაწე ხალხურ საკრავთა პედაგოგები: გიორგი ლომსაძე; გოგი შუბითიძე; ხათუნა კასრაძე (მათ დიდი დაფასება და გაფრთხილება სჭირდებათ). ცეკვის ქარ-ცეცხლი დაატრიალა ანსამბლმა „ფრესკამ“(ხელ. ელენე რატიანი). გაჟღერდა ხათუნა ჩიტაძისა და თქვენი მონა-მორჩილის ლექსები.

ზეიმის დასრულების შემდეგ დიმიტრი ყიფიანის დიდებულ სახლ-კარს ეწვივნენ სტუმრები. სხვაგვარად არც შეიძლებოდა! აქ ხომ მუდმივი სჯა-ბაასი აქვთ ცაცხვებს! მერე რაზე არ საუბრობენ, რას არ ჰყვებიან!....წმინდანის მადლით სულაღვსილნი წაბრძანდნენ ჩვენი მეგობრები და დაგვიტოვეს ის, რაც თვითონაც ჰქონდათ და ჩვენც დავახვედრეთ,-სიყვარულით გაძლიერებული იმედი!

დიდება გმირებს,-შორეულ წარსულში დავანებულთ; გუშინ რომ სამშობლოსთვის დაეცნენ და მათ, ვინც მზადაა, თავგანწირვამდე იღვაწოს და თავისი წილი აგური დადოს საუკუნეებგამოვლილ მყარ საძირკველზე!...

და, როგორც დედა ტერეზა იტყოდა: „გუშინდელი დღე წარსულია. ხვალინდელი დღე ჯერ არ არის დამდგარი. ჩვენ მხოლოდ გვაქვს დღევანდელი დღე. მოდით დავიწყოთ...“

გოჩა ჭელიძე

საიდუმლოებით მოცული ამბავი

1879 წლის 5 ივლისს გარდაიცვალა კნეინა ეკატერინე – ჩიჩი დადიშქელიანისა ანჩაბაძის ასული, რომელიც თავის სილამაზით ყმაწვილობის დროს და კარგის მიდრეკილობით სიკვდილამდე საპატიო ქალად იყო ცნობილი, როგორც სვანეთის ხალხში, აგრეთვე სხვა მის ნაცნობებშიაც. ეს იყო პატიოსანის ზნეობის, მღვთის მოყვარე და მდაბალ ხალხთა ბედის თანამგრძნობი; მისი გავლენა ამ მხრით თავის ქმარ თავად თენგიზ დადეშქელიანზედაც დიდი იყო. ამბობენ, რომ თენგიზს ჩიჩიმ ბევრჯერ მოაშლევინა უბედური შემთხვევა; როცა ცუდს რასმე განზრახვას შეამჩნევდა თავის ქმარში, ჩიჩი უმალ უმალავდა იარაღს, გატენილი თოფის მაგიერ ცარიელს შეატყუებდაო და სხვა.

ქალბატონი ჩიჩი გარდაიცვალა 5 ივლისს და დამარხეს 8 ივლისს. ამ დღისათვის სადადეშქელიანო სვანეთი: ბეჩო, ეცერი, ფარი და ჩვაბე ხევი შეკრებილი იყო და უკანასკნელი სალამი უთხრეს დედა ჩიჩის, როგორც მას ხალხი ეძახოდა. თავისუფალი სვანეთიდანაც ბევრი მოვიდა. ბეჩოს ჩინოვნიკობაც მოვიდა ამ დღეს თავად თენგიზ დადეშქელიანთან თავის გულისმტკივნეობის გამოსაცხადებლად. მიცვალებული ოდის დიდ ოთახში ესვენა, კუბო ხავერდით და სირმით შემკულ სკამებზე იდგა, რომლის ირგვლივ ქალები და კაცები ქუდ მოხდილნი და ძაძებში ჩაცმულნი ცხვირ-პირში და გულში იცემდნენ და ისე დასტიროდნენ მიცვალებულს. საათის თერთმეტზე მომტირალი ხალხი მოგროვილი იყო სახლის წინ; კუბოც ამ დროს გამოასვენეს სახლიდან, ქუდ მოხდილი ხალხი წინ და უკან გაჰყვა სასაფლაომდი. აქ, წირვის გამოსვლის შემდეგ სვანეთის სამღვდელოებამ წესი აუგო მიცვალებულს, რომლის დროსაც ხალხი მწკრივად ირგვლივ ედგა კუბოს. ამ დროს გამოიყვანეს ცხენი მოკაზმული ძვირფასი სამკაულით; ერთმა ხალხის წინ ჩამოატარა ეს ცხენი, რომელსაც სხვა ხალხიც ტირილით და ვაებით მისდევდნენ უკან. ხალხი თავში იცემდა და იძახოდა: იივაი! ვაი ბედს მიშგვააა! შემდეგ განსვენებული მიწას მიაბარეს და ხალხი დაიშალა. მიცვალებული დამარხეს მთავარ ანგელოსის ეკლესიის ეზოში ს. ფხოტრერს. მოსაფლავეების ამოთხრილ საფლავში ორი კუბო უნახავთ, ერთი ხის, რომელიც მის ქვემოთ მდებარე სპილენძის კუბოზე იდო. ხის კუბოში აბრეშუმის კაცის ტანისამოსი იყო. ტანისამოსის მიხედვით ჩანს, რომ იმაში დამარხული კაცი პატარა ტანის ყოფილა. პერანგი და მისი ამხანაგი მთლად შენახულა, ახალუხი კი დაცვეთილია; ნახეს ერთი რაღაც ოლარის მსგავსი, სიგრძით აღაბი, რომელიც კისერზე ჩამოსაკიდებელი უნდა ყოფილიყო, შუაში ოქრო მკერდით მოქსოვილია ჯვარი ზედ წარწერით, რომელიც ვერ გავარჩიეთ. რა უნდა ყოფილიყო ეს არ ვიცი. ამავე კუბოში ნახეს დურბინდი. სპილენძის კუბოში სამი კაცის ჩონჩხი იდვა – ერთი უფროსის და ორი პატარისა. ამ პატარების თავები უფროსის მკლავებზე ყოფილან დადებული. კუბოში იყო მოოქროული ვერცხლის კათხა ორი და ერთ მეოთხედი გოჯი სიმაღლით და ხუთი დიამეტრშისიგანით. ამ კათხას აწერია „თაგა“ და მერე „ი“, რომლის წინ ნიშანი ვერ გამოვიცანი. მესაფლავეები ამბობენ, ამის მეტი კუბოში არაფერი იყოო. კუბო სიგრძით საჟენია, სიმძიმით ორ ფუტზე მეტი. ეს კუბო დღეს სვანეთის ბლაღოჩინის ხელშია, როგორც ეკლესიის კუთვნილება. უეჭველია, რომ კუბო უძველესს დროებას ეკუთვნის. იმაში შესანიშნავი ვინმე უნდა ყოფილიყო დამარხული. მაგრამ ვინ? დადეშქელიანების გვარი ამ სოფელში ამის მეტად არავინ დამარხულა. დადეშქელიანების სამარხი სხვაგან არის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ დადიშქელიანები სვანეთში 500-600 წელი არიან. მაშასადამე, თუ აღნიშნულს მხედველობაში მივიღებთ, ეს უნდა იყოს ან დადეშქელიანების მოსვლამდე სვანეთის უძლიერესი გვარის რეჩგიანების წარმომადგენლის, ან სხვა ვინმე დიდებულის საფლავი. /დროება, 1879 წ. №204/.

ამ სტატიის წაკითხვისას გამიჩნდა ორი შეკითხვა:

1) სად არის საფლავის გათხრისას აღმოჩენილი ნივთები;

2) ვინ შეიძლება ყოფილიყო დამარხული საფლავის გათხრის ადგილზე.

პირველ შეკითხვაზე პასუხი ბუნდოვანია, მეორეც ბუნდოვანია, მაგრამ ისტორიულ წყაროებზე, დაყრდნობით შესაძლოა ვივარაუდოდ თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო დაკრძალული როგორც ხის, ასევე სპილენძის კუბოში:

როგორც ისტორიული წყაროებით არის ცნობილ მე-12 საუკუნეში ფხოტრერის ეკლესიაში მოღვაწეობდა გიორგი ხუცესი ბასილისძე. სამწუხაროდ ამ ეტაპზე გიორგი ხუცეს ბასილისძეს შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ გაგვაჩნია;

მე-13-14 საუკუნეში მოღვაწეობდა ფხოტრერის ეკლესიის მეკარე ივანე ქანცხლიანი. არც მის შესახებ არ გაგვაჩნია დამატებითი ინფორმაცია;

ფხოტრერის მთავარანგელოზთა ტაძარი

1357 იან წლებში ფხოტრერის დეკანოზის ხელით იოანე ქხცისიანისა შვილმა გრიგოლმა სვანეთში გამოაგზავნა ლაჰილის ოთხთავი. სამწუხაროდ დეკანოზის სახელი არ ჩანს. არ ჩანს, მაგრამ სწორედ მასზეა საუბარი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ: 1347-იან წლებშია შექმნილი და სვანეთში მესტიის მუზეუმში დაცულია ოთხთავი, რომელიც ლაჰილის ოთხთავის სახელწოდებითაა ცნობილი. გადამწერ-შემომწირველის ანდერძიდან ჩანს: სახელითა ღმრთისაითა ეკლესიასა შინა, წინაშერ საფლავისა ქრისტესა მე, ცოდვილმან და უმეცარმან და უცბად მჩხრეკალმან, იოანე ქხცისიანისა შვილმან, ხელ ნაკლულმან გრიგოლ ხელვყავ წარწერად წმინდისა ამ ოთხთავთა და შევსწირე სუანეთს წმინდასა მთავარანგელოზსა მუხერისა.... კუამლისაგან შეინახეთ. ღამით კუარას ნუვინ მიუშვებთ. ფხოტრერისა დეკანოზისა ხელითა გამომიგზავნია. მასცა შეუნდვე ღმერთმან. ტილოისა შინა შემიკრავს ჩემო ძმაო მიქაელ, შენად სასუდრედ დაიმჭირე. /სვანეთის წერილობითი ძეგლები. ტ.1. გვ.57/. /აქ საინტერესო მოვლენასთან შეიძლება გვქონდეს საქმე: ხომ არ არის ზემოთ მოყვანილი მეკარე ივანე ქანცხლიანი და იერუსალიმში ლაჰილის ოთხთავის გადამწერის გრიგოლის მამა იოანე ქხსიციანი ერთი და იგივე პიროვნება?

1380-იან წლებში მოღვაწეობდა ცნობილი ისტორიული პიროვნება ეცერის მოძღვარი ანტონ ონოფრიანი. მის შესახებ ცნობილია შემდეგი: 1380 წელს ეცერის მოძღვარმა ანტონ ონოფრიანმა იერუსალიმში „სპარსთაგან დაიხსნა“ მე 12-13 საუკუნეების უღვალის საწელიწდო სახარება. მასზე ანტონ ონოფრიანის მიერ გაკეთებულ მინაწერზე მოხსენიებულია საქართველოს მეფეები ბაგრატ V და გიორგი VII. ანტონ ონოფრიანის წარწერა გვამცნობს:....ისმინა ღმერთმა ვედრებისა ჩემისა და ღირს მყო მიწევნად იერუსალიმს წმინდასა ადგილსა და ყოველთა წმინდათა კაცქმნილთა ადგილთა ხილვად, ამბორისსაყოფად და თაყვანისცემად, ქორანიკონსა სამეოცდა რვასა – 1380

წ. მეფობასა ქართველთა ზედა ბაგრატ მეფისა და ძისა მათისა გიორგისასა მე, სუანი, ონოფრიანი ანტონი, ეცერსა მოძღუარი. დამხუდა წმინდა ესე სახარება სახარებაი მიტაცებული სპარსთაგან და დავიხსენ შესანდობლად და სამლოცველოდ სულისა ჩემისა. ანტონი ეცერის მოძღუარსა შეუნდეს ღმერთმან, მისსა მამასა ონოფრეს და დედასა ნინოს შეუნდვეს ღმერთმან და მიქაელს შეუნდვენ ღმერთმან.

საწელიწდო სახარების 1380 წლის მინაწერის დამწერი ანტონ ონოფრიანი ცნობილი ისტორიული პიროვნებაა. მასთან და მის ოჯახთან დაკავშირებული საკითხები ვალერი სილოგავამ თავის ორ ნაშრომში – 1977 წელს დაბეჭდილ სტატიაში „ქტიტორთა ფრესკული წარწერები ზემო სვანეთში“ და მისი ფუნდამენტური ნაშრომის „სვანეთის წერილობითი ძეგლების“ 1988 წელს გამოქვეყნებულ მეორე ტომში შეისწავლა. მკვლევარის დაკვირვებით, ანტონი და მისი ოჯახის წევრები სამ წერილობით ძეგლში არიან მოხსენიებულნი: „მატიანე სვანთა კრებისაი“ – ეცერის თემში მოსახლე ონოფრესა და მისი ოჯახის წევრების მოსახსენიებელი; ეცერის თემის სოფელ უღვალის წმინდა გიორგის ეკლესიაში გამოხატული ეკლესიისმოდელიანი ხანდაზმული სასულიერო პირის ქტიტორული პორტრეტის განმარტებითი სასულიერო წარწერა; იმავე წმინდა გიორგის ტაძრის კედელზე გამოხატული გრაგნილიანი შუა ხნის მამაკაცის ქტიტორული პორტრეტის განმარტებითი წარწერა.

სწორედ ეცერის მოძღვარი ანტონ ონოფრიანის მიერ გაწეულმა ღვაწლმა და მის მიერ გაკეთებულმა წარწერამ გაადვილა პავლე ინგოროყვას მიერ გამოცემული „მატიანე სვანთა კრებისაის“ უშუალოდ ონოფრიანებთან დაკავშირებული ფრაგმენტის და მთლიანად ამ ნაშრომის დათარიღება, რაც ამ პერიოდამდე მთლად ზუსტი არ იყო. /თემო ჯოჯუა. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 12-13. გვ. 103-104/.

მე-17-18 საუკუნეში ფხოტრერში მოღვაწეობდა მთავარდიაკონი რომანოზი. არც მის შესახებ გაგვაჩნია რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია;

ამ საკითხთან მიმართებაში თითოეული თქვენთაგანის აზრი, ან რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანი და შესაძლოა გადამწყვეტიც აღმოჩნდეს.

დღეს დიდგორის ბრძოლიდან 901 წელი გავიდა!

ბევრს დღესაც ჰგონია, რომ დიდგორის ბრძოლის წინ დავით აღმაშენებელმა შეკრიბა ლაშქარი და ხელის ერთი დაკვრით გაიმარჯვა დიდგორის ომში! რაც რა თქმა უნდა მართალია და ეს ასეც იყო!!!

მაგრამ ბევრმა არ იცის, რა წინაპირობები უძღვოდა დიდგორის ომში გამარჯვებას. რამდენი სამხედრო პოლიტიკური, დიპლომატიური ნაბიჯი გადაიდგა - რომელმაც საბოლოოდ დავით აღმაშენებლის ლაშქარი დიდგორის ომში გამმარჯვებელ ძალად ჩამოაყალიბა.

ძალიან მოკლე ექსკურსი დიდგორამდე გავლილი გზის შესახებ.

1095 წელს რომის პაპის ურბან 2-ის ბრძანებით და „ქრისტეს საფლავის“ დაცვის ლოზუნგით წარმართული გრანდიოზული სამხედრო მსვლელობა დაიწყო. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს სამეფო ტახტზე ახლად ასული დავით აღმაშენებელი დაქცეული ქართული სამეფოს შინაგანი ეკონომიკური ეკონომიკური და პოლიტიკური განმტკიცების გზებს ეძებდა რათა მომთაბარე დამპყრობ თურქ-სელჯუკთაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის საჭირო პირობები მოემზადებინა /ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან 11-12 საუკუნეთა მიჯნა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 125. 1968წ. გვ. 86-87/. ზემოხსენებული პროცესები ემთხვევა საქართველოს ცხოვრების იმ მონაკვეთს, როდესაც საქართველოში და მის საზღვრებთან იმდენად ძლიერი იყო თურქ სელჯუკთა მოზღვავება, რომ არავისგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, არცა თუ თვით სულთანისაგან. /ქართლის ცხოვრება 1. გვ. 332/. დავით აღმაშენებელმა საქართველოს

სახელმწიფოს გადარჩენის ერთადერთ საშუალებად დასავლეთთან სამხედრო პოლიტიკური კავშირი აირჩია. პირველი, საქართველოს დამპყრობელი სელჩუკები იმ პერიოდში იერუსალიმსაც ფლობდნენ და ჯვაროსნების იერუსალიმზე ლაშქრობა სელჯუკების წინააღმდეგ ომს ნიშნავდა. გამოიკვეთა საერთო მტერი და საერთო ინტერესი. სწორედ ამიტომ 1099 წელს ქართველების ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ წყარო მოგვითხრობს: ორ-გზის ქართველნი წარემართნენ იერუსალიმისკენ, მაგრამ ერთჯერ შავმა ზღვამ იმსხვერპლა ქართველ ჯვაროსანნი, ხოლო მეორედ იბრძოლეს მტერთა ზედა ევროპიის ჯართან ერთად. /საქართველოს საეკლესიო ისტორია შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ გამოცემა „მწყემსი“-ს რედაქციისა, ტფილისი 1886 წ. გვ. 53/. დიდგორის ომიანობის წინ დავით აღმაშენებელმა მცირე აზიაზე გაილაშქრა და ევროპელ ჯვაროსნების მხედრობას მიეშველაო. /ნ. ურბნელი. მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო. ჟურნ. მოამბე 1894 წ. #2/. ნიშანდობლივია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: “ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს”. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიც თურქსელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტა და ქვეყნის მოშენებაგაძლიერება იყო, იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას უკავშირებს. ჯვაროსანთა გამოჩენამ, მათმა წარმატებებმა ახლო აღმოსავლეშთი, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გატარებას შეუწყო ხელი. თავის მხრივ საქართველოს მეფის წარმატებული ბრძოლა თურქსელჩუკებთან ჯვაროსნების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამიტომ იყო, რომ ჯვაროსნების მიერ ახლად დაარსებული სამთავროები თურქსელჩუკთა განდევნისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს თავიანთ მეგობრად თვლიდნენ. წყაროებიდან აშკარაა, რომ დავით აღმაშენებელი მეტად პოპულარული იყო ჯვაროსანთა შორის. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცულია ცნობა, რომ იერუსალიმის მეფეს ბოლდუინ II-ს (1119 - 1131 წწ.) გარკვეული კავშირი ჰქონდა დავით აღმაშენებელთან. ისინი საიდუმლოდაც ხვდებოდნენ ერთმანეთს. დავით აღმაშენებელი და მისი დროის საქართველო კასპიის კარის დამცველად და თურქსელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯვაროსანთა “წინაბურჯად” მოიხსენიებოდა. საქართველო ჯვაროსნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა. /საქართველოს ისტორია ტომი 2 - საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე. გვ. 321/.

1103 წელს, ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის განთავისუფლების ფონზე და რუის-ურბნისის კრების შემდეგ დავით აღმაშენებელი იწყებს საქართველოში გელათის ტაძრის, ახალი

იერუსალიმის მშენებლობას. ამავე ხანებში დავითი შეუდგა საქართველოს გარეთ მდებარე ქართულ სამონასტრო კოლონიებზე ზრუნვას.

1111 წელს ლათინური დასავლეთის ისტორიკოსი, პალესტინის ქალაქ ტიროსის არქიეპისკოპოსი გიიომ ტიროსელი იმ დროინდელი იერუსალიმისა და გეოპოლიტიკური სიტუაციის განხილვისას აღნიშნავდა: ქრისტიანთა ტანჯვამ ღვთაებრივი განგებაც შეძრა და ღმერთის მოწყალებამ სპარსელთა ამპარტავნული თავხედობის წინააღმდეგ აღაზევა მათი მეტოქე სამეფო, იბერთა მოდგმის სახით. ღვთის მადლით, მუდმივი გამარჯვებებით ეს ერი ისე გაიზარდა და გაძლიერდა, რომ მათ გატეხეს და დაამხეს სპარსელთა ამპარტავნება.

ადრე იბერებს თვითონ ეშინოდათ ამ ხალხის და ერიდებოდნენ მათ, ახლა კი ისინი ბევრად აღემატებიან სპარსელებს ძალითა და სამხედრო გამოცდილებით. ამგვარად, სპარსელები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში თვით შორეულ სამეფოებსაც კი შიშის ზარს სცემდნენ, ახლა უკვე იმითაც კმაყოფილნი არიან, თავიანთ სამფლობელოების ფარგლებში დროებითი მშვიდობა მაინც თუ ექნებათ. იბერიის სამეფო მდებარეობს ჩრდილოეთში. ის აგრეთვე აფხაზეთის სახელით არის ცნობილი. ისინი სპარსელების მეზობლები არიან. მისი მცხოვრებლები გამოირჩევიან მაღალი აღნაგობით. უაღრესი სიძლიერით და თავიანთი მხედრული თვისებებით. ხშირი ომებით და განუწყვეტელი თავდასხმებით მათ გატეხეს სპარსელთა ძალები, ისე, რომ ეს უკანასკნელნი თავიანთ თავს მათ ტოლად უკვე აღარ თვლიდნენ. 1118 წელს იერუსალიმის მეფე ბალდუინი მეფედ კურთხევის შემდეგ გადაწყვეტს საქართველოში სტუმრობას. ამასვე ადასტურებს იონე ბატონიშვილი: „ამა რიცხვსა შინა იყო ბალდვოინ იერუსალიმის მეფედ, რომელმანცა მრავალი ძლევა მიიღო სარაცინელთა ანუ არაბთა ზედა. 1023 წელს ანტიოქიის სამთავროს კანცლერი გოტიე წერდა: ელღაზიმ დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში ლაშქრობა გადაწყვიტა ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად, რათა მისი დაქცევის, ანუ განდევნის შემდეგ, თავისუფლად და სრულად მიუდგეს იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას. ქრისტიანთა ამოწყვეტას. /ელდარ მამისთვალაშვილი. დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების ურთიერთობების ისტორიიდან. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისავ და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული. #7. გვ.61-62/. 1123 წელს დიდგორის ომის დროს, ქართველთა ლაშქარში ჯვაროსანთა მოზრდილი ჯგუფი იმყოფებოდა. ჯვაროსანთა სამთავროს კანცლერი გოტიე თავის ნაშრომში „ანტიოქიის ბრძოლები“ დიდგორის ომის მსვლელობის შესახებ წერს: „...მეფემ თითოეული რაზმი დაარიგა, ხოლო ორასი ფრანგის მეომარი, რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა, პირველ დაკვრათა მისაცემად“. /ქართული დიპლომატიის ისტორია. ქრესტომათია. თბ. 2004 წ. გვ.156/ გოტიე ასევე აღნიშნავს, რომ პირველი შეტაკებისთანავე ფრანგთა მიერ გაქცეულნი იფანტებიან. ქრისტეს მსახურთა და მიდიელთა მახვილის მსხვერპლად იქცევიანო. /ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან 11-12 საუკუნეთა მიჯნა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები ტ. 125. 1948 წ. გვ. 101/. არც ის გარემოება უნდა მივიჩნიოთ შემთხვევითად, რომ დიდგორის ბრძოლაში საქართველოს გამარჯვებამ უდიდესი სენსაცია გამოიწვია ჯვაროსნებში. სხვას რომ თავი დავანებოთ, მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის ეს დიდი მარცხი შესვენების და ძალთა მობილიზების საშუალებასაც აძლევდა იერუსალიმს, რტიპოლისა და ანტიოქია ედესაში მყოფ დასუსტებულ ჯვაროსნებს, რომლებიც მაჰმადიანთა რკალში იმყოფებოდნენ. გორიე წერს: თვით ელღაზი თავში დაჭრილი, დაჰკარგა რა თითქმის ყოველივე, მცირეოდენი ლტოლვილით, უიარაღო და დამშეული არაბთა მეფის წინამძღოლობით სახლში დაბრუნდა ნახევრად მკვდარიო. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ 1122 წელს ილ-ღაზის მოულოდნელი სიკვდილი ამ ჭრილობით ყოფილიყო გამოწვეული. ილ ღაზის სიკვდილით ძალზე ძლიერი მტერი მოიშორეს ჯვაროსნებმა. /ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან 11-12 საუკუნეთა მიჯნა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები ტ. 125. 1948 წ. გვ. 103-104/.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი

ეთერ მამაცაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
მოწვეული ლექტორი

ადამიანური რესურსების მნიშვნელობა და კორპორაციული კულტურა საბანკო დაწესებულებებში

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ეკონომიკის დოქრორი, პროფესორი
ეთერ მამაცაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, მოწვეული ლექტორი

ადამიანური რესურსების პოლიტიკის გატარებისას, ადგილობრივ ბანკებში, აუცილებლად გასათვალისწინებელია გარდამავალი პერიოდის თავისებურებები. აღნიშნულ სფეროში ისინი ვლინდება განსაკუთრებით ნათლად და ქმნის სერიოზულ პრობლემებს.

პირველ რიგში, სისტემის ფუნქციონირებას ხელს უშლის შრომის ბაზრის მდგომარეობა - როგორც რესურსების სიჭარბე, აგრეთვე, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. აღნიშნულ ბაზარზე თითქმის არ არსებობს თავისუფალი შრომითი რესურსების შეთავაზება ისეთ სპეციალობებში, როგორებიცაა: საფონდო საქმე, სატრასტო და ლიზინგური ოპერაციები, აუდიტი და ა.შ.

მეორე მხრივ, მხოლოდ ფორმირების სტადიაშია ის სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ ბაზარს დამატებითი მომსახურების ფართო ნომენკლატურით - სპეციალური კონსალტინგური ფირმები, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრები და ა.შ. ამ პირობებში საკრედიტო ორგანიზაციები, პერსონალის შერჩევის დროს, იძულებულნი ხდებიან ორიენტირება გააკეთონ თავიანთ შესაძლებლობებსა და რესურსებზე, რაც უკავშირდება დამატებით, არარაციონალურ ხარჯებს.

ტრადიციულად, ბანკების უმაღლესი დონის მენეჯერების მიერ არ ხდება საკმარისი ყურადღების გამოჩენა ადამიანური რესურსების პოლიტიკისადმი, რაც, პრაქტიკულად, გამოიხატება:

- სურვილის არქონით, უზრუნველყოფილ იქნეს პერსონალის აუცილებელი სტატუსი შიდა იერარქიაში, რაც ობიექტურად ხელს უშლის მას დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში;
- პერსონალის მართვის იმ ფორმებსა და მეთოდებზე ორიენტაცია, რაც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის, ანუ გარდამავალი პერიოდის თავისებურებების გაუთვალისწინებლობა;
- სხვა ბანკებთან თანამშრომლობის სურვილის არქონა ადამიანური რესურსების პოლიტიკის გადაწყვეტის საქმეში.

სამწუხაროდ, აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკს ახასიათებს აღმასრულებელი პერსონალის არასაკმარისი კომპეტენტურობა, რაც განპირობებულია:

- ქვეგანყოფილების ხელმძღვანელებზე მეთოდოლოგიური დახმარების არარსებობით აღნიშნული სამსახურების მხრიდან;
- საკუთარი საქმიანობის ორგანიზაციით მითითებების საფუძველზე და არა ინიციატივის განვითარებით.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სრულყოფილად არ ხდება მენეჯერებისთვის სპეციალური სატრენინგო პროგრამების მომზადება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სფეროში. საქართველოს ბანკების ყველაზე მოწინავე ხელმძღვანელების მიერ აღნიშნული

სიტუაცია დაძლეულ იქნა წამყვანი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმის გამოყენებით, საზღვარგარეთ სტაჟირების ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პრაქტიკა რთულდება თანამშრომელთა მნიშვნელოვანი რიცხვის სპეციფიკური მენტალიტეტით. საშუალო და უფროსი ასაკის პერსონალისთვის ყველაზე ნეგატიურ ფაქტებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

• არასაკმარისი პასუხისმგებლობით მიდგომა როგორც დამქირავებლის, ისე, მთლიანად, სამსახურის მიმართ;

• კონკრეტული გადაწყვეტილებების დროს პასუხისმგებლობის თავის თავზე აღების სურვილის არქონა;

• საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თანამშრომლის მიმართ წაყენებული მოთხოვნების გაუთვითცნობიერება, მათ შორის, დამოკიდებულება ანაზღაურების მიმართ, არა როგორც შესრულებული სამუშაოსათვის, არამედ სამუშაო ადგილის დაკავებისათვის;

• პერსონალის რეგიონული მობილობის დაბალი დონე, რომელიც ხელს უშლის ბაზრის ფორმირებას;

• სოციალური აქტიურობის მაღალი დონე, მიდრეკილება პირდაპირი ან ფარული კონფლიქტებისადმი ადმინისტრაციასთან.

ადამიანური რესურსების ყველა ეს თავისებურება გასათვალისწინებელია კონკრეტული ოპერაციული ქვესისტემის ორგანიზაციის დროს. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის გამოცდილების მთლიანი გამოყენება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხში ფერხდება ამ ფაქტორების გამო.

ამრიგად, საქართველოს კომერციული ბანკები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხების გადაწყვეტის დროს აწყდებიან მთელ რიგ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორებს. ქვეყნის საბანკო სექტორის კრიზისიდან გამოსვლასთან ერთად, სულ უფრო მეტად აქტუალურია უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება.

<u>პერსონალის მიღების პოლიტიკა</u>

მრავალი წლის მანძილზე არსებობდა ტიპური საბანკო კლერკის ან მენეჯერის სტერეოტიპი: იგი უნდა ყოფილიყო მამაკაცი, კარგად და კონსერვატიულად ჩაცმული, წყნარად და მშვიდად მოსაუბრე, ჰქონდეს საშუალო განათლება და აუცილებლად ფლობდეს მათემატიკასა და ინგლისურში ცოდნის განსაზღვრულ დონეს.

ამჟამად ორგანიზაციათა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს მათი პერსონალის მისვლას უშუალოდ მომხმარებელთან (ფაბრიკებში, ფირმებში, მაღაზიებში) და საბანკო მომსახურების გაყიდვას.

მოთხოვნები ადამიანური რესურსების (რომლებიც დაკავებული არიან გაყიდვებით) მიმართ, წარსულთან შედარებით შეიცვალა. რეალური და მნიშვნელოვანი კანდიდატი დღეს შეიძლება გახდეს საქმიანი პიროვნება, რომელსაც შეუძლია ახალგაზრდების ხელმძღვანელობა და დახმარება, არის ენთუზიაზმით უფრო სავსე, ვიდრე მხოლოდ ტრადიციული განათლებისა და დიპლომის მქონე. იმდენად, რამდენადაც შეიცვალა სამუშაოს ტიპი, რომელსაც ასრულებს ბანკის პერსონალი, შეიცვალა პერსონალის ტიპიც.

დაქირავება შეიძლება განხორციელდეს ლოკალურ დონეზე, როცა თვითონ მენეჯერი არჩევს საჭირო თანამშრომლებს, ან ბანკში არსებული საერთო შერჩევის პრინციპებით. ასე თუ ისე, თითოეული ბანკი უნდა ახორციელებდეს დაქირავების დაგეგმვას, რომელიც ვითარდება ორგანიზაციის საერთო სტრატეგიულ გეგმასთან ერთად, ხოლო სტრატეგიული გეგმის ყოველ ნაწილში უნდა იყოს ზუსტად განხილული მისი ზეგავლენა ადამიანური რესურსების დაგეგმვაზე.

<u>განათლება</u>. სამუშაოს ახალი მეთოდების წარმოჩენა, განსაკუთრებით, ტექნოლოგიების, აყენებს სასწავლო პროგრამებზე მოთხოვნას. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს მაღალი ტექნოლოგიური პროცესები არა მარტო ფულის გადაგზავნისთვის და ბუღალტრული წარმოებისთვის, ყველა დონის პერსონალი მომზადებული უნდა იყოს შესაბამისად. ეს ტექნოლოგიები თავის თავში მოიცავს ინფორმაციის ელექტრონულ სისტემებს (რომლებიც საშუალებას აძლევს სხვადასხვა განყოფილებას, ფირმებს, ოფისებს, რომ დაუკავშირდნენ და

გადასცენ შეტყობინება ან დოკუმენტები), ელექტრონული კავშირის სისტემას, საგამომცემლო სისტემებს, ე.ი. თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა. ბანკის ადამიანური რესურსის კონტროლი ითვალისწინებს ბალანსის შენარჩუნებას შემოსულ (დაქირავების დროს) და გასულ (პენსიაში გაშვება, განთავისუფლება) პერსონალს შორის, რომელიც აუცილებელია საბანკო ბიზნესის ოპტიმალურად წარმართვისათვის.

თანამედროვე კანონმდებლობის ზოგიერთი ნაწილი ითვალისწინებს, რომ გამოსაცდელი ვადის შემდეგ თანამშრომლები არ შეიძლება განთავისუფლდნენ არასამართლიანად.

უცხოეთში პროფესიული კავშირის როლის ზრდა იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო შრომითი კანონმდებლობის განვითარებას, რაც იცავს თანამშრომელთა ინტერესებს.

სამუშაო გარემოზე მოქმედი ფაქტორები. **გარე ფაქტორები:**

- შემოსავლიანობის დონე - თუ საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე არის დიდი მოთხოვნა, თანამშრომლებს აქვთ მოლოდინი და ხელმძღვანელებმა შეიძლება გაზარდონ შრომის ანაზღაურების დონე (ან პირიქით);
- კონკურენციის დონე - თუ ის მაღალია, ეს ზემოქმედებს ბანკის შესაძლებლობებზე და მზადყოფნაზე, უზრუნველყონ საკუთარი თავი მაღალი ფულადი ანაზღაურებით;
- უმუშევრობის დონე ზემოქმედებს სამუშაოს მიმართ თანამშრომელთა ურთიერთობაზე;
- იურიდიული შეზღუდვა - შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ ყველა მონაწილეზე.

ტექნოლოგიური ფაქტორები:

- საბანკო ბიზნესის ადამიანური კაპიტალის ტევადობა განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების, როგორც დანახარჯების ფაქტორის მნიშვნელობას;
- ძირითადი პერსონალი - თუ პერსონალი, რომელიც მონაწილეობს მოლაპარაკებებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბანკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ეს ზემოქმედებს ნებისმიერი დავის სერიოზულობაზე;
- ტექნოლოგიური ცვლილებების ტემპები - მნიშვნელობა აქვს მომავალი დასაქმების დონისათვის.

ისტორიული ფაქტორები:

- პერსონალის ისტორია - ბანკში თანამშრომლებსა და მის ქვედანაყოფებთან არსებული ურთიერთობა;
- მართვის სტილი;
- მოლაპარაკებების წარმართვის სტილი;
- ლოკალური კულტურა.

კორპორაციული კულტურის საწყისი. ბანკის ფუნქციონირება შეუძლებელია, თუ მისი თანამშრომლები აუცილებელი უნარ-ჩვევების გარდა არ ფლობენ დაწერილ და დაუწერელ კანონებს, არ ირჩევენ განსაზღვრულ დამოკიდებულებას თავიანთი სამუშაოს, ბანკის, კლიენტებისა და კოლეგების მიმართ. ზუსტად ეს უნარ-ჩვევები, შეხედულებები, ქცევის ნორმები, ორგანიზაციის წესები ქმნიან ბანკის კორპორაციულ კულტურას.

ბანკის წარმატება შეიძლება უფრო მეტად იყოს დამოკიდებული მის კორპორაციულ კულტურაზე, ვიდრე სხვა ფაქტორებზე. ძლიერი კორპორაციული კულტურა ხელს უწყობს კომუნიკაციას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. კორპორაციული კულტურის უძლიერეს მხარეს წარმოადგენს მისი არაფორმალური ზემოქმედება ახალგაზრდა პერსონალზე, პირადი და პროფესიული ჩვევების განვითარებით, მოქმედი წესებისა და ნორმების მეშვეობით, რომელსაც განუხრელად იცავენ მისი წამყვანი სპეციალისტები და გამოცდილი თანამშრომლები.

ყველა ორგანიზაციისთვის დამახასიათებელია საკუთარი ფილოსოფია და პრინციპები, პრობლემების გადაჭრის (გადაწყვეტილების მიღების) მეთოდები, საკუთარი საქმიანი პრაქტიკა, ფასეულობების კოდექსი, აგრეთვე, შიდა ურთიერთობების თავისებური სისტემა. ყველა ეს კომპონენტი აყალიბებს ცნებას - „კორპორაციული კულტურა“.

ბანკის კორპორაციული კულტურა დაკავშირებულია ორგანიზაციის ფასეულობებთან, რწმენასთან, ტრადიციებთან, მუშაობის სტილთან და შიდა გარემოსთან.

კორპორაციული კულტურის საფუძველია ორგანიზაციის რწმენა და ფილოსოფია, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა წარმართოს მან საქმე ამგვარად და არა სხვა სახით, შესაბამისი მიზეზების დასაბუთებით.

კორპორაციული კულტურა არ არის სტატიკური, ის გარკვეულად იცვლება ეკონომიკაში წარმოშობილ ცვლილებებთან ერთად.

კორპორაციული კულტურის ძალა. მენეჯერები ამტკიცებენ, რომ კორპორაციული კულტურა ის ფაქტორია, რომელმაც დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედება უნდა იქონიოს კორპორაციული სტრატეგიის წარმატებით განხორციელებაზე.

აღსანიშნავია შემდეგი პარამეტრები, რომლებიც დამახასიათებელია ძლიერი კორპორაციული კულტურისთვის:

- საქმიანობის შედეგების მიმართ ყურადღება;
- „კლიენტი ყურადღების ცენტრში";
- შედეგებზე პირადი პასუხისმგებლობა;
- კარიერული წინსვლა შესაძლებლობების მიხედვით;
- დასჯაზე უპირატესი - დაჯილდოება;
- ღია ურთიერთობები;
- აქტიური ხელმძღვანელი, რომელიც მონაწილეობს ბანკის ყველა საქმიანობაში.

ძლიერი კორპორაციული კულტურა და მისი მჭიდრო კავშირი ბანკის სტრატეგიასთან არის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პერსონალის მართვის ძლიერი ბერკეტი.

ძლიერი და სუსტი კორპორაციული კულტურა. კორპორაციული კულტურა სხვადასხვა ბანკში განსხვავებულად ზემოქმედებს პერსონალის საქმიანობასა და ქცევის ნორმებზე. კორპორაციული კულტურა შეიძლება იყოს სუსტი და განზოგადებული, თუ ბანკში არსებობს მრავალი სუბკულტურა, არ არის ერთიანი ფასეულობები, ქცევის ნორმები და ტრადიციები.

კორპორაციულმა კულტურამ შეიძლება ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს ბანკის საქმიანობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ხორციელდება მკვეთრად განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, მენეჯერები კი ამ პრინციპებს განუმარტავენ პერსონალს.

ძლიერი კულტურა კორპორაციისათვის მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ის შეესაბამება სტრატეგიას, და პირიქით.

ძლიერი კორპორაციული კულტურის შექმნაზე გავლენას ახდენს:

- ძლიერი ლიდერი, რომელიც აწესებს ქცევის პრინციპებს;
- ბანკის ხელმძღვანელობის განზრახვა - იმოქმედოს დადგენილი ტრადიციების შესაბამისად;
- მუდმივი ზრუნვა მყიდველებზე, თანამშრომლებსა და აქციონერებზე.

საბანკო ბიზნესში ლიდერობა, პერსონალის მცირე რაოდენობა და კომპანიის ხელმძღვანელთა პოსტზე ხანგრძლივი ყოფნა ხელს უწყობს მყარი კორპორაციული კულტურის შექმნას.

ნაკლებად განვითარებული, არაჯანსაღი კორპორაციული კულტურა. არაჯანსაღი კორპორაციული კულტურის თავისებურებებია:

- გავლენიანი ხელმძღვანელები ატარებენ საკუთარ პოლიტიკას და ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს;
- ინოვაციებისადმი ფრთხილი/მტრული დამოკიდებულება;
- თანამდებობაზე წინსვლა იმ მენეჯერებისა, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ უფრო ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ბიუჯეტს, პერსონალზე კონტროლის სისტემას, ვიდრე სტრატეგიებს და კორპორაციულ კულტურას;
- აღინიშნება, რომ ასეთი ხელმძღვანელობის დონეზე მათ არ ჰყოფნით სამეწარმეო საქმიანობის უნარი და გამოცდილება სტრატეგიული მართვისათვის;
- სხვისი გამოცდილების გადმოღების უუნარობა და სურვილის არქონა.

ბანკის ლიდერად ხანგრძლივად ყოფნის შემთხვევაში მათ ეჩვენებათ, რომ ყველაფერი იციან. შეზღუდული აზროვნება და ე.წ. უპირატესობის სინდრომი ბანკის დაცემის წინაპირობაა.

ზოგჯერ ცვლილებებს კორპორაციულ კულტურაში წარმატებით აღწევს მენეჯერთა მცირე ჯგუფი, მაგრამ გავლენიანმა უმრავლესობამ შეიძლება დააზიანოს ახალი კორპორაციული კულტურის საწყისი და წინ აღუდგეს პროგრესს.

ადაპტირებადი კორპორაციული კულტურა. ბაზარზე არსებული მუდმივი ცვლილებების პირობებში, ბანკის პოზიციების შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია ახალი მეთოდების სწრაფი დანერგვისა და სტრატეგიის ცვლილების უნარი. ამისათვის აუცილებელია ისეთი ტიპის კორპორაციული კულტურა, რომელიც ბანკს დაეხმარება მოახდინოს ადაპტაცია ბაზრის ახალ პირობებთან.

ადაპტირებადი კულტურის ორი განსხვავებული ნიშანია:

- ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას უთმობენ საბანკო ბიზნესის მუდმივ პრინციპებს და იმათ, ვინც არ არის ორგანიზაციის ნამდვილი წევრი: მომხმარებლებს, თანამშრომლებს, აქციის მფლობელებს, მომწოდებლებს, ვიდრე ნებისმიერ კონკრეტულ სტრატეგიასა და საქმიან პრაქტიკას;
- მენეჯერების არსებობა, რომლებსაც აქვთ უნარი წავიდნენ რისკზე, ექსპერიმენტზე, ინოვაციაზე, სტრატეგიის შეცვლაზე.

ადაპტირებადი კორპორაციული კულტურა ხელმძღვანელების საიმედო მოკავშირეა სტრატეგიების რეალიზაციის დროს.

სტრატეგიასა და კულტურას შორის შესაბამისობის შექმნა. კორპორაციული კულტურის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა საკმაოდ რთული ამოცანაა.

პირველი ნაბიჯია იმის გარკვევა, თუ არსებული კულტურის რომელი ასპექტია სტრატეგიულად მხარდამჭერი და რომელი - არა. მენეჯერებმა ღიად და პირდაპირ უნდა განაცხადონ ყველა დაინტერესებული მხარისათვის კულტურის აუცილებელი ცვლილებების შესახებ.

მოქმედება, რომელიც გასაგებია თითოეულისთვის, ხელს უწყობს სტრატეგიის შესაბამისი ახალი კულტურის შექმნას. ის შეიძლება იყოს:

- რეალური;
- სიმბოლური.

სიმბოლური მოქმედებების დროს, იმპულსების წყალობით ხდება თანამშრომლების ქცევის ხასიათის ფორმირება.

მთავარი სიმბოლური მოქმედებებია:

- დანახარჯების შემცირება ხელმძღვანელთა დამატებითი ანაზღაურების შემცირებით;
- მომხმარებელთა მოთხოვნებზე რეაქცია, კლიენტებთან საუბარი;
- სამუშაოს სტილისა და პოლიტიკის ცვლილებისათვის ინიცირება;
- ახალი გმირის გამოვლენა.

დაჯილდოების ცერემონია, ქცევის ეტალონი და სხვა სიმბოლოები კორპორაციული კულტურის შექმნისათვის მენეჯერის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მენეჯერმა უნდა დაარწმუნოს თანამშრომლები, რომ მათი მოქმედება ზედაპირულ ხასიათს არ ატარებს. უმაღლესმა ხელმძღვანელობამ პირადი მაგალითი უნდა მისცეს თავის თანამშრომლებს.

სტრატეგიისა და კულტურის შეთანაწყობა ხანგრძლივი ხასიათისაა.

ეთიკური ნორმებისა და ფასეულობების სისტემის ჩამოყალიბება. ეთიკურ პრინციპებსა და საერთო ფასეულობებზე დაფუძნებული ძლიერი კორპორაციული კულტურა სტრატეგიული წარმატების საწინდარია.

დადებითი ფასეულობები და ეთიკური ნორმები პოზიტიურ იმპულსს აძლევს მთელ კორპორაციულ კულტურას.

ნახ. 1. ფასეულობის სისტემისა და კომპანიის ქცევის კოდექსის შინაარსი[1]

რას მოიცავს ფასეულობის სისტემა	რას მოიცავს ქცევის კოდექსი
• მომხმარებლის და მისი მომსახურების მნიშვნელობა; • ხარისხზე ზრუნვა; • ინოვაციების განვითარება; • თანამშრომლის პატივისცემა; • კეთილსინდისიერების, თანამშრომლობის ეთიკური ნორმების პრიორიტეტი; • აქციონერთა ინტერესების პატივისცემა; • მიმწოდებელთა ინტერესების პატივისცემა; • გარემოს დაცვა; • კორპორაციული ერთიანობა.	• პატიოსნება და კანონის დაცვა; • ინტერესების შეჯახება; • კონკურენტული ბრძოლის პატიოსნანი მეთოდები; • შიდა ინფორმაციის გამოყენება და უსაფრთხო ვაჭრობა; • მიმწოდებლებთან ურთიერთობა და ვაჭრობის პრაქტიკა; • სხვების შესახებ ინფორმაციის გამოყენება; • პოლიტიკური საქმიანობა; • კომპანიის აქტივების, რესურსების გამოყენება; • კერძო ინფორმაციის დაცვა; • ფასების დადგენა.

ქცევის ახალი კოდექსისა და ფასეულობების სისტემის დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებები:

• პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების პროგრამაში ახალი ფასეულობებისა და ეთიკური ნორმების ჩართვა;

• პერსონალის დაქირავების დროს ყურადღების გამახვილება ახალ ფასეულობებთან შესაბამისობის მიმართ;

• ეთიკური ნორმებისა და ახალი ფასეულობების შინაარსის გაცნობა ყველა თანამშრომლისათვის.

ეთიკური ნორმებისა და ფასეულობების სისტემა უნდა იყოს არა მარტო განსაზღვრული, არამედ ინტეგრირებული კორპორაციის კულტურაში.

კორპორაციული კულტურის ფორმირებისას, ადამიანური რესურსების სამსახური ვალდებულია, წარმოადგინოს მოქმედებების კომპლექსი, დავალებების გადაწყვეტისათვის. კონკრეტული ღონისძიებები შეიძლება იყოს შემდეგი:

1. ახალი თანამშრომლების მიღების ნათელი რიტუალი (ბუკლეტი, რომელიც მოიცავს აუცილებელ ინფორმაციას ბანკისა და მისი განყოფილებების შესახებ; სამუშაოზე მიღების დღეს საშვის და ტელეფონების ცნობარის გადაცემა; ახალბედების ადაპტაციის ორგანიზება; ახალბედების სწავლება).

2. ბანკის თანამშრომლებს შორის პროფესიული კონკურსების მოწყობა, სტიმულირების განსაკუთრებული რიტუალების შემუშავება, მაგალითად, „წლის ადამიანი“ ბანკში. აქ მთავარია საჯარო სტიმულირება, უმჯობესია ოჯახის წევრების მოწვევა.

3. თანამშრომლების კარიერის დაგეგმვა (ხელშეწყობა სწავლაში, სტაჟირება, გადაადგილება).

4. თანამშრომლების შვილებისთვის სკოლების, ლიცეუმების ქსელის შექმნა (განსაკუთრებით ხარისხიანი პროგრამების სწავლება, რომლებიც საბანკო სპეციალობების მიღებას ხელს შეუწყობს).

5. თანამშრომლებისთვის მასტიმულირებელი შეღავათების დაწესება (რაც დამოკიდებული იქნება მათ მიერ ნამუშევარი წლების რიცხვზე, მაგალითად 5 წელი ან მეტი).

6. ბანკის თანამშრომლებზე მომსახურების ასორტიმენტის გაფართოება (იურიდიული, საინფორმაციო, სატრანსპორტო და ა.შ.).

7. ბანკის თანამშრომლებისთვის სარეკლამო მასალებისა და სუვენირების გამოშვების გაფართოება (საათები, ჰალსტუხები, ბლოკნოტები და ა.შ.).

8. ბანკის დაარსების დღის დაწესება უქმე დღის სტატუსით (შესაძლებლობის ფარგლებში).

[1] მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ., საბანკო საქმე, თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2020. გვ.: 239

9. თანამშრომლებისთვის მსხვილ საყიდლებზე და დაბანდებებზე (სწავლა, მკურნალობა) გრძელვადიანი კრედიტების გაცემა.

10. საკუთარი სამედიცინო და დასვენების ცენტრების შექმნა.

11. ბანკის განყოფილებების დაარსების დღის დაწესება, საერთო გასვლებით და დასვენებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ბანკის ხელმძღვანელობა.

12. ბანკის შესახებ ვიდეომასალების შექმნა.

13. თანამშრომლებისთვის სადაზღვევო და საპენსიო ფონდების ფორმირების ხელშეწყობა.

14. ფილიალების თანამშრომლების რეგულარული ინფორმირება ბანკის მიღწევების შესახებ.

15. ბანკის თანამშრომლების მიერ შეთავაზებული წინადადებების შეკრებისა და რეალიზაციის სისტემის შექმნა.

გასაგებია, რომ გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შესაძლებელია ჩატარდეს სხვა ღონისძიებებიც. მთავარია, რომ ეს ღონისძიებები იყოს მიმართული ბანკის მიმზიდველობის ფორმირებისაკენ, რითაც დაკავშირებულია ერთმანეთთან თითოეული თანამშრომელი, რომლებსაც გულწრფელად სურთ იმუშაონ ნაყოფიერად და ხანგრძლივად.

კორპორაციულ კულტურაში სრულყოფის კულტის შექმნა. ორგანიზაცია, რომლისათვისაც დამახასიათებელია სრულყოფის კულტი, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს თავის მიღწევებსა და უპირატესობებზე. ბანკის კორპორაციული კულტურა ორიენტირებულია შედეგზე, ხოლო მმართველობა ახდენს თანამშრომლების წახალისებას სამუშაოს უკეთესად შესრულებისთვის.

მნიშვნელოვანი ხდება იმ თანამშრომლების გამოყოფა და წახალისება, რომლებიც მიისწრაფიან მაღალი შედეგებისკენ:

- ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა წაახალისებს იმათ, ვინც დარწმუნებულია საკუთარ იდეებში, შესწევს უნარი, გადალახოს ბიუროკრატიული ბარიერი, შექმნას ახალი პროდუქტი;
- ბანკი აწყობს აქციას, რომელიც მიზნად ისახავს, თითოეულმა წარმატებულმა თანამშრომელმა თავი იგრძნოს, როგორც ბანკის ორგანულმა ნაწილმა;
- ზოგიერთი ბანკი ხაზს უსვამს თითოეული თანამშრომლის მნიშვნელობასა და სტატუსს, ღირსეულად ფასდება თითოეულის შრომა;
- ზოგიერთი ბანკი სამ თვეში ერთხელ ატარებს კორპორაციულ შეხვედრებს. თანამშრომლები წარმატების მიღწევისათვის ახდენენ გამოცდილებისა და იდეების გაზიარებას.

სრულყოფილი კომპლექსური სისტემა შედგება პრაქტიკული მეთოდების, სიტყვების, სიმბოლოების, მართვის სტილის, ფასეულობებისა და პოლიტიკური სახეებისგან, რომელთა ერთობლიობით, უბრალო ადამიანების მუშაობით წარმატებული შედეგი მიიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1 კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. - თბ., 2014.
2. მოსიაშვილი ვ. - ეკონომიკა: დინამიკა, ზრდა, განვითარება. - თბ., 2008.
3. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძ გ., - საბანკო საქმე- თბ., 2020.
4. მოსიაშვილი ვ., მამაცაშვილი ე., ახალკაცი ნ. - ფულის მიმოქცევა და კრედიტი. - თბ., 2017.
5. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ. - ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები. - თბ., 2017.
6. ცაავა. გ., ხანთაძე გ. - საბანკო საქმე: თეორია, მეთოდები და პრაქტიკა. - თბ., 2014.
7. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი. - თბ., 2017.
8. ცაავა გ., გავაშელი შ., ცაავა დ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - რისკოლოგია: ეკონომიკური, ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. - თბ., 2018.
9. ცაავა გ. - ფინანსური მარკეტინგი. - თბ., 2009.
10. ხანთაძე გ., ცაავა გ. - საბანკო ოპერაციები. - თბ., 2012.
11. www.nbg.ge
12. www.ekonomika.ge
13. www.un.org
14. www.worldBank.org
15. www.parlamenti.ge

ხელოვნება და კულტურა

გურამ ფუტკარაძე
ბათუმის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე


აბუსერიძე ტბელი

სელიმ ხიმშიაშვილი

სოფლის მდინარე

აბსტაქცია

ქაჯეთის ციხე


ნატიურმორტი

ზამთარი მთაში

ბათუმი

პეიზაჟი

გურამ ფუტკარაძის ბაბუა

ბათუმი

ალექსანდრე ციხელაშვილის შემოქმედება

ავტოპორტრეტი.

ჯუმბერ ლეჟავას პორტრეტი.

ბეჟან ხარაიშვილის პორტრეტი.



გულნაზი ხარაიშვილი
ჩვიდმეტი წლის.

გულნაზი ხარაიშვილი.

აწ გარდაცვლილი გულნაზ ხარაიშვილის ვაჟიშვილი გელა სხირტლაძე.

ფრიდონ ნიჟარაძის შემოქმედება.





უშგულის ეთნოგრაფიული მუზეუმი

ნორჩი ათინათელები

მარიამ ხარაიშვილი
დაიბადა 2010 წლის 5 დეკემბერს.
85-ე საჯარო სკოლაში. მე-6ა კლასი.



ანნა-მარია პედანიან

გიორგი ქენქაძე



ნებიერი კუსა

პატარა კუსას ოთხი თავისზე დიდი და-ძმა ჰყავდა. ყოველ დღეს ერთმანეთის ალერსა და სიყვარულში ატარებდნენ. დედა ტკბებოდა შვილების ცეკვა თამაშის ყურებით.

პატარა კუსა მალე იღლებოდა. გაეპარებოდა და ძმებს და ბანზე ჰამაკში იძინებდა.

ეძებდნენ და-ძმები, ეძახდნენ, კუსა კი ჰამაკში იწვა და ნებივრობდა. როდესაც და ძმები იპოვნიდნენ, იცინოდნენ მისი მშვიდი სახის ხილვით. უკვირდათ რატომ იყო ასეთი მშვიდი და უპასუხისმგებლო.

რადგან კუსა ნაბოლარა იყო და ძმებს შორის უფროსი და ძმები ეფერებოდნენ და ანებივრებდნენ.

ყველა შეცდომას ჰპატიობდნენ.

ასე სიყვარულით და მოფერებით ზრდიდნენ და-ძმები პატარა კუსას.

ცქნაფო და იხვი



ნაბიას თავისი ნაბოლარა შვილი ცქნაფო სოკოზე გაეპარა კალათით. ბევრი იარა, თავისი სახლის ახლო-მახლო, ჩირგვი და კორდი არ დარჩა, სულ სკუპ-სკუპით შემოიკრიბა, მაგრამ სოკო ვერსად ვერ იპოვა. ცქნაფოს მოულოდნელად ტირილი შემოესმა.

– მოგიკვდეს დედა, შვილო! ეს რა უბედურებას მომწიე, როგორ მოიტეხე ფეხი? რა ვქნა სახლში როგორ წაგიყვანო?

ცქნაფო სკუპ-სკუპით წავიდა, მოსმენილი ხმის მიმართულებას გაჰყვა. მალე მივიდა და საზარელი სურათი დახვდა. პატარა იხვის ჭუჭული ჩირგვში გაბმულა და ფრთხიალ-წვალებაში ფეხი მოიტეხა. დედა იხვი გარშემო უვლიდა შვილს ფრთების ფრთხიალით და მწარედ ტიროდა.

ცქნაფომ სწრაფად მოიხსნა ზურგიდან კალათა და დედა იხვს უთხრა: პატარას კალათაში ჩავსვამ და სახლამდე მე მივიყვანო. დედა იხვს გაუხარდა. ცქნაფო სკუპით წავიდა გვირილებით მოფენილ მდელოზე, დედა იხვი უკან მისდევდა და შვილს ანუგეშებდა, მალე მივალთ სახლში და ფეხს შეგიხვევო.

მართლაც მალე მივიდნენ. დედა უხვმა შვილს ფეხი შეუხვია. ცქნაფოს კალათა ხილით გაუვსო და დალოცა: – ღმერთმა დალოცოს შენი გამზრდელი, კარგი შვილი გაუზრდიხარო.

მართალია ცქნაფომ სოკო ვერ იპოვა, მაგრამ სახლში დასაჩუქრებული წავიდა.პატარა ბაჭიას სიკეთე მალე აუხდა.

ყურცქვიტა და ნებიერა

ყურცქვიტას და ნებიერას ერთ ლამაზ მდელოზე, მეტად ლამაზი სახლი ჰქონდათ. ადრიანი გაზაფხული იყო. მათი სახლის მიდამოები იით მოქარგულიყო. არემარეს ჩიტების საამური სტვენა და გალობა სასიამოვნოდ ერწყმოდა.

მათი სახლის ახლოს ნიბლიას ბუდე გაეკეთებინა და კრუხად დამჯდარიყო.ასეთ თბილ ოჯახთან ჩიტს უხაროდა მეზობლობა და მეგობრობა.

ნებიერამ ყურცქვიტას გასძახა: – ჩქარა! მომეხმარე ჩვენი ბაჭია ცუდადაა,ალბად სიცხე აქვს.წამალი მინდა დავალევინო.

ნებიერამ ნაცარა ბაჭია კალთაში ჩაისვა, მოეფერა, მოეალერსა და უთხრა: – პირი გააღე პატარავ, წამალს დაგალევინებ. გუშინ კორდზე ქარში თამაშობდი, ალბათ გაცივდი შვილო! სურდო არ შეგეყაროს.

ნაცარა ბაჭია შეშინდა, პირი საკმაოდ მაგრად მოკუმა. რა ვქნა შვილო, როგორ მოვიქცე,შენს ნებას ვერ ავყვები, სიცხე ვერაგია, წამალს ძალით დაგალებინებ. ყურცქვიტამ და ბაბუამ ძალით გაუღეს პირი და წამალი დაალევინეს.რამდენიმე საათში ნაცარა ხალისი მოემატა და ისევ ჩვეული ენერგიით დაიწყო თამაში.

დედა კურდღელი ახლოს მივიდა, თავზე თათი გადაუსვა და უთხრა: – შენთვის რომ დამეჯერებინა, ეხლა ლოგინში იქნებოდი, შეხედე როგორ სასიამოვნოდ თამაშობ შვილო, გულს უხარია. დედას უნდა დაუჯერო, შენს გამზრდელის სიკეთის მეტი რა უნდა.

– კი, დედიკო, მართალი ხარ, მაგრამ წამალი მწარე რომაა, იმიტომ მოვკუმე პირი. კიდევ კარგი ძალით დამალევინეთ. მადლობა დედიკო და მამიკო, თქვენ ჩემი მზრუნველი მშობლები ხართ, ამის მერე აღარ გაწვალებთ, წამალს მე თვითონ დავლევ.

მშობლების დამჯერი შვილი ყოველთვის ბედს დანატრის.

გახსენება

ლამზირა შეყილაძე

რა მწარეა უშენობა შვილო!

ჩემო სულისდგმავ, რაც წახვედი ამქვეყნიდან, მას აქეთ დედამიწაზე დავიკარგე, ცხოვრების უაზრო ლაბირინთებში გავიჭედე და ვერ ვპოულობ ვერანაირ გამოსავალს. აქეთ-იქიდან მიწვდიან გამოსაყვანად ხელებს, მაგრამ ყველანი უძლურები აღმოჩნდნენ, მე მხოლოდ შენ გიხმობ, მხოლოდ შენი შეხება და დანახვა მსურს და მწადია. მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი სიცოცხლეში დაბრუნება, მაგრამ ვაგლახ, რომ ვერ მწვდები, ვეღარც მე მოგაწვდინე ტირილისგან ჩახლეჩილი ხმა. უწინ, როცა დაგიძახებდი, მაშინვე მაგონებდი ხოლმე. გული სიამით მევსებოდა ვაჟკაცი მეზრდება-მეთქი, რაღა გამიჭირდება, როცა ასეთი თბილი და გულიანი შვილი მყავსო. მაგრამ, ვაი, რა უბედურება და თავსატეხი მელოდა თურმე! ახლა? ახლა უშენობით გაოგნებული და გარეტებული ვდგევარ ცივ სადგურთან, მიდიან სადღაც ლიანდაგები, ვდგევარ შავ ძაძებში გახვეული, ჩაცვენილი თვალებით, ღრმა ფიქრებში, გულდარდიანი. ყურში მატარებლის თქარათქურის ხმა ჩამესმა, უცებ ფეხზე წამოვდექი, მაგრამ ხალხით სავსე მატარებელმა ისე სწრაფად ჩამიქროლა, თვალის შევლება ძლივს მოვასწარი. მგზავრები თვალებით და ხელის დაქნევით მემშვიდობებოდნენ, მათ შორის ბევრი ნაცნობები იყვნენ, ბევრიც უცნობები, მაგრამ ყველა თითქოს ჩემიანები ყოფილიყვნენ, ისე გავაყოლე ცრემლიანი თვალები... და დამენანა, მე რატომ დამტოვეს ამ ცივ ლიანდაგებზე მზირალი. მე ხომ შენი წასვლის შემდეგ აქ ვდგევარ და ველოდები, ველოდები იმ დღეს, როცა შენთან მოვალ და ძველებურად გულში ჩაგიკრავ, დაგიკოცნი შენ თბილ, მეტყველ თვალებს. რამდენი სიამე მახსოვს მაგ თვალთა მზერით, ახლა კი... დედას შენი თავი დაანატრულე. ვინ იცის, შენც როგორ გენატრება შენი დედიკო, რომლის იმედიც ყოველთვის გქონდა. ბოლოს კი, ბოლოს დედა უძლური აღმოჩნდა ბედთან ჭიდილში და ვეღარ გიშველა. ახლა კი ყოველი დღე ჩემთვის მწარეა, ღამე კი მძიმე და უკუნი. უცაბედად მეხის დაცემას სიგიუემდე და სიკვდილამდე მივყავარ. რამდენჯერ მითქვამია, რომ შენს საფლავს დავაკვდე, მაგრამ ისევ შენს სულზე ვფიქრობ და არ მინდა სული დაგიმძიმო და აგიფორიაქო.

წუხელ ქარმა სამძიმარი მითხრა

წუხელ ქარმა შემომიხსნა კარი,
შენს სურათთან გაეპარა მზერა.
ცრემლით ჰქონდა დატბორილი თვალი,
გულში ედგა უსაშველო წყენა...

ქარი იდგა მდუმარედ და ცივად,
ცრემლი ღვარად მოსდიოდა სანთელს.
გულში შენი მონატრება წვიმდა,
გულგამქრალი ვბუტბუტებდი სათქმელს.

და ვიდექი უსაფლაო მკვდარი,
ჩემს სატკივარს ქარი თავად მიხვდა...
ჩემთან ერთად ქვითინებდა ქარი,
ქარმა წუხელ სამძიმარი მითხრა.

დღეს შენი დღეა შვილო ალიკა,
რა ვქნა სხვაგვარად ვერ გილოცავს
შენი გატანჯული დედა ამ დღეს.
მაპატიე, მაპატიე, ეს ცრემლებიც მაპატიე.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ცისარტყელას ფერებში

ეს ტკივილი ისეთია, ვერავის ანუგეშებ. მაია ხარაიშვილი, ჩემი მასწავლებლების შვილი. ჩემი სისხლი და ხორცი. პედაგოგების ოჯახში აღზრდილს და ჭალვანის ჰაერით გაჯერებეულს, რა სატკივარი შემოგისახლდა მაგ ლამაზ სხეულში. ვინ წაართვა შენი თავი ქმარშვილს, სანათესაოს, დედას. რუსიკო მასწავლებელო, მტკივა შენი ტკივილი. როცა ეს დაუნდიბელი ბედისწერა რომელიმე დედის გულს მიადგება და მოკლავს, მაშინ ვკვდები მეც. ჰოდა, რამდენჯერ მოვკვდი უკვე ვეღარც კი ვითვლი. მაიკო ულამაზესო სისხლო ჩემო, ნათელში გამყოფოს უფალმა.

შენს ლამაზ სახეს როგორ შეეხო მიწა და... სხეულს დაეპატრონა. თუ ზეცის საქორწინო გასათხოვრებს დაჭირდი მრჩეველად. იქნებ დათაც ნახე და გამოცდებზე ბალეშჩიკობ. მაიკო, ყველა თავისი გოლგოთა აქვს გასავლელი. შენი გოლგოთა ნაადრევად დაუსრულებია უფალს. მზის სადარო, დედისა და ოჯახის მოურჩენელო ტკივილო, სამარადისო დიდება შენს უმანკო სულს.

მაია ხარაიშვილი

ლამაზი ქალი მზეთა სადარი,
ვარდის სურნელით უფალს, რომ ხვდება,
რომც იყოს წვიმა, იყოს ავდარი,
უნდა ირწმუნოთ არასდროს კვდება.
ორი სახელით რჩება ლამაზი,
მარადუსობის გზა კი ცაშია,
მისი სიმშვიდის სულის დარბაზით,
ცისარტყელები ქარგავს არშიას!

მილოცვა

აბრამ პაატა იოსებაშვილის მილოცვა.

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ შემომქმედს, საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის, 9 აპრილის, ერთ-ერთი ლიდერსა და გმირს, ომის ვეტერანს, პროფესორს, ფილოსოფიის დოქტორს, უძვირფასეს მეგობარს, ბატონ

ირაკლი ბათიაშვილს ვოლოცავთ დაბადების დღეს!

2021 წლის 28 დეკემბერს, ჩემი თბილისში ყოფნის დროს მიწვეული ვიყავი საქართველოს ეროვნული მოძრაობის გმირის ირაკლი ბათიაშვილის საიუბილეო წიგნის პრეზენტაციაზე, სადაც სიტყვით გამოვედი (იხილეთ 28 იანვრის პოსტი), რამაც ელიტა საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.



ღია წერილი

ვინ არის ბატონი ირაკლი ბათიაშვილი ჩემთვის?

შესულია ბატონი ირაკლის საიუბილეო წიგნში, რაც ჩემთვისაც საამაყოა და ბატონი ირაკლი ბათიაშვილისთვისაც.

და რატომ არის მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი ჩემი წერილი

"ვინ არის ბატონი ირაკლი ბათიაშვილი ჩემთვის"?: რომელიც წიგნის ავტორებმა საჭიროდ ცნეს შესულიყო საიუბილე-საშვილიშვილო-საისტორიო წიგნში.

როგორც ისრაელის ომში გმირი შვილის მამა, და გამეგება რა არის სამშობლოსთვის თავგანწირული გმირობა, რასაც ყოველდღიურად განცდებით და ემოციებით ვატარებთ. იხილეთ ეს წერილი:

ბატონი ირაკლი ბათიაშვილი ჩემთვის არის გმირი, რომელმაც კოდორის ომში 2006 წელს დიდი სისხლისღვრა შეაჩერა!

არის კაცი, რომელსაც არაერთხელ დაუდია საფრთხეში საკუთარი სიცოცხლე საქართველოსთვის...

...მან პოლიტიკური განცხადებით მიმართა სასამართლოს და ხალხს, რომ მზად არის კიდევ ერთხელ გაწიროს თავი თავისი ქვეყნისთვის:

"თუ ჩემი სიკვდილი გამოაფხიზლებს ხალხს, თუ ჩემი სიკვდილი დაიხსნის ქართველ ერს, მე მზად ვარ გავწირო თავი ჩემი ქვეყნისთვის და ერისთვის"

მეგობრებო, ეროვნული მოძრაობის გმირის ირაკლი ბათიაშვილის გმირობასა და ჩემი შვილის რან იოსების სამშობლოს დასაცავად ისრაელის "ცუკ ეითანის" მძიმე ომში თავგანწირულ გმირობას შორის პარალელი გავატარე... ვიტყვი, გმირობა ადამიანის ისეთი ფენომენია, რასაც სამშობლოსათვის თავგანწირვა ქვია. გმირობით გამოწვეულ განცდებს და ემოციებს გმირიც და გმირის ოჯახიც ყოველდღიურად ატარებს!



მინდა მოვიშველიო ჩემი ძვირფასი მეგობრის, ჩვენი საერთაშორისო ქართულ-ებრაული ორგანიზაციის "მეგობრობის მერიდიანების" ერთ ერთი დამფუძნებელის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატის, პროფესორ რევაზ (რეზო) ბალანჩივაძის სიტყვები:

ადამიანს, როგორც ცოცხალ არსებას, და არა სოციალურ არსებას, სიცოცხლეზე ძვირფასი და ღირებული არაფერი გააჩნია.

არსებობენ მთელი რიგი ისეთი ღირებულებები, რომლებიც უფრო ღირებულნი არიან, ვიდრე სიცოცხლე. ასე რომ არ იყოს, ადამიანს თავის თავის გარდა მასზე ღირებული სხვა რომ არაფერი გააჩნდეს, მაშინ არ იარსებებდნენ სიტყვები: „შენ გენაცვალე“, „შენი ჭირიმე“, „შენ შემოგევლე“, „შენი კვნესა მე“ და მრავალი სხვა. მაშინ არც „თავგანწირვა“ იარსებებდა და არც „თავდადება“. მაგრამ რაკი ეს სიტყვები არსებობენ, რაკი ადამიანები წირავენ თავს სხვა ადამიანებს – დედას, მამას, დას, ძმას, მეგობარს, საკუთარ სამშობლოს, მშობლიურ ენას, სარწმუნოებას, გამოდის, რომ არის ისეთი ეროვნული/მამული, ენა, სარწმუნოება/ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები /ჭეშმარიტება, სიკეთე, სილამაზე/ რომლებიც გაცილებით ძვირფასია, ვიდრე ადამიანის სიცოცხლე.

დიახ, ადამიანის, როგორც სოციალური არსების, როგორც საზოგადოების წევრის, როგორც ერის შვილის წინაშე დგება მომენტები, როცა ჩვენს სიცოცხლეზე მაღლა სხვათა სიცოცხლეს ვაყენებთ და როცა ჩვენი სიცოცხლე საშუალებად იქცევა უფრო დიდი მიზნის განსახორციელებლად და ეს ეხება არა მარტო ადამიანებს, არამედ ჩვენი ქვეყანის, ჩვენ მიწა-წყლისა და სარწმუნოების დაცვას.

სწორედ თავგანწირვით იწყება ადამიანის გმირობაზე ლაპარაკი.

გმირი მარტო ის კი არაა, ვინც „მამულს შესწირა დღენია“, არამედ ისიც, ვინც გამოხატა სრული მზადყოფნა სამშობლოსათვის ან სხვა ადამიანებისათვის თავგანწირვისა, ვინც თავის თავზე, თავის სიცოცხლეზე მაღლა სხვათა სიცოცხლე დააყენა.

მაშ, დავსვათ კითხვა: ვინ არის გმირი?

არ უნდა ვიფიქროთ, რომ გმირები არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. ისინი ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც ჩვენ, ოღონდ გამოირჩევიან ძლიერი ნებისყოფითა და მტკიცე ხასიათით.

ამრიგად, თუ გმირია არა მარტო ის, ვინც სამშობლოს, მისი მიწა-წყლის დაცვას შესწირავს სიცოცხლეს, არამედ ისიც, ვინც ამ შეწირვისათვის მზადყოფნას უყოყმანოდ გამოხატავს, მაშინ ირაკლი ბათიაშვილი ნამდვილი გმირია!

ბატონ ირაკლი ბათიაშვილის წიგნი, სათაურით – "შელინგის გამოცხადების ფილოსოფია" არის ქართული ფილოსოფიური და საერთოდ თანამედროვე მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების შედევრი. მარტო ამ წიგნითაც ბატონი ირაკლი ბათიაშვილი აუცილებლად არის ძლიერი ფილოსოფოსი და ბრწყინვალე ქართველი მოაზროვნე.

ვიტყვი, ეს წიგნი არის დიდი ინტელექტუალური და მენტალური გამარჯვება, რადგან თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია და აღვსილია იდეალისტური და მონოთეისტური რელიგიური ცნობიერებით და სულისკვეთებით, დანამდვილებით ფილოსოფიურთან ერთად არის სწორუპოვარი ქრისტეანული ღმრთისმეტყველების დადასტურება.

ბატონო ირაკლი, თქვენი დაბადების დღით გამოწვეული ზეიმი, ყოველი პატრიოტის და პროგრესულად მოაზროვნის ზეიმია!

გულისხმიერო და პატრიოტული სულით გაჯერებულო მისაბაძო ქართველო, ბატონო ირაკლი, სულ წინ შემართებით და ენერგიულად გევლოთ!

წარმატებებს ჩვეულო მეგობარო, გისურვებთ კიდევ ბევრ წარმატებებს, ურყევ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, სიყვარულსა და ბედნიერებას თქვენს უსაყვარლეს ოჯახის წევრებთან და უერთგულეს ხალხთან ერთად!

მზისფერ სიც

ჯემალ არობელიძე

დაბადების დღეს ვულოცავ!

დაბადების დღეს ვულოცავ, ჩემ უსაყვარლეს მეუღლეს და მეგობარს, ქბ. ციალა კაკალაძეს!, აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია მოვდივართ ერთად, უშეცდომოდ და ოჯახის და ქვეყნის სიყვარულით, მივაღწიედ მთავარ ცხოვრებისეულ მიზანს; – შევქმენიდ ძლიერი ქართული, ტრადიციული ოჯახი და ავღზარდეთ ღირსეული მამულიშვილები; – ჩემი საამაყო პირველი, შვილი, მაია არობელიძე, მოსკოვის ტიმირიაზევის აკადემიის კურსდამთავრებულია ეკონომისტ-კიბერნეტიკის სპეციალობით რაც დღესაც იშვიათი სპეციალობაა, სამწუხაროდ მაიკოს მეუღლე, დავით ცეცხლაძე, ცნობილი იურისტი და სახელმწიფო მოღვაწე უდროვოდ, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. შვილებმა: – ხატია და ეკატერინე ცეცხლაძეებმა ბრწყინვალედ დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები და დღეს სახემწიფო სამსახურში არიან, ხატია პოლიციის მაიორია და ვფიქრობ გენერალი გახდება, ამავდროულად პირველი ქალი საქ. შს. მინისტრი, მე მიცემული მაქვს დავალება, რასაც ეტაპობრივად განვახორციელებთ, ჩემი ხატული გათხოვილია ყავს ულამაზესი სპორტსმენი შვილი დემე და ასევე იურისტი მეუღლე, შესანიშნავი პიროვნება ალე – ალეკო. ეკატერინე, მიზანდასახული მეორე შვილიშვილი გაეროს პროგრამაშია ჩართული და ყოველგვარ მადლობას იმსახურებს, ხელმძღვანელებისგან, დიდ ბედნიერებას და მომავალს უსურვებს ბაბუა! შვილი კაცი არობელიძე, პროფესიონალი ეკონომისტ ორგანიზატორია, რომელიც ტოიოტა ცენტრში ასრულულებს მის მოვალეობას, კახის მეუღლე ულამაზესი მარიკა, საოჯახო სასტუმროს ბრწყინვალე მენეჯერ-ორგანიზატორია შვილები;, ნიკა და ჯიმი არობელიძეები თავისი სამაგალითო ქცევით ახარებენ ბებიას და ბაბუას გულს, ჯიმი სტუდენტია და ეხლა გამოცდებს აბარებს, რაშიც წარმატებას უსურვებ, ჯიმი სრულფასოვნად ფლობს უცხოენებს, განსაკუთრებით ინგლისურს მინდა ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ ჩემი ჯიმი ჩადგეს სამშობლოს აღმშენებლობის სამსახურში, რამეთუ ჯიმის დიდი პოტენციალი გააჩნია. გვყავს დები-ძმები, ნათესავები და მეგობრები, რომელთაც ვეფერები, ვკოცნი და გულში ვიკრავ ჩემი ციალას დაბადების დღის მოლოცვისათვის. ჩვენი ოჯახის მამულიშვილური შრომაში, სპორტსა და კულტურაში ხელისუფალს უყურადღებოდ არ დარჩენიად, სათანადოდ შეაფასეს და დააფასეს კიდევაც მაღალი სახელმწიფოებრივი ჯილდოებით, რაზეც დიდი მადლობა მათ! პუბლიკაცია გავაკეთე საზოგადოებრივი აქტივის დაჟინებული თხოვნით, რაც თან მოკლე და მილოცვის ფორმატში ვრცელი ხასიათსაა, ესაა ჩემი ოჯახი და ჩემი ცხოვრება ხალხი, კიდევ ერთხელ ბედნიერება და სიყვარული მათ, რომ არა ციალა, ამგვარი იდილია არ შედგებოდა დიდება და მადლობა ციალას ყოველივე ამისათვის.

მრავალჟამიერ!, წარმატებები!!!....

გილოცავთ

ჯუმბერ ლეჟავას საერთაშორისო სამეცნიერო აკადემია და ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ბატონ ივერი ჭელიძეს. უსურვებს, უმტკივნეულოდ სიცოცხლის ასი წლის გაგრძელებას. ბატონი ივერი არის დიდი გულის ქართველი. იყო ერთია და გაფასებდნენ მეორე. ამ თვალსაზრისით დღევანდელი იუბილარი ორმხრივ ბედნიერია. იგი არის უსაზღვროდ დიდი პატრიოტი. მის ამაგს, მთელი სიცოცხლის განმავლოვაში გაწეულს კოდოროს ხეობაში – ახალგაზრდების ხელშეწყობის, დაფინანსების, თუ როგორც გზამკვლევისა, ალბათ, მსგავსიც არ არსებობს საქართველოში. ამ დიდ ამაგს სიტყვიერად უფასებენ კიდეც. ეს სურათი გადაღებულია კანდიტ მერლანის 80 წლის იუბილეზე, რომელიც ოპერის თეატრში ჩატარდა. ყურებიდან არ ამომდის ბატონი ივერის ულამაზესი ბიძაშვილის ნათია ჭელიძის სიტვები. ,,დიდხანს გვყავდე, ივერი, დიდხანს! შენს გარეშე სიცოცხლე წარმოდგენელად მეჩვენება“. ეს, ნათია ჭელიძის სიტყვებია. ხოლო ნათიას დამ, პოეტმა ეთერ ჭელიძემ, რომელის ღონისძიებაც ჩატარდა 2022 წლის 2 ივლისს პარლამენტის ბიბლიოთეკაში და მწერალთა კავშირის თავჯდომარემ, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა გადასცეს წლის საუკეთესო პოეტის წოდება. ამ ღონისძიებას ესწრებოდა რუსთაველის პრემიის მფლობელი დიდი მწერალი ბატონი რეზო მიშველაძე, რომელმაც გულწრფელად მიულოცა პოეტს ეს გამარჯვება. ქალბატონ ეთერის კიდევ ერთი ლამაზი სურპრიზი ელოდება. ეთერ ჭელიძის ავტობიოგრაფია შესულია რჩეული ქალბატონების წიგნში, რომლის გამომცემელი არის ქალბატონი ნინო რეხვიაშვილი. ბატონმა ივერიმ იცის ნიჭისა და თავისი ბიძაშვილების ფასი, ამიტომაც სვანეთიდან ჩამოფრინდა მათ დასაფასებლად. მილოცვის ტექსტის ფორმატს გავცილდი, ესეც ივერი ჭელიძის დიდი დამსახურებაა, რადგან მას თავისი სამშობლოსა და საახლობლოს გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელად მიაჩნია.

ასეთ ღირსეულ ქართველს დაბადების დღეს ლექსის სტრიქონებით მივულოცავ:

ღმერთია შენში, როდესაც გახსოვს,
გარდაცვლილი და... სიცოცხლე გიყვარს,
სხვის განსაცდელზე, არასდროს მასხრობ,
სხვისი ტკივილი გულთან, რომ მიგყავს.
სიმდირე არის, იცხოვრო ისე,
მზისფერი იყოს, შენი წარსული...
თუ ერს დაჭირიდა, სიცოცხლე მისცე,
თუნდაც ნაბიჯი, იყოს ჯვარცმული.
სიმდიდრე არის, იყო ძლიერი,
ქებას შენს თავზე, რომ არ მოყვები,
ასაკით იყო თუნდაც ხნიერი,
მყიფე ტოტივით, რომ არ მოტყდები.

სიძლიერეა, როცა გესვრიან,
ტყვიებს და... მაინც არ შეშინდები,
თუ გინდა გადგეს, თავზე მესია,
მაინც, რომ ყვავის შენთვის შინდები.
არ არს სიკვდილი, გარდაცვალება,
ცაში მოხდება, მზეთა მზისობა,
ეს, უფლით ხდება, ფერისცვალება,
სულს კი ეწვევა მარადისობა.
თქვენ საქართველოს შვილო, ივერი,
სიკეთისათვის, ბევრჯერ შეგნისლეს...
მე მინდა იყო სულ ბედნიერი,
რწმენით სიცოცხლე გაიმერმისე!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ჩემს შვილიშვილს, ნანა სხირტლაძეს, ვულოცავ, წამყვანი მასწავლებლის გამოცდის ჩაბარებას.

მემოს პირველ სიხარულს, თამუნა სხირტლაძეს, ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ თავის მეუღლესთან ერთად სიყვარულის მუხართან, ასი წლის განმავლობაში ერთგულებით თანაცხოვრებას და გამრავლებას.

ლევან მემო, დაბადების დღეს გილოცავ. სიყვარული გქონდეს სულის საგზლად. უფალმა არ მოგაკლოს მფარველობა. იყავი ცოდნით გამდიდრებული და ჯანმრთელი. ეგაა, სიმდიდრე, რომელსაც რამდენსაც გაცემ ორმაგად შეგემაცება. შენ ოქროს მედალზე დაამთავრე, რუთავის მზეკამანის საშუალო სკოლა, რომლის დირექტორია, ქალბატონი მელა ჯანგიძე. დაამთავრე თბილისის ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, მაგისტრატურა და მერე როცა მაგისტრატურაც წარმატებით დაამთავრე. შენი ნიჭიდან გამომდინარე, საზღვარგარეთ მიგიწვიეს, სადაც სწავლობ დოქტორანტურაში და თან მუშაობ. შენი სმდიდრე ცოდნაა, სხვა სიმდიდრე, არც არასოდეს მოგინდომებია, ჩემო ჩუმად ვეთილო, უხმაურო ლევანიკო. შენთან ერთად დაბადების დღეს მიულოცავ ჩემს მაზლს, თამაზ სხირტლაძეს. მედნიერი იყოს, თავის შვილებითა და შვილიშვილებით.

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი 2
*** გული შენი რწმენით ცოცხლობს
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**
მოციქული ანდრია პირველწოდებული.....3
მოციქული სიმონ კანანელი 4
მოციქული მატათა 5
გულნაზ ხარაიშვილი
მამა გაბრიელი 6
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 7
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 8
შევქმენ ჟურნალი 9

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ბერდიაკონი ნეოფიტე 10
ამირან ამირანაშვილი 12
ეთერ ჭელიძე 14
მალვინა ჭელიძე 16
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 18
ჯუბა ღებელი 20
გერონტი მესხი 22
თემურ გოგსაძე 24
გერმანე საზანოელი 26
აზა შანავა 28
ანამარია ლილუაშვილი 32
თამარ ფირცხელავა 34
ენვერ ნიუარაძე 38
ვერიკო პარწიკანაშვილი 40
სამყურაშვილი მანანა 44
მირზა ვარძუკელაშვილი 48
ხათუნა დოლიძე 51
მზია გომართელი 52
ნელი გიუნაშვილი 55
ლია კუპატაძე 56
თამარ ჯაფარიძე 60
მაია ხარაიშვილი 62
დავით ძნელაძე 64
ეთერ ლობჟანიძე 68
ნინო უძილაური 71
თამრო სვანი-ნიუარაძე 74
ხათუნა ჩიტაძე 78
ცაგო აბაშმაძე 80
დეზი ემანულიძე 84
ლილი გულბათაშვილი 86
ვაჟა ხეტეშვილი 88
ნელი საგინაძე 90
ნანა ჩარკვიანი 92
ეთერ ისაკაძე 97
მაია კახიძე 100
მარი ულენტი 102
მამუკა ოჩიაური 104
გურამ სახვაძე 106
ლეილა ვადაჭკორია 110
იზა ჭიკაიძე 112
გიგი თეთრაძე 114
მზია ელიაძე 115
ირინოლა ხურციძე 116
ზვიად სეხნიაშვილი 118
ეთერ ზარიძე 119
ლამზირა შეყილაძე 120
იზოლდა მოშიაშვილი 122
ქეთევან გელაშვილი 124
ლიანა კაკუბავა 127
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 128

სვანეთის შთაგეჭდილებები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 138

მიძღვნები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 145

არდავიწყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი 148
გეუან ხარაიშვილი 149
აბრამ პაატა იოსებაშვილი
მოკლე ბიოგრაფია! 150
გაბრიელ ბერის ანდერძი: 153

თარგმანები

Ratiani Lali
Aus Samebas Glockenturm 154

ᲞᲠᲝᲖᲐ

რევაზ მიშველაძე
წამება 157
ნინო რეხვიაშვილი
ჩანახატები 166
მანანა სამყურაშვილი 169
ლიანა კაკუბავა
დღიური 170
ნელი საგინაძე
სამგზის მშვიდობა 171
ირმა კეკელიძე
ჯახირა 173
ხათუნა დოლიძე
მატრონა მასწავლებელი 178
სერგი ლომაძე
აგვისტო აჭარაში – 2022-08-14 180
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
არ აატიროთ დედები 189
მე კავკასიელი ვარ 189
სიკეთის წისქვილი 190
მწარე ბალი 190
ტოტ მომსხვრეული მუხა 191
უმწეო ქალბატონი 192
ყველა უყვარს 192

დღეს გეტყვი 193
და ასე ერთად 195
სულის ტაძარი 195
ზამთრისპირა ლოცვები..... 198
ტაშისკარი 199
ცხოვრების კიბე..... 200
სულის სიმდიდრე 200
მწერლის სახლში 201
ღმერთო შემაძლებინე 202
დღეს მწერალთა სახლში..... 207
სულის შრიალი..... 207
დარდის ცეცხლში 208
ნინო უძილაური 210
ბედნიერები იყავით 210
ამაღლების ეკლესიის ეზოში 211
ლეილა ვადაჭკორია 212
ეკა ბრეგვაძე 213
ჩემი ნაპოვარი პოეტი 214
ყოველთვის ვცდილობ 215
აჭარა – ჩვენი სიამაყე 216
გულბათაშვილი ლილი..... 223

წერილები

ლუარა სორდია
„მშვიდობის წიგნის“ პრობლემატიკა და სახეები 225
შორენა მამალაშვილი
ქართული სულის მეცხოვნე 232
მანანა კვატაია
თომას ელიოტის თეორიული მემკვიდრეობიდან 237
Ratiani Lali
Semantische und formelle Eigentümlichkeiten anthithesischer Sprichwörter ... 240
ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე
სამეგაში გამოსახული უსასრულობა! 243

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)
გონების ზღვარზე..... 245

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი
სულიერ ფასეულობათა ანბანი 248

შემეცნებითი ხასმყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)
ბრალის თეორია 252

ისტორია

კლარა გელაშვილი
ჩვენ გვახსოვს წარსული.... 256
გოჩა ჭელიძე
საიდუმლოებით მოცული ამბავი 259
დღეს დიდგორის ბრძოლიდან 901 წელი გავიდა!..... 261

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, ეთერ მამაცაშვილი
ადამიანური რესურსების მნიშვნელობა და კორპორაციული კულტურა საბანკო დაწესებულებებში 264

ხელოვნება და კულტურა

გურამ ფუტკარაძე..... 271
ალექსანდრე ციხელაშვილის შემოქმედება 273
ფრიდონ ნიუარაძის შემოქმედება 275

უშგულის ეთნოგრაფიული მუზეუმი..... 279

წორჩი ათინათელები

მარიამ ხარაიშვილი 283
ანნა-მარია პედანიან..... 285
გიორგი ქენქაძე 287

გახსენება

ლამზირა შეყილაძე
რა მწარეა უშენობა შვილო! 289
წუხელ ქარმა სამძიმარი მითხრა..... 289
ცისარტყელას ფერებში 290

მილოცვა

აბრამ პაატა იოსებაშვილი
ორაკლი გათიაშვილს ვოლოცავთ დაბადების დღეს! 291
ჯემალ არობელიძე
დაბადების დღეს ვულოცავ! 294
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 295

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „დედა ღვთიშობელი“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების რედაქტორები: ჯემალ მეგრელიძე

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.
ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი: ეთერ ჭელიძე.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და
გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი), და
ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი).
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი
ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „საარში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა

საარი